

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

ენათმეცნიერების საკითხები
ISSUES OF LINGUISTICS

2013



თბილისის
უნივერსიტეტის
გამომცემლობა

სარედაქციო საბჭო:

ვ. ბოდერი, ი. გიპერტი, ვ. გიუნაშვილი, დ. თვალთვაძე,
ბ. უტიე, ჰ. ფენრიხი, მ. შანიძე, ზ. ჭუმბურიძე, ა. ჰარისი

EDITORIAL COUNCIL:

W. Boeder, Z. Chumburidze, H. Fährnich, J. Gippert, J. Giunashvili,
A. Harris, B. Outtier, M. Shanidze, D. Tvaltvadze

სარედაქციო კოლეგია:

რ. ასათიანი, თ. ბოლქვაძე, თ. გამყრელიძე (მთავარი რედაქტორი),
მ. ივანიშვილი, ი. ლეჟავა (პასუხისმგებელი მდივანი), დ. მელიქიშვილი,
ი. მელიქიშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ე. სოსელია,
ლ. ქეცბა-ხუნდაძე, ი. ქობალავა, ნ. ქუთელია, მ. ჯიქია


EDITORIAL BOARD:

R. Asatiani, T. Bolkvadze, R. Enukidze, **Th. V. Gamkrelidze** (Editor-in-Chief),
M. Jikia, M. Ivanishvili, L. Kecba-Khundadze, I. Kobalava, N. Kutelia,
I. Lezhava (Executive Secretary), D. Melikishvili,
I. Melikishvili (Deputy Editor-in-Chief), E. Soselia

*ქურნალი დაარსებულია 1999 წელს თამაზ გამყრელიძისა და
ზურაბ სარჯველაძის მიერ*

© თსუ გამომცემლობა, 2014

ISSN 1512-0473



*კრებული ეძღვნება ტოვო გუდავას
დაბადებიდან 90 წლისთავს*

ტოგო გუდავა – 90

ტოგო გუდავა 1922 წლის 23 სექტემბერს დაიბადა ქ. სენაკში. 1938 წელს დაამთავრა ცხაკაიას (სენაკი) საშუალო სკოლა, ხოლო 1945 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიურ ენათა განყოფილება.

1945-1948 წლებში იგი სწავლობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტურაში კავკასიური ენების სპეციალობით. 1948 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ბოთლიხური ენის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები“ და იმავე წელს მუშაობა დაიწყო ენათმეცნიერების ინსტიტუტში უმცროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე, ხოლო 1950 წლიდან იგი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელია. 1964 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. 1966 წლიდან კი იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრუქტურული და გამოყენებითი ენათმეცნიერების კათედრის პროფესორი იყო. ტოგო გუდავა წლების მანძილზე თანამშრომლობდა ქართული ენციკლოპედიის რედაქციაში.

ტოგო გუდავა ავტორია 80-მდე ნაბეჭდი სამეცნიერო შრომისა, მათ შორის ხუთი მნიშვნელოვანი მონოგრაფიის: „ხუნძურ და ანდიურ ენათა ზმნური ფუძეების შედარებითი ანალიზი“ (1959), „ბოთლიხური ენა. გრამატიკული ანალიზი, ტექსტები, ლექსიკონი“ (1963), „ანდიურ ენათა კონსონანტიზმი“ (1964), „ბავკალური ენა“ (1971), „დიდოურ ენათა კონსონანტიზმის ისტორიულ-შედარებითი ანალიზი“ (1979).

ტ. გუდავას გამოკვლევათა უმრავლესობა ეძღვნება დაღესტნის ენათა როგორც აღწერით, ისე შედარებით-ისტორიულ კვლევას. მან მეცნიერულად პირველმა შეისწავლა დაღესტნის რამდენიმე უმწერლობო ენა (ბავკალური, ბოთლიხური, ლოღობერიული, ტინდიური). მისი ინტერესების სფეროში შემოდიოდა, აგრეთვე, ქართველურ და მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა ურთიერთობის საკითხები. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში იგი ნაყოფიერად მუშაობდა ქართველური ენების ისტორიული ფონეტიკისა და მორფოლოგიის პრობლემებზე, რასაც არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი მიუძღვნა.

განსაკუთრებული ადგილი ეკავა ტოგო გუდავას მეცნიერულ შემოქმედებაში ქართული ფოლკლორისა და შედარებითი ქართველური ლექსწყობის საკითხებს, რაც აისახა მის გამოკვლევებსა და, კერძოდ, წიგნში „ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერება“. მისმა ნაშრომებმა უდავოდ თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ქართველოლოგიისა და კავკასიოლოგიის განვითარების საქმეში. ტ. გუდავას გამოკვლევების შედეგები ფართოდაა ცნობილი უცხოეთის სამეცნიერო წრეებში. იგი წლების მანძილზე ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს სხვადასხვა საენათმეცნიერო დისციპლინაში: „ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა“, „ხუნძური ენა“, „ზანური ენა“; ტ. გუდავამ დიდი ამაგი დასდო დაღესტან-საქართველოს სამეცნიერო და კულტურული კონტაქტების განმტკიცების საქმეს.

ტოგო გუდავა გარდაიცვალა 1976 წლის 23 ნოემბერს.

ტომო გულავას სამეცნიერო შრომების ბიბლიოგრაფია

1944

1. შედარებითი ხარისხის წარმოება და ფუნქციები „ვეფხისტყაოსანში“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა IV სამეცნიერო კონფერენციის თეზისები.

1945

2. ზმნის სუფიქსები ქართულში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა VII სამეცნიერო კონფერენციის თეზისები.

1947

3. ერთი აფხაზური თანდებული ზანურში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. VIII, № 3, გვ. 186-189.

1948

4. ბოთლიხური ენის მორფოლოგიის ძირითადი კატეგორიები, საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი, 233 გვ.
5. სახელის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები ლოდობერიულში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ენის ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერთა და ასპირანტთა I სამეცნიერო კონფერენციის თეზისები.
6. უარყოფითი და კითხვითი ფორმები ბოთლიხურ ენაში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ენის ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერთა და ასპირანტთა II სამეცნიერო კონფერენციის თეზისები.

1950

7. ზანური (მეგრულ-ჭანური) სრულხმოვნობის ახსნის ცდა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XI, № 7, გვ. 463-467.

1952

8. მესამე გრამატიკული კლასის ნიშნის ერთი ვარიანტი ზუნძურ-ანდიურ-დილოურ ენებში, იკე ტ. IV (კრებული დაიბეჭდა 1953 წელს), გვ. 135-146.
9. ზუნძურ-ანდიურ-დილოურ ენათა ბგერათმესატყვისობებისათვის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტის IX სამეცნიერო სესიის თეზისები (თანაავტორობით).

1953

10. ტინდიური ენის ფონეტიკური მიმოხილვა, იკე ტ. V, გვ. 327-393.

1954

11. გრამატიკული კლასების ისტორიისათვის ტინდიურში, იკე ტ. VI, გვ. 365-371.
12. ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენათა ტა(ტ^ა) ლატერალის გენეზისისა და ქართ-ველურ ენებში მისი ფონეტიკური შესატყვისის შესახებ, იკე ტ. VI, გვ. 55-66.
13. ხუნძური ჭოუჟუ „ქალი“ სიტყვის შედგენილობისათვის, იკე ტ. VI, გვ. 373-376.
14. ორი წარწერა (ქართული და ქართულ-ხუნძური) დაღესტნიდან, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 30, გვ. 185-196.
15. ქართულ-ხუნძური ლექსიკური შეხვედრების შესახებ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XV, № 10, გვ. 701-708.
16. К строению показателя грамматических классов в аварском языке, «Языки Дагестана», II, Махачкала, стр. 162-168.
17. გრამატიკული კლასის ნიშნის ფონეტიკური ცვლილებებისათვის ხუნძურ-ანდიურ ენებში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტის XI სამეცნიერო სესიის თეზისები.

1955

18. გრამატიკული კლასის ნიშნის ფონეტიკური ცვლილებები ხუნძურსა და ანდიურ ენებში, იკე ტ. VII, გვ. 311-332.
19. ლაბიალიზებულ თანხმოვანთა ცვლილებებისათვის ხუნძურსა და ანდიურ ენებში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტის XII სამეცნიერო სესიის თეზისები.

1956

20. К изменению лабиализованных согласных в аварском и андийских языках, იკე ტ. VIII, გვ. 215-234.

1957

21. ხუნძური ენის ორთოგრაფიის ზოგიერთი საკითხი (სადისკუსიო წერილი), გაზეთი «БагIараб найрах» 17.09.1957, მაჰაჩყალა.
22. ვ/უ ბგერათშეფარდებისათვის ქართულსა და მეგრულში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტის XIV სამეცნიერო სესიის თეზისები, გვ. 10.

1958

23. ფარინგალურთანხმოვანთა საკითხისათვის ხუნძურ-ანდიურ ენებში, იკე ტ. IX-X, გვ. 257-267.
24. ხმა-ბაძვის ერთი სახეობა მეგრულში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტის XVI სამეცნიერო სესიის თეზისები, გვ. 15-16.

25. Сравнительно-историческая фонетика аварских диалектов, Дагестанский филиал АН СССР, Махачкала (соавтор И. М. Шигабудинов).

1959

26. აფრიკატები ანდიურ ენებში, იკე ტ. XI, 1959, გვ. 261-290.
27. ერთი რიგის თანხმოვანთა ცვლილებისათვის ხუნძურ-ანდიურ ენებში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XXII, № 1, გვ. 101-106.
28. რიცხვის კატეგორია ანდიურ ენათა ზმნაში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტის XVIII სამეცნიერო სესიის თეზისები, გვ. 7-8 (რუსულ ენაზე, გვ. 17-18).
29. Сравнительный анализ глагольных основ в аварском и андийских языках, Махачкала, 236 стр.

1960

30. მიცემითი ბრუნვის შესახებ ხუნძურში, იკე ტ. XII, გვ. 261-290.
31. ო-ს უ-ში გადასვლის ზოგიერთი შემთხვევა ზანურ (მეგრულ-ჭანურ) ენაში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XXV, № 1, გვ. 119-122 (გადაბეჭდილია ჟურნალში „ენათმეცნიერების საკითხები“ 1999, 3, გვ. 124-128).

1961

32. Склонение имен существительных в ботлихском языке, «Вопросы изучения иберийско-кавказских языков», Москва, стр. 130-146.

1962

33. ბოთლიხური ენა. გრამატიკული ანალიზი, ტექსტები, ლექსიკონი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, 264 გვ. (დაბეჭდა 1963 წელს).
34. ბრუნვის ორი ტიპის ისტორიული ურთიერთმიმართებისათვის ხუნძურ-ანდიურ ენებში, იკე ტ. XIII, 1962, გვ. 267-275.

1964

35. მერცხალი (ეტიმოლოგიური ძიება), იკე ტ. XIV, 1964, გვ. 143-145.
36. რეგრესული დეზაფრიკატიზაციის ერთი შემთხვევა ზანურში (მეგრულ-ჭანურში), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე XXXIII, № 2, გვ. 497-503 (გადაბეჭდილია კრებულში „ენათმეცნიერების საკითხები“ 2000, 1, გვ. 93-99).
37. Консонантизм андийских языков. Историко-сравнительный анализ, АН ГССР, Институт языкознания / საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, 221 გვ.

1967

38. ნათესაობითი ბრუნვის ორი სახეობის შესახებ ანდიურ ენებში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტის XXIII სამეცნიერო სესიის თეზისები.

39. მახვილის ადგილისათვის ხუნძური ენის ზმნაში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XLV, № 2 გვ. 541-546.
40. ხუნძურ ზმოვანთა განაწილებისათვის მახვილის მომდევნო პოზიციაში, ორიონი, აკაკი შანიძეს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საიუბილეო კრებული მიძღვნილი აკაკი შანიძის დაბადების 80 წლისთავისადმი, გვ. 134-137.
41. Андийские языки: Введение, Иберийско-кавказские языки, Языки народов СССР, т. IV, гв. 272-275.
42. Ботлихский язык, Иберийско-кавказские языки, Языки народов СССР, т. IV, гв. 293-306.
43. Годоберинский язык, Иберийско-кавказские языки, Языки народов СССР, т. IV, гв. 303-321.
44. Багвалинский язык, Иберийско-кавказские языки, Языки народов СССР, т. IV, гв. 351-367.
45. Тиндийский язык, Иберийско-кавказские языки, Языки народов СССР, т. IV, гв. 368-383.

1968

46. ბავკალური ენის ფონეტიკის საკითხები, იკე ტ. XVI, 1968, გვ. 144-179.
47. აორისტის დაბოლოების ზოგიერთი საკითხი მეგრულში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტის XXIV სამეცნიერო სესიის თეზისები, გვ. 10-11.

1969

48. მახვილის ადგილისათვის მეგრულში, თბილისის უნივერსიტეტი გიორგი ახვლედიანს, გვ. 106-111.
49. -უარ დაბოლოების შესახებ ზანური ენის კაუზატივებში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტის XXV სამეცნიერო სესიის თეზისები.

1970

50. თანზმოვანთკომპლექსებისათვის ხუნძურში (ანლაუტი და აუსლაუტი), იკე ტ. XVII, 1970, გვ. 183-188.
51. თანზმოვანთკომპლექსების აგებულებისათვის მეგრულში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტის XXVI სამეცნიერო სესიის თეზისები, გვ. 21-22 (თანაავტორი თ. გამყრელიძე).

1971

52. პირის კატეგორია ხუნძურ-დილოურ ენებში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტის XXVII სამეცნიერო სესიის თეზისები, გვ. 19-20.
53. ბავკალური ენა. გრამატიკული ანალიზი და ტექსტები, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, 243 გვ.

1972

54. კინობითის სუფიქსები მეგრულ გვარის სუფიქსებში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტის XXVIII სამეცნიერო სესიის თეზისები, გვ. 11-12.
55. ნამყო დროის -უნა დაბოლოების შესახებ ხუნძურ ზმნაში, თბილისის უნივერსიტეტის შრომები B 3 (142), გვ. 43-55.

1974

56. ზმნათა ერთი რიგის (წავიზე „წურვა“, ქინე „ჭამა“) უღვლილებისათვის ხუნძურში, იკე ტ. XIX, გვ. 125-129.
57. Из истории корреляции «сильный-слабый» в аварско-тиндийско-дидойских языках, იკეწ ტ. I, გვ. 139-146.
58. ფუძედრეკადი ზმნები მეგრულში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე (ენისა და ლიტერატურის სერია), 4, გვ. 132-138.
59. ქართული სალექსო სტრიქონის აგებულების ზოგიერთი საკითხი, ჟურნალი „ცისკარი“, 7, გვ. 140-147.
60. ქართულ-ზანური ლექსიკური ურთიერთობიდან, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტის XXX სამეცნიერო სესიის თეზისები, გვ. 15.

1975

61. ქართული ხალხური სიტყვიერება. მეგრული ტექსტები. I. პოეზია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და გამოკვლევა დაურთო ტოგო გუდავამ, 467 გვ.
62. ანდიური ენები, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. I, გვ. 445-446.

1976

63. მითი და სინამდვილე (იბერიული ტექსტების გაშიფვრის გამო), გაზეთი „თბილისი“, 19.IV.1976 (თანაავტორი კ. წერეთელი).
64. ივანე ჯავახიშვილი და გრამატიკული კლასების საკითხი დაღესტნურ ენებში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტის XXXI სამეცნიერო სესიის თეზისები, გვ. 22-23 (თანაავტორი ზ. გუდავა-მაპომეღბეკოვა).
65. ატრიბუტულ სახელთა დაბოლოების ისტორიისათვის ხუნძურში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტის XXXII სამეცნიერო სესიის თეზისები, გვ. 30-31.
66. მახვილის როლისათვის ქართული ლექსის სტრუქტურაში, აღმოსავლური ფილოლოგია, კრებული ეძღვნება აკადემიკოს ვიორგი წერეთლის ხსოვნას, გვ. 103-110.
67. North Caucasian Languages, in: The New Encyclopaedia Britannica (in 30 volumes). Macropaedia Volume 5, 15th edition. Chicago, etc.: Encyclopaedia Britannica Inc., “Caucasian Languages”, pp.1012-1014 [Bibliography, p.1015].

68. კავკასიის ენობრივ რუკასთან, ჟურნალში: ქართული ენა და ლიტერატურა, № 4, გვ. 74-77.

1977

69. ბავალური ენა, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. II, გვ. 125-126.
70. ბგერწერა, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. II, გვ. 261.
71. ბოთლიხური ენა, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. II, გვ. 444-445.
72. ბოლ მაწი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. II, გვ. 452

1978

73. აწმყოს წარმოება ანდიურ ენებში და ზმნის საულღებელი ფუძის ზოგიერთი საკითხი, იკე ტ. XX, გვ. 214-234.
74. დაღესტნური ენები, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. III, გვ. 406. და-ღესტნის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა: ლიტერატურა, გვ. 405 (თანავტორი ზ. გუდავა-მაჰომედბეკოვა).

1979

75. ბაგისძიერი თანხმოვნები ჩქამიერთა წინ მეგრულში, საენათმეცნიერო კრებული (ეძღვნება გივი მაჭავარიანის ხსოვნას დაბადების 50 წლისთავზე), გამომცემლობა „მეცნიერება“, გვ. 81-88.
76. ატრიბუტულ სახელთა ისტორიისათვის ხუნძურში, იკე ტ. XXI, 1979, გვ. 189-193.
77. Историко-сравнительный анализ консонантизма дидойских языков, АН ГССР, Институт языкознания / საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, 223 გვ.

1980

78. Количественные числительные в аварско-андийско-дидойских языках (Историко-сравнительный анализ), იკეწ ტ. VII, გვ. 153-217.

1984

79. „-უან“ დაბოლოების შესახებ მეგრულ კაუზატივში, საენათმეცნიერო კრებული I, (ეძღვნება გიორგი ახვლედიანის ხსოვნას), თსუ გამომცემლობა, გვ. 72-77.

გამოუქვეყნებელი ხელნაწერები და რეცენზიები

1. ლოდობერიული ენა (გრამატიკული ნარკვევი);
2. ლოდობერიული ენის ზმნა;
3. ტინდიური ენა (გრამატიკული ანალიზი, ტექსტები, ლექსიკონი);
4. ანდიურ ენათა შედარებითი გრამატიკა;
5. ხუნძურ-ანდიურ ენათა შედარებითი ლექსიკონი;
6. სემანტიკური გადახრის ერთი შემთხვევა ხუნძურ-ანდიურ ენებში;
7. ა/უ ხმოვანთმონაცვლეობისათვის ხუნძური ენის ნამყო დროის ფორმებში;
8. ვ/უ და ძ/ი ბგერათა განაწილებისათვის ხუნძურში;

9. თანხმოვანთკომპლექსები ხუნძურ ენაში;
10. „ყოფნა“ ზმნა ხუნძურში;
11. ხუნძური ენის ჰილური კილოკავი;
12. სახელის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები ბაგვალურში;
13. ბაგვალური ენის ზმნა;
14. ერგატიული კონსტრუქციის ზოგიერთი საკითხი ხუნძურში;
15. ერგატივის -ცა ფორმანტის გენეზისი ხუნძურში;
16. დიდოურ ენათა კონსონანტიზმის ისტორიიდან;
17. შენიშვნები ზანური ენის ფონეტიკიდან (ვ>მ);
18. რ ბგერის მეტათეზისი მეგრულში;
19. ეტიმოლოგიური შენიშვნა (ზანური სქიბუ, ქართული შუბლი);
20. რეცენზია: А.А. Бокарев, Очерк грамматики чамалинского языка, М.-Л., 1949;
21. საყურადღებო ენათმეცნიერული გამოკვლევები, ჟურნ. „კომუნისტური აღზრდისათვის“, 1956, № 2, გვ. 82-85 [რეცენზია კრებულზე „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“ ტ. VI, 1954 (თანაავტორი ი. ქავთარაძე)];
22. რეცენზია: Ш. И. Михайлов, Очерки аварской диалектологии, М.-Л. 1959;
23. რეცენზია: Е. А. Бокарев, Введение в сравнительно-историческое изучение дагестанских языков, Махачкала 1961;
24. რეცენზია: П. А. Саидова, Грамматический очерк годоберинского языка, საკანდიდატო დისერტაცია, მაჰაჩყალა 1964;
25. რეცენზია: გ. მაჭავარიანი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, თბილისი 1965;
26. რეცენზია: გ. ნებიერიძე, ქართული ენის ვოკალიზმის ფონოლოგიური ანალიზი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 105, 1965;
27. რეცენზია: Т. И. Дешериева, Сравнительно-типологическая фонетика чеченского и русского языков, Грозный 1965;
28. რეცენზია: Karl Bouda, Introducción a la lingüística Caucásica, Acta Salmaticensia Philos, Let. 15 (1), 1960, pp. 5-90. იკე ტ. XV, 1966, გვ. 366-368.
29. რეცენზია: А.С. Куркиев, Местоимения в нахских языках, საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი 1966;
30. რეცენზია: მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, თბილისი 1966;
31. რეცენზია: ე. ჯეირანიშვილი, წახური და მუხადური ფონეტიკისა მორფოლოგიის ძირითადი საკითხები;
32. რეცენზია: А. Тимаев, Шатойский говор горского диалекта чеченского языка, საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი 1967;
33. რედაქტორის წინასიტყვაობა წიგნზე – П. А. Саидова, Годоберинский язык (грамматический очерк, тексты, словарь), Дагестанский филиал АН СССР, Институт истории, языка и литературы имени Гамзата Цадасы, Махачкала 1973, 240 стр. გვ. 3-4.

ტოგო გულავას ხელით ნაწერი ანოტაციები

1. ბოგობიხური ენის მონოგრაფიის ძირითადი აქტუალუბი. ხაჯარ.
რესტორი, წახმოაფანს არივეო უხელო მონოგრაფიას მანამე ჭყნაქალო
ენის ჭყნებ. გასკეკეყოი ამ ენის ნეჭყეჭყეს რ აფიოი მონაესეა
ენაა მხის. რაქვეროო რ აქმელოი ბოგობიხური ენის მახლოლოი აქტუალ-
ბიბი (გხამეფ. ეანთს, ხეფენის, ბხეენის, რხიოს, ეილნი რ სე). რ. რ. რ. რ.
ბელო, ხომ ბოგობიხის მონაქეჭი სიქეჭესი ყინეჭს იქეკიას ბყნესი
ეოს გხამეჭყელი მყობის ჭოი მხისი ეასკეკეკე. მხომე ეყესეხა სეკე-
ანი ხნაქეხეხეხ

2. შსმე გხამეჭყელი ექობის იქნის ეხი ვახიბეხი ბყნესი-
-არეოე-რიოეხი ექებხი. ბოგობიხური ენის მონაქეჭის მონეკოეხი რა-
ქვეროო, ხომ შესე გხამეფ. ეანთს \varnothing იქნის, ხომელო ხომ არეოეხ ეანთ
ეჭეჭეხ, წახმოაფანს \varnothing ეანთს იქნის ვანეჭყეხ ვახიბეხ რე მი-
ოქეკეოი ვეხესე \varnothing ანეძიანთს (ან ვეჭეხ ახესეე იქნესი ნმი-
ვანთს) \varnothing -ს ანიბოეოიოი ჭეეეე. ამხან რეკეხეხეხი ვანთოე-
ბელო ხომ სეჭეკის აქეჭეკეხი ბყნესი-არეოე-რიოეხი ექებეხ. ვ-
მაქეჭეხი ვახეკი, ხომ \varnothing -ს აქეკეე \varnothing -ს ვანთანთს ებიჭეხეხ აქ
ყე რე სეჭეკის ექეკეხი სთის რანეეეეე ამ ექებხ, სანეოქხ რ-
~~ქ~~ მანთს ბეჭეკეხის აქეეეეეე.

3. შსმე გხამეჭყელი ექობის სეჭეკეხისეკის ბყნესიქხი. ვ-
მაქეჭეხი ვახეკი, ხომ \varnothing ეანთს მხოლო რეეეე სანთი ყე რე ყო-
ვიოეხ, ყინეკეოი ამ ეანთს აქ ჭეეეეხ. ამხან რეკეხეხეხი ვანთო-
ქეხი ხომეეეე ბყნესი რ ბოგობიხური სეჭეკეხი.

4. ցիստիցիցրոս ցամեռն օրժոնն սրբայրյանեացոն եպծեպի՞նն. Կոհպրոսս
Երբոսւցի բոճեկեպիկէն ճոմոն ընշուշոնն իւրի զսոմպօբարոն շոնեկիւն, Կոմոնն
աւեթաթ. եպծեպի Կոնհոնեոնիքե սթոնի յճի՛ն ո՞նո, Կոմ եպծեպի՞նն յիւսթ.
Կամեռն օրժեկի ասեթեմշեպոն, Երբոսս սթոնի յճի՞նն շոկպրոսթոն. Կամեռն օրժեկ
Կոհշոճոն բոս ձեկշոճոսն ձեկշոճոն, Զեկաճ Եթոնոն շոճիճի՞նն սոթոսթոս Կոհշոճ-
թոսս.

5. Եթոնոն ճիւղաթոն շոկպրոսթոնի սրբոնիւթոն բոթոնեկիւթոնն. Կո-
Երբոսս բո զոնեկեպիկէն յիւսթ. Կամեռն, Կոհշոննոսս բո Կոհշոնն սրբոնիւթոն
յճեպօբարոսն ձեկեկի, Կոմ բոթոնեկիւթոնն շոճիւթոնն, Կոմ սթոնի սրոսճոն
ոյլ ձեկեկիւթոն, բոսոթոնն Եթոնոնիւթոն յոնն, Կոմեռն ոն Եթեկի Կոհ
Եթե շեկեկի շոնեկեկի, յոթի Կոհշոննիւթոն. Եթե յոթի Կոհշոնն Կոհշոնն.

6. Զոնն ճիւղաթոն շոկպրոսթոնի սրբոնիւթոն բոթոնեկիւթոնն. Կո-
Կոնն յոնն Եթոնոնիւթոն Կոնհոնեոնիւթոն յոննեկիւթոնն բոթոնեկիւթոնն Զոնն Կո-
պրոսթոնի սրբոնիւթոն - թե, Կոն, Կոհշոնն, Կոնեոնոն բո Կոհշոնն
Կոնեկի բո Եթ. Կոնեոնեկիւթոն, Կոմ Զոնն յոննեկիւթոնն բոթոնեկիւթոնն
Կոնեկիւթոնն Զոնն Կոնն յոննեկիւթոնն. Կոհշոննոնն Կոնն Կոնն
ոնեկիւթոնն Կոն. Եթե յոթի Կոհշոնն Կոհշոնն.

7. Կոհշոննոնն սրոն օրժոնն եպծեպի՞նն

8. Կոհշոննոնն - Կոն օրժոնն յոննեկիւթոնն եպծեպի՞նն. Կոնեոնոնն
բո Կոհշոննոնն սրոն բո - Կոն օրժոննն բոթոնեկիւթոնն Կոնեոնեկիւթոնն
Կոնեկիւթոնն.

9. 'Կոցնու' թոճու Եղեցիկի. 'Կոցնու' թոճու ժողովրդական շարժումը, հանրային շարժումը հանրային կողմից ստեղծված և արտահայտված էր, որպեսզի հանրային շարժումը կարողանա հասնի 'արտահայտության': Ինչպեսզի արտահայտվի ինչ-որ բանով ինչ-որ բան:

10. Կյուրեղյան և Կ. Կոնստանդինոպոլիտի "Օրոքի քրիստոնեական քննադատության շարունակ" Եղեցիկի շարժումը շարունակվեց չորսը քաղաքացիական պատերազմի ընթացքում, որի ընթացքում ստեղծվեցին հանրային կազմակերպություններ, որոնք օգնեցին ևս շարունակելու շարժումը:

11. Երևանի շարժումը (արտահայտվեց 1918) Երևանի շարժումը ստեղծվեց 1918 թվականին, որի ընթացքում ստեղծվեցին հանրային կազմակերպություններ, որոնք օգնեցին ևս շարունակելու շարժումը:

12. Եղեցիկի շարժումը ('Կոցնու') Եղեցիկի քրիստոնեական շարժումը և Կ. Կոնստանդինոպոլիտի քրիստոնեական շարժումը, որոնք օգնեցին ևս շարունակելու շարժումը:

13. Երևանի շարժումը և Կ. Կոնստանդինոպոլիտի "Օրոքի քրիստոնեական քննադատության շարունակ" Երևանի շարժումը ստեղծվեց 1918 թվականին, որի ընթացքում ստեղծվեցին հանրային կազմակերպություններ, որոնք օգնեցին ևս շարունակելու շարժումը:

ენანტიოსემია ქართულში

(I ნაწილი – საკითხის კვლევის ისტორიიდან)

“Jedes ausgesprochene Wort erregt den Gegensinn”.¹

იოჰან ვოლფგანგ გოეთე

“Jedes ausgesprochene Wort läßt seinen Gegensinn anklingen”.²

იოსებ ტრიერი

ანტიკური და საზოგადოდ დასავლური აზროვნებისათვის დამახასიათებელია სამყაროში მიმდინარე პროცესების, როგორც საპირისპირო ძალთა – ფუნდამენტურ ოპოზიციათა – ურთიერთქმედებების განხილვა. ბერძნები ასხვავებდნენ ისეთ ძირითად დიქოტომიებს, როგორიცაა *სასრული* და *უსასრულო*, *ნათელი* და *ბნელი*, *ერთი* და *მრავალი*, *მამრობითი* და *მდედრობითი*, *უძრავობა* და *მოძრავობა*, *კეთილი* და *ბოროტი*.³ ანტიტეზებით გატაცება განსაკუთრებით თვალში საცემია პლატონის მოძღვრებაში (Law 2000:42).

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ურთიერთსაპირისპირო მიმართებათა (ოპოზიციათა) არსებობას წესრიგი შეაქვს მოვლენათა მრავალფეროვნებაში. დაპირისპირებულობებით აზროვნება, როგორც ჩანს, არის ფართოდ გავრცელებული, შეიძლება ითქვას, უნივერსალური ფენომენიც კი. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ კონტრასტული მიმართებები ენის ლექსიკის სტრუქტურაშიც პოულობენ ასახვას.

„ოპოზიციურობა შეიძლება არის ერთადერთი აზრობრივი მიმართება, რომელიც უშუალო ლექსიკურ გამოხატულებას პოვებს ყოველდღიურ ენაში. ყველას, თუნდაც ძალზე პატარა ბავშვსაც კი, შეუძლია პასუხი გასცეს კითხვას – რა არის *დიდი-ს*, // *ვრძელი-ს*, // *ზევით-ის* საპირისპირო სიტყვა. ამიტომ სავარაუდოა, რომ გარკვეულწილად ეს მიმართება კონგნითურად ძირითადია (პრიმიტივია)“, – წერს ალან კრუზი (Cruse 2000:167).

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ოპოზიციურობის არსებითი თვისება არის მისი ბინარულობა. „იმ მიმართებათა შორის, რომელთა კვლევითაც ენათმეცნიერები არიან დაკავებულნი, ყველაზე ტიპური და საყურადღებო არის ნამდვილი დაპირისპირება (echte Gegensatz) – ბინარული ოპოზიცია“, –

¹ ყოველი წარმოთქმული სიტყვა საპირისპირო აზრს იწვევს.

² ყოველი წარმოთქმული სიტყვა მის საპირისპირო აზრს აფლერებს.

ამბობს რომან იაკობსონი, – და ეთანხმება იმ აზრს, რომ „ის არის უმარტივესი ლოგიკური ოპერაცია“ (Jakobson 1977:10).¹

ბინარული ოპოზიცია პოლარული მიმართებით ხასიათდება: ის მიუთითებს ორი პოლუსის არსებობაზე, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია ერთი და იმავე მნიშვნელობის ღერძით. ამ ღერძის ორი მხარე მხოლოდ მაშინ წარმოადგენს პოლუსს, როცა ისინი ერთი მთლიანის, ერთიანობის პოლუსები არიან. პოლუსის არსი ისაა, რომ ერთი მხრივ, ის დამოუკიდებელია, იზოლირებულია მეორე პოლუსისგან, მაგრამ მეორე მხრივ მიუთითებს თავის საწინააღმდეგო პოლუსზე და მასთან ერთად ერთ მთლიანობას შეადგენს. სწორედ ამას გახაზავს რ. იაკობსონიც (იხ. სქოლიოში (1) მოყვანილი ციტატა).

ოპოზიციურობის მეორე მნიშვნელოვანი თვისებაა ე.წ. სიწმინდე. ენაში გვაქვს ოპოზიციური წყვილები, როგორცაა *კაცი: ქალი, ბიჭი: გოგო, ბებია: ძაბუა*, მაგრამ ძირითადი ოპოზიცია, რომელიც ამ წყვილებს უდევს საფუძვლად, წმინდა ფორმით გამოიხატება როგორც *მამრობითი: მდედრობითი*. ზემოთ მოყვანილ ოპოზიციურ წყვილებს სხვა სემანტიკური თვისებებიც ახასიათებთ, გარდა ამ ძირითადი ოპოზიციისა (Croft and Cruse 2004:166).

დაბოლოს, ოპოზიციურობის კიდევ ერთი ძირითადი თვისებაა სიმეტრიულობა, მაგ., *ცხელი და ცივი* სიმეტრიული ოპოზიციებია, მაგრამ არა *ცხელი და გრილი*.

ამრიგად, ოპოზიცია არის ის უმნიშვნელოვანესი პრინციპი, რომელიც ენის სტრუქტურირების საფუძველს შეადგენს. ლექსიკაში ამ პრინციპის გამოხატულებაა ოპოზიციური წყვილების არსებობა, რომელთა ყველაზე მკაფიო (ე.წ. კარგი) წარმომადგენლები არიან ანტონიმები (Croft and Cruse 2004:166).²

¹ „ბინარული ოპოზიციების თავისებურების გასარკვევად მინდა ისევ და ისევ გავიმეორო გამოჩენილი ჰოლანდიელი ენის ფილოსოფოსისა და ფენომენოლოგის ჰენრიკ პოსის სიტყვები: ეს არის, მისი აღნიშვნის მიხედვით, უმარტივესი ლოგიკური ოპერაცია; ყველა სხვა კავშირებსა და მიმართებებისგან ის იმით განსხვავდება, რომ ბინარული ოპოზიციის შემთხვევაში, ჩვენ აუცილებლად მხედველობაში გვაქვს მისი ორივე წევრი და მათ ვუდარებთ ერთმანეთს. ასე მაგალითად, შეუძლებელია სიდიდეზე ვიმსჯელოთ, იმის გარეშე, რომ ამასთანავე სიმცირის იდეას არ შევხვით. იაფის ცნება წარმოუდგენელია ძვირის გარეშე და ა.შ. ამაშია ამგვარი ოპოზიციების ქმედითი ღირებულება. როგორც ეს ბავშვთა ფსიქოლოგებმა, განსაკუთრებით ანრი ვალონმა, დაადგინეს, ბავშვების დაწყებითი გონებრივი განვითარება სწორედ ასეთ ბინარულ დაპირისპირებულობებზე აიგება“ (Jakobson 1977:10).

² William Croft and D. Alan Cruse წიგნში Cognitive Linguistics ასახელებენ ოპოზიციის ე.წ. salient (გამოჩენილ, თვალში საცემ) ტიპებს: *კომპლემენტარებს (complementaries)* (ცოცხალი: მკვდარი, ჭეშმარიტი: ყალბი), *ანტონიმებს (გრძელი: მოკლე), რევერსივებს (აღმართი: დაღმართი, ჩაცმა: ვახლა).*

ლაიონზი სვამს კითხვას: არსებობს თუ არა მიზეზშედევობრივი კავშირი ენაში არსებული ოპოზიციური წყვილების დიდ რაოდენობასა და ჩვენს მიდრეკილებას შორის, ვიზროვნოთ ბინარული კონტრასტების საფუძველზე, რომელი განაპირობებს რომელს – გვიბიძგებს ჩვენს დედაენაში ლექსემათა ოპოზიციური წყვილების არსებობა ვიზროვნოთ ჩვენი გამოცდილებისა და ცოდნის დიქტომიზირებისა და პოლარიზაციის გზით თუ პირიქით – ჩვენი მიდრეკილება ამგვარი აზროვნებისაკენ მეორეულად აისახება ენაში ლექსემათა ოპოზიციური წყვილების სახით?

„პრინციპში, ეს სულერთია, – პასუხობს ამ კითხვაზე ლაიონზი, – ფაქტი ისაა, რომ ბინარული ოპოზიციები, რომლის ყველაზე ნათელ გამოხატულებას ანტონიმები წარმოადგენენ, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ როგორც ენაში, ისე აზროვნებაში“ (Lyons 1977:281).

ოპოზიციათა გააზრება შესაძლებლობას იძლევა შევიმეცნოთ მოვლენათა ან საგანთა თვისებები და მათ შორის კავშირები, რომლებიც შეუმჩნეველი დარჩებოდნენ, ისინი რომ ერთმანეთისთვის არ დაგვეპირისპირებინა. სწორედ ურთიერთსაპირისპირო თვისებათა გააზრება ანიჭებს ჩვენს შემეცნებას ქმედი-თუნარიანობას. რამდენად მნიშვნელოვან როლს ასრულებს ენაში ანტონიმების არსებობა ლექსიკის სტრუქტურის კვლევისას, ამაზე ვვალდ ლანგის მხატვრული გამონათქვამიც მიუთითებს: „სინონიმია არის როგორც ლორწოიანი ფაფა, რომელშიაც სიტყვების წესრიგი იძირება, ანტონიმია კი, პირუკუ, არის ალმასი, რომლის წყალობითაც ჩვენ შეგვიძლია სიტყვათა წესრიგის მკვეთრად გამოძერწილად დანახვა (Lang 1994:54, 1995:95)“.¹

1. მას შემდეგ, რაც ჩვენ აღვნიშნეთ ოპოზიციური წყვილების მნიშვნელობა ლექსიკის სტრუქტურირებისათვის, თითქოს საკვირველი ჩანს სრულიად საპირისპირო მოვლენის არსებობა ენაში, რომელსაც ენანტიოსემია ეწოდება. გერმანულენოვან ენათმეცნიერებაში ეს მოვლენა უპირატესად *Gegensinn*-ის სახელითაა ცნობილი.

„*Gegensinn* არის ურთიერთსაპირისპირო (კონტრასტული) შინაარსების (მნიშვნელობების) გაერთიანება გამოსახულების (ბგერითი სხეულის) ერთი ფორმის ქვეშ“, – ასე განმარტავს ამ ტერმინს კარინ ჰელერი (Heller 1976:211).²

მეთიუსის ლექსიკონში ენანტიოსემია განმარტებულია, როგორც „პოლისემიის შემთხვევა, როცა ერთი მნიშვნელობა რაიმე თვალსაზრისით მეორე მნიშვნელობის საპირისპიროა, მაგ., ზმნა *dust* წინადადებაში *I dusted the mantel-*

¹ “Synonymie ist wie ein Brei mit Schlieren, in dem die Ordnung der Wörter versinkt, Antonymie hingegen ist wie ein Diamant, durch den wir die Ordnung der Wörter in scharfer Facettierung erblicken können”.

² “Gegensinn ist ... die Vereinigung konträre Inhalte (Bedeutungen) unter einer Form des Ausdrucks (Lautkörper)”.

piece (*მე გადავწმინდე მტვერი ბუხრიდან*) ნიშნავს, რომ რაღაც **მოშორებულია**, მაშინ როცა იგივე ზმნა წინადადებაში *I dusted the cake with sugar* (*მე ნამცხვარს შაქრის ფხვნილი მოვაყარე*), ნიშნავს, რომ რაღაც **დამატებულია**, (ტერმინი) ნაწარმოებია ჯ. ლეპშის მიერ გერმანული Gegensinn-ის მიხედვით (Matthews 1997:113)¹

აქ შეიძლება შევეკამათოთ ლექსიკონის ავტორს, ვინაიდან ჯ. ლეპში ენანტიოსემიით ძირითადად მეოცე საუკუნის 80-იანი წლების დამდეგს დაინტერესდა (Lepschy 1981, 1989), მაშინ როცა ტერმინი *ენანტიოსემია* გაცილებით უფრო ადრე, უკვე XIX საუკუნეში იხმარება, მაგ., რუს ენათმეცნიერ შერცლთან (Шерцль 1883). XX ს-ის 60-იან წლებში გამოცემულ რუსულ ლინგვისტურ ლექსიკონებშიაც არის ენანტიოსემია განმარტებული; მაგალითად, ახმანოვა ამ ტერმინს განმარტავს, როგორც მნიშვნელობის პოლარიზაციას, სიტყვის ან მორფემის უნარს, გამოხატოს ანტონიმური მნიშვნელობები (Ахманова 1966:526).²

როზენტალისა და ტელენკოვას რუსულ ლინგვისტური ტერმინების ლექსიკონში ენანტიოსემიის განმარტებისას (Розенталь/Теленкова 1972:490) მითითებულია ამ სიტყვის ბერძნული წყარო (ენანტიოს – დაპირისპირებული, საპირისპირო და *სემა* – ნიშანი) და მოყვანილია განსაზღვრება: *ენაში ანტონიმური მნიშვნელობების განვითარება*, მაგალითითურთ: *честить*, რომლის მნიშვნელობა იყო *პატივის მიცემა*, *პატივისცემის გამოვლენა*, ხოლო თანამედროვე მნიშვნელობაა *ლანძღვა*, *ვინება*, *აბუჩად ავლება*.

2. განვიხილოთ შეძლებისდაგვარად დაწვრილებით ის შრომები, რომლებიც ენანტიოსემიისადრე მიძღვნილი, რადგან მათი უმრავლესობა ქართველი მკითხველისთვის ადვილად ხელმისაწვდომი არ არის. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ იმ სიტყვების აღსანიშნავად, რომლებიც ურთიერთსაპირისპირო მნიშვნელობების მატარებლები არიან, ვიყენებთ ტერმინს – *ენანტიოსემა* (მდრ. ინგლ. enantioseme (Finkin 2005:369).

2.1. არაბი ლექსიკოლოგებისთვის ენაში ენანტიოსემების ანუ ურთიერთსაპირისპირო მნიშვნელობათა მქონე სიტყვების არსებობა ჯერ კიდევ საშუა-

¹ “A case of polysemy in which one sense is in some respect the opposite of another, e.g. that of dust, in: I dusted the mantelpiece, meaning that something is removed vs. I dusted the cake with sugar, meaning that something is added. From Greek enantio “opposite”, modelled by G. C. Lepschy on German “Gegensinn” (Matthews 1997).

² “Энантисемия, англ. enantiosemy: 1. (поляризация значений). Способность слова (морфемы и т.п.), выражать антонимические значения. 2. То же, что антифразис (во 2 знач.)”. **ანტიფრაზისი** ამავე ლექსიკონში განისაზღვრება, როგორც ევფემიზმი და როგორც ენანტიოსემია ანუ როგორც: “троп, состоящий в употреблении слов в противоположном смысле (в сочетании с особым интонационным контуром), русск: Хорошенькая история! Какая прелесть! Обмануть человека, а потом притворяться ангелом” (Ахманова 1966:49).

ლო საუკუნეებში (IX საუკუნიდან) იყო ცნობილი. არაბი მეცნიერები ადგენდნენ ყურანში ხმარებული ე.წ. უცნაური სიტყვების სიას. ურთიერთსაპირისპირო მნიშვნელობების მქონე სიტყვების აღსანიშნავად ისინი იყენებდნენ ტერმინს *addad* (მრავლობითი რიცხვის ფორმა სიტყვისა *didd* „მოწინააღმდეგე, საპირისპირო“) (Versteegh 1997: 21-22).

ცნობილია აბუ ბაქრ იბნ ალ-ანბარის ენანტიოსემათა წიგნი – *Kitāb al addad*, რომელშიაც თავმოყრილია მრავალი მაგალითი როგორც სალიტერატურო არაბული ენიდან, ისე მისი დიალექტებიდანაც. აი ზოგიერთი მათგანი: *sarim* – აღნიშნავს როგორც *ღამის*, ისე *ღლის დროს*, *aba'a* – აღნიშნავს *ყიდვასაც* და *გაყიდვასაც* (Finkin 2005:371-372).

2.2. ევროპაში ერთ სიტყვაში ურთიერთსაპირისპირო მნიშვნელობების შეთავსებით დაინტერესება ჯერ კიდევ ალორძინების ხანაში იწყება. მაგრამ ძირითადად ყურადღება ამ მოვლენას მას შემდეგ მიაქცევენ, რაც გამოქვეყნდა კარლ აბელის შრომა „უძველესი (წინაპარი) სიტყვების ურთიერთსაპირისპირო მნიშვნელობების შესახებ“ (Abel 1984, Abel 1885:311-368).

ძველი ეგვიპტური ენის კვლევის დროს აბელი წააწყდა ერთ საინტერესო, მისი თქმით, ექსცენტრიკულ ფენომენს: ორი მნიშვნელობა, რომლებიდანაც ერთი ზუსტად მეორის საპირისპიროა, დაკავშირებულია ერთნაირ ან თითქმის ერთნაირ ბგერათმომდევრობასთან და აღინიშნება იდენტური იეროგლიფებით. „დაუჯერებელი ჩანს, რომ ოდესღაც იყო დრო, როცა ადამიანი მახინჯს ეძახდა იმას, რაც ლამაზი იყო და სუსტს, რაც ძლიერი იყო“, – წერს აბელი და განაგრძობს: „მე ვლავარაკობ იმ დროის შესახებ, როცა ადამიანი ცნებების შექმნას იწყებდა, იმ დიდი ხნის წინათ გარდასულ დროზე, როცა ჩვენი მოდგმა ერკინებოდა ფიქრების მოხელთებისა და გამოთქმის სიძნელეებს. მე ვლავარაკობ ადამიანის არსებობისა და ენის თანდათანობითი ქმნალობის წინარე ხანაზე“ (Abel 1885:314).

აბელი თავის ნაშრომში ეხება კიდევ ერთ, მის მიერ აღმოჩენილ ძველევგვიპტურ ფენომენს – კომპოზიტებს, რომელთა შემადგენლებიც ურთიერთსაპირისპირო მნიშვნელობათა მატარებლები არიან, მაგალითად, *შორსახლო*, *ბებერიახალვაზრდა*. ამ შედგენილ სიტყვებში საგანგებოდაა გაერთიანებული ერთმანეთის საპირისპირო ცნებები არა იმისთვის, რომ ახალი ცნება შექმნან, როგორც ეს, მაგალითად, ჩინურისათვისაა დამახასიათებელი {ჩინურში სიტყვათწარმოების შემდეგი ტიპი გვაქვს: ორი ურთიერთსაპირისპირო მნიშვნელობის ზედსართავი სახელის გაერთიანება გვაძლევს ახალ სიტყვას, რომელიც ამ ზედსართავების საფუძველში არსებულ განზომილებას აღნიშნავს, მაგ., *yuan შორს* და *jin ახლოს* გვაძლევს კომპოზიტს *yuan-jin*, რომელიც ნიშნავს *მანძილს* [შდრ. იაპონურში: *ძალა* = *ძლიერი* + *სუსტი* (Voss 2006:379)]}, არამედ ორი ურთიერთსაპირისპირო მნიშვნელობის სიტყვა ერთიანდება მხო-

ლოდ ერთი მათგანის მნიშვნელობის გამოსახატავად. ეს კი, აბელის აზრით, იმიტომ არის საჭირო, რომ საპირისპირო იდეების ერთად წარმოდგენის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა თითოეული მათგანის წვდომა.¹ ადამიანი ვერ სწვდებოდა *ძლიერის* ცნებას *სუსტთან* მისი შეპირისპირების გარეშე, ამიტომ სიტყვა, რომელიც *ძლიერს* აღნიშნავდა, ერთდროულად გვახსენებდა *სუსტსაც*, რომლის მეშვეობითაც *ძლიერის* ცნება ჩვენთვის უფრო მისაწვდომი ხდებოდა: „სიტყვა, რომელიც თავდაპირველად ორ ცნებას *ძლიერსა* და *სუსტს* აერთიანებდა, სინამდვილეში არც ერთს აღნიშნავდა და არც მეორეს, არამედ აღნიშნავდა მათ ურთიერთმიმართებას. მას შემდეგ, რაც *ძლიერის* ცნება მისი *სუსტთან* დაპირისპირების შედეგად აღმოჩენილ იქნა, და ორივე ცნების წარმოდგენა საერთო გამოსახულებაში *ძლიერისუსტი* ჩვეულებრივ ხმარებად იქცა, შესაძლებელი გახდა *ძლიერისა* და *სუსტის* – თითოეულის ცალ-ცალკე მოაზრება. ასე წარმოიქმნა ენა თანამედროვე გაგებით, რომელშიაც თითქმის ყოველი სიტყვა, თუმცა კი სხვადასხვა მნიშვნელობის მქონეა, მაგრამ აბსოლუტურად საპირისპირო მნიშვნელობებს მაინც არ შეიცავს“ (Abel 1885:371-372). აბელის აზრით, უძველეს ენაში ენანტიოსემათა სიმრავლემ საჭირო გახდა ამ სიტყვათა ურთიერთსაპირისპირო მნიშვნელობების გააზრება და ამისათვის მათი ერთად წარმოდგენა.

ამრიგად, აბელი ფიქრობს, რომ ენანტიოსემების არსებობა ენაში შესაძლებლობას გვაძლევს ავხსნათ ცნებებისა და მათი ენობრივი გამოსახულებების (სიტყვების) წარმოშობა წინარეისტორიულ ხანაში. აბელი განაზავდა, რომ ცნება შეიძლება წარმოშობილიყო მხოლოდ შედარების, დაპირისპირების გზით. მაგ., *სიბნელის* გარეშე არ გვექნებოდა *სინათლის* ცნებაც, რადგან მუდმივად სინათლე იქნებოდა და მისი საპირისპირო მოვლენის არარსებობის გამო არ გვექნებოდა არც სათანადო ცნება და არც მისი გამოსახულება – სიტყვა.

პრინციპში, დაახლოებით ამავე აზრს გამოთქვამს იაკობსონიც ჩვენ მიერ სქოლიოში (4) მოყვანილ შენიშვნაში, როცა *დიდისა* და *პატარის* ან *ძვირისა* და *იაფის* იდეებზე ანუ ცნებებზე ლაპარაკობს.

¹ „რადგან თავდაპირველად ორი ურთიერთსაპირისპირო იდეის მოცემულობა გონებაში აუცილებელი იყო, რომ ერთის წვდომა შეგვეძლებოდა, ამიტომ ისინი თანაბრად შეერწყნენ ერთმანეთს ძველი შემორჩენილი ენების გარკვეულ სიტყვებში. რადგან ყველა ცნება თავისი საპირისპიროს ტყუპის ცალია, როგორ უნდა ყოფილიყო გააზრებული ცნება თავდაპირველად, როგორ უნდა ყოფილიყო შესაძლებელი მისი გაზიარება სხვებისთვის, რომლებიც მის გააზრებას ცდილობდნენ, სხვაგვარად, თუ არა საპირისპიროსგან მისი გამოყოფით?“ – “Da die Gegenwart zweier entgegen gesetzter Ideen im Geiste ursprünglich notwendig war, um die eine fassen zu lernen, so kamen beide gleichmäßig zur Geltung in gewissen Worten des ältesten erhaltenen Idioms. Da jeder Begriff der Zwillung seines Gegensatzes ist, wie konnte er zuerst gedacht, wie konnte er anderen, die ihn zu denken versuchten, mitgeteilt werden, wenn nicht durch die Messung an seinem Gegensatz?“ (Abel 1885:325).

აბელის თვალსაზრისთან დაკავშირებით საინტერესოდ გვეჩვენება ციტატის მოყვანა გერმანელი ავტორის, ელმარ ჰოლენშტაინის ერთ-ერთი პუბლიკაციიდან: „ლოგიკური, აბსტრაქტული თვალსაზრისით, – წერს ჰოლენშტაინი, – **ნათელი** და **ბნელი** ერთმანეთს გამოირიცხავენ. ფენომენოლოგიური, კონკრეტული დაკვირვებით, **ნათელი** და **ბნელი** ერთმანეთს მოიცავენ. მე არ ვიცი, რა არის **სინათლე**, თუ არ ვიცი, რა არის **სიბნელე** (Holenstein 1983:210).¹ აქვე შეიძლება გავიხსენოთ გასულ საუკუნეში ქართველი მეცნიერების კამათი რუსთაველის ცნობილი აფორიზმის ირგვლივ: რომელი წაკითხვაა სწორი: *რაღა ივი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია*, თუ *რაღა ივი სინათლე, რასაც არ ახლავს ბნელია*. კამათი, თუ არ ვცდებით, ამ უკანასკნელი წაკითხვის სასარგებლოდ გადაწყდა.

მთავარი ამ მსჯელობათა განხილვისას მაინც ისაა, რომ, როგორც ამას თანამედროვე კოგნიტიური კვლევებიც ადასტურებს, კატეგორიზაციის პროცესში ოპოზიციების – ურთიერთსაპირისპირო მოვლენების – არსებობა და მათი ურთიერთშედარება ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს. აბელის თვალსაზრისმა ე.წ. პირველადი, წინარე სიტყვების ურთიერთსაპირისპირო მნიშვნელობების შესახებ და ურთიერთსაპირისპირო ცნებათა ჩამოყალიბების შესახებ *პირველადი ენანტიოსემიის ჰიპოთეზის* სახელწოდება მიიღო [იხ. “Гипотеза о первоначальной энантиосемии” (Ганеев 2004), “Die Hypothese des ursprünglichen Gegensinns” (Abuladze, Ludden, Weger 2010:20-21)].

სავარაუდოა, რომ აბელის ნაშრომმა გავლენა იქონია სემანტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მკვლევარზე, მიშელ ბრეალზე, რომელიც შენიშნავდა, რომ „ენა დაპირისპირებულობათა იდენტიფიკაციით იწყება“. ბრეალი წერდა: „ენა ავლენს აქ (იგულისხმება ენანტიოსემიის მოვლენა – ავტ.) ფსიქოლოგიურ სინამდვილეს: გონებას, რომელიც იღებებს ბუნებრივად აწყვილებს, მოსწონს ეს – ურთიერთდაპირისპირებულობები გააერთიანოს იმგვარად, რომ მათ ერთნაირი გამოხატულება მისცეს“ (Breal 1964: 68).²

2.3. აბელის შრომით დაინტერესდნენ ფსიქოლოგები, პირველ რიგში კი – ფსიქოანალიზის ფუძემდებელი ზიგმუნდ ფროიდი, რომელმაც საინტერესო პარალელები დაინახა წინარეისტორიულ ხანაში ცნებათა ჩამოყალიბების შესახებ აბელის აზრებსა და სიზმრების ახსნის უძველეს პრაქტიკას შორის. სიზმრების ახსნისას იმ ვარაუდს ეყრდნობოდნენ, რომ სიზმარში ნანახი საგანი ან მოვლენა თავისი საპირისპირო მნიშვნელობის მატარებელი შეიძლება ყოფილიყო და ამ ვარაუდმა აბელის ნაშრომში პოვა მხარდაჭერა (Freud 1969:215).³

¹ “Logisch, abstrakt an sich betrachtet, schließen sich **hell** und **dunkel** aus. Phänomenologisch, konkret betrachtet, schließen sich **hell** und **dunkel** wechselseitig ein. Ich weiß nicht was **Helligkeit** ist, wenn ich nicht weiß, was **Dunkelheit** ist.”

² მოგვეყვას ფინკინის მიხედვით (Finkin 2005:381).

³ ფროიდის წერილი, რომელიც პირველად 1910 წელს გამოქვეყნდა (Über den Gegensinn der Urworte – Referat über die gleichnamige Broschüre von Karl Abel, 1884), შემდგომ მისი ნაშრომების კრებულის ბევრ გამოცემაში შევიდა.

ფროიდის აზრი და ამასთანავე აბელის შრომაც შემდგომში მკაცრად გააკრიტიკა ბენვენისტმა (Benvenist 1956), რომელიც იწუნებს აბელის მაგალითებს, მის ეტიმოლოგიებს, და წერს, რომ არცერთი კვალიფიცირებული ლინგვისტი არც აბელის დროს და არც შემდგომ, არ აღიარებს, არ იღებს და არ განიხილავს აბელის იდეას არც მსჯელობის პროცესში და არც დასკვნების გამოტანის დროს. ფროიდი ცდება, როცა თავისი ვარაუდების დასასაბუთებლად აბელს მიმართავსო.

საინტერესოა, რომ მცირე ხნის წინ ინტერნეტში გაიჟღერა აზრმა, რომ აბელის ნაშრომი კი არ ადასტურებს ფროიდის თეორიას, არამედ, პირიქით, ფროიდის თეორია უჭერს მხარს აბელის ფილოსოფიურ სპეკულაციებს.

ყოველ შემთხვევაში, უნდა გაიხაზოს, რომ აბელის შრომა შეუმჩნეველი არ დარჩენილა და მან აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია ენათმეცნიერთა, ფსიქოლოგთა და ფილოსოფოსთა წრეებში.

2.4. აბელის კრიტიკოსთაგან, პირველ რიგში, შეიძლება დავასახელოთ შვეიცარიელი ენათმეცნიერი, ფსიქოლოგი და ფილოსოფოსი ლუდვიგ **ტობლერი**.¹ ტობლერი ეხება კომპოზიტებს, რომლებიც ორ ურთიერთსაპირისპირო ცნებას შეიცავენ, და ემხრობა იმ აზრს, რომ ერთი ცნების გამოკვეთილად გასააზრებლად საჭიროა მისივე საპირისპირო ცნების თანაგააზრება, მაგ., იმისათვის, რომ *ძლიერის* ცნება ჩამოყალიბებულიყო, საჭირო იყო მისი საპირისპირო ცნების ანუ *სუსტის* მოხმობაო. თუმცა ტობლერს მიაჩნია, რომ აბელი საპირისპიროს ანუ ოპოზიციის ცნებას ძალიან ფართო მნიშვნელობით ხმარობს. განსხვავება ყოველთვის დაპირისპირებულობას არ ნიშნავსო.²

ტობლერი შენიშნავს აგრეთვე (და ეს შენიშვნა ძალზე საგულისხმოა), რომ ურთიერთსაპირისპირო მნიშვნელობების წარმოდგენა ერთ სიტყვაში შეიძლება სიტყვის მნიშვნელობათა ცვლილებების შედეგი იყოს და არა ამ სიტყვის თავდაპირველი მახასიათებელი.

ტობლერის აზრით, უნდა განვასხვაოთ წმინდა სივრცული ცნებებისა (რომელთა ძირითადი მახასიათებელია ფარდობითობა და პოლარული დაპირისპირებულობის არსებობა) და წმინდა კვალიტატიური ცნებების სფეროები. პირველ ჯგუფს მიაკუთვნებს ის, მაგალითად, ძვ. გერმანულ *risen*-ს, რომელიც ნიშნავს *ასვლას* და *დაცემას* (ვერტიკალური მოძრაობა ურთიერთსაპი-

¹ 1885 წელს ლაიპციგის ფილოსოფიურ ჟურნალში Vierteljahrsschrift für wissenschaftliche Philosophie (unter Mitwirkung von M. Heinze und W. Wundt herausgegeben von R. Avenarius) დაიბეჭდა ლ. ტობლერის რეცენზია (გვ. 116-123) აბელის შრომაზე “Der Gegensinn der Urworte” (Leipzig 1884).

² ეს ბრალდება ენანტიოსემიისადმი მიძღვნილი სხვა შრომების მიმართაც იჩენს თავს. განსაკუთრებით სამართლიანი გვეჩვენება ის ლუტცაიერის ახლადგამოსული ლექსიკონის მიმართ. ამაზე ცოტა ქვემოთ იქნება საუბარი.

რისპირო მიმართულებით: ზევით ან ქვევით), ლათინურ altus-ს (მაღალი და ღრმა). ტობლერის მიერ მოყვანილი სხვა საინტერესო მაგალითებია: ლათინური *caput medianaes წყარო, სათავე და შესართავი* (ანუ მდინარის უკიდურესი ზედა და ქვედა პუნქტები), ძვ. გერმანული Ort *დასაწყისი და ბოლო*.

ფარდობითობა და პოლარული დაპირისპირებები მართლაც ძირითადად სივრცული ცნებებისთვის არის დამახასიათებელი და ამიტომ არც არის გასაკვირი, რომ ენანტიოსემათა რაოდენობა სივრცისა და მისგან მეტაფორულად გაფართოებულ დროის სფეროში თითქმის ყველა ენაში შეიმჩნევა [მაგ., წინ/უკან, ზევით/ქვევით, დასაწყისი/დასასრული, პირველი/უკანასკნელი ფარდობითი ცნებების ურთიერთჩანაცვლება ქართულში (აბულაძე 1989:7-8), ინგლისურსა (Traugott 1975) და სხვა ენებში (Radden 2011)].

ტობლერს მოჰყავს აგრეთვე მეორე (კვალიტატიური) ჯგუფისკენ გარდამავალი, როგორც თვითონ უწოდებს, შემთხვევები, მაგ., ძვ. ინგლისურის take, რომელიც ხან *აღება-ს* შეიძლება ნიშნავდეს და ხან *მიცემა-ს*.

ტობლერის აზრით, Gegensatz-ის (ანუ ენანტიოსემიის, რომელ ტერმინსაც ის არ ხმარობს) წარმოშობა, უმეტესწილად შეიძლება აიხსნას:

(1) ე.წ. ინდიფერენტულ (ნეიტრალურ) საფუძველზე ანუ საშუალო მნიშვნელობის (ცნების) (= vox mediae) საფუძველზე, რომელიც შეიძლება ორ საპირისპირო მნიშვნელობად განვითარდეს, ანუ ორ ნაწილად გაიყოს. მაგ., ლათინური vacare *უსაქმურად vs. დაკავებული* (ძირითადი ან საშუალო ცნებაა თავისუფლად ყოფნა რაიმე ქმედებისათვის), ან

(2) დიალექტების სალიტერატურო ენასთან შერევის საფუძველზე, როცა ერთ დიალექტში ერთი სიტყვა ერთ მნიშვნელობას განვითარებს და მეორე დიალექტში კი – მის საპირისპიროს, თანდათანობით კი ისინი სალიტერატურო ენაში ერთიანდებიან და შედეგად ვიღებთ Gegensatz-ს.

ტობლერის ერთი საინტერესო შენიშვნის მოყვანაც ღირს: იგი ამბობს, რომ მეტყველებისას შედარებით ხარისხში ზედსართავის ხმარება შეიძლება ზოგჯერ იმის საწინააღმდეგო მნიშვნელობას იღებდეს, რაც ზედსართავს ზოგადად აქვს, მაგ., *უფრო ღარიბი* შეიძლება სულაც არ ნიშნავდეს *ღარიბს*, არამედ ნიშნავდეს *მდიდარს* (გააჩნია ვისთან შედარებით არის *ღარიბი*, რომელიმე მილიარდერთან თუ უბრალო მუშასთან). ასეთ შემთხვევებში, რა თქმა უნდა, ვერ ვილაპარაკებთ ენანტიოსემიაზე.

ქვემოთ ვნახავთ, რომ ტობლერის მიერ მოყვანილი მაგალითების მსგავსი მაგალითები სხვა ავტორებთანაც გვხვდება.

2.5. ენათმეცნიერთა წრეებში, განსაკუთრებით XX საუკუნის დასაწყისში, იგრძნობა ენანტიოსემიისადმი ინტერესის გაღვივება. აქ, პირველ რიგში, უნდა ვახსენოთ ცნობილი დანიელი რომანისტი კრისტოფერ ნიროპის წიგნი

„სიტყვების ცხოვრება“, რომელიც დანიაში პირველად 1901 წელს დაიბეჭდა, 20 წლის შემდეგ კი გერმანულად ითარგმნა.¹

ნიროპის წიგნი სამეცნიერო-პოპულარულ ჟანრს უფრო განეკუთვნება, ვიდრე მკაცრ სამეცნიეროს. ის საინტერესოდ და ადვილად იკითხება. ნიროპი არ ხმარობს ტერმინს *ენანტიოსემია*, უბრალოდ აღნიშნავს, რომ ერთმა სიტყვამ ზოგჯერ შეიძლება საპირისპირო მნიშვნელობაც კი მიიღოს. ამგვარი მოვლენის წყაროდ მას, ტობლერის მსგავსად (თუმცა ტობლერის წერილს არ იცნობს), მიაჩნია ის, რომ სიტყვას ამოსავალში შეიძლება ჰქონდეს ნეიტრალური მნიშვნელობა, რომელიც თანდათან შეიძლება განვითარდეს ორი ურთიერთსაპირისპირო მიმართულებით. ამ მოვლენას რომ ჩავწვდეთ, – ამბობს ნიროპი, – უნდა გავიხსენოთ, რომ სიტყვის მნიშვნელობა არ არის სტაბილური, არამედ განპირობებული, სხვა სიტყვებთან მიმართებით, კონტექსტში ადგილით. ყოველ ახალ შესიტყვებაში, ახალ წინადადებაში სიტყვამ შეიძლება მნიშვნელობის ახალი ნიუანსი შეიძინოს. ნეიტრალური მნიშვნელობის მქონე სიტყვებს ის *voces mediae*-ს (= *vox mediae*-ს ტობლერთან) უწოდებს.

ნიროპი მაგალითებად ასახელებს:

მანერებს, რომელიც დანიურში (*manerer*) ნიშნავს *ცუდ* მანერებს, მაგრამ როცა ვახსენებთ მანერების არქონას, მაშინ *კარგ* მანერებს ვგულისხმობთ;

კრიტიკას, რომელიც შეიძლება ნიშნავდეს როგორც *ქებას*, ასევე *გმობასაც*, სიტუაციის მიხედვით, მაგრამ უმეტეს შემთხვევებში ამ უკანასკნელსო (ნიროპის ამ მაგალითს ამ სიტყვის ქართულში ხმარებაც უჭერს მხარს: შდრ. *მწერლის ახალ წიგნს კრიტიკა აღფრთოვანებით შეხვდა* (ამ შემთხვევაში სახეზეა ამ სიტყვის დადებითი მნიშვნელობა) vs. *მწერლის ახალი წიგნი კრიტიკას საჭიროებს* (უარყოფითი ანუ პეიორატიული მნიშვნელობა).

ნიროპი აღნიშნავს, რომ პეიორატიული მნიშვნელობით სიტყვის ხმარება უფრო ხშირია, ვიდრე პირუკუ და მაგალითად მოჰყავს *stinken* (*ყარს*), რომლის მნიშვნელობა ადრე ნეიტრალური იყო, ამჟამად კი როგორც დანიურ, ისე ნორვეგიულ დიალექტებში უფრო ცუდი სუნისათვის იხმარება (Nyrop 1923:64). აქაც შეიძლება გავიხსენოთ ქართული *სუნი*, რომელიც ნეიტრალური მნიშვნელობისაა (სუნი შეიძლება იყოს კარგიც და ცუდიც), მაგრამ გამოთქმაში *აქ რაღაც სუნია*, უფრო ცუდი სუნი იგულისხმება. ამის საპირისპიროდ, როცა სამზარეულოში მშვიერი კაცი შედის და ამბობს *ოჰ, რა სუნია*, ის, რა თქმა უნდა, *კარგ სუნს* გულისხმობს.

ნიროპს უნდა ახსნას ის ფაქტი, რომ სიტყვის პეიორატიული მნიშვნელობით ხმარება ხშირი მოვლენაა და ამბობს, რომ ზოგი ამას პესიმიზმის გა-

¹ ეს წიგნი გერმანულად 20 წლის დაგვიანებით ითარგმნა: Kristoffer Nyrop, Das Leben der Wörter (Ordnes liv), Autorisierte Übersetzung aus dem Dänischen von Robert Vogt, Leipzig: Haessel, 1923.

მოვლინებად თვლის. თვითონ კი უფრო სავარაუდოდ მიაჩნია შემდეგი ახსნა: პეიორატიული განვითარება სიტყვის მნიშვნელობისა გარკვეულწილად დახვეწილი ენობრივი გრძნობით შეიძლება აიხსნას; თუ რაიმე კარგია, ჩვენ ამას პირდაპირ ვამბობთ, მაგრამ თუ ცუდია, ვცდილობთ ეს მიკიბულ-მოკიბულად გამოვხატოთ, თუმცა მესმის, რომ ასეთი ახსნა მეტისმეტად ოპტიმისტური ჩანსო, – ამბობს ავტორი (Nyrop 1923:67).

ნიროპი იხილავს დანიურ სიტყვას *lykke*, რომელიც *ბედს* ნიშნავს და რომელიც ადრე *უბედობასაც* ნიშნავდა. ისევე როგორც ფრანგული *fortune*, რომელიც შუა საუკუნეებში ხან *ბედს* ნიშნავდა, ხან *უბედობას*, ახლა კი პირველმა მნიშვნელობამ გაიმარჯვაო. აქაც შეგვიძლია ქართულთან გავაგლოთ პარალელი: *ბედი* ქართულშიაც ნეიტრალური მნიშვნელობის ჩანს, ბედი შეიძლება *ცუდიც* იყოს და *კარგიც*: („ნეტავი, როგორი ბედი ექნება!“ – ორივე შესაძლებლობაა დასაშვები), მაგრამ გამოთქმაში „ბედი *გქონია, ძმაო*“ – მხოლოდ დადებითი მნიშვნელობა იგულისხმება. აქ დადებითი, სასიკეთო მნიშვნელობის გამარჯვებასთან გვაქვს საქმე.

ნიროპს მოჰყავს იმის მაგალითიც, როცა ნეიტრალური მნიშვნელობიდან უფრო ცუდი, არასასიკეთო მნიშვნელობა ვითარდება, ეს არის *fatal*-ის შემთხვევა ფრანგულში: ჰენრიხ IV-ისადმი მიძღვნილ ფრანგულ ოდაში *ფატალური* ანუ *გამარჯვებული* ბრძოლაა ნახსენები, მაშინ როცა ამჟამად ამ სიტყვით შეიძლება მხოლოდ *დამარცხებული* ბრძოლის აღნიშვნაო, – შენიშნავს ნიროპი.

საინტერესოა ნიროპის მსჯელობა *სიხარულისა* და *მწუხარების* განცდისა და მათი გამომხატველი სიტყვების შესახებ (Nyrop 1923:73): ძლიერი გრძნობის, აფექტური მდგომარეობის გამოხატვა შეიძლება ნეიტრალური სიტყვით, რომელიც შემდეგ საპირისპირო მნიშვნელობებს მიიღებს, მაგ., ფრანგული *ressentiment*, რომელიც მე-17 საუკუნეში სიტუაციის მიხედვით *სიხარულსაც* და *სინანულსაც*, *წუხილსაც* ნიშნავდა, თანამედროვე ენაში მხოლოდ *მწუხარებას* ნიშნავს, ისევე როგორც ესპანური *sentimiento*.

სიხარულისა და მწუხარების გარეგანი გამომხატულება, *სიცილი* ან *ტირილი*, შეიძლება ერთი და იმავე სიტყვით აღინიშნოს, მაგ. დანიურში ზმნა *grine* ადრე აღნიშნავდა სახის, პირის დამანჯვას. თანამედროვე სამწერლობო ენაში ეს სიტყვა ნიშნავს მხოლოდ *სიცილს*, დაცინვით ან ზმამაღლა სიცილს. დანიურ დიალექტებში, მაგ., იუტლანდიურში, ამ სიტყვის მნიშვნელობა საპირისპირო მიმართულებით განვითარდა და ახლა ნიშნავს: ტირილის დროს სახის დამანჯვას. ნორვეგიულში გამოთქმა *grina og grata* არის გაძლიერებული გამოთქმა *grata*-ს „ტირილის“ აღსანიშნავად.

ერთი რამ, ჩვენ ვფიქრობთ, ყველასათვის არის საკუთარი გამოცდილებიდან ცნობილი: დიდი სიხარულის დროს ადამიანს შეიძლება ცრემლები წამო-

უვიდეს, ან უფრო იშვიათად, მაგრამ ისიც ხდება, რომ მწუხარების გამოხატვისას ადამიანი იღიმება¹ (ხომ არსებობს ქართულში გამოთქმა: სიმწრის ღიმილი ან სიცილიც კი).

ნიროპის *voces mediae*-ს კიდევ ერთი მაგალითია ლათინური *hostis*, რომელიც ნიშნავდა უცხო-ს, მერე ის *ძტერ*-ს აღნიშნავდა. მაგრამ იყო შემთხვევები, როცა უცხო მეგობრად მიიჩნეოდა. ასე განივითარა ამ სიტყვამ *მასპინძლის* მნიშვნელობა. ამჟამად კი ფრანგულში სიტყვა *hote*-ს ორი მნიშვნელობა აქვს: *სტუმრისა* და *მასპინძლის*.

იგი კიდევ ასახელებს მაგალითებს და ბოლოს შენიშნავს, რომ *voces mediae*-ს შესახებ მთელი წიგნის დაწერა შეიძლება (Nyrop 1923:76), რადგან ის ყველა დროსა და ყველა ენაში დიდი რაოდენობით გვხვდება. ნიროპი აპირებდა კიდევაც ამგვარი წიგნის დაწერას, მაგრამ, სამწუხაროდ, შემდგომში თავისი ჩანაფიქრი არ განუხორციელებია.

2.6. სემიტოლოგთა შორის გერმანელმა ენათმეცნიერმა თეოდორ ნოლდეკემ დაუთმო განსაკუთრებული ყურადღება Gegensinn-ს (Nöldeke 1910).

ნოლდეკეს შრომა მნიშვნელოვანია არა მარტო არაბულიდან მოყვანილი მაგალითების სიმრავლის გამო, არამედ იმ თეორიული მსჯელობისა და დასკვნების გამოც, რომლებიც მის ნაშრომშია წარმოდგენილი. იორდან ფინკინის შეფასებით, ნოლდეკე იძლევა არაბული ენანტიოსემების ბრწყინვალე ანალიზს (Finkin 2005: 373).

ნოლდეკეს მოჰყავს არაბი ლექსიკოგრაფების მაგალითები, ანალიზებს მათ და იძლევა ახსნას, თუ რატომ არ შეიძლება ზოგი მათგანის მიჩნევა Ge-

¹ აქვე გვინდა მაგალითად მოვიყვანოთ ერთი შემთხვევა, რომელსაც მიუნსტერში ჰქონდა ადგილი. ერთ საღამოს დავესწარიტ ჩეჩენ ლტოლვილებთან შეხვედრას, რომელიც გერმანიის მცირერიცხოვანი ხალხების დაცვის საზოგადოებამ მოაწყო ევანგელიური ეკლესიის კუთვნილი საერთო საცხოვრებლის დარბაზში. შეხვედრას ალბათ სულ ოც-ოთხე კაცი თუ ესწრებოდა. ჯერ გვაჩვენეს დოკუმენტური ფილმი, გადაღებული ახალგაზრდა გერმანელი რეჟისორის მიერ პოლონეთის ერთ-ერთ დაბაში, ლტოლვილ ჩეჩენტა თავშეყრის ადგილას. ფილმი ძირითადად ერთი ოჯახის ისტორიას გვიამბობდა, მოხუცი ჩეჩენის, რომელსაც გამოვლილი ჰქონდა ჩეჩენტა დებორტაციის ტრაგიკული წლებიც (1944 წლიდან და მას შემდეგ) და ორი ომიც (XX საუკუნის დასასრულს და XXI საუკუნის დასაწყისში), მისი ქალიშვილის, სიძისა და პატარა შვილიშვილის ამბავს. სურათის დემონსტრაციის შემდეგ რეჟისორმა აუდიტორიას ფილმის გმირები – ახალგაზრდა ქალი და ოთხი-ხუთი წლის ბიჭუნა წარუდგინა და შეკითხვების დასმა შემოგვთავაზა. ქალს ეკითხებოდნენ ომის ამბებს და ის ომის საშინელებებს ღიმილით გვიამბობდა. რას გამოხატავდა ეს ღიმილი? ვფიქრობთ, რომ პირველ რიგში მობოდიშებას იმის გამო, რომ თანამოსაუბრეს ტრაგიკულ ამბავს ატყობინებ, ღიმილით თითქოს ცდილობ, აგრძნობინო მას, რომ ის არ არის ვალდებული მძიმედ განიცადოს შენი ტრაგედია. შეიძლება ამ ღიმილს სხვა ახსნაც ჰქონდეს: იმდენად ტრაგიკულია ის, რაზეც საუბარია და იმდენად ცხადია ეს ტრაგიკულობა და რეაქციაც მასზე, რომ გამოხატვის გარეგანი ფორმა სულერთია როგორი იქნება.

gensinn-ად. შემდეგ კი გადადის ჭეშმარიტი ენანტიოსემების გარჩევაზე. ჭეშმარიტად კი ის მიიჩნევს ისეთ მაგალითებს, რომლებიც ემყარებიან შემდეგ ურთიერთსაპირისპირო მიმართებებს:

1. ურთიერთშექცევადი მიმართება (relation of reciprocity): მაგ., *ba'a* (ყიდა და გაყიდა); *gharim* (კრედიტორი და დებიტორი). მსგავს ქართულ მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს *სესხება*, ხოლო ინგლისურისა *to rent*. ეს ისეთი მაგალითებია, რომლებიც შეიძლება გამოდინარეობდნენ ერთი ზოგადი მნიშვნელობიდან, მაგ. *ერთმანეთში რაღაცის გაცვლა-გამოცვლა*, პრინციპში იგივე *vox mediae*. თანამედროვე სემანტიკის თეორიაში ამგვარი მაგალითები კონვერსივებად მიიჩნევა (Croft and Cruse 2007:166).
2. განსხვავებული ამოსავალი წერტილები (თვალსაზრისები): მაგ., *shimal* (მარცხენა და *ჩრდილოეთი*), ანუ აქ ნოლდეკე სივრცის სფეროს იხილავს, თუმცა სადავოა, გვაქვს თუ არა მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში ენანტიოსემია. ხედვის წერტილების ან სათვალთვალ პუნქტების სხვაობას გულისხმობს და სივრცის სფეროს ეხება აგრეთვე: *khawsa*, რომელიც შეიძლება ნიშნავდეს როგორც *ღრმა ხეობას*, ისე *ამაღლებულ ვორაკს*.
3. ურთიერთსაპირისპირო ქმედებებში შედის, მაგალითად, რაღაცის დაფარვა და გახსნა: *asarra* (საიდუმლოს *შენახვა* vs. *აღიარება*, *კონფიდენციალურად რაღაცის თქმა*).
4. გრძნობები და მათი გამოხატვა: ემოციური ტერმინოლოგია, როგორც ჩანს, ხშირად გრძნობების უკიდურეს მხარეებს (პოზიტიურსა და ნეგატიურს) ერთნაირად გამოხატავს (შდრ. ზემოთ ნიროპთან), მაგ., *tahanafa* (ატირება და *გაცინება*, *გადახარხარება*). (ცრემლები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შეიძლება აღამიანს სიცილისაგანაც მოადგეს და მწუხარებისგანაც. (შდრ. ილიას: *ბაღში ვაზი ობოლი მეტის ღხენითა სტირის*). კიდევ ერთი მაგალითი ებრაულიდან (*beit*) *marzeah* (*ადგილი*, *სადაც სვამენ* და *ერთობიან* vs. *ადგილი*, *სადაც მწუხარებაა*).
5. ძილი და გაღვიძება: არაბული ზმნა *hajada*, რომელიც ორივეს ნიშნავს, *დაძინებასაც* და *გაღვიძებასაც*.
6. ნოლდეკე ევფემიზმებსაც მიიჩნევს ენანტიოსემიის წარმოშობის მიზეზად. მაგალითად, ებრაული: *berekh* *დალოცვა* და *დაწყევლა*, არაბული: *mabruk* *დალოცვილი* და *კიუი*.
7. ასევე ენანტიოსემიის წარმოქმნის მიზეზად მიიჩნევს ის კაკოფემიზმსაც, რომელიც ევფემიზმის ოპოზიტია (ანუ ღიზემფემიზმია) და ცრურწმენის სფეროს განეკუთვნება. კაკოფემიზმთან გვაქვს საქმე, მაგალითად, როცა იმ რწმენის გამო, რომ ქებას უბედურების მოტანა შეუძლია, საქებარის ნაცვლად სალანძღავი სიტყვა იხმარება. ეს ხერხი გამოიყენება, მაგ.,

იდიშში, სადაც *mamzer* (*ნაბიჭვარი*) ბავშვისათვის კომპლიმენტს წარმოადგენს. არაბული *gabiha* (*მახინჯი*) – ქალის სახელია.

8. ირონია. ნოლდეკე სავსებით სამართლიანად შენიშნავს, რომ ირონია უფრო რიტორიკას განეკუთვნება, ვიდრე სემანტიკას. *khokhem* ნიშნავს *ბრძენს* და იხმარება ირონიულად იმის მიმართ, ვინც *სულელურად* იქცევა. ეს ებრაული სიტყვა აითვისა იდიშმა, შემდეგ კი ის კვლავ დაბრუნდა ებრაულში მნიშვნელობით *chuchem* (სულელი), ორიგინალური *chacham*-ის გვერდით, რომლის მნიშვნელობაა *ბრძენი* (Finkin 2005:378).

2.7. ნოლდეკეს შემდეგ ენანტიოსემათა მრავალრიცხოვანი მაგალითებით ყურადღებას იქცევს **სცადროვსკის** შრომა (Szadrowsky 1924:11-86), რომელშიაც გერმანული ენის შვეიცარიული დიალექტია განხილული.

სცადროვსკი თავისი შრომის შესავალშივე ემიჯნება აბელს და აცხადებს, რომ მისთვის გამოთქმაში Gegensinn არ არის ნაგულისხმევი კარლ აბელის ჰიპოთეზა ცნებების ჩამოყალიბების შესახებ ან სიტყვების წარმოქმნის უძველესი ხანა. ეს მოვლენა ანუ სიტყვებში საპირისპირო მნიშვნელობების განვითარება შეიძლება ნებისმიერ დროს და ნებისმიერი გზით განხორციელდეს. ის სავსებით ეთანხმება ტობლერის მიერ აბელის კრიტიკას და აცხადებს, რომ მისი ძირითადი მიზანია შვეიცარიული იდიოტიკონის განხილვა და გაანალიზებული მასალის დაჯგუფება შინაარსის მიხედვით (Szadrowsky 1924:12).

სცადროვსკის მიერ გამოყოფილია შემდეგი შინაარსის ჯგუფები, რომლებშიაც სიტყვები ურთიერთსაპირისპირო მნიშვნელობებს ავლენენ. ესენია:

ლოცვა-კურთხევა და **წყევლა**. მაგალითები ავტორს მოჰყავს სხვა ენებიდანაც, ინდონეზიურში *tabu* ნიშნავს *წმინდანსაც* და *დაწყველილსაც*, ებრაულში *berech* ნიშნავს *კურთხევასაც* და *წყევლასაც* (შდრ. მაგალითი ნოლდეკესთან).

სცადროვსკი აღნიშნავს, რომ ზოგჯერ სიტყვის ხმარების დროს შეიძლება სიტუაციამ განაპირობოს მისი საპირისპირო მნიშვნელობა, მაგალითად, *Gnad dir Gott!* – უფრო გაფრთხილებად იქცა, ვიდრე სიკეთის სურვილად (შდრ. ქართულში – *ღმერთმა დაგიფაროს!* და *Ynacu meňa Boz!* – რუსულში).

gnaden ნიშნავს როგორც *კურთხევის*, *ცხონების* სურვილს, ისე *უკუღმართობის*, *უბედურების* განცხადებასაც (აქ შეიძლება გავიხსენოთ ქართული *ცხონება*. ცნობილია, რომ გარდაცვლილის სულს ცხონებას ანუ ზეცაში საუკუნო მარადიულ ცხოვრებას უსურვებენ: *ცხონდეს მისი სული*, აქედან მიმდობა: *ცხონებული* – იტყვიან გარდაცვლილზე პატივისცემით, მაგრამ გამოთქმები *შე მამაცხონებულო* და *მამა ვიცხონდა* შეურაცხმყოფელია).

შეიძლება ურთიერთსაპირისპირო მნიშვნელობების მატარებლად მივიჩნიოთ აგრეთვე, სცადროვსკის აზრით, ისეთი სიტყვა, როგორცაა *Glück* *ბედი*,

რომელიც კარგ ბედსაც შეიძლება ნიშნავდეს და ცუდსაც. მისი ამოსავალი მნიშვნელობა არ არის არც კარგი და არც ცუდი, ისევე როგორც *Fortune*-სი (შდრ. ნიროპის მაგალითი). ამავე რიგში განიხილავს სცადროვსკი ისეთ შემთხვევებს, როგორცაა, მაგ., *სამკვიროს გადახდა*, რომელიც შეიძლება *კარგის* ან *ცულის* ქმნას გულისხმობდეს ან ისეთ სიტყვებს, რომლებიც ადამიანებს შორის დამოკიდებულებას გამოხატავენ (დამოკიდებულება შეიძლება იყოს პოზიტიური ან ნეგატიური, შდრ. *როგორ მექცევი!* – აქ ცუდად მოქცევა იგულისხმება, მაგრამ შეიძლება *ის მე ძალიან კარგად მექცევა-ც*). პრინციპში, ასეთ შემთხვევებში გადაწყვეტია კონტექსტი. ნამდვილ ენანტიოსემებად ასეთი მაგალითები ვერ ჩაითვლება (შეიძლება შედარებისთვის მოვიყვანოთ ასევე *ფრთხილი: ფრთხილად იყავი ამ კაცთან, არ მოვატყუოს = უფრთხილდი*, ერიდე ამ კაცს vs. *ფრთხილად მოექექცი ამ კაცს, სუსტი გული აქვს = გაუფრთხილდი*, მოუარე ამ კაცს).

ყვირის შეიძლება ნიშნავდეს ტკივილისგან ყვირილსაც, უბრალოდ დაძახებასაც და სიხარულის შეძახილსაც. სცადროვსკის, ისევე როგორც ნიროპს, მოჰყავს სიტყვა *grinen*, რომელიც ნიშნავს პირის დამანჭვას და შეიძლება *ტირილსაც* ნიშნავდეს და *სიცილსაც*. აქ ის პარალელს ავლებს შორისდებულებთან და მოჰყავს შორისდებულების პაულისეული განმარტება: „შორისდებული ჰსაკმაოდ ინდიფერენტულია თავის თავში და შინაარსს იღებს მისი მხლებელი გრძნობის მიხედვით“. ეს ინდიფერენტულობა შესაძლებელს ხდის სწორედ ერთი და იმავე შორისდებულის გამოყენებას ურთიერთსაპირისპირო მნიშვნელობით ანუ სრულიად საპირისპირო გრძნობების გამოსახატავად.

სასიამოვნო თუ *უსიამოვნო*, *მეგობრული* თუ *არამეგობრული*, *მორიდებული* თუ *უხეში*, *მოურიდებელი*, *ჭკვიანური* თუ *სულელური* ქცევა არ არის ისე გამოყოფილი ურთიერთისგან, რომ მათი დაკავშირება ან სინამდვილეში, ან მეტყველებაში არ შეიძლებოდესო, – აღნიშნავს სცადროვსკი.

შემდგომი ჯგუფი სიტყვებისა *დამთავრების*, *დასასრულის* შინაარსს უკავშირდება:

fertig მზად, მზადყოფნა რაღაცისთვის, ნიშნავს მდგომარეობას საქმიანობის დასაწყებად, მაგრამ *fertig machen* – დამთავრებას, მოკვლასაც კი.

სადილი მზად არის – ნიშნავს, რომ რაღაც ქმედება *დასრულებულია*, *მზად არის წასასვლელად* – ქმედება *წინ არის*, *დასაწყისშია*.

სცადროვსკი ახსენებს ე.წ. პარადოქსულ შეგრძნებებს (*paradoxe Empfindungen*)¹ და მოჰყავს მაგალითად სიტყვა *brännen იწვის*, რომელსაც სიცხისა და ზოგჯერ სიცივის დროსაც ხმარობენ.

¹ ეს ისეთი შეგრძნებებია, როცა მოსალოდნელი სიცივის ნაცვლად ადამიანი წვას უფრო გრძნობს ან პირიქით. ასეთივე პარადოქსულ შეგრძნებებად შეიძლება მიჩნეულ იქნეს ტკივილის მიყენებისას სიხარულის განცდა. ჰელგა ტოპელი (Topel 1995) აღნიშნავს,

ქართულისთვის ჩვენ შეიძლება გავიხსენოთ ბიძინა ფოჩხუას მსჯელობა *სუსხვა* და *წვა* სიტყვების შესახებ: „მათ ურთიერთსაპირისპირო მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ საინტერესო სემანტიკურ პარალელიზმს ავლენენ: *წვა* 'მეტისმეტად შეცივებასაც' ნიშნავს, ისევე როგორც *სუსხვა* – 'მეტისმეტად შეხურებას': “მიშველე, მამილო, შეჩვენებულმა ჭინჭარმა დამსუსხა, ხელები ძლიერ მეწვის“ (ი. გოგებაშვილი) (ფოჩხუა 1974:284).

ალბა-მიცემის შინაარსს (ანუ კონვერსიას) უკავშირდება, სცადროვსკის აზრით, ისეთი სიტყვების საპირისპირო მნიშვნელობები, როგორიცაა *reichen*, რომელიც ნიშნავს *ხელით რაღაცის მიწვდომას ასაღებად* ან სხვისთვის *გადასაცემად*. შეიძლება თქვა: *მისწვდა თაროს წიგნის ასაღებად*, ან *მისწვდა თაროს წიგნის დასაღებად*.

კოდნის *მიცემა*ც და *ძილება*ც შეიძლება ერთი სიტყვით გამოიხატოს, მაგ., შვეიცარიულ გერმანულში *lernen* ნიშნავს *სწავლა-ს* და *სწავლება-ს*.

სცადროვსკი კიდევ ასახელებს მაგალითებს, რომლებიც, მისივე სიტყვით, შებრუნებულ, უკუმიმართებებს გამოხატავენ: *ყიდვა-გაყიდვა*, *სესხება*: *kaufen, leihen, borgen*. ნათელია, რომ აქ კონვერსიები იგულისხმება.

ბევრი მისი მაგალითი შინაარსობლივად **სივრცის სფეროს** განეკუთვნება. როგორც უკვე ვიცით, ჯერ კიდევ ტობლერი შენიშნავდა, რომ პოლარული დაპირისპირებები, როგორიცაა *მაღალი-ღრმა*, *დასაწყისი-დასასრული*, *ზევით-ქვევით*, ფარდობითი ცნებებია. მაგ., ლათინური *altus*, რომელიც თავისი მნიშვნელობით მიემართება ვერტიკალურ განფენილობას მიმართულებებით – *ზევით* ან *ქვევით* და ამდენად *მაღალსაც* ნიშნავს და *ღრმასაც*. სცადროვსკის მოჰყავს *Furre*-ს მაგალითი, რომელიც ნიშნავს *ჩაღრმავებას*, მაგრამ ამავე დროს აღნიშნავს *მაღლობსაც*. მსგავს სივრცული ენანტიოსემების მაგალითებს ცინსლისთანაც ვხვდებით (Zinsley 1942:200-204),* რომლებიც მისი აზრით, მეტყველის გარკვეული თვალსაზრისის ან განსაკუთრებული ხედვის წერტი-

რომ ადამიანი ყველაფერს, ყოველ ბერას, ყოველ ფერს, სუნს აღიქვამს, როგორც სასიამოვნოს ან უსიამოვნოს, რაც მასში იწვევს სიმპათიას ან ანტიპათიას. სიმპათია და ანტიპათია არის ურთიერთსაპირისპირო პოლუსები: პოზიტიური და ნეგატიური, მაგრამ ზოგიერთ (უკიდურეს, მაქსიმალურად დაძაბულ) შემთხვევაში ხდება პოლარული განცდების შერწყმა. ტოპელს მაგალითად მოჰყავს დიდი რისკის შემცველი, ხიფათით სავსე ქმედება, როგორიცაა, მაგ., გადახტომა უფსკრულში (როცა სპორტსმენი თოკითაა დაბმული), რომლის დროსაც ადამიანი თავზარდამცემ შიშთან ერთად განსაკუთრებულ სიხარულს და აღტაცებას განიცდის.

ასევე ცნობილია ფსიქოლოგიაში დიდი დატვირთვის დროს ბედნიერების განცდა, რომელსაც ადამიანი მაშინ განიცდის, როცა ბევრს მუშაობს. ეს არის განსაკუთრებული ბედნიერების შეგრძნება, როცა საშუალო ძალიან ადვილად, თითქოს თავისით სრულდება. გავიხსენოთ თუნდაც პოეზიიდან – ედგარ პოს „ტივილით მონიჭებული უდიდესი სიხარული“.

ლის შედეგად მიიღება: "...der sich aus dem besonderen Blickpunkt des namengebenden Menschen ergibt" (Zinsley 1935:202).

შემდეგ სცადროვსკი ეხება **დროის** გამომხატველ გამონათქვამებს და აღნიშნავს, რომ ისინი ყოველთვის არ ასახავენ დროის ლოგიკურ დაყოფას წარსულად, აწმყოდ და მოფუდად. მაგ., შვეიცარიულ გერმანულში *nu* (დროის ზმნისართი, რომლის ძირითადი მნიშვნელობაა *ახლა*) მხოლოდ მცირე რაოდენობის შესიტყვებებში შეიძლება ნიშნავდეს *ახლა-ს*. უფრო ხშირად ის ნიშნავს *ხანმოკლე დროის წინ*, *ახლახან* ან *მოკლე დროის შემდეგ*, *მალე*.

Hinacht ნიშნავს *ამ ღამეს*, *მომავალ ღამეს*, მაგრამ აგრეთვე *გასულ ღამეს*, *წუხელ-ს*. ძველ გერმანულში ერთი და იგივე სიტყვა *egestern* ნიშნავს *ზეგ* და *გუშინწინ*. ძველი ინდოგერმანული *გუშინ* / *ხვალ* მნიშვნელობების გაერთიანება ერთ სიტყვაში ეფუძნება, სცადროვსკის აზრით, ამ სიტყვის ძირითად მნიშვნელობას *მეორე დღე* (დღევანდელი დღიდან (*წინ* ან *უკან*) ათვლილი).

მომდევნო საკითხი, რომელსაც ავტორი ეხება, არის მიზეზშედეგობრივი მიმართებების უკუქცევა ანუ შებრუნება. *darum* ან *drum* შეიძლება აღნიშნავდეს როგორც რაიმეს საფუძველს, ისე შედეგსაც. *Es ist heiß, drum het man Durst* (*კაცს სწყურია, იმიტომ რომ ცხელია*), მაგრამ შეიძლება ითქვას *Man het Durst, es ist drum heiß* (*ცხელია იმიტომ, რომ კაცს სწყურია*). პაულის მიხედვით ეს კავშირი *darum* გამოხატავს არა მხოლოდ საფუძველს, არამედ ის შეიძლება აგრეთვე (*doch*-თან ერთად) იხმარებოდეს იმის აღსანიშნავად, რომ რაღაცის შეჩერების საფუძველი არ არსებობს: *darum gehe ich doch hin* – *სწორედ ამიტომაც მივდივარ იქ*.

მსგავს ცვლილებას ხედავს ავტორი *warum*-ის (*რატომ*) ხმარებისას და მოჰყავს დებრუნერის აზრი ბავშვების მეტყველებაში ამ სიტყვის ხშირად ხმარების შესახებ (Debrunner 1919:5). მიზეზად დებრუნერი მიიჩნევს იმას, რომ უფროსები ხშირად აძლევენ ბავშვებს, მაგ., ამგვარ შეკითხვას: „რატომ დავლაბნე წიგნზე?“ შეიძლება ამ კითხვაში ბავშვს, პირველ ყოვლისა, უკმაყოფილების გამოხატვა ესმის. კითხვა „რატომ“ მიზეზობრივ მიმართებას გამოხატავს. ამ კითხვის პასუხად უნდა დასახელდეს საფუძველი, რაც დამოკიდებული წინადადებით გადმოიცემა. დამოკიდებული წინადადება მთავარს უკავშირდება *weil* ან *denn* კონიუნქციებით. ეს *denn*, პაულის აზრით, ტემპორალური *dann*-იდან განვითარდა და ამგვარად აირია მომდევნო (ანუ *შედეგი*) და *საფუძველი*.

ასევე ახლოს არიან ერთმანეთთან *საფუძველისა* და *მიზნის* მნიშვნელობები. მიზანი შეიძლება იყოს რაიმე ქმედების *საფუძველიცა* და *მიზეზიც*.

სცადროვსკი ლაპარაკობს „*კორელაციურ*“ მნიშვნელობაზე, რომელსაც ის *reziproker*-საც (შებრუნებულს) უწოდებს. მაგალითებია: Äni მნიშვნელობებით

ბაბუა, პაპა ან დიდი ბაბუა/დიდი პაპა, ერთი მხრივ, და შვილიშვილი – მეორე მხრივ. საშუალო გერმანული *enenkel* არის დომინუტივი *ano, ane, ene*-სი, ანუ ბაბუიკო, პაპიკო. სცადროვსკის მოჰყავს ძალიან საინტერესო მაგალითები ნათესაობის აღმნიშვნელი სიტყვების მრავალმნიშვნელობის შესახებ, რომელთა შორის ენანტიოსემებიც გვხვდება. ამ პოლისემიას ის ხსნის იმით, რომ ერთ ოჯახში ნათესაობრივი კავშირები ამ ოჯახის წევრებისთვის, მაგალითად, მშობლებისთვის და შვილებისთვის განსხვავებულია. *Nepot* ნიშნავს *ძმისშვილს* და *შვილიშვილს*. ე.ი. ის, ვინც ერთი ოჯახის ფარგლებში უფროსი თაობის ერთი წევრისთვის ძმისშვილია, მეორე წევრისთვის შეიძლება შვილიშვილი იყოს. ამიტომ ჩნდება, მისი აზრით, სიტყვათა ამ ველში ენანტიოსემია თუ არა, პოლისემია მაინც.

აქ შეიძლება გავიხსენოთ ქართულ ნათესაობის აღმნიშვნელ სიტყვათველში მიმართულების მრავალფეროვნება, როცა უფროსი თაობის წარმომადგენელი ბავშვს საკუთარი თავის აღმნიშვნელი სახელით მიმართავს (Boeder 1989, Apridonidze 1991). საინტერესოა აგრეთვე ქართულში სიტყვა *შთამომავლობა*, რომელიც, ერთი მხრივ, *წინაპრებსაც* ნიშნავს (*მისი შთამომავლობა უცნობია*) და *მომღევნო თაობასაც* („რას იტყვის ჩვენზე შთამომავლობა“).

სცადროვსკი შენიშნავს, რომ კორელაციური მიმართებები ცხოველების აღმნიშვნელ სიტყვებშიაც გვაქვს, მაგ., *Lamb* (ბატკანი) იხმარება აგრეთვე *Mutterschaf*-ის (დედაცხვარი) აღსანიშნავად.

საინტერესო ჩანს ისეთი შემთხვევებიც, როცა ერთი და იგივე მნიშვნელობა ურთიერთსაპირისპირო ცნებებით გამოიხატება და სწორედ ასეთი მაგალითით ასრულებს სცადროვსკი თავის წერილს: *geben:nehmen* (მიცემა-აღება): *Man gibt oder nimmt sich Mühe zu etwas*, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს: „აძლევენ ან იღებენ ძალისხმევას, ანუ: ცდილობენ რაღაცის გაკეთებას“. ამ წინადადებების აზრი ერთნაირია, მათი პრედიკატების მნიშვნელობები კი ურთიერთწინააღმდეგობრივი.

ბოლოს, ავტორი ცდილობს ძალიან ზოგადად მოხაზოს ის მიზეზები, რომლებიც ენანტიოსემათა წარმოქმნას უწყობენ ხელს და ასახელებს შემდეგს: ძირითადი მნიშვნელობიდან ორი ურთიერთსაპირისპირო მნიშვნელობის განვითარება, ანუ იგივე *vox mediae*, სიტყვის ირონიული ხმარება, გაუგებრობების მიზეზით წარმოქმნილი ენანტიოსემია, წინადადებათა წევრების ურთიერთგავლენა და სივრცული, დროითი და სხვა განსაკუთრებული (ძირითადად დაიქტური) თვისებების გავლენა.

ერთ სიტყვაში საპირისპირო მნიშვნელობების გაჩენაში ჩვენ არ უნდა დავინახოთ რაღაც იდუმალი და მისტიკურიო, – ამბობს ავტორი. სინამდვილეში ეს არის ყოველდღიური და ბუნებრივი მოვლენა და საოცარი იქნებოდა ამგვარი მრავალფეროვნება რომ არ გვქონოდა ენაში: „საკვირველია არა საპირის-

პირო აზრის მქონე სიტყვების არსებობა, არამედ, პირიქით, ის იქნებოდა სა-
ოცარი, რომ ენობრივი სტრუქტურა მრავალმნიშვნელიანი, მაგრამ არა ურთი-
ერთსაპირისპირო აზრების მატარებელი ყოფილიყო. ეს იქნებოდა სრულიად
გამოუცნობი პატივისცემა ცხოვრებისა ლოგიკის მიმართ“ (Szadrowsky
1924:86).¹ ამ სიტყვებით ამთავრებს სცადროვსკი თავის წერილს.

**2.8. სცადროვსკის შემდეგ უნდა ვახსენოთ გერმანელი სემასიოლოგი
კრონასერი.** თავის წიგნში „სემასიოლოგიის ცნობარი“ მან საგანგებო ყურად-
ღება დაუთმო ენანტიოსემიას, რომელსაც მიიჩნევს სიტყვის მნიშვნელობათა
ცვლილებების განსაკუთრებულ სახედ, როცა სემანტიკური განვითარების შე-
დეგად ერთ სიტყვაში ურთიერთდაპირისპირებულ მნიშვნელობებს ვიღებთ.
სხვათა შორის, კრონასერი პირველი გერმანელი ავტორია, რომელიც ახსე-
ნებს ტერმინს ენანტიოსემია, თუმცა მხოლოდ გაკვრით და ისიც მხოლოდ
სქოლიოში.

კრონასერი ასახელებს სამ გზას (Kronasser 1952:184-186), რომლებმაც შე-
იძლება სიტყვაში ურთიერთსაპირისპირო მნიშვნელობების განვითარებამდე
მიგვიყვანოს. ესენია: ზემოთ უკვე ნახსენები **voces mediae**, მაგალითად მოჰ-
ყავს ლათინური ზმნა *ferre* (ტარება, *მიტანა*), რომელიც შეიძლება გააზრებულ
იქნეს, როგორც ვილაციისთვის (სხვისთვის) ან *თავისთვის მიტანა*; ასე იქმნება
დაპირისპირება, მაგ., ასეთ გამოთქმებში: *tributum ferre vs. Praemium ferre* ანუ
ღალის გადახდა და პრემიის მიღება ან შენარჩუნება (Kronasser 1952:185).

კრონასერის მეორე მაგალითია *valetudo*, რომლის ამოსავალი მნიშვნელო-
ბა არ იყო ნეიტრალური, არამედ ნიშნავდა *კარგ ჯანმრთელობას*, რომელმაც
შემდეგ განივითარა უფრო ზოგადი მნიშვნელობა *საერთო მდგომარეობა* და
მხოლოდ ამის შემდეგ *ავადმყოფობა* (Kronasser 1952:185-186).

მეორე გზა ენანტიოსემიის განვითარებისა ენაში, რომელსაც კრონასერი
ასახელებს, არის ე.წ. *reciproke*, რომელიც ჩვენ ნოლდეკესთან და სცადროვ-
სკისთან უკვე შეგვხვდა და რომლის მაგალითადაც კრონასერი ასახელებს
ლათინურ *hospes*-ს. კრონასერის აზრით, ასეთ შემთხვევაში სიტყვის მოცუ-
ლობა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ მასში ურთიერთსაპირისპირო ცნე-
ბები მოთავსდნენ, როგორებიცაა ამ კერძო შემთხვევაში *სტუმარი* და *მასპინ-
ძელი* (Kronasser 1952:186) (შდრ. ნიროპთან), თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ
ეს მაგალითი *voces mediae*-ს საილუსტრაციოდაც შეიძლება გამოდგეს.

¹ “Gegensinn ist nur ein äußerster und darum ins Auge springender Fall der allgemein geltenden Mehrdeutigkeit sprachlicher Gebilde... Nicht das Vorhandensein gegensinniger Wörter und Wendungen überrascht. Erstaunlich wäre es im Gegenteil, wenn sprachliche Gebilde zwar mehrdeutig und vieldeutig, aber nie gegensinnig wären. Bis hierher und nicht weiter: das wäre eine ganze rätselhafte Hochachtung des Lebens vor der Logik“ (Szadrowsky1924:86).

დაბოლოს, კრონასერი ასახელებს სიტყვათა ირონიულ ხმარებას, როგორც ენანტიოსემიის წყაროს და მაგალითად მოჰყავს გამოთქმა *Du bist mir vielleicht ein schöner Freund* შენ ალბათ ჩემი მშვენიერი მეგობარი ხარ, რომელშიაც *schöner* მშვენიერი ნიშნავს უფრო არასანდოს (Kronasser 1952:186).

2.9. 1957 წელს გამოქვეყნდა შვეიცარიელი ფილოსოფოსისა და ლინგვისტის ურსულა ცერუტის მონოგრაფია “Sinn und Gegensinn im Englischen”. ეს მონოგრაფია წარმოადგენს სადოქტორო დისერტაციას, რომელიც მისმა ავტორმა ციურიხის უნივერსიტეტში დაიცვა.

წიგნი, შესავლის გარდა, 6 თავისაგან შედგება. შესავალში ავტორი განმარტავს *Gegensinn*-ს (შემოკლებით *Ggs.*), როგორც სიტყვას, რომელსაც ორი ან ორზე მეტი საპირისპირო მნიშვნელობა აქვს და მაგალითებად ასახელებს უკვე ნაცნობ ინგლისურ *to rent*-სა და ჯერ უხსენებელ მაგალითს *to blot*, რაც ნიშნავს *to spot with ink*, ანუ *მელნით დასვრას* და აგრეთვე მის საპირისპიროს: *to dry with blotting-paper* – *საშრობით გაწმენდა*-ს (დაშრობა-ს). ასახელებს აგრეთვე ინგლ. *to hold on* (*შეწყვეტა, გაჩერება და გაგრძელება*), რომელსაც გერმანულ მაგალითს *aufheben*-ს ადარებს. ეს მაგალითი ჯერ კიდევ ჰეგელთან გვხვდება. *aufheben* პოლისემიური სიტყვაა და შეიძლება (სხვა მნიშვნელობებთან ერთად) ნიშნავდეს (აგრეთვე) ერთი მხრივ *შეწყვეტას, დაშორებას, მოსპობას* და მეორე მხრივ *შენახვას*.

ხშირია ისეთი შემთხვევებიც, ავტორის თქმით, როცა მონათესავე ენებში ერთსა და იმავე ფუძიდან საპირისპირო მნიშვნელობები ვითარდება, ასეთი მაგალითია გერმანული *Gift* *საწამლაკი* და ინგლისური *gift* *ძღვენი*. ეს უკანასკნელი მნიშვნელობა შემორჩენილია გერმ. *Mitgift*-ში *მზითვევი*.

გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა ორი ურთიერთსაპირისპირო აღმნიშვნელი აქვს ერთსა და იმავე შინაარსს, მაგ., *სიკვდილის საფრთხე* და *სიცოცხლის საფრთხე*: *Lebensgefahr* და *Todesgefahr* (მსგავს შემთხვევებზე სცადროვსკისთანაც იყო საუბარი).

ლოგიკურად უფრო გამართლებული იქნებოდა ინგლისურში *grandfather* (*ბაბუა*) და *grandmother*-ს (*ბებია*) გვერდით გვექონოდა *little child*, მაგრამ გვაქვს *grandchild* (შვილიშვილი), – შენიშნავს ცერუტი.

წიგნის შესავალში ცერუტი ძალიან მოკლედ ახსენებს აბელის, სცადროვსკისა და ცინსლის შრომებს.

თავისი ნაშრომისთვის ავტორი მასალას იძიებს ოქსფორდის ლექსიკონიდან და აგრეთვე ინგლისური ენის სხვა ლექსიკონებიდან, მიმართავს გერმანულსა და ფრანგულ მაგალითებსაც.

ამასთანავე ავტორი აცხადებს, რომ მისი ძირითადი ინტერესი მიმართული იყო ე.წ. *vox media*-სკენ, როგორც *Gegensinn*-ის წყაროსკენ, თუმცა, მისივე შენიშვნით, ეს ენობრივი მოვლენა შეიძლება სრულიად შემთხვევით, სხვა გზებითაც წარმოიქმნას.

ისეთი Gegensatz-ის მაგალითებად, რომლებიც შეგნებულად იქმნება მეტყველთა მიერ, ცერუტი ასახელებს ლიტოთესს, ირონიასა და ეფემიზმებს.

ენის ხმარებას, საბედნიეროდ, მკაცრი ლოგიკური კანონები არ მართავენ, – აცხადებს ცერუტი (გვ. 10), რის თვალნათელ ილუსტრაციასაც Gegensatz იძლევა.

შესავალი ნაწილის შემდეგ ცერუტი გადადის წიგნის ძირითად თავზე და განიხილავს vox media-ს (ინგლ. middle voice) შემთხვევებს.

მას მოჰყავს მაგალითად ინგლისური to greet *ესალმება (მეგობრულად)*, რომელიც ძვ. ინგლისურში *თავდასხმას (მტრულად)* ნიშნავს. ძირითადი, ამოსავალი მნიშვნელობა არის „დაახლოება ან მიახლოება“, რომელმაც ორი ურთიერთსაპირისპირო მნიშვნელობა მოიცვა.

შემდეგ ცერუტი გადადის ისეთ შემთხვევებზე, რომლებიც ტობლერთან, ცინსლისთან და სცადროვსკისთანაც გვხვდება, როცა ურთიერთსაპირისპირო მნიშვნელობების არსებობა ერთ სიტყვაში დამოკიდებულია მეტყველის თვალთახედვაზე, მისი დაკვირვების წერტილზე და ეხება ისეთ სიტყვებს, რომლებიც სიღრმესაც აღნიშნავენ და სიმაღლესაც. ავტორი ადარებს ორ წინადადებას: *Er watet kniehoch im Schnee* და *Er watet knietief in Schnee* – „მუხლის სიმაღლე“-მდე და „მუხლის სიღრმე“-მდე თოვლში ჩაფვლა.

შემდეგ ცერუტი გადადის ნათესაობის ტერმინებზე და აღნიშნავს, რომ აქ შეიძლება მეტყველმა თავისი მიმართება, თავისი მდგომარეობა სხვისი თვალსაზრისით ჩანაცვლოს და ამიტომ, მაგ., „მამა“ დაუძახოს მეუღლეს ბავშვის თვალსაზრისიდან ამოსვლით. ცერუტისთვის, როგორც ჩანს, არ არის ცნობილი ის მაგალითები, როცა მოლაპარაკე მსმენელს უკუდასახელებით მიმართავს, როგორც ეს, მაგალითად, ქართულში ან ზოგ სემიტურ ენაშია (იხ. Brown 1985, Boeder 2008, Apridonidze 1991).

სხვადასხვა თვალსაზრისის მიხედვით, სახელთა ჩანაცვლების მაგალითად ცერუტის მოჰყავს ერთი წარწერა ციურიხის საავადმყოფოს ლიფტში: *Beim Benützen des Liftes bitte äussere und innere Tür schlissen* – „ლიფტით სარგებლობის დროს დახურეთ *გარე* და *შიდა* კარები“. კაცმა შეიძლება იფიქროს, რომ ლიფტს ორი კარი აქვს, მაგრამ საქმე ისაა, რომ ლაპარაკია ერთ კარზე, რომელიც ლიფტში მყოფისთვის *შიდა* კარია, ხოლო მის გარეთ მყოფისთვის – *გარე*. ამრიგად, კარის მსაზღვრელი იცვლება მისი მომხმარებლის თვალსაზრისის მიხედვით.

ინგლისის თეატრებში *Logenschliesserin*-ს „ქალი, ვინც ლოჟას *კეტავს*“ ჰქვია *box opener* „ლოჟის *გამღები*“.

Twilight აღნიშნავს ინგლისურში დროს დღესა და ღამეს შორის, *ნათელს (light)* დღესა და ღამეს შორის, ანუ ინგლისურში აქცენტია გარდამავალ *სინათლეზე*, მაშინ როცა ქვემოგერმანულში აქცენტი გარდამავალ *სიბნელეზე* გა-

დატანილი: *twedunkeln*. ესეც დამკვირვებელთა ურთიერთსაპირისპირო თვალსაზრისებზე მიუთითებს.

შემდეგ ცერუტი *reziproke*-ს (შებრუნებად, უკუ-)მაგალითებზე გადადის და მაგალითებად ასახელებს შემდეგს:

ძველ ინგლისურში ან დიალექტებში *to learn* ნიშნავს “*to acquire knowledge*” vs. “*to impart knowledge*” ანუ ცოდნის *შეძენას*, *სწავლას* და ცოდნის *გაცემას*, *სწავლებას*.

ასეთი უკუმიმართებითი რელაცია მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის გვაქვს აგრეთვე მოქმედებითი გვარის მიმღობაში: *learner* ნიშნავს “*one who receives or gives instruction*” – ის, ვინც *იღებს* ან *გასცემს* მითითებას.

To confess ნიშნავს აღსარებას, მისგან ნაწარმოები არსებითი სახელი *confessor* ორაზროვანია და ნიშნავს როგორც იმას, ვინც აღსარებას *იძლევა*, ისე იმასაც, ვინც აღსარებას *იღებს* (ისმენს).

ამრიგად, უკუქცევად მაგალითებზე საუბრისას ცერუტის ისეთი მაგალითები მოჰყავს, როცა მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნის მიმღობები ერთსა და იმავე ფორმით გადმოიცემა.

შემდეგ ცერუტისთან საუბარია ფარდობით ცნებებსა და გამოთქმებზე, ისეთებზე, როგორცაა, მაგალითად, *ადრე-გვიან* ან *ძველი-ახალი*, *პირველი-უკანასკნელი*, *თავი-ბოლო*,¹ ანდა ისეთ შემთხვევებზე, როცა შედარებითი ხარისხის და აღმატებითი ხარისხის მქონე ზედსართავები სულაც არ აღნიშნავენ გარკვეული თვისების ქონას უფრო მაღალ ხარისხში, ვიდრე პოზოტიური ზედსართავები. ამის მაგალითია ავადმყოფის მიმართ ნახმარი გამოთქმა: ის *უკეთესად* არის, რაც შეიძლება სულაც არ ნიშნავდეს იმას, რომ ავადმყოფი *კარგად* არის, იმიტომ რომ შეფასებითი ზედსართავები უმეტეს შემთხვევებში შედარებითია და მოითხოვენ გარკვეულ პუნქტს ან წერტილს, რომლის მიმართაც სრულდება ამ ზედსართავებით წარმოდგენილი თვისებების ხარისხის ათვლა.

ზემოთ მოყვანილმა მაგალითებმა შეიძლება უკვე თვალსაჩინო გახადა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კონტექსტს სიტყვის საპირისპირო მნიშვნელობების განვითარებისას. ამავე დროს სამეტყველო სიტუაციის ცოდნა ყოველთვის იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ორაზროვნება, რომელიც ასეთ შემთხვევებში წარმოიქმნება, დაძლეულ იქნეს.

ხშირად ზმნის მნიშვნელობა მისი არგუმენტით ანუ იმ ობიექტით განისაზღვრება, რომელიც მას ახლავს. ამის საილუსტრაციოდ ცერუტის შემდეგი მაგალითი მოჰყავს: *to head a fish* და *to head a pin*. პირველ შემთხვევაში იგულისხმება, რომ თევზს თავი უნდა *მოშორდეს*, უნდა *მოეჭრას*, ხოლო მეორე შემთხვევაში, რომ ქინძისთავს თავი უნდა *ჩამოეცვას*.

¹ მსგავსი მაგალითები ქართულში იხ.: აბულაძე (1989) და Abuladze (2006).

ცერუტი თავის მონოგრაფიაში დიდ ყურადღებას უთმობს, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, სტილისტურ Gegensinn-ს, რომელიც უფრო რიტორიკას განეკუთვნება, ვიდრე სემანტიკას. აქ, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, სიტყვის ირონიული ხმარებაა გასახაზი. ცერუტი ასახელებს მაგალითს, როცა შვეიცარიაში სპორტსმენს მთაში წასვლის წინ კისრისა და ფეხების მტვრევას უსურვებენ: *Hals und Beinbruch*.

ირონია ეფუძნება კონტრასტს სიტყვის პირველად მნიშვნელობასა და იმ მნიშვნელობას შორის, რა აზრითაც ეს სიტყვაა ნახმარი. ეს რიტორიკული ხერხი ნოყიერ ნიადაგს პოულობს ჟარგონებში, როგორცაა, მაგ., სლენგი ან არგო. ირონიული გამონათქვამებია: snowball ზანგი (პირველადი მნიშვნელობა *თოვლივით თეთრი*), perfect lady უწესო ქალი (პირველადი მნიშვნელობა *სრულყოფილი ქალბატონი*). ცერუტის მოჰყავს აგრეთვე საინტერესო მაგალითი „ჰამლეტიდან“, როდესაც ჰამლეტი ოფელიას ეუბნება: “*Get thee to a nunnery*”. აქ *nunnery* ორაზროვანია; შეიძლება ნიშნავდეს ან *მონასტერს*, ან *საროსკიპოს*.

როგორ უნდა გავიგოთ გამონათქვამი – პირდაპირ თუ ირონიულად – ეს სიტუაციაზეა დამოკიდებული. ზეპირ მეტყველებაში სწორ გაგებას ხელს უწყობს ინტონაცია.

უმაღლესი ქების გამომხატველი ზედსართავი სახელები, როგორცაა *ბრწყინვალე, მშვენიერი* განსაკუთრებით არიან მიდრეკილი ირონიის გამოხატვისაკენ.

შემდეგი მაგალითები, რომლებშიაც ენანტიოსემია იჩენს თავს, აღებულია ევფემიზმების სფეროდან. ეს ენება უსიამოვნო მოვლენების ან საგნების შერბილებული ფორმით გადმოცემის ტენდენციას. ბევრი ევფემისტური გამონათქვამი მომდინარეობს იმ ძველი რწმენიდან, რომ სახელსა და საგანს (ან მოვლენას) შორის არსებობს მჭიდრო დამოკიდებულება. წარმოთქმულ სიტყვას შეუძლია ამ სახელის მქონე არსების გაჩენა. შვედები ამბობენ: “როცა კუდიანებზე ვლაპარაკობთ, ისინი ჩვენს კართან ცეკვავენო“. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ დემონის სახელი ტაბუს წარმოადგენდეს (თვით სიტყვა *ტაბუ* პოლინეზიურია და ნიშნავს, როგორც ლათინური *sacer წმინდა-ს* ან *დაწყველილ-ს*).

ინგლისურს აქვს ეშმაკისთვის ევფემისტური სახელი *goodman* ანუ *კარგი კაცი*.

ევფემიზმთან გვაქვს საქმე ისეთ შემთხვევებშიც, როცა ვცდილობთ საზოგადოებაში მიუღებელ სიტყვებს გავექცეთ. *დალაზეროს ღმერთმა!* იმავე აზრით იხმარება, რა აზრითაც *დალაზეროს ეშმაკმა!* ან *ღმერთმა იცის – ეშმაკმა იცის*.

სალაპარაკო ენისათვის დამახასიათებელია გაძლიერებული გამოთქმების ხმარება, რომლებიც ეფუძნებიან ინტენსიფიკაციის გამომხატველ ზედსართავ სახელებს ან ზმნიზებებს.

გამოთქმის გაძლიერება შეიძლება როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი გზით. როცა გზა არაპირდაპირია, ვიღებთ ლიტოთესს. ინგლისელები ჩვეულებრივ გაურბიან გადაჭარბებას მეტყველებაში, ამიტომ ხშირად მიმართავენ ლიტოთესს. ეს ჩანს, მაგ., მათ მიერ *bei half* (*ნახევრად*) გამოთქმის ხმარებაში: იქ, სადაც გერმანელები *doppelt*-ს (*ორმაგ-ს*) ხმარობენ (Cerutti 1957:33).

სტილისტურ ხერხებს განეკუთვნება აგრეთვე ჰიპერბოლა, რომლის მაგალითებად ცერუტი მიიჩნევს ისეთ გამოთქმებს, როგორიცაა, მაგ., *ich habe mich schrecklich geärgert*- *საშინლად გაებრაზდი-ს* გვერდით აგრეთვე *ich habe mich schrecklich gefreut* *საშინლად გამიხარდა-ს* ხმარება.

თავისი მონოგრაფიის ერთ-ერთ თავში, რომელიც სინტაქსურ-მორფოლოგიურ ენანტიოსემიას ეხება, ურსულა ცერუტი იხილავს უარყოფით გამონათქვამებს. აქ მოჰყავს მას ინგლისური ზედსართავი სახელების მაგალითები. ინგლისურში გვაქვს ანტონიმური სუფიქსები *-full* და *-less*, ეს უკანასკნელი უარყოფითი მნიშვნელობის მატარებელია, კერძოდ რაიმეს არქონაზე მიუთითებს, ისევე როგორც პრეფიქსი *un-*. არის შემთხვევები, განსაკუთრებით მე-17 საუკუნის ინგლისურში, როცა ორი უარყოფითი აფიქსი ერთ ზედსართავ სახელში ერთიანდება, მაგ., *unhelpless*, *unrestless*, *unshameless*, რომლებიც იმ ლოგიკური კანონის საპირისპიროდ, რომ ორმაგი უარყოფა დადებით ნიშანს უნდა იძლეოდეს, ნეგატიურ ზედსართავებს წარმოადგენენ და ფაქტობრივად, სინონიმურნი არიან ისეთი ზედსართავებისა, როგორიცაა *unhelpful*, *unrestful*, *unshameful*, რაც შედეგად ანტონიმური სუფიქსების (*-full* და *-less*) სინონიმურად ხმარებისა და თითქოს ენანტიოსემიისმაგვარ სურათს იძლევა.

ზოგჯერ უარყოფითი ან დადებითი პასუხიც კი შეიძლება ორაზროვანი იყოს, როდესაც კითხვა უარყოფით ნაწილაკს შეიცავს. ჩვენ შეგვიძლია ვიადანელიას ფილმიდან “Я шагаю по Москве” მაგალითის მოყვანა, როცა საქმრო ეკითხება საცოლეს: *არ გიყვარვარ?* და მისგან მიღებულ დადებით პასუხს არ სჯერდება და ისევ ეკითხება, რას ნიშნავს ეს ჰო, ჰო-ს თუ არა-ს. (“Да-да или да-нет?”)

ცერუტი თავის წიგნში განიხილავს აგრეთვე შემთხვევით, ბერატცვლილებების შედეგად მიღებულ ჰომოფონურ ენანტიოსემებს, მაგრამ ამგვარი მაგალითები სემანტიკისთვის ნაკლებად საინტერესოა და ამიტომ მათზე არ შევჩერდებით.

შემდეგ ურსულა ცერუტი იხილავს ნეიტრალურ სიტყვებს, რომლებიც ერთდროულად დადებით მნიშვნელობასაც იღებენ და იხილავს მათ როგორც *vox media*-ს. მაგალითები მას, რა თქმა უნდა, ინგლისურიდან მოჰყავს, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია მსგავსი შემთხვევები ქართულშიაც მოვიძიოთ: *ხარისხი*, რომლის მნიშვნელობა ნეიტრალურია, მაგრამ ხშირად *კარგ ხარისხ-ს* ნიშ-

ნავს, ხარისხიანი საქონელი კარგი ხარისხის საქონელია, უხარისხო კი – ცუდის.

აფასებს – ნეიტრალურია წინადადებაში: პროფესორი სტუდენტებს მათი ნაშრომების მიხედვით *აფასებს* და დადებითა წინადადებაში: სტუდენტები თავიანთ პროფესორს *აფასებენ* = დიდად აფასებენ.

ის სიტყვები, რომლებიც ჩვენთვის ან დადებითი ან უარყოფითი მნიშვნელობითაა ცნობილი, ადრე შეიძლება ნეიტრალური მნიშვნელობის მატარებელი ყოფილიყო, – სამართლიანად შენიშნავს ცერუტი და ასახელებს ისეთ სიტყვებს, როგორცაა ინგლისური success *წარმატება*, გერმანული Glück *ბედი* და სხვ.

ცერუტის წიგნის მთავარ, სემანტიკისათვის საინტერესო ნაწილს სწორედ ის თავი წარმოადგენს, რომელიც Gegensatz-ის სახელს ატარებს და რომელშიაც ძირითადად ის მაგალითებია განხილული, რომლებიც ნიროპთან და სცადროვსკისთანაც გვხვდება. ცერუტის თვალსაზრისით, ენანტიოსემათა მიღების ორი ძირითადი გზა არსებობს: დიაქრონიული და სინქრონიული (სხვადასხვა დიალექტებში ან ენებში).

ცერუტი ჩამოთვლის სიტყვათა წყვილებს, რომლებიც ურთიერთსაპირისპირო მნიშვნელობებში გადადიან vox media-ს გზით. ეს სიტყვებია: *ბედისწერა*: *ბედი* – *უბედობა* (მაგალითები ცნობილია ნიროპთან და სცადროვსკისთან, თუმცა პირველ მათგანს, როგორც ჩანს, ცერუტი არ იცნობს); აქ *ბედი* არის vox media, ისევე როგორც გერმანულში Glück (მე-17 საუკუნემდე), ინგლისურში კი hap ან happ, რომელიც დღევანდელ ინგლისურში აღარ გვაქვს, მხოლოდ ზედსართავში happy და ზმნაში to happen. Hap მე-16 ს-ში ნიშნავდა ბედისწერას, ხოლო მილტონთან ნიშნავს როგორც *ბედს*, ისე *უბედობა-საც*, ე.ი. ენანტიოსემაა (Cerutti 1957:78).

შემდეგი წყვილია: *საფასური* – *ჯარიმა*. ანუ ფულის გადახდა, რომელიც შეიძლება იყოს როგორც შესრულებული სამუშაოს საფასურის (*ჯილდოს*) გადახდა, ისე ჩადენილი დანაშაულის გამო *ჯარიმის* გადახდა. To pay (“платить”) ინგლისურში (დიალექტებში) შეიძლება დასჯასაც ნიშნავდეს.

ქართულში *საზღაური* ნიშნავს საფასურს, თითქოს ნეიტრალური მნიშვნელობა აქვს, მაგრამ შეიძლება ზოგ კონტექსტში უარყოფითი მნიშვნელობა ჰქონდეს: მაგ., წინადადება – *მიიღებს ის თავის საზღაურს!* მუქარას გამოხატავს.

სახელი: შეიძლება კარგიც იყოს და ცუდიც, ე.ი. ადამიანი შეიძლება ცნობილი იყოს (ანუ ჰქონდეს სახელი) ორი ურთიერთსაპირისპირო ნიშნით, ანუ იყოს ან *დადებითი* ან *უარყოფითი* პიროვნება.

Fame თანამედროვე ინგლისურში *კარგ* სახელს, რეპუტაციას ნიშნავს, მაგრამ შეიძლება ნეიტრალური მნიშვნელობაც ჰქონდესო, – ამბობს ცერუტი.

რომაელებს ჰყავდათ ქალღმერთი *fama*, რომელიც *კარგ* და *ცუდ* ახალ ამბებს ავრცელებდა, ანუ ნეიტრალური იყო. შემდეგ კი ზელსართავის გარეშე მხოლოდ დადებითი მნიშვნელობისკენ გადაიხარა. *famous* დღეს მხოლოდ დადებითი აზრით იხმარება, მაგრამ ცერუტის მოჰყავს მაგალითები მე-14 საუკუნის ტექსტიდან, სადაც ის უარყოფითი მნიშვნელობითაა ნახმარი.

შემდეგი მაგალითია: სუნი: *სურნელიც* და *მყრალიც*.

მსგავსი სიტყვები უკვე განხილული ჰქონდათ ნიროპსა და სცადროვსკის ცერუტის მაგალითები, ცხადია, ინგლისურიდან მოჰყავს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართულშიაც გვაქვს მსგავსი მაგალითები.

საინტერესო მაგალითია **შეხვედრა**: *სტუმრობა* და *შეტევა*, *შემოტევა*.

როცა ერთი ადამიანი მეორეს მიუახლოვდება, შეხვდება, – წერს ცერუტი, – მას ორი მიზანი შეიძლება ჰქონდეს: ან *კეთილი*, ან *ბოროტი*. თუ ის მის სახლში შედის, ეს შეიძლება იყოს ან სტუმრად მისვლა, ან მტრად – ანუ თავდასხმა. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ ერთმა და იმავე სიტყვამ შეიძლება საპირისპირო მნიშვნელობები განივითაროს, მაგ.: გერმანული *heimsuchen* ნიშნავს შესვლას სახლში კეთილი განზრახვით: *Gottes güte, mit welcher er das Land heimsuchet und es sehr reich machet ღვთის სიკეთე, რომლითაც ის ქვეყანას ესტუმრება /ინახულებს/ და გაამდიდრებს* და საპირისპიროსაც: *Ich will euch heimsuchen mit Schrecken, Schwulst und Fieber. მე ვინახულებთ / გესტუმრებით / თქვენ საფრთხით, საშიშროებებით და ციებ-ცხელებით*. ასევე *Heimsuchung* ნიშნავს ვიზიტს – სტუმრობას, როგორც *სიკეთის*, ისე *უბედურების* მომტანს.

Affront ნიშნავს ინგლისურში *მეგობრულ* ან *მტრულ* შეხვედრას.

ინგლისურ *child-s(ac)* ცერუტი ენანტიოსემად მიიჩნევს, რადგან ის ორ მნიშვნელობას მოიცავს, გოგოსიც და ბიჭისაც. ასევეა ქართული **ბავშვი**. მაშინ ენანტიოსემებად უნდა ჩაგვეთვალა ისეთი სიტყვებიც, როგორიცაა, მაგ., ქართულში **მეუღლე** = *ცოლი* და *ქმარი*; გერმანულში: *heiraten* [ცოლის *შერთვა* – *გათხოვება* – ქართული ენის თვალსაზრისიდან გამომდინარე, გერმანული ზმნა ენანტიოსემაა, რადგან ორ საპირისპირო მნიშვნელობას (ჩვენთვის) აერთიანებს].

ენანტიოსემათა წყაროდ თვლის ცერუტი აგრეთვე ანალოგიას და მაგალითებად მოჰყავს ისეთი სიტყვები, როგორიცაა *Grossvater*, *Grossmutter* და *Grosskind*, ან ინგლისურში *grandmother*, *grandfather* და *granddaughter*, *grandson* და *grandchild*, რასაც ის ანალოგიურ კონტრარულ წარმოქმნას უწოდებს (ანალოგისცქე *Konträrbildung*). ჰოლანდიურში ის ლოგიკურობას ხედავს, რადგან იქ შვილიშვილების აღსანიშნავად გვაქვს: *kleindochter* და *kleinzoon*. ამ და სხვა მსგავსი მაგალითებით ასრულებს ის თავის წიგნს, რომლის ძირითა-

დი მიზანია იმის ჩვენება, რომ ხშირ შემთხვევებში ენა ლოგიკურ კანონებს არ ექვემდებარება.

* ცინსლის სიტყვებით რომ ვთქვათ, დედამიწის ზედაპირის გამომხატველ (აღმნიშვნელ) სიტყვებში, რომლებსაც ძალუძთ ორი ურთიერთსაპირისპირო ფორმა ერთნაირად განსაზღვრონ (იგულისხმება ისეთი სიტყვები, როგორიცაა, მაგ., Grabe(n), რომელიც ნიშნავს არა მხოლოდ თხრილს, არამედ აგრეთვე ამაღლებულ ადგილსაც), აირეკლება ენობრივი წვდომის ზოგადი კანონი: შემეცნებითი პროცესის დროს ადამიანის მეტყველება ყოველთვის იმ გზით სწვდება გარკვეულ მნიშვნელობას, რომ მას მისი საპირისპირო მნიშვნელობისაგან გამოჰყოფს (გვ. 198 -199): “An solchen Wörtern für Bodenformen, die zwei so entgegengesetzte Gebilde zugleich zu bestimmen vermögen, spiegelt sich ein allgemeines Gesetz des sprachlichen Begreifens: in ihrer Erkenntnisarbeit hält die menschliche Rede ja immer dadurch einen Sinn fest, daß sie ihn von seinem Gegensinn abhebt”. ცინსლის აქვე მოჰყავს კასირერის სიტყვები, რომ „... ენის მთლიანობაში ყოველი მნიშვნელობა დაკავშირებულია მის საპირისპიროსთან, ყოველი აზრი – მის საპირისპირო აზრთან, და თავდაპირველად მასთან ერთიანდება ყოფიერების ადეკვატურად გამოსახატავად.“ – “Und so zeigt sich in der Tat, im Ganzen der Sprache, jede Bedeutung an ihr Gegenteil, jeder Sinn an seinen Gegensinn gebunden und wird erst mit ihm vereint zum adäquaten Ausdruck des Seins“ (Cassirer 1972:58-59). მაგრამ კასირერის სიტყვების სწორად გასაგებად საჭიროა ამ ციტატის მოყვანა მთლიან კონტექსტში, რის გაკეთებასაც ჩვენ შევეცდებით. კასირერი თავისი შრომის „სიმბოლური ფორმების ფილოსოფია“ პირველი ნაწილის („ენა“) პირველ თავში „ენის პრობლემა ფილოსოფიის ისტორიაში“ ლაპარაკობს ენის მითიურ ხედვაზე, რომელიც ხასიათდება სიტყვისა და საგნის გაუდიფერენცირებულობით. საგნის არსი მის სახელშია. ვინც სახელი იცის და მისი ზმარება შეუძლია, მას საგანზეც შეუძლია იბატონოს. სიტყვასა და მის მფლობელს მიეწერება მაგიური ქმედების უნარი. ამ მითიურ თვალსაზრისთან ახლოს არის ლოგოსის ცნებაც. ჰერაკლიტესთვის ლოგოსი ყველაფრის მმართველია. კოსმოსის მსგავსად, რომელსაც ლოგოსი წარმართავს, ისიც არ არის შექმნილი არც ადამიანებისა და არც ღმერთების მიერ, არამედ იყო და იქნება ყოველთვის. სამყარო ექვემდებარება საერთო წესს, რომელიც ყველა არსებულსა და ხდომილებას ერთმანეთთან აკავშირებს. კოსმოსის ეს კანონი ბუნებასა და ენაში სხვადასხვა ფორმებით გამოიხატება. სიბრძნის არსია, ის აზრი გავიგოთ, რაც ყველაფერს გამსჭვალავს. არსს ვწვდებით მხოლოდ მაშინ, როცა მთლიანობას ვწვდებით. ასეა ენაშიც. როცა ჩვენ ლოგოსს განვიხილავთ მხოლოდ იმ ფორმით, როგორც ის ცალკე სიტყვაშია წარმოდგენილი, მაშინ აღმოჩნდება, რომ ყოველი სიტყვა, რომელიც საგანს უნდა აღნიშნავდეს, ამ საგანს შემოსაზღვრავს და ამ შემოსაზღვრულობის შედეგად საგანს მცდარად წარმოგვიდგენს ანუ აყალბებს.

სიტყვაში ფიქსაციით ქმნალობის განუწყვეტელი დინებიდან გამოცალკეელება შინაარსი ისე, რომ ის იქნება შემეცნებული არა თავის მთლიანობაში, არამედ მხოლოდ ცალმხრივად, ანუ მისი ცალმხრივი განსაზღვრება იქნება წარმოდგენილი. და აქ არ რჩება არავითარი სხვა გზა გარდა იმისა (თუ ჩვენ საგნის არსის ღრმა შემეცნება გვინდა), რომ ეს ცალმხრივი განსაზღვრა ისევ სხვაგვარად გამოვკვეთოთ (გამოვაცალკევოთ), ანუ ყველა სიტყვას, რომელიც ერთ განსაზღვრულ ცნებას მოიცავს, სწორედ ამ ცნების საპირისპირო ცნება დაუყენოთ გვერდით. „ასე აღმოჩნდება სინამდვილეში, რომ ენის მთლიანობაში ყოველი მნიშვნელობა მის საპირისპიროსთან, ყოველი

აზრი მის საპირისპირო აზრთანაა დაკავშირებული და თავდაპირველად მასთან არის გაერთიანებული ყოფიერების ადეკვატურად გამოსახატავად.“ გონითი სინთეზი, ერთიანობა, რომელიც სიტყვაში სრულდება (ხორციელდება) ემსგავსება კოსმოსის ჰარმონიას. ის, რაც ყოფიერებაში ვლინდება როგორც საპირისპირო, ვლინდება ენობრივ გამოთქმაში როგორც ურთიერთწინააღმდეგობრივი. და მხოლოდ ამგვარ გაცვლით თამაშში გამოთქმასა და მის საწინააღმდეგო გამოთქმას შორის მიიღწევა ის, რომ არსის (არსებულის) ნამდვილი კანონი და შინაგანი სტრუქტურა ენაში კვლავ აისახოს. ამით აიხსნება ჰერაკლიტეს სტილის ბუნდოვანებაო, – ამბობს კასირერი. ჰერაკლიტეს სტილი ავლენს მისი ფილოსოფიის ძირითად პრინციპს: გვიჩვენებს „უხილავ ჰარმონიას“, რომელიც, ჰერაკლიტეს სიტყვებით, ხილულზე უკეთესია. ჰერაკლიტე თითოეულ ობიექტს აყენებს (აქცევს, ათავსებს) მუდმივი ქმნადობის დინებაში, რომელიც მას ერთდროულად სპობს და თანაც ინახავს, ასევე უნდა იქცეოდეს ცალკეული სიტყვა მეტყველების მთლიანობაში. თვით შინაგანი მრავალმნიშვნელობა, რომელიც სიტყვის მახასიათებელია, ამიტომ უბრალოდ არის არა ენის ნაკლი, არამედ მასში არსებული გამოხატვის ძალის არსებითი და პოზიტიური მომენტი. რადგან მასში ცხადდება ის, რომ მისი საზღვრები, ისევე როგორც ყველა არსებულისა, არის არა მდგრადი, არამედ მოძრავი და ბუნდოვანი (მდრ. კოგნიტური სემანტიკა – ბუნებრივ კატეგორიებს შორის ფუზიური (ბუნდოვანი, გაურკვეველი) საზღვრების – fuzzy boundaries – შესახებ). მხოლოდ მოძრავ და მრავალსახოვან სიტყვაში, რომელიც ერთდროულად თავის საკუთარ საზღვრებს ქმნის და მუდმივად კვლავ ანგრევს, პოულობს თავის ასახვას (სურათს) სამყაროს შემოქმედი ლოგოსის სისავსე. ყველა განცალკევება (დაყოფა), რასაც ენა ახორციელებს, მის მიერვე უნდა იქნეს გაცნობიერებული, როგორც წინასწარი და ფარდობითი, რომელსაც იგი თვითონვე კვლავ უკან იბრუნებს, რამდენადაც მუდამ ახალი თვალსაზრისით განიხილავს საგანს. „ღმერთი არის დღე და ღამე, ზამთარი – ზაფხული, ომი – მშვიდობა...: იგი დაეხეტება (მოძრაობს) როგორც ცეცხლი, როცა ის სულ მეტად იმოსება კვამლით, ცალკეული (ნებისმიერი, ყოველი) შეხედულების მიხედვით ხან ისე და ხან ასე იწოდება“. ადამიანმა უნდა შეძლოს სიტყვებში შეღწევა. მხოლოდ მაშინ, როცა სიტყვის აზრი და მისი საპირისპირო აზრი ამგვარად იქნება გაგებული და ურთიერთდაკავშირებული, შეიძლება სიტყვა გახდეს შემეცნების წინამძღოლი. ყოველი ცალკეული ენობრივი შინაარსი არის მუდამ ერთდროულად ყოფიერების ჭეშმარიტებიდან ფარდის ჩამოხსნაც და ფარდით შებურვაც (გამიშვლებაც და შეფუთვაც).

ჰერაკლიტეს ფილოსოფიასთან, რომელიც ჩვენ შევეცადეთ კასირერის მიხედვით წარმოვედგინა, სიახლოვეს ჩვენ ვხედავთ ნიკოლაუს კუზანუსის (მე-15 ს.) მოძღვრებაში. იმას, რაც გონებას წინააღმდეგობრივად ესახება, მიჰყავს ადამიანის გონი ღვთაებრივის წვდომისაკენ. კუზანუსისთვის ღმერთი არის ჩვენი სამყაროს მრავალრიცხოვანების, მრავალსახეობის შემოქმედებითი საფუძვლის უსასრულო **ერთიანობა**. ღმერთის სრულყოფილ უსასრულობაში **ერთი** არის აგრეთვე **უსასრულო**, რამდენადაც ის ერთდროულად **სიმრავლედ** არის. ღმერთის განსაზღვრება კუზანუსთან არის “coincidentia oppositorum”. მეოცე საუკუნის ფრანგი ფილოსოფოსი სიმონე ვაილი ამბობს, რომ ურთიერთწინააღმდეგობრივი, საპირისპირო გამონათქვამები „ის იარაღია (Zange “щипцы”), რომლითაც შეიძლება ღმერთის სწვდე“ (მოგვყავს Ruth Ewertowski-ის მიხედვით: *Religiöses Denken Oder: Die Denkbarkeit der zentralen Ereignisse des Christentums. In: Die Christengemeinschaft 5/ 2011: 20*). გვინდა აქვე გავიხსენოთ ფლორენსკის სიტყვები, რომ თუკი ჭეშმარიტებას ვინმე სწვდება, მაშინ ამ ჭეშმარიტებას ალბათ ურთიერთსაპირისპირო, წინააღმდეგობრივი გამონათქვამის სახე ექნებაო.

ცინსლი ამბობს: “Es begegnet uns denn auch hier, wenn wir das sprachbegriffliche Bestimmen im Umweltraum der Berge betrachten, diese eigenartige Vereinigung

gegensätzlicher Vorstellungen im selben Lautbild auf Schritt und Tritt als **räumlicher Gegensinn**“ („როცა მთების გარემოცვაში ენობრივი ცნებების ჩამოყალიბებას ვაღვე-
ნებთ თვალს, აქაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდება ერთნაირ ბგერით გამოსახულე-
ბებში ურთიერთსაპირისპირო წარმოდგენების თავისებური გაერთიანება, როგორც
სივრცული **Gegensinn**“).

ლიტერატურა:

- აბულაძე 1989:** ლ. აბულაძე, *სივრცული და დროული ორიენტაციის აღმნიშვნელ სიტყვათა წყვილების შესახებ*, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XXVIII, 3-13.
- ფონხუა 1974:** ბ. ფონხუა, *ქართული ენის ლექსიკოლოგია*, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- შანიძე 1973:** ა. შანიძე, *ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები*, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- Abel 1885:** C. Abel, *Über den Gegensinn der Urworte*. Leipzig: Friedrich; აგრეთვე In: Sprachwissenschaftliche Abhandlungen, Leipzig: Verlag von Wilhelm Friedrich.
- Abuladze 1991:** L. Abuladze, *On Word Pairs Expressing Spatial and Temporal Sequencing*, In: Linguistic Studies, 45, 127-136.
- Abuladze / Weger 2006:** L. Abuladze, U. Weger, *Zur Erscheinung der Antonymie und Enantiosemie*, In: Abstracts Informationen (Zweite Internationale Konferenz der Deutschen Gesellschaft für Kognitive Linguistik, München).
- Abuladze 2006:** L. Abuladze, *Lokaldeixis im Georgischen*, In: Einblicke in Sprache, Festschrift für Clemens-Peter Herbermann zum 65. Geburtstag, Berlin: Logos.
- Abuladze / Ludden / Weger 2010:** L. Abuladze, A. Ludden, U. Weger, “*Hypothese des ursprünglichen Gegensinns*” und die gegenwärtige Zustand der Erforschung der Enantiosemie. In: Abstracts (4th International Conference of German Society of Cognitive Linguistics (DGKL), Bremen).
- Apridonidze 1991:** Š. Apridonidze, *Literary and dialectal forms of address in Georgian*, In: Studia Linguistica 45, 136–146.
- Benvenist 1956:** E. Benvenist, *Remarques sur la fonction du langage dans la de'couverte freudienne*, In: Review la psychanalyse, 1.
- Boeder 1989:** W. Boeder, *Über einige Anredeformen im Kaukasus*, In: Georgica. Zeitschrift für Kultur, Sprache und Geschichte Georgiens und Kaukasiens 11, 11–20.
- Breal 1964:** M. Breal (trans. N. Cust), *Semantics: Studies in the Science of Meaning*, New York: Dover.
- Cassirer 1972:** E. Cassirer, *Philosophie der symbolischen Formen*, Darmstadt: Wissenschaftliche Buchgesellschaft.
- Cerutti 1957:** U. Cerutti, *Sinn und Gegensinn im Englischen*, Winterthur: Verlag P. G. Keller.
- Croft and Cruse 2007:** W. Croft and D. A. Cruse, *Cognitive Linguistics*, Cambridge: Cambridge University Press.
- Cruse 1986:** D. A. Cruse, *Lexical semantics*, Cambridge: Cambridge University Press.
- Debrunner 1919:** A. Debrunner, *Aus der Sprache eines Kindes*, Festgabe A. Kaegi, Frauenfeld.
- Finkin 2005:** J. Finkin, *Enantiodrama: Enantiosemia in Arabic and beyond*, In: Bulletin of SOAS 68, 3, 369-386, School of Oriental and African Studies, Printed in the United Kingdom.

- Freud 1969:** S. Freud, *Über der Gegensinn der Urworte*, In: Sigmund Freud, Gesammelte Werke, 8. Band, Frankfurt am Main: S. Fischer.
- Heller 1976:** K. Heller, *Über Gegensinn in zwischensprachlichen Bezeichnungen*, In: H.D. Pohl & N. Salnikow (eds.): *Opuscula Slavica et Linguistica, Festschrift für Alexander Issatschenko*, Klagenfurt: Heyn.
- Holenstein 1981:** E. Holenstein, *Sprache und Gehirn. Phänomenologische Perspektiven*, In: Schnelle, Helmut (ed.): *Sprache und Gehirn, Roman Jakobson zu Ehren*. Frankfurt a. Main.
- Jakobson 1977:** R. Jakobson, *Der grammatische Aufbau der Kindersprache*, hrsg. von der Rheinisch-Westfälischen Akademie der Wissenschaften, Vorträge G 218. 204, Sitzung am 28. Mai 1975 in Düsseldorf. Westdeutscher Verlag, Opladen.
- Kronasser 1952:** H. Kronasser, *Handbuch der Semasiologie*. Heidelberg: Winter.
- Lang 1994:** E. Lang, *Antonymie im Lexikon und im Wörterbuch*, Theorie des Lexikons. Arbeiten des Sonderforschungsbereichs 282. Nr. 55, Düsseldorf: Heinrich Heine Universität.
- Lang 1995:** E. Lang, *Das Spektrum der Antonymie. Semantische und konzeptuelle Strukturen im Lexikon und ihre Darstellung im Wörterbuch*, In: Die Ordnung der Wörter. Kognitive und lexikalische Strukturen (hrsg. Gisela Harras), Berlin, New York: Walter de Gruyter.
- Law 2003:** V. Law, *The history of linguistics in Europa from Plato to 1600*, Cambridge: Cambridge University Press.
- Lepschy 1989:** G. C. Lepschy, *Freud, Abel e gli opposti*, In: *Sulla linguistica moderna*, Bologna: Mulino, 349-378.
- Matthews 1997:** P.H. Matthews, *The Concise Oxford Dictionary of Linguistics*, Oxford / New York: Oxford University Press.
- Nöldeke 1910:** Th. Nöldeke, *Wörter mit Gegensinn*, In: *Neue Beiträge zur semitischen Sprachwissenschaft*, Strassburg: Verlag von Karl J. Trübner, 67-108.
- Radden 2011:** G. Radden, *The Metaphor TIME AS SPACE across Languages*, In: Mario Brdar, Marija Omazic, Visnja Pavicic Takac, Tanja Gradecak-Erdelija, and Gabrijela Bulian (eds.): *Space and Time in Language*, Frankfurt et al.: Peter Lang.
- Szadrowsky 1924:** M. Szadrowsky, *Gegensinn im Schweizerdeutschen*, In: *Zeitschrift für Deutsche Mundarten*, 19, 11-86.
- Tobler 1885:** L. Tobler, *Rezension zu Carl Abel: "Der Gegensinn der Urworte"* (Leipzig, In: *Vierteljahrsschrift für wissenschaftliche Philosophie* (hrsg. von R. Avenarius unter Mitwirkung von M. Heinze und W. Wundt, Leipzig.
- Topel 1995:** H. Topel, *Polarität und Ambivalenz des Bewußtseins (Die magische Grenze zwischen Lust und Angst)*, Frankfurt am Main: R.G. Fischer.
- Traugott 1975:** E. C. Traugott, *Spatial expressions of tense and temporal sequencing: a contribution to the study of semantic fields*, In: *Semiotica* 15, 207-230.
- Traugott 1978:** E. C. Traugott, *On the Expression of spatio-temporal relations in Language*, In: J. H. Greenberg, C. A. Ferguson, and E. A. Moravcsik, eds. *Universals of Human Language*, Vol. III. Stanford: Stanford University Press, 369-400.
- Versteegh 1997:** K. Versteegh, *The Arabic Linguistic Tradition. Landmarks in Linguistic Thought III*, In: *History of Linguistic Thought Series*, London and New York: Routledge.
- Voss 2006:** V. Voss, *Benennungsprinzipien im Japanischen*, In: *Einblicke in Sprache, Festschrift für Clemens-Peter Herbermann zum 65 Geburtstag*, Berlin: Logos, 379-406.

- Zinsli 1942:** P. Zinsli, *Grund und Grat (Die Bergwelt im Spiegel der schweizerdeutschen Alpenmundarten)*, Bern: A. Francke.
- Абуладзе / Лудден 2011:** Л. Абуладзе, А. Лудден, *Энантиосемия в картвельских языках*, в сб.: *Languages and Cultures in the Caucasus*, Ed. Vittorio Springfield Tomelleri, M. Topadze, A. Lukianowicz with the collaboration of O. Rumjancev, München-Berlin: Otto Sagner, 397-410.
- Ахманова 1966:** О. Ахманова, *Словарь лингвистических терминов*, Москва: Советская энциклопедия.
- Бунчич 2004:** Д. Бунчич, *Энантиосемия внутриязыковая и межъязыковая как проблема коммуникации*, In: Grabska, Marcelina (ed.), “Slowa, slowa, slowa”, v komunikacji jezykowej II. Gdansk.
- Ганеев 2003:** Б. Т. Ганеев, *Первоначальная энантиосемия и диффузность в языке*, В: Вестник ОГУ (Оренбургского государственного университета), 4, 9-14.
- Розенталь /Телешкова 1972:** Д. Э. Розенталь и М. А. Телешкова, *Справочник лингвистических терминов. Пособие для учителя*. Москва: Просвещение.
- Шерцль 1983:** В. И. Шерцль, *О словах с противоположными значениями (или о так называемой энантиосемии)*, Филологические записки, Вып. V-VI, Воронеж.

Lia Abuladze, Andreas Luden

Enantiosemy in the Georgian Language

Summary

Cases of opposite meanings combined with one and the same word occur in many languages. In German, such lexemes are called “*Wörter mit Gegensinn*”, in English they are named enantiosemes. The existence of enantiosemes in Arabic has been noticed at least since the ninth century. In Europe, Carl Abel was the first to study this phenomenon in detail (his work was published in 1884).

In our article we review the publications (from the end of the 19-th century up to the middle of the 20-th century) concerning the enantiosemes in different languages.

მანია აღვაძმ

უარყოფის სისტემა ქართულ ენაში

სტატიაში განხილულია ნეგაციის გამოხატველი ლექსიკური ერთეულები და ფრაზები და უარყოფის წარმოების საშუალებები ქართულ ენაში. ნაჩვენებია, რომ უარყოფა შეიძლება გამოხატული იყოს იმპლიციტურად და ექსპლიციტურად და, ამასთან ერთად, უარყოფითი მარკერის შემცველ ფრაზას შეიძლება ჰქონდეს დადებითი კონოტაცია. ნაშრომი არის უარყოფის სისტემატიზაციის მცდელობა ქართულ ენაში. ემპირიულ მასალას წარმოადგენს კორპუსის მონაცემები ქართული მხატვრული ტექსტების მაგალითებით. გამოყენებულია ფუნქციური ანალიზის მეთოდი, რომელიც კვლევის ობიექტს განიხილავს სიტუაციურ კონტექსტში.

ქართულ ენაში სახელებში უარყოფის მაწარმოებლად ითვლება ცირკუმფიქსები (ზედსართავი სახელების მაწარმოებელი – უ-ი; უ-ო; უ-ურ; უ-ულ; არსებითი სახელების მაწარმოებელი – არა-; არა-ობა; არა-ება და პრეფიქსი – არა; არსებითი სახელის მაწარმოებელი – არა-; არა-ობა; არა-ება (ჯორბენაძე 1984:136-149).

ქართულ ენაში სინტაქსის დონეზე უარყოფის მაწარმოებელ საშუალებებად ითვლება ნაწილაკები: არ(ა), ვერ(ა), ნუ(რა). მათ გააჩნია განსხვავებული ფუნქციები, კერძოდ, უკუთქმითი ნაწილაკი „არ(ა)“ გამოხატავს: (1) თხრობით უარყოფას წინადადებაში და, ძირითადად, დგას შემასმენლის წინ; (2) გაკვირვებას, გაოცებას, განცვიფრებას; (3) იხმარება კითხვის პასუხად და მთელი წინადადების მაგივრობას სწევს. ამ ნაწილაკს გააჩნია რთული ვარიანტები: არც, აღარ, აღარც. ნაწილაკი „არც“ აკეთებს წინადადების იმ წევრის აქცენტირებას, რომელთანაც დგას. ნაწილაკი „აღარ“, კერძოდ, მორფემა „ლ“ გამოხატავს ზღვრულ უარყოფას, მოქმედებას, რომელიც მეტჯერ არ ხდებოდა, არ მოხდება ან აღარ მოხდება გარკვეული მიზეზების გამო (ჯორბენაძე 1988:454).

უკუთქმითი ნაწილაკი „ვერ“ ზმნასთან ერთად გამოხატავს: (1) მოქმედებას ან მდგომარეობას, რომელიც მოსაუბრისა სურვილის ან შეძლებისაგან დამოუკიდებლად ვერ სრულდება გარკვეული მიზეზით. ნაწილაკს „ვერ“ შეუძლია მხოლოდ ზმნა-შემასმენლის უარყოფა; (2) იხმარება კითხვის პასუხად და მთელი წინადადების მაგივრობას სწევს. „ვერ“ ნაწილაკის რთული ვარიანტები: ვეღარ, ვერც, ვეღარც. „ვეღარ“ გამოხატავს ზღვრული მოქმედების შესაძლებლობას: ნაწილაკი „ვერც“ ახდენს იმ სიტყვის აქცენტირებას, რო-

მელთანაც დგას; ნაწილაკი „ველარც“ გვიჩვენებს შეუძლებლობის ზღვარს და ამასთანავე, აქცენტირებას ახდენს იმ სიტყვაზე, რომელსაც მიეკუთვნება.

აკრძალვითი ნაწილაკის „ნუ“ თხრობით კილოზე დამატებისას კილო იცვლება ბრძანებითით. ბრძანებითი კილო ზმნით აღნიშნულ მოქმედებას წარმოგვიდგენს შესასრულებლად. იგი გვიჩვენებს, რომ მოსაუბრის სურვილი უნდა იქნეს შესრულებული. ნაწილაკის „ნუ“ რთული ვარიანტებია: **ნურც, ნულარ, ნულარც.**

უარყოფითი ნაწილაკებისაგან ნაწარმოები მეტყველების ნაწილები წარმოდგენილია ქვემოთ სქემების სახით (www.armazi.com). უარყოფითი ნაწილაკებისაგან იწარმოება უარყოფითი მეტყველების ნაწილები – კუთვნილებითი ზედსართავი სახელები, უარყოფითი ნაცვალსახელები და უარყოფითი ზმნიზედები (სულიერი და უსულოს აღმნიშვნელი):

კატეგორია	უარყოფითი ნაწილაკი	უარყოფა	შესაძლებლობა	აკრძალვა
		არ(ა)	ვერ(ა)	ნუ(რა)
სულიერი	-ვინ	არავისი	ვერავისი	ნურავისი
უსულო	-ფერი	არაფრის	ვერაფრის	ნურაფრისი

უარყოფითი ნაცვალსახელები წარმოებულია „ვინ“ და „რა“ ნაცვალსახელებზე უარყოფითი ნაწილაკების დართვით:

კატეგორია	უარყოფითი ნაწილაკი	უარყოფა	შესაძლებლობა	აკრძალვა
		არ(ა)	ვერ(ა)	ნუ(რა)
სულიერი	-ვინ	არავინ	ვერავინ	ნურავინ
უსულო	-ფერი	არაფერი	ვერაფერი	ნურაფერი
ხარისხი	-ვითარი	არავითარი	ვერავითარი	ნურავითარი
რაოდენობა	-ც ერთი	არც ერთი	ვერც ერთი	ნურც ერთი

უარყოფითი ზმნიზედები იწარმოება უარყოფითი ნაწილაკის კომბინაციით სხვადასხვა დაბოლოებებთან. სუფიქსი „-სად“ არის კითხვითი ზმნიზედა, „-ოდეს“ – არქაული შედარებითი ზმნიზედა, „-დროს“ – არსებითი სახელის, „დრო“ მიცემითი ბრუნვა, ხოლო – „-გზით“ – არსებითი სახელის, „გზა“ ინსტრუმენტული ბრუნვა.

კატეგორია	უარყოფითი ნაწილაკი	-სად	-ოდეს	-ს-დროს	-გზით
უარყოფა	არ(ა)	არსად	არასოდეს	არასდროს	არასგზით
შესაძლებლობა	ვერ(ა)	ვერსად	ვერასოდეს	ვერასდროს	ვერასგზით
აკრძალვა	ნუ(რა)	ნურსად	ნურასოდეს	ნურასდროს	ნურასგზით

უარყოფით ლექსიკურ ერთეულებთან ასოცირებულია „ღ“ ნაწილაკი, რომელიც სიტყვას მატებს ზღვრული უარყოფის ფუნქციას.

გარდა ამისა, უარყოფასთან კომბინაციაში ხშირად გვხვდება გარკვეული ნაწილაკები და ლექსიკური ერთეულები (ჯორბენაძე...1988:454). ასეთი ნაწილაკებია: „-ც“, „კი“, „აკი“, „ხომ“, „განა“ სხვადასხვა კომბინაციით:

გათენებას არაფერი აკლდა, ღვინის სმაში შეჯიბრებული ყმაწვილკაცობა კი **ჯერ** ადგომას არც კი აპირებდა (კლდიაშვილი, 1989:68).

ბედმა მისთვის სიკვდილიც კი არ გაიმეტა... (შატბერაშვილი, 1985:139).

ცხენი ისევ იმავე ადგილზე იდგა, ფეხსაც **არ** იცვლიდა.

Gekko: < id=233077094574585&cpos=82559272&word=ფეხსაც>

აკი არ დამითვლიაო, შე ეშმაკო, შენა! – მიატანა ღმილითვე კენინამ.

Gekko: < id=233077094574585&cpos=82227893&word=აკი>

ის „მონაბერი სული“ ქარად **ხომ არ** მიიღო ჩვენმა თავადმა?

Gekko: <id=233077094574585&cpos=82225486&word=ხომ>

უარყოფასთან ასოცირებული ლექსიკური ერთეულებია: **დიდად, ისედაც, ნამდვილად, სულ(აც), ოდნავ(აც), ოდნავადაც, თითქმის, საერთოდ, ჯერ, აშკარად**. ისინი, ძირითადად, აკეთებენ უარყოფის ინტენსიფიკაციას:

როგორც ვხვდები, კომუნისტების დროს, ჩესტერტონის წიგნებს **დიდად არ** გამოსცემდნენ.

Gekko: <id=233077094574585&cpos=86236154&word=დიდად>

– ჰეი, გლეხებო, გარეთ გამოდით! ქუდზე კაცს დაუძახეთ! თქვენი აღსასრულის დღე მოდის! იარაღი აისხით და დიღომში მოიყარეთ თავი. წამოდექით! გაიღვიძეთ!

გლეხებს **ისედაც არ** ეძინათ.

Gekko: < id=233077094574585&cpos=81613294&word=ისედაც>

მაგ ისეთი კაცი ჩანს, **ნამდვილად არ** იტყოდა არაფერს! – განაცხადა ქუთულორიამ.

Gekko: < id=233077094574585&cpos=98950879&word=ნამდვილად>

ლუარსაბი გაშტერებული იდგა და **სულ არ** ესმოდა, რა განზრახვით მოსულა ამასთან კენინა და რა განზრახვით ლაპარაკობს.

Gekko: < id=233077094574585&cpos=82238798&word=სულ>

იქნებ **სულაც არ** მოსულა წუხელ? (შატბერაშვილი 1985:128)

– ვინ იცის? **ჯერ** ომი არ გათავებულა.

Gekko: < id=233077094574585&cpos=82229455&word=ჯერ>

ჯერ თითქმის კარგადაც **არ** გათენებულიყო, რომ მინდვრის ფარეხებიდამ ორს მეცხვარე თუშს ოთხიოდე ჭვდილა და ხუთიოდე თოხლი წინ გამოეგდოთ და სოფელში მიერეკებოდნენ...

Gekko: < id=233077094574585&cpos=82289268&word=თითქმის>

სინტაქსის დონეზე ქართულში უარყოფით წინადადებად ითვლება ყველა წინადადება, რომელშიც გვხვდება უარყოფითი სიტყვა (უარყოფის მარკერი).

დისკურსის დონეზე ნეგაცია, რა თქმა უნდა, გულისხმობს უარყოფითი მარკერის გამოყენებას, მაგრამ გვხვდება ფრაზები და გამონათქვამები, სადაც არ არის უარყოფითი მარკერი, მაგრამ გამონათქვამს უარყოფითი კონოტაცია გააჩნია (იმპლიციტური უარყოფა) და, გარდა ამისა, შეიძლება იყოს უარყოფითი მარკერი, მაგრამ ტექსტში არ იგულისხმებოდეს ნეგაცია (იმპლიციტური პოზიტივი). იმპლიციტური ნეგაციის მაგალითებია:

„**რა იცოდა** სიდონიამ, რომ ყურდაცქვეტილი ედიშერი ამ დროს თავთ ედგა და ცოლის ყოველ სიტყვაზე თოკივით იკვანძებოდა“!

Gekko: < id=233077094574585&cpos=81717444&word=რა>

პერიფრაზი: სიდონიამ იცოდა, რომ ყურდაცქვეტილი ედიშერი ამ დროს თავთ ედგა და ცოლის ყოველ სიტყვაზე თოკივით იკვანძებოდა.

ეგრევე მიუხედავად ჩანაფიქრს, რადგან აკი შემოთვლილიც ჰქონდა, დღეს თუ არა ხვალ მაინც, ჩემი ცოლი იქნებო. მაგრამ **რას იფიქრებდა**, ის თუ მართლა მაგ მუქარას აასრულებდა ...

Gekko: < id=233077094574585&cpos=86730509&word=რას>

პერიფრაზი: ვერ იფიქრებდა, ის თუ მართლა მაგ მუქარას აასრულებდა...

იმპლიციტური უარყოფა გვაქვს შემდეგი ფორმით: „**რა(ს)/რისი/ვინ + ზმნა**“ (უფრო ხშირად გვხვდება კონიტიური ზმნები: ცოდნა, ფიქრი და ა.შ.).

გარდა ამისა, იმპლიციტური უარყოფა შეიძლება გამოხატული იყოს ფრაზებით: „**განა რა + ზმნა**“, „**რალა + ზმნა**“.

... ამ ადამიანს ერთადერთი რამ მიუჩნევია ბრძოლისა და დაძლევის საგნად – საკუთარი არსება! **განა რა** უნდა მოხდეს მის ცხოვრებაში ისეთი, რომ ამ დიად ომს სახე და შინაარსი შეუცვალოს!

Gekko: < id=233077094574585&cpos=99021134&word=განა>

პერიფრაზი: მის ცხოვრებაში ვერაფერი ვერ მოხდება ისეთი, რომ ამ დიად ომს სახე და შინაარსი შეუცვალოს.

– კუჭს გიძღობს ეგ შენი ცოდნა?

– მაგას **რალა პასუხი უნდა** შენი კენესამე? თვითონ შენ კარგად იცი, რომ უმაჯისოდ წყალში გადასაგდები ვიქნებოდი.

Gekko: < id=233077094574585&cpos=82198841&word=რალა>

პერიფრაზი: მაგას პასუხი არ უნდა ...

კაი ოჯახი კაი შვილს გაზრდის, ჩემო ბატონო, **რალა ლაპარაკი უნდა**.

Gekko: < id=233077094574585&cpos=10260750&word=რალა>

პერიფრაზი: ... ლაპარაკი არ უნდა ...

შეიძლება ვთქვათ, რომ იმპლიციტური მტკიცება გამოიხატება ფრაზებით: „არ + ზმნა“, „განა არ + ზმნა“.

გარდა ერთმაგი უარყოფისა, ქართული ენის თავისებურებას წარმოადგენს ორმაგი უარყოფა, რომელიც სავალდებულოა შემდეგ შემთხვევებში:

1. თუ უარყოფითი ნაცვალსახელი/ზმნიზედა და შემასმენელი სხვა სიტყვით არის გათიშული (მაგ.: **არავინ ყურადღებას არ აქცევს**);
2. თუ წინადადებაში გამოყენებულია სიტყვები – **არც/ვერც ერთი, არა(ვერა)-ვითარი, არამც და არამც, არა თუ, არა(ვერა)სგზით, არა(ვერა)ფრის დიდებით, არც/ვერც ერთხელ** – შემასმენლის წინ **არ/ვერც** ნაწილაკია საჭირო;
3. თუ უარყოფითი ნაცვალსახელი ან ზმნიზედა პრეპოზიციური მსაზღვრელის ფუნქციითაა გამოყენებული, შემასმენლის წინ უარყოფითი ნაწილაკია აუცილებელი (მაგ.: **აქ არავის კვალი არ არის**);
4. თუ წინადადების ერთგვარი წევრების წინ უარყოფითი **არც, აღარც, ვერც, ვეღარც, ნურც, ნულარც** ნაწილაკებია ნახმარი, შემასმენლის წინ მეორე უარყოფითი ნაწილაკი გამოიყენება (მაგ.: **ვერც მუქარა და ვერც შანტაჟი უკან ვერ დამახევენებს**);
5. თუ უარყოფითი ნაცვალსახელი ან ზმნიზედა მოსდევს შემასმენელს, შემასმენლის წინ უარყოფითი ნაწილაკი აუცილებელია (მაგ.: **ვერც აკეთებს ვერაფერს, შდრ.: ვერაფერს (ვერც) აკეთებს**). (არაბული 200. გვ. 177-178; გეგუჩაძე 2007:39).

ზოგადად, შეიძლება ვთქვათ, რომ ორმაგი უარყოფა გვაქვს შემდეგი კომბინაციებით:

უარყოფითი ნაცვალსახელი/ზმნიზედა/ზედსართავი + ... + არ + შემასმენელი; ნაცვალსახელი/ზმნიზედა/ზედსართავი/ნაწილაკი + არ + შემასმენელი; ნაწილაკი + შემასმენელი + უარყოფითი ნაცვალსახელი/ზმნიზედა/ზედსართავი. ანუ, ორმაგი უარყოფა წარმოებაში შეიძლება მონაწილეობას ღებულობდეს შემდეგი ლექსიკური ელემენტები: ნაწილაკებით – **არ(ა), ვერ(ა), ნუ(რა)** – ნაწარმოები ლექსიკური ერთეულები, ნაწილაკები – **არ/ვერ/ნუ**, უარყოფასთან ასოცირებული ნაწილაკი „**ლ**“ და უარყოფასთან კომბინაციაში მყოფი ნაწილაკები „**ც**“, „**არც**“.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, უარყოფის სისტემა ქართულ ენაში შეიძლება გამოვსახოთ სქემის სახით (იხ. დანართი):

დასკვნა

ქართულში უარყოფითი სემანტიკის მქონე ლექსიკური ერთეულები მცირერიცხოვანია. უარყოფის მაწარმოებელი ძირითადი საშუალებებია უარყოფითი ნაწილაკები – **არ(ა), ვერ(ა), ნუ(რა)**, რომლებიც ფუნქციონირებენ როგორც დამოუკიდებლად, ასევე სიტყვათაწარმოების პროცესში.

ორმაგ უარყოფას აწარმოებს არ(ა), ვერ(ა), ნუ(რა) ნაწილაკებით წარმოებული ნაცვალსახელები, ზედსართავი სახელები და ზმნიზედები, თვით არ(ა), ვერ(ა), ნუ(რა) ნაწილაკები, ნაწილაკი „ღ“, „ც“, „არც“.

სინტაქსური უარყოფა ქართულში მოიცავს უარყოფითი ლექსიკური ერთეულების მთელ სპექტრს.

დისკურსის დონეზე გვაქვს იმპლიციტური უარყოფა, ექსპლიციტური უარყოფა და იმპლიციტური მტკიცება (პოზიტივი) უარყოფითი მარკერის გამოყენებით.

იმპლიციტური ნეგაცია, ძირითადად, შემდეგი ფორმით გამოიხატება: „რა(ს)/რისი/ვინ + ზმნა“, „განა რა + ზმნა“, „რალა + ზმნა“, გარდა ამისა, გვხვდება ფრაზოლოგიზმები: „ეგრე საღ არის“, „საღ გინახია/გაგონილა...“, რომლებიც იმპლიციტურად გამოხატავენ ნეგაციას.

იმპლიციტური პოზიტივის გამოხატვა ხდება შემდეგი ფორმით: „არ + ზმნა“, „განა არ + ზმნა“.

ლიტერატურა

არაბული 2004. ა. არაბული, როდის გამოვიყენოთ ორმაგი უარყოფა, ქართული მეტყველების კულტურა, „უნივერსალი“, თბილისი.

გვერუძაძე 2007. ლ. გვერუძაძე, ერთმაგი უარყოფის მკდარ ფორმათა შესახებ თანამედროვე ქართულში, ქართული სალიტერატურო ენის საკითხები: ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა, პირველი კრებული, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, თბილისი.

კლდიაშვილი 1989. დ. კლდიაშვილი, სამანიშვილის დედინაცვალი, „მერანი“ თბილისი.

შატბერაშვილი 1985. გ. შატბერაშვილი, მკვდრის მზე, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.

ჯორბენაძე 1984. ბ. ჯორბენაძე, უარყოფის გამომხატველ ფორმათა ნაირსახეობისათვის ქართულში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეექვსე, „მეცნიერება“, თბილისი.

ჯორბენაძე... 1988. ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოღალური ელემენტების ლექსიკონი, „მეცნიერება“, თბილისი.

<http://iness.uib.no/gekko>; www.armazi.com.

დ ი ს კ უ რ ს ი

იმპლიციტური უარყოფა	გეშპლიციტური უარყოფა					იმპლიციტური პიზიტუვი
ს ი ნ ტ ა ქ ს ი						
ფრაგმენტები და სიტყვითა შეთანხმებები	უარყოფითი სისტემური მნიშვნელობა					ფრაგმენტები და სიტყვითა შეთანხმებები
რა(ს)/რისი/გინ + ზმნა განა რა + ზმნა რადა + ზმნა	უარყოფითი სტანტიკის ლექსიკური ერთეულები	აფიქსაცია	სიტყვითაწარმოება	ნაწილაკებით არ(ა)/ვერ(ა)/ნუ(რა) ნაწარმოები ლექსიკური ერთეულები	ნაწილაკები არ/ვერ/ნუ	უარყოფითი ასოცირებული ნაწილაკი
	დადებითი სისტემური მნიშვნელობა	ნაწილაკები	უარყოფითი ასოცირებული ნაწილაკი	უარყოფითი კომბინაცია	ლექსიკური ერთეულები	ფრაგმენტები და სიტყვითა შეთანხმებები
ური უგანა გარეშე	არა-; არა - ობა; არა - ება	უ - ი; უ - ო; უ - უნ; უ - ულ; უ - ობა; უ - ება	ნაცვალსახელები არაგინ არაგური არაგითარი არც ერთი ზედასართავები არაგისი არაგრისი ზმნიზებები არსად არასიღეს არასდროს არასეგნით	ნაცვალსახელები ვერაგინ ვერაგური ვერაგითარი ვერც ერთი ზედასართავები ვერაგისი ვერაგრისი ზმნიზებები ვერსად ვერასიღეს ვერასდროს ვერასეგნით	ნაცვალსახელები ნურაგინ ნურაგური ნურაგითარი ნურც ერთი ზედასართავები ნურაგისი ნურაგრისი ზმნიზებები ნურსად ნურასიღეს ნურასდროს ნურასეგნით	არ/ვერ/ნუ + ზმნა ლ
არი + ზმნა; განა არ + ზმნა	ორმაგი უარყოფა					არი + ზმნა; განა არ + ზმნა
ილიად ისედაც ნამდვილად ისევე სულ(აც) ოღვე ოღნედაც ოღნედაც ითიქის საერთოდ ჯერ აჯგარად	ც; არც; კი; ავი; ზომ; განა					

System of Negation in Georgian

Summary

The thesis deals with the means of expressing negation in the Georgian language. These are lexical items and phrases expressing explicit and implicit negation. In some cases a phrase with a negative marker has a positive connotation. The study is an attempt to provide a system of negation in Georgian. The research is based on literary texts. Functional analysis defines lexical items in context and reveals their functions in context.

Nominal negation in Georgian is expressed by means of suffixes and prefixes – უ – ი; უ – ი; უ – ურ; უ – ულ (forming adjectives), უ – ობა; უ – ება (forming nouns) and prefix „არა-“ with suffixes – არა-; არა – ობა; არა – ება (forming nouns).

Sentential negation in Georgian is expressed by means of particles: არ(ა), ვერ(ა), ნუ(რა) and their compound forms like: აღარ, აღარც, ვეღარა, ვერც, ვეღარც, ნურც, ნულარ, ნულარც.

Negative particles – არ(ა), ვერ(ა), ნუ(რა) – form negative adjectives, pronouns and adverbs. The particle „ლ“ in collocation with the negative words expresses negation with the limited function.

Words associated with negation in Georgian are: დიდად, ისედაც, ნამდვილად, სულ(აც), ოდნავ(აც), ოდნავადაც, თითქმის, საერთოდ, ჯერ, აშკარად. They function in text as an intensifiers of negation.

Discourse can express negation without a negative marker. This is a case of implicit negation. But discourse with negative words can express positive connotation as well - implicit assertion.

Implicit negation is expressed with the constructions: „რა(ს)/რისი/ვინ + ზმნა“ (“**ra(s)/risi/vin + verb**”), mostly with cognitive verbs (know, think, etc), „განა რა + ზმნა“, „რავა + ზმნა“ (“**gana ra + verb**”, “**raya + verb**”).

Implicit affirmation is expressed with the following phrases: „არ + ზმნა“; „განა არ + ზმნა“ („**ar + verb**“; „**gana ar + verb**“).

In case of double negation we have the following combinations: negative pronoun/adverb + ... + არ (ar) + verb; pronoun/adverb/particle + არ (ar) + verb; particle + verb + negative pronoun/adverb. Accordingly, double negation in Georgian is expressed by the following lexical items: compound words formed with the particles არ(ა)/ვერ(ა)/ნუ(რა), the particles არ/ვერ/ნუ, the particle „ლ“ associated with negation and the particle „ც“, „არც“ in combination with negation.

**აკუზატივის „გაქრობა“ კავკასიის ენებში:
არმალური თუ უნივერსალური ნიშანი?**

1. შესავალი: საკითხის დასმა

კავკასიის ენობრივი არეალის ერთ-ერთი მახასიათებელი სტრუქტურული ნიშანია სემანტიკურად Patient-როლის მიხედვით განსაზღვრული და სინტაქსურად პირდაპირ დამატებად რეალიზებული ზმნური არგუმენტისათვის სპეციალური ბრუნვის, აკუზატივის, არარსებობა ან კონტექსტურად შეზღუდული გამოყენება.

ჩრდილო კავკასიის ენებში, რომლებიც ტიპური ერგატიული მოდელის მიხედვით აფორმებენ ზმნის არგუმენტულ სტრუქტურას, პაციენსი (P), როგორც წესი, არამარკირებული ბრუნვით, აბსოლუტივით ან სახელობითით, არის გამოხატული (კიბრიკი 1997), ხოლო სამხრეთ კავკასიის (resp. ქართველურ) ენებში P-ს გაფორმების მიხედვით სხვადასხვა სახის, დრო-კილოთა და გარდამავლობის მიხედვით გახლეჩილი (დიქსონი 1979), ერგატიული კონსტრუქციები დასტურდება (შანიძე 1973; ასათიანი 2009). რაც შეეხება კავკასიის არეალში გავრცელებულ არაიბერიულ-კავკასიურ ენებს: ოსურს, სომხურსა და აზერბაიჯანულს – აქ ვითარება გართულებულია. ეს ენები ძირითადად ნომინატიური მოდელის მიხედვით აფორმებენ ზმნის არგუმენტულ სტრუქტურას და, შესაბამისად, P-ს აფორმებენ სპეციალური ბრუნვით, აკუზატივით, თუმცა ამ ბრუნვის გამოყენების სფერო შეზღუდულია და დამოკიდებულია არგუმენტის სემანტიკურ კვალიფიკაციებზე: უსულო და/ან განუსაზღვრელი სახელი შეიძლება სახელობითშიც იყოს წარმოდგენილი. მაგრამ ერგატიული კონსტრუქციის მთავარი მახასიათებელი ნიშანი – სემანტიკურად Agent-როლის მიხედვით განსაზღვრული და სინტაქსურად ქვემდებარედ (resp. სუბიექტი) რეალიზებული ზმნური არგუმენტისათვის სპეციალური ბრუნვის, ერგატივის, არსებობა ამ ენებში არ დასტურდება და, ამდენად, ამ კონსტრუქციების ერგატიულ კონსტრუქციად კვალიფიკაცია არაადეკვატურია. აკუზატივის ასეთი შეზღუდული გამოყენება შეიძლება აიხსნას კავკასიის დანარჩენი ენების გავლენით, სადაც აკუზატივი საერთოდ არ გამოიყოფა, და ვივარაუდოთ, რომ ენობრივი კონტაქტების შედეგად ამ ენებში ვლინდება აკუზატივის „გაქრობის“ ტენდენცია, რაც სხვადასხვა ხარისხით არის წარმოდგენილი როგორც ინდოევროპულ სომხურსა და ოსურ, ისე თურქული ენობრივი ოჯახის წარმომადგენელ აზერბაიჯანულ ენებში.

ეს ენობრივი ვითარება გვიბიძგებს საკვლევი თემა შემოვსაზღვროთ საკითხის ამგვარად დასმით: რასთან გვაქვს საქმე კავკასიის ენობრივ არეალში? რა განაპირობებს ენებში აკუზატივის არარსებობას და როგორ ვლინდება მისი „გაქრობის“ ტენდენცია ზოგადად სხვადასხვა ტიპის არგუმენტული სტრუქტურის ენებში, კერძოდ კი, კავკასიის არეალის ენებში? არის ეს ტენდენცია კონკრეტულად კავკასიის არეალის მახასიათებელი ტიპოლოგიური ნიშანი თუ ზოგადი უნივერსალური ენობრივი მახასიათებელი? რა გავლენა აქვს ენობრივ კონტაქტებს ამ ტენდენციის გამოვლინებაზე? და სხვ.

2. თეორიული საფუძვლები

აკუზატივის გაჩენის კოგნიტიური საფუძვლები ორი თეორიული მოდელის ფარგლებში შეიძლება იქნეს განხილული და ინტერპრეტირებული.

2.1. ირიბი ბრუნვების კოგნიტიური ფუნქცია და აკუზატივის

„გაჩენა-გაქრობის“ განმსაზღვრელი იერარქიები

მთავარი კანონზომიერება, რომელიც განსაზღვრავს ზმნური არგუმენტების (ან Ag, ან P) მარკირებულ ფორმაში (resp. ირიბ ბრუნვებში) წარმოდგენას, შეიძლება განისაზღვროს შემდეგი ზოგადი ენობრივი ტენდენციით (ამირიძე 1998):

პროტოტიპური ან პროტოტიპთან ახლო მდგომი არგუმენტები მისი წრაფვიან არამარკირებულობისაკენ მაშინ, როცა პროტოტიპიდან გადახრილი არგუმენტები უმეტესად მარკირებულ ფორმაში არიან წარმოდგენილნი.

პროტოტიპული P არის უსულო სახელი (ლანგაკერი 1991; დელანსეი 1985). შესაბამისად, მისი მარკირებულობა და, ამდენად, აკუზატივში წარმოდგენის შესაძლებლობა იზრდება აკუზატივის „გაჩენის“ შემდეგი უნივერსალური იერარქიის მიხედვით (სილვერსტაინი 1976):

უსულო / განუსაზღვრელი P < უსულო / განსაზღვრული P < სულიერი / განუსაზღვრელი P < სულიერი / განსაზღვრული P < პიროვნების გამომხატველი P < პირთა საკუთარი სახელებით გამოხატული P < III პირის P < II პირის P < I პირი P

ეს იერარქია საპირისპირო მიმართულებით მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ენაში თავს იჩენს არა „აკუზატივის“ გაჩენის, არამედ, პირიქით, მისი „გაქრობის“ ტენდენცია – აკუზატივი ქრება, უპირველეს ყოვლისა, მაშინ, როცა P-ს როლს ასრულებს უსულო და/ან განუსაზღვრელ სახელი, და მთლიანად ქრება კონკრეტული ენობრივი სისტემიდან, თუკი პირველი პირის ნაცვალსახელიც არ დასტურდება ამ ბრუნვის ფორმით.

2.2. წინადადების საინფორმაციო სტრუქტურა და ზმნის არგუმენტული სტრუქტურის ბრუნვათა ყალიბები

P-ს კოგნიტიური და დისკურსიული ფუნქციების დასადგენად ღირებულ პერსპექტივას ქმნის წინადადების საინფორმაციო სტრუქტურების თეორია.

საზოგადოდ, ინფორმაციის სტრუქტურირება, მისი შეფუთვა, ხორციელდება ოპოზიციის საფუძველზე, სადაც ინფორმაციის ერთი ნაწილი გამოიკვეთება ინფორმაციის მეორე ნაწილისგან. საკომუნიკაციო, პრაგმატიკული თვალსაზრისით, ეს გამოკვეთილი ნაწილი არის **აქტუალიზებული**, საზგასმული, მნიშვნელოვანი და წარმოგვიდგენს საინფორმაციო ნაკადში დაწინაურებულ ინფორმაციას. ნებისმიერი სახის 'დაწინაურება' (იგივე: საზგასმა, გაშუქება, ფოკუსში მოქცევა, ლოგიკური გამოკვეთა, წინ წამოწევა, თვალთახედვის ცენტრში მოქცევა და სხვა ამგვარი) შეიძლება განვიხილოთ როგორც ერთი, **საერთო ფენომენი**, რომელიც ასახავს ინფორმაციის ლინგვისტური სტრუქტურირების მთავარ სტრატეგიას.

სემანტიკური როლების მარკირებაზე ორიენტირებულ ენებში ინფორმაციის თვალსაზრისით დაწინაურებულ სახელად კონცეპტუალიზდება ან Ag, ან P, რის შედეგადაც წარმოიქმნება ან ნომინატიური, ან ერგატიული კონსტრუქციები. პირველი აფიქსირებს ინფორმაციის იმ ნაწილის დაწინაურებას, რომელიც გამოხატავს, თუ **ვინ მოქმედებს**, მეორე კი ინფორმაციის იმ ნაწილის დაწინაურებას, რომელიც გამოხატავს, თუ **რა ხდება, რა იქნება**. კონცეპტუალურად დაწინაურებული სახელი ენობრივ სტრუქტურებში ფორმალურად წარმოდგენილია არამარკირებული, სახელობითი ბრუნვით: ნომინატიურ კონსტრუქციებში ეს არის Ag, ხოლო ერგატიულ კონსტრუქციებში – P (ასათიანი 2007).

ამგვარად, ამ თეორიული მიდგომის საფუძველზე აკუზატივში მდგარი P გვიჩვენებს, რომ, ინფორმაციის სტრუქტურირების თვალსაზრისით, ის არის არადაწინაურებული სახელი.

თუ ამ ორ თეორიულ მიდგომას გავაერთიანებთ და მათ საფუძველზე შევეცდებით განვსაზღვროთ აკუზატივში მდგარი P-ს კოგნიტიური ფუნქცია, შეიძლება შემდეგი განზოგადებული ინტერპრეტაცია წარმოვადგინოთ:

P-ს კონცეპტუალური დაწინაურება, რაც ენობრივად ნიშნავს მის არამარკირებულ, სახელობით ბრუნვაში წარმოდგენას, უფრო ბუნებრივად რეალიზებულია პროტოტიპთან ახლო მდგომი P-ისთვის.

შემთავაზებული თეორიული მიდგომა კავკასიის არეალში წარმოდგენილ ენათა მონაცემების ფორმალური ანალიზის საფუძველზე მიღებული შედეგების სათანადოდ ინტერპრეტაციისა და განზოგადების საშუალება იძლევა.

3. ტიპოლოგიური მონაცემები

3.1. ჩრდილო და სამხრეთ კავკასიის ენები

რამდენადაც ჩრდილო კავკასიის ენები არის ე.წ. ტიპური ერგატიული ენები, შეიძლება ითქვას, რომ ამ ენების ერთ-ერთი ტიპოლოგიური მახასიათებელია ინფორმაციის სტრუქტურირებისას, უპირველეს ყოვლისა, P-ს ინფორმაციული გამოკვეთა-დაწინაურება, რის შედეგადაც ის ყოველთვის აბსოლუტივ/სახელობითია და აკუზატივი ამ ენებისათვის უცხოა.

სამხრეთ კავკასიის (resp. ქართველური ენები: ქართული, სვანური, მეგრული და ლაზური) გვიჩვენებენ გახლეჩილ ერგატივს. აქ ერგატიული კონსტრუქციების გამოჩენას განსაზღვრავს ორი შეზღუდვა: (1) გარდამავლობა და (2) დრო-კილოთა მიხედვით განსხვავებული ფორმები, თუმცა ამ შეზღუდვების ფუნქციონირება განსხვავებულია:

- ქართულსა და სვანურში ორივე შეზღუდვაა ღირებული – მხოლოდ მეორე სერიაში და მხოლოდ პირველი/მესამე კლასის ზმნების სუბიექტია ერგატივიში;
- მეგრულში მხოლოდ მე-(2) ფუნქციონირებს – ნებისმიერი ზმნის სუბიექტი მეორე სერიის ფორმებში ყოველთვის ერგატივიშია;
- ლაზურში კი მხოლოდ (1)-ლი – პირველ და მეორე სერიაში, პირველი ან მესამე კლასის ზმნათა სუბიექტი ყოველთვის ერგატივიშია.

რაც შეეხება აკუზატივს, ის ჩრდილო კავკასიის ენების მსგავსად, არც ქართველურ ენებში გამოიყოფა და მის ფუნქციას ითავსებს ან სახელობითი (მეორე და მესამე სერიის მწკრივებში), ან მიცემითი (პირველი სერიის მწკრივებში). შესაბამისად, მეორე და მესამე სერიაში ინფორმაციულად დაწინაურებულია P, ხოლო პირველ სერიაში – Ag. საფუძველი ასეთი „გახლეჩისა“ შეიძლება აიხსნას ტიპოლოგიურ მონაცემთა მიხედვით დადასტურებული უნივერსალური კანონზომიერების არსებობით: ბუნებრივ ენებში, დრო-კილოთა მიხედვით გახლეჩილი ერგატიული კონსტრუქციის არსებობის შემთხვევაში, ერგატიული კონსტრუქცია, როგორც წესი, გვხვდება წარსული დროის სრული ასპექტის ფორმებში, ხოლო აწმყო დროისა და უსრული ასპექტის ფორმებში ენები ნომინატიური მოდელის მიხედვით გაფორმებულ არგუმენტულ სტრუქტურას ანიჭებენ უპირატესობას (დიქსონი 1979; სილვერსტაინი 1976). კოგნიტიური საფუძველი ასეთი განაწილებისა ნათელია: აწმყო და/ან უსრული ასპექტი სემანტიკურად მიუთითებს ფორმირების სტადიაში მყოფ P-ზე და, ამდენად, მისი ინფორმაციული გამოკვეთა-დაწინაურება ნაკლებად აქტუალურია მაშინ, როდესაც სრული ასპექტის წარსული დროის შემთხვევაში P უკვე ფორმირებულია, სახეზეა მოქმედების შედეგის სახით და წარსულში შესრულებული მოქმედების ავტორთან შედარებით უფრო აქტუალური და ინფორმაციულად დატვირთულია.

3.2. კავკასიაში გავრცელებული დანარჩენი ენები:

სომხური, ოსური და აზერბაიჯანული

სომხურში მხოლოდ პირველი პირის ნაცვალსახელი დგას აკუზატივში; უსულო სახელები (როგორც განსაზღვრული, ისე განუსაზღვრელი) ნომინატივშია, ხოლო სულიერი სახელები, პირთა საკუთარი სახელების ჩათვლით, წარმოდგენილი არიან ნათესაობითის ფორმით.

მაგალითები:

- (1) *Mard nkar /nkar ' e nkarum*
 კაცი სურათი.განუსაზ. NOM/განსაზ. NOM დამხ.ზმნა ხატვა
 'კაცი ხატავს სურათს/(ამ) სურათს.'

მაგრამ:

- (2) *Mard aχჭ-an /ain aχჭ-an /Nino-in/inჟ e nkarum*
 კაცი გოგო-განსაზ. GEN/განუსაზ. გოგო-GEN/ნინო-GEN/L.ACC დ.ზმ. ხატვა
 'კაცი ხატავს გოგოს/(ამ) გოგოს/ნინოს/მე.'

ოსურში უსულო სახელები (როგორც განსაზღვრული, ისე განუსაზღვრელი), სომხურის მსგავსად, ნომინატივშია, ხოლო ყველა დანარჩენი სემანტიკური ჯგუფი სახელებისა (უსულო სახელები, საკუთარი სახელები და პირის ნაცვალსახელები) – ნათესაობითშია; ანუ, აკუზატივის გაქრობის პროცესი უფრო შორს არის წასული და მის ფუნქციებს ითავსებს ან სახელობითი, ან ნათესაობითი.

მაგალითები:

- (3) *lag vnaθ činag /acθ činag*
 კაცი ხედავს წიგნი.განუსაზ. NOM /განსაზ. წიგნი. NOM
 'კაცი ხედავს წიგნს/(ამ) წიგნს.'

მაგრამ:

- (4) *lag vnaθ (acθ) čaჟგ-θ /Nino-ja /man*
 კაცი ხედავს (განსაზ.) გოგო-GEN/ნინო-GEN /მე. GEN
 'კაცი ხედავს (ამ) გოგოს/ნინოს/მე.'

თანამედროვე ოსურში, როგორც ჩანს, აკუზატივის გაქრობის ტენდენცია უფრო შორს მიდის, რამდენადაც ზეპირმეტყველებაში აკუზატივის ნაცვლად გამოყენებული სახელობითი ან ნათესაობითი ერთმანეთის თავისუფლადმონაცვლე ვარიანტებია.

აზერბაიჯანულში მხოლოდ უსულო განუსაზღვრელი სახელი დგას სახელობით ბრუნვაში, ყველა სხვა ტიპის სახელი კი აკუზატივშია; ანუ, აზერბაიჯანულში აკუზატივის გაქრობის ტენდენცია შეჩერებულია იერარქიის პირველსავე საფეხურზე.

მაგალითები:

- (5) *kiši šekil čeker*
კაცი სურათი.განუსაზ.NOM ხატავს
'კაცი ხატავს სურათს.'

მაგრამ:

- (6) *kiši bu šekl-t /glz-t / bu glz-t*
კაცი განსაზ. სურათი-ACC/განუსაზ. გოგო-ACC /განსაზ. გოგო-ACC
/Nino-ju /men-t čeker
/ნინო-ACC /მე-ACC ხატავს
'კაცი ხატავს (ამ) სურათს/გოგოს/(ამ) გოგოს/ნინოს/მე.'

საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელთა მეტყველებაში (განსაკუთრებით თბილისში) აკუზატივის გაქრობის პროცესი უფრო შორს არის წასული: სახელობითი თავისუფლადმონაცვლე მორფოლოგიური ალომორფია სულიერი და/ან განსაზღვრული P-სთვისაც, თუმცა არასოდეს გვხვდება P-ს როლში წარმოდგენილი საკუთარი სახელებისათვის ან პირის ნაცვალსახელებისათვის.

3.3. სხვა ენები: თურქული, ირანული, რუსული, ინგლისური

თურქულში განუსაზღვრელი სახელები (როგორც სულიერი, ისე უსულლო) სახელობითში არიან წარმოდგენილნი, ხოლო ყველა სხვა სახელი – აკუზატივში.

მაგალითები:

- (7) *Adam resim /kız çizijor*
კაცი სურათი.NOM /გოგო.განუსაზ.NOM ხატავს
'კაცი ხატავს სურათს/გოგოს.'

მაგრამ:

- (8) *Adam resm-t /kız-i /Nino-ju /ben-i çizijor*
კაცი სურათი.განსაზ-ACC/გოგო.განსაზ-ACC/ნინო-ACC /მე-ACC ხატავს
'კაცი ხატავს (ამ) სურათს/(ამ) გოგოს/ნინოს/მე.'

ირანულში განუსაზღვრელი სახელები (როგორც სულიერები, ისე უსულლოები) სახელობითშია, დანარჩენები კი წარმოდგენილნი არიან ე.წ. აკუზატივის ფუნქციის მქონე ნაწილაკებით.

მაგალითები:

- (9) *mard (iek) naq'āš(i) /doxtar(i) mikešad*
კაცი (ერთი) სურათი.განუსაზ.NOM /გოგო.განუსაზ.NOM ხატავს
'კაცი ხატავს სურათს/გოგოს.'

მაგრამ:

- (10) *mard naq'āš(i) /doxtar(i) /Nino /man rā mikeša*
man სურათი.განსაზ. /გოგო.განსაზ. /ნინო /მე ACC ხატავს
'კაცი ხატავს (ამ) სურათს/(ამ) გოგოს/ნინოს/მე.'

რუსულში P-ს ბრუნვა განისაზღვრება კომპლექსური მორფოფონოლოგიური ნიშნებით. აქ გამოიყოფა სამი ტიპის ბრუნვა, რომელთა განმასხვავებელი ერთ-ერთი ნიშანი არის P-ს განსხვავებული გაფორმებები.

I-ტიპის ბრუნვა: მხოლობითში მდგარი სახელები აკუზატივშია, მრავლობითი სულიერი სახელები – ნათესაობითში, ხოლო მრავლობითი უსულო სახელები – სახელობითში;

II-ტიპის ბრუნვა: სულიერი სახელები წარმოდგენილი არიან ნათესაობითში, უსულოები კი სახელობითში;

III-ტიპის ბრუნვა: მხოლობითში მდგარი სახელები სახელობითშია, მრავლობითი სულიერი სახელები – ნათესაობითში, ხოლო მრავლობითი უსულო სახელები – სახელობითში;

მაგალითები:

- (11) *mužčina risuet portret /okno /knig-i*
კაცი ხატავს სურათი.NOM/ფანჯარა.NOM/წიგნი-PL.NOM
'კაცი ხატავს სურათს/ფანჯარას/წიგნებს.'

მაგრამ:

- (12) *mužčina risuet knig-u /devočk-u*
კაცი ხატავს წიგნი-ACC/გოგო-ACC
'კაცი ხატავს წიგნს/გოგოს.'

ინგლისურში ყველა სახელი წარმოდგენილია სახელობითით, გარდა პირის ნაცვალსახელებისა, რომლებიც P-ს როლში გამოხატულნი არიან აკუზატივით.

მაგალითები:

- (13) *The man draws a/the picture /girl /Nino*
განსაზ. კაცი ხატავს განუსაზ./განსაზ. სურათი.NOM/გოგო.NOM/ნინო.NOM
'(ეს) კაცი ხატავს (ერთ)/(ამ) სურათს/გოგოს/ნინოს.'

მაგრამ:

- (14) *The man draws me /him*
განსაზ. კაცი ხატავს მე.ACC /მას.ACC
'(ეს) კაცი ხატავს მე/მას.'

4. მონაცემთა ინტერპრეტაცია და ანალიზი

წარმოდგენილ მონაცემთა ანალიზის საფუძველზე ნათლად ჩანს, რომ აკუზატივი ქრება სილვერესტანის იერარქიის შესაბამისად. ნათესაობითი ან მიცემითი ბრუნვა შეიძლება განვიხილოთ აკუზატივის გაქრობის შუალედურ ეტაპებად – აკუზატივის გაქრობის გარდამავალი საფეხურები შემდეგი იერარქიით შეიძლება აღიწეროს: ACC>GEN/DAT>NOM; ანუ, მიცემით/ნათესაობითი გვიჩვენებს, რომ P-ს (res. DO) ფუნქციონალური დატვირთულობა მცირდება, თუმცა მისი მარკირებულობა ჯერ კიდევ შენარჩუნებულია.

რა იწვევს აკუზატივის ამგვარ დასუსტება/გაქრობას? ოსურის, სომხურისა და აზერბაიჯანული სათავის, ასევე, სავარაუდოდ, თურქული და, ნაწილობრივ, ირანული სათავისაც, ეს შეიძლება იყოს ენათა კონტაქტების (უპირველეს ყოვლისა, ჩრდილო და სამხრეთ კავკასიის ენებთან) შედეგად ჩამოყალიბებული საერთო არეალური ნიშანი, რომელიც კავკასიის მთელი არეალისა და მისი მოსაზღვრე რეგიონებისათვის არის დამახასიათებელი; მაგრამ, მსგავსი ტენდენცია გვხვდება სხვა ენებშიც, მაგ., რუსულსა და ინგლისურში (სხვა მსგავსი მაგალითებისათვის სხვადასხვა სტრუქტურის ენებში იხ. დიქსონისა (1979) და კიბრიკის (1997) ნაშრომები.), სადაც ენათა კონტაქტებით განპირობებული ამ სახის გავლენები არ ივარაუდება. ამდენად, უფრო ადეკვატური ჩანს, ვივარაუდოთ ზოგადად ენათათვის დამახასიათებელი უნივერსალური ტენდენციის არსებობა, რომელიც ინფორმაციის ლინგვისტური სტრუქტურირების დინამიკურ პროცესებს ასახავს, სადაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს უნივერსალური იერარქიული მიმართებები. უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი უნივერსალური ტენდენციის გამოვლინებას კონკრეტულ ენებში უდავოდ ხელს უწყობს ენობრივი კონტაქტები; ანუ, ენათა გავლენები აქტიურებენ უნივერსალური კანონზომიერებების რეალიზაციებს.

5. დასკვნები

ზემოთ წარმოდგენილი ანალიზი შეიძლება შეჯამდეს შემდეგი დასკვნებით:

- აკუზატივის გაქრობის შესაბამის პროცესებს განსაზღვრავს უნივერსალური იერარქიები, რომლებიც ენათა ტიპოლოგიური კვლევის შედეგად არის დადგენილი და ემპირიული მასალის ანალიზს ეფუძნება;
- აკუზატივის გაქრობა შეიძლება აიხსნას P-ს ინფორმაციული ღირებულების გაზრდით, მისი ინფორმაციული დაწინაურება-გამოკვეთით, რაც განაპირობებს ზმნის არგუმენტული სტრუქტურის ფორმალური ყალიბის ცვლას: P ჩნდება არამარკირებულ (resp. სახელობით) ბრუნვაში.
- აკუზატივის გაქრობა უფრო ბუნებრივია პროტოტიპული ან პროტოტიპთან ახლი მდგომი P-სათვის; „პროტოტიპთან სიახლოვე“ არამკვეთრი ცნებაა და ემპირიულად გამოვლენილი იმპლიკაციური ხასიათის უნივერსალური მიმართებების საფუძველზე დადგენილი იერარქიებით გამოიხატება, რომლებიც აკუზატივის გაქრობის კოგნიტიურ საფუძვლებს ასახავენ.

- P-ს პროტოტიპულობის განმსაზღვრელი კოგნიტიური საფუძვლები, ინფორმაციის გამოკვეთა-დაწინაურების პროცესებთან ერთად, ქმნის აკუზატივის გაქრობისათვის შესაფერის პირობებს.
- ენობრივი კონტაქტები, უდავოდ, ხელს უწყობენ უნივერსალური ენობრივი კანონზომიერების რეალიზაციას.

ლიტერატურა

- ამირიძე 1998:** ნ. ამირიძე, *კონცეპტუალური არქექტიპები და მათი ასახვა მორფოსინტაქსში*, დისერტაციის ბიულეტენი, თბილისი.
- ასათიანი 2007:** R. Asatiani, *The Main Devices of Foregrounding in the Information Structure of Georgian Sentences*, In: Proceedings of Tbilisi Symposium on Language, Logic and Computation - 2005. Amsterdam: Springer, 21-31.
- ასათიანი 2009:** რ. ასათიანი, *ენის დომინანტური კატეგორია და ერგატიულ კონსტრუქციათა თავისებურებანი ქართულსა და წოვა-თუშურში*, ენათმეცნიერების საკითხები, I-II, თბილისი.
- დელენსეი 1985:** S. DeLancey, *Agentivity and Syntax*, In: Eilfort W.H., Kroeber P.D and Peterson K.L. (eds.), *Papers from the Parasession on Causatives and Agentivity*, Chicago: Chicago Linguistic Society, 1-12.
- დიქსონი 1979:** R. M.W. Dixon, *Ergativity*. Cambridge: Cambridge Un. Press.
- კიბრიკი 1997:** A. Kibrik, *Beyond Subject and Object: Toward a Comprehensive Relational Typology*, In: *Linguistic Typology*. I. Berlin-New York: Mouton de Gruyter, 279-346.
- ლანგაკერი 1991:** R. W. Langacker, *Foundation of Cognitive Grammar*, Vol. 2. Descriptive Application. Stanford: Stanford University Press.
- სილვერსტაინი 1973:** M. Silverstein, *Hierarchy of Features and Ergativity*, In: Dixon R.M.W. (ed.). *Grammatical Categories in Australian Languages*. Canberra: Australian Institute of Aboriginal Studies, 112-171.
- შანიძე 1973:** ა. შანიძე, *ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I*, თბილისი.

Rusudan Asatiani

The Disappearance of the Accusative: An Areal or Universal Tendency?

Summary

The main regularity that defines the appearance of verb arguments in marked forms (res. cases) can be defined on the basis of the following general linguistic tendency: *The arguments closer to prototypes strive to be unmarked while deviations from the prototypes mostly have to be formally marked*. The regularity clarifies the nature of Silverstein's hierarchies (1976): Markedness of the Patient, which is a prototypically inanimate noun, is increasing (consequently, the possibility of appearance of accusative is increasing as well) according to the following universal hierarchy:

Inanimate (Indefinite) nouns < // Inanimate (Definite) nouns < Animate (Indefinite) nouns < // Animate (Definite) nouns < Persons < Proper nouns < III- person < II-person // I-person

The main typological feature for the Caucasian languages, which are defined as the so-called Ergative languages, is unmarkedness of the Patient. That is: no Accusative is found in the most Caucasian languages.

Some languages from Caucasus (and not only those) represent the tendency of accusative disappearance, and the above given hierarchy has the controversial direction: First of all, accusative disappears for inanimate (and/or indefinite) nouns and the process is completed when it disappears for I/II personal pronouns. A cross-linguistic data show different stages of accusative disappearance; e.g.:

Armenian - Inanimate nouns are unmarked (res. they are in Nominative);

Ossetian - Inanimate indefinite nouns are unmarked (res. in Nominative);

Turkish - Indefinite nouns are unmarked (res. in Nominative);

Finno-Ugric - Indefinite nouns are unmarked (res. in Nominative);

English - All nouns except I/II pronouns are unmarked (res. in Nominative);

Russian - Inanimate masculine and neutral nouns are unmarked (res. in Nominative), etc.

It seems that this phenomenon depicts a common areal feature of the languages of the Caucasus (e.g., in Ossetian, Armenian and Azerbaijanian; possibly, in Turkish and, partially, in Persian); this could be explained by the influence of Caucasian (first of all North Caucasian) languages; nevertheless the same tendency takes place in languages where such influence of non-accusative languages might be excluded. So, it seems more reasonable to speak about the general tendency of dynamic processes of linguistic structuring where the universal hierarchy plays an important role. In any case, it is clear that the language contacts make an appropriate grounds for the realization of these tendencies.

ზურაბ ბარათაშვილი

ლიათეზა და გვარის კატეგორია ქართულში

გრამატიკული კატეგორია განიმარტება როგორც ისეთ სავალდებულო და ურთიერთგამომრიცხავ გრამემათა სიმრავლე, რომელთაგან მხოლოდ ერთი უნდა იყოს წარმოდგენილი სიტყვაფორმაში (პლუნგიანი 2000:108). ნებისმიერ გრამატიკულ მნიშვნელობას აუცილებლად უნდა ჰქონდეს გამოხატულების საშუალება, რომელიც შეიძლება იყოს **მორფოლოგიური** (აფიქსაცია, სუპრაფიქსაცია, რეპლიკაცია, მოდიფიკაცია, კონვერსია) ან **არამორფოლოგიური** (კლიტიკური ნაწილაკი, სუპლეცია) (მელჩუკი 2006).

გვარის გრამატიკული კატეგორიის განხილვისას აუცილებელია სემანტიკური და სინტაქსური (სილმისეული და ზედაპირული) აქტანტების, დიათეზისა და ზმნის გარდამავლობის გათვალისწინება (მელჩუკი 2006:174).

ლიათეზა წარმოადგენს მოცემული სიტყვაფორმის სემანტიკური და სინტაქსური აქტანტების ურთიერთშესაბამისობას. სქემატურად ლიათეზა ჩაიწერება ორსტრიქონიანი ცხრილის სახით. პირველ სტრიქონში წარმოდგენილია მოცემული სიტყვაფორმის სემანტიკური აქტანტები, რომლებიც ამ ზმნური ლექსემის ლექსიკურ განმარტებაში შედიან, ხოლო მეორე სტრიქონში – სინტაქსური აქტანტები, რომლებიც მოცემულ სემანტიკურ აქტანტებს შეესატყვისებიან.

მაგალითად, რუს. рабочие строят дом „მუშები აშენებენ სახლს“ და მისი პასიური კორელატი дом строится рабочими „სახლი შენდება მუშების მიერ“ სქემატურად ასე ჩაიწერება (ტესტელეცი 2001:412):

აქტიური კონსტრუქცია

X (აგენსი)	Y (პაციენსი)
ქვემდებარე	დამატება
სახ. ბრუნვა	ბრალდ. ბრუნვა

პასიური კონსტრუქცია

X (აგენსი)	Y (პაციენსი)
აგენსური დამატება	ქვემდებარე
მოქმედებ. ბრუნვა	სახ. ბრუნვა

პირველ წინადადებაში აგენსი (рабочие) გადმოცემულია სახელობითი ბრუნვით (ქვემდებარის ბრუნვა), ხოლო პაციენსი (дом) ბრალდებითი ბრუნვით (დამატების ბრუნვა). მეორე კონსტრუქციაში აგენსი (рабочие) წარმოდგენილია მოქმედებითი ბრუნვით, რომლის ერთ-ერთი ფუნქციაა აგენსური დამატების გამოხატვა, ხოლო პაციენსი (дом) სინტაქსურად ქვემდებარით არის გადმოცემული და დგას სახელობით ბრუნვაში.

თითოეულ ლექსემას აქვს ერთი, ძირითადი, **ბაზისური დიათეზა**. ბაზისური დიათეზა წარმოადგენს ზმნის ლექსიკოგრაფიულ, სალექსიკონო განმარტებას (მელჩუკი 2006:181). ბაზისური დიათეზა მიეწერება მხოლოდ ლექსემას, ხოლო მოცემული ლექსემის სიტყვაფორმებს (ალოლექსებს) შეიძლება ჰქონდეთ განსხვავებული დიათეზები (მელჩუკი 1998:163). ისინი მიიღება ამ ლექსემის სხვადასხვა მოდიფიკაციით. ბაზისური დიათეზა, ნაწარმოები დიათეზებისგან განსხვავებით, ხასიათდება შემდეგი სამი ნიშნის მიხედვით: **1.** სინტაქსური აქტანტების მეშვეობით გამოიხატება ყველა სემანტიკური აქტანტი, რომლებიც ზმნით გადმოცემული სიტუაციის განმარტებაში მონაწილეობენ; **2.** ყოველი სემანტიკური აქტანტი შეესატყვისება ცალკეულ რეფერენტს; **3.** სემანტიკური როლების იერარქია (აგენსი > პაციენსი > ბენეფაქტივი > სხვა დანარჩენი) შეესატყვისება სინტაქსური ერთეულების (წინადადების წევრების) იერარქიას (ქვემდებარე > პირდაპირი დამატება > ირიბი დამატება > სხვა დანარჩენი).

მაგალითად, *რუს.* *собака кусает человека „ძალი კბენს კაცს“* და *собака кусается „ძალი იკბინება“* წყვილის მეორე წინადადებაში ზმნის სტრუქტურა არ გამოხატავს ამოსავალ დიათეზას პირველი ნიშნის მიხედვით, რადგან მასში არ არის გადმოცემული სიტუაციაში მონაწილე ერთ-ერთი აქტანტი, რომელიც პირველ წინადადებაშია წარმოდგენილი (человека). *რუს.* *мать одевает девочку „დედა აცმევს გოგონას“* და *девочка одевается „გოგონა იცვამს“* წყვილის მეორე წინადადებაში ზმნის სტრუქტურა არ გამოხატავს ამოსავალ დიათეზას მეორე ნიშნის მიხედვით, რადგან ორი სხვადასხვა სემანტიკური აქტანტი (აგენსი და პაციენსი) ერთ რეფერენტს შეესატყვისება. *Наполеон разбил войска коалиции „ნაპოლეონმა გაანადგურა კოალიციის ჯარები“* და *войска коалиции были разбиты Наполеоном „კოალიციის ჯარები განადგურდნენ ნაპოლეონის მიერ“* წყვილის მეორე წინადადებაში ზმნის სტრუქტურა არ გამოხატავს ამოსავალ დიათეზას მესამე ნიშნის მიხედვით, რადგან დარღვეულია სემანტიკურ და სინტაქსურ აქტანტთა იერარქიული შესაბამისობა: აგენსი (Наполеон) არ არის გადმოცემული ქვემდებარით (ტესტელეცი 2001:413).

თუ მოცემული სემანტიკური აქტანტი ბაზისური დიათეზის დროს სინტაქსურად გამოხატულია ქვემდებარით, ხოლო ნაწარმოები დიათეზის დროს – არა, მაშინ ასეთ ნაწარმოებ დიათეზას **პასიური** ეწოდება. პასიური დიათეზა სქემატურად ასე გამოიხატება:

აქტიური დიათეზა

X (აგენსი)	Y (პაციენსი)
ქვემდებარე	პირდაპირი დამატება

პასიური დიათეზა

X (აგენსი)	Y (პაციენსი)
არაქვემდებარე	წინადადების ნებისმიერი წევრი

პასივის განმარტებაში არ შედის ინფორმაცია პირდაპირი დამატების შესახებ, რადგან გარდაუვალ აქტიურ ზმნას საერთოდ არ აქვს პირდაპირი დამატება. მაგალითად, წინადადებაში *რუს. мы с ними договорились* „ჩვენ მათ მოველაპარაკეთ“ აქტიური გარდაუვალი ზმნის (*договорились*) მოდიფიკაციით მივიღებთ პასიურ კონსტრუქციას *с ними договорено* „მათთან მოლაპარაკებულა“, სადაც მოხდა ქვემდებარისა და არა – პირდაპირი დამატების მოდიფიკაცია, რადგან მოცემულ წინადადებაში საერთოდ არ არის წარმოდგენილი პირდაპირი დამატება (ტესტელეცი 2001:414). აქტივსა და პასივს შორის განსხვავება დამოკიდებულია ან მხოლოდ **პერმუტაციაზე** (გადანაცვლება), ან პერმუტაციასა და **სუპრეციაზე** (აკრძალვა, მოცილება, მოშორება). პერმუტაციის დროს ირღვევა მხოლოდ შესაბამისობა სემანტიკურ და სინტაქსურ აქტანტებს შორის – აგენსი არ გადმოიცემა ქვემდებარით; ხოლო სუპრეციის დროს აგენსი საერთოდ არ გამოიხატება სინტაქსურად.

სემანტიკური აქტანტების **რეფერენციული იდენტიფიკაციით** (ორი აქტანტის ერთმანეთთან გაიგივება) და ერთ-ერთი სინტაქსური აქტანტის **სუპრეციით** მიიღება **რეფლექსიური** დიათეზა:

აქტიური დიათეზა

X (აგენსი)	Y (პაციენსი)
ქვემდებარე	პირდაპირი დამატება

რეფლექსიური დიათეზა

X = Y
ქვემდებარე

მაგალითად, *რუს. Иван сдержал себя* „ივანმა თავი შეიკავა“ და *Иван сдержался* „ივანი შეკავდა“ (ზედმიწ.). პირველ წინადადებაში ორი სემანტიკური აქტანტის რეფერენციული იდენტიფიკაცია ორი სხვადასხვა სინტაქსური წევრით არის გადმოცემული, ხოლო მეორე შემთხვევაში წინადადება აკმაყოფილებს რეფლექსიური კონსტრუქციის პირობებს: მოხდა სემანტიკურ აქტანტთა რეფერენციული იდენტიფიკაცია და ერთ-ერთი სინტაქსური აქტანტის სუპრეცია.

დიათეზის საშუალებით შესაძლებელია გვარის გრამატიკული კატეგორიის განმარტება. **გვარი** წარმოადგენს ფლექსიურ კატეგორიას, რომლის გრამემები მიუთითებს ლექსემის ბაზისური დიათეზის მოდიფიკაციას და არ ცვლის მის პროპოზიციულ მნიშვნელობას (მელჩუკი 2006:182). თუ ბაზისური დიათეზა ან მისი ერთ-ერთი მოდიფიკაცია მორფოლოგიურად არ არის გამოხატული, მაშინ ენაში არ იქნება წარმოდგენილი გვარის გრამატიკული კატეგორია.

ამ განმარტების მიხედვით, გვარის კატეგორიას არ განეკუთვნება ისეთი შემთხვევა (და არ წარმოადგენს მოცემული ლექსემის დიათეზის მოდიფიკაციას), როდესაც იცვლება მხოლოდ აქტანტის ზედაპირულ-სინტაქსური რანგი

და არ იცვლება მისი სიღრმისეულ-სინტაქსური როლი, მაგ.: რუს. ШВЫРЯТЬ КАМНИ „ქვების სროლა“ [პირდაპირი დამატება, ბრალდებითი ბრუნვა]; ШВЫРЯТЬСЯ КАМНЯМИ „ქვების სროლა“ [ირიბი დამატება, მოქმედებითი ბრუნვა] (მელჩუკი 2006:183).

გვართან ახლოს დგას აქტანტური დერივაციით მიღებული კატეგორიები: კაუზატივი, დეკაუზატივი (ანტიკაუზატივი), აპლიკატივი და ვერსია (ქცევა). მიუხედავად იმისა, რომ კაუზატივი, დეკაუზატივი და აპლიკატივი იწვევენ ბაზისური დიათეზის ცვლას, ისინი მაინც არ ერთიანდებიან გვარის კატეგორიაში, რადგან ცვლიან მოცემული ლექსემის პროპოზიციულ მნიშვნელობას. კაუზატივი წინადადებაში შემოაქვს ქვემდებარეს, რომელიც გადმოსცემს აგენსს, აპლიკატივი – პირდაპირ დამატებას, ხოლო ქცევა (სასხვისო ქცევა) – ირიბ დამატებას, რომელიც გამოხატავს ბენეფაქტივს (ტესტელეცი 2001:432). კაუზატივსა და დეკაუზატივს შორის განსხვავება მორფოლოგიურად უნდა გამოჩნდეს: თუ შედარებით მარტივი არაკაუზატიური შინაარსის ფორმისგან მორფოლოგიური საშუალებებით მიღებულია ფორმა, რომელიც გამოხატავს კაუზატივს, მაშინ მოცემულ ენაში წარმოდგენილია მორფოლოგიური კაუზატივი, ხოლო თუ ენაში შედარებით მარტივი კაუზატიური შინაარსის ფორმისგან მორფოლოგიური საშუალებებით მიღებულია ფორმა, რომელიც არაკაუზატიურ შინაარსს გამოხატავს, მაშინ მოცემულ ენაში წარმოდგენილია დეკაუზატივი. თუ ამგვარი მნიშვნელობა მორფოლოგიურად არ არის მარკირებული, შეუძლებელია იმის დადგენა, მოცემული ფორმა გამოხატავს კაუზატივს თუ დეკაუზატივს: ინგლ. We broke the window „ჩვენ გავტეხეთ ფანჯარა“ და The window broke „ფანჯარა გატყდა“ (ტესტელეცი 2001:434).

ქართულ ენაში ტრადიციულად გამოყოფენ გვარის გრამატიკული კატეგორიის სამ მნიშვნელობას: მოქმედებითს (აქტივი), ვნებითს (პასივი) და საშუალებას (მედიუმი), რომელთაგან მხოლოდ ვნებითს აქვს მორფოლოგიური გამოხატვის საშუალება: /ი-/ , /ე-/ , /-დ/ , /-ღ/ (შანიძე 1980). რადგან მორფოლოგიური მაჩვენებელი მხოლოდ ერთ მნიშვნელობას აქვს, აქედან გამომდინარე, შეუძლებელია დანარჩენი ორი მნიშვნელობის ერთმანეთისაგან გამიჯვნა, ამიტომ მოქმედებით გვარსაც დაუბეზნეს მარკერი – /ა-/:

- ა-ვსებს ~ ი-ვსება, ა-ნგრევს ~ ი-ნგრევა, ა-მსხვრევს ~ ი-მსხვრევა,
- ა-შენებს ~ შენ-დ-ება, ა-ვორებს ~ ვორ-დ-ება, ა-წითლებს ~ წითლ-დ-ება,
- ა-თბობს ~ თბ-ღ-ება, ა-შრობს ~ შრ-ღ-ება, ა-ლობს ~ ლბ-ღ-ება.

ჩამოთვლილ ოპოზიციურ წყვილებში წარმოდგენილ პირველ წევრში გამოყოფილ /ა-/ მორფს აკისრებენ მოქმედებითი გვარის გამოხატვის ფუნქციას, ხოლო მეორე წევრში გამოყოფილ /ი-/ პრეფიქსს, /დ-/ და /ღ-/ სუფიქსებს – ვნებითი გვარის ფუნქციას (ონიანი 2003:131). ასევე გამოყოფენ მოქმედებითი

გვარის გამომხატველ /Ø-/ პრეფიქსს: Ø-წერს ~ ი-წერება, Ø-ჭრის ~ ი-ჭრება, Ø-ძლავს ~ ი-ძლავება (ონიანი 2003:132).

როგორც მიუთითებენ, გვარის გრამატიკული კატეგორიის ასეთ დაყოფას რამდენიმე წინააღმდეგობა ახლავს: დასტურდება ისეთი ზმნები (დებონენსები), რომელთა მორფოლოგიური ანალიზის დროს გამოყოფენ /ი-/ და /ე-/ პრეფიქსებს, მაგრამ მათ პასიურის ნაცვლად აქტიური შინაარსი ახასიათებთ: ი-ღრინება, ი-ყურება, ი-მუქრება, ე-ჯიბრება, ე-ფერება. ისინი ფორმით ვნებითს ემოხვევიან, მაგრამ შინაარსი აქტიური ზმნის აქვთ (შანიძე 1980). წინააღმდეგობის თავიდან ასაცილებლად, ამ ზმნებში წარმოდგენილი /ი-/ და /ე-/ პრეფიქსები იმავე ფონემური შედგენილობის ომონიმურ პრეფიქსებად ანალიზდება (ონიანი 2003:135).

გვარის გრამატიკული კატეგორიის გამოყოფის შემთხვევაში წარმოიქმნება მეორე წინააღმდეგობაც: შესაძლებელია /უ-/ პრეფიქსის მიჩნევა მოქმედებითი გვარის მაწარმოებლად შემდეგ ოპოზიციურ ფორმებში: უ-ხატავს ~ ე-ხატება, უ-კერავს ~ ე-კერება, თუმცა გაუგებარია, რას გამოხატავს /უ-/ პრეფიქსი უ-შენებს ~ უ-შენდება, უ-კეთებს ~ უ-კეთდება ტიპის წყვილთა მეორე წევრებში (დონ-იანი ვნებითი) (ონიანი 2003:133). როგორც ჩანს, გვარის გრამატიკული კატეგორია უკავშირდება ქცევის გრამატიკულ კატეგორიას, რადგან, ტრადიციულად, /ა-/ , /ი-/ და /უ-/ მორფები მიიჩნევა ქცევის სხვადასხვა მნიშვნელობის გამომხატველად.

არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმად, ხმოვანი პრეფიქსების მთავარი ფუნქციაა არა გვარის ან ქცევის გამოხატვა, არამედ ირიბი ობიექტისა და რეფლექსიურობისა: /ა-/ , /უ-/ და /ე-/ გამოხატავენ ირიბ ობიექტს, ხოლო /ი/ – რეფლექსიურობას (ჯორბენაძე 1983).

გარდამავალ ზმნებში გამოყოფენ ორი ტიპის უკუქცევით ზმნებს: უკუქცევითი ზმნები, რომლებიც წარმოიქმნიან ირიბი დამატების ელიმინაციით (*მამამ ჩააბარა ბავშვი აღმზრდელს ~ მამამ ჩააბარა ბავშვი*) და ზმნები, რომლებიც ვერ ცვლიან ამოსავალი ზმნის დიათეზის სტრუქტურას (*მამამ ააშენა სახლი ~ მამამ აიშენა სახლი*) (ქარქაშაძე 2007:121).

გ. ნებიერიძის აზრით, ზემოთ განხილული ზმნური პრეფიქსები გამოხატავენ ქცევის გრამატიკულ კატეგორიას როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ ზმნებში. მკვლევარი მთავარ კრიტერიუმად იღებს სუბიექტისა და ირიბი ობიექტის რეფლექსიურობას:¹ „ქცევის დეფინიციისას რელევანტურია მხოლოდ სუბიექტი და ირიბი ობიექტი: თუ სუბიექტის მოქმედება რეფლექსურია, ე.ი. სუბიექტი ერთდროულად აგენტიც არის და რეციპიენტიც, მაშინ გვექნება სათავისო ქცევა, თუ სუბიექტის მოქმედება ირეფლექსურია, მაშინ

¹ უფრო ზუსტად, გ. ნებიერიძე კრიტერიუმად იღებს სემანტიკურ აქტანტთა იდენტიფიკაციას.

გვექნება ორგვარი ქცევა – სასხვისო და საარვისო. სასხვისო იქნება ქცევა, თუ სუბიექტი მხოლოდ აგენტია და ირიბი ობიექტი მხოლოდ რეციპიენტი, ხოლო საარვისო იქნება ქცევა, თუ სუბიექტი მხოლოდ აგენტია და ირიბი ობიექტი ან არ ექნება, ანდა არ იქნება რეციპიენტი“ (ნებიერიძე 1976: 138). ვნებითი და საშუალო გვარის „ზმნებში განსხვავდება ქცევის ორი სახე – სათავისო და სასხვისო, ხოლო მოქმედებითი გვარის ზმნებში სამი – სათავისო, სასხვისო და საარვისო“ (ნებიერიძე 1976:144). „მედლოაქტიური ზმნის სასხვისო ქცევის პარადიგმაში სუბიექტის მოქმედებას განიცდის ირიბი ობიექტი, ხოლო სათავისო ქცევის პარადიგმაში სუბიექტის მოქმედებას განიცდის ისევ სუბიექტი“ (ნებიერიძე 1976:135). თუ ზმნა რეფლექსიურია, მედლოაქტივში /ი-/ სათავისო ქცევას გამოხატავს, ხოლო საპირისპირო შემთხვევაში – სასხვისო ქცევას. /ი-/ და /ე-/ ვნებითი გვარის ზმნებში გამოხატავს ქცევას, და არა გვარს: /ი-/ – სათავისო ქცევას (*იძალება*), ხოლო /ე-/ – სასხვისოს (*ეძალება*). /Ø-/ პრეფიქსი უნიშნო და ღონ-იანი ვნებითში გამოხატავს სათავისო ქცევას (*ქრება, წითლდება*), ხოლო /ი-/ და /უ-/ – სასხვისო ქცევას (*გიქრები, გიწითლდები; უქრება, უწითლდება*). სტატიკურ ვნებითსა და მედლოპასივში /ი-/ და /უ-/ სასხვისო ქცევას გამოხატავს (*გიწერივარ, გიზივარ; ვუწერივარ, ვუზივარ; გიწერია, გიზის; უწერია, უზის*) და /Ø-/ სათავისოს (*ვწერივარ, ვზივარ; წერია, ზის*), ხოლო მედლოპასივის მყოფაღში /ი-/ – სათავისო ქცევას (*იჯდება*), /ე-/ – სასხვისოს (*ეჯდება*). სტატიკურ მყოფაღში რეფლექსიურ ფორმებთან /ე-/ სათავისო ქცევას (*ის ეწერება*) გამოხატავს, ხოლო საპირისპირო შემთხვევაში – სასხვისოს (*ის ეწერება მას, ის ეწერა მას*) (ნებიერიძე 1976).

როგორც მიუთითებენ, აღნიშნული პრეფიქსებისა (/ა-, /ი-, /უ-) და სუფიქსების (/ლ-, /Ø/) სემანტიკა არ გამოხატავს გვარისა და დიათეზის მნიშვნელობებს: ღონ-იანი ფორმები წარმოადგენს მოქმედების ან მდგომარეობის მიღწევის საწყის წერტილს (ჰოლისკი 1981:137). ასეთ მნიშვნელობას – ინქლასიურობას გამოხატავს უნიშნო (ანუ /Ø/-სუფიქსიანი) ფორმებიც (*ინთება, თბება, შრება, ღებება*) (გეწაძე, ნელიალკოვი, ხოლოდოვიჩი 1969:140).

ვნებითი და მოქმედებითი გვარის ფორმებისთვის ამოსავლად საშუალო გვარის ფორმებს მიიჩნევენ მ. ივანიშვილი და ე. სოსელია. „საშუალო გვარის ფორმებით, ძირითადად, გარკვეული სახის მუდმივობა გამოიხატება – უმთავრესად ეს არის ღროში შეუზღუდავი მოქმედება (რომლის არც დასაწყისი და არც დასასრული არ არის ასახული შესაბამისი ზმნური ფორმის სემანტიკაში) და, ამდენად, იგი შეიძლება მოვიაზროთ როგორც მდგომარეობა აქტივობის გარკვეული ხარისხით“ (ივანიშვილი, სოსელია 2002:135).

მოქმედებითი გვარის სემანტიკაში საშუალო გვართან მიმართებით შემოდის გარეგანი კაუზატორი/ინიციატორი.

„საშუალო გვარის ფორმებით გამოიხატება გარკვეული მდგომარეობა. ვნები-
ბითი გვარის ფორმებში ამ მდგომარეობას საზღვრები ედება [...] ვნებითი გვა-
რის ფორმათა სემანტიკა ცვლილებების მომენტს გულისხმობს და სწორედ
ამ ცვლილების შედეგია საშუალო გვარის ფორმებით გამოხატული მდგომარე-
ობა“ (ქათქათებს ~ ქათქათდება ~ აქათქათებს, ბარბაცებს ~ (და)ბარბაცდება
~ აბარბაცებს; შრიალებს ~ შრიალდება ~ აშრიალებს) (ივანიშვილი, სოსე-
ლია 2002:136).

„საშუალო გვარი გამოხატავს მდგომარეობას აქტივობის მაღალი ხარის-
ხით. ეს აქტივობა, თავის მხრივ, პარტნიორს საჭიროებს. სწორედ ეს პარ-
ტნიორია ჩართული ვნებითი გვარის სემანტიკაში, მოქმედებაც მას მიემართება
(ჩხუბობს ~ ეჩხუბება ~ აჩხუბებს). ვნებითი გვარის ამ ფორმებში წარმოდგე-
ნილ ე- პრეფიქსს შეიძლება მოქმედების მიმართულების სემანტიკა დავუკავ-
შიროთ“ (ივანიშვილი, სოსელია 2002:137).

„აკრობოს ~ კროთის ~ კროტება ამ სამეულში საშუალო გვარის ფორმა მორ-
ფოლოგიურად ყველაზე მარტივია და იგი აღნიშნავს მდგომარეობას, რომე-
ლიც მიიღწევა მოქმედებითი / ვნებითი გვარის ფორმით გამოხატული მოქმე-
დების განხორციელების შედეგად“ (ივანიშვილი, სოსელია 2002:139).

გარდამავალ ფორმებს კაუზატივად განიხილავენ ი. გეწაძე, ვ. ნედიალკო-
ვი და ა. ხოლოდოვიჩი. გარდაუვალი არაკაუზატიური საშუალო გვარის ზმნე-
ბისგან მიიღება გარდამავალი კაუზატიური ფორმები, რომლებიც ფორმალური
თვალსაზრისით მინიმუმ ათ ქვეკლასად იყოფა: ჩანს ~ აჩენს, დულს ~ ადუ-
ლებს, ტრიალებს ~ ატრიალებს, ტირის ~ ატირებს, სტვენს ~ ასტვენიებს,
წევს ~ აწვენს, სწავლობს ~ ასწავლის, ირცხვენს ~ არცხვენს, იძინებს ~
აძინებს, იცინის ~ აცინებს (გეწაძე, ნედიალკოვი, ხოლოდოვიჩი 1969:133-
134). ტრადიციული ვნებითისაგან ნაწარმოებ კაუზატიურ ფორმებში (ან კაუ-
ზატიური შინაარსის ფორმისგან ნაწარმოებ ტრადიციული ვნებითის ფორმებ-
ში) ეს მეცნიერები გამოყოფენ მინიმუმ თორმეტ ქვეკლასს, რომელთაგან ექ-
ვსი ტიპი დეკაუზატიურ წარმოებას გვიჩვენებს: ირევა ← რევის, იჩეკება ← ჩეკის,
იბადება ← ბადებს, იწონება ← წონის, ისპობა ← სპობს, ტყდება ← ტყხის. მათი
აზრით, კაუზატიური წარმოება დასტურდება სამ ქვეკლასში: ძლება → აძლებს,
წდება → აწდობს, ხდება → ახდენს. სამ ქვეკლასში ფორმალურად არ ჩანს,
წარმოება კაუზატიურია თუ დეკაუზატიური, თუმცა მათ შორის სემანტიკური
სხვაობა კაუზატივზეა დამოკიდებული: იღება ~ აღებს, იხრჩობა ~ ახრჩობს,
სველდება ~ ასველებს (გეწაძე, ნედიალკოვი, ხოლოდოვიჩი 1969:137-138).
მოცემული წყვილების პირველი წევრი გამოხატავს ინქოატიურობას (იღება,
იხრჩობა, სველდება).

რატომ გამოიხატება კონკრეტულ შემთხვევაში ამა თუ იმ ხმოვანი პრე-
ფიქსით ესა თუ ის მნიშვნელობა, შეიძლება შემდეგნაირად აიხსნას: „ზმნური

ხმოვანი პრეფიქსების ძირითადი ფუნქციაა „ადგილიანობასთან“ მიმართებით „ვალენტობის“ ცვლის (პირის კლება ან მატების) გრამატიკული მარკირება, რაც ვლინდება ქცევის, კაუზაციის, სიტუაციის, კონტაქტისა და გვარის სიღრმისეული კატეგორიების სინტაქსურ-მორფოლოგიური რეალიზაციების სახით, რაც აღნიშნული პრეფიქსების თანაფუნქციას წარმოადგენს“ (ასათიანი 1987:202).

ტრადიციულად, ქცევის გრამატიკულ კატეგორიაში გამოყოფენ სამ მნიშვნელობას: **საარვისოს** (*ა-შენებს*), **სასხვისოს** (*უ-შენებს*) და **სათავისოს** (*ო-შენებს*), ხოლო **საზედაო** მნიშვნელობა ცალკე, სიტუაციის კატეგორიაში, ქმნის ოპოზიციურ მნიშვნელობას (შანიძე 1980), თუმცა საზედაო (სიურექტიული) მნიშვნელობა შეიძლება ქცევის კატეგორიაშიც გაერთიანდეს (*ო-წერს ~ ა-წერს ~ ი-წერს ~ უ-წერს*) (შანიძე 1981ა) და ფლექსიურ გრამატიკულ კატეგორიადაც განვიხილოთ (მელჩუკი 1998:216). ამის მიხედვით, ქცევის გრამატიკული კატეგორია მოიცავს ოთხ გრამემას: **საარვისოს** (*-წერს*), **საზედაოს** (*ა-წერს*), **სათავისოს** (*ი-წერს*) და **სასხვისოს** (*უ-წერს*). ოთხივე მნიშვნელობის ერთ კატეგორიაში გასაერთიანებლად, ალბათ, მთავარ კრიტერიუმად აღებულია ურთიერთგამომრიცხაობა: ერთ სიტყვაფორმაში დასტურდება მხოლოდ /*ო-*/, /*ა-*/, /*ი-*/ ან /*უ-*/. ქცევის გრამატიკული კატეგორიის ზემოწარმოდგენილი ორნაირი დაყოფა ხელს არ უშლის გვარის კატეგორიის ანალიზს: გვარის კატეგორიის ანალიზისათვის არ აქვს მნიშვნელობა, რომელ კატეგორიაში გავაერთიანებთ საზედაოს გრამემას.¹

გარდამავალი ზმნების გარკვეულ ნაწილში დაპირისპირება ნეიტრალიზდება და წარმოდგენილი ოთხი მნიშვნელობა სამი პრეფიქსით გამოიხატება: საარვისო და საზედაო (*ა-შენებს*), სათავისო (*ი-შენებს*) და სასხვისო (*უ-შენებს*).

ვნებითის ფორმებში უფრო შორს მიდის ნეიტრალიზაცია: საზედაო (*ა-წერს*) და სასხვისო (*უ-წერს*) ქცევა ლეკაუზატიურ (ტრადიციულად, ვნებითის) ფორმებში /*ე-*/ პრეფიქსით გამოიხატება (*ე-წერება*) (ჯორბენაძე 1983:86). როგორც ითქვა, ა. შანიძის აზრით, /*ი-*/ პრეფიქსი ვნებითის ფორმებში გამოხატავს საარვისო ქცევას (*ი-წერება, ი-მალება*), ხოლო გ. ნებიერიძის აზრით, სათავისო ქცევას. ამ შემთხვევაშიც ხდება ფორმათა ნეიტრალიზაცია და იმას, რასაც კაუზატივში (მოქმედებით გვარში) /*ო-*/ (საარვისო ქცევა) და /*ი-*/ (სათავისო) პრეფიქსები გამოხატავს, ვნებითის ფორმებში მხოლოდ /*ი-*/ მორფი გადმოსცემს.

¹ პირობითად ვიღებთ გრამატიკული ანალიზის უფრო მარტივ შემთხვევას: ქცევის გრამატიკულ კატეგორიაში გაერთიანებთ საარვისოს, სასხვისოს, სათავისოსა და საზედაოს მნიშვნელობებს.

ის მოსაზრება, რომ ზმნური ხმოვანი პრეფიქსები გამოხატავს არა გვარს, არამედ ქცევას (ნებიერიძე 1976), და ტრადიციულად მიჩნეული გვარის ფორმები ერთმანეთს სემანტიკურად უპირისპირდება ინქოატიური (ჰოლისკი 1981; 2000; გეწაძე, ნელიალკოვი, ხოლოდოვიჩი 1969) და კაუზაციური მნიშვნელობებით (გეწაძე, ნელიალკოვი, ხოლოდოვიჩი 1969; ივანიშვილი, სოსელია 2000), საჭიროებს გადახედვას და გადამოწმებას დიათეზების თეორიის მიხედვით.

ავიღოთ ზმნა, რომელსაც მოეპოვება ტრადიციული გაგებით სამივე გვარი და შევამოწმოთ დიათეზების თეორიის საშუალებით.

მაგალითად, *აგორებს (აქტივი) ~ გორდება (პასივი) ~ გორავს (მედიუმი)*:

1. კაცი აგორებს ბურთს;
2. ბურთი გორდება და
3. ბურთი გორავს.

პირველ წინადადებაში *აგორებს* ზმნის დიათეზას შემდეგი სახე ექნება:

X (აგენსი)	Y (პაციენსი)
ქვემდებარე	პირდაპირი დამატება

აგენსი სინტაქსურად გადმოცემულია ქვემდებარით, რომელიც გამოხატულია სახელობითი ბრუნვის ფორმით (*კაცი*), ხოლო პაციენსი – პირდაპირი დამატებით, რომელიც მორფოლოგიურად გამოხატულია მიცემითი ბრუნვის ფორმით (*ბურთი*).

გორდება ზმნის დიათეზა შემდეგი სახით წარმოგვიდგება:

X (აგენსი)	Y (პაციენსი)
–	ქვემდებარე

აგენსი სინტაქსურად საერთოდ არ არის გადმოცემული, ხოლო პაციენსი არის წარმოდგენილი ქვემდებარის სახით, რომელიც სახელობით ბრუნვაში დგას. სინტაქსურად წარმოდგენილია პასიური კონსტრუქცია: ბაზისური დიათეზის დროს ქვემდებარით გამოხატული სემანტიკური აქტანტი (აგენსი) აქ საერთოდ არ გამოიხატება სინტაქსურად.

გორავს ზმნის შემთხვევაში დიათეზა იმავე სახეს მიიღებს, რაც გვქონდა *გორდება* ზმნის დროს: დაიკარგა ერთი სინტაქსური აქტანტი და დარჩა მხოლოდ ქვემდებარე, რომელიც აგენსის ნაცვლად პაციენსს გადმოსცემს. აქედან გამომდინარე, დიათეზების თვალსაზრისით, *გორავს* და *გორდება* ერთ სინტაქსურ კონსტრუქციას გამოხატავს და მათ შორის განსხვავება არაა დიათეზური ხასიათისა.

რადგან ორივე მოდიფიკაციის დროს მოხდა პირველი სინტაქსური აქტანტის გადანაცვლება, ამდენად, ზმნური ფორმა *გორავს*, ისევე როგორც *გორდება*, პასივის დიათეზურ სახეს წარმოადგენს და არა მედიუმისა. თუმცა ეს

მხოლოდ გვარის გამოყოფის ერთ-ერთი კრიტერიუმია. ასევე აუცილებელია, რომ არ იცვლებოდეს ამოსავალი ფორმის პროპოზიციული მნიშვნელობაც: თუ ჩვენთვის ამოსავალია ფორმა *ავორებს*, მაშინ *გორდება* ზმნაში /-დ/ სუფიქსი ბაზისური დიათეზის გარდა ცვლის პროპოზიციულ მნიშვნელობასაც: ზმნას ემატება ასპექტური შინაარსი – ინქოატიურობა (ინცეპტიურობა; გარდაქცევითობა) (ჯორბენაძე 1983:97; ჰოლისკი 1981; 2000; გეწაძე, ნედიალკოვი, ზოლოდოვიჩი 1969), რაც კარგად ჩანს შემდეგი ოპოზიციური წყვილებიდან: *გორავს* ~ *გორდება*, *ღულს* ~ *ღულდება*, *წუხს* ~ *წუხდება*: ოპოზიციის პირველი წყვილიდან დერივაციით მიიღება ოპოზიციის მეორე წყვილი (/ -დ/ სუფიქსის დართვით). უფრო ხშირად კი /-დ/ სუფიქსი სახელისგან აწარმოებს ზმნებს (შანიძე 1981ბ).

ასეთი ანალიზის შემთხვევაში ის ზმნები, რომლებსაც ტრადიციულად ღონ-იანი და უნიშნო ვნებითი ეწოდება, წარმოადგენენ არა გვარის, არამედ ასპექტის ფორმებს: გვაქვს ერთ შემთხვევაში ინქოატიური (*გორდება*, *ღულდება*, *წუხდება*), მეორე შემთხვევაში კი მისი საპირისპირო – არაინქოატიური (*გორავს*, *ღულს*, *წუხს*) ფორმები.

თუ განვიხილავთ ინ-იან და ენ-იან ვნებითს შესაბამის აქტივთან შედარებით, მაშინ გვექნება სამი საპირისპირო ფორმა: 1. *კაცი წერილს წერს*; 2. *წერილი იწერება*; 3. *წერილი (მეგობარს) ეწერება*, ანუ გვექნება შემდეგი ოპოზიცია: *წერს* (აქტივი) ~ *იწერება* (ინ-იანი პასივი) ~ *ეწერება* (ენ-იანი პასივი). *წერს* ზმნის დიათეზა შემდეგი სახით ჩაიწერება:

X (აგენსი)	Y (პაციენსი)
ქვემდებარე	პირდაპირი დამატება

აგენსი გადმოცემულია ქვემდებარის სახით (*კაცი*), რომელიც სახელობით ბრუნვაში დგას, ხოლო პაციენსი – პირდაპირი დამატების სახით (*წერილს*), რომელიც მიცემით ბრუნვაში დგას.

იწერება ზმნის დიათეზა სუპრეციისა და პერმუტაციის შემდეგ წარმოგვიდგება ასეთი სახით:

X (აგენსი)	Y (პაციენსი)
–	ქვემდებარე

აგენსი არ არის სინტაქსურად წარმოდგენილი, ხოლო პაციენსი წარმოდგენილია ქვემდებარის სახით (*წერილი*), რომელიც გადმოცემულია სახელობითი ბრუნვით. ამ შემთხვევაში არ ხდება სემანტიკური აქტანტების რეფერენციული იდენტიფიკაცია, *წერილი* არ არის ერთდროულად აგენსიც და პაციენსიც: მისი სემანტიკური როლი იგივე დარჩა. უბრალოდ მოხდა აგენსის შე-

საბამისი სინტაქსური აქტანტის სუბრეცია. სხვა ენაში, მაგალითად, ინგლისურში, აგენსი შესაძლებელია გადმოიცეს აგენსური დამატების სახით: 1. a man is writing a letter „კაცი წერს წერილს“ და 2. a letter is being written by a man „წერილი იწერება კაცის მიერ“. აქტივის შესაბამის პასიურ კონსტრუქციაში აქტივის ქვემდებარე (a man) გადმოცემულია აგენსური დამატებით (by a man).

ეწერება ზმნის დიათეზა ასე ჩაიწერება:

X (აგენსი)	Y (პაციენსი)	Z (ბენეფაქტივი)
–	ქვემდებარე	ირიბი დამატება

იწერება ზმნისგან განსხვავებით, მოხდა აქტანტური დერივაცია: დაემატა ერთი სემანტიკური აქტანტი – ბენეფაქტივი, რომელიც სინტაქსურად ირიბი დამატების სახით არის გადმოცემული. *იწერება* და *ეწერება* ზმნებს შორის განსხვავება არის მხოლოდ ქცევის კატეგორიის მიხედვით: /ე-/ პრეფიქსი გამოხატავს სასხვისო ქცევას.

შემდეგ ორ წინადადებაში – 1. *კაცი იმუქრება* და 2. *კაცი მეგობარს ემუქრება* – *იმუქრება* და *ემუქრება* დეპონენსური ზმნები დიათეზური სტრუქტურით განსხვავდება არადეპონენსური, ზემოგანხილული *იწერება* ~ *ეწერება* ზმნებისგან:

X (აგენსი)	–
ქვემდებარე	–

აგენსი გამოხატულია ქვემდებარით (*კაცი*), რომელიც სახელობითი ბრუნვით არის გადმოცემული.

ემუქრება ზმნის დიათეზა ასე ჩაიწერება:

X (აგენსი)	Y (ბენეფაქტივი)
ქვემდებარე	ირიბი დამატება

აგენსი გადმოცემულია ქვემდებარით (*კაცი*), ხოლო ბენეფაქტივი – ირიბი დამატებით (*მეგობარს*).

დეპონენსური და არადეპონენსური ზმნები სემანტიკური სტრუქტურით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან: არადეპონენსურ ზმნებში წარმოდგენილია პაციენსი და ბენეფაქტივი, ხოლო დეპონენსურ ზმნებში – აგენსი და ბენეფაქტივი. სინტაქსურად ისინი ერთნაირი სტრუქტურით ხასიათდებიან: ორივე შემთხვევაში წარმოდგენილია ქვემდებარე და ირიბი დამატება. ირიბი დამატება ორივე შემთხვევაში გამოხატავს ბენეფაქტივს, რაც, ფაქტობრივად, ნიშნავს, რომ გამოხატულია სასხვისო ქცევა.

სხვადასხვა აზრია გამოთქმული /ი-/ პრეფიქსის შესახებ ისეთ ზმნებში, რომლებშიც დაპირისპირება აწმყოსა და მყოფადის მწკრივებს შორის /ი-/ პრეფიქსზეა დამოკიდებული (*ვაჭრობს ~ ივაჭრობს, მეფობს ~ იმეფობს*). /ი-/ პრეფიქსი არ ცვლის დიათეზას და, შესაბამისად, არც გვარის რომელიმე გრამემას გამოხატავს. ვფიქრობთ, მოცემული პრეფიქსის ფუნქცია ქცევის ან ასპექტური შინაარსის გამოხატვა უნდა იყოს.

/ა-/ და /უ-/ პრეფიქსები გამოხატავენ კაუზატივში (მოქმედებითში) იმავეს, რასაც /ე-/ პრეფიქსი დეკაუზატივში (პასივში) გამოხატავს: *დააწერა ~ დაუწერა ~ დაეწერა* (ჯორბენაძე 1983:86). ამგვარად, ტრადიციულად მიჩნეული გვარის გამომხატველი პრეფიქსები ქცევის გრამატიკული კატეგორიას გადმოსცემს.

ჩვენი აზრით, ბენეფაქტივი გვაქვს ორგალენტთან დონ-იან ფორმებში (*გორდება ~ უგორდება, შენდება ~ უშენდება*) და უნიშნო, ანუ /-Ø/-სუფიქსიან ფორმებში (*თბება ~ უთბება, შრება ~ უშრება*).

თუ *გორდება* ზმნის შემთხვევაში სინტაქსურად გამოიხატება მხოლოდ პაციენსი (ქვემდებარის სახით), *უგორდება* ზმნის შემთხვევაში სინტაქსურად პაციენსთან ერთად გამოიხატება ბენეფაქტივიც (ირიბი დამატების სახით):

X (აგენსი)	Y (პაციენსი)	Z (ბენეფაქტივი)
—	ქვემდებარე	ირიბი დამატება

თბება ზმნის შემთხვევაში გამოიხატება მხოლოდ პაციენსი (ქვემდებარის სახით), ხოლო *უთბება* ზმნის შემთხვევაში ემატება ბენეფაქტივიც (ირიბი დამატების სახით):

X (აგენსი)	Y (პაციენსი)	Z (ბენეფაქტივი)
—	ქვემდებარე	ირიბი დამატება

სტატიკური ზმნების (*ზის ~ უზის ~ აზის*) შემთხვევაშიც /უ-/ პრეფიქსი მიემართება ირიბ დამატებას, რომელიც ასევე გამოხატავს ბენეფაქტივს.

ზემოთ წარმოდგენილი ერთ-ერთი დებულების მიხედვით, გარდამავალ ზმნებში /ი-/ პრეფიქსი გამოხატავს რეფლექსიურობას, მაგალითად: *მამამ ააშენა სახლი ~ მამამ აიშენა სახლი* (ქარქაშაძე 2007). ჩვენი აზრით, *აიშენა* ზმნაში /ი-/ პრეფიქსი ვერ გამოხატავს რეფლექსიურობას, რადგან არღვევს დიათეზებისთვის განსაზღვრულ ორ ამოსავალ დებულებას: წარმოქმნილი დიათეზა აუცილებლად უნდა ცვლიდეს ამოსავალი დიათეზის სტრუქტურას, ამასთან, თუ გამოიხატება რეფლექსივი, მაშინ აუცილებლად უნდა მოხდეს ორი სემანტიკური აქტანტის რეფერენციული ინდეტიფიკაცია და ერთი სინტაქსური აქტანტის სუპრეცია. *ააშენა* ზმნის დიათეზურ სტრუქტურასთან მი-

მართებით *აიშენა* ზმნის სტრუქტურაში მოხდა მხოლოდ სემანტიკურ აქტანტთა რეფერენციული იდენტიფიკაცია და არ მოხდა არცერთი სინტაქსური აქტანტის სუპრეცია.

ვფიქრობთ, თუ ზმნაში ხმოვნებით გამოხატული ოპოზიციური წყვილი არსებობს, მაშინ ხმოვანი პრეფიქსები ქცევის მნიშვნელობებს გამოხატავენ.

არსებობს ამის საპირისპირო მოსაზრება, სახელდობრ:

„გარდაუვალ ზმნაში ქცევის მიხედვით ოპოზიციის დაშვებას, ჩვენი აზრით, უაღრესად სერიოზული დაბრკოლებები ახლავს. დავასახელოთ ზოგი მათგანი:

1. ქცევის მიხედვით ოპოზიცია გარდაუვალ ზმნაში, გარდამავალთან შედარებით, დეფექტური გამოდის; გამოიყოფა ოპოზიციის მხოლოდ ორი და არა სამი წევრი: საარვისო და სასხვისო; მორფოლოგიური ნიშნით (ი-, უ-პრეფიქსებით) მარკირებული გამოდის მხოლოდ სასხვისო ქცევის ფორმა, მისი საპირისპირო მარკერი კი არ არსებობს საერთოდ.

2. თუ გარდამავალი ზმნის სასხვისო ქცევის ფორმაში ირიბ ობიექტს პირდაპირი ობიექტი განეკუთვნება, გარდაუვალ ზმნისაში მისთვის სუბიექტია განკუთვნილი.

3. პირებს შორის კუთნილებითი ურთიერთმიმართების გამოხატვა შეუძლია მხოლოდ ისეთ ფორმას, რომელიც ორ პირს მაინც შეიცავს, რომელთაგან ერთი შეიძლება განეკუთვნებოდეს (ან არ განეკუთვნებოდეს) მეორეს. ერთპირიან ზმნას კი ასეთი ურთიერთმიმართების გამოხატვა, ცხადია, არ შეუძლია მასში ერთადერთი პირის არსებობის გამო. [...] ი- და უ-პრეფიქსები მხოლოდ ირიბ ობიექტს გამოხატავენ (*შენდება ~ მიშენდება ~ უშენდება, თბება ~ მითბება ~ უთბება, ღულს ~ მიღულს ~ უღულს*)“ (ონიანი 2003:126-127).

სასხვისო ქცევა აქტანტურ სტრუქტურაში ბენეფაქტივის გაჩენას უკავშირდება, ამიტომ არა-სასხვისო ქცევის ფორმების გარდამავალ ზმნებსაც კი შეიძლება ერთი აქტანტით ნაკლები ჰქონდეს (*აშენებს კაცი სახლს ~ უშენებს კაცი შვილს სახლს*), როგორც ეს გარდაუვალ ზმნებს აქვთ (*შენდება სახლი ~ უშენდება შვილს სახლი*). განსხვავება გარდამავალ და გარდაუვალ ფორმებს შორის ის არის, რომ გარდაუვალი ზმნის სტრუქტურაში აგენსი არ არის სინტაქსურად გამოხატული (გარდა დეპონენსებისა). როგორც ზემოთ ითქვა, ქცევის კატეგორიის განმარტებაში პირდაპირი ობიექტი საერთოდ არ მონაწილეობს.

გარდამავალი ზმნისგან განსხვავებით, გარდაუვალი ზმნის ქცევითი ოპოზიცია დეფექტური არ გამოდის: უბრალოდ ხდება საპირისპირო ფორმების ნეიტრალიზაცია და ერთ პრეფიქსს შეუძლია გადმოსცეს როგორც საარვისო (*კაცი სახლს აშენებს ~ სახლი შენდება*), ისე სათავისო შინაარსი (*კაცი სახლს იშენებს ~ სახლი შენდება*) კონტექსტის მიხედვით.

ერთვალენტიანი ზმნები გამოხატავენ საარვისო ან სათავისო ქცევას (*ღვრინება; ზის*); შესაბამისი ორვალენტიანი ზმნები (*ელვრინება; უზის*) სასხვისო ქცევას გამოხატავენ: მათ სემანტიკურ სტრუქტურაში ემატებათ ბენეფაქტივი, რომელიც სინტაქსურად ირიბი დამატებით გადმოიცემა.

ამგვარად, ჩვენი აზრით, ზემოთ განხილული ხმოვანი პრეფიქსები გამოხატავენ ქცევის გრამატიკულ კატეგორიას. გარდამავალ ზმნებში გამოიყოფა ოთხი გრამატიკული მნიშვნელობა: **საარვისო** (ნეიტრალური) ~ **სათავისო** (სასუბიექტო) ~ **სასხვისო** (საობიექტო) ~ **საზედაო** (სიურექტიული), რომელთაც შესაბამისად გამოხატავს /Ø-/ ~ /ი-/ ~ /უ-/ ~ /ა-/ (*წერს ~ იწერს ~ უწერს ~ აწერს*). ზმნების გარკვეულ ჯგუფში საარვისო და საზედაო ქცევებს შორის მორფოლოგიური დაპირისპირება ნეიტრალიზდება და ორივე მნიშვნელობას გამოხატავს მხოლოდ /ა-/ პრეფიქსი (*აშენებს ~ იშენებს ~ უშენებს*).

გარდაუვალ ზმნებში გამოიყოფა ორი ტიპი: **ამოსავალი** (არაინქოატიური) და **ინქოატიური**. არაინქოატიურ ზმნებში დაპირისპირება ნეიტრალიზდება და ქცევათა ოთხი მნიშვნელობა სამი პრეფიქსით გამოიხატება: საარვისო (სათავისო) ~ სასხვისო ~ საზედაო (*ზის ~ უზის ~ აზის; დვას ~ უდვას ~ ადვას*). ინქოატიურ მნიშვნელობას გამოხატავს ორი მორფოლოგიურად შეპირობებული სუფიქსური ალომორფი: /-დ/ ~ /-Ø/. /დ/-სუფიქსიან ინქოატივებში ხდება ნეიტრალიზება და გამოიყოფა ქცევათა სამი ფორმა: საარვისო (სათავისო) ~ სასხვისო ~ საზედაო (*ბერდება ~ უბერდება ~ აბერდება*), ან დაპირისპირება შეიძლება ნეიტრალიზებული იყოს და დარჩეს მხოლოდ ორი მნიშვნელობა (*კეთდება ~ უკეთდება*). /Ø/-სუფიქსიან ინქოატივებში, ერთი მხრივ, გამოიყოფა სამი ქცევა, რომელთაგან თითოეულს თავისი მორფოლოგიური მაჩვენებელი გამოხატავს (*ხმება ~ უხმება ~ ახმება*), ხოლო, მეორე მხრივ, ზმნათა გარკვეულ ჯგუფში /ი-/ პრეფიქსი გამოხატავს საარვისო (ან სათავისო) ქცევას, ხოლო /ე-/ პრეფიქსი – სასხვისოსა და საზედაო მნიშვნელობებს (*იწერება ~ ეწერება*).

გარდაუვალ ზმნებში ასევე გამოიყოფა დეკაუზაციური ზმნები, რომლებიც მიიღება შესაბამისი გარდამავალი ზმნებისგან: *ტყდება ~ ტეხს, ისპობა ~ სპობს, იბადება ~ ბადებს* (გეწაბე, ნელიალკოვი, ხოლოლოვიჩი 1969:137-138).

ქცევის გრამატიკული კატეგორიისა და ხმოვანი პრეფიქსების ასეთი ანალიზის შეთხვევაში მოიხსნება დეპონენსების ცალკე გამოყოფის აუცილებლობა, რადგან /ი-/ და /ე-/ პრეფიქსები დეპონენსურ ზმნებშიც ქცევებს შორის დაპირისპირებას გამოხატავენ (*იმალება ~ ემალება*). /ი-/ პრეფიქსი აქაც საარვისო (ან სათავისო) ქცევას გამოხატავს, ხოლო /ე-/ პრეფიქსი – სასხვისოს.

რეფლექსიურობა /ი-/ პრეფიქსისთვის დამატებით, კონტექსტურ მნიშვნელობას წარმოადგენს (*ჩააბარა ~ ჩაიბარა*). როგორც ზემოთ ითქვა, თუ ორი

ოპოზიციური ფორმა მაინც არსებობს, ხმოვანი პრეფიქსი ქცევის მნიშვნელობას ყოველთვის გამოხატავს; ამასთან, დასტურდება ისეთი მაგალითები (იმ შემთხვევაში, თუ გარდამავალ ზმნაში საარვისო და სასხვისო ფორმები ორივე ორვალენტია), როდესაც /ი-/ პრეფიქსი რეფლექსიურობას არ გამოხატავს (*აშენებს ~ იშენებს*).

ვფიქრობთ, რომ ხმოვანი პრეფიქსების ძირითადი მნიშვნელობა ქცევის გრამატიკული კატეგორიის გამოხატვაა, ხოლო სინტაქსურად გამოხატული დიათეზური კონსტრუქციები ზმნაში რეგულარულად არ აისახება მორფოლოგიური მაჩვენებლების საშუალებით და, აქედან გამომდინარე, გვარის გრამატიკული კატეგორია ქართულ ენაში არ არის წარმოდგენილი.

ლიტერატურა

ასათიანი 1987: რ. ასათიანი, *ზმნურ პრეფიქსულ ხმოვანთა ფუნქციონალური კვალიფიკაცია ქართველურ ენებში*, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, № 3, თბილისი.

გენაძე, ნედიალკოვი, ხოლოლოვიჩი 1969: И.О. Гецадзе, В.П. Недялков, А.А. Холодович, *Морфологический каузатив в грузинском языке*, в кн.: Типология каузативных конструкций: морфологический каузатив, Ленинград.

ივანიშვილი, სოსელია 2002: მ. ივანიშვილი, ე. სოსელია, *ქართული პასიური კონსტრუქციის ზოგიერთი მორფოსინტაქსური და სემანტიკური თავისებურება*, ენათმეცნიერების საკითხები, №4.

მელჩუკი 1998: И.А. Мельчук, *Курс общей морфологии*, Том II, Часть вторая, Москва – Вена.

მელჩუკი 2006: I. Mel'čuk, *Aspects of the Theory of Morphology*, Trends in linguistics 146, Mouton de Gruyter, Berlin/New York.

ნებიერიძე 1976: გ. ნებიერიძე, *ქცევის კატეგორია ქართულში*, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია №4.

ონიანი 2003: ა. ონიანი, *თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა*, თბილისი.

ტესტელეცი 2001: Я.Г. Тестелец, *Введение в общий синтаксис*, Москва.

ქარქაშაძე 2007: მ. ქარქაშაძე, *მედიაექვივებისა და გარდამავალი უკუქცევითი ზმნების ურთიერთმიმართება თანამედროვე ქართულში*, ენათმეცნიერების საკითხები №1-2.

შანიძე 1980: ა. შანიძე, *ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები*, თბილისი.

შანიძე 1981ა: ა. შანიძე, *ქართული ზმნის საქცევი, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები*, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი II, თბილისი.

შანიძე 1981: ა. შანიძე, *ნასახელარი ზმნები ქართულში*, ტომი II, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, თხზულებანი თორმეტ ტომად, თბილისი.

ჯორბენაძე 1983: ბ. ჯორბენაძე, *ზმნის ხმოვანპრეფიქსული წარმოება ქართულში*, თბილისი.

ჰოლისკი 1981: D. A. Holisky, *Aspect Theory and Georgian Aspect*, Syntax & Semantics, Vol. 14, Tense & Aspect.

ჰოლისკი 2000: დ. ჰოლისკი, *ასპექტი და ქართული მედიალური ზმნა*, თბილისი.

The Diathesis and the Category of Voice in Georgian

Summary

The article treats the grammatical category of voice according to the theory of diatheses by I.Mel'čuk and A.Kholodovich. Taking into account the abovementioned theory and approaches of different authors (A. Shanidze; I. Getsadze, V. Nediaikov, A. Kholodovich), it can be said that the diatheses are manifested only syntactically and they are not regularly expressed by the morphological devices, and therefore the grammatical category of voice is not presented in the Georgian language. The vowel prefixes (/i-/ /e-/) and suffixes (/d/ /-Ø/), that have been considered as the morphemes of the grammatical category of voice (the passive voice), regularly represent only the opposition of version (the abovementioned vowel prefixes in intransitive verbs) and inchoative (the abovementioned vowel prefixes in intransitive verbs). The difference between transitive and intransitive verbs is expressed morphologically not by the opposition of active ~ passive semantics, but by the semantics of causative and decausative. Neither does the /i-/ prefix convey the reflexive semantics regularly: the reflexivity is contextual for it.

In the Georgian language, the vowel prefixes express the grammatical category of version and the neutralization of the morphological representations of the concrete version semantics may depend on the inchoative/non-inchoative and causative/non-causative oppositions.

თინათინ ბელიაშვილი

ანგლიციზმების ინტეგრაციის უძღვრებითი დახასიათება ფრანგულ და ქართულ ენებში

ნასესხობათა, ისევე როგორც ზოგადად ნეოლოგიზმების აღნუსხვა და აღწერა ენის მოცემულ ისტორიულ მონაკვეთში ძალიან მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ენის დახასიათებისათვის, არამედ ამ მოცემული ისტორიული მონაკვეთის დახასიათებისთვისაც. დღეს დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოში ყველა ენა, ან თითქმის ყველა ენა, გაჯერებულია ინგლისური (ან უფრო სწორად ანგლოამერიკული) ენიდან ნასესხები ლექსიკური ერთეულებით.

„არასოდეს კაცობრიობის ისტორიაში არ ყოფილა, რომ ერთი ენა ასეთი სიმძლავრით გავრცელებულიყო მთელს მსოფლიოში. ინგლისური ენის ბატონობა არ შეედრება არაფერს, რაც კი აქამდე ყოფილა.“ – “Jamais, dans l'histoire de l'humanité, une langue n'a été comparable en extension dans le monde à ce qu'est aujourd'hui l'anglais”. ... „ის გაქრობით ემუქრება ყველა სხვა ენას, ვინაიდან ეს ენა მოიხმარება ისეთი პროპორციით, როგორც არასდროს არცერთი ენა არ ყოფილა გამოყენებული ხუთივე კონტინენტზე.“ – “Il se trouve que c'est aujourd'hui l'anglais qui menace les autres, puisque jamais, dans l'Histoire, une langue n'a été en usage dans une telle proportion sur les cinq continents“ (*Hagège 2012*).

ინგლისური და ფრანგული ენების ურთიერთზეგავლენას ხანგრძლივი, მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. შესაბამისად, ანგლიციზმების შესწავლა ფრანგულ ენაში განსაკუთრებული კვლევის საგანია. მათზე ბევრს მსჯელობენ, შეისწავლიან, ლელავენ, ან, პირიქით, კმაყოფილები არიან, რომ ფრანგულ ენას კიდევ ერთი გამდიდრების წყარო გააჩნია. არის კამათი თვით ტერმინის „ანგლიციზმების“ შესახებ. არაერთი ინსტიტუცია მუშაობს ტერმინების შემუშავებაზე და იძლევა რეკომენდაციებს მათი ენაში მოხმარების თაობაზე. გასული საუკუნის 80-90-იანი წლებიდან ხდება მათი ინტენსიური შეტანა ლექსიკონებში. ზოგი ენათმეცნიერის თვალსაზრისით, ანგლიციზმები გამოდგა ის ძალა, რომელმაც აიძულა სპეციალისტები ეზრუნათ ფრანგული ტერმინოლოგიის შემუშავებაზე. მას დღეს რეგულარული ხასიათი აქვს. 1954 წელს დაარსდა “Comité d'études des termes techniques” (ტექნიკური ტერმინების შემსწავლელი კომიტეტი). 1966-დან 1973 წლამდე მოხდა ენის პოლიტიკის შემუშავება. 1972 წლის 7 იანვრის დეკრეტით, პრემიერ მინისტრმა

ჟაკ შაბან-დელმასმა შექმნა ტერმინოლოგიის კომისიები სამინისტროებში. 1975 წლის 31 დეკემბერს მიღებულ იქნა ბა-ლორიოლის კანონი. ეს იყო ენის სოციალური როლის გაცნობიერება სახელმწიფო დონეზე. 1994 წელს მიღებულ იქნა ე.წ. ტუბონის კანონი, რითაც განისაზღვრა ძირითადი მიმართულებანი ლინგვისტური მოწესრიგებისათვის.

ქართული ენისათვის ანგლიციზმები შედარებით ახალი ფენომენია. მეოცე საუკუნის 90-იანი წლებიდან, მთელი რიგი ძვრების შედეგად, დაიწყო ანგლიციზმების უხვი შემოჭრა ქართულ ენაში. თავისუფლად ხმარობენ, განსაკუთრებით საზღვარგარეთ განათლებამიღებული ახალგაზრდები, და ეს არც არავის აღარ უკვირს, OK, mai good და სხვა მსგავს გამოთქმებს. თუმცა სხვა ენებს, და განსაკუთრებით ევროპულ, ენებს თუ შევადარებთ, აქ ამას ჯერ კიდევ არ მიუღია დიდი მასშტაბი.

ფრანგულ ენაში ანგლიციზმების ინტეგრაციის პროცესიც, ისევე როგორც ამ ფენომენის სხვა მხარეები, შესწავლილია.

კვებეკში გამოქვეყნებული ანგლიციზმების ლექსიკონის, Le Colpron-ის, მიხედვით ანგლიციზმები იყოფა ექვს კატეგორიად:

- სემანტიკური ანგლიციზმები. სემანტიკური ანგლიციზმი სიტყვის ის მნიშვნელობაა, რომელიც მას მხოლოდ ინგლისურ ენაში გააჩნია, ან ზდება ამ სიტყვის სიტყვასიტყვითი თარგმნა. მაგალითად, Vol domestique, vol intérieur-ის ნაცვლად. ან definitivement - definitely (certainement) მნიშვნელობით. Je suis désolé. excusez-moi-ს მნიშვნელობით.
- ლექსიკური ანგლიციზმი – ნასესხები სიტყვა ან გამოთქმა, რომელიც პირდაპირაა შემოსული ფრანგულ ენაში თავისი ორთოგრაფიით, გამოთქმით და მნიშვნელობით. მაგალითად, feedback (retroacion, commentaire, appreciation)
- სინტაქსური ანგლიციზმი – საკუთრივ ინგლისური ენისათვის დამახასიათებელი სინტაქსური კონსტრუქციის კალკი. მაგალითად, être en charge de (in charge of) être chargé de-ს ნაცვლად.
- მორფოლოგიური ანგლიციზმი – შეცდომები სიტყვის ფორმირებისას (სქესის, სუფიქსაციის). მაგალითად, Les actifs d'une société (the assets) l'actif.
- ფონეტიკური ანგლიციზმი – მცდარი წარმოთქმით შემოსული სიტყვა. მაგალითად, Zoo წარმოთქმული როგორც [zu], [zoo]-ს ნაცვლად.
- გრაფიკული ანგლიციზმი – ანგლოსაქსური მანერის ტიპოგრაფია ან ორთოგრაფია. მაგალითად, მეათელების ჩაწერისას წერტილის გამოყენება მძიმის ნაცვლად; ან ინგლისური ბრჭყალები ფრანგული ბრჭყალების ნაცვლად. დიდი ასოების გამოყენება ზოგიერთი საზოგადო არსებითი სახელის ჩაწერისას. მაგალითად, Association Les plus beaux villages de France. ამ წესის დარღვევა შესაძლებელია მხოლოდ სიგლების ჩაწერისას.

ჟან დარბელნე ამატებს სიხშირის ანგლიციზმებს. ეს არის ტერმინის სწორი ხმარება, მაგრამ დიდი სიხშირით, მაშინ როდესაც არ არის ამის აუცილებლობა ინგლისურ ენასთან ხშირი შეხების არქონის გამო. მაგალითად, *incidemment* არის ზმნიზედა, რომელიც ძალიან იშვიათად იხმარება ფრანგულ ენაში, თუმცა ხშირია მისი ხმარება კანადაში *incidental*-ის გავლენით. მიუხედავად იმისა, რომ ფრანგულში არის ამ სიტყვის უამრავი ეკვივალენტი.

საუკუნის წინ შემოსული და ძალიან ხშირად ხმარებული ბევრი ანგლიციზმი დღეს დავიწყებულია და გამოსულია ხმარებიდან. ხოლი ანგლიციზმების ნაწილი, როგორცაა *computer* ან *software* გაქრა და ადგილი დაუთმო *ordinateur*-ს და *logiciel*-ს.

ანგლიციზმების რაოდენობა და სიხშირე იცვლება მისი მომხმარებლისა და სფეროს მიხედვით. ზოგიერთი სფერო მეტისმეტად გადატვირთულია ანგლიციზმებით. ასეთებია ეკონომიკის სფერო და ინფორმატიკა. განსაკუთრებით ინფორმატიკა. ეს დამახასიათებელია როგორც ფრანგული, ასევე ქართული ენებისათვის. სემანტიკური ანგლიციზმების მაგალითებია:

réaliser, რაც ფრანგულად აღნიშნავს რეალიზაციას, განხორციელებას. მაგრამ თანამედროვე მნიშვნელობით ის ნამდვილი ანგლიციზმია და აღნიშნავს *se rendre compte*, *s'apercevoir de* (გააზრება, შემჩნევა) – ინგლისური სიტყვიდან *realize*;

finaliser (ინგლისური *finalise*) ნიშნავს *achever*, *terminer*, *conclure*, *mettre la dernière main à* (დასრულება, დამთავრება);

opportunité (ინგლისური *opportunity*) – *occasion*, *possibilité*, *perspective*, *chance* (შემთხვევა, შესაძლებლობა, პერსპექტივა);

preuve (ინგლისური *proof*) *demonstration* (დემონსტრირება);

alternative (*autre possibilité*). ინგლისური *alternative* ფრანგულად ყოველთვის გულისხმობს ორ შესაძლო გადაწყვეტილებას;

assumer (ინგლისური *to assume*), *présumer*, *supposer* (ვარაუდი) და მრავალი სხვა.

ლექსიკური ანგლიციზმები: *week-end* – *fin de la semaine*, შაბათ-კვირა; *mailing* -*publipostage*; *mail* – *courriel*, ელექტრონული ფოსტა; *challenger* – 1) *postulant*, *pretendant un titre*, პრეტენდენტი 2) *concurrent*, *adversaire*, *rival*, კონკურენტი, მეტოქე.

სინტაქსური ანგლიციზმების მაგალითებია: *en charge de* (*in charge of*) *chargé de*, *responsable de*. *Est sous contrôle* (*under control*) *est maîtrisé*. *Faire sens* (*to make sense*) – *avoir un sens*. *Bon matin* (*good morning*) – *bonjour*. *Basé* (*based*) 1) *ayant élu domicile à*, *domicilié à*, *ayant ses quartiers à*. 2) (*based on*) *fondé sur*, *reposant sur*.

ცალკეა აღსანიშნავი ზმნები, რომლებიც შექმნილია ანგლიციზმების საფუძველზე ან ანგლიციზმების გავლენით. ისინი შეიძლება ჩაითვალოს გაფრანგულებულ ანგლიციზმებად. ეს ზმნები, როგორც წესი, პირველი ჯგუფის ზმნებად ჩამოყალიბდა. უმრავლესობა მათგან ინფორმატიკის სფეროს განეკუთვნება.

bugguer (წარმოითქმის beugué) (logiciel, jeu video) souffrir d'anomalie de fonctionnement. ინტერნეტტერმინია (პროგრამა, ვიდეოთამაში) ანომალიები ფუნქციონირებაში) მაგალითად, “*en pleine partie, le jeu s'est mis à bugger, impossible de finir*” (შუა თამაშში პროგრამა გაიჭედა, შეუძლებელია დამთავრება):

- Chatter (გამოითქმის tchatte) ინტერნეტში საუბარი; bavarder, converser, clavarder (აქვე შეიძლება გავიხსენოთ სასაუბრო ქართულ ენაში ახლად დამკვიდრებული ზმნა „ჩათობა“). Se crasher (გამოითქმის – crache) (l'avion) s'écrase au sol (თვითმფრინავის) ჩამოვარდნა.
- *L'avion a manqué de se crasher au décollage* („თვითმფრინავი კინაღამ ჩამოვარდა აფრენისას“).
- Downloader (to download გაფრანგულებული), *downloader un logiciel directement chez son auteur* (sur internet – télécharger un logiciel directement depuis le site de son auteur („პროგრამის გადატვირთვა პირდაპირ ავტორის ინტერნეტსაიტიდან“).
- linker (გამოითქმის linnke), zipper (ინგლისური to zap-effacer წაშლა) zoomer – faire un gros plan, focaliser. Zoomer an avant: passer en gros plan; zoomer en arrière: repasser en plan général.
- ფონეტიკური ანგლიციზმების მაგალითებია Israël, რომელიც წარმოითქმის როგორც Izzrael, ანდა თვით სიტყვა anglicism anglicisme-ის ნაცვლად.

ქართულ ენაში განსაკუთრებით მორფოლოგიური ადაპტაციის მცდელობაა აღსანიშნავი. ეს წარმატებით ხორციელდება. მაგალითად: *ლაიქების საშუალებით გამოვლენილი იქნება გამარჯვებული* (საზოგადოებრივი არხი, 14/02.2012); *საჭიროა ადამიანების რეკრუტირება* (ინტერვიუ ზვიად ძიძიგურთან, ეკა ბერიძის რადიო, 22/11.2012); *ვინდა ლაივიდან მონაკვეთის მოჭრა? ჩაირთე სერვისი „მონტაჟი“* (My video.ge, რეკლამა, 16/09. 2011) და ა.შ.

ასეთივე წარმატებით ხორციელდება ფონეტიკური ადაპტაცია, რის დემონსტრირებისათვისაც ზემოთ ჩამოთვლილი მაგალითებიც გამოდგება. აქ თითქმის არანაირ დაბრკოლებას არ აწყდება ინგლისური ენიდან ნასესხები ერთეულები, განსხვავებით ფრანგული ენისაგან. ანგლიციზმების ფონოლოგიური კალკირება ხდება პირველსავე ეტაპზე. თუმცა შეიძლება მცირედი ყოყმანი შეიმჩნეოდეს მათ წარმოებაში. მაგალითად, შეგვხვდება როგორც „უზერი“,

ასევე „იუზერი“. *მას გააჩნია 19 ათასი იუზერი* („რა, სად, როდის“, 21/12. 2011); ანდა *სოციალურ ქსელ ფეისბუქზე შემოგვიერთდა 17 ათასი უზერი* („რა, სად, როდის“, 16/11. 2011).

ფრანგულ ენაში იმ ანგლიციზმის გაჩენისას, რომელსაც აქვს ფრანგული ეკვივალენტი, თავდაპირველად მომხმარებლები ცდილობენ, ის რამენაირად მოათავსონ ფრანგული წაკითხვის წესების ფარგლებში. მაგალითად, pipeline, რომელსაც აქვს შესაბამისი ფრანგული სიტყვა gazoduc, oleoduc (გაზსადენი, ნავთობსადენი) და იგი ინგლისურად წარმოითქმის [paɪplɪn], თანაარსებობს შესაბამის ფრანგულ ეკვივალენტებთან და ამავე სიტყვის ფრანგული წაკითხვის ვარიანტთან ერთად. ხშირად ფრანგები მას გამოთქვამენ როგორც [pip-lin]. გარკვეული დროის შემდეგ ინგლისური ენიდან ფრანგულ ენაში შემოსული ანგლიციზმის შეცნობა ნასესხებ სიტყვად შეუძლებელი ხდება, მიუხედავად იმისა, რომ ამ ორი ენის ფონოლოგიური სისტემა დიდად განსხვავდება ერთმანეთისაგან. საზოგადოდ, სანამ მოხდებოდა სიტყვის სრული ლექსიკალიზაცია, ენის მატარებელთა გარკვეული ჯგუფი ცდილობს, ეს სიტყვა წარმოთქვას ისე, როგორც ის გამოითქმის წყარო ენაში და ეს წარმოთქმა დროთა განმავლობაში იკარგება და იღებს თავისებურ სახეს. ნასესხები ერთეულები განიცდიან ლექსიკალიზაციას და აღარ აღიქმებიან როგორც ნასესხობები. მაგალითად, სიტყვა redingote ნასესხებია ინგლისურიდან riding-coat “manteau pour aller à cheval” – პალტო, რომელსაც იცვამდნენ ცხენზე ჯდომისას. მან განიცადა ლექსიკალიზაცია. ის ფრანგულ ენაში შესულია ძალიან დიდი ხნის წინ (XVII საუკუნეში). ადაპტაცია განიცადა მისმა ორთოგრაფიამ და ის შეერწყა ფრანგული ენის ფონოლოგიურ სისტემას. ასეთი სიტყვების რაოდენობა ძალიან დიდია. ისინი ფრანგულ ენას იმდენად აქვს გათავისებულები, რომ მხოლოდ ეტიმოლოგიის შემსწავლელ სპეციალისტებს თუ შეუძლიათ აღმოაჩინონ მათში ნასესხები სიტყვები. აგრეთვე paquebot, რომელიც მოდის packet-boat-დან, ან boulingrin სიტყვიდან bowling green. მსგავს მაგალითებს უხვად გვაწვდის ეტიმბლი თავის “Parlez-vous franglais”-ში. ამ გამოცდილების გათვალისწინებით სავარაუდოა, რომ pipeline-ის შემთხვევაშიც ერთ-ერთი გამოთქმა დაიკარგება.

ქართულ ენაში ეს პროცესი ნაკლებად სავარაუდოა. ქართული ენის ფონოლოგიური სისტემა იძლევა იმის საშუალებას, რომ მაქსიმალურად უახლოვდებოდეს ანგლიციზმი მის შესაბამის ინგლისურ სიტყვას. მაგალითად, *თქვენ ცნობილი ჰიტების ქვერებს ძღერით* (საზოგადოებრივი არხი, „ცხოვრება მშვენიერია“, 29/04. 2012).

რაც შეეხება სინტაქსურ ანგლიციზმებს, ჟან პრუვოსა და მიშელ საბლე-იროლის თვალსაზრისით, ისინი მზაკვრულად მკვიდრდებიან ენაში და ამიტომ ყველაზე სახიფათონი არიან მიმღები ენისათვის, მით უმეტეს, რომ თვალში

საცემი არაა და მხოლოდ ყურადღებით დაკვირვების შედეგად შეიმჩნევა. ფრანგულ ენაში: en charge de (in charge of) chargé de, responsable de (პასუხისმგებელია, ევალება). Est sous contrôle (under control), est maîtrisé (კონტროლს ქვეშაა, მართულია). Faire sens (to make sense) avoir un sens (მნიშვნელობა აქვს).

ამგვარად, თუკი არსებობს მსესხებელ ენაში უცხო ენიდან ნასესხები სიტყვის სინონიმი, მაშინ შესაძლებელია, ორივე სიტყვის თანაარსებობა. ისინი თანაარსებობენ გარკვეულ მომენტამდე, შემდეგ კი ერთ-ერთი მათგანი ქრება, ან იცვლის შინაარსს.

ფრანგული გამოთქმა *maintenant ce mot est dans le dictionnaire* („ახლა ეს სიტყვა ლექსიკონშია შესული“) კარგად გვიჩვენებს, რომ ენის მატარებლებს გარკვეულ დრომდე გააჩნიათ ინტუიცია, შეიგრძნონ ეს სიტყვა როგორც “უკანონო“ სიტყვა. ის „ჟღერს“ როგორც „უცხო სიტყვა“ და ისინი გრძნობენ, რომ უნდა მოხდეს რაღაც, იმისათვის რომ მან მიიღოს ფრანგული სიტყვის თვისებები. ლექსიკონები მხოლოდ ხმარების შემთხვევებს აღწესხავენ. სიტყვის მოხვედრა ლექსიკონში სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ იგი აღიარეს ენათმეცნიერებმა. თუმცა სიტყვას სტატუსს ენის სპეციალისტები ანიჭებენ, ენა ეკუთვნის ამ ენის მატარებლებს და არანაირ დეკრეტებს და დადგენილებებს არ ძალუძთ, ისინი აიძულოს, იხმარონ ან არ იხმარონ ესა თუ ის სიტყვა ან გამოთქმა.

ამ თვალსაზრისით ქართული ენის მდგომარეობა განსხვავებულია ფრანგული ენისაგან. გარდა იმისა, რომ გარკვეული მიზეზებით, ქართველი სპეციალისტები ვერ მუშაობენ ისეთი ოპერატიულობით, როგორც ფრანგები, ლექსიკონების გამოცემაც არ ხდება სწრაფი ტემპით და, შესაბამისად, ამა თუ იმ ნეოლოგიზმის დაფიქსირებას ხშირად აღარც კი აქვს აზრი, ვინაიდან ის უკვე გამქრალია ენიდან. დასანანია, რადგან, ისევ პრუვოსა და საბლეიროლს თუ დავესესხებით, „...არ არის ურიგო, არსებობდეს რაღაც მარეგულირებელი ძალა, რომელიც ენის განვითარებაზე გარკვეულ ზეგავლენას მოახდენდა“ – “Il n’est pas inutile que des forces régulatrices s’exercent pour peser en quelque sorte sur l’évolution de la langue” (Pruvost, Sablayrolles 2003).

ქართულმა ენამ, შეიძლება ითქვას, ყველაზე უხვად ლექსიკური ანგლიციზმები მიიღო. თუმცა ამ შემთხვევაში ორთოგრაფიულ ადაპტაციაზე ზედმეტია ლაპარაკი. ქართველ ტელემედიურებელს თუ ვიდეომომხმარებელს უფრო და უფრო ხშირად ესმის მსგავსი ანგლიციზმები: „დიჯეი“, „ივენტი“, „ვიკენდი“, „მესიჯი“, „ფანფეიჯი“, „ვაილქარდი“ და სხვა. განსხვავებით ფრანგული ენისაგან და გამოძინარე ქართული ენის სპეციფიკიდან, ამ ანგლიციზმების ჩასმა მიმდებ ენაში მაინც ხდება მორფოლოგიური ადაპტაციის წესების გათვალისწინებით. მაგალითად: *ლეიბლი* „ქართული ოცნება“ *აცხადებს ქსთინგს*

10 ივლისიდან 10 სექტემბრამდე. ძალიან საინტერესო ვიზუალური, ასე ვთქვათ, ვიჯეინგის პერფორმანსი იქნება, რომელიც განლაგდება ბევრ სტრინინგზე. გვითხარი, რა ხდება ბექსტიეჯში. ვინც იცის ჩემი ბევრად უნდა, იმას არ გაუკვირდება. მიხარია, რომ განვითარდა სტერეოსტაილი. მთავარია, როგორი ლუკით მოდიან. თუმცა ხშირად არის შემთხვევები უპირობო კალკირებისა: „გაყიდვების მენეჯერი“, ან „როგორია თქვენი მოლოდინები?“

ხანდახან ანგლიციზმების მომხმარებელი (ცხადია, საეთერო სივრცეში) მას ქართულ განმარტებასაც დააყოლებს. მაგალითად: *იქნება ელექტრონული ლაივი, ანუ ცოცხალი შესრულება* („იმედი“, ქრონიკა, 09.11.2011)

XVIII-XIX საუკუნეებში ფრანგულ ენაში შესული ანგლიციზმების ერთმა ნაწილმა შეინარჩუნა ინგლისური ორთოგრაფია, ზოგმა მათგანმა კი დროთა განმავლობაში მოირგო ფრანგული ორთოგრაფიის თავისებურებები. XX საუკუნეში კი (ეს საუკუნე, ყველა თვალსაზრისით, სრულიად განსხვავებულია ყველა წინამორბედი საუკუნეებისაგან), და უკვე ოცდამეერთე საუკუნეშიც, ანგლიციზმების ორთოგრაფია ხელუხლებელი რჩება. თუმცა ამ ანგლიციზმიდან მიღებული დერივანტების ფრანგული ენის სისტემაში ჩასმის რამდენიმე წესი მოქმედებს. მაგალითად, Upgrader. Upgrade-ს დაემატა er. Mixage – ეს არის სხვადასხვა ბგერითი ფლერადობის ნარევი: age დაემატა mix-ს. Dragqueenesque esque დაემატა dragqueen-ს. ანდა footballistique: istique დაემატა football-ს. საფრანგეთის აკადემია თვალყურს ადევნებს, რომ ფრანგული ენის ფონოლოგიური სისტემა, მორფოლოგია და სინტაქსი ხელუხლებელი დარჩეს.

ქართულ რეალობაში გრაფიკული ანგლიციზმები უფრო ხშირად სარეკლამო ტექსტებში გვხვდება. თუმცა ქართული და ლათინური ანბანის ერთდროული გამოყენების გამო ისინი ჯერჯერობით ძალიან უცხოდ გამოიყურებიან. და ალბათ სწორედ ამიტომაც იყენებენ მათ რეკლამის სპეციალისტები. „ჰენდმასტერი HandMaster უნივერსალური ხელოსანი გამოძახებით“. „მალე მედი Lady იმედზე“. „ამინდის პროგნოზი ძირითადად clear“. არის შემთხვევები, როდესაც ლათინური ანბანი არ არის გამოყენებული, მაგრამ სიტყვის არაქართული ნაწილი მაინც რალაცნაირად გამოკვეთილია ტექსტში. მაგალითად, „ფესტივალის ფარგლებში ვებგვერდზე ამუშავდება ბლოგი, სადაც დაიპოსტება ყოველდღიური კოლაჟი ფესტივალის მსვლელობისა“.

ქართულ ენაშიც, ისევე როგორც ფრანგულ ენაში, საინტერესო ზმნები შეიქმნა ანგლიციზმების საფუძველზე. მაგალითად: *სანამ დასერჩავ, დაგუგლე. ცხოვრება რომ აჯექპოტო, ითამაშე ხშირად ლოტო.*

დაბოლოს, ჩვენ მიერ ზემოთ ნათქვამს თუ დავუბრუნდებით, ვნახავთ, რომ ქართულში ახლად დამკვიდრებულ ზოგიერთ ნეოლოგიზმში შემორჩენილია რუსიციზმის კვალი. ამ ლექსიკურ ერთეულებში სიტყვის ნაწილი ინ-

გლისურია, ნაწილი კი რუსული. ოფიციალურ ტელესაინფორმაციო გადაცემაში არაერთგზის გვსმენია „ბევრად უფრო კარგი ტრიდეა“ (3D). ასევე ხშირად გვსმენია „ემპეტრიზე (MP3) გადავქაჩე“.

ამგვარად, ანგლიციზმების სტატუსი ფრანგულ ენაში გარკვეულია. რა ბედი ელით მათ ქართულ ენაში, ძნელი სათქმელია. შესაძლოა (და იმედი ვიქონიოთ), რომ, მოვლენების განვითარების სწრაფი ტემპის წყალობით, მათ დიდი ხნის სიცოცხლე არ უწერიათ. ერთი კი ცხადია, ინტერნეტსივრცესა და კომპიუტერულ ლექსიკაში მათ უკვე მტკიცე ადგილი დაიმკვიდრეს.

ლიტერატურა

- R. Etiemble, *Parlez-vous français*, Gallimard, Paris 1964.
C. Hagège, *Combat pour le français: au nom de langues et des cultures*, Éd. Odile Jacob, 2006.
Hagège 2012: C. Hagège, *Imposer sa langue c'est imposer sa mentalité*, L'Express.fr. 28.03.2012.
B. Cerquiglini *La langue française invitée d'honneur au salon expolangue TV*, Expolangue 2012-04-02, Le salon direct vidéo 1-4 février 2012.
S. Michel, *Anglicismes: Michel Serres relance un débat*, Chroniques du 14 mai 2011.
M. Pergnier, *Les anglicismes*, PUF, Paris 1989.
Pruvot, Sablayrolles 2003: J. Pruvot, J-F Sablayrolles, Les Neologismes, PUF, Paris.
D. Bourdeau, C. Forest, *Dictionnaire des anglicismes Le Colpron*, Éd. Beauchemin 1998.
J. P. Vinay, J. Darbelnet, *Stylistique comparée du français et de l'anglais*, Didier, Paris 1966.

Tinatin Beliashvili

The Comparative Analysis of Integration of Anglicisms in French and Georgian

Summary

It can be said confidently that currently nearly all the languages of the world abound in Anglicisms. Such lexical units embrace nearly all the fields of human activity.

The contacts between the English and French languages have a longstanding history. Hence, the role of Anglicisms in French is a matter of special study. Diverse research has led to the identification of the ways of integration of Anglicisms in French. As for the Georgian language, here Anglicisms are comparatively new. English words penetrated into Georgian as a result of the socio-political events of the 80s-90s of the past century. Therefore, the role of Anglicisms in Georgian has not been studied thoroughly.

There are semantic, morphological, phonetic, lexical, orthographic and graphic Anglicisms in the French language. Following the French criteria of classification of Anglicisms, we can conclude that Georgian abounds in lexical Anglicisms, although without orthographic adaptation. Morphological and phonetic adaptation is successful. The most dangerous threat to Georgian, as well as to French, are syntactic Anglicisms. However, there is no question of graphic or orthographic adaptation due to the existence of the Georgian alphabet. There is one more interesting point: the Anglicisms that have penetrated into Georgian also bear an impact of the Russian language.

Due to objective reasons, the above-mentioned lexical units have not become the units of Georgian dictionaries so far. It is difficult to make forecasts. Let us hope that the existence of Anglicisms in Georgian will be ephemeral due to the rapid speed of development of events.

ფრაზეოლოგიური გამოთქმები ნიგალურ მეტყველებაში

ფრაზეოლოგიური ერთეული წარმოადგენს ლექსემათა ისეთ მყარ შეხამებას, რომელიც არსებობს ადამიანების ყოველდღიური მეტყველების წიაღში.

უცხო „სიტყვათა ლექსიკონის“ განმარტების მიხედვით, ფრაზეოლოგია მომდინარეობს შესაბამისი ბერძნული ლექსემებიდან (phrasis „გამოთქმა“ და ლოგოს „მოძღვრება“). მას ოთხი მნიშვნელობა აქვს:

1. ამა თუ იმ ენის მტკიცედ ჩამოყალიბებული გამონათქვამები, სიტყვათა თავისუფალი შეერთებანი;
2. ენათმეცნიერების ნაწილი, რომელიც ასეთ გამონათქვამებს სწავლობს;
3. ამა თუ იმ მწერლის, ორატორის, ლიტერატურული მიმართულების, საზოგადოებრივი ფენისა და მისთანათა დამახასიათებელი სტილისტური ხერხების ერთობლიობა;
4. მაღალფარდოვანი უშინაარსო ფრაზები, გამონათქვამები“ (ჭაბაშვილი 1990:534).

თავისუფალი შესიტყვება ხშირად იქცევა იდიომატურ მონაცემად, რომელიც შედგება ენაში არსებული ცოცხალი გამონათქვამების თანდათანობითი გაქვავებისა, ამიტომაც ის არაა სემანტიკურად შეპირობებული: სიტყვათა ხმარება ერთმანეთის მეზობლად ჩვეულებად იქცევა, ლექსემა გამოეთიშება მისი სემანტიკისა თუ პრაგმატული ღირებულებისთვის დამახასიათებელ წესებს და მეზობლად ნახმარ სიტყვას დაუკავშირდება (ფონზუა 1974:293).

ფრაზეოლოგია იწყება სწორედ მაშინ, როდესაც კომპონენტების მნიშვნელობა იზრდილება და შესიტყვება გვევლინება სემანტიკურ მთელად (თაყაიშვილი 1961:5). ლიტერატურული მეკვიდრეობის გვერდით ფრაზეოლოგიზმებს ქმნის ხალხის ცოცხალი სასაუბრო მეტყველება.

დღეს თურქეთის ტერიტორიაზე წარმოდგენილ ლივანურ დიალექტს, სადაც ყველაზე მეტადაა შემონახული ქართული მეტყველება, მრავალი ხატოვანი სიტყვა-თქმა დაუცავს და შეუქმნია.

ნიგალურ ტექსტებში, „ჩვენებურთა“ მეტყველების წიაღში, მათ გულდია საუბრებსა და ადათ-წესების, ტრადიციების, ყოფა-ცხოვრების, მუჰაჯირობის, კვების პროდუქტების დამზადებისა და მშენებლობის შესახებ ჩაწერილ მასალებში ვხვდებით „ფასაპორტის“ გაკეთებისა და საქართველოში წამოსვლის სურვილს, ოცნებას („იქაც არი შუახევა, აჯაფ მე იქიდა ამუელი, თუ აქედან

წვევით“), ფიქრსა და წუხილს თავიანთ წარსულზე, ხშირად სადაურობაზეც. მათ მონათხრობში მოვისმენთ მყარ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებს, გაქვავებულ საქცევებს, იდიომებს...

ფრაზეოლოგიზმები, ფოლკლორული ნიმუშების მსგავსად, ხასიათდება ვარიაციულობით, ფორმობრივი და შინაარსობრივი ნიუანსებით. განსხვავებული ვარიანტებით გვხვდება არა მხოლოდ დიალექტური ქვესისტემების დონეზე, არამედ ერთი დიალექტის ფარგლებშიც.

უცხო მხარეში დარჩენილი „ჩვენებურების“ ენა, შესაბამისად ფრაზეოლოგიზმებიც, ვითარდებოდა და იცვლებოდა თურქულის პირდაპირი ზეგავლენით, რასაც ლექსიკური ფონდის შემცირება, ხატოვან სიტყვა-თქმათა კლება, ხშირ შემთხვევაში მათი გაქრობა ან ახლებურად განვითარება მოჰყვა, აგრეთვე, გაფართოვდა ან დავიწროვდა ცალკეულ ლექსემათა მნიშვნელობა, ან საერთოდაც ახალი მნიშვნელობა შეიძინა.

სტატიაში განვიხილავთ ჩვენს მონოგრაფიაში (ბერიძე 2007:142-170) შეტანილ ტექსტებში წარმოდგენილ ლექსემათა მყარ შეხამებებს, აგრეთვე, ნაწილობრივ იდიომატური ფუნქციის მქონე სიტყვებსა და ფრაზებს, რასაც პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობებით გამოხატავენ ნიგალურ მეტყველებაში გამოყენებული ზმნები.

ხან იდიომი მოიცავს ფრაზეოლოგიას და ხან კი, პირიქით, ფრაზეოლოგია – იდიომს. ზოგი მკვლევარი მათ აიგივებს კიდევ (თაყაიშვილი 1961:13).

ძალიან ხშირად ნიგალურ ფრაზეოლოგიზმებში გვხვდება ანალოგია ქართული ენის დანარჩენ დიალექტებთან:

გარმონი უკრიდა, **ყური გიმიკეთა** = მასიამონა) (გვ.143). აჭარაში (და სხვაგანაც) სინტაგმას „პირი გამიკეთა“ იტყვიან მაშინ, როცა შედარებით უკეთეს საჭმელს მიიღებენ, რომელიც მანამდე არსებულ ცუდ გემოს გააუმჯობესებს, ხოლო „გული გიმიკეთა“ ნიშნავს ნაწყენი გუნების სანუგეშოდ რამე სასიამოვნოს თქმას.

იოხ **გულზე მაწვებინ** = დარღები შემომაწვა გულზე (გვ.143) ფართოდ გავრცელებული ფრაზეოლოგიზმია აჭარაში.

შენი თვალების ჭირიძე: „ამ სირაი ავაღველი ვარ, შენი თვალების ჭირიძე“ (გვ.146). იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება სხვა დიალექტებშიც ეს ფრაზეოლოგიური გამონათქვამი.

გულმა უძახის (გვ.144), თანამედროვე ქართულში გამოიყენება „გულმა უთხრა“.

პირ კოცნა თუ გინდა, ცხვირმა არ დიგიშლის – სახემეცვლილი ფორმით ვხვდებით მსგავსი შინაარსის ფრაზეოლოგიზმებს სხვაგანაც: კოცნა თუ უნდოდა, გრძელი ცხვირი არ მუუშლიდა.

შეგებნდი, დიდი ტყე ჩამოსულა (გვ.167), აჭარულ დიალექტში ამ ზმნას **ღევხელე** ცვლის.

გეიარა, წევლა (გვ.142), უკვე გაკეთებულ საქმე და ნათქვამი სიტყვა, რომელიც აღარ გამოსწორდება, ე.ი. ჩავლილი ამბავი.

გარმონი უკრიდა, დენინახა და **აწია** = ტემპს მოუმატა (გვ.143).

შვილმა **დააწია** და მან წევლა წინ = რძალი ავამყოფობდა და მან სიკვდილი დაასწრო (გვ.150).

იმან დააწვა, ზენგინია = გააძვირა (გვ.148).

შენ 15 წელი ციხეში დაწექი = გაატარე (გვ.143).

ძმა შეწუხდა და **გამუუტყვილა ბუკი** = უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა (გვ.144).

ამათი გოგო ჩემ ბიჭ არი ჰამა, **გავხოცევი** = წავშალე, გავრიყე (გვ.145).

აქ ყოფილიყო, ილა **მომასწრობდა** აქ = მინახულებდა (გვ.146).

მილიონი **მოგიღვა** = დაგიფასა (გვ.148).

ჩვენი ყანები იყო, **გავაგდეთ** = მივატოვეთ (გვ.147).

აქავრობა **გაფისდება** = გაჭუჭყიანდება (გვ.169).

ვხოცავ, ფული ვიგებ = ვწმენდ, ვალაგებ (გვ.169).

ჩემ იეგნებმა რესმი **გამუუწიეს** = სურათი გადაუღეს (გვ.163).

ყადიოლლის **ეტყვიან** = უწოდებენ, მოიხსენიებენ (გვ.170), ლეჩერ **ვეტყვიით** (გვ.162), ამ დანიშნულებით „ეტყვიან“ ზმნა გამოიყენება არა მხოლოდ სამხრულ დიალექტებში.

არაბი ქვეშ **მოვდა**, დაზილა არაბამა = მანქანის ქვეშ მოყვა... (გვ.162).

იმა ამეიღებ, **ღეიბანავ** გობში (გვ.151), იმას (კარაქს) ამოიღებ, მოათავსებ გობში და გარეცხავ.

მოყარე ღარჭები, **გუუდექ** და ჭამე = შეუდექი ჭამას (გვ.65).

ეგერ თუ სქელი ქნა, წყალს **გეიგნებ** იშტე = მიხვდები (გვ.65).

სუფრაზე **მოვადენტ** = მივიტანთ (გვ.142).

კამერა **გამოწველი აქვან** = მიმდინარეობს ვიდეოგადაღება (გვ.148).

ტილიფონი **გუღუუტრიალა** = ტელეფონით დაურეკა (გვ.150).

დავლამდი = დრო დავკარგე, ისე შემომალამდა თქვენთან საუბარში, რომ ვერაფრის გაკეთება მოვასწარი (გვ.164). ამავე მნიშვნელობითა და ამავე ძირით „დავლამე“ გვხვდება თანამედროვე ქართულში.

როგორც ვხედავთ, „ჩვენებურთა“ მეტყველების დამახასიათებელ და მნიშვნელოვან ნაწილს ფრაზეოლოგიური ზმნები წარმოადგენს, რადგანაც ამგვარად საუბარი ლაკონიური, მარტივად მოსასმენი და ადვილად აღსაქმელია.

ენათა ურთიერთგავლენაზე დაკვირვება წარმოაჩენს, რომ შესაძლებელია განსხვავებული ენობრივი სისტემის ზეგავლენით მეორე ენის სისტემამ უფრო მასშტაბური და ღრმა ცვლილებები განიცადოს, ისეთი ცვლილებები, რომლე-

ბიც სამომავლოდ კარდინალურ პროცესებს განაპირობებს (არაბული 2004:19). სწორედ ეს კარდინალური ცვლილებებია საზგასასმელი, როცა საქმე გვაქვს თურქულ სემანტიკურ კალკებთან:

ტანს **ისაქმებენ** = იცეკვებენ (გვ.152).

მინჯი **იჯებება**, ლორი იქნება = გამოვია, გამოიწურება, გაკეთდება (გვ.168).

ხუთი ყათი გენილი ყავს, ერთი მეიყვანა, შეიშალა, ამელიათი გახდა მანც საქმით დაკავებული აღმოჩნდა, მეორე მეიყვანა, ამელიათი გახდა, კიდევ უფრო მეტი საქმე დასჭირდა, პრაქტიკულად დაკავებული აღმოჩნდა (რძალი თლათ მეიყვანა, თლათ ამელიათი გახდა = უსაშველოდ ბევრი საქმე შეექმნა (გვ.142).

ჩვენი დარჯები **ალიშ-ვერიში იჯებიან** = უთავბოლოდ იქცევიან (გვ.166).

რა მულელიმი ხარა, რა მაზი ფეში ხარ? = ვისი გორისა ხარ, ვისი ჩამომავლობა გაქვს, სადაური ხარ?

ფრაზეოლოგიზმი განიხილება, როგორც ადამიანის მეტყველების სპეციფიკის, მისი ისტორიის შესწავლის უძვირფასესი მასალა. ისინი წარმოადგენენ ძვირფას ფასეულობას ენათმეცნიერთათვის.

ჩვენს შემთხვევაში სიტყვათა ახალი მნიშვნელობის განვითარება და მასთან დაკავშირებული ბევრი საკითხი სათავეს იმ სასაუბრო ლექსიკაში იღებს, სადაც თურქული ენის ძლიერი ზეგავლენაა, ამიტომ ამ ფრაზეოლოგიურ თქმათა ერთ-ერთი მიზეზი ენის დავიწყებით, ენობრივი ეკონომიით (სიტყვათა თავსებადობის პრობლემებითა და სამეტყველო ლექსიკის უკმარისობით) გამოწვეული ექსპრესიაც უნდა იყოს.

„ფრაზეოლოგიზმები არა მარტო ენის გამდიდრება-გამრავალფეროვნების საშუალებაა, არამედ მისი სახეობრიობის საფუძველი და შესიტყვება ხშირად ექსპრესიული ფუნქციის მატარებელია“ (ფუტკარაძე 2010:69).

ფრაზეოლოგიური ერთეულები ხატოვნად და ზედმიწევნით ასახავენ ხალხის სულიერი და გონებრივი ცხოვრების გამოცდილებას.

ჯეირან **მიცემ** = შუქს ჩართავ (გვ.151).

წრეველ არ **გადმეიარა** = წლეულს არ ჩამოვიდა (გვ.146);

უნივერსალური ენობრივი მოვლენაა ლინგვისტური ეკონომია. მის გავრცელებასა და რაოდენობრივ მახასიათებელზე კი, სხვაგვანადაც ერთად, სოციალურ-ეკონომიკური (ანუ ექსტრალინგვისტური) ფაქტორებიც ახდენენ გავლენას. ენობრივ ეკონომიაში, ფართო გაგებით, ნებისმიერი ენობრივი მოვლენა შეიძლება ვივარაუდოთ (ჯორბენაძე 2012).

თქვენი წმინდაა, ჩვენ თქვენდენი ვერ ვლაპარაკობთ = თქვენი სრულყოფილი ქართულია (გვ.144);

რავაი ფიქრი მქონდა, ჰამა დაგკარგე თელი = ადრე ჭკვიანი, გონიერი ვიყავი, ყველაფერს ვხვდებოდი, ვაკეთებდი (გვ.150).

მე გურჯი ვარ, ჰამა ქართველი ვარ, ვერ ვიტყვი, მცხვენია, ასე წარბის ზეიდან კაც არ შეიხედებოდა, ასე იყო, კაც მოკლიდენ, ახლა რაფერ გითხრა, დეჩვიენ, თელი წახდენ (გვ.156), შდრ. აჭარული გამონათქვამი – წელს ზეიდან კაცზე არ შეიხედება (მუსლიმანურ საზოგადოებაში ქალი მამაკაცს თვალს არ გაუსწორებს, ე.ი. თავდახრით ელაპარაკება, რაც მის პატიოსნებად და ღირსებად ითვლება).

ღარჭი გზაშია – ბავშვი მალე დაიბადება (ალი გურაქარ, ართვინი, 2008);

თაფლი ღიგიკავეს – თაფლი უჭმელად ღიდხანს გაგაძლებინებს (ოსმან ოზაიდინი, სოფ. ტრაპენი, 2007).

ფარა დაწვინა – ფული გადაიხადა (ბედრიე უსტაელთინ, სოფ. სინკოთი, 2008).

ჩვენი ნიგალში ერთთვისანი მოგზაურობის მისია შემორჩენილი ტოპონიმიკური მასალის ჩაწერა გახლდათ, გზადაგზა რამდენიმე ტექსტი ჩავიწერეთ, როგორც კი ამის საშუალება მოგვეცა; სპეციალურად მიქმელები და კარგი ქართულით მოსაუბრენი არ შეგვირჩევია, არადა, „ხალხური ხატოვანი სიტყვა-თქმანის შესწავლას გარკვეული სიძნელები ახლავს. ამ სახის ლექსიკა ცოცხალ მეტყველებაზე **ხანგრძლივ და სისტემურ დაკვირვებას** მოითხოვს; მსგავსი მასალის უხვად მოპოვება შეიძლება ხალხთან უშუალო ურთიერთობისას, როცა საუბარი ლაღად, ძალდაუტანებლად ვითარდება და ყოველდღიურ ცხოვრებისეულ საკითხებს ეხება“ (ნოლაიდელი 2007:6), ამ გზით კი გაცილებით მეტის გაკეთება და შემორჩენილი ქართული ფრაზეოლოგიზმების ჩაწერა-გადარჩენა შეიძლება.

ლიტერატურა

არაბული 2004: ა. არაბული, *ქართული მეტყველების კულტურა*, თბილისი.

ბერიძე 2009: ე. ბერიძე, *ნიგალი, ისტორიულ-ეთნოგრაფიული და ტოპონიმიკური ასპექტები*, ბათუმი.

თაყაიშვილი 1961: ა. თაყაიშვილი, *ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები*, თბილისი.

კუნინი 1984: Кунин А. В., *Англо-русский фразеологический словарь*, Москва.

ნოლაიდელი 2007: ნ. ნოლაიდელი, „*სიტყვა სიტყვის მაკინარია*“ (*ხატოვან სიტყვა-თქმათა ნიმუშები აჭარულ დიალექტში*), აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, ტ. IX, ბათუმი.

ფოჩხუა 1974: ბ. ფოჩხუა, *ქართული ენის ლექსიკოლოგია*, თბილისი.

ფუტყარაძე 2010: ე. ფუტყარაძე, *აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა. ხატოვანი სიტყვა-თქმანი, აჭარული მასალა*, ბათუმი.

ჭაბაშვილი 1989: მ. ჭაბაშვილი, *უცხო სიტყვათა ლექსიკონი*, თბილისი.

ჯორბენაძე 2012: ნ. ჯორბენაძე, *ენობრივი ეკონომია და ქართული ენის დიალექტები*, რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, 32, თბილისი.

Eter Beridze

Phraseological Expressions in the Speech of Nigali

Summary

The idioms (*phraseological units*), like folklore samples, are characterized by variations, as well as different formal and conceptual nuances. We come across different versions of the same phraseological units (*phrasemes*) not only on dialectal subsystem level but also within one dialect. The language, as well as phraseologisms, of “Chveneburebi”, the people of Georgian origin who live in Turkey, developed and changed under the direct influence of the Turkish language, which was followed by various qualitative and quantitative changes.

**A NOTE ON THE PRAGMATICS OF
INTERROGATIVITY IN MEGRELIAN¹**

The modest goal of this paper is to present a few informal observations on certain types of Megrelian interrogative sentences, their pragmatic properties and some diachronic considerations that we may derive from them.

I dedicate this note to the memory of Togo Gudava, who taught me Megrelian in 1974 and whom I adored as one of the best teachers I had ever had. I appreciated his excellent professionalism as a linguist and sophisticated expert of his mother tongue, and I liked the warmth of his charming personality. His early death was a great loss for Georgian linguistics.

1. Syntax was not the main interest of Togo Gudava, but I owe him an etymology that is quite important for the history of Kartvelian.² He told me that Megrelian *na-mu-* corresponds to Georgian *ro-mel-* (with **-mel > mu*³ and *na-* as a functional equivalent of Georgian *ro- < *ra*⁴). This shows that there is not only a pervasive interrogative word strategy of subordination that Megrelian shares with Georgian and Svan and which distinguishes Kartvelian from the other Caucasian languages (Rogava 1948), but also an isogloss connecting both the interrogative pronouns *romel-* with *namu-* ‘which’ and the Megrelian conjunction *na-mu-da* with the late Old Georgian conjunction *ro-mel*. The final particle *-da* seems to be the same as e.g. *-da* in result clauses (2), in conditional clauses (3), in *tu ara da* ‘if not’, etc. Note that in all these cases *-da* occurs at the right edge of the preceding tone

¹ I am indebted to Nino Dobordjginidze and Rezo Kiknadze (both from Tbilisi) for helpful native speaker judgments on Georgian material; to Ivane Lezhava and Maia Lomia for questions of Megrelian prosody; to Lali Ezugbaia for a detail of Laz; and to Taia Tskhadaia and Paata Tskadaia (all from Tbilisi) for information on lexical, morphological and semantic matters of Megrelian. They should not be held responsible for mistakes and misunderstandings. The Georgian translations I owe to Anton Kiziria (†) and Rezo Sherozia (Tbilisi/Zugdidi).

² I cannot exclude the possibility that this etymology has since been published by somebody else.

³ Cf. Georgian *cmel-* ‘fat’ = Megrelian *cəmu* ‘id.’ (Gamqrelize, Mačavariani 1965:89; 1982:39). The identification of *-mu* with the third person pronoun *mu-* ‘what?’ (Marčirosovi 1964:190; cp. Čikobava 1936:84: „ნა- პლეს მესამე პირის სახელი მუ/მუქ (ნამუ = რა-ვინ)“) strikes me as very strange.

⁴ *ro- < ra-* is the communis opinio. In view of forms like *ra-me-tu* I do not feel very comfortable with it. – The identification of *na-* with the first element of Laz *na-k* ‘where?’, *na-ko* ‘how many?’ (Čikobava 1944:450 apud Marčirosovi 1964:187) and the Kartvelian variation between Georgian *ra-*, Laz *na-*, Megrelian *mu-* and Svan *ma-* ‘what?’ call for a critical scrutiny.

group (Boeder 2005, cf. Tevdoraḡe 1978:46) and that Makar Khubua (= X) faithfully marks these junctures against the rules of conventional punctuation (see eg. (25b)).¹

- (1) xencipeṣa apu moćineli namu-da, / tito ḡoći daxvamiluas ate merćkineli adgils-i-e (X 12,2-3)
 king.to he.has informed.NOM that, / each man.NOM
 he.should.make.him.meet.with.him this appointed place.DAT-QUOT
 ‘It [sc. the dragon] has sent an instruction to the king / that he should send [one] man each [at a time] to meet it at this appointed place (ხელმწიფვისთვის აქვს შეთვლილი, რომ თითო კაცი დახვედროს ამ მიჩენილ ადგილასო)’
- (2) ḡurgom tiḡgura balaveri kuguṡunū namə-da, / mutuns vemnarte (X 86,13-14)
 around such foundation.NOM AFF.she.brought.it.around that / anything.DAT
 NEG. it.can.enter.it
 ‘She enclosed it with such a foundation (?) that / nothing can enter it (ირგვლივ ისეთი რამე შემოაყოლა, რომ ვერაფერი ვერ შევა)’
- (3) (a) ma tik va-ren-o va-dmaragu-a-da, / (b) maḡia minutis dudi meṡḡvati-a (X 1,23-24)
 (a) I that.ERG NEG-is-Q NEG-it.was.possible.for.me.to.overthrow.him-QUOT-if/
 (b) second minute.DAT head.NOM you.cut.it.off.for.me-QUOT
 ‘(a) If I hadn’t managed to throw him over, (b) the next moment you would have cut my throat, he said (მე ის თუ ვერ წავაქციე, მეორე წუთში თავი მომჭერიო)’

The provenance of Kartvelian relative and conjunctive clauses from grammaticalised interrogative sentences (which seems to be a contact-induced phenomenon) is a fascinating problem, but in the following sections we will not deal with the reconstruction of the early stages of Kartvelian. We will rather try to understand the internal development of some specific Megrelian interrogative constructions.

2. Megrelian has the two basic types of question clauses we know from other languages: questions with interrogative pronouns (4) and yes/no questions marked by the post-verbal clitic particle *-o* (5)-(6).² The verb marked by *-o* can be followed by same-clause constituents (7)-(8). Note that *-o* occurs in the same slot as the clause-final conditional subordinator *-da* (as in (1c), (3a)) and the general subordinator *-ni* (as in (8)). *-o*, *-ni* and *-da* may be preceded by the quotative

¹ In the following, interlinear glosses will be given only for some examples to facilitate an understanding of the argument.

² As a result of regular ellipsis, *-o* occurs in other positions (after phrasal sentence-fragments): *xete kimgəḡonu-o art ḡirapat?* – *art ḡirapat-o?* *ara* (Gippert 2010:373) immediately AFF.it. pleased.you-Q one seeing.INSTR? – one seeing.INSTR-Q? no ‘Did you like it at first sight? – At first sight? No’. Cf. Ḳarṡozia et al. 2010:306.

particle *-a*: *reki-a-v-o?* in (6), (9); *kəmortu-a-da* (X 183,33) ‘if he came, **he said**’, *miçii-a-ni* (Kažaia s.v. *-a*) ‘**when** you told me, **s/he said**’.

- (4) **min** orek si? (X 70,25)
 who.NOM you.are you
 ‘Who are you?’
- (5) midartu-**o**?
 ‘Did s/he go (there)?’
- (6) nasurepi ko-reki-a-v-**o**? (X 41,20)
 having.learned.NOM AFF-you.are-QUOT-J-Q
 ‘Are you educated?’
- (7) doxaši-**o** do dozadi-**o** lebia? (X 191,28)
 you.cooked.it-Q and you.seasoned.it-Q lobio.NOM
 ‘Did you cook and season the beans?’
- (8) káčqek-**o**, artik mažira žoyori kimi?unə-n (X 97,29)
 AFF.you.see.it-Q, one.ERG second dog.NOM AFF.it.brought.it.here-SUB
 ‘Do you see that one dog brought the other here?’
- (9) si čkimi komonži va-reki-a-v-**o**? – ko-v-a – uçū kočk (X 86,29)
 you my husband.NOM NEG-you.are-QUOT-J-Q – AFF-J-QUOT – he.told.her
 man- ERG
 ‘[A wife is unsure if the man who returns after a long time of absence is her husband. She asks him:] Are you not my husband? – Yes, said the man (შენ ჩემი ქმარი არა ხარო? – კიო, – უთხრა კაცმა)’

Now consider “rhetorical questions” in Megrelian. Their basic form does not differ from ordinary questions. For instance, out of context, (9) can either be read as an ordinary question or as a rhetorical question.¹ In the given context, it is a negative non-rhetorical question with a positive bias (i.e. a positive answer is expected). As a rhetorical question it would mean that the positive value of the implicit “answer” is considered to be evident (see below).²

¹ However, specific properties of rhetorical questions cannot be excluded. For instance, stress pattern and intonation contour may be different. In the absence of any study of Megrelian intonation, the question cannot be settled here.

² In their chapter on negative forms with a positive meaning G. Kartoziia and his co-authors (Kartoziia et al. 2010:391-392) deal with the non-rhetorical variant: *tina va-rdu-o ma vo?vilape-n, munero getelə kini do vara sole mortu-a? gečvirū xelmčapek* (X 55,28-30) that.NOM NEG-he.was-Q I I.let.somebody.kill.him-SUB, how he.became.whole again and from.where he.came-QUOT? he.was.astonished king.ERG ‘Is that not the man I ordered to be killed? How did he come back to life again and from where did he come, the king wondered’ (ის არ იყო, მე რომ მოვაკვლევინე, როგორ გაცოცხლდა („გამართელა“) კვლავ, ანდა საიდან მოვიდა? – გაიკვირვა ხელმწიფემ). This is probably a **question** with a positive bias and does not have the value of a positive **assertion** of what is evident. The translation „ნამდვილად ის იყო, მე რომ მოვაკვლევინე!“ (ib. 392) seems to assume a rhetorical question.

In addition, “classical” rhetorical questions show the usual polarity reversal (negative question ~ strong positive assertion, positive question ~ strong negative assertion). The following examples have a negative interpretation (“who” ~ “nobody” (10), “when” ~ “never” (11); cp. (26d)):

- (10) aba mi 7ope uyuru? (X 29,4)
 now who.NOM s/he.was.PERF immortal?
 ‘Well, who has ever been immortal?’ = “Nobody has ever been immortal”
- (11) mužansi rdu ma si goxvarudi-n (Kartozia et al. 2010:391)
 when it.was I you I.helped.you-SUB
 ‘When was it that I helped you?’ = “I have never helped you”
- (12) čki voret dinapili-ni tina va-bayudu-a-v-o! (X 3,37)
 we we.are lost.NOM-SUB that.NOM NEG-it.was.sufficient-QUOT-J-Q
 ‘[What misfortune led you here!] Was it not enough that we are lost? they said’

The following negative questions have the same formal properties as ordinary rhetorical questions. As far as I can see, they occur only as main clauses; they are comparable to the negative question in (9), and as in (7)-(8), the verb+o can be followed by all kinds of constituents (underlined in (16)-(24)), even in the case of idiomatic expressions, as in (23)-(24). Note that a dependent clause may follow (as in (24)), although the scope of the particle is the whole sentence. However, these negative questions (italicised in the following examples) have a meaning that differs from ordinary rhetorical questions. This specific meaning is provisionally left out of account in the English translation of the following examples.¹ The negative particle *va*, the affirmative particle *k(o)* and the interrogative particle *-o* are boldfaced.

- (13) xencəpe, mu ragadi oḳo, es vemečandu-**o** (X 151,18-19)
 king.NOM, what.NOM speaking.NOM it.is.necessary, this.DAT
 NEG.he.would.give.it.to.him-**Q**
 ‘[The king asks Giorgi what he wants and offers him half his kingdom. Giorgi answers that he wants not his kingdom but a horse.] *It goes without saying that the king would give it to him* (ხელმწიფე, რა თქმა უნდა, ამას არ მისცემდა?!)’
- (14) (a) mertə e osurk (b) do zires artiani-n, (c) **va** kičines-**o**? (X 145,8)
 (a) she.went.there this woman.ERG (b) and they.saw.them each.other.NOM-SUB, (c) **NEG AFF.they.recognized.them-Q**
 ‘[A woman recognizes the ring of her husband, from whom she had been separated for a long time, and asks her son where to find the man who had given him the ring. Her son says: There he is!] (a) This woman went there,

¹ This type of rhetorical questions occurs in the Georgian standard language, too: *ager ar modis?! just.here not s/he.comes = ager axla modis* ‘look, there s/he comes!’ (ჭობენაძე 1984:166). However, I am not sure if all the Megrelian examples given below have an exact Georgian counterpart.

- (b) and when they saw each other, (c) *they recognized [each other]* (მივიდა ის ქალი და რომ ნახეს ერთმანეთი, [განა] ვერ იცნეს?)’
- (15) (a) *muši simonkati ate markinek pārķi-šoro va kigexorcku-o*. (b) *gaocu ir ķočk, mu saķureli-ren* (X 1,30-31)
 (a) his.own weight.INSTR this wrestler.ERG pod-like NEG AFF.he.burst-Q.
 (b) s/he.was.amazed all man.ERG what.NOM astonishing-it.is
 ‘[The wrestler laughs at the boy who wants to wrestle with him. The boy seizes and lifts him and when he throws him down.] (a) *The wrestler burst like a pod because of his weight*. (b) Everybody was amazed (მისი სიბძობით ეს მოჭიდავე პარკით არ გასკდა? გოცლა ყველა კაცი, რა საკვირველია)’
- (16) (a) *zyvas dinorena mečxome ķatepi-n* (b) *tenep-k va-ko-zires-o kartička!* (c) *gažinesə-n*, (d) *zisnaxe* (X 70,9-11)
 (a) sea.DAT they.stand.in.it fisher people.PL.NOM-SUB (b) this.PL-ERG NEG-AFF-they-perceived.it- Q picture.NOM (c) they.looked.at.it-SUB (d) beautiful.girl.NOM
 ‘[The girl’s picture fell from the pocket of the vezier’s son into the river and was carried away into the sea.] (a) Some fishermen who stood in the water (b) *(these) caught sight of the picture*, (c) and when they looked at it, (d) [it was] the beautiful girl [i.e. the vizier’s daughter] (ზღვაში რომ დგანან მეთევზე კაცები, ამით ქე არ ნახეს სურათი? რომ გახედეს, მზისუნახავი)’
- (17) (a) *do gvalaše mučo gimelə-n*, (b) *kvatila va uyun-o šxurs?* (c) *kimiočķira kvatila do meurs* (X 174,35-36)
 ‘[He took the sheep along] (a) and as soon as he came down from the mountain (b) *the sheep had a fat-tail*,¹ (c) he cut off the fat-tail, and he goes on (და მთიდან როგორც კი ჩამოვიდა, ღუმა არა აქვს ცხვარს? მოაჭრა ღუმა და მიღის)’
- (18) (a) *žimalenk va mortu-o onžuas?* (b) *das ķitxes [...]* (X 131,3-4)
 ‘[The enamoured sister feigns an illness and goes to bed while her brothers are away.] (a) *Her brothers came [home] in the evening*. (b) They asked their sister [...] (ძმები არ მოვიდნენ საღამოს? დას კითხეს [...])’
- (19) *ate baņanepi vena?otu-o te osurk cqars?* (X 144,20)
 ‘[By deceit the evil woman has arranged a new marriage for the children’s father.] *This woman threw these children away into a river* (ეს ბავშვები არ ჩააგდო ამ ქალმა მდინარეში?)’
- (20) (a) *xenčapeši skuak molartə dasuro* (b) *do va-kəmortu-o te ciraši mumaša* (X 70,12-13)
 ‘[After he had got back the girl’s picture which had been recovered from the sea (cp. (16)),] (a) the king’s son indeed set out (b) *and came to the father of*

¹ In spite of Khubua’s punctuation, I understand (b) as a parenthesis and (a) as a clause depending on (c) as a main clause.

this girl! [i.e. to the vezier, to ask him for her hand] (ხელმწიფის შვილი წამოვიდა მართლა და ქე არ მოვიდა ამ გოგოს მამასთან)’

(21) (a) *atak muço kore-n*, (b) *tenenk va geegu-o*, (c) *ate ჯგირი skua ოუსან თექ!* (X 175,8-9)

(a) here that AFF.is-Sub, (b) these.ERG NEG they.understood.it-Q, (c) this good child.NOM it.has.it-SUB this.ERG

‘[For a week, the man works very hard and does everything in a family.] (b) *These [people] came to know* (a) *that he is here* [in their neighbourhood and is such a good worker], (c) this [other family] who has the good daughter [who everybody wants to marry] (აქ რომ არის, ამათ არ გაიგეს, ეს კარგი შვილი რომ ჰყავს, ამან)’

(22) *ჭკუა თო თუნ-ო კოჩიში!* (X 139,9-10)

‘[The woman who had been transformed into a cow took the basket with her horn and hung it up on the fence.] *She has the intelligence of a human being* (ჭკუა არა აქვს კაცის?!)’

(23) (a) *breli šoriša korena uliri* (b) *do ate xvamardiši unčaši reizis va kãŋũ-o gurk te osuriša* (X 75,23-24)

(a) [A queen wants to see her father again and departs with a ship.] (a) [When] they had gone very far, (b) [“and”] *the chief captain of this ship desired the woman* [“heart was made towards this woman”] (კარგა შორს კი არიან წასული და ამ ხომალდის უფროსს მოუხდა ეს ქალი)’

(24) (a) *ase te kočk vo uču-o guri*, (b) *mučo te čxou mudga ren šxvaneri en* (X 139,28-29)

‘[The husband comes home with a cow that shows a strangely intelligent behaviour (see (22)). His daughter tells him that his wife had gone to bring him his meal but did not return.] (a) *Now this man understood* [“gave heart”] (b) *that this cow is something different* (ახლა ეს კაცი ქე არ მიხვდა, რომ ეს ძროხა რაღაც სხვანაირი არის?)’

My tentative conjecture is that in these negative questions the speaker **presumes** a knowledge of the addressee which is not in focus. The addressee is presumed a) to have anticipated the possibility of the event¹ described in the negative question, and b) to have assessed its probability on the basis of his/her knowledge of the previous context, of typical properties of human beings of a certain type, of typical event sequences, and the like.

a) The event has been anticipated as a prospective conjecture. In this perspective, negative questions of this type seem to be in a complementary distribution with evidentials,² which are retrospective (inferring the past from the

¹ “Event” is used here in a general sense: actions, situations, states etc.

² Thanks to R. Kiknadze for drawing my attention to a possible connection between evidentiality (Georgian *turme*) and the negative question type discussed here.

present, as in the Georgian and Megrelian present perfect etc.) or otherwise non-prospective (as in the so-called fourth series of Megrelian and in the “admirative” use expressing a “surprise at a newly discovered and previously **unsuspected** fact” (Friedman 1988: 127, emphasis mine; Boeder 2000: 288), as in Georgian: *ra kai kaci qopilxar!* what.NOM good man.NOM you.have.been.PERF ‘What a good man you are! [I had **not** anticipated this fact]’).

b) The event has been considered to be probable or improbable (epistemic modality), and the degree of the anticipated probability correlates with the degree of surprise connected with the actual occurrence of the event: the higher the degree of its anticipated improbability, the more surprising will it be (“surprisingly”), and vice versa: the higher the degree of probability, the less surprising will it be. Indeed, “of course” seems to be an appropriate translation in most of the examples given above: “they recognized each other, of course” (14), the woman who had been transformed into a cow retained the intelligence of a human being, of course (22), etc. (see also the expression of high probability and low level of surprise in (13): “it goes without saying”). It is an open question if there is a default option in this dimension: since the improbable is inherently more “newsworthy”, it could perhaps be (or have become?) a standard reading where the probability reading is not evident.¹ However, I feel unable to settle this issue on the basis of the examples given above, and an adequate description must be left to the intuition of the native speakers.²

c) The event can be desirable or not (attitudinal modality). Accordingly, the negative clause can express that the event was hoped for or that it was feared and the like. While this is a relevant aspect of textual understanding, I will not consider its impact here.

The expression of presumed anticipation is related to, but not identical with, the “classical” concept of rhetorical questions. “Classical” rhetorical questions affect the addressee through the blatant contrast between the fact that the truth of its proposition is evident (Lausberg 1963 § 445) and the preparatory condition for questions as speech acts (namely that the speaker does not know the answer). While

¹ T. Tskhadaia’s preliminary impression is that out of context, negated aorist verb questions tend to have a surprise reading, and that the affirmative particle *k(o)*- strengthens this reading (p.c.). Note, however, that the reverse does not hold true: *ko*- occurs in clauses that can hardly be “unexpected”. Cp. (14c), (20b).

² [After having completed this paper, I came across the résumé of A. Rostovtsev-Popiel (2011:204). His example is: *do va-momortu-o* and NEG-he.came-Q ‘and do you think he did not come?’ (“implying that he did and and the addressee must be surprised”). His outline of a possible context is that “the addressee has already heard from the speaker that someone had visited him/her to borrow some money, and, in break of decency, came back later again to borrow some more”. This surprise reading could be due to an “improbability assessment”, but note that “combining the uncombinable” (to use the author’s title) may also result from irony: presenting something that is unforeseen as expected could produce an additional “rhetorical” effect. The problem certainly deserves an in-depth examination.]

the Megrelian construction in (13)-(24) resembles “classical” rhetorical questions in that it is not used to ask for information,¹ but to involve the addressee by appealing to some common knowledge, it differs from it by the kind of knowledge that is assumed to be given: it is not the knowledge of the event which is assumed to be familiar and evident to the addressee, but the knowledge that the event described in the negative question was anticipated as possible. This knowledge could be supplied by inference (a king who is ready to give somebody half of his kingdom will also be ready to give him a horse (13)) or from general world knowledge (that it is probable that sheep have fat-tails (17), that people come home from work in the evening (18), that people notice if their neighbours’ man proves to be a good workman (21); that it is improbable that a small picture floating in the sea will be noticed (16), etc.). Note that the probability assessment and the interpretation of the negative clause are controlled by the “background knowledge” of speaker and hearer: that a little picture floating in the sea will be noticed (16) may be improbable for us, but if people are used to expect extraordinary events of this type in specific structural positions of a fairy-tale, it may be taken as a matter of course that the fishermen saw the small picture; that a professional wrestler is defeated by a non-professional boy (15) is improbable, but the story lets us expect an extraordinary feat; and so on.²

If “classical” rhetorical questions are basic (given that they are cross-linguistically more common), then we may assume that the specific Megrelian use of (negative) questions is the result of an extension from a form of immediate givenness (of what is evident) to a form of indirect givenness (of what is inferred) which requires an additional pragmatic operation.

There is a partially fixed expression that probably belongs here: *vareno* ‘isn’t it?’ (as in (3a), *varduo* ‘wasn’t it?’ (as in: *si mut va-rdu-o ko-miçi-ni, irpeli martali ʔope* (X 18,5) you what.NOM NEG-it.was-Q AFF-you.told.me-SUB, all.NOM right.NOM it.was. PERF ‘Everything you told me was obviously correct’). If indeed it is restricted to subordinate clauses, it seems to be in a complementary distribution with the negated main clause questions discussed in this section and possibly shares their specific meaning. However, its specific pragmatic and prosodic properties (atonic position after the first stressed constituent?) remain to be examined. (For the time being see Lomia 2005:165-168; Զառչոզია et al. 2010:392-393).³

¹ Cf. *non sciscitandi gratia assumitur sed instandi* (Quintilianus 9,2,7) ‘it is adopted not to ask for information, but to press upon somebody’ – contrary to the sincerity condition of “normal” questions. – This is a very simplified concept of rhetorical questions, but I hope it will perhaps do for the present purpose.

² Similarly, the attitudinal evaluation of a sentence like: *I was walking in the street – and didn’t I see Giorgi?* may cause happiness or distress depending on individual premises and the context (T. Tskhadaia).

³ Ketevan Lomtadidze (Lomtadidze 1946:342-343) deals with a similar negated construction in the Gurian dialect of Georgian which is restricted to subordinate clauses: *ikidan k’ar dabrundebá, mašín unda ikitxo misi ambavi* there.from AFF-NEG s/he.will.return, then

3. As in many other languages, wh-questions followed by their “answer” have a specific pragmatic meaning. Consider the following examples (the relevant constituents are underlined).

- (25) (a) *minilu boši-k dinaxale.* (b) *ziru mara, mu ziru!* (c) *irpeli zvirpasi sakonel-ep-it epša koren* (X 3,16)
 (a) he.went.inside young.man-ERG inside. (b) he.saw.something but, what.NOM he.saw.it! (c) everything.NOM precious good-PL-INSTR full.NOM AFF.it.is
 ‘(a) The young man went inside. (b) He saw something, but what did he see! (c) Everything is full of precious things (შევიდა ბიჭი შიგნით. ნახა მაგრამ, რა ნახა! ყველაფერი ძვირფასი საქონელებით სავსე ქე არის)’¹
- (26) (a) *gamkažu ɣari* (b) *do minažinu dinaxale-ni,* (c) *ziru mara mu ziru,* – (d) *mus ziruns ɣočiši toli enepiši uɣgušis:* - (e) *sumi angilozi ɟgua osurskualepi koxenan do koyurɟulana* (X 3,33-36)
 ‘(a) He opened the door, (b) and when he looked inside, (c) he saw something, but what did he see! (d) Man’s eye doesn’t see anything better than that [“what.DAT it.sees.it man.GEN eye.NOM that.PL.GEN better.DAT”]: (e) Three angellike young women sit there and are chatting [“twittering”] (გამოაღო კარი და რომ შეიხედა შიგნით, ნახა მაგრამ რა ნახა – რას ნახავს კაცის თვალი იმათზე უკეთესს: – სამი ანგელოზის მსგავსი ქალი-შვილი (ქე) სხედან და ჭიკჭიკებენ)’
- (27) (a) *tek gerčkindu ndikit.* (b) *erčkindu mara muk erčkindu?* (c) *tolk toliša vagačeminu bošis* (X 4,29-30)
 ‘(a) There a dev appeared, too. (b) He appeared, but what was it that appeared? (c) The young man was unable to fix his eye on his (იქ გაჩნდა დევიც. გაჩნდა მაგრამ რა გაჩნდა? თვალი თვალს ვერ გაუსწორა ბიჭმა)’

it.is.necessary that.you.ask his/her tale.NOM ‘when/as soon as s/he returns from there, you must ask him/her about his/her news’, with the affirmative particle plus negation preceding the verb and a “sharply rising intonation” on the right edge of the subordinate clause (-á). Lomtadze’s description of the subordinate clause is quite similar to the one given above for Megrelian main clauses: these clauses point to a situation “which is already known to the interlocutors” (მათში იგულისხმება იმ ვითარების მითითება, რაც თანამოსაუბრეებისათვის უკვე ცნობილია) (p. 344). “Such an utterance would be impossible, if we didn’t know.” She calls this property “determinedness” (განსაზღვრული ბუნება) and compares it with the meaning of definite articles. It seems to be necessary to differentiate between presupposition and “anticipation” in the sense described above. – Lomtadze’s paper is often cited, but I am not aware of any detailed and systematic study of this phenomenon.

¹ Compare a similar passage from a Svan fairy-tale: *zurāl ačād lanqavälte. anṭäx ägite-j im xosgdi: miča yärib kor ɣetilšv gveš li* (Šaniže, Topuria (edd.) 1939:381,14) ‘The woman went out to chat. She came back home, and what does she see? Her poor house is filled with good things’. In Svan story-telling, this form seems to be less common than in Megrelian. (Is it a calque of the Megrelian idiom?)

(28) (a) duçqes gurapa. (b) iṛis mara, muk iṛis! (c) keṭaniš gasaḱvirk (X 70,4-5)
 (a) They began to teach [the two children]. (b) Something became of them, but what became of them! (c) Something that astounded everyone [sc. became of them] (დაუწყეს სწავლება. შეიქნენ მაგრამ, რა შეიქნენ! ქვეყნის გასაკვირი)'

(29) kədīçq bošik čieba, mara muši? (X 77,15)
 AFF.he.began.it young.man.ERG telling.NOM, but what.GEN?
 'The young man began to tell [a story to the monk], but on what? [He told him the story about his, the monk's, treachery in the form of a fairy-tale, and the monk listens to him.] (დაიწყო ბიჭმა საუბარი, მაგრამ რისი?)'

The following properties of this construction are of interest here:

a) It consists of two co-ordinate clauses conjoined by “but”, where the second clause is a question followed by its “answer”:

[X_i - but what (+ X_i) ?] – “answer”

where X is a verb. Its second occurrence can be omitted (by conjunction reduction), as in (29). The first co-ordinate clause (with the exception of (29)) is incomplete: its non-anaphorical object is not specified (it is clumsily translated here by “something” = “it” without antecedent), although it is not “commanded” by its second occurrence.

b) X is a narrative verb form (in the aorist or the historical present). It often denotes a perception (“to see”, “to appear”, “to become (apparent)”), but other, semantically related, verbs with complements suitable for an “answer” occur as well (“to become (apparent)” (28), “to tell” = “to disclose” (29)).

c) The construction differs from most rhetorical questions in that the relevant “answer” is supplied by the speaker himself, and need not be derived by assigning a polar value to its proposition. In this, the structure is similar to so-called expository questions which the author proceeds to answer himself: *What are the main objections to this approach? First...* (Sperber, Wilson 1986:251). The wh-question and its answer, then, belong to the same speaker. In other words, they show no turn-taking (i.e. no transition from one speaker to the other). Rather, they are first and second parts of an adjacency pair, without being dialogic.

d) On the other hand, this “monologic” use shows the same forms of ellipsis as dialogic sequences. Compare (28c) with the following Gurian example: *çeviden, mara raper çeviden? – pexšveli!* (Niḱolaišvili, to appear) ‘They started, but how did they start? – Barefoot!’

e) It remains to be investigated if the wh-question in this structure has a falling intonation as in its canonical conversational use. The German counterparts of (25)-(29) have a rising intonation: the wh-question behaves like a protasis which is dependent on, but not subordinate to, the “answer” clause. I have no evidence of this intonation in its Megrelian counterpart, but the surmise that it has a rising contour is not improbable.

f) The “answer” (i.e. the apodosis) expresses something that the subject of the wh-question (i.e. the protagonist) did not expect. At the same time, the wh-question has a preparatory function for the addressee: it is a cataphoric device to alert the addressee to the unexpectedness of the subsequent “answer”. The construction postpones the specification of the communicative focus (the object) twice: first by the incompleteness of the first clause, then by the use of a cataphoric wh-question. The conjunction introducing the second clause (“but”) indicates that the communicative point is not that the protagonist saw something but **what** he saw. The lack of newsworthiness of “seeing something” is opposed to the informational load of its answer.

4. Finally, there is a dependent clause type with a marker *-o-* that has attracted the particular attention of kartvelologists over the past decades (Hewitt 1987:142, Harris, Campbell 1995:296, Axalaia 2004:147, Lomia 2005:171-174; ორთაია et al. 2010:396-398).

Firstly, there seems to be one type of conditional clauses which is marked by the clause-final interrogative marker *-o*. The only example I am aware of is the one provided by Giorgi Rogava (1948:366):

- (30) komučan-o dogirtunank
 you.will.give.it.to.me-Q I.will.turn.it.back.to.you
 ‘If you give it to me, I’ll give it back to you’

The dearth of material prevents me from discussing this form in detail, but it should be obvious that it parallels conditional clauses which developed from “verificational” yes-no-questions (“Vergewissungsfragen”, Hofmann 1936:109 §103) in many languages (Boeder 1993-94:35; 39) – but probably not in Georgian.¹ The Megrelian conditional clause in (30) could be a calque: in Turkish, the interrogative post-verbal clitic *-mi* has the same function (Lewis 1975: 267).

Second, there is a formally identical clause type in the following examples:

- (31) (a) mertes-**o** – (b) miḵ-miḵi kugurena ḵata (c) do mudgareni ḵamals getkaḵirana xaniṣ skuas (X 15,32)
 ‘[Everywhere they looked for the khan’s son and came to some place.] (a) When they went there, (b) [they saw:] people are standing around in a circle (c) and bandage up the khan’s son with some remedy (რომ მივიღებენ, ირგვლივ დგანან ხალხი და რაღაცა წამალს უხვევენ ხანის შვილს).’

¹ Old Georgian seems to avoid constructions like (30). Cp. the Greek original: *dédesai gunaiki? mè: zé:tei lúsin* (I Cor. 7,27) ‘Art thou bound unto a wife? Seek not to be loosed’ with the conjunctive construction in: *ḥe-tu-ḵopil xar colsa, nu ganuḵeveb* ‘if you are bound to a wife, do not let her go’. - Georgian asyndetic conditional clauses are inconclusive in the variants that lack the interrogative article *-a*: *tetr zuas gaxsni, tetri ḵanisamosit, iarayit da cxenit iknebi gam[o]ḵḵobili* (Bleichsteiner 1919:122) ‘If you detach a white horse-hair [white horse-hair.DAT you.will.detach.it], you will be equipped with a white shirt, weapon and horse’. I have no example of a conditional clause from the Mountain dialects that have interrogative *-a*.

- (32) (a) *uḡines-o* – (b) *art ḡoc didi ṡxuriṡ kudi kigiota* (X 69,14-15)
 ‘[On the fourth day they went there.] (a) When they looked, (b) [they saw:] a man has a large sheep-skin cap on him (რომ უყურეს, კაცს დიდი ცხვრის ქუდი ახურავს)’
- (33) (a) *samarḡvvanoṡe miḡaḡinu-o*, (b) *ḡiḡe oxvameḡgura ḡude koḡiru* (X 3,32-33)
 ‘(a) When he looked over from the right side, (b) he saw a little shrine-like house (მარჯვნიდან რომ გაიხედა, პატარა სალოცავის მსგავსი სახლი ნახა)’
- (34) (a) *kimertə osurk* (b) *do gamnāḡḡə ṡkartuni-o*, (c) *muṡi cira skualepi ḡurelo koḡirə* (X 78,26-27)
 ‘(a) His wife went there, (b) and when she pulled the cover away, (c) she saw her daughters dead (მივიდა ცოლი და რომ გადახადა საბანი, თავისი ქალიშვილები მკვდარი ნახა)’
- (35) (a) *kimert xoloṡa-v-o*, (b) *a, muṡi delmaxoreṡi osuri* (X 17,8-9)
 (a) *he.went near.to-J-Q*, (b) *lo!*, *his.own neighbour.GEN wife.NOM*
 ‘(a) When he got closer, (b) here [is] his neighbour’s wife! (რომ მივიდა ახლოს, აი მისი მეზობლის ცოლი)’
- (36) (a) *spiḡkas munṡu-o*, (b) *ḡoḡepi dinoḡḡar dudi ḡvatili* (X 40,24-25 *apud Kaḡaia s.v. -o*)
 (a) *match.DAT she.set.on.fire-Q* (b) *man.PL.NOM they.are.laid.down head cut.off. NOM*
 ‘(a) When she struck a match, (b) [she saw:] the men are stretched out with their heads cut off (ასანთს რომ მოუკიდა, [ნახა / რას ხედავს?] კაცები ჩაწყობილია / აწყვია თავმოჭრილი)’
- (37) (a) *boṡik eṡelə do ḡiḡinu-o*, (b) *va kiḡinu-o ḡḡabi* (X 134,24¹)
 (a) *young.man.ERG he.came.up and he.looked-Q*, (b) *NEG he.recognized.her-Q girl.NOM*
 ‘[The young man was pulled out of a well.] (a) When the young man came up and looked, (b) he recognized the girl [“didn’t he recognize the girl?”] [with whom he had spent three days and three nights] (ბიჭი რომ ამოვიდა და გაიხედა, არ იცნო გოგო?)’

a) On the basis of example (37), the particle *-o* in these clauses has been identified with the interrogative particle *-o*.² If we take this identity for granted, the

¹ The location and the wording of this passage are wrong and incomplete in Abesaḡe 1963:18, and hence in Hewitt 1987:142, Harris, Campbell 1995:296 and Axalaia 2004:147.

² Hewitt (1987:142; similarly Boeder 2005:19). There are other theories. Cikolia (1977:87 *apud* Ḳarṡozia 2010:397-398; this article is inaccessible to me) suggests the following development: *uḡinu+ore* ‘s/he looked at it + it.is’ > *uḡinu-o*. I cannot discuss this hypothesis here, but I should like to mention a few problems: a) In other contexts, the usual reduction of the copula is *ore(n)* > *re*. b) The other particles containing *ore(n)*, e.g. *va-*

-o-clause construction can be considered to be the result of a reanalysis: the question clause followed by its “answer” could be analysed as a dependent clause by assigning -o to the same slot as, for instance, the clause-final general subordinator -ni.

b) Note, however, that the position of -o in dependent clauses differs from the position of the post-verbal -o interrogative marker. 1) As we saw above (2.), the latter, but not the former, may be followed by same-clause constituents.¹ This restriction results from the fact that the dependent -o-clause has lost its main-clause privilege (which allows a less restricted word order). In (8), the scope of -o is the whole sentence, in (31)-(37) it is only the clause in which it occurs. 2) In the dependent clause, -o is in a final position, like the subordinator -ni in (14b) and (26b), but not (necessarily) post-verbal (see (35)). The reanalysis presupposes an interpretation of the original post-verbal position of -o as a clause-final position where the two coincided (as in (9)).

c) This analysis is supported by the fact that -o retains the original stress pattern: a dynamic stress falls on the syllable preceding it both in yes/no questions (Qipšiže 1914:092: *rágadans* ‘s/he speaks’ vs. *ragadáns-o* ‘does s/he speak?’, *midártə* ‘s/he went there’ vs. *midartú-o* ‘did s/he go there?’)

ren-o ‘NEG-it.is-Q’ (Kartozia 2010:392-393), have a non-final position (see (3a) and the final paragraph of 2.). c) It is not clear to me what kind of meaning *ore(n)* could contribute to the construction: what is the semantic connection between “it is” and “immediate succession” and “surprise”? An additional argument comes from a contact language of Megrelian, Abkhaz. As pointed out by Hewitt (1984:14; 1987:46), Abkhaz has an exact formal counterpart (a clause-final interrogative particle -*ma* in the protasis) with exactly the same specific meaning. Whatever the direction of code-copying was in this case, Megrelian or Abkhaz speakers must have understood the construction of their respective neighbour language as interrogative. – It may well be that Abkhaz -*ma* is a calque of Megrelian -*o*, just as the use of Megrelian -*da* in echo-questions was perhaps borrowed into Abkhaz (Hewitt 1991).

¹ Therefore the following example is problematic: *eper muk angəžiru, / čkimda kixxune-o tina?* (first lines of poem no. 178 in Gudava (ed.) 1975:91) such what.ERG it.has.appeared.to.you / to.me you.preferred.it-Q that.NOM? Axalaia (2004:148) translates: “what did you see (such) that you prefer it to me?”. He seems to interpret the second clause as an asyndetic result clause (with the correlative *eper*: “such (...that...)”). But -o-clauses always occur as protases and do not allow postverbal constituents such as *tina*. As it stands, the second clause is a main clause question. – The same applies to the following sentence where the interrogative clause precedes the main clause: *tina va-rdu-o, ma voʎvilapen?* (see footnote 8). Consider also: *ešmaķem-k gogonu-o / ƙalam tik agičkaru?* (Gudava (ed.) 1975:120) devil.PL-ERG they.inspired.you-Q / pen.NOM that.ERG it.accelerated.it.for.you ‘Did the devils inspire you to take the pen?’ The English translation (Axalaia 1999:538) is appropriate, but it doesn’t render the syntax of this sentence. Again, I understand the second clause as an asyndetic result clause (“so that it ...”).

and in dependent *-o*-clauses (Kartozia et al. 2010:396: “intonaciuri maxvili”). At the same time, this persistent stress pattern in *o*-clauses contrasts with the stress pattern of subordinate clauses with *-da* (in (3)) and *-ni* (in (12), (26b)): although *-o* in dependent clauses occupies the same slot as the subordinator *-ni*, the latter does not have a stress on the penultima like the former: *komórtu-ni* ‘when s/he came’ (and not **komortú-ni*), *kožiru žoyóri-ni* ‘when s/he saw the dog’ (and not **kožiru žoyóri-ni*) (Gudava 1969:110). On the other hand, the intonational contour of independent yes-no-questions and of dependent *-o*-clauses differ: while questions have their characteristic pitch movement on the syllable preceding *-o* (Žyenti 1953:195), their dependent clause counterparts probably have not, and behave like subordinate clauses.¹ Lexically conditioned patterns (e.g. the stress patterns of *-o* and *-ni*) seem to persist better than intonational contours, which change as a result of reanalysis (the question being integrated into a sentence as a protasis).

d) *-o*-clauses are considered as temporal clauses (Hewitt 1987:142; similarly Boeder 2005:19).² However, the usual syntactic tests do not fare well: *tičkəma* ‘then, დაბო’ etc. could perhaps be substituted for the *-o*-clause (34b) (“then she saw...”), but not e.g. for (32a), (35a). The result of the question-test is even worse: continuing (34) we may try to ask: “(I don’t understand:) **When** did his wife see her dead daughters? – When she pulled the cover away.” In Megrelian, a similar question can be answered by a temporal clause (as a sentential fragment, as in (38a-c)), but an *-o*-clause (38d) seems to be completely unacceptable:³

- (38) (a) *gamnāčqə škartuni-ni* (she.pulled.it.away cover.NOM-SUB)
 (b) *mužams škartuni gamnāčqə-ni* (when she.pulled.it.away cover.NOM-SUB)
 (c) *škartuni gamnāčqə do xate* (cover.NOM she.pulled.it.away and then instantly)
 (d) **gamnāčqə škartuni-o* (she.pulled.it.away cover.NOM-Q)

A possible hypothesis is that constructions with *-o*-clauses are co-ordinate constructions. In this analysis, the *-o*-clause is dependent on its subsequent co-

¹ Hewitt 1987:142. His observation was confirmed by I. Lezhava and M. Lomia (p.c.), with the reservation that the impressionistic observation needs to be substantiated by phonetic research. In a small-scale experiment conducted by M. Lomia, some Megrelian students distinguished the intonational contours of interrogative and temporal clauses, others did not.

² Abesaže (1963: 18) and, following her, Lomia (2005:171) confine their discussion to a general description (“hypotaxis”), without specifying the type of adverbial clause they represent.

³ For these data and their evaluation I am indebted to T. Cxadaia.

ordinate clause (since it cannot occur without the latter), but it is not subordinate to it. Semantically, it provides a temporal reference point for its subsequent co-ordinate clause (as is shown by the possibility of (38a-c)), but it is not its constituent. Since its intonational contour does not differ from that of subordinate clauses (see section c) above), it remains to be investigated if the first conjunct of Megrelian co-ordinate sentences have the same intonation contour as subordinate clauses preceding their main clause. Note that co-ordinate first conjuncts are similar to subordinate clauses: as in subordinate clauses, they form a protasis with a clause final conjunction and a pause following, rather than preceding it (for Georgian see Tevdoraze 1978:46 and 78; Boeder 2005:19-23). Note the comma in (25b), (28b) and:

(39) va-debžeri **mara**, midamʔon (X 44,18)

NEG-I.believed.it **but**, he.lead.me.away

‘I didn’t believe it, but he took me along (არ ღავოჯერე, მაგრამ წამოყვანა)’

If our hypothesis is correct, *-o* parallels *mara* in (39) in marking the first conjunct of a co-ordinative construction. This would explain the inacceptability of (38d) as an answer.

e) From a pragmatic point of view, dependent *-o*-clauses differ from questions: they have no independent illocutionary force (“question”), and their proposition is presupposed as in subordinate temporal clauses.

f) The meaning of the construction is not just that event B (maybe incidentally) follows event A in immediate succession (“as soon as”), as in the clauses marked by ... *mučə* ... *n(i)* (see (17a) and (21a), where *-ni* is the clause-final general subordinator and *mučə* ‘as soon as’ (< ‘how?’) specifies the temporal proximity between the events of the clauses).¹

¹ The Georgian construction with *tu ara* ‘or not’, which Hewitt (1984:13-14; 1987:141) discusses as an example of a parataxis-based construction, comes closest to the temporal *-o*-clauses of Megrelian: *meore dyes gatenda tu ara, xelmčipem šeirto uncrosi da* (Bleichsteiner 1919:88) second day.DAT it.dawned or NEG, king.ERG he.joined.her younger.NOM sister.NOM ‘The following day, when it dawned, the king married the younger sister at once’. An equivalent of (34b) would be: *gamnāčqə škartuni do varə-ni* she.pulled.it.away cover.NOM and NEG-SUB ‘when she pulled the cover away’, but this form seems to be less natural in Megrelian (T. and P. Tskhadaia, p.c.), and it could be a calque of Georgian: *gadaxada sabani tu ara* she.pulled.it.away cover.NOM or NEG. (It is interesting that this sentence passes the question test of true temporal clauses: *rodis šeirto uncrosi da? – meore dyes gatenda tu ara* ‘(I don’t understand:) **When** did the kind marry the younger sister? – As soon as it dawned the next day’.) While this construction shares the immediate succession meaning with the Megrelian *-o*-clause construction, it does not show its unexpectedness meaning and its explicit or implicit same-subject constraint. In addition, while the Georgian protasis contains the disjunctive question marker *tu*, its Megrelian counterpart - as far as I can see - does not. Compare Georgian *čavida tu ara* ‘barely had s/he gone (when...)’ with its Megrelian counterpart: *midartu*

Firstly, as far as I can judge from a restricted material, the apodosis describes the protagonist's perception which is contingent on or "prepared" by the action described in the protasis: X's looking towards Y (as in (32)-(33), (37)) / X's uncovering Y (as in (34)) / X's going to Y (as in (31), (35)) / X's striking a light (as in (36)). These actions enable X to perceive Z. The precondition meaning connects this construction with the conditional meaning in (30). However, it may be an epiphenomenon of temporal succession and of a same-subject constraint (see below).

Second, the *-o*-clause cataphorically signals to the addressee that the event described in the apodosis is unexpected. Specifically, it is unexpected for the protagonist, like the "answers" to the wh-questions described above (3.f). In fact, a paraphrase of the apodosis could be: *ziru mara mu ziru* 's/he saw (something), but what did s/he see? + apodosis (i.e. the object of 'to see').¹ Hewitt (1984:14; 1987:146) rightly points out that "this structure [in the Abkhaz² counterpart of the Megrelian construction] still preserves its putatively original expressive character and thus tends to occur only under special circumstances (usually confined to folktales or literature), and this may be captured by employing the archaic and similarly expressive interjection 'lo!' at the start of the main clause in the English translation." Note that *lo* is the standard translation of the Hebrew biblical deictic interjection *w^e-hinnē* (see Johannessohn 1937:179-215, Boeder 1983:291), which produced so many calques in the Christian world: Greek *kai idou*, Old Georgian *da aha esera*, Russian *i se*, Italian *ed ecco*, German *und siehe* etc. Similar to Megrelian *-o*, *w^e-hinnē* is very often preceded by a "preparatory action": looking, going to, opening (Johannessohn 1937:181). A form with a similar meaning occurs in (35): Megrelian *a* (= Georgian *ai* '(look) here') is a deictic interjection which behaves like a verb of seeing or showing in that it occurs with a "complement": a noun phrase (as in (35) and (40)-(41)) or a finite-verb clause (as in (42)).

vara 's/he.went NEG' (žikia 1967:377), without any interrogative element. However, the Megrelian form is close to its Turkish equivalent: *gider gitmez* (žikia ib.; Harris, Campbell 1995:297; cp. Hewitt 2001:138) s/he.go.AOR s/he.go.NEG.AOR, although it lacks the repeated verb form of Turkish. The Laz form, on the other hand, is an exact calque of the Turkish expression: *idu var-idu-ja-š* (žikia ib.) s/he.went NEG-s/he.went-QUOT-GEN (where the genitive is the functional equivalent of Megrelian *-ni*). Thus, we have similarity cline: Georgian < Megrelian < Laz < Turkish.

¹ T. Tskhadaia (p.c.) confirms this: in addition to temporal succession, *-o* signals "astonishment" and "amazement" (*gaoceba, gaḱvirveba*)

² It is not impossible that the Abkhaz construction is a calque of the Megrelian expression, just as the use of Abkhaz *-da* in echo-questions was probably borrowed from Megrelian (Hewitt 1991).

- (40) a skani bircxa! (Q̇ 100,7)
 here your finger-nail.NOM
 ‘[He took the finger-nail out of his pocket and said...] Here is your finger-nail!’
- (41) a, skua, uškuri! (Q̇ 92,34)
 here, child, apple.NOM
 ‘Here, my daughter, take this apple [and give it to the man you want to marry]!’
- (42) a, baba, atena mideyi (X 195,22)
 here, father.NOM, this.NOM take.it.away
 ‘[A hundred roubles he kept for himself and another hundred roubles he gave to his son:] Here, my dear son, take this along [and make reasonable use of it]’

A verb of seeing (in a broad sense) is present in the apodosis of (33b), (34c), (37) and (35) (if we include the deictic particle¹), but not in (31)-(32), (36). However, there is a clear indication of its presence on the semantic level: (32) does not mean that the man had a hat on when they looked (i.e. the temporal clause determines the point in time when they saw the man, not when the man had a hat on) and specifies the precondition of the act of seeing, and not of the man’s having a hat on. In addition, it is a general feature of narrative texts that the protagonist’s perception is metonymically implied by the expression of what is perceived. (Cp. (16d), where a main-clause verb of seeing is understood: “when they looked at it, [they recognized] the girl”.) The positing of an implicit verb of seeing allows us to formulate a same-subject-constraint: the protagonist is the subject of both the protasis clause and of the explicit or implicit verb of seeing. The (explicit) verb of seeing has a narrative form with the same restriction on tenses as in the wh-construction (see section 3.b). If indeed *-o* is...

g) If indeed *-o* is etymologically identical with the interrogative particle, this interpretation has an important advantage: same-speaker question-answer pairs are a good basis for the coding of clause combining, since they form a bi-sentential (non-syntactic) **unit**: an adjacency pair in which the first part (the question) calls for a second part (the answer). This would also explain why *-o*-clauses must precede their main clause.² However, the formal argument suffers from a weakness which – *mutatis mutandis* – we know from “root etymologies” whose semantic side is based on a semantically abstract common denominator of items occurring in different words, without the conditions of their divergence being specified. Assuming an extension from questions to dependent clauses does not help us to understand the specificity of the construction and the divergence between

¹ The deictic particle *a(i)* presupposes a person (a centre of consciousness) who perceives what is expressed by its complement. In (38)-(40) this is the addressee (the subject of “Look!”), but in (35), it is the protagonist.

² A similar argument is adduced by Hewitt (1984) with regard to the preposed temporal clauses marked by final *tu ara* in Georgian (*tu* marks alternative questions).

question and *-o*-clause. That “questions and dependent clauses share certain logical properties [sc. non-assertiveness] and that this makes extension from one to the other possible” (Harris, Campbell 1995:298) cannot explain the very specific semantic properties of *-o*-clause constructions (see also Hewitt 2001:137). By contrast, consider a construction like:

- (43) *gind meʒinos, mainc sul-ši mizixar* (Grigol Orbeliani)
 even.if I.sleep.AOR.SBJV, even.so soul-in you.sit.for.me
 ‘Even if I sleep, you are in my soul’

The specific meaning of this concessive construction can be derived from a paratactic structure that accounts for its specific meaning:¹ “you want² that I sleep? Then too you sit in my soul”.³ However, I haven’t found yet a comparable structure “question + answer” where the answer expresses something (un)expected.⁴ In this sense, our discussion is inconclusive. If the Megrelian construction is a calque of its Abkhaz counterpart, and was not copied from it, the problem will be shifted, but not solved.

5. The interrogative constructions reviewed here belong to the distinctive structures of Megrelian and its Kartvelian neighbour dialects.⁵ All three deserve an

¹ Note that a paratactic structure does not by itself “explain” subordination, and its assumption does not mean that there existed no subordinate structure which provided the pattern that could be extended to the paratactic structure by analogy; nor does it deny uniformitarianism, as if parataxis were “intrinsically early” and hypotaxis “intrinsically recent” – by a kind of “qualitative inspection” (Hoenigswald 1990:128) that has become largely obsolete since the second half of the 19th century (see e.g. Paul 1920:145 (1880); Boeder 1993-94).

² *gind* < *ginda* ‘lit.: you.want’; cp. Latin *vel* (< *velis* in alternative questions: “You want (the alternative) X? [You want non-X? All the same] then Y”) and *quamvis* ‘although < however much you want’. The semantic specificity of the underlying Georgian and Latin structures and the process of “bleaching” cannot be discussed here.

³ For some discussion of parataxis and its relation to conversational structure (Levinson 1983 §6.4.3) see Boeder 1993-94:35-37.

⁴ Similarly, I am not aware of a parallel from other languages where a yes-no-question is at the root of a temporal dependent clause, but this gap may already have been filled by somebody else.

⁵ The constructions described in the sections 2. and 3. probably are an areal phenomenon. They also occur, for instance, in the Gurian dialect of Georgian (which in addition to being an immediate neighbour of Megrelian has a Megrelian/Laz substrate). Consider the following passage, where both constructions occur: *da ʒamebulia uʒve, a ʒac čana aperi da ševšindito: vin mua, sa mua, vis ušvelot, ra vknat?! ucpatai ager k’ar gamuarda ušvelebuli ʒorio?! piri dapčenili ak, duži mozdiva, tvalebi ak gačitlebuli, gasixlebuli da mua, mua, mara ras mua?! muak čoveliperi!* (Nikolaišvili, to appear) ‘It was already night, nothing could be seen anymore, and we were frightened: Who will come, where will he come, who shall we help, what shall we do? Suddenly there rushed out a huge pig [“here AFF NEG it.rushed.out huge pig.NOM.QUOTE”]. Its mouth is wide open, its slaver is dripping from it, its eyes are red and bloodshot, and it is coming, coming, but for what is it coming [“it.comes, it.comes, but what.DAT it.comes”]? It carries everything along!’.

in-depth study on the basis of systematic fieldwork, but even the outline given above shows that they cannot be described without reference to pragmatic facts. Interrogative constructions are an eminent resource of pragmatic, addressee-related expression and of textual clause-combining. The specific constructions described in the preceding sections (2.-4.) are related to, but not identical with, the more basic forms of interrogative sentences. This relationship is of a different type in each of the constructions.

a) In the first case (2.), the use of rhetorical questions was extended to a different type of knowledge characterising their implicit answer, at the same time preserving the grammatical structure of the “classical” variant.

b) The *wh*-clause construction (3.) is a sequence of two co-ordinate clauses plus the answer to the second (to the question). Its structure (including the conjunction “but”, the choice of tenses etc.) is largely fixed and idiomatised, and its meaning is non-compositional in the sense that the unexpectedness meaning is expressed by the whole construction rather than by its parts.

c) In the *-o*-clause construction (4.), some formal features of the presumed underlying question (the morphological shape and its lexically conditioned stress pattern) persist in the protasis, which is otherwise adapted to the form of a dependent clause and has lost its illocutionary force. The subordinator *-o* of the protasis signals the immediate succession relation between protasis and apodosis on the one hand, and two properties of the main clause apodosis on the other: the unexpectedness of its proposition and the fact that the event described in it is perceived by the subject of the protasis, i.e. the protagonist.

d) The best-known interrogative constructions are those grammaticalised as relative clauses. Their Megrelian type and its etymological equivalent in Georgian constitute an early isogloss of Kartvelian syntax (1.).

These four forms show a gradience with regard to the degree of the addressee’s involvement: the “rhetorical” question directly invokes the knowledge of the addressee; the *wh*-question construction involves the addressee by “withholding” the newsworthy information and by asking a cataphoric question, but the perspective is that of the protagonist who is surprised at what he sees; in the *-o*-clause construction the addressee is not formally involved: it is only the protagonist’s perspective that matters. Finally, in the relative and conjunctive clauses derived from interrogative constructions, neither the addressee nor the protagonist are involved. While a) and b) show a development of new specific “intersubjective” meanings (Traugott 2005), c) and d) show a loss of addressee-related features, which is a corollary of the loss of an independent illocutionary force in subordinate clauses; on the other hand, these clauses gain of a textual meaning (*viz.* clause-combining).

Abbreviations

ADV	adverbial case
AOR	aorist
AFF	affirmative prefix
AOR	aorist indicative

DAT	dative
ERG	ergative
GEN	genitive
INSTR	instrumental
J	juncture (glide)
NEG	negation
NOM	nominative
PERF	perfect
PL	plural
Q	question marker
Q̇	Qipšize 1914
QUOT	quotative
SUB	subordinator
SBJV	subjunctive
X	Xubua

Bibliography

- Abesaze 1963:** ნ. აბესაძე, *რომ კავშირი ქართველურ ენებში*, თბილისის უნივერსიტეტის შრომები 96, გვ. 11-21.
- Axalaya 1999:** V. Akhalaya, *Interrogative particles as means of subordination in Zan, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე /Bulletin of the Georgian Academy of Sciences/* 159,3, გვ. 538-540.
- Axalaya 2004:** ვ. ახალაია, *ზანური ჰიპოტაქსის ძირითადი საკითხები*, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.
- Bleichsteiner 1919:** R. Bleichsteiner, *Kaukasische Forschungen*. Erster Teil: *Georgische und mingrelische Texte* (= Osten und Orient. Erste Reihe: Forschungen. Erster Band). Wien: Verlag des Forschungsinstituts für Osten und Orient.
- Boeder 1983:** W. Boeder, *"Und" in den südkaukasischen Sprachen*, *Folia Linguistica* 17:287-326.
- Boeder 1990:** W. Boeder, *Zur Typologie der Satzverknüpfung in den kaukasischen Sprachen / წინადადების კავშირის ტიპოლოგია კავკასიურ ენებში* (რეზიუმე, გვ. 86), იკეწ /Annual of Ibero-Caucasian Linguistics 16 (1989): 67-87.
- Boeder 1993-94:** W. Boeder, *Semantisch-pragmatische Tendenzen in der Entwicklung der altgeorgischen Satzgefüge /ძველი ქართულის როული ქვეწოცილი წინადადების განვითარების სემანტიკურ-პრაგმატიკული ტენდენციები* [რეზიუმე, გვ. 47], იკეწ/Annual of Ibero-Caucasian Linguistics 20-21 (1993-94): 24-48 [Paper read at a Colloquium in honour of Guram Topuria on the 6th November 1990 at the University of Bonn].
- Boeder 2005:** W. Boeder, *Protasis and apodosis in the Kartvelian languages*, *Sprachtypologie und Universalienforschung (STUF)* 58 (2005): 16-25.
- Cikolia 1977:** მ. ციკოლია, *აფხაზურ-ქართული სინტაქსური პარალელები*, აფხაზეთის ენის, ლიტერატურის, ისტორიის ინსტიტუტის მოამბე 6, გვ. 82-93.
- Čikobava 1936:** არნ. ჩიქობავა, *ჭანურის გრამატიკული ანალიზი* ტექსტებითურთ, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა, ტფილისი.

- Čikobava 1944:** არნ. ჩიქობავა, *გრამატიკული კლას-კატეგორიათა ნიშნების ეტიმოლოგიისათვის ქართველურ ენებში*, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე 5,4, გვ. 449-454.
- Šikia 1967:** ს. ჯიქია, *თურქულ-ლაზური ენობრივი ურთიერთობიდან*, 2. *თურქული სინტაქსური კალკები ლაზურში*, კრებულში: *ორიონი*. აკაკი შანიძეს, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, გვ. 367-377.
- Šorbenaže 1984:** ბ. ჯორბენაძე, *უარყოფის გამომხატველ ფორმათა ნაირსახეობისათვის ქართულში*, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები 6, გვ. 136-166.
- Friedman 1988:** V. Friedman, *The category of evidentiality in the Balkans and the Caucasus*, In: Alexander M. Schenker (ed.): *American Contributions to the Tenth International Congress of Slavists*. Columbus, Ohio: Slavica, pp. 121-139.
- Gamqrelize, Mačavariani 1965:** თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, *სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში*, „მეცნიერება“, თბილისი.
- Gamqrelize, Mačavariani 1982:** Th. V. Gamkrelidze, G. I. Mačavariani, *Sonantensystem und Ablaut in den Kartwelsprachen. Eine Typologie der Struktur des Gemeinkartwelschen*, Mit einem Vorwort von Georg Tsereteli. Ins Deutsche übersetzt, bearbeitet und mit einem Nachwort versehen von Winfried Boeder (= *Ars Linguistica* 10). Tübingen: Narr.
- Gudava 1969:** ტ. გუდავა, *მახვილის ადგილისათვის მეგრულში*, კრებულში: თბილისის უნივერსიტეტი გიორგი ახვლედიანს, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, გვ. 106-111.
- Gudava (ed.) 1975:** ტ. გუდავა: *ქართული ხალხური სიტყვიერება I. პოეზია*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და გამოკვლევა დაურთო ტოგო გუდავამ, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
- Harris, Campbell 1995:** A. C. Harris, L. Campbell, *Historical Syntax in Cross-linguistic Perspective* (= *Cambridge Studies in Linguistics* 74), Cambridge: Cambridge University Press.
- Hewitt 1984:** B. G. Hewitt, *Parataxis revisited (via the Caucasus)*, *General Linguistics* 24: 1-20.
- Hewitt 1987:** B. G. Hewitt, *The Typology of Subordination in Georgian and Abkhaz* (= *Empirical Approaches to Language Typology* 5), Berlin-New York-Amsterdam: Mouton de Gruyter.
- Hewitt 1991:** B. G. Hewitt, *Languages in contact: a Transcaucasian example*, *Zeitschrift für Phonetik, Sprachwissenschaft und Kommunikationsforschung* 44: 295-300.
- Hewitt 2001:** B. G. Hewitt, *Convergence in language change: morphosyntactic patterns in Mingrelian (and Laz)*, *Transactions of the Philological Society* 99: 99-145.
- Hoenigswald 1990:** H. M. Hoenigswald, *Descent, perfection and comparative method since Leibniz*, In: Tullio de Mauro – Lia Formigari (edd.): *Leibniz, Humboldt, and the Origins of Comparativism* (= *Studies in the History of the Language Sciences* 49), Amsterdam-Philadelphia: Benjamins, pp. 119-132.
- Hofmann 1936:** J. B. Hofmann, *Lateinische Umgangssprache* (= *Indogermanische Bibliothek, Erste Reihe: Lehr- und Handbücher*). Heidelberg: Winter.
- Johannessohn 1937:** M. Johannessohn, *Der Wahrnehmungssatz bei den Verben des Sehens in der hebräischen und griechischen Bibel*, *Zeitschrift für vergleichende Sprachforschung* 64:145-260.

- Kažuaia 2001-2002:** ო. ქაჯაია, *მეგრულ-ქართული ლექსიკონი* (=ქართველოლოგიური ბიბლიოთეკა 7), გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი.
- Karčozia et al. 2010:** გ. კარტოზია, რ. გერსამია, მ. ლომია, თ. ცხადაია, *მეგრულის ლინგვისტური ანალიზი*, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი.
- Lausberg 1963:** H. Lausberg, *Elemente der literarischen Rhetorik*, Eine Einführung für Studierende der klassischen, romanischen, englischen und deutschen Philologie. Zweite, wesentlich vermehrte Auflage. München: Hueber.
- Levinson 1983:** S. C. Levinson, *Pragmatics* (= Cambridge Textbooks in Linguistics). Cambridge ...: Cambridge University Press.
- Lewis 1975:** G. L. Lewis, *Turkish Grammar*, Oxford: Clarendon Press.
- Lomia 2005:** მ. ლომია, *ჰიპოტაქსის საკითხები მეგრულში*, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.
- LomtatiZe 1946:** ქ. ლომთათიძე, *დამოკიდებული წინადადების ერთი თავისებურება ზოგ ქართულ დიალექტში/A peculiarity of the subordinate clause in some dialects of the Georgian language*, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება 1, გვ. 337-345.
- Marčirosovi 1964:** ა. მარტიროსოვი, *ნაცვალსახელი ქართველურ ენებში. ისტორიულ-შედარებითი ანალიზი*, მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.
- Nikolaišvili, to appear:** ლ. ნიკოლაიშვილი, *გურული ტექსტები*, ხელნაწერი.
- Paul 1920:** H. Paul, *Prinzipien der Sprachgeschichte*. 5. Auflage [1880]. Halle: Niemeyer.
- Qipšize 1914:** I. Кипшидзе, *Грамматика мингрельскаго (иверскаго) языка съ хрестоматией и словаремъ*, Типографія Императорской Академіи Наукъ, С.-Петербургъ.
- Rogava 1948:** გ. როგავა, *ჰიპოტაქსის საკითხისათვის ქართულში*, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები 8, გვ. 363-378.
- Rostovcev-Popiel 2011:** A. Rostovtsev-Popiel, *Combining the uncombinable: an insight from Megrelian / შეუთავსებათა შეთავსება მეგრულში*, კრებულში: III საერთაშორისო სიმპოზიუმში, იბერიულ-კავკასიური ენები, მასალები, თბილისი, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, pp.204-206.
- Sperber, Wilson 1986:** D. Sperber, D. Wilson, *Relevance. Communication and cognition*, Oxford: Blackwell.
- ŠaniZe, Topuria (edd.) 1939:** *სვანური პროზაული ტექსტები I. ბაღსზემოური კილო*. ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ და ვ. თოფურიაშვილმა, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა, თბილისი.
- Tevdoraze 1978:** იზაბელა თევდორაძე, *ქართული ენის პროსოდიის საკითხები*, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
- Traugott 2003:** E. C. Traugott, *From subjectification to intersubjectification*, In: Raymond Hickey (ed.) 2003: *Motives for Language Change*. Cambridge...: Cambridge University Press, pp. 124-139.
- Xubua 1937:** მ. ხუბუა, *მეგრული ტექსტები*, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა, ტფილისი.
- Žyeni 1953:** ს. ჟენი, *სვანურ-მეგრულის ფონეტიკა*, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

კითხვითი კონსტრუქციების
პრაგმატიკის შესახებ მიგრულში

რეზიუმე

კითხვითი კონსტრუქციები წარმოადგენს პრაგმატული, ადრესატთან დაკავშირებული ასპექტების გამოხატვისა და ტექსტში წინადადებათა კომბინირების განსაკუთრებულ საშუალებას. ამ სტატიაში აღწერილი სპეციფიკური კონსტრუქციები უკავშირდება კითხვითი წინადადებების ბაზისურ ფორმებს, მაგრამ არ არის მათი იდენტიფიკაცია.

ა) „კლასიკურ“ რიტორიკულ შეკითხვებს ადრესატი იმ კონტრასტის საფუძველზე აღიქვამს, რომელიც არსებობს მისი შინაარსის „აშკარა“ ჭეშმარიტებასა და კითხვის, როგორც სამეტყველო აქტის, მოსამზადებელ პირობას შორის (იგულისხმება ის გარემოება, რომ კითხვის ავტორმა არ იცის პასუხი). მეგრულში (2.) ასეთი გამოყენება ვრცელდება ცოდნის გასხვავებულ ტიპზე: „(ხელმწიფე შეეკითხა: – რა გინდა მოგცემ; ამ სახელმწიფოს ნახევარს მოგცემ. გიორგიმ უთხრა: მე არ მინდა შენი სახელმწიფო, მე მინდაო ერთი ცხენი) ხელმწიფე, რა თქმა უნდა, ამას არ მისცემდა?! [ხენწიფე, მუ რაგადი ოკო, ეს ვე მენანდოქ]“ (ხუბ. 151,18-19). აქ იგულისხმება, რომ თხრობის ადრესატი შეძლებდა ა) წინასწარ განეჭვრიტა უარყოფით კითხვაში აღწერილი მოვლენა (ქმედება, სიტუაცია, მდგომარეობა და ა.შ.) და ბ) განესაზღვრა მისი ალბათობა (ეპისტემური მოდალობა) ტექსტის წინა ნაწილის, გარკვეული ტიპის ადამიანებისთვის დამახასიათებელი თვისებების, მოვლენათა ტიპური თანმიმდევრობის და მსგავს გარემოებათა საფუძველზე. ჩვენს მაგალითში ეს ალბათობა მაღალია, რადგან ლოგიკურად მოსალოდნელი იქნებოდა მეფის ასეთი ქმედება (რამდენადაც მან თავისი სამეფოს ნახევარი შესთავაზა, ცხენის მიცემასაც დათანხმდებოდა). მოვლენის მცირე ალბათობა, მეორე მხრივ, განაპირობებს გაოცებასთან (მოულოდნელობასთან) დაკავშირებულ ინტერპრეტაციას: „(ბიჭი რომ გამოვიდა, მოჭიდავეს გაეცინა, ასეთ ბავშვს როგორ უნდა ვეჭიდო. მივიდა ეს ბიჭი და მოკიდა ხელი: აიღო და მიწაზე რომ დაანარცხა, მისი სიმძიმით ეს მოჭიდავე პარკივით არ გასკდა? [მუში სიმონკათი ათე მარკინექ პარკიშორო ვა ქიგეხორცქულო] გაოცდა ყველა კაცი, რა საკვირველია“ (ხუბ. 1,30-31). წინასწარმჭვრეტი ვარაუდი პროსპექტულია და ამ გაგებით უპირისპირდება თურმეობითის ევიდენციალურ მოდალობას, რომელიც არის ან არაპროსპექტული (რეტროსპექტული), რადგან აწმყო „წყარობის“ მიხედვით წარსულის ფაქტი ივარაუდება, ან „ადმირატიული“, მაგ.: *კაი კაცი ყოფილხარ* (რაც არ ვიცოდი).

ბ) კიდევ ერთი ტიპური თხრობითი კონსტრუქცია (3.) არის ორი თანწყობილი წინადადების თანმიმდევრობა, რომელსაც მოსდევს მესამე, პასუხი მეორე წინადადებაზე (ე.ი. კითხვაზე). მისი სტრუქტურა მნიშვნელოვანწილად იდიომატიზებულია და მოულოდნელობა გამოხატულია უფრო მთელი კონსტრუქციის მეშვეობით, ვიდრე მისი შემადგენლებით: „(გამოალო კარი და რომ შეიხედა შეგნით,) ნახა მაგრამ რა ნახა [ძირუ მარა მუ ძირუ] – რას ნახავს კაცის თვალი იმათზე უკეთესს: – სამი ანგელოზის მსგავსი ქალიშვილი (ქე) სხედან და ჭიკჭიკებენ“ (ხუბ. 3,33-34). ამ

კონსტრუქციაში შესაბამისი „პასუხი“ თვით მოლაპარაკის მიერ არის გაცემული, კითხვაც და პასუხიც ერთსა და იმავე მოლაპარაკეს ეკუთვნის. ის არ გადადის ერთი მოლაპარაკისგან მეორეზე (არ არის „მონაცვლეობა“). ისინი ქმნიან მომიჯნავე არადიალოგურ წყვილს, რომლის პირველი ნაწილი (კითხვა) მოითხოვს მეორე ნაწილს (პასუხს), როგორც ეს არის დიალოგში. „პასუხი“ (ე.ი. აპოლოზისი) გამოხატავს იმას, რასაც კითხვის სუბიექტი (ე.ი. პროტაგონისტი) არ მოელის. ამავე დროს, ადრესატისთვის კითხვას აქვს შემამზადებელი ფუნქცია: ეს არის კატაფორული საშუალება, რომელიც აფრთხილებს ადრესატს პასუხის მოულოდნელობის შესახებ.

გ) დამოკიდებული წინადადებები, რომლებსაც ბოლოს -ო (4.) აქვთ დართული, სემანტიკურად უახლოვდება ზემოხსენებულ კონსტრუქციას: „ცოლმა რომ გადახადა საბანი, თავისი ქალიშვილები მკვდარი ნახა [ოსურქ გამნაწყ შქართუნი-ო, მუში ცი-რა სქუალეფი ლუელო ქობირქ“ (ხუბ. 78,26-27). ამ კონსტრუქციებში პროტაზისში შენარჩუნებულია ისტორიულად არსებული კითხვის ზოგიერთი ფორმალური ნიშანი (მორფოლოგიური ფორმა და მისი ლექსიკურად განპირობებული მახვილის მოდელი, მაგრამ სხვა მხრივ ის მისადაგებულია დამოკიდებული წინადადების ფორმას და დაკარგული აქვს დამოუკიდებელი ილოკუციური ძალა. ის დამოკიდებულია იმ გაგებით, რომ აპოლოზისის გარეშე არ გვხდება. მაგრამ ის ფაქტი, რომ პასუხადაც მიუღებელია ([კითხვა:] ცოლმა თავისი ქალიშვილები მკვდარი როდის ნახა? [პასუხი:] როდესაც საბანი გადახადა = მეგრული (მუჟამს) შქართუნი გამნაწყ-ნი, მაგრამ არა: *შქართუნი გამნაწყ-ო) იმაზე მიუთითებს, რომ სინტაქსურად აპოლოზისის („მთავარი წინადადების“) შემადგენელი ანუ დაქვემდებარებული წინადადება არ არის. ფუნქციონალურად *ო-ნიშნანი* პროტაზისი, ერთი მხრივ, იმაზე მიანიშნებს, რომ აპოლოზისით გამოხატული მომხდარი უშუალოდ მოსდევს პროტაზისით გამოხატულ მომხდარს და, მეორე მხრივ, მიუთითებს მთავარი წინადადების, აპოლოზისის, ორ მახასიათებელზე: პროპოზიციის შინაარსის მოულოდნელობასა და იმ გარემოებაზე, რომ მასში აღწერილი ფაქტის მოწმე პროტაზისის სუბიექტია (ე.ი. პროტაგონისტი).

დ) რაც შეეხება კითხვით კონსტრუქციებს, რომელიც გრამატიზებულია როგორც განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება (1.), ტოგო გუდავამ ივარაუდა მნიშვნელოვანი იზოგლოსი მეგრულსა და ქართულს შორის: *რო-მელ-* = *ნა-მუ-* (შდრ. *ცმელ-* = მეგრული *ციმუ*) როგორც ნაცვალსახელი და როგორც კავშირი გვიანდელ ძველ ქართულში (რომელ > *რომ*). ქართველური განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების გაჩენა, როგორც ჩანს, განხილულ უნდა იქნეს უფრო როგორც კონტაქტებით გამოწვეული მოვლენა, ვიდრე შიდა რეკონსტრუქციის საკითხი და პრაგმატული გარემოებებით განპირობებული ევოლუცია, რისი მცდელობაც იყო აქ ა) და ბ) პუნქტებში.

ა) და ბ) კონსტრუქციებში ჩართულია ადრესატი, ხოლო გ) და დ) დამოკიდებულ წინადადებებში ეს კავშირი ადრესატთან გაწყვეტილია და დაკარგულია მათი ილოკუციური ძალაც.

**მეგრული ანბანი და მეგრულად ნაბეჭდი წიგნები:
მეცხრამეტე საუკუნის ბოლო ოცწლეული¹**

*„თქვენ, ქართველები, რაღაც სხვა მიზანს მისდევთ და არა ჰელაგოვიას“
იანოვსკი, ახალი ამბები, „დროება“, 1880, № 253*

*„აი დროშა, აშორდია,
აერების სიბერეა“.*

გალაკტიონ ტაბიძე

*„სახელმწიფოთა სამზღვარნი მეცნიერების ცვლილებას უნდა მის-
დევენენ? მამულის სიყვარული უნდა რომელსაჲ მეცნიერულს გამო-
კვლევად იყოს დამოკიდებული, რომელიც თვითონაც სათუთა? უნდა
მიხვიდეთ და უთხრათ რომელსაჲ მამულის-შვილს: „შენ სცდებოდი:
შენ ამა და ამ საქმისთვის ღვრიდი სისხლსა. შენ შენი თავი კელტი
გეგონა და გერმანი კი ყოფილხარ“.*

ერნესტ რენანი

საქართველოში გამოყენებული ენების სოციოლინგვისტურ ფუნქციებს XIX საუკუნის ქართველი მოღვაწენი ასე ახასიათებდნენ.

რუსული – სახელმწიფო ენა;

ქართული – დედაენა, მთავარი ენა;

მეგრული და სვანური – მთავარი ენის კილო-კავები; თემიური კილო-კავები (наречие); სათემო ენები.

ქართულისთვის, როგორც საქართველოს მოსახლეობის მთავარი ენის-თვის, დედაენის წოდება ამ იერარქიაში ეკუთვნის იაკობ გოგებაშვილს, რაც აისახა დაწყებითი სახელმძღვანელოს დასახელებაშიც „დედა ენა“. მაშასადამე, ქართული ისწავლებოდა როგორც მოსახლეობის უმრავლესობის დედაენა, მთავარი ენა და არა თუნდაც ერთ-ერთი სახელმწიფო ენა იმპერიის ამ არეალში. იაკობ გოგებაშვილი ქართულისთვის ასეთი ფუნქციის მინიჭებას ასე ხსნის: „ცნობილია, რომ ყოველს ერს აქვს მთავარი ენა, რომელიც საერთო საუნჯეს შეადგენს ამ ერის ყველა ნაწილისათვის და იწოდება მისს დედაენად, და თემიური კილო-კავები (наречие), რომელნიც იხმარებიან ადგილობ-

¹ ნაშრომი მომზადებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (გრანტი №G-02-08). ნაშრომში გამოთქმული ნებისმიერი მოსახრება ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა, არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს.

რივ. ხალხის განათლებაში ამ სიტყვიერების ფაქტორებს კაცობრიობის კეთილგონიერებამ ასეთი დანიშნულება მისცა: ყველა სკოლებში სწავლება მოწყობილია დედა-ენაზე და ადგილობრივს კილო-კავებს ხმარობენ ასახსნელად და განსამარტებლად იმ საერთო სიტყვებისა, რომელნიც ადგილობრივ ბავშვებს კარგად არ ესმით. ამ სახით ეფინება მთელს ხალხს დედა-ენის სრული ცოდნა და მასთან ერთად ვრცელდება განათლება. ასეთი წესია ევროპაში, ამერიკაში და ყველა კულტურულს ქვეყნებში. ასეთივე წესი არსებობს რუსეთის ხალხთა შორის და, სხვათა შორის, კავკასიელებშიაც... ასეთი გონივრული წესი იყო ჩვენს საქართველოშიაც მას უკან, რაც ქრისტიანობა მიიღო ჩვენმა ერმა და დააარსა სკოლები. მეოთხე საუკუნიდგან დაწყებული დღეინდელ დღემდე ყველა ჩვენებურს სკოლებში, შავი ზღვიდგან დაწყებული დაღისტნის საზღვრამდე, იხმარებოდა მხოლოდ წიგნები, საერთო ლიტერატურულს დედა-ენაზე დაწერილნი... სხვა კავკასიელებში არ აღმოჩენილა ამისთანა ჭკუა-მოკლე და უკუღმართი ადამიანი, რომელსაც ეთქვას, სკოლებში სწავლება სათემო კილო-კავებზე უნდა იყოს და არა დედა ენაზეო. ჩვენში კი გამოჩნდნენ იმისთანა ჭკუით გლახაკნი, რომელთაც გაჰბედეს და წარმოთქვეს, რომ სამეგრელოსა და სვანეთის სკოლებიდან დედა-ენა უნდა იქმნას გამორიცხული, რადგან აქ ხალხი ადგილობრივს კილო-კავებსა ხმარობსო“.

„ამ უკუღმართის აზრის სისრულეში მოყვანა“, ი. გოგებაშვილის აზრით, ქვეყანას „მეტად ცუდს მომავალს უქადის“ (გოგებაშვილი 1902).

რადგან რუსული იყო ერთადერთი სახელმწიფო ენა, ბუნებრივად დგებოდა ამ ენის ყველა მოქალაქის ცხოვრებაში შეღწევის საჭიროების საკითხი, რაც, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ასიმილაციური ანუ რუსიფიკაციური პოლიტიკის გატარებას ნიშნავდა. თუმცა როგორ უნდა მომხდარიყო საქართველოს მოსახლეობის ეფექტურად და მოქნილად ასიმილაცია, ამის თაობაზე ორი განსხვავებული მიდგომა არსებობდა. ერთს ამათგან გამოხატავდა, მაგალითად, ეგზარხოსი პალადი, როცა იგი სინოდის ობერ-პროკურორს აძლევდა ახსნა-განმარტებას: „საოცარია, ბ. მზრუნველის მოთხოვნა, რომ წერა-კითხვის სკოლებიც გადაეცეს მასწავლებლებს, რომლებმაც არ იციან არც ენა, არც ზნე-ჩვეულება თავიანთი მოწაფეებისა... რუსული ენა მათში, როგორც სასულიერო უწყების ყველა სკოლაში, ისწავლება დამაკმაყოფილებლად. განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში, და ამიტომ ისინი გარუსების საქმეს დიდად უწყობენ ხელს – თანდათანობით, მშვიდობით და სიყვარულით, ტუზემცების აზროვნების გაუღიზიანებლად და მათი ნაციონალური თავმოყვარეობის შეურაცხყოფის გარეშე. ამკარა ძალდატანებით გარუსება ბუნებრივად იწვევს ძლიერ წინააღმდეგობას და აფერხებს რუსული საქმის წარმატებას მხარეში“.¹

თუმცა უფრო ძლიერი იყო მეორე, რეაქციული ფრთა, რომლის წარმომად-

¹ საქ. ც. არქ. F. 107, სერია გ, საქმე №891, ფ. +2-11.

გენლები თვლიდნენ, რომ ასიმილაცია უნდა მომხდარიყო მოკლე პერიოდში ამ რეგიონში რუსული ცივილიზაციის განმტკიცების მიზნით. ამ იდეის ყველაზე სისტემურ გამტარებლად გვევლინება კავკასიის ოლქში განათლების საკითხების ხელმძღვანელი კირილე პეტრეს ძე იანოვსკი, რომელმაც 1880 წლის 20 ოქტომბერს ქართული საზოგადოებისათვის მიუღებელი აზრები განავითარა თავის ხელქვეითებისადმი გაგზავნილ ცირკულარში: „კავკასიაში რუსული სკოლების დაარსება და ადგილობრივ მკვიდრთა მოზიდვა მასში სასწავლად უდავოდ ამ მხარეში რუსული ცივილიზაციის განმტკიცების უმთავრეს საშუალებად უნდა ჩაითვალოს. იმედი უნდა ვიქონიოთ, ეს ცივილიზაცია, რომელიც მიისწრაფვის შეიჭრას ხალხში და ვითარდება რაციონალურად მოწყობილი სკოლების საშუალებით, წინათ აქ არსებულ ცივილიზაციებზე უფრო მტკიცე აღმოჩნდება, რომელთა შესაცვლელად ის აქ მოვიდა და რომელნიც დაიღუპნენ უმთავრესად გარემომცველ უვიც ტომებთან და ხალხებთან საბრძოლველად კულტურულ საშუალებათა უქონლობის გამო“.¹ სწორედ ამ განცხადებაში ჩანს, რომ იანოვსკი, განსხვავებით ეგზარხოს პალადისაგან, კავკასიის სწრაფი და ხისტი ასიმილაციის მომხრე იყო.

მართალია, რუსეთის ხელისუფლება დაწყებითი სახალხო სასწავლებლების ძირითად ფუნქციას ადგილობრივი მოსახლეობის გარუსებაში (“Обрусение края”) ხედავდა, თუმცა სკოლაში ქართულის სწავლებასა და სკოლის ინსპექტორად ქართულის მცოდნის დანიშვნას აუცილებლობად მიიჩნევდნენ. ასეთი სურვილი ხშირად გამოითქმოდა: “знание грузинского языка положительно необходимо для сельского учителя”.

1878 წელს თბილისში მოწვეულმა აღმოსავლეთ საქართველოს სახალხო მასწავლებელთა კრებამ დაადგინა, რომ დაწყებითი სკოლის ყველა საგნის სწავლება მშობლიურ ენაზე უნდა ყოფილიყო. რუსული უნდა ესწავლებინათ როგორც ცალკე საგანი და ისიც სწავლების მესამე წლიდან. ქუთაისის გუბერნიის სახალხო მასწავლებელია ყრილობამაც ასეთი დადგენილება მიიღო (ხუნდაძე 1951:73-84). ეს დადგენილებები ცხოვრებაში ძნელად ხორციელდებოდა, მაგრამ გადაწყვეტილებებში მუდამდებოდა იმდროინდელი საზოგადოების სურვილი, დაწყებითი განათლება დაეფუძნებინა ქართულ ენაზე, ხოლო უცხო ენა სასწავლო საგნად შემოეტანათ მოგვიანებით, სწავლების მესამე წელს, როცა მოსწავლეებს კარგად ექნებოდათ ათვისებული ქართულად წერა-კითხვა. საზოგადოების აღშფოთებისა და წინააღმდეგობის მიზეზად იქცა იანოვსკის წარდგენილი და მეფისნაცვლის, მიხეილ რომანოვის, დამტკიცებული დადგენილების საფუძველზე ლევიტსკის მიერ სენაკისა და ზუგდიდის დაწყებითი სკოლების მასწავლებლებისათვის 1885 წელს დაგზავნილი ცირკულარი – „ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორის ცირკუ-

¹ საქ. ც. არქ. F. 107, სერია 3, № 300, ქართულად თარგმნილი ტრ. ხუნდაძის მიერ.

ლარი იანვრის 11-ს 1885 წ. „№62“ (ბბ. მასწავლებელთ სენაკისა და ზუგდიდის პირველ-დაწყებით სასოფლო სკოლებისა)¹ (ცირკულარი 1885).

ამ ცირკულარის მიხედვით, სამეგრელოში ენობრივი სიტუაცია ასეთია.

- სამეგრელოში გავრცელებულია მეგრული, რომელიც ამ მხარეში მცხოვრებთა აბსოლუტური უმრავლესობისათვის მშობლიური ენაა. ეს ენა იენორირებულია სამეგრელოს სკოლებში, რაც ვერ ახდენს კეთილისმყოფელ გავლენას აქაური მოზარდების განვითარებაზე.
- სამეგრელოს სკოლებში ერთდროულად ორი უცხო ენა ისწავლება: ქართული და რუსული. რუსულის სწავლება აუცილებელია, რადგან იგი სახელმწიფო ენაა, მაგრამ ქართულის სწავლება ნამდვილად ზედმეტია, რადგან ორი უცხო ენის ერთდროულად შესწავლა შედეგიანი არ არის.
- როგორ უნდა გამოსწორდეს ეს ვითარება:
- სწავლება უნდა გახდეს მეგრულ-რუსული, რითაც შესრულდება ადგილობრივ სკოლებში რუსული ენის სწავლების გაუმჯობესების სახელმწიფო პოლიტიკის მოთხოვნა.
- ქართული უნდა განიღვენოს სამეგრელოს სკოლებიდან, რაც გამოათავისუფლებს დროს ლოცვებისა და საღმრთო ისტორიის რუსულად სწავლებისათვის მეგრულის დახმარებით.
- რაც შეეხება, მეგრულად დამწერლობის არარსებობას, შეიძლება მისთვის რუსული ანბანის გამოყენება.

იმის საჩვენებლად, რომ ვითომ ეს ცირკულარი ასახავდა სამეგრელოს ენობრივი სიტუაციის რეალურ სურათს, ქვეყნდებოდა წერილები, რომლებშიც კეთდებოდა აქცენტი სამეგრელოს სკოლებში ორენოვანი, მეგრულ-რუსული, სწავლების აუცილებლობაზე. „ბ. მზრუნველი, სენაკის მაზრის უფროსი ბებურიშვილი, ივ. ბერიძე, სენაკის მომრიგებელი მოსამართლე, „დეპუტანტი“ ლუკა ჟვანია „კაკაზში“ ამტკიცებენ, რომ სამეგრელოს ხალხი თხოულობს რაწამს სკოლაში შეგვყავს შვილები – კინაღამ წამოგვცდა: რაწამს დაიბადებიან – მაშინვე რუსული ლაპარაკი დააწყებინეთო“ (ჭავჭავაძე 1881:148). ილია ჭავჭავაძე წერს: „ახალის პროგრამის (ანუ მეგრულ-რუსული სწავლების) დამცველნი ბრძანებენ, ხალხი თხოულობს, რომ რუსული ენა ასწავლონო და ჩვენც ხალხის სურვილი უნდა ავასრულოთო“ (ჭავჭავაძე 1881:152). დამოწმებული ცირკულარისა და გაზეთ „კაკაზში“ გამოქვეყნებული წერილის მიხედვით, რუსულის სწავლებას უნდა დამატებოდა სამეგრელოს სკოლებში მეგრულად სწავლება. „ბ. მზრუნველს სენაკის სკოლის ზედამხედველისათვის უთქვამს: „რატომ სამეგრელოს სკოლებში მეგრულს ენაზედ არ ასწავლითო.“

¹ ჩვენი მსჯელობა ეფუძნება „დროებაში“ გამოქვეყნებული ცირკულარის ტექსტს, „დროება“, №59, 1885.

ილია ჭავჭავაძე გაცემით წერს: „რა საფიქრებელია, რომ ბ. მზრუნველმა, რომლის კალთაშიაც მთელის კავკასიის სწავლა-განათლების საქმეა გამოხვეული, არ იცოდეს, რომ მეგრულ ენაზედ წერა-კითხვა შეუძლებელია მეგრულის ანბანის უქონლობის გამო! რუსული ანდაზა: მეტის-მეტი მოლაქუცე მტერზედ უარესიაო“ (ჭავჭავაძე 1881:149). აქედან ჩანს, რომ ილიას ანბანი მხოლოდ წარსულიდან ნაანდერძევ მემკვიდრეობად მიაჩნია და ვერ წარმოუდგენია მის დროში ახალი ანბანის შექმნა, რომელსაც ცოდვიანი მიზანი აქვს – ქართველური კულტურული, ისტორიული და პოლიტიკური ერთობის დაშლა.

ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორის 1885 წლის იანვრის ცირკულარს მოჰყვა „კავკასიის სამასწავლებლო ოლქის მზრუნველის წინადადება ქუთაისის გუბერნიის საერო სასწავლებელთა ბ. დირექტორისადმი, 1885 წელს მარტის 11-ს №1297“ (მზრუნველის წინადადება 1885). მასში დაწვრილებით იყო აღწერილი ის მეთოდი, რომელიც უნდა გამოეყენებინათ მასწავლებლებს რუსული დამწერლობის მეშვეობით მეგრულის სასწავლებლად. „ადგილობრივ მცხოვრებთა პირველდაწყებითი სკოლებისათვის შედგენილი სამასწავლებლო პლანის ძალით, რომელიც დამტკიცებულ იქმნა 1881 წ. იანვრის 13-ს კავკასიის ყოფილის მთავარ-მართებლისაგან, სწავლა ხსენებულ სკოლებში უნდა იწყობოდეს სამშობლო ენაზედ. ამის გამო დეკემბრის 31-ს 1884 წელს №7992-ით მე წინადადება მივეცი თქვენ მაღალკეთილშობილებას, რომ სამეგრელოს პირველ-დაწყებით სკოლებში, საცა მოსწავლენი უმეტესად მეგრელები არიან, სწავლა უნდა იწყობოდეს მეგრულს ენაზედ, როგორც მცხოვრებთა სამშობლო ენაზედ. მაგრამ რადგანაც მეგრულს ენაზედ არ არსებობს მწიგნობრობა, ამისთვის მასწავლებელთ მინდობილი ჰქონდათ ჩემგან, რომ მეგრული სიტყვების დასაწერად ეხმარათ რუსული ალფაბეტი.

ვამტკიცებ რა ხსენებულს ჩემს წინადადებას საგაისოთაც აღსასრულებლად, მე საჭიროდ ვრაცხ დაუშმატო მას შემდეგი ახსნა:

თანახმად 1881 წლის იანვრის 13 სამასწავლებლო პლანისა, პირველ-დაწყებითი სკოლის პირველ განყოფილებაში ერთის თვის შემდეგ, იწყობა სწავლა კითხვისა სამშობლო ენაზედ ახალი მეთოდით (ЗВУКОВОЙ) და ამასთან ერთად იწყობა სწავლა წერისაც – იმ საგნების სახელებისა, რომელნიც ყმაწვილებს შეუსწავლიათ დაკვირვებით სწავლის დროს.

ეს დადგინება სამეგრელოს სკოლებში უნდა შესრულებულ იქმნას ამ ნაირად:

კითხვის ახალ მეთოდით სწავლების მეთოდის ძალით, სანამ ყმაწვილებს შეასწავლიან ასოების დახატვას, იგინი უნდა შეაჩვიონ სიტყვების დაშლას ხმებად, ეს ვარჯიშობანი უნდა სწარმოებდენ ზეპირად. ამის თანახმად მასწავლებელი მეგრულის სკოლისა, ერთი თვის სწავლების შემდეგ პირველ განყოფილებაში, მოვალეა შეაჩვიოს მოსწავლენი მეგრული სიტყვების ხმებად დაშლას და ხმების შეერთებას სიტყვებად, და შემდეგ, როცა მოსწავლენი საკმა-

ოდ გაიკვეთავენ ამ ვარჯიშობათა, მასწავლებელმა უნდა დაიწყოს სწავლება ხმების გამოხატვისა და საზოგადოდ სწავლა-წერისა მეგრულს ენაზე, რის დროს უნდა იხმაროს, როგორც ზევით იყო ნათქვამი, რუსული ალფავიტი.

სწავლება კითხვისა, მეგრულს ენაზედ წიგნების უქონლობის გამო, ძალა-უნებურად უნდა დაკმაყოფილდეს პირველ დროს მარტო იმ სიტყვების კითხვით, რომელთა წერა იციან მოსწავლეთ. შემდეგ, როცა მოსწავლენი რამდენადმე გავარჯიშდებიან თითოეული სიტყვების წერა-კითხვაში, მასწავლებელმა უნდა წააკითხოს მათ თითოეული მარტივი და მოკლე ფრაზები, რომელნიც ამისათვის მასწავლებელმა წინათვე უნდა შეადგინოს და დაწეროს რუსული ასოებით გაკვეთილის დროს საკლასო დაფაზედ. რამდენიც მოსწავლენი გავარჯიშდებიან, მასწავლებელმა მარტივი ფრაზების წერისა და კითხვის შემდეგ თანდათან უნდა შეასწავლოს უფრო რთული ფრაზები, რომელნიც აგრეთვე ზემოხსენებული წესით შეადგინოს და დაწეროს რუსულის ასოებით საკლასო დაფაზე. ამნაირად უნდა სწარმოებდეს სწავლა პირველ ნახევარ წლის განმავლობაში. არითმეტიკის სწავლება ამ ნახევარ-წელიწადს, თანახმად სამსწავლებლო პლანისა, უნდა სწარმოებდეს განსაკუთრებით სამშობლო ენაზე.

მეორე ნახევარ-წლიდან, თანახმად სამასწავლებლო პლანისა, უნდა დაიწყოს სწავლება რუსულის ენისა იმ წესით, როგორც ნაჩვენებია იმავე პლანში.

სწავლება არითმეტიკისა და რუსულის ენისა მეგრული სკოლის მე-2 და მე-3 განყოფილებაში უნდა სწარმოებდეს თანახმად სამასწავლებლო პლანისა.

რაკი სამეგრელოს სკოლებში იქნება ამნაირი მეთოდი სწავლებისა, ამისათვის თვითონ მასწავლებელნიც ვალდებული არიან საკმაოდ იცოდნენ მეგრული ენა; მასწავლებელნი კი, რომელნიც ვერა ლაპარაკობენ ამ ენაზედ, ვალდებული არიან შეისწავლონ იგი იმდენად, რომ შეიძლონ მასზედ მარტივი ამბების გადაცემა.

რაც შეეხება სამღვთო სჯულს, მეგრულს ენაზედ სამღვთო წერილის თარგმანის უქონლობის გამო, სწავლება ამ საგნისა მეგრულს ენაზე ძნელი იქნება, რადგან საღვთო სჯულის მასწავლებელთ არ აქვთ სახელმძღვანელოები საღვთო წერილის ნამდვილი და მუდმივი ტექსტისა, რომელით ხელმძღვანელობაც შეეძლოთ მათ სწავლების დროს. ამისათვის მეგრულს ენაზედ მოსწავლეთ უნდა გააცნონ, სამასწავლებლო პლანის თანახმად, მარტო ის ამბები ძველი და ახალი აღთქმისა, რომელთაც აქვს წმინდა მოთხრობითი ხასიათი. ლოცვები და დოღმატნი სარწმუნოებისა უნდა ასწავლონ ქართულს ენაზე, რომ სამღვთო სჯულის სწავლება ქართულს ენაზედ კარგად სწარმოებდეს, სასურველია სამღვთო სჯულის მასწავლებელმა ასწავლოს ბავშვებს კითხვა ამ ენაზედ, მაგრამ არა ადრე მეორე წლისა ე. ი. იმ დროსა, როდესაც ბავშვებს ეცოდინებათ კითხვა მეგრულად და რუსულად.

ქართული ალფავიტი შესწავლა მოსწავლეთათვის ამ დროს არ წარმოადგენს არავითარ სიძნელეს და მონაღომებს არა უმეტეს 2-3 კვირისა. იმას ხომ თქმა აღარ უნდა, რომ კითხვა და შესწავლა ქართულად ლოცვათა და სამღვთო წერილის ამბებთა არ შეიძლება სამშობლო ენაზედ გადაუთარგმნელად. ეს წესი სამღვთო წერილის სწავლებისა სამეგრელოს სკოლებში შემუშავებულია ჩემგან თანახმად მის ყოვლად-უსამღვდელოესობისა, არქიებისკოპოსი პავლესი, საქართველოს ეგზარხოსისა.

გაცნობებთ რა ამას, მაქვს პატივი თქვენს მაღალ-კეთილ-შობილებას, რომ გაუგზავნოთ სამეგრელოს მასწავლებელთ და სამღვთო რჯულის მოძღვართა ეს ჩემი ზემო აღწერილი შენიშვნები შესასრულებლად. სამეგრელოს სკოლებში იმ სამასწავლებლო პლანისა, რომელიც დამტკიცებულ იქმნა 1881 წელს იანვრის 13-ს კავკასიის ყოფილის მთავარ-მმართველისაგან¹.

როგორც ამ ინსტრუქციიან ჩანს, ქართულს, როგორც „მეორე უცხო ენას“, სამეგრელოს სკოლებში დარჩა ძალიან ვიწრო ასპარეზი. ქართული ჯერჯერობით შუცვლელი აღმოჩნდა როგორც მხოლოდ „საკეკლესიო ლოცვათა და ღოგმატთა ენა“.

სამეგრელოში ქართულისთვის ამ ისედაც ვიწრო ასპარეზის წასართმევად, საჭირო იყო მეგრული ანბანის შექმნა, რომელიც გამოყენებული იქნებოდა:

- მეგრულად თარგმნილი რელიგიური ტექსტების ჩასაწერად და გამოსაქვეყნებლად,
- მეგრულ ყოველდღიურ გაზეთში,
- სამეგრელოს სკოლებისთვის შექმნილ მეგრულ სახელმძღვანელოებში.

კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველ იანოვსკის ზრუნვა არ დაუკლია ამ საქმისთვის. მან 1886 წელს 18 თებერვალს მოხსენება გაუგზავნა სახალხო განათლების მინისტრს: „**აქურ ხალხებს, რომელნიც გამსჭვალულნი არიან განათლებისაკენ მისწრაფებით, განსაკუთრებით რუსული განათლებისაკენ, ეკუთვნიან მეგრელები, მოლაპარაკე მეგრულ ენაზე, სავსებით განსხვავებული ქართული ენისაგან და სრულიად გაუგებარი ქართველებისათვის ისე, როგორც ქართული გაუგებარია მეგრელთათვის... სწავლება შეიძლება დაწყებული იქნას მეგრული წერა-კითხვით და არა ქართულით, რაც ადგილობრივ მეგრულ სკოლებში მიღებული იყო მოწაფეთათვის რუსული ენის შეთვისების საზიანოდ... მე აუცილებელ საჭიროებად ვთვლი ამ ენისათვის შედგენილი იქნას საკუთარი ანბანი... მეგრული ანბანი ჩემი მტკიცე რწმენით, რუსულ ალფაბეტზე უნდა იქნას დაფუძნებული იმ აუცილებელი ცვლილებებით, რომელიც გამოწვეული იქნება რუსულ გამოთქმაში არ არსებული რამდენიმე ბგერით.**“²

¹ მზრუნველის წინადადება გადმობეჭდილია „ნოვოე ობოზრენიედან“ „დროების“ 1885 წლის 120-ე ნომერში

² იხ. ც. არქ. 107, სერია ვ., საქ. № 1746, ფ. 12.

იანოვსკის წერილს ამაოდ არ ჩაუვლია. მეგრული ანბანის შესაქმნელად შეირჩა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტიდან ალექსი ნიკოლოზის ძე გრენი, რომელიც მუშაობდა აკადემიკოს რადლოვის ხელმძღვანელობით. სწორედ რადლოვმა შეადგინა ის ინსტრუქცია, რომლითაც უნდა ეხელმძღვანელა გრენს მეგრული ანბანის შედგენისას.

გრენს, რა თქმა უნდა, სინარულით არ დახვედრიან სამეგრელოში. თვითონ ასე აღწერს ვითარებას: „სენაკის სააზნაურო სკოლაში სხდომებს მართავს ნამდვილი რევოლუციური კომიტეტი – „ქართველთა შორის წ.-კითხვის გამარცვლებელი კომიტეტი“. მის წევრთაგან თავ. აკ. წერეთელი მუდამ სამეგრელოში დაეხეტება საპროპაგანდოთ; აქ ქართული გავლენის გამტარებლებია მაზრის უფროსი ჯაყელი, სასწავლებლის ზედამხედველი ბაქრაძე, რომელიც, სხვათა შორის, თვალყურს მადევნებს იმდენად, რომ მისი მსახურიც კი დამდევს კვალდაკვალ, დაბოლოს ყველა მოსამსახურე ქართველი, რომელთა რიცხვი აქ მრავალია. ჩვენს აღზნებულ ადებტად აქ ჯერჯერობით შემიძლია დავასახელო ზუგდიდის ორკლასიანი სასწავლებლის მასწავლებელი ბ. გაბისონია, რომელიც უკვე წარმატებით ცდილობს ჩემი ანბანის მეგრელთა შორის გავრცელებას. რაც შეეხება ბ. აშორდიას, ისიც აღზნებული ადებტია, მაგრამ იმდენად თავმოყვარე, რომ მასთან ვერაფერს გააწყობ. თვით მეგრელები, ვფიქრობ, ალფაბეტის საქმეს თანაგრძნობით ეკიდებიანო“¹ (ხუნდაძე 1939:106). „ამ ანბანის გამოცემისას, მე ამასთანავე მხედველობაში მქონდა, – წერს გრენი, – თუმცა არა პირდაპირ, როგორმე **ნაციონალური ბრძოლისათვის გამომეწვია მეგრელები, რომელნიც უფრო ძლიერი ქართველი ხალხისაგან ითვლებიან.** და, მართლაც, ასეთი ბრძოლა სრულიად შეუძლებელია საკუთარი, ნაციონალური ალფაბეტის ქონების გარეშე, რომლითაც მეგრელი თავის აზრებს ისე გამოხატავს, როგორც მისი მტერი, ამ შემთხვევაში ქართველი, და ბოლოს, უალფაბეტო შეუძლებელია რაიმე მეცნიერება, ცივილიზაციის რაიმე ნაპერწკალიც კი“² (დამოწმებულია ტრ. ხუნდაძის მიხედვით 1939:108).

მტრული დამოკიდებულება გრენის მიმართ ისეთი აქტიური გახდა, რომ მას თანამზრახველნი შემოეფანტნენ: „ჩემს პირველ მოვალეობად ვთვლი გაცნობოთ, რომ აქ ცხოვრობს ქართველი პარტიის ერთი ქართველი ლიტერატორი ბ. მიონარგია; დასახლდა ის ერთი თვის წინად თავის მამულში ცვიშში; იქ, სადაც აშორთიაა. რომ ის აქ მიზნით არის ჩამოსული – ნათელია იმით, რომ ადრე ის ტფილისში იყო ატუზული, ახლა კი უეცრად სამეგრელოში გაჩნდა და ტფილისშიც კი იმგზავრა თავად ჭავჭავაძესთან რაღაც განსაკუთრებული მიზნით“. ამის შედეგად თვლის გრენი თავის თანამშრომლების ჩამო-

¹ იხ. ც. არქ. ფ. 107, საქ. 1746.

² იხ. საქმე № 1746, ფ. 24, 25.

შორებას. „ახლა აქ ორი პარტიაა: პარტია ქართველების და პარტია აშორთიელების. აშორთიას პარტია უფრო მტრულადაა განწყობილი ჩემდამი, ვიდრე ქართველებისაო“ (დამოწმებულია ტრ. ხუნდაძის მიხედვით, 1939:109-110).

ჭირს ბოლომდე სრული სურათის აღდგენა, მაგრამ ამჟამად ჩვენს ხელთ არსებული მასალების საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ თვით მეგრულ ენაზე მოლაპარაკებებში გააღვიძა რუსეთის იმპერიამ ქართველთაგან კულტურული განცალკევების იდეა. არ იყო ადვილი ასეთი სეპარატიზმისთვის შესაფერისი ადამიანების მოძებნა. გრენისგან დამოუკიდებლად მეგრული ანბანი შექმნა, თუ შეაქმნევენეს თადა აშორდიას. დაძაბული იყო გრენსა და აშორდიას შორის დამოკიდებულება, რაც აისახა გრენის ზემოთ დამოწმებულ წერილში. იანოვსკი ყოველნაირად ცდილობდა მათ შორის ურთიერთობის მოწესრიგებას, მაგრამ ეს ძნელად მისაღწევი აღმოჩნდა. სხვათა შორის, გრენს ეუბნებოდნენ, რომ აშორდიას ანბანი უფრო პრაქტიკული იყო გამოსაყენებლად. როგორც სათანადო მიწერ-მოწერიდან ჩანს, მეცნიერებათა აკადემიას გრენის მიერ შეგროვილი მასალები გადაუცია განსახილველად აკადემიკოს რადლოვისა და ადიუნკტ ზალემანისათვის, რომლებმაც წარმოადგინეს თავიანთი აზრი მეგრული ენის პრაქტიკული ანბანის შექმნასთან დაკავშირებით (Донесение по вопросу о составлении практической азбуки мингр. яз.) აკადემიის ისტორ.-ფილოლოგიური განყოფილების სხდომაზე.¹

„ივერიიდან“ მოპოვებული მასალა აჩვენებს, რომ მეგრულად თარგმნილი რელიგიური ტექსტების ჩაწერა და გამოქვეყნება, მეგრულენოვანი ყოველდღიური გაზეთი და სამეგრელოს სკოლებისთვის შექმნილი მეგრულის სახელმძღვანელოები – ერთ ანბანს ეყრდნობოდა. მაგრამ რომელი იყო ეს ანბანი – აშორდიას მიერ შედგენილი, თუ გრენის მიერ შედგენილი, როგორც ტროფიმე ხუნდაძის მიერ სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანილი საარქივო დოკუმენტების განხილვით ვაჩვენეთ, მათ შორის დიდი დავა და ლამის მტრობა სუფევდა. საინტერესოა, რომელი ანბანი გაეგზავნა საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიას – აშორდიასი თუ გრენისა. იქნებ, რადგან ლევიტსკი და იანოვსკი ამ საქმეში ერთსულოვნების შენარჩუნებას აპირებდნენ, რაღაც გაშუალებული ვარიანტი გაუგზავნეს პეტერბურგს. ახლა ჯერ კიდევ ძნელია ამაში დაწვრილებით გარკვევა.

1887 წლის 17 მაისის თარიღით მზრუნველი იანოვსკი წერს ქუთაის. სახ. სკოლების დირექტორს ლევიტსკის, რომ აკადემიიდან მიღებულია აკადემიკოსების რადლოვისა და ზალემანის მიერ შედგენილი და ისტორიულ-ფილოლოგიური განყოფილების მიერ განხილული მეგრული ანბანი. ამჟამად აკადემია ამზადებს შრიფტს მეგრული ანბანის დასაბეჭდად; მანამდის კი გაა-

¹ იხ. საქ. № 1746, ფ. 79.

ცანით მასწავლებლებს ამასთანავე თანდართული ანბანის ხელთნაწერი ნიმუში¹. ამრიგად, საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიამ დაამზადა მეგრული ანბანი (დამოწმებულია ტრ. ხუნდაძის მიხედვით 1939:111).

როგორც მოსალოდნელი იყო, მეგრული ანბანის შექმნას ქართული საზოგადოება დიდი აღშფოთებით შეხვდა. ბათუმელის ფსევდონიმით „ივერიის“ 1887 წლის 49-ე ნომერში გამოქვეყნდა წერილი, რომელშიც ჩანს, როგორ შეიძულა საზოგადოებამ ამორღია. ხალხი მას ირონიით „სამეგრელოს ფარნაოზს“ უწოდებდა. „იგი დაუფასებიათ სამეგრელოს ქართველებს და საზოგადოებრივს აზრს კიდევ აუგია ანდერძი. ამორღიაზე გამოთქმული მდაბიო ხალხური ლექსი ისეთი მკაცრი, მიუდგომელი და ღრმა კრიტიკაა, რომ უყურადღებოდ ამის დატოვება უსამართლობა იქნება. ეს ლექსი სასტიკი მსჯავრია საზოგადოებისა, ხალხისა, თუ გნებავთ, ეს ლექსი საშინელი განჩინებაა ხალხისა საშვილიშვილოდ წარმოთქმული. ამორღიას არ უნდა დაევიწყნა, რომ საზოგადოება ადამიანთა კრებაა, თავისუფალ არსებათა. წინამძღოლობა საზოგადოებისა ძნელი საქმეა. საზოგადოება ცხვარი ხომ არ არის, მოწინავეს კედელზე გადაჰყვეს? ისე როგორც საზოგადოება, ვინ დააფასებს მოღვაწეს? საზოგადოება მხოლოდ ერთს შემთხვევაში ვერ აფასებს მოღვაწეს. ეს მაშინ, როცა მოღვაწე გენიოსია. გენიოსი ისეთ რამეებზე ლაპარაკობს, რასაც თანამედროვე ხალხი ვერ შესწვდება, ვერ მონიელებს... ამორღია, რომელსაც, ხალხის აზრით, „სემინარია ჩაუყლაპავს“, ხალხმა დააფასა, ცოცხალს ანდერძი აუგო! ამ რეფორმატორს, რომელსაც მხოლოდ ცხენის-წყლის გადაღმა დიდ ხონში უსწავლია“, ერთი იმედი-ღა დარჩენია: იგი უნდა ჩაეწეროს გენიოსთა გუნდში, რომელთაც მხოლოდ შთამომავლობა დააფასებს!!“ (ბათუმელი 1887).

როგორც ითქვა, მეგრული ანბანი შეიქმნა მეგრული ენის სასკოლო სახელმძღვანელოების, მეგრული ყოველდღიური გაზეთისა და მეგრულად თარგმნილი რელიგიური ტექსტების გამოსაცემად. რა თქმა უნდა, ეს ვითარება აისახა „ივერიის“ ფურცლებზე. კორესპოდენტი ნანეიშვილი წერს: „ამორღიას ანბანი გამოუყენებელი არ დარჩენილა. ზოგიერთ ხელი მისცეს ახალს „ფარნავაზს“ და განიზრახეს იმისის ღვაწლის გამოყენება. თვით მეგრელებს არაფრათ ეჭაშნიკათ ეს ამბავი და დღესაც ცუდის თვალთ უყურებენ როგორც თავიანთს „ფარნავაზს“, ისე იმის მოსარჩლეუთა...ზოგიერთთა უკუღმართობა მეგრულის ანბანის შემოღებით არ დასრულებულა. ეხლა სამეგრელოს აღმოსჩენია „წმინდა მამებიც“, რომლებსაც სრული იმედია, წმინდანებად არ შერაცხავენ. ამათ უკისრნიათ საღმრთო წერილის თარგმნა მეგრულს ენაზე... მაშინ – როდესაც მთელი სამეგრელო მრავალი საუკუნის განმავლობაში სასოებით ისმენს ქართულს წირვა-ლოცვას... ამ მამათა ოღონდ თავიანთი ფარული აზრი საქმედ აქციონ და იმას-კი არ დაემებენ, რომ ერის რელიგიურს

¹ იხ. საქ. № 1723, ფ. 23.

გრძნობას შეჰლახავენ და შეჰბლალავენ. საღმრთო წერილის მეგრულ ენაზედ გადმოღება ახალი საქმე არ არის. ამ ოციოდე წლის წინად მთარგმნელთა გუნდმა კიდევ გადმოიღო მეგრულზე წირვა-ლოცვა, მაგრამ როდესაც ეკლესიაში გაისმა „ჭკვიანურო გეწიმორდით“, ხალხმა იგრიალა და ლანძღვა-გინებით გამოვარდა ეკლესიიდან. ახალ მთარგმნელების საქციელს მეტად შეუწუხებია თვით მეგრელებიც და „ივერიის“ რედაქციისთვის წერილი მიუწერიათ; „ახალი თარგმანი არ წააგავს ძველს. ახალში მთარგმნელებს არც ერთი სიტყვა არ დაუტოვებიათ, რომელიც ქართულსა ჰგავს, და რადგან ეს ძალიან ძნელი საქმეა, ჭკუის კოლოფ მთარგმნელებს ახალი მეგრული მოუგონებიათ. აი ამისი ნიმუშიც; „წმინდაო ღმერთო, წმინდაო ძლიერო, წმინდაო უკვადავო; ასე უთარგმნიათ: „ტატალი ღორონთი, ტატალი შეძლებუამი, ტატალი უღუროუ მუშეხვარით ჩქი“. სიტყვა ტატალი ბავშვური სიტყვაა და სრულად ემსგავსება ქართულს „ზიზია“ (ზიზია ღმერთი) და რუსულს *пана (паня Божь)*. რაღა თქმა უნდა, რომ ამგავრი თარგმანი ერის გრძნობა-გონებას შეჰბლალავს და შეჰლახავს და ამ მომაკვდინებელს ცოდვას არ შეუშინდნენ „აშორდია-გამშორდიები“. ჩვენ სრულიად დარწმუნებული ვართ, რომ თვით მეგრელის საზოგადოება საკადრისს მოანიჭებს ახალს მთარგმნელებს და თავისს წმინდა გრძნობას არავის შეალახვინებს“ (ნა-ლი 1889).

ინფორმაცია, რომელიც მოცემულია ამ ტექსტში, რომ „ამ ოციოდე წლის წინად მთარგმნელთა გუნდმა კიდევ გადმოიღო მეგრულზე წირვა-ლოცვა“, სხვა მასალებითაც მტკიცდება, მაგრამ თვით ამ ნათარგმნ ტექსტებს ჯერჯერობით ამ სტრიქონების ავტორმა ვერ მიაკვლია.

საქმე იქამდე მისულა, რომ მეგრულენოვანი ლიტურგიის „ახალი რედაქცია“ შეუქმნიათ. ნანეიშვილს აქვს თავისი არგუმენტები იმის დასამტკიცებლად, რომ მეგრული ანბანისა და მეგრულად სახარების თარგმნის იდეა ვერ დაიბადებოდა და არც დაბადებულა თავად მეგრელთა შორის, ეს მხოლოდ გარედან ნაკარნახევი იდეაა და ამის მოქმედთ საშინელი „მალული განზრახვა“ აქვთ: „ახალის მწერლობის დამაარსებელნი იმას კი არ ჩაუკვირდნენ, თუ ვისთვის და რამდენად საჭიროა მეგრული ანბანი და თუ ვინ არიან მეგრელები. ამას რომ ჩაჰკვირებოდნენ, მაშინ ხომ სრულად ხელს აიღებდნენ ახალს საქმეზედ და დარწმუნდებოდნენ, რომ მეგრელები იგივე ქართველები არიან. მაგრამ ჩაკვირება რა საჭირო იყო, როდესაც თავსა და გულში სრულიად სხვა აზრი ჰქონდათ ჩაზვეული, როცა მეგრულის მწერლობის დაარსებას შეუდგნენ. განა აშკარა არ არის, რომ მეგრელები იგივე ქართველები არიან ქართულად მეტყველებნი?“ (ნა-ლი 1889).

უფრო ადრე, 1885 წელს, გაზეთი „დროება“ „ნოვოე ობოზრენიეზე“ (“Новое Обозрение”) დაყრდნობით წერდა: „ქართული საეკლესიო მწიგნობრობის სპეციალურად მცოდნე პირმა დეისტვ. სტატსკი სოვეტნიკმა დ. პ. ფურცელაძემ შეძლევი ცნობები წარმოგვიდგინა შესახებ ქართულიდან მეგრულ ენაზე საეკ-

ლესიო წიგნების გადათარგმნის ცდისა: „მათის უსამღვდელოესების საქ. ექ-ზარხოსის ისიდორეს დროს (დღეს – პეტ-ის მიტროპოლიტის) სამურზაყა-ნოს ეკლესიათა ბლაღოჩინმა დეკანოზმა მაჭავარიანმა, რომელიც შთამომავ-ლობით ქართლიდან არის, ექზარხოსის წინადადებით ქართულიდან მეგრულ ენაზე გადასთარგმნა ლიტურგია წმ. იოანე ოქროპირისა. ამ თარგმნის ღირსე-ბის შესამოწმებლად და იმის გასარჩევად, გასაგებია იგი ხალხისათვის თუ არა, აღნიშნული ხელნაწერი გაგზავნილ იქნა სამეგრელოში ქართულს ტექ-სტთან შესამოწმებლად და ხალხის წინაშე წასაკითხავად. ხელნაწერი ჩქარა დაბრუნებულ იქნა თბილისშივე: სამეგრელოს სამღვდელოება და ერის კაცნი ერთხმად ამბობდნენ, რომ თარგმანი უვარგისია. ამასთანავე დასძენდნენ, ხალხს არ ჰსურს, რომ საეკლესიო წიგნები მეგრულ ენაზე გადაითარგმნოსო, რადგან ქართული საეკლესიო ენა მეგრელისათვის კარგად გასაგები არის და მათთვის მას იგივე საღმრთო მნიშვნელობა აქვს, როგორც საეკლესიო-სლავი-ანურს ენას რუსებისათვისო. ამგვარად დეკანოზის მაჭავარიანის შრომა სამუ-დამოდ პორტფელში დარჩა“. ამ ინფორმაციას, თავის მხრივ, გაზეთი „დროე-ბა“ ამატებს: „როდესაც ერთს ეკლესიაში მისულს მოწიწებით მლოცველ მეგრელთ მრევლს მოესმა მოძღვრის: „მოხედენ!“ მეგრულად გადათარგმნილი, ასეთმა ღვთის მოსაგმა ხალხმა, როგორნიც მეგრელნი არიან, ძალიან თავი შეიმაგრეს, რომ ეკლესიაში ხარხარი არ ასტეხოდათ. საუკუნოებით შეთვისე-ბულის ქართული წირვის წესის შეცვლა, რა გასაკვირია, რომ უცხოდ, სასა-ცილოდ სჩვენებოდათ მეგრელებს?“ (პ. ფურცელაძის ცნობები, 1885).

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მი-ერ დაარსებული სენაკის სკოლა იყო ერთადერთი, რომელიც აღუდგა ამ გა-დაწყვეტილებას და საჭიროდ ჩათვალა, მიემართა სასწავლო ოლქისათვის: „ოცი წლის წინად დეკ. მაჭავარიანის მიერ მეგრულ დიალექტზე წმ. იოანე ოქროპირის ლიტურგიის გადათარგმნის ცდამ დაარწმუნა უწ. სინოდისაგან მის გასარჩევად და შესასწავლად დანიშნული ექსპერტები მეგრელთაგან, რომ არა თუ დეკ. მაჭავარიანის მიერ ნათარგმნი და წარმოდგენილი მიუღებელია ეკლესიებში შესასრულებლად, არამედ თვით მეგრული დიალექტი შეიცავს ისეთს წმინდა ორგანიულს უხერხულობას, რომელიც შეუძლებლად ხდის ყო-ველგვარ აზრს მასზე საღვთო წერილის თარგმნის შესახებ. ყოველგვარი ასეთი თარგმანი, ყოფილი ექსპერტის აზ. ანჯაფარიძის აზრით, რომელიც სა-ერთო კრებას ესწრებოდა, დაბადებდა ღვთისმგმობელობას და გამოიწვევდა მწვალებლობას, რომლის საოცარი მაგალითები მოიყვანა მან.¹

მეგრულად წირვა-ლოცვის შემოღების მცდელობას, რა თქმა უნდა, გამო-ენმაურნენ სასულიერო პირები. სასულიერო ჟურნალმა „მწყემსმა“, რომელიც იყო „ოფიციალური განყოფილება საქართველოს საექსარხოსოსისა“, 1889

¹ იხ. ც. არქ. ფ. 107, სერია 3, ქართ. № 4720, გვ. 7-8.

წლის მე-9 ნომერში გამოაქვეყნა დეკანოზ დავით ღამბაშიძის წერილი „მეგრულ ენაზე ლოცვების და წირვის წესის გადათარგმნის გამო“. ეს წერილი გადმობეჭდილია 1889 წლის „ივერიის“ 115-ე ნომერში. წერილი ეხება 1889 წელს ახალ-სენაკში გამართული სამეგრელოს ეპარქიის სამღვდელობის კრებას, რომელსაც სხვა საკითხებთან ერთად უნდა ემსჯელა „ქართული ენიდან მეგრულ ენაზე გადათარგმნილი საღმრთო ლოცვების შემოწმების და მიღების შესახებაც“. „ჩვენ რამოდენათაც ვიცით, – წერს დეკანოზი დავით ღამბაშიძე, – ეს კითხვა აღიძრა ზოგიერთი პირების სურვილით, რომელნიც, რაღაცა ახირებული მოსაზრებისა გამო, ყოველივე ღონისძიებით ცდილობენ, რომ ქართული ენის სწავლება სრულებით განაძეონ სამეგრელოს საერო სკოლებიდან და მის ნაცვლად მეგრულ ენაზე აღადგინონ მწერლობა. იგივე პირნი სცდილობენ, რომ სამეგრელოს სკოლებში საღმრთო სჯულის სწავლება სწარმოებდეს მეგრულს ენაზე. ასეთი მოსაზრების საბუთად ის მოჰყავთ ზემო აღნიშნულ პირთა, რომ პირველი დაწყებითი სწავლა უნდა სწარმოებდეთ დედა ენაზეო.

ვინც დაახლოვებით იცის ამ სახის გარემოება, ვისაც კარგად აქვს გამოკვლეული ქართული და მეგრული ენა და მათი ისტორია, მათთვის, რასაკვირველია, საჭირო არ არის ბევრი ლაპარაკი და საბუთების მოყვანა ამ წინადადების უსაფუძვლობის და უკანონობის დასამტკიცებლად. მაგრამ ვინც, სამწუხაროდ, დაახლოვებით არ იცის ეს საქმე, არ იცის მიზანი ზოგიერთი პირების ამისთანა ახირებულის სურვილისა, მათთვის საჭიროა ამ ახირებული სურვილის და ლტოლვილების უსაფუძვლობის საბუთებით და ფაქტებით დამტკიცება“ (ღამბაშიძე 1889).

ფაქტობრივად, სწორედ ასეთი, საქმეში ჩაუხედავი, მაგრამ ბოროტი განზრახვისა თუ ახირებული ადამიანების გასაგონად მსჯელობს ავტორი ქართული ენის მნიშვნელობასა და როლზე „სამეგრელოს ხალხის“ ცხოვრებაში უძველესი დროიდან XIX საუკუნის ბოლომდე. „დღემდის სამეგრელოს ხალხს წირვა-ლოცვა, სწავლა-მოძღვრება და ლიტერატურა ქართულს ენაზედ ჰქონებია და აქვს...

ეხლა ვიკითხოთ, რა საჭიროებამ ითხოვა, რომ მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს ხალხს უარი ათქმევინონ ქართულს ენაზედ და მეგრულად დააწყებინონ წირვა-ლოცვა და წერა-კითხვა? ბევრი ვიფიქრეთ, მაგრამ ვერას გზით ვერ მიმხვდარვართ, თუ რა სარგებლობისათვის ითხოვენ, რომ, მაინც და მაინც, მეგრულად ილოცონ და მეგრული დამწერლობა დააწესონ? რით ვერ გაიგეს, რით ვერ შეიტყვეს, რომ მეგრული ენა არ არის ისეთი განსხვავებული ენა ქართული ენიდან, როგორც, მაგალითებრ, ოსური, აფხაზური და სომხური? რით ვერ შეიტყვეს, რომ მეგრული ენა იგივე ქართული ენა არის გადასხვაფერებული, ქართული ენის ნათესავი? (ღამბაშიძე 1889).

დეკანოზი დავით ღამბაშიძე მკითხველს შესადარებლად სთავაზობს ასეთ მაგალითებს. „აიღეთ სამეგრელოს წინა დროის სახალხო სკოლები, რომლებ-

შიაც სწავლა ქართულს ენაზე სწარმოებდა და შეადარეთ სხვა სახალხო სკოლებს. ამ შედარებიდან თქვენ ცხადად დაინახავთ, რომ სამეგრელოს სახალხო სკოლებში წინეთ სწავლა უფრო კარგად თუ მიდიოდა, თორემ ცუდად არასოდეს. აიღეთ ახლა სამეგრელოს ეხლანდელი სახალხო სკოლები და დააკვირდით, თუ რა ჭაპან-წყვეტით ეწევიან მოსწავლეები სწავლის საქმეს და რამდენ დროს ჰკარგავენ მეგრული ასოების შესწავლაზე, მაგრამ თვალსაჩინო ნაყოფი ჯერ არაფერი გვინახავს. სამეგრელოს ზოგიერთ სახალხო სკოლებში მოსწავლეთა რიცხვმა შესამჩნევად იკლო; მოწაფეები მიეშურებიან სამრევლო სასწავლებლებში, სადაც მათ სახელმწიფო ენას ასწავლიან (იგულისხმება რუსული, – თ. ბ.) არა მეგრული ენის საშუალებით და შემწეობით, არამედ ქართული ენის დახმარებით.

ვინ არ იცის, რომ ამ ოცი წლის წინათაც ზოგიერთებმა აიხირეს მეგრულ ენაზე ღვთის-მსახურების და ლოცვების შემოღება ეკლესიებში. ამ პირებმა კიდევ მოაგვარეს ეს სურვილისამებრ. ვინ არ იცის, თუ რა მიზეზისა გამო როგორ მიატოვა ხალხმა ეკლესიები და წყველა-კრულვით იხსენიებდა თავიანთ სამღვდელოებას და წირვა-ლოცვის ქართველიდგან მეგრულ ენაზე გადამთარგმნელებსაც (ღამბაშიძე 1889).

ღეკანოზი ამ საკითხს უყურებს, როგორც საშიშ ფაქტს შინაური მწვალებლობის აღმოცენებისათვის ისეთ ეკლესიაში, რომლის ხანგრძლივ ისტორიას არ შემოუნახავს ცნობები მწვალებლობათა შესახებ: „ჩვენი საქართველოს ეკლესია დღიდგან დაარსებისა თვრამეტი საუკუნის განმავლობაში ღმერთს დაუფარავს შინაურ მწვალებლებისაგან და დღეს, ჩვენდა სამწუხაროდ, გამოჩენილან ვიღაცა სარწმუნოებაზე ხელ-აღებულნი და თავიანთი უგუნური ქცევით და მოსაზრებით მწვალებლობის შემოღებას გვიქადაიან! ვინ არიან ეს პირები? ვინ მისცათ მათ ასეთ უფლება, რომ ასეთი ცვლილება მოახდინონ წირვა-ლოცვაში და საღმრთო სჯულის სწავლების საქმეში?!“ (ღამბაშიძე 1889).

წერილის ავტორი ხაზს უსვამს ამ საკითხის სამართლებრივ მხარეს და აღნიშნავს, რომ ასეთი ცვლილებების უფლება აქვს მხოლოდ უწმინდეს სინოდს. „ჩვენ ნამდვილად ვიცით, რომ უწმინდესი სინოდისგან არავითარი განკარგულება არ მომხდარა სამეგრელოში წირვა-ლოცვის მეგრულად შემოღების და საღმრთო სჯულის სწავლების შესახებ. უწმინდესი სინოდის განყოფილებას, საქართველო-იმერეთის სინოდალნი კანტორას, რომელიც აგრეთვე განაგებს სარწმუნოებას და ეკლესიების საქმეს, ჩვენ რამდენათაც გვახსოვს, მეგრული ასოების შემოღებაზე და წირვა-ლოცვის მეგრულად გადაღების შესახებ ჯერ სჯა არა ჰქონია არც სინოდალნი კანტორაში და ვიღაცა ერის კაცებს სრულებით არა აქვსთ უფლება ამ საპატიო კითხვებს შეეხონ უწმინდესი და უმართებულესი სინოდის ნება-დაურთველად. შეუძლებელ საქმედ მიგვაჩნია თექვსმეტი საუკუნის განმავლობაში ხალხისაგან მიღებული და ხმარებული

ლოცვების და წირვა-ლოცვის შეცვლა, რადგან ამ შეცვლილს წირვა-ლოცვას ხალხი ვეღარ შეითვისებს. ჩვენ სრული დაიმედებული ვართ, რომ ამ საყურადღებო საგანს ჯეროვანი ყურადღება მიექცევა როგორც ჩვენი ქვეყნის სასულიერო, ისე საერო სამასწავლებლო მთავრობათაგან“ (დამბაშიძე 1889).



მეგრულენოვანი გაზეთის შესახებ კი ასეთი ინფორმაცია გაავრცელა „ივერიამ“ 1891 წელს: „ჩვენი ცნობილი ლინგვისტი ბ-ნი აშორდია აპირებს გამოსცეს სამეგრელოში მეგრულს ენაზედ მეგრულის ასოებით დაბეჭდილი მეგრული გაზეთი, რომელსაც უნდა ეწოდოს „ნაყოფი უვიცობისა“. გაზეთი ყოველდღიური იქნება და მხოლოდ თითო ცალი გამოვა, რადგან გამომცემელი, რედაქტორი, თანამშრომელი და მკითხველი ამ გაზეთისა მარტო თვითონ აშორდია იქნება“ (ვერმიცანაშვილი 1891:4). აქაც ჩანს საზოგადოების უარყოფითი დამოკიდებულება მეგრულთა კულტურული განცალკავების მცდელობის მიმართ. სტამბის პატრონებიც ერიდებიან ასეთი დაკვეთის შესრულებას. ისინი ცდილობენ საზოგადოებას ამცნონ მათი უარყოფითი აზრი აშორდიას მიზნებზე, რომ აიცილონ მოქალაქეთა რისხვა ამ საძრახისი საქმის გამო. მაგალითად, „ივერიის“ 1892 წლის 271-ე ნომერში ახალი ამბების სვეტში არის ინფორმაცია, რომ აშორდია გამოსცემს მეგრულ გაზეთ „მეგრელიას“ (გაზეთის სახელწოდებად რუსული „მეგრელიას“ და არა ქართული „სამეგრელოს“ ან მეგრული „სამარგალოს“ ალება მიუთითებს აშორდიას ინსპირატორებზე) და მის მიერ მეგრულად თარგმნილ წიგნებს, რომლებიც დაიბეჭდება ახალ-სენაკში კ. თავართქილაძის სტამბაში. ინფორმაცია ასე მთავრდება: „რამდენად მართალია ეს ამბავი, არ ვიცით“ (ახალი ამბები 1892). ამ ინფორმაციის გამო ახალსენაკის სტამბის პატრონმა თავართქილაძემ მისწერა „ივერიის“ რედაქციას: „ივერიის“ 271 ნომერში დაიბეჭდა საეჭვო ამბავი ახალ-სენაკიდან, ვითომც აშორდიას რედაქტორობით ჩემს სტამბაში განზრახულ იყოს ბეჭდვა მეგრულს ენაზედ გაზეთისა „მეგრელია“ და ვითომ მე მუკისროს გამოცემა ბ-ნ აშორდიას მიერ ნათარგმნ მეგრულ წიგნებისა. საჭიროდ ვრაცხ ვსთქვა, რომ ეს ამბავი მართალი არ გახლავთ და მიკვირს ვინ მოიგონა. მე აშორდიას სრულიად არ ვიცნობ და არც ვიცი, რა გაზეთისა და რა წიგნების გამოცემა შეიძლება მეგრულს ენაზედ. ახალ-სენაკი, 21 დეკემბერი“ (თავართქილაძე 1892:3).

მიკვლეულია ის წიგნი, რომელსაც იმოწმებს ლევიტსკი 1890 წელს ფოთის საქალაქო სკოლის რევიზიის შემდეგ: „ოლქიდან გამოგზავნილი ზღაპართა კრებული, ზონის საოსტატო სემინარიის მოწაფეთა მიერ ჩაწერილი და მასწავლებლის პეტროვის მიერ გასინჯული, არა სავსებით გამოსადეგია სკოლებშიო“¹. ეს წიგნია “Мингрельские тексты записаны и переведены на русский языкъ подъ наблюдениемъ Ив. Е. Петрова, учителя Кутайской (въ М. Хони) учительской семинаріи” (მეგრული ტექსტები). წიგნს არა აქვს მითი-

¹ ც. არქ., საქმე №114, სერია ბ, დამოწმებულია ტრ. ხუნდაძის მიხედვით, 1939: 113.

თება როდის და სად გამოიცა. ბიბლიოგრაფიაში აღნიშნულია როგორც “нез места и без времени (ნმ ნვ).” რადგან ამ წიგნს ლევიტსკი იძლეობს 1890 წელს დაწერილ წერილში, წიგნი ალბათ 1890 წლამდე უნდა იყოს დაბეჭდილი. ასევე საინტერესოა ის ფაქტი, რომ იაკობ გოგებაშვილი 1901 წლის ახლო ხანებში “Новое Обозрение”-ში დაბეჭდილ სტატიებში ასხენებს „კუდიან ასოებს“, რომლებსაც სწორედ ამ წიგნისთვის წამძღვარებული მეგრული ანბანი შეიცავს. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ პერიოდის პრესა ამორდიას ანბანის ძირითადი მახასიათებელი. სხვათა შორის, გრენის ანბანს იწუნებდნენ იმის გამო, რომ ცხრამეტ ასოს ხაზზევითა და ხაზქვევითა ნიშანი ჰქონდა, მაშინ როცა ამორდია მხოლოდ ორ ხაზქვევითა ნიშანს იყენებდა. სწორედ ეს ორი ხაზქვევითა ნიშანი უნდა იყოს ის კუდები, რომლებსაც თადა ამორდია ძირითადად ხშული, ყრუ ფშვინვიერი თანხმოვნების აღსანიშნად იყენებდა.

ხსენებული წიგნი არის ორენოვანი და შეიცავს მეგრულ-რუსულ პარალელურ ტექსტებს: ანდაზებს, გამოცანებს, სიმღერებს, ლექსებსა და ზღაპრებს. ეს მეგრული ხალხური ტექსტები, როგორც წიგნის სატიტულო გვერდზეა აღნიშნული, ჩაუწერიათ და უთარგმნიათ რუსულად ქუთაისის სამასწავლებლო სემინარიის (რომელიც ხონში ყოფილა) მასწავლებლის ივ. ე. პეტროვის მეთვალყურეობით. მეგრული ანბანი, რომელიც ამ წიგნშია მოცემული, ეყრდნობა კირილიცას. კირილიცაზე დაყრდნობით რამდენიმე გრაფემისთვის შეუცვლიათ იერ-სახე, ე. წ. კუდების დამატებით ანბანს მიწერილი აქვს სქოლიოში, რომ ეს სწრაფი წერისთვის განკუთვნილი მეგრული ანბანი წარედგინა საიმპერატორო აკადემიას პრაქტიკული გამოყენებისათვის.



თანხმოვანთა სისტემა ამ ანბანში ასე გამოიყურება:

ბაგისმიერნი: პ ბ ვ ფ

(ფ) გამოხატულია კუდიანი პ-თი

წინანისმიერნი: ტ ღ თ ზ ს ყ შ

(თ) გამოხატულია კუდიანი ტ-თი

უკანანისმიერნი: კ გ ქ ლ ხ

(ქ) გამოხატულია კუდიანი კ-თი;

(ღ) გამოხატულია კუდიანი გ-თი

ნარნარანი: ლ მ ნ რ

რთული თანხმოვნები ჩ ც ჯ ძ ჳ წ

(ჯ) გამოხატულია ც გრაფემით, ოლონდ კუდი აქვს წინა მხარეს

(ძ) გამოხატულია გადაბმული ღზ გრაფემებით

(წ) გამოხატულია ჩ გრაფემით კუდით შუაში ქვემოთ

(წ) გამოხატულია ც გრაფემით, „ორმაგი“ კუდით

ფშვინვიერნი: ჰ ყ

Мингрельские тексты

записаны и переведены
на русский языкъ подь наблюдениемъ
Ив. Е. Петрова,
учителя Кутайской (въ М. Хони) учительской семинарии.

Мингрельская азбука*)

Гласные: **) *i e a o u r*

Согласные: Губные: *п б в ц*

Переднеязычные: *т д ть с з ш ж*

Заднеязычные: *к х г р ч х*

Плавные: *л м н р*

Сложные согласные: *ш ц ч дь зь ць*

Дыхательные: *h s*

**ა, ბ, ვ, გ, დ, ძ, ე, ჯ, ყ, კ, ჩ, ც, ზ, თ, თ, ზ, ს, ს, ზ, ზ, ზ, ზ, ზ, ზ*

ლ, მ, ნ, რ, ე, მ, მ, ყ, ა, შ, რ, ვ, ც, ყ, რ, ზ

*) Скорописная азбука предложена Имераторской Академии наукъ для практическаго употребленія

**) Долгота гласныхъ выражается повторениемъ: ii, ee, aa, oo, uu.

როგორც ცხრილიდან ჩანს თანხმომავანთა სამეულებში ბგერები დალაგებულია შემდეგი თანამიმდევრობით:

I ყრუ მკვეთრი

II მჟღერი

III ყრუ ფშვინვიერი

ასეთი დალაგება აჩვენებს, რომ ანბანის შემდგენელი, რომელიც მეგრულის ბგერით სისტემას რუსულს ადარებდა და, პირველ ყოვლისა, საერთოს ეძებდა, ფიქრობდა, რომ ამ ენებს საერთო აქვთ მარტივი თანხმომავანების (ხშულების) სამეულებიდან მჟღერი და ყრუ მკვეთრი ბგერები, ხოლო ყრუ ფშვინვიერი არის საკუთრივ მეგრულისთვის (resp. ქართველური ენებისთვის – **თ.ბ.**) დამახასიათებელი თანხმომავანები, რომელთა აღსანიშნავად მან გამოიყენა ისევ ყრუ თანხმომავანის აღმნიშვნელი გრაფემის მოდიფიკაცია ე.წ. „კულის“ დამატებით. მაშასადამე, ქართველური, ამ შემთხვევაში, მეგრული ყრუ აბრუპტივი (მკვეთრი) აღვილად დაიყვანა ანბანის შემქმნელმა რუსულისთვის დამახასიათებელ ყრუ პრერუპტივზე (ქართული პ – რუსული П), ხოლო ყრუ ფშვინვიერის (ასპირატის) ფარდი რუსულში ვერ ნახა, მაგრამ შეაფასა ასეთი ბგერები როგორც ყრუ და გრაფიკულადაც ყრუ ბგერების გამომხატველ ასოებთან დააკავშირა. მაგალითად, ბავისმიერთა შორის დასახელებულია პ, ბ, ვ და ფ, რომლის აღმნიშვნელ გრაფემას დამატებული აქვს ისეთი კუდი, როგორსაც რუსულ ც-ში ვხვდებით. ეს არის ფშვინვიერი ყრუ თანხმომავანის, ფ-ს, აღმნიშვნელი გრაფემა.

ე.წ. „კული“ გამოყენებულია ერთი და იმავე საწარმოთქმო რაგვარობის მქონე ანუ ჰომორგანული, მაგრამ სხვადასხვა რაგვარობის ანუ ჰეტეროგენული თანხმომავანების გასარჩევად. მაგალითად, ამ პრინციპით სხვაობს ერთმანეთისგან ხშული გ თანხმომავანის გრაფემა და ნაპრალოვანი დ თანხმომავანის აღმნიშვნელი ასო. დ გადმოიცემა „კულიანი“ გ-თი.

აფრიკატები მოცემულია ერთად რთული თანხმომავანების სახელით და დაშლილი არ არის წარმოთქმის ადგილის მიხედვით. ასევე არ ჩანს საწარმოთქმო ადგილების მიხედვით, როგორ ყოფს ანბანის შემქმნელი ჰ და ყ თანხმომავანებს. ორივე მოიხსენიება ფშვინვიერებად, რაც არ არის სწორი დახასიათება. შეიძლება აქ ეს ტერმინი გავიგოთ, როგორც ყველაზე უკანა წარმოების ბგერების აღმნიშვნელი. საერთოდ, თანხმომავანთა დახასიათების ნიშნები ნარევიანია. ძირითადი ჩანს წარმოთქმის ადგილი, მაგრამ იქვე ცალკეა გამოყოფილი „Плавные“, ეს კი უფრო აკუსტიკური დახასიათება უნდა იყოს. თუმცა წარმოთქმის ადგილის მიხედვით დალაგებულ ბგერებში შეიმჩნევა მათი ორგანიზება რაგვარობისა და მჟღერობა-სიყრუის მიხედვით. რთული თანხმომავანიდან, ანუ ხშულ-მსკდომებიდან, იმავე აფრიკატებიდან რუსულს მოეპოვება ჩ და ც, ორივე ბგერის აღმნიშვნელი გრაფემები გამოყენებულია მეგრულის იმავე ბგერების გადმოსაცემად. ძ გადმოცემულია ორი ბგერის, დ და ზ ბგერების, გრაფიკული ნიშნების შეერთებით. რაც შეეხება სხვა აფრიკატებს, რომ-

ლებიც დამახასიათებელია ქართველური ენებისათვის, ისინი გამოხატულია ჩ და ც რუსული გრაფემების მოდიფიცირებით, კერძოდ, კულების გამოყენებით. მაგალითად, ც და წ ერთმანეთისაგან გარჩეულია იმით, რომ წ გამოხატულია „ორმაგი კულის“ მქონე ც-თი, რითაც განსხვავებულია ც-სგან გრაფიკულად და, იმავედროულად, ამით ნაჩვენებია მათი სიახლოვე წარმოთქმის ადგილის მიხედვით. კუდიანი ჩ გრაფემა გამოყენებულია ჭ-ს გადმოსაცემად, რითაც განსხვავებულია ჩ-ს გამომხატველი გრაფემისაგან. ც გრაფემაზე წინა მხარეს დართული კუდით გრაფიკულად გამოხატულია ჯ აფრიკატი.

ძ (ღზ)	ც	წ (ც „ორმაგი“ კუდით)
ჯ (ც კუდით წინა მხარეს)	ჩ	ჭ (ჩ კუდით შუაში ქვემოთ)

თავის დროზე კავკასიურ ენათა მკვლევარს, პეტრე უსლარს, მიაჩნდა, რომ ყველაზე ეფექტური მთის კავკასიური ენების ბგერათა სისტემების გადმოსაცემად იყო ქართული ანბანი: „თუ დავაკვირდებით ქართულს ანბანს შესახებ თვით ქართულის ენისა, არ შეგვიძლიან არ გამოვტყდეთ, რომ იგი ჩინებულად შეფარდებულია და ზედ გამოწყობილი; იმისთანა განვითარებული ანბანი არ მოიპოვება მთელს ქვეყანაზედ: ყოველი ხმა გამოიხატება განსაკუთრებითის ნიშნით, და ყოველი ნიშანი მუდამ ერთსა და იმავე ხმას აღნიშნავს. ყოველს ევროპიულს ენებში მოიპოვება ფეხ-წამოსაკრავი და საბორძიკო სიძნელე – მართლ-წერა, მაგრამ ქართველებისთვის არ არსებობს იგი განვითარებულის ანბანის წყალობით“. სწორედ ასეთი ანბანი მიაჩნდა პეტრე უსლარს კავკასიური ენებისთვის შესაფერისად. „დღეზედ ცხადია, რომ ქართული ანბანი უნდა იქმნას მიღებული საძირკველად საზოგადო ანბანისა, რომელიც უნდა შესდგეს წერა-კითხვის უქონელ მთის ხალხთა ენებისათვის“ (უსლარი და მისი თხზულება 1882:83-84). ამ აზრის მიუხედავად, უსლარმა მთის კავკასიური ენებისათვის მაინც რუსული გამოიყენა და ამას შემდეგი მიზეზებით ხსნიდა: „თუ ქართველებისგან გადმოვიღებთ არამც თუ მარტო ანბანის სისტემას, არამედ თვით ასოების და ნიშნების მოხაზულობასაც, – ჩვენ გადავიკიდებთ ისეთს ჭირს, რომელიც მით უფრო მავნებელი იქნება, რაც უფრო რუსული განათლება გავრცელდება კავკასიაში... ქართულს ანბანს ხმარობენ მარტო ქართველები; იგი ძლიერ განირჩევა, როგორც რუსულისა, ისე სხვა ევროპიულ ანბანებისაგან. ამასთანავე ეხლა რუსული განათლება ძალიან გავრცელებულია განათლებულს ქართველებსა და სომხებში; მთის ხალხთა მომეტებულს ნაწილს არავითარი ურთიერთობა და დამოკიდებულება არა აქვს ქართველებთან, რუსებთან კი მჭიდრო დამოკიდებულებაში არის და ძლიერაცა გრძნობს რუსულის ენის და განათლების საჭიროებას. მაშასადამე, ერთი-და გვრჩება: რუსული ანბანი იყოს საფუძველად და იმის ასოების მოხაზულობა შევაწყოთ და შევუხორცოთ ქართულს ანბანს“ (უსლარი და მისი თხზულება 1882:84).

უსლარის ნაშრომიდან მოხმობილ ამ ნაწყვეტში ობიექტურად არის დახასიათებული ქართული ენისა და საქართველოს მდგომარეობა: ეს ქვეყანა კარგი ბაზაა მთის კავკასიელ ხალხთა დასაპყრობად, მაგრამ ქართულს აღარა აქვს ის მნიშვნელობა კავკასიელებისათვის, რაც ჰქონდა ადრე. მნიშვნელოვნად შემცირებულია კავკასიაში ერთ-ერთი ყველაზე ძველი ენობრივი კონტაქტი – სომხურ-ქართული, მით უმეტეს ფაქტობრივად აღარ არსებობს ქართული და სხვა კავკასიურ ენათა კონტაქტები. გაბატონებულ მდგომარეობას იკავებს რუსული და ქართულ-სომხურ, ქართულ-კავკასიურ ენობრივ ურთიერთობებს ენაცვლება რუსულ-ქართული, რუსულ-სომხური, საერთოდ, რუსულ-კავკასიური ენათა კონტაქტები. პეტრე უსლარის ნაშრომის რეცენზენტი „ივერიაში“ დანაბით წერს: „ამ პოლიტიკურ მოსაზრების ძალით დაირღვა ამ აზრის განხორციელება (იგულისხმება ქართული ანბანის გამოყენება კავკასიის უმწერლობო ენათა დამწერლობებისთვის, – თ. ბ.), რომელიც მისცემდა კულტურულს მნიშვნელობას ქართველებს მომავალში მთელს კავკასიაში, მცირედნად მაინც აღადგენდა მის ძველებურს ისტორიულს მნიშვნელობას, როგორც უპირატესის ტომისას, რომელზედაც ნებას აძლევს მას ისტორიული უფლება და ისტორიული სამართალი“ (უსლარი და მისი თხზულება, 1882:83-84).

მეგრული ანბანის გრაფიკის საფუძვლად რუსულის აღება და მისგან მხოლოდ გრაფიკული „კუდებით“ განსხვავება თვით რუსმა სპეციალისტებმაც დაიწუნეს. ამასთან დაკავშირებით 1902 წლის “Новое обозрение” 25 სექტემბრის ნომერში ვკითხულობთ: „ჩვენთვის გაუგებარი მოსაზრებებით, მეგრული კილოსათვის გამოგონებულია განსაკუთრებული ალფაბეტი, რომელიც სავსებით თვითნებურად შეცვლილი რუსული ასოებისაგან შედგება (ზევით ნაჩვენებია, რომ ამ „თვითნებურობაში“ ჩანს სისტემურობა და მეგრულის ფონემატური სისტემის ცოდნა რუსულთან შეპირისპირებით, – თ.ბ.). იხილეთ 136-137 გვერდებზე მოცემული გრენის ან აშორდიას მიერ შედგენილი „მეგრული ანბანი“ (პეტროვის მეთვალყურეობით 1890 წლამდე შექმნილი), რომელიც მიმდინარე სასწავლო წელს სამეგრელოს სკოლებში მეგრული ბავშვებისთვის შემოულიათ როგორც რუსული ენის სახელმძღვანელო. ამ ანბანში ორ სვეტზე დაბეჭდილია პარალელური ტექსტი მეგრული (შეცვლილი შრიფტით) და რუსულ ენებზე“. ეს აღწერილობა ემთხვევა იმ წიგნს, რომელიც მიკვლელულია. ამაში გვარწმუნებს ის მახასიათებლები, რომლებიც, სტატიის ავტორის აზრით, აქვს ამ ანბანს: „რუსული შრიფტი მეგრელებისათვის შეცვლილია იმ მხრივ, რომ მრავალი რუსული ასოსათვის გაუკეთებიათ რაღაც კუდები, რომლებმაც, შემდგენლის განმარტებით, განსაკუთრებული მეგრული ბგერები უნდა გამოხატონ. პირდაპირ გაუგებარი რჩება, რა საჭირო იყო რუსული ასოების შეცვლა და ახალი, ყველასათვის უცნობი ალფაბეტის შექ-

მნა, მაშინ როდესაც არსებობს მეგრული კილოსათვის სრულიად შესაფერისი ქართული ალფაბეტი, რომელიც არავითარ შეცვლას არ მოითხოვდა. ეს, ასე ვთქვათ, კულტურის საერთო მოთხოვნების თვალსაზრისით, რომელიც, როგორც ცნობილია, არაფერს ხელოვნურს არ ითმენს“. გარდა კულტურული თვალსაზრისისა, სტატიის ავტორი, იწუნებს ამ ანბანს პედაგოგიური მიზნებისათვის, რადგან „დამახინჯებული რუსული ალფაბეტი მცირეწლოვან მოწაფეს ხელს შეუშლის კარგად დაიხსომოს ნამდვილი რუსული ალფაბეტი, რომელსაც ბავშვი თავის გონებაში აურევს დამახინჯებულ რუსულ ალფაბეტში.

ამის გამო ბავშვი საბოლოოდ მხოლოდ დიდი წვალებით შეძლებს ორივე ალფაბეტის დამახსოვრებას და გარჩევას, ხოლო ზოგჯერ, შესაძლებელია, ეს ვერც მოახერხოს“. ამ ორი მიზეზის გამო – კულტურული და პედაგოგიური – ავტორი დაასკვნის, რომ „სხვადასხვა კილოსათვის ხელოვნურად შექმნილი ალფაბეტები საზიანოა და ასეთ ცდაზე ერთხელ და სამუდამოდ უნდა ავიღოთ ხელი. ის კი, რაც ამ მიმართულებით უკვე გაკეთდა, უნდა მოისპოს!“

„ნოვოე ობოზრენიეში“ (“Новое обзрение”) დაბეჭდილი ეს სტატია იაკობ გოგებაშვილს დამოწმებული აქვს როგორც თვით რუსი სპეციალისტებისგან გამოთქმული არგუმენტი მეგრული ანბანის საწინააღმდეგოდ. ამას ამიტებს კიდევ სხვა არგუმენტებსაც. ყველაზე მთავარი არის იდენტობის საკითხი: „მეგრელისთვის იმის თქმა, რომ ისინი ქართველები არ არიან, რომ მათ არა აქვთ არც ანბანი, არც დამწერლობა, არც ლიტერატურა, რომ ყველაფერი ეს ამიერიდან უნდა შეიქმნასო, განა ეს იმას არ ნიშნავს, რომ წავართვათ მათ მთელი სახელოვანი წარსული, მთელი ისტორიული მონაპოვარი, გამოვაცხადოთ ისინი გონებრივ ლატაკებად და გვერდით ამოვუყენოთ ისეთ ბარბაროსულ ტომებს, რომელსაც არავითარი ისტორია არ გააჩნიათ? ასე მოქცევა იმის მოსურნეობა ხომ არ იქნებოდა, რომ ერთმანეთს დააშორონ ის, რაც ღმერთს, ბუნებას და ათასწლოვან ისტორიას შეუერთებია“.

იგივე ითქმის მეგრულ ღვთისმსახურებაზეც: „საეკლესიო კათედრა სამეგრელოს ფარგლებში არასოდეს არ ხმარობდა სხვა ენას, გარდა ქართულისა. ისეთი პერიოდიც კი იყო, როდესაც სამეგრელოს ჭყონდიდის სამიტროპოლიტო კათედრას პირველი ადგილი ეჭირა ქართულ მჭევრმეტყველებაში და თავისი წრიდან გამოჰყოფდა ხოლმე მთელ საქართველოში სახელგანთქმულ მქადაგებელთ. მეგრელთა ცნობიერებაში ქრისტიანობა ისე მჭიდროდ შეეხარდა ქართულ ენას, რომ ერთმანეთისგან მათი დაშორების არავითარი შესაძლებლობა არც ყოფილა და არც არის“ (გოგებაშვილი 1903).

ის რეაქცია, რაც მოჰყვა ენათმეცნიერ ალექსანდრე ცაგარლის მხრიდან მეგრულის ენად აღიარებას, ერთი შეხედვით, ძალიან მოულოდნელი იყო, რადგან, როგორც საქმის განვითარებამ აჩვენა, ცაგარელს პოლიტიკური მიზნები არ ჰქონია და იგი არ გასულა ლინგვისტიკის ფარგლებიდან. ალექსან-

დრე ცაგარელი პირნათელი იყო ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების წინაშე, როცა მეგრულს, ლაზურსა და სვანურს ენებს უწოდებდა, ხოლო გურულს, ფშაურს, ხევსურულს – კილოს, და საჭიროდ აღიარებდა ამ ენების ფორმების შესწავლას დამოუკიდებლად. ეს აზრი ერთგვარ დასაყრდენად აქციეს იანოვსკიმ და ლევიცკიმ რუსეთის იმპერიული, მზაკვრული პოლიტიკის გასატარებლად. სწორედ ქართულსა და მეგრულს შორის კლასიკურ დიგლოსიურ ურთიერთობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ „მეგრული ეტიუდების“ დაბეჭდვამდეც და მისი გამოსვლის შემდეგაც კი განსაკუთრებული დაჟინებით ცდილობდნენ ქართველი ინტელიგენტები დაემტკიცებინათ ქართულ-მეგრულის იგივეობა და ამით შებრძოლებოდნენ ცარიზმის პოლიტიკას, რომელიც საქართველოს დეზინტეგრაციას ისახავდა მიზნად. ეს იყო ძირითადი მიზეზი, რის გამოც საზოგადოება მტრულად შეხვდა ალ. ცაგარლის კვლევას მეგრულის შესახებ. „დროების“ 1885 წლის 49-ე ნომერში მეწინავე სტატიად დაიბეჭდა წერილი სათაურით „მეგრელებისათვის ძალად „მზრუნველი“ (თბილისი, მარტის 6-ს)“. მასში ნახსენები არ არის ალექსანდრე ცაგარელი, მაგრამ იგი საშინლად გალანძულია იმის გამო, რომ „ჩვენზე ქვეყნის შვილი მოგვითხრობს მეცნიერულ კილოთი უხამსს ვითომ ჭეშმარიტებას და თავის უმეცრეობით დოქტორობის დიპლომს სწირავს ჩვენი ხალხის სხვადასხვა ნაწილების ერთობას. მეცნიერულ ბორძიკს ზოგიერთ ვითომ-მეცნიერებისას რომ ზარალი არ მოჰქონდეს-რა, იქნება ყური მოგვეყრუებინა და ხმა არ ამოგველო, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ იმისთანა მდგომარეობაში ვართ, რომ შეიძლება ვინმე პაიკის – გონების პატრონმა არსებამ, ეს ბორძიკი თავისთვის გამოიყენოს და ცრუ მეცნიერულს გამორკვევას უტყუარობის ბეჭედი დაასვას“. ამ მხრივ ცაგარელი შედარებულია გერმანელ მეცნიერთან, რადესთან, რომელმაც „ნემენცურ ჟურნალში“ გამოაქვეყნა წერილი ხევსურებზე, მაგრამ ისეთი აზრები გამოთქვა წერილის ბოლოს, რომ „გულ-მტკივნეულად წარმოვსთქვით: „ღმერთო, დაგვიხსენ ამისთანა მეცნიერებისგანაო!“ ქართველი საზოგადოებისთვის დიდი მოულოდნელობა იყო ის, რომ გერმანელ მკითხველებს რადე უმტკიცებდა „ხევსურები სრულიად სხვა ხალხია; ქართველებთან არაფერი არა ესმით-რაო. ამ დროს ხევსურეთში სასწავლებლები რომ ყოფილიყო, ბ-ნი რადე იმასაც გვეტყოდა, თუ როგორი სასარგებლო იქნებოდა ხევსურებისათვის, რომ თავიანთ სასწავლებელში მხოლოდ ხევსურული ენა ესწავლათ და ქართულისთვის კი, როგორც უცხო ენისათვის, თავი დაენებებინათ“. სხვაობას ახალ გამოცხვარ კაკვასიოლოგ რადესა და საქართველოს შვილის, ცაგარლის მოსაზრებებს შორის გაზეთ „დროების“ მეწინავე სტატიის ავტორი ვერ ხედავს. მის აღშფოთებას აძლიერებს ისიც, რომ „კაკვასიურ ენებში ორი ისეთი ენა არ არის, რომელნიც მეგრულსა და ქართულსავით ერთმანეთთან დაახლოვებულნი იყვნენ. ჩვენ ლინგვისტი არა ვართ, „სამეგრელოს ეტიუდებს“ ვერ ვეწყოებით, მაგრამ უბრალო ფაქტებით ვიცით, რომ მეგრული ენა

ყოველთვის შეადგენდა და დღესაც შეადგენს საფეხურს ქართულის ენის შესწავლისათვის“.

მას შემდეგ, რაც რუსეთის საგანმანათლებლო პოლიტიკის დამგვეგმავებმა და აღმსრულებლებმა ქართულს მეგრელებისთვის უცხო ენის სტატუსი მისცეს და სამეგრელოში მისი სწავლება შეზღუდეს, ალექსანდრე ცაგარელს და იანოვსკის ერთნაირად იხსენიებდნენ საქართველოს მტრებად. ერთმანეთის მიყოლებით იბეჭდებოდა სტატიები „იმ მეცნიერთა და „მზრუნველთა“ წინააღმდეგ, რომელნიც თავის-თავს ძალას ატანენ და უნდათ ვითომ გაამდიდრონ მეცნიერება იმით, რომ ჭეშმარიტება დაარღვიონ და შეაფერხონ... სამეგრელოს ცხოვრება, გონებრივი განვითარება ქართულს ენაზე და მის მწერლობაზე იყო დამყარებული და ეხლაც არის; მეგრულს ენას არც თავისი ანბანი აქვს და, რასაკვირველია, არც ლიტერატურა. იმას არც სხვა ენის ანბანი მიუღება გარდა ქართულისა; თუ არ ქართულით, ვერც ერთი ევროპული და აზიური ენის ანბანით ვერ გამოხატავთ მეგრულ სიტყვებს და ასოებს.“ ახირებულმა მეცნიერმა „მზრუნველებმა“ არ მოგვისვენეს, – მაინც-და-მაინც ახალი თეორიებით უნდა გავამდიდროთ მეცნიერებაო. ვაი, საბრალო ის მეცნიერება, რომელსაც სურს დაუმტკიცოს მეგრელებს, რომ თქვენი ქართული ენა თქვენი არ არისო. მებრალება ჭეშმარიტად! მეგრელებს ასე ადვილად ვერ გაგვაბრიყვებენ“ (მეგრელი 1885).

იმისათვის, რომ სწორი წარმოდგენა შევიქმნათ, თუ რა ვითარებაში განერიდა მეცნიერებას ქართველური კომპარატივისტიკის მესამი კვლე ალექსანდრე ცაგარელი, საკმარისია დავაკვირდეთ იმ სოციოლინგვისტურ ვითარებას, რომელიც შეიქმნა აფხაზეთ-სამურზაყანოში 1887 წელს სოხუმის ეპარქიის აღდგენით. შეიძლება ითქვას, რომ ეს ეპარქია რუსეთმა აღადგინა საქართველოს შემდგომი დეზინტეგრაციის მიზნით. ასეთი დასკვნის საფუძველს გვაძლევს ის ფაქტი, რომ აფხაზეთის ეკლესიებში ხშირად იკვლებოდა ღვთისმსახურების ენა. თუ თედო სახოკიას მიერ 1895 წლის „მოამბის“ XI ნომერში გამოქვეყნებულ წერილს ვერწმუნებით, წირვა-ლოცვა ჯერ ქართულად იყო, შემდეგ სლავურად, ბოლოს კი იქამდე მივიდა საქმე, რომ ერთსა და იმავე დღეს ტაძარში სახარება „წაკითხულ იქმნა... სლავურსა, ბერძნულსა და ლათინურს ენებზედა, ხოლო ქართული ენა არავის მოჰგონებია“ (სახოკია 1895:117). იმავე სტატიაში თ. სახოკია წერს: „ბიჭვინტისა, ფსირცხისა (ახალი ათონი) და დრანდის ძველისძველ მონასტრებს რუსის ბერ-მონოზონნი დაეპატრონნენ. ამ ტაძრებში ამჟამად ქართულად წირვა-ლოცვის ხსენება აღარც კია, თითქო არც ქართველი მლოცველები დადიოდნენ აქა და არც ყოფილიყოს ოდესმე აქ წირვა-ლოცვა ქართულად!... სიცილად არა ჰყოფნით ამ ბერ-მონოზნებსა, ქართულად წირვა-ლოცვა რო გაუხსენოთ. „განა ბუსურმანულს (ესე იგი ქართულს) ენაზე ღვთის დიდება შეიძლებაო?“...

ასევე სლავურად აღევლინებოდა წირვა-ლოცვა დაბა ოჩამჩირეში, სადაც ქართველობა მოსახლეობის 95% იყო. სამურზაყანოს „გუდავაში ღვთისმსახურების ენად მხოლოდ იმიტომ აირჩიეს სლავური, თურმე მეგრელებმა „ქართული არ იციან და სლავურად იმიტომაც ვსწირავთ“ (სახოკია 1895:121). ამით გაოცებულ თ. სახოკიას უთქვამს სულიერი მამისთვის: „ო,... რასა ბრძანებთ?... მეგრელება, რომელსაც სლავური სიზმარშიაც კი არ გაუგონია, იმ მეგრელება, რომელიც ლაპარაკის დროს ყოველს ხუთს სიტყვაში სამს წმიდა ქართულს სიტყვას ურევს, – როგორ უნდა გაიგოს სლავური ქართულზე, მისს ღედა-ენაზე უკეთესად?“

იყო მცდელობა, რომ აფხაზური გამოეყენებინათ ქართულ ეკლესიებში ღვთისმსახურების ენად. „ერთმა მღვდელმა, მარ-ნიამ, სხვისი გავლენით და წაქეზებით, მიზნად დაისახა, მთელი წესი მღვდელ-მოქმედებისა აფხაზურს ენაზედ ეთარგმნა. ერთმა რეგენტთაგანმაც მამა მარ-ნიას თითქო მხარი მისცაო, და, ალბად აფხაზების მიმართ გულმტკიენულობით, აფხაზური ანბანიც კი შეადგინა. მაგრამ ორსავე გოლვა დაუდგა... ალბად, მალე დარწმუნდნენ, რომ მათს მოქმედებას ნიადაგი არა ჰქონდა ფეხის მოსაკიდებელი“ (სახოკია 1895:121).

მთელი არეულობა ღვთისმსახურების საკითხში მხოლოდ ერთ მიზანს ისახავდა, ეკლესიებიდან განდევნილიყო ქართული ენა, რომელსაც კონკურენციას ვერ გაუწევდა აფხაზური, მაგრამ სლავურით მისი ჩანაცვლების შემთხვევაში მეგრელებს ქართულ ენას ჩამოამორებდა. ეს საზოგადოების მზარდ უკმაყოფილებას იწვევდა. ზოგჯერ კურიოზული ვითარებაც კი იქმნებოდა. მაგალითად, ოქუმში „მედავითნემ ქართული კითხვა არ იცის, ასე რომ მღვდელი ქართულად სწირავს და მედავითნე სლავურს ენაზე ეხმარება,“ – წერდა სახოკია (სახოკია 1895:121).

ქართული ენა მხოლოდ აფხაზეთის ეკლესიათა ღვთისმსახურებიდან კი არ იდევნებოდა, არამედ აფხაზეთის სკოლებიდანაც, როგორც ამას ნ. მარის წერილი გვიჩვენებს. თ. სახოკია, მომსწრე და თვითმხილველი ამ ამბებისა, წერს: „ეკლესიებში მისუსტებულს ქართულს ენასა, რა თქმა უნდა, აღარც სკოლებში ექმნება მოსვენება. ვისაც შეუძლია და ხელი მიუწვდება, თავზე კაკალს ამტვრევენ ამ ენასა“ (სახოკია 1895:122). აფხაზეთ-სამურზაყანოს სკოლებში სწავლების ენის თაობაზე სხვადასხვა სოფელში კრებები ტარდებოდა და ოქმებს ქართული ენის სასარგებლოდ ადგენდნენ: „ქართული ენა – ჩვენი ღედა-ენაა, წირვა-ლოცვა ქართულად უფრო გვესმის, ქართულის ცოდნა ჩვენთვის უფრო გამოსადეგია და, გარდა ამისა, თვით რუსულის შესწავლა ქართულის ენის საშუალებით უფრო უადვილდება ჩვენს ბავშვებსაო“ (სახოკია 1895:124). იყვნენ ისეთებიც, რომლებიც საწინააღმდეგოს ამტკიცებდნენ:

„ქართული ენა უფრო ძნელი გასაგები და შესათვისებელია, ვიდრე რუსულიო? (? – ეს კითხვის ნიშანი გამოხატავს თ. სახოკიას დამოკიდებულებას – თ.ბ.), მხოლოდ ქართველები თუ იტყვიან, რომ მეგრელსა და ქართველსა გასაყოფი არა აქვს-რაო, და მებრი სხვა. მაგრამ იმათ, ვისაც ქართული ენის მოშორება ეოცნებებოდა, „კოჭი აღჩუზე არ უჯდებოდა“, რადგან ამ აზრს ძალიან მცირე მხარდამჭერი ჰყავდა. მაგალითად, ოჩამჩირის სოფლებში მხოლოდ 14 კაცი აწერდა ხელს უცნაურ „მოსსენებაზე“: „არიქათ, ვილუპებით, მეგრელები უნდა გაგვაქართველონ და მთავრობას შევჩვილოთ ჩვენი შავი დღეო“ (სახოკია 1895:125).

როგორცა ჩანს, საზოგადოების გაყოფა და დაპირისპირება მაინც მოუხერხებიათ. „მა ვორექის“ ფსევდონიმით (მა ვორექ მეგრულად ნიშნავს: „მე ვარ“) „ივერიის“ ერთ-ერთ ნომერში რუბრიკით „დაბა და სოფელი (მოწერილი ამბები)“ ავტორი გვიამბობს იმ დაპირისპირებაზე, რომელიც შეიქმნა ოჩამჩირეში აშორდიას მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის. იგი ირონიით აღნიშნავს: „მე ცოდვილს არა მგონია, რომ თვით დიდებულ პარიჟში იმდენი საქმე ხდებოდა, რამდენიც ამ ჩვენს ოჩამჩირეში!“ საზოგადოების ერთი ნაწილი თურმე ხმამაღლა ყვირის: „არამცა და არამც ოჩამჩირელმა ქართველებმა არ გაბედოთ ქართულად ლაპარაკი, არც ქართული წაიკითხოთო! ამას გაჰყვირის „ახალ-მოდის აშორდიზმის ქარიშხალ-ბორიზმის“ წარმომადგენელი. იგი საზოგადოებას ბიბლიოთეკისთვის მხოლოდ ერთი ქართული გაზეთის გამოწერის ნებას რთავს, თანაც მხოლოდ ის ნაწილები უნდა წაიკითხონ, რომელსაც ეს ბატონი მიუთითებს მკითხველ საზოგადოებას...კეთილის საქმის გაკეთების მაგიერ ჩვენ ურთიერთის ლანძღვაში, ურთიერთის შესახებ, „დონოსების“ წერაში ვათენ-ვაღამებთ ჩვენს დროს, იმ დროს, რომელიც ინგლისელის აზრით ფულზედ უძვირესია! საბრალო ფოსტის მოხელენი დიდს ტანჯვაში არიან: ველარ ასდიან მოწინააღმდეგეთა დონოსების გზავნას! საცოდავნი ოჩამჩირელნი! თქვენთა წარმომადგენელთ თქვენი სარგებლობა დაივიწყეს, დაივიწყეს ქალაქი, სკოლა, სამკითხველო, ქვრივ-ობოლნი და ერთურთს ებგერნენ, ვითა ჰოეტის მამლაყინწანი (იგულისხმება დავით გურამიშვილის „დავითიანიდან“ ნაწყვეტი, რომელსიც ქართლ-კახეთის ურთიერთშუღლი შედარებულია მამალთა სისხლისმღვრელ შერკინებასთან, მაგრამ საბოლოოდ მოქიშპენი ძაღლის ლუკმად იქცევიან. დამოწმებულია ეს სტროფიც „დავითიანიდან“ – თ. ბ.). „იცით, მკითხველო, ჩვენი ოჩამჩირე ისეთ უნუგემო ყოფაში როდი ყოფილა ამ სამი-ოთხის წლის წინად, როგორშიაც ეხლა იმყოფება! მაგრამ, აი დალაზვროს ღმერთმან, აქ ჩამოგვისახლდა ერთი ენა-გესლიანი ვაჟბატონი, რომელსაც თურმე არც ღვიძილში, არც ძილში მოსვენებას არ აძლევდა ბ. აშორდიას დიდება და აკი მოინდომა თვითონაც აშორდიობა, უკეთ აშორდიზმის, ახალი, უფრო მძლავრის შტოს შექმნა! ეს კი როდი უფიქ-

რია – აშორდიათ, ახალ აშორდიათ, თუ აშორდიათ გახდომისათვის გენიოსობაა საჭირო და რომ წაიბორძიკა, მაშინ, მაღლა-მაღლა აცოცებისათვის „დიდთა უკმია, სხვათ არა, და იქადაგა, წესია, რომ დიდმა ჰყლაპოს პატარა!“ აი, ამ ღონკიხოტის წინააღმდეგ ბრძოლაში ვათენ-ვალამებთ!“ (მა ვორექ, 1898:2-3). ჩანს, რომ აშორდიას მცირერიცხოვან მომხრეებთან დაპირისპირებამ საზოგადოებაში არაჯანსაღი ვითარება შექმნა.

შემთხვევითი არ არის, რომ კირილიცას გამოყენება მეგრულისათვის ამ ენის ემანსიპაციას კი არა, მისი დაკარგვის შიშს უფრო იწვევდა სამეგრელოში. „დროებაში“ ახალი სენაკიდან კორესპონდენტი წერს: „მეგრული სიტყვები რუსულის ასობით არ დაიწერება და თუ დავწერთ, აი რა გამოვა:

მეგრული	რუსული
ქუდი	Куди
ჭირი	Чири
წყარი	Цқари
ყორანი	Корანი
ჯიმა	Джима
ქირი (ქორი)	Кири და სხვ.

Куди, Чири, Цқари, Корანი, Джима, Кири და სხვა არ არიან მეგრული სიტყვები. ასე რომ, თუ მეგრული სიტყვები რუსულის ასობით დაიწერა, მეგრული ენა დაიკარგება და გამოცხვება რაღაც ახალი ენა, რომელსაც სხვა სახელი უნდა დავარქვათ“ (კორესპონდენცია 1885).

რატომ ეშუქრება ქვეყნის მომავალს „ადგილობრივს კილო-კავებზედ“ (როგორც იაკობ გოგებაშვილი უწოდებდა) სკოლების მოწყობა. ამაზე ფიქრობდნენ ქართველი ინტელექტუალები რუსეთისგან თავს მოხვეული პოლიტიკის გამო XIX საუკუნის ბოლო ოცწლეულში. „სათემო ენა ან თემიური კილო-კავის გამოყენების არეალი ვიწროა. რაც უნდა დიდ ტერიტორიაზე მცხოვრები მრავალრიცხოვანი მოსახლეობა იყენებდეს ასეთ ენას, იგი მაინც ყოფით სფეროს არ შორდება“. სწორედ ეს თვისებაა ხაზგასმული ნანეიშვილის წერილში, რომელიც 1889 წლის „ივერიის“ მეოთხე ნომერში გამოქვეყნდა: „რაც შეეხება თვით მეგრულს, სათემო ენას, ვინ არ იცის, რომ იგი ქართულის ჯიშისაა... ვიმეორებთ, ეს ყველასათვის ცხადი და აშკარაა, მაგრამ ვისაც გულში მალული განზრახვა აქვს ჩახვეული, იმათთვის საკბილო არ არის და ამიტომაც სცდილობენ აშკარა დამალონ და სხვებსაც არ დაანახონ“ (ნა-ლი 1889).

ერნესტ რენანი, რომელიც ერის ქმნადობას ადამიანის სურვილზე ამყარებდა, წერდა: „ადამიანის ერთობა, ჭკუით განათლებული და გრძნობით გამთბარი შექმნის ზნეობრივს ცნობიერებას, რომელსაც ჰქვიათ ერი. ვიდრე ეს ზნეობრივი

ცნობიერება ამტკიცებს თავის ძალას ცალკე პირის თავგანწირულობით საერთო საქმის გულისათვის, იგი კანონიერია და აქვს არსებობის უფლება. თუ იმის სამზღვრების თაობაზედ ლაპარაკი ასტყდეს, ჰკითხეთ საცილობელს მიწაზედ დასახლებულებს. იმათა აქეთ უფლება ამ საქმეში თავიანთი აზრი იქონიონ“ (რენანი 1882:129). ამ სიტყვებს სწორედ მაშინ წარმოთქვამდა ერნესტ რენანი, როცა მეგრულის მცოდნეებს რუსეთის იმპერიის წარმომადგენლები დაჰკითხებდნენ, ქართველებისგან ძლეული და უფლებააყრილი ხართო.

მეგრულად მოლაპარაკენი, საქართველოში გავრცელებულ სხვა ქართველურ ენებსა და მათ დიალექტებზე მოლაპარაკეთა მსგავსად, თავს სდებდნენ საქართველოსთვის, ქმნიდნენ მის ისტორიასა და კულტურას, მაგრამ როცა რუსეთის ენობრივი პოლიტიკის წყალობით საცილობელი შეიქმნა მათი ქართველობა და დადგა საკითხი მათი კულტურული განყოფისა, არავის უკითხავს მათთვის აზრი, მიუხედავად იმისა, რომ რენანის თქმისა არ იყოს, „იმათა აქეთ უფლება ამ საქმეში თავიანთი აზრი იქონიონ“. მეგრელთა აზრი არ ეთანხმებოდა მათი იზოლაციის მოსურნე რუსულ ენობრივ პოლიტიკას, მმართველობის არც ერთი რგოლი არ კითხულობდა მათ აზრს, რადგან სასურველ პასუხს ვერ მიიღებდნენ. რუსეთის საგანმანათლებლო პოლიტიკაზე გავლენას ვერ ახდენდა ვერც აღიარებული ქართველი ავტორიტეტული ადამიანების მოსაზრებანი და ვერც უბრალო მცხოვრებელთა წარმოდგენები საკუთარ იდენტობაზე.

სწორედ იმ დროს, როცა სამეგრელოში ქართველობის მტკიცება უხდებოდათ, ერნესტ რენანის სიტყვები ნაციის თაობაზე მთელი ევროპისთვის იყო ცნობილი: „განსაკუთრებულის ყურადღების მიქცევა ენაზედ, როგორც რასაზედ, მაგნებელია და საშიშარი. როდესაც ამ საგანში გადააჭარბებენ, ასე ჰკონიათ ნაციონალურს პოლიტიკას მივდევთო და კმაყოფილნი გარშემო გარდაუვალს ზღუდეს ივლებენ. ანებებენ თავს თავისუფალ ჰაერს, გრილს ასპარეზს კაცთმოყვარობისას და ეკედლებიან სულის შემხუთველ ჰაერში თავიანთ თანა-მგრძნობებს. ამაზედ ცუდი არა არის-რა კაცის გონებისათვის, არც არაფერი ამაზედ მავნე განათლებისათვის...“ (რენანი 1882:121, 129). სამეგრელოსა და აფხაზეთში თავს სწირავდნენ ქართველობის მტკიცებას. რა თქმა უნდა, „ამ პირთა თავგანწირულობა საერთო საქმის გულისთვის კანონიერი იყო“ (ე. რენანი), მაგრამ ამ მიწებზე დასახლებულებს არაფერს ეკითხებოდა რუსეთის იმპერია იმის მიუხედავად, რომ „მათ ჰქონდათ უფლება ამ საქმეში საკუთარი აზრის გამოთქმისა“, როგორც ერნესტ რენანი იტყვოდა.

ზემოთ ნაჩვენები მასალა (უფრო სრულად იხ. ბოლქვაძე 2010) ობიექტურ ანალიტიკოსს დაარწმუნებს იმაში, რომ როგორც დღეს, ისე ისტორიულად ქართველური ენების ურთიერთობა სოციოლინგვისტური თვალსაზრისით ისეთ ენობრივ სიტუაციას ქმნის, რომელსაც კლასიკური დიგლოსია შეიძლე-

ბა ეწოდოს. მხოლოდ რუსეთის იმპერიის მხრიდან თავსმოხვეული, საქართველოს დეზინტეგრაციის მოსურნე პოლიტიკის შედეგად გახდა შესაძლებელი დასძულიყო საკითხი ასე – როდემდე უნდა ითვლებოდეს მეგრელთა უფლებები ქართველთა მხრიდან, როდის უნდა მოელოს ამას ბოლო. მხოლოდ მაშინ გახდება შესაძლებელი ქართველთა გამანადგურებელი გავლენის თავიდან აცილება, როცა მეგრელი დაწყებით განათლებას მეგრულად მიიღებს, ხოლო განათლების სხვა საფეხურებს რუსულად დაეწაფება.

გაანალიზებული მასალა თვალსაჩინოდ აჩვენებს, რომ ქართულ-მეგრული, ისევე როგორც ქართულ-ლაზური და ქართულ-სვანური ურთიერთობა შეიძლება აღიწეროს კლასიკური დიგლოსიის ტერმინებში. ამ სოციოლინგვისტური ურთიერთობისთვის ტერმინ ბილინგვიზმის გამოყენება სწორი არ იქნება. მიუხედავად იმისა, რომ ეტიმოლოგიურად დიგლოსია და ბილინგვიზმი (დი – ორი, გლოსა – ენა ბერძნულად; ბი – ორი, ლინგვა – ენა ლათინურად) ერთსა და იმავეს ნიშნავს, მათ შორის ტერმინოლოგიური შინაარსის თვალსაზრისით, დიამეტრალური სხვაობაა. ტერმინი დიგლოსია ფერგიუსონმა შემოიტანა სოციოლინგვისტიკაში (ფერგიუსონი 1959). დიგლოსია ისეთი სტაბილური ენობრივი სიტუაციაა, რომელშიც თანაარსებობენ მონათესავე ენები და ერთმანეთისგან განსხვავდებიან ფუნქციებით, პრესტიჟით, სალიტერატურო მემკვიდრეობით, სტანდარტიზაციითა და სხვა მახასიათებლებით. ქართულის, მეგრულისა და სვანურის ურთიერთობა სწორედ ისეთი სტაბილური, მრავალსაუკუნოვანი სოციოლინგვისტური სიტუაციის ნიმუშია, რომელსაც დიგლოსიას უწოდებენ. ამ დიგლოსიური სიტუაციის წარმოდგენა ბილინგვურ ურთიერთობად იქცა მეგრული ანაბნისა და მეგრულად ნაბეჭდი წიგნების შექმნის საფუძვლად, რამაც საზოგადოების დიდი აღმფოთება გამოიწვია და რუსიფიკატორებმა მეცხრამეტე საუკუნის ბოლო ოცწლეულში თავისი ვერ გაიტანეს.

ლიტერატურა

ახალი ამბები, 1892: ახალი ამბები, „ივერია“, №271, 1892

ბათუმელი, 1887: ბათუმელი, დღიური პროვინციელისა, „ივერია“, №49, 1887.

ბოლქვაძე 2010: თ. ბოლქვაძე, ქართული ნაციონალური იდენტობის წრთობა: ილიას „ივერია“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2010

გოგებაშვილი 1902: ი. გოგებაშვილი, ქართველი ერის დაქუცმაცება, „ივერია“, №13, 1902.

გოგებაშვილი 1903: ვარიანელი (იაკობ გოგებაშვილის ფსევდონიმი), *К вопросу о менгрельской начальной школе*, “Петербургские Ведомости”, 27 თებერვალი, 1903.

ვერმიცანაშვილი 1891: დ. ვერმიცანაშვილი, სამეგრელო, „ივერია“, №21, 1891.

თავართქილაძე 1892: კ. თავართქილაძე, წერილი რედაქციის მიმართ, „ივერია“, №276, 1892.

თბილისი, მარტის 6-ს 1885. მეგრელებისათვის ძალად „მზრუნველი“, „დროება“, № 49, 1885.

კორესპოდენცია 1885. კორესპოდენცია ახალი სენაკიდან, „დროება“, №67, 1885.

მა ვორექ 1898. მა ვორექ, დაბა და სოფელი (მოწერილი ამბები), „ივერია“, №231, 1898.

მეგრელი 1885. მეგრელი, კიდევ მეგრული ენის თაობაზე, წერილი რედაქციისადმი, „დროება“, №53, 1885.

მეგრული ტექსტები. Мингрельские тексты записаны и переведены на русский языкъ подь наблюдениемъ Ив. Е. Петрова, учителя Кутаискѡй (въ М. Хони) учительской семинари, бм бв.

მზრუნველის წინადადება 1885. კავკასიის სამასწავლებლო ოლქის მზრუნველის წინადადება ქუთაისის გუბერნიის საერო სასწავლებელთა პ. დირექტორისადმი, 1885 წელს მარტის 11-ს №1297, „დროება“, №120, 1885

ნა-ლი 1889: ნა-ლი (ნანეიშვილის ფსევდონიმი), ტფილისი, 5 იანვარი, „ივერია“, №4, 1889.

პ. ფურცელაძის ცნობები 1885. პ. ფურცელაძის ცნობები, „დროება“, № 59, 1885.

რენანი 1882. ერნ. რენანი, რა არის ერი (ნაცია)? (*Qu'est-ce qu'une nation?*), „ივერია“, №VIII, 1882.

სახოკია 1895. თ. სახოკია, პროვინციის ცხოვრება, „აფხაზეთის მოამბე“, XI, ნომბერი, 1895.

უსლარი და მისი თხზულება 1882. უსლარი და მისი თხზულება „უძველესნი თქმულებანი კავკასიაზე“, „ივერია“, № 1, 1882.

ფერგიუსონი 1959: C. A. Ferguson, *Diglossia*, In: Word, 15, 1959.

ღამბაშიძე 1889: დეკანოზი დავით ღამბაშიძე, მეგრულ ენაზე ლოცვების და წირვის წესის გადათარგმნისა გამო, სასულიერო ჟურნალი „მწყემსი“, „ოფიციალური განყოფილება საქართველოს საექსარხოზოსისა“, №9, 1889; იგივე წერილი დაიბეჭდა „ივერიაში“, №115, 1889.

ხუნდაძე 1939: ტრ. ხუნდაძე, ცარიზმის სავანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში (80-იანი წლები), დაწყებითი და საშუალო სკოლის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი, ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი.

ხუნდაძე 1951: ტრ. ხუნდაძე, ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში (XIX საუკუნე), საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტი, ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი.

ცირკულარი 1885. „ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორის ცირკულარი იანვრის 11-ს 1885 წ. „№62“ (ბბ. მასწავლებელთ სენაკისა და ზუგდიდის პირველ-დაწყებით სასოფლო სკოლებისა), „დროება“, №59, 1885.

ჭავჭავაძე 1881: ი. ჭავჭავაძე, შინაური მიმოხილვა, „ივერია“, №2, 1881.

The Megrelian Alphabet and Megrelian Printed Books in the Late 19th Century

Summary

The sociolinguistic features of the languages spread in Georgia in the late 19th century: Russian – state language, Georgian – mother tongue, principal language, Megrelian and Svan – dialects of the principal language; community dialects. As long as Russian was the only state language, there was an issue of its accessibility to all the citizens, which, in other words, implied the implementation of the assimilation, that is Russification, policy. However, there were two different ideas concerning how to realize the effective flexible assimilation of Georgia's population. One of them was expressed by, for instance, Exarch Pallad who gave the following explanation to the Ober-prosecutor of the Holy Synod: "It has been more particular recently, and, hence, they greatly contribute to Russification – gradually, peacefully, and lovingly, without irritating aboriginals' minds or offending their national self-esteem. It is obvious that forceful Russification undoubtedly provokes strong resistance and hinders the success of the Russian cause" (Central Archives of Georgia, 107, Series G, Case No 891, F. +2-11). However, another, reactive wing was more powerful, whose representatives believed that the assimilation was to be realized in a short period of time in order to enhance the Russian civilization in the region. For example, Yanovsky, a Trustee of the Caucasus Education Region, developed the ideas not acceptable for Georgian public: "The establishment of Russian schools in the Caucasus and the inclusion of local inhabitants in them must be unarguably considered the most principal means for the enhancement of the Russian civilization. We should hope that this civilization, striving to get into people and developing by means of rationally arranged schools, will prove to be stronger than the previous civilizations here, to substitute which it has come here, and which perished due to lacking of cultural means in their struggle against the surrounding ignorant tribes and people" (Central Archives of Georgia, F. 107, Series 3, Case No 300).

The paper deals with the education and language policy which was provided by Yanovsky in western Georgia. It discusses the Circular for the Directors of the Popular Schools of Kutaisi Province, January 11, 1885, No 62 (to teachers of elementary popular schools in Senaki and Zugdidi) and the Proposition of the Trustee of the Caucasus Education Region to Mr. Directors of the Public Schools of Kutaisi Province No 1297, March 11, 1885. This circular and proposition were the basis for the creation an alphabet for Megrelian to be used: to record and publish religious texts, translated into Megrelian, in the Megrelian daily newspaper and in the Megrelian textbooks, created for the schools in Megrelia. The paper deals with the Megrelian alphabet created in the late 19th century, its phonological and sociolinguistic characters, the outcomes of the creation of this alphabet and attitude of Georgian society to this fact.

მორფემათა ჯგუფები და სახელურ მორფემათა რანგობრივი სტრუქტურა იმპერულში

მეგრულში, ფუნქციური თვალსაზრისით, მორფემათა სამი ჯგუფი გამოიყოფა: *ლექსიკური (დერივაციული), ლექსიკურ-გრამატიკული და გრამატიკული* (რელატიური):

1. *ლექსიკური (დერივაციული)* მნიშვნელობის მორფემები აერთიანებს ძირეულ და ლექსიკური მნიშვნელობის მაწარმოებელ, წარმოქმნელ აფიქსებს. სემანტიკური თვალსაზრისით, *დერივაციული* აფიქსები მეგრულში თორმეტ სხვადასხვა ჯგუფს ადგენენ (კარტოზია და სხვ., 2010:101);
2. *ლექსიკურ-გრამატიკული* მორფემები ერთდროულად შეიცავენ ლექსიკურ და გრამატიკულ (resp. მორფოლოგიურ) მნიშვნელობებს. ასეთთა რიგს განეკუთვნება: მრავლობითობის აღმნიშვნელი ნიშანი სახელისა და ზმნის სტრუქტურაში; ქცევის, გვარის, კონტაქტის/კაუზატივის მორფემები, ზმნისწინები და ნაწილაკები (=გეზის, ორიენტაციის, ასპექტის ამსახველი ფორმალური ნიშნები) ზმნებში. ენკლიტიკური ელემენტები (ნაწილაკები, თანდებულები და -ნი კავშირი) სახელებში;
3. *გრამატიკული* (რელატიური) მორფემების ფუნქციაა განსაზღვროს გრამატიკული მიმართებები ფრაზაში; სახელის მორფოლოგიურ სტრუქტურაში ეს იქნება ბრუნვის ნიშანი, ფონეტიკური ჩანართი (ეპენტეზა), თანხმოვანთაგამყარი, მავრცობი ხმოვნები. ზმნის მორფოლოგიურ სტრუქტურაში – პირისა და პარადიგმის (კავშირებითები, პირობითები, აორისტი, *ნო-ე-მაწარმოებლიანი* თურმეობითები) მარკერები, თემის ნიშნები, ობლივატები, მავრცობი ხმოვნები.

ვინაიდან დერივაციული და რელატიური ან ლექსიკურ-გრამატიკული მორფემები ერთმანეთისაგან ფუნქციურად განსხვავებულია, მორფემათა რანგობრივ სტრუქტურაზე მსჯელობისას ისინი უნდა გაიმიჯნოს. დერივაციული ფუძე სემანტიკურად ახალი ფუძეა, რომელსაც მიმართებების დასადგენად დამატებით სჭირდება რელატიური ანუ სხვა ტიპის, მისგან განსხვავებული მორფემების დართვა; მორფემებისა, რომელთაც აქვთ გრამატიკული მნიშვნელობა და არა აზრობრივად განსხვავებული, მნიშვნელობით ახალი ოდენობის (ლექსემის) წარმოქმნის ფუნქცია; თუ ძირეული მორფემა აღინიშნება ნიშნით R (ლათ. Radix „ძირი“), წარმოქმნილი ფუძის ჩასაწერად შემოღებულია განსხვავებული აღნიშვნა \bar{R} ; სიგრძის ნიშანი მიუთითებს, რომ ძირეული მორფემა ნაწარმოებია, კერძოდ, ფუძე დაგრძელებულია ოდენ ლექსიკური მნიშვნელობის მქონე აფიქსებით – დერივანტებით (დამენია 1982:26, 45):

(R) ფუძე = ძირეული მორფემა ან

(R̄) ფუძე = ძირეული მორფემა + დერივაციული მორფემა.

მაშასადამე, ფუძეთა მორფოლოგიური სეგმენტირებისა და შესაბამისი კვალიფიკაციის დროს რელევანტურია ახალი მნიშვნელობის ფუძე და არა ძირისეული მორფემა. შდრ.:

- | | | |
|-----|------------------------------|------------------------------|
| (1) | კონ-ი
კაცი-NOM.SG | კონ-ქ
კაცი-ERG. SG |
| (2) | კონანა-Ø
კაცობა-NOM.SG | კონანა-ქ
კაცობა-ERG. SG |
| (3) | კონანიერ-ი
კაცური- NOM.SG | კონანიერ-ქ
კაცური-ERG. SG |

მეგრულში მორფემები განლაგებულია ფუძის წინ და მომდევნოდ რანგების შესაბამისად. სახელური მორფემები მხოლოდ სუფიქსებია, ზმნური კი შეიძლება იყოს პრეფიქსული, სუფიქსური, ინფიქსური და კონფიქსური. ამდენად, მეგრული ენის ზმნური სტრუქტურა გაცილებით რთულია, ვიდრე სახელისა.

მეგრულში სახელურ მორფემათა რანჟირებისას იხილი განლაგდება მხოლოდ ფუძიდან მარჯვნივ, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ენაში სახელს დართული მორფოლოგიური სეგმენტები მხოლოდ და მხოლოდ სუფიქსური მორფემებია.

სახელებში მორფემათა რანგობრივი განლაგების ყველაზე გრძელ მიმდევრობას ასეთი სახე აქვს: R-I-II-III-IV-V, თუმცა ეს სინტაგმატური რიგი გარკვეული წესების შესაბამისად იზღუდება. ამავე დროს, ერთდროულად რეალიზებად მორფემათა რიცხვი ხუთიც შეიძლება იყოს.

სახელთა რანგობრივი სტრუქტურის აგებისას სიახლეს წარმოადგენს უკანასკნელ პერიოდში განხორციელებული კვლევის (იხ. კარტოზია და სხვ. 2010) საფუძველზე ორი ახალი მორფემული ელემენტის სეგმენტირება და მისი ჩართვა რანგობრივ სტრუქტურაში:

1. თანხმოვანთამყარი -ი, ანუ სახელთა ბრუნებისას არაკანონიკურ კომპლექსთა სუპერაციისთვის ჩართული ობლიგატი;
2. ძირეულ მორფემასა და ბრუნვის მარკერს შორის მრავლობითის 28 ფუძეში გაჩენილი -ლ სონორი, რომელიც, მისი ფუნქციიდან (ხმოვნებს შორის ჰიატუსის აცილება) გამომდინარე, კვალიფიცირებულია ეპენტეზად.¹

¹ ძვ. ბერძნ. ἔπειθεσις – „ჩაჩრა“. ლინგვისტიკაში ფონემის ჩასმა ორ კონსონანტს შორის წარმოთქმისა და აღქმის გასაადვილებლად. ლათინური: sum-p-sit < sumsit, ბერძნული: and-ros < anros, გერმანული: eigen-t-lich < eigentlich. ეპენტეზა წააგავს ანაბტიქს-ს, რაც ნიშნავს ზმოვნის განვითარებას ორ კონსონანტს შორის. გერმანული: fūn-e-f < fünf (Metzler-Lexikon Sprache, 2005 Helmut Glück (Ed.). Metzler, Stuttgart/ Weimar). ეპენტეზას მოიხსენიებენ ასევე როგორც ჰიატუსის-ამრიდს: amerika > „ამერიკული“ უნდა იყოს: amerika-isch, არადა გვაქვს: amirika-n-isch, იმიტომ, რომ amerik[a-i]sch ჰიატუსი არ შედგეს (Hadumod Bußmann, Lexikon der Sprachwissenschaft, 2008, Kröner, Stuttgart).

სახელის რანგობრივ სტრუქტურაში ძირიდან მარჯვნივ პირველი ადგილი (R-I) თანხმომავანთაგან ი-ს ეკუთვნის. საკითხი ეხება ორ ბრუნვაში, *მოთხრობითსა* და *მიცემითში*, არაკანონიკურ კომპლექსებთან, კერძოდ, ჩქამიერი თანხმომავანების მომდევნოდ გაჩენილ **ი-ხმოვანს**. მკვლევართა უმრავლესობა ყურადღებას ამახვილებს ი-ს გაჩენის ფონეტიკურ გარემოზე, თუმცა მათ მიერ წარმოდგენილ პარადიგმაში, მიუხედავად განსხვავებული მორფოლოგიური სეგმენტაციისა, მკვეთრად არაა გამოიჯნული **ი-შეხორცებული** და **ი-შეუხორცებული** ფუძეები. ამას ცხადყოფს ი. ყიფშიძის (ყიფშიძე 1914:028-029), ა. ჩიქობავას (ჩიქობავა 1936:44), ა. ლომთაძის (ლომთაძე 1987:127), ა. ონიანის (ონიანი 1989:83) მიერ წარმოდგენილი პარადიგმები.

კურხ-ი-ქ „ფეხმა“, **კურხ-ი-ს** „ფეხს“, **ბერგ-ი-ქ** „თოხმა“, **ბერგ-ი-ს** „თოხს“ ტიპის მაგალითებში ი-ს გაჩენა მორფონოლოგიურად არის შეპირობებული, ი-ს წარმოშობისთვის სათანადო ფონეტიკური გარემო მორფოლოგიურ პოზიციაში, კერძოდ კი, *მოთხრობითსა* და *მიცემითში* ჩნდება. ი-ს ჩართვა კი არაკანონიკურ კომპლექსთა დაძლევის გზაა. **ი-ხმოვანი** ფუნქციურად **თანხმომავანთაგანია** || **ანაპტიქსია**, იგი სავალდებულოა ჩქამიერთა შემდგომ.¹

კ. დანელიამ, გულავა/გამყრელიძის ნაშრომზე (გულავა, გამყრელიძე 1981) დაყრდნობით, ვრცელი მასალის ანალიზით განიხილა თანხმომავანფუძიან სახელებზე მოთხრობითის -ქ და მიცემითის -ს სუფიქსების დართვით მიღებული თანხმომავანთკომპლექსების დისტრიბუციისა და რაობის საკითხი და დაასკვნა, რომ თანხმომავანთაგანთაგან ი-ი მხოლოდ ორ ბრუნვაში, *მოთხრობითსა* და *მიცემითში*, ჩაერთვის. იგი არ შეიძლება ჩაითვალოს ფუძესთან შეზრდილად შემდეგი ორი არგუმენტის გათვალისწინებით:

1. ი-ჩართულ ფუძეთა წარმოების თავისებურება მრავლობით რიცხვში

თუკი ი-ს ფუძისეულად ჩავთვლით, მაშინ მრავლობითის ფუძეში იგი უნდა შენარჩუნდეს, როგორც ეს ხმოვანფუძიანი სახელების შემთხვევაშია.² უნდა გვქონდეს: **ბერგი** – **ბერგიეფი**, ნაცვლად ფორმისა: **ბერგ-ეფ-ი**. სინამდვილეში, მრავლობით რიცხვში ი- არცერთ ბრუნვაში არ ჩნდება.³

¹ ამ საკითხზე დამაჯერებელი მსჯელობა იხ. ვიგებერია 1958; აგრეთვე, საკითხისადმი საგანგებოდ მიძღვნილი ნაშრომი – დანელია 1986.

² ო-სა და უ-ზე დამთავრებული სახელები პირდაპირ დაირთავენ -ეფ (|| -ემ || -ენ) რიცხვის მარკერს: **კატუ-ეფ-ი** „კატები“, **კოტო-ეფ-** „ქოთნები“... ა- და ე-ფუძიანების უმრავლესობა კი ჩაირთავს **ლ-** სონორს, -**აე** (ა-ეფ) მიმდევრობა საერთოდ არ გვაქვს, ე-ფუძიანები ინარჩუნებენ ფუძისეულ ხმოვანს და გემინირებულ ეე მიმდევრობას შემდგომ საფეხურზე ამარტივებენ (მაგალითებისათვის იხ. ჯანჯღავა 1996:199).

³ საყურადღებოდ გვეჩვენება ფორმა **დი** „დევი“, რომელიც ჩამოყალიბდა ფონოლოგიური გარდაქმნის შედეგად: ქართ. **დევი** || **დები** > ***დეი** > **დი** || **დი**. იგი ი-ფუძიანი სახელის ერთადერთ მაგალითად გვესახება, მას ი- მრავლობითი რიცხვის მთელ პარადიგმაში გადაჰყვება: **დი-ეფ-ი**, **დი-ეფ-ქ**, **დი-ეფ-ს**, **დი-ეფ-იში**, **დი-ეფ-იშა**, **დი-ეფ-იშე**, **დი-ეფ-ით**, **დი-ეფ-ო**.

2. ი-ჩართულ ფუძეთა წარმოება ვითარებით ბრუნვაში

თანხმოვანფუძიანი სახელების ვითარებითი ბრუნვის ფორმაა **ბერგ-ო** „თოსად“ და არა **ბერგი-თ**, როგორც ეს უნდა გვქონოდა იმ შემთხვევაში, თუკი **ი-** ფუძეს იქნებოდა შეზრდილი. ანუ თუკი პარადიგმას **ი-ფუძიანად** განვიხილავთ, ის ყველა ბრუნვაში უნდა დაჩნდეს, მით უმეტეს, ვითარებითში, არადა გვაქვს: **კოჩ-ო** და არა **კოჩი-თ**, ეს უკანასკნელი ემთხვევა მოქმედებითს. შდრ: **კოტო** (სახელობითი) – **კოტოთ** (ფორმობრივი დამთხვევა მოქმედებითსა და ვითარებითში, რასაც კონტექსტი განარჩევს). მაშასადამე, **ი-ჩართული** ფორმები მოქმედებითისა და ვითარებითისათვის განსხვავებულ ფორმებს გვიჩვენებენ; **ი-**ს ფუძისეულად გააზრების შემთხვევაში, ერთი და იგივე ფორმა უნდა დაჩნდეს ორი ბრუნვისათვის, როგორც ეს **ო-** და **უ-ფუძიანების** შემთხვევაშია.¹

კ. დანელიას დასკვნით: „ბერგ-ი-ქ || **ბერგ-ი-ს** ტიპის ფორმებში **ი-** ფონეტიკური ჩანართია, **ბერგ-იშ || ბერგ-ით** ფორმებში კი – ბრუნვის ნიშნის ნაწილია და მორფოლოგიური ღირებულებისა“ (დანელია 1986:109-110). აღნიშნული თვალსაზრისი ჩვენ მიერ გაზიარებულია და, ამ პრინციპის გათვალისწინებით, სახელურ მორფემათა რანგობრივ სტრუქტურაში **ი-**ს გამოყოფა აუცილებლად მიგვაჩნია. მორფემა **ი-** ფუნქციურად **თანხმოვანთგამყარია** (**ჩანაპტიქსია**).²

რანგობრივი სტრუქტურის უახლოესი სუფიქსური ელემენტია, აგრეთვე, ჩვენ მიერ ეპენტეზად კვალიფიცირებული **-ლ** სონორი. მისი რანგიც პირველია: **R-I-**. ხმოვანთგამყარი **-ი** და თანხმოვანთგამყარი **-ლ** ერთდროულად არასოდეს რეალიზდება. ეს ორი მორფემა ერთმანეთთან დამატებითი დისტრიბუციის მიმართებაშია.

მოკლედ მიმოვიხილავთ **ლ-**ს გამოყოფის საფუძვლებს, ფუნქციასა და მორფემის ლინგვისტური კვალიფიკაციის საკითხს.³

მეგრულში მრავლობითი რიცხვის საწარმოებლად უგამონაკლისოდ ყველა თანხმოვანფუძიან სახელს დაერთვის **-ეფ** (|| **-ემ** || **-ენ**), ხმოვანფუძიანებთან კი სახელთა მხოლოდ მკაცრად განსაზღვრულ რაოდენობაში ჩნდება **-ლეფ** მიმდევრობა, რომელსაც გ. კარტოზია **-ეფ** მორფემის ალომორფად მიიჩნევს; თვალსაზრისი გაზიარებულია სხვა მკვლევრებთანაც, თუმცა იმავდროულად

¹ შდრ.: **დი** „დევი“ – **დი-თ(ი)** „დევით“, „დევად“ (მოქმედებითი: **დით(ი)** გინორთე „დევად გადაქცეულა“, ვითარებითი: **დით(ი)** გინმოშქუ „დევად მაქცია“).

² დამატებითი არგუმენტი შეიძლება იყოს ტიპოლოგიური თვალსაზრისიც: ცნობილია, რომ ქართულში **ი-ფუძიანი** სახელები – **ჩაი, პაი, ტრამვაი** – ნასესხებია. ვფიქრობთ, ქართული ენის მონაცემები **ი-ფუძიანი** სახელების არარსებობის შესახებ მეგრულის პოზიციას ამყარებს. რაც შეეხება ლაზურის ვითარებას, იგი ახსნილია როგორც „მეორეული მოვლენა და უნიფორმაციისა თუ პარადიგმული გასწორების გამოვლინება“ (დანელია 1986:109). მსჯელობაში არ იგულისხმება ნაცვალსახელები. მათი ანალიზი ცალკე საკითხია.

³ ვრცელი მსჯელობისათვის იხ. კარტოზია და სხვ., 2010:103-110.

მოცემულია მსჯელობა, რომელიც ეხება -ლ-ს ფუნქციის გარკვევას (იხ. ეზუბაია 2010:22).

-ლ-ეფ მიმდევრობა მეგრულში დაჩნდება შემდეგ ფუძეებთან: ბჟა „მზე“ – ბჟა-ლ-ეფ-ი, და „და“ – და-ლ-ეფ-ი, დღა „დღე“ – დღა-ლ-ეფ-ი, დიდა „დღეა“ – დიდა-ლ-ეფ-ი, ზა „გზა“ – ზა-ლ-ეფ-ი, თუ „გოჭი“ – თუ-ლ-ეფ-ი, მოთა „შვილიშვილი“ – მოთა-ლ-ეფ-ი, მუმა „მამა“ – მუმა-ლ-ეფ-ი, ნოსა „რძალი“ – ნოსა-ლ-ეფ-ი, სინჯა „სიძე“ – სინჯა-ლ-ეფ-ი, სქუა „შვილი“ – სქუა-ლ-ეფ-ი, ტყა „ტყე“ – ტყა-ლ-ეფ-ი, ქა „რქა“ – ქა-ლ-ეფ-ი, ქუა „ქვა“ – ქუა-ლ-ეფ-ი, ღვა „ლოყა“ – ღვა-ლ-ეფ-ი, ჩხოუ „ძროხა“ – ჩხოუ-ლ-ეფ-ი, ძგა „გვერდი“ – ძგა-ლ-ეფ-ი, ჭა „ჩალა“ – ჭა-ლ-ეფ-ი, ჯა¹ „ხე“ – ჯა-ლ-ეფ-ი, ჯიმა „ძმა“ – ჯიმა-ლ-ეფ-ი, ცა „ტოტი“ – ცა-ლ-ეფ-ი, სუა „ფრთა“ – სუა-ლ-ეფ-ი, ხე „ხელი“ – ხე-ლ-ეფ-ი, პაპა „პაპი“ – პაპა-ლ-ეფ-ი (ციფშიძე 1914:26-027).² ჩამონათვალში უმრავლესობა ა-ფუძიანი სუბსტანტივია, ერთი ზმნიზედა – ძგა „გვერდი“ – ძგა-ლ-ეფ-ი; მხოლოდ ორის ფუძე მთავრდება უ-ზე: თუ-ლ-ეფ-ი „გოჭები“ და ჩხოუ-ლ-ეფ-ი „ძროხები“, ხოლო ერთისა – ე-ზე: ხე-ლ-ეფ-ი „ხელები“. ამ ჩამონათვალს უნდა დავმატოს სუბსტანტიური ფუძეები: (ფ)სკა „სკა“ || „ფუტკარი“ – (ფ)სკა-ლ-ეფ-ი, ტკვა „კიბე“ – ტკვა-ლ-ეფ-ი; ზმნიზედა: შქ/კა „შუა“ – შქ/კა-ლ-ეფ-ი;³ ე-ფუძიანი ატრიბუტივი: ჭიჭე „პატარა“ – ჭიჭე-ლ-ეფ-ი (ხუბუა 1937:48₁₅).

-ლ ელემენტის რეალიზაციის კონკრეტული ფონოლოგიური პოზიციის დადგენა რთულია. უდავოა ინტერვოკალური პოზიცია, სადაც სტაბილურად განსაზღვრულია მხოლოდ მომდევო ხმოვანი -ე (-ეფ მორფემის შემადგენელი). რაც შეეხება -ლ-ს პრეპოზიციურ ფონემას, იგი აუცილებლობით გულისხმობს ვოკალს; ა, ე, უ: -ა-ლ-ეფ, -ე-ლ-ეფ, -უ-ლ-ეფ და, ლაზურისაგან განსხვავებით, სადაც პარადიგმა გასწორდა, მეგრულში არც ერთი მაგალითი არაა ი და ო ხმოვნებზე დამთავრებულ ფუძეებზე -ლ-ს დართვისა. მაშასადამე, -ლ-ს გაჩენა შეპირობებულია ინტერვოკალური პოზიციით. მიუხედავად ამგვარი ანალიზისა, -ლ-ს ფონოლოგიური პოზიციების დადგენა რაიმე კანონზომიერების სახით მაინც ვერ ხერხდება, რადგან ზოგი ფუძე მერყევა და მიდრეკილია მრავლობითის ფუძეთა პარალელური წარმოებისკენ (შდრ. ჩხოუ-ლ-ეფ-ი || ჩხოუ-ეფ-ი „ძროხები“, თუ-ლ-ეფ-ი || თუ-ეფ-ი „გოჭები“), ან კიდევ იმავე პოზიციაში -ლ-საერთოდ არასავალდებულოა (კატუ-ეფ-ი „კატები“, ჟვებუ-ეფ-ი „ბაყაყები“, კანცხუ-ეფ-ი „დუგმები“, კირდ[ე]-ეფ-ი „კლდეები“,

¹ ორ ფუძეში ისტორიულად აღდგება ლ სონორი, თუმცა დიაქრონიული ანალიზი ხელს ვერ შეუშლის სინქრონიულ დონეზე -ლ-ს ფონეტიკურ ჩანართად გააზრებას, ვინაიდან ისინი სინქრონიულად მხოლობითის ფორმებია: ხე „ხელი“, ჯა „ხე“ ეტიმ. „ძელი“ (და არა: *ხელ-, *ჯალ-) და მათთვისაც მრავლობითის წარმოების წესი იგივეა.

² ეს უკანასკნელი ნასესხები ფუძეა და -ლ-ელემენტი მასში ანალოგიით გაჩენილად ითვლება (ციფშიძე 1914:026-027).

³ იშვიათად რეალიზებული ფორმაა, გაჩენილი ჩანს ძგა „კიდე“ – ძგა-ლ-ეფ-ი-ს ანალოგიით.

მოფგირ[ე]-ეფ-ი „ნათესავები“, მაბირ[ე]-ეფ-ი „მომღერლები“ და ყველა ამგვარად წარმოქმნილი სახელი).

ამასთან **-ლ-ეფ** მიმდევრობის მრავლობითის ალომორფად განხილვას ეწინააღმდეგება ისიც, რომ ჩანართი **ლ-** თავს იჩენს ხმოვნით დაწყებულ სადერივაციო აფიქსთა წინაც და დაჩნდება მხოლოდ იმ ფუძეებთან, რომლებიც მრავლობითის წარმოების დროს ფუძესა და **-ეფ** მორფემას შორის სწორედ **ლ-**ს ჩაირთავენ: **ქა** „რქა“ – **ქა-ლ-ამ-ი** „რქიანი“, **თუ** „გოჭი“ – **თუ-ლ-ამ-ი** „გოჭიანი“, **დიდა** „დედა“ – **დიდა-ლ-ობ-ა** „დედობა“, **სკუა** „შვილი“ – **სკუა-ლ-ობ-ა** „შვილობა“, **ჯიმა** „ძმა“ – **ჯიმა-ლ-ობ-ა** „ძმობა“, **სინჯა** „სიძე“ – **სინჯა-ლ-ობ-ა** „სიძობა“...

ამიტომაც უფრო მართებულია **-ლ-**ს განხილვა **ფონეტიკურ ჩანართად**, რომლის ფუნქციაა ხმოვნებს შორის ჰიატუსის თავიდან აცილება. ამგვარი მასალის ანალიზი აჩვენებს, რომ ჰიატუსი აუცილებლად ჩნდება მაშინ, როცა გვაქვს: **ა-ე, ა-ა, ა-ო** ვოკალთა მიმდევრობა. ამ პოზიციაში აუცილებელია **-ლ** ელემენტი. ამგვარი ჩართული თანხმოვანი საერთაშორისო ტერმინოლოგიური სტანდარტის მიხედვით კვალიფიცირებულია **ეპენტეზად**.

ამ დებულებათა გათვალისწინებით მეგრულში სახელური სუფიქსები რანგების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

- I. **ფონეტიკური ჩანართების** რიგი: თანხმოვანთგამყარი (|| **ანაპტიქსი**) **-ი**; ხმოვანთგამყარი (|| **ეპენტეზა**) **-ლ**;
- II. რიცხვის მარკერი (**-ეფ** || **-ემ** || **-ენ**);
- III. ბრუნვის მარკერი (**-ი, -ქ, -ს, -იმ** || **-იმი** || **-ში, -იმა** || **-შა, -იშე** || **-შე, -იშო(თ)** || **-შო(თ)**; **-ით** || **-თი; -თი** || **-ო**);
- IV. მავრცობი ხმოვანი (**-ი, -უ, -გ**); თანდებული (**-ხ** || **-ხი, -ნი** „თვის“, **-წკალა / -წკელა / -წკუმა** „თან“, **-ჯგურა** „მსგავსი“, **-ნი** „თვის“...)
- V. ნაწილაკი (**-ო, -თ(ი)**).

ერთი რანგის მორფემები შეუთავსებელია ერთმანეთთან სინტაგმატურად; რომელიმე რანგის მორფემის გამოტოვებისას რანგობრივი თანმიმდევრობა არ ირღვევა. ყოველი მომდევნო რანგი შეპირობებულია წინათი.

თუკი მორფემათა საზღვარზე ამ მორფემების შემადგენელი ფონემები არაკანონიკურ კომპლექსებს ქმნიან, ენა მიმართავს არაკანონიკურობის დამლევის რამდენიმე გზას – ფონოლოგიურ გარდაქმნას ან ხმოვნის ჩართვას.

როგორც აღვნიშნეთ, თანხმოვანთგამყარი **-ი** და ხმოვანთგამყარი (ეპენტეზა) **-ლ** ერთმანეთთან დამატებითი დისტრიბუციის მიმართებაშია, ანუ ისინი ერთდროულად არასოდეს ჩნდებიან მორფემათა მიმდევრობაში. სწორედ დამატებითი დისტრიბუციაა პირობა იმისა, რომ ისინი ერთ რანგში ერთიანდებიან და ეს არის I რანგი.

პირველი რანგი შეიძლება იყოს გამოტოვებული, თუკი არა გვაქვს შესაბამისი ფონოლოგიური პოზიცია ორი – მოთხრობითი და მიცემითი – ბრუნ-

ვისათვის, ან არ გვაქვს ის 28 ფორმა, რომელთა მრავლობითის საწარმოებლად ბრუნების მთელ პარადიგმაში -ლ-ს ჩართვა აუცილებელია.

მეორე რანგს იჭერს მრავლობითის მაწარმოებელი ალომორფები. მრავლობითი რიცხვის ფორმაში პირველი რანგის მორფემებიდან -ლ-ს წარმოდგენა პოზიციურადაა შეპირობებული, -ი კი არასოდეს ჩნდება, რასაც ასევე პოზიცია აპირობებს.

მესამე რანგი ბრუნვის ნიშანთა რანგია. ის ერთადერთია, რომელიც ყოველთვის არის წარმოდგენილი მიმდევრობაში, ვინაიდან მეგრულში ბრუნების პარადიგმაში ფუძის სახით წარმოდგენილი ბრუნვის ფორმა არ არსებობს.

მეოთხე რანგის არსებობა აუცილებლობით გულისხმობს მესამე რანგის წარმოდგენას, ვინაიდან მხოლოდ ბრუნვის ფორმაა გავრცობილი ხმოვნებით, მაგრამ შეზღუდვა ის არის, რომ მავრცობი ხმოვანი ყველა ბრუნვას არ ერთვის.

ამავე რანგშია თანდებული და საგულისხმოა, რომ იგი ერთვის იმ ბრუნვის ფორმებს, რომელთაც არ ერთვის მავრცობი ხმოვნები. ანუ მავრცობი ხმოვნისა და თანდებულის დისტრიბუციას ბრუნვათა მიხედვით ასეთი სახე აქვს:

- **მავრცობი:** მოთხრობითი, მიცემითი, მოქმედებითი, ვითარებითი, დანიშნულებითი.
- **თანდებული:** ნათესაობითი, მიწვევითი, დამორებითი.

მეხუთე რანგი ნაწილაკისაა, რომელიც ენკლიტიკურად ერთვის ბრუნვის ფორმას, უფრო ზუსტად ბრუნვის თანდებულთან ფორმას ან პირდაპირ ბრუნვის ნიშანს ერთვის. ასეთ შემთხვევაში მავრცობი ხმოვანი რანგში გამოტოვებულია.

ამ შეზღუდვების გათვალისწინების შემდეგ საკმაოდ ადვილია რანგების ფორმულათა აგება:

R-III: ყველაზე მოკლე მიმდევრობაა; ეს არის ბრუნვისნიშანდართული მხ. რიცხვის ნებისმიერი ფორმა:

ოსურ-ი	ოსურ-იში	ოსურ-იშო
ქალი-NOM.SG	ქალი-GEN.SG	ქალი-FIN.SG
ოსურ-ქ	ოსურ-იშა	ოსურ-ით
ქალი-ERG.SG	ქალი-ALL.SG	ქალი-INS.SG
ოსურ-ს	ოსურ-იშე	ოსურ-ო
ქალი-DAT.SG	ქალი-ABL.SG	ქალი-ADV.SG

2. R-I-III: როცა თანხმოვანთგამყარი ი- ერთვის ფუძეს, სახელი მხოლობითი რიცხვის მოთხრობითსა და მიცემითშია:

- | | |
|--|---------------------------------------|
| (1) ბერგ-ი-ქ
თოხი-OBL-ERG.SG | (2) ლექ-ი-ქ
ლორი-OBL-ERG.SG |
| ბერგ-ი-ს
თოხი-OBL-DAT.SG | ლექ-ი-ს
ლორი-OBL-DAT.SG |

3. მრავლობითი რიცხვის ფორმებისათვის ორი ვარიანტია:

- R-II-III: მრავლობითი რიცხვის ფორმა, **ლ-ს** გარეშე წარმოდგენილი:

კორ-ეფ-ი	კორ-ეფ-ქ	კორ-ეფ-ს
კაცი-PL-NOM	კაცი-PL-ERG	კაცი-PL-DAT და ა.შ.

- R-I-II-III: როცა ეპენტეზა **-ლ** ჩაერთვის, სახელი მრავლობითშია და მომდევნო მორფემის დართვა **ლ-თია** განპირობებული, ანუ მას აუცილებლად მოსდევს II რანგის მორფემა:

ჯიმა-ლ-ეფ-ი	ჯიმა-ლ-ეფ-ქ	ჯიმა-ლ-ეფ-ს
ძმა-EP-PL-OM	ძმა-EP-PL-ERG	ძმა-EP-PL-DAT და ა.შ.

4. R-I-II-III-IV - დასაშვებია რამდენიმე კომბინაცია:

- R-III-IV: სქემა ასახავს თანდებულებიან ან ემფატიკური ხმოვნით გავრცობილ ფუძეთა ვითარებას მხოლობითისთვის. მხოლოდ, აღნიშნული მორფემები დამატებითი დისტრიბუციის მიმართებაში არიან, ანუ – მავრცობი ხმოვნისა და თანდებულის ერთდროული რეალიზება შეუძლებელია, ამიტომაც ერთიანდებიან ისინი ერთ რანგში. თანდებულები და მავრცობი ხმოვნები ნაწილდებიან ბრუნვათა მიხედვით:

თანდებულებიანი: მიწვევითი, ნათესაობითი და დაშორებითი:

- (1) **კორ-იშა-ხი** „კაცამდე“
კაც-ALL-PP
- (2) **კორ-ი-ჯგურა** (< *კორ-იმ-ჯგურა < *კორ-იმ-გურა) „კაცის მსგავსი“
კაც-GEN-PP
- (3) **სქან-იშე-ნი** „შენთვის“, „შენ გამო“
შენ-ABL-PP

მავრცობიანი: მოთხრობითი, მიცემითი, მოქმედებითი, დანიშნულებითი და ვითარებითი (ხმოვანფუძიანებთან):

- | | |
|--|--|
| (1) ჭყორ-ქ-ი/უ
მწყერი-ERG-EV | (3) ჭყორ-ით-ი/უ
მწყერი-INS-EV |
| (2) ჭყორ-ს-ი/უ
მწყერი-DAT-EV | (4) ჭყორ-შოთ-ი/უ
მწყერი-FIN-EV |

- R-I-II-III-IV: როცა **ლ-ჩართული** მრავლობითის თანდებულებიანი ფორმა გვაქვს ან **ი-ჩართული** მხოლობითის ფუძეს ერთვის თანდებულები:

- | | |
|--|--|
| (1) ჯიმა-ლ-ეფ-ქ-ი/უ
ძმა-EP-PL-ERG-EV | (3) ჯიმა-ლ-ეფ-ით-ი/უ
ძმა-EP-PL-INS-EV |
| (2) ჯიმა-ლ-ეფ-ქ-ი/უ
ძმა-EP-PL-DAT-EV | (4) ჯიმა-ლ-ეფ-შოთ-ი/უ
ძმა-EP-PL-FIN-EV |

- R-II-III-IV: იგივე მიმდევრობაა წარმოდგენილი I რანგის აფიქსების გარეშე;

5. ნაწილაკი ერთვის უთანდებულო ბრუნვის ფორმას. ვარიანტები:

- R-III-V: **ჯიმა-Ø-თი** • R-I-II-III-V: **ჯიმა-ლ-ეფ-ი-თი**
ძმა-NOM-PTC ძმა-EP-PL-NOM-PTC
- R-II-III-V: **კორ-ეფ-ი-თი** • R-I-II-III-IV-V: **ჯიმა-ლ-ეფ-ი-წკუმა-თი**
კაცი-PL-NOM-PTC ძმა-EP-PL-GEN-PP-PTC

რაც შეეხება ზედსართავს, რიცხვით სახელსა და ნაცვალსახელს, რანგობრივი სტრუქტურის სქემა ყველა სახელისათვის განზოგადებულია, მაგრამ, რომელიმე სახელთან რომელიმე რანგის სუფიქსის არქონის შემთხვევაში, ამ სუფიქსისათვის განკუთვნილი რანგი ამოვარდება. ასე, მაგალითად, რიცხვითი სახელებს არ ეწარმოებათ მრავლობითი რიცხვი, შესაბამისად II რანგი გამოტოვებულია; I რანგის მორფემათა რიგიდან კი რეალიზებულია მხოლოდ -ითანხმოვანთგამყარი: **ხუთ-ი-ქ** „ხუთმა“, **ამშვი-ის** „ექვსს“...

ბევრი ნაცვალსახელი ეტიმოლოგიურად ნაწილაკის ან თანდებულის დართვით არის მიღებული: **მუღვა/მუღვარენი** „რალაცა“, **მიღვა** „ვილაცა“, **თემნერი** „ამის მსგავსი“, **თეზმა** „ამდენი“, **თეჯგურა** „ასეთი“... მიუხედავად იმისა, რომ, ხშირ შემთხვევაში, ნაცვალსახელის ეტიმოლოგია გამჭვირვალეა. ის განიხილება, როგორც წარმოქმნილი ფუძე, რომელიც ირთავს გრამატიკული ფუნქციის მქონე მორფემებს:

მუღვა-ქ-ი-თი
 რალაცა-ERG-EV-PTC

ამდენად, მეგრულში სახელურ მორფემათა სინტაგმატურად რეალიზების სულ 12 შესაძლო კომბინაცია გვაქვს. აქედან, R-III ყველაზე მოკლე მიმდევრობაა, ხოლო R-I-II-III-IV-V – ყველაზე გრძელი. ეს იმას ნიშნავს, რომ მეგრულში სახელების მორფემათა სინტაგმატურ ჯაჭვში შეიძლება რეალიზდეს მინიმუმ ერთი, მაქსიმუმ 5 მორფემა.

შემოკლებები

NOM	სახელობითი ბრუნვა	ADV	ვითარებითი ბრუნვა
ERG	მოთხრობითი ბრუნვა	SG	მხოლობითი რიცხვი
DAT	მიცემითი ბრუნვა	PL	მრავლობითი რიცხვი
GEN	ნათესაობითი ბრუნვა	OBL	თანხმოვანთგამყარი ობლიგატი
ALL	მიწვევითი ბრუნვა	EP	ეპენტეზა
ABL	დაშორებითი ბრუნვა	PP	თანდებული
FIN	დანიშნულებითი ბრუნვა	EV	ემფატიკური ხმოვანი / მავრცობი
INS	მოქმედებითი ბრუნვა	PTC	ნაწილაკი

ლიტერატურა

- გივიბერია 1958:** ე. გივიბერია, *გაღის რაიონის მეგრული*, თბილისის უცხო ენათა პედინსტიტუტის შრომები, ტ. I, თბილისი.
- გუდავა, გამყრელიძე 1981:** ტ. გუდავა, თ. გამყრელიძე, *თანხმოვანთკომპლექსები მეგრულში*, თბილისის უნივერსიტეტი აკაკი შანიძეს, თბილისი.
- დამენია 1982:** მ. დამენია, *ქართული ზმნური მორფემების სტრუქტურული მოდელი*, თბილისი.
- დანელია 1986:** კ. დანელია, *სახელობითი ბრუნვის ი-ნიშის ფუძესთან შეზრდის საკითხი მეგრულ-ჭანურში*, თსუ შრომები, ტ. 267 (ენათმეცნიერება), თბილისი.
- ეზუგბაია 2010:** ლ. ეზუგბაია, *მეგრულ-ლაზურის გრამატიკის საკითხები*, თბილისი.
- კარტოზია და სხვ., 2010:** გ. კარტოზია, რ. გერსამია, მ. ლომია, თ. ცხადაია, *მეგრულის ლინგვისტური ანალიზი*, თბილისი.
- კიფშიძე 1914:** И. Кипшидзе, *Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем*, СПб.
- ლომთაძე 1987:** ა. ლომთაძე, *ბრუნების თავისებურებათა ისტორიისათვის მეგრულში*, თბილისი.
- ონანი 1989:** *ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები (სახელთა მორფოლოგია)*, თბილისი.
- ჩიქობავა 1936:** ა. ჩიქობავა, *ჭანურის გრამატიკული ანალიზი*, ტფილისი.
- ხუბუა 1937:** მ. ხუბუა, *მეგრული ტექსტები*, ტფილისი.
- ჯანჯღავა 1996:** ც. ჯანჯღავა, *ფონეტიკური პროცესები მორფემათა საზღვარზე მეგრულში*, ქართული ენის სტრუქტურის საკითხები, VI, თბილისი.

ლექსიკონები

- Metzler-Lexikon Sprache, 2005:** Metzler-Lexikon Sprache, Helmut Glück (Ed.). Metzler, Stuttgart/ Weimar.
- Bußmann, 2008:** Hadumod Bußmann, *Lexikon der Sprachwissenschaft*, Kröner, Stuttgart.

Rusudan Gersamia

Groups of Morphemes and the Rank Structure of Morphemes in Megrelian

Summary

From the functional point of view, three groups of morphemes are identified in Megrelian: *Lexical (Derivational)*, *Lexico-grammatical*, and *Grammatical (Relational)*.

As far as Derivational, Lexico-grammatical, and/or Relational morphemes are functionally different, they should be delimited while discussing the rank structure of morphemes. A derivational stem is a semantically new one, needing to take on relative morphemes, that is of a different type, in order to establish its relations; these are the

morphemes, having grammatical meanings and not the function of deriving of a semantically different and new entity (lexeme); if a radical morpheme is presented as R (Lat. Radix “root”), there will be a representation for recording a derived stem, meaning that a radical morpheme is derived – extended by means of affixes having lexical meanings.

(R) **Stem = Radical Morpheme** or

(\bar{R}) **Stem = Radical Morpheme + Derivational Morpheme**

Therefore, in the morphological segmentation and appropriate qualification, a stem, having a new meaning, is relevant, and not a radical morpheme; cf.,

- | | | |
|-----|--------------------------------------|---|
| (1) | k'oč-i
man-NOM.SG | k'oč-k
man-ERG. SG |
| (2) | k'očana-Ø
manliness-NOM.SG | k'očana-k
manliness-ERG. SG, etc. |

While ranking the nominal morphemes of Megrelian, morphemes will be arranged only to the right of a stem, that is, morphological segments, attached to a substantive in this language, are only suffixal morphemes.

In constructing a rank structure of substantives, there is an innovation that two new morphemic elements were segmented and included in the rank structure (based on the recent study by G. Kartoza, R. Gersamia, M. Lomia, T. Tskhadaia *Linguistic Analysis of Megrelian*, 2010):

1. Anaptyxis **-i**: an obligate, inserted for the superation of non-canonical clusters.
2. Epenthesis **-l**: a sonorant, having occurred for the sake of avoidance of a hiatus between a radical morpheme and a case marker in 28 plural stems.

With respect to these provisions, Megrelian nominal suffixes will be arranged in ranks in the following way:

- I. Order of **phonetic insertions**: anaptyxic **-i**; epenthesis **-l**;
- II. Number marker (**-ep** || **-em** || **-en**);
- III. Case marker (**-i**, **-k**, **-s**, **-iš** || **-iši** || **-ši** || **-iša** || **-iša**, **-iše** || **-še**, **-išo(t)** || **-šo(t)**; **-it** || **-ti**; **-ti** || **-o**);
- IV. Perseverant vowel (**-i**, **-u**, **-ə**); postposition (**-x** || **-xi**, **-ni** “for”, **-c'k'ala** /**-c'k'ela** “with”, **-žgura** “similar”, **-ni** “for”, ect.);
- V. Particle (**-o**, **-t(i)**).

Totally, there are 12 possible combinations of the syntagmatic realization of nominal morphemes. Of them, R-III is the shortest sequence, while R-I-II-III-IV-V is the longest one. This implies that at least one morpheme and maximum five morphemes may occur in a syntagmatic chain of nominal morphemes in Megrelian.

ნიკო ლობოჯიანი

სულხან-საბა ორბელიანის სალექსიკონო მეთოდოლოგიის ზოგიერთი საკითხი

ნებისმიერ ენობრივ გარემოში მნიშვნელოვანი ეტაპის დასაწყისად ლექსიკონების შექმნა ითვლება. ეს ბუნებრივია, ვინაიდან სწორედ ლექსიკონში ხერხდება ამა თუ იმ ეპოქაში დაგროვილი ცოდნის, დისციპლინარული გამოცდილების აკუმულირება, კონკრეტულ კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში შექმნილი ძირითადი დებულებების სისტემატიზაცია.

ამ თვალსაზრისით ქართული სალექსიკონო, ან ზოგადად, ფილოლოგიური პრაქტიკის მნიშვნელოვან ეტაპად X-XI საუკუნეები უნდა ჩაითვალოს. ეს იყო ეპოქა, როცა ქართველმა მთარგმნელ-რედაქტორებმა დაიწყეს გვიანანტიკურობისა და შუა საუკუნეების ფილოლოგიური ტრადიციის კვალობაზე გაწყობილი პირველი ლექსიკონების შედგენა და მათი გამართვა სისტემატიკის წესების მიხედვით.¹

XVII საუკუნიდან სისტემატიზაციის ახალი ეტაპი დაიწყო – ევროპული ლექსიკოლოგიური და ლექსიკოგრაფიული ტრადიცია ხელახლა შემოვიდა ჩვენში მისიონერული გზით; აღორძინების ხანის ქართული ფილოლოგიური პრაქტიკისთვის ძირითად სახელმძღვანელო ნიმუშად გამოყენებულ იქნა ლათინურ-იტალიური ტრადიცია.² დაბრკოლებების მიუხედავად, ზოგად ლექსი-

¹ ცალკეულ თხზულებებზე დართული ლექსიკოლოგიური მეტატექსტებისა და ევროპე მცირის ცნობილი ლექსიკონის გარდა (მ. შანიძე 1968:77-122) იგულისხმება შემდეგი თხზულებები: 1. კირილე ალექსანდრიელის „ლექსი მათეს თავისა სახარებისა ძნელოანთა სიტყუათა განმარტებად ლექსიკონი (ხელნ. A 65, 340-343), 2. ამავე ხელნაწერში მოთავსებული თარგმანება-ლექსიკონი: „წმიდათა და ღვთივ სულიერთა წიგნთაგან ღმერთშემოსილთა მამათა მიერ გამოკრებული ებრაელთა ენისა სახელები რაოდენიმე თარგმანებად ლექსიკონისად (ხელნ. A 65, 343-349).

² აღორძინების ხანის ქართულ ფილოლოგიურ აზროვნებაზე კათოლიკური სამისიონერო გრამატიკებისა და, ზოგადად, ევროპული ტრადიციის როლისა და გავლენის შესახებ იხ. ბაბუნაშვილი, უთურგაიძე 1991; ბაბუნაშვილი, უთურგაიძე 1992:24-52; ბოედერი 2011: 45-54; ბოლქვაძე 2004:89-90; ორლოვსკაია 1959:135-164; ორლოვსკაია 1960:185-214; ორლოვსკაია 1966; ორლოვსკაია 1974:5-9; ქაროსანიძე 2000:58-87; უთურგაიძე 1990: 123-147; ჩიქობავა, ვათეიშვილი 1983. აქვე შევნიშნავ, რომ ამა თუ იმ საკითხზე მსჯელობისას ვიმოწმებ არა საკითხის შესახებ არსებულ ზოგად ლიტერატურას, არამედ მხოლოდ იმ ნაშრომებს, რომლებიც კონკრეტულ განსახილველ საკითხთან, არგუმენტაციასთან დაკავშირებით განსხვავებულ თვალსაზრისს გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, ვერ გავიზარებ თ. ბოლქვაძის შენიშვნას (ბოლქვაძე 2010:17), რომელიც სამეცნიერო

კოგრაფიულ დისციპლინასთან კავშირი გასულ საუკუნეშიც შენარჩუნდა და საქართველოში განვითარდა მრავალფუნქციური სალექსიკონო ტრადიცია, რომლის აკუმულირება მოხდა *ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში*.¹

კონკრეტულ სალექსიკონო პრაქტიკაში ახალდანიერგული მეთოდი ზოგად-ფილოლოგიურ ტრადიციასთან უშუალო კავშირის დამამყარებელ რგოლად იქცევა ხოლმე. ეს კი ამ მეთოდით გამართულ ლექსიკონს კონცეპტუალურ მნიშვნელობას ანიჭებს. ამ უკანასკნელის შესაფასებლად, პირველ რიგში, უნდა განისაზღვროს, რა მნიშვნელობა ჰქონდა ისტორიულად შეპირობებულ ამ მეთოდს კონკრეტულ ისტორიულ კონტექსტში.

ამ კონცეპტუალურ მხარეს უშუალოდ უკავშირდება წარმოდგენილი სტატიის მთავარი საკითხი: სულხან-საბა ორბელიანის სალექსიკონო მეთოდის ისტორიული შეპირობებულობა, მისი მიმართება, ერთი მხრივ, ძველ ქართულ კულტურულ-საგანმანათლებლო კონტექსტთან და, მეორე მხრივ, XVII-XXVIII საუკუნეების ზოგადფილოლოგიურ ტრადიციასთან.

მთავარი საკამათო საკითხი, შესაბამისად, სტატიის არგუმენტაცია ეხება გასული საუკუნის 70-იან წლებში გამოთქმულ თვალსაზრისს, რომ ქართული ლექსიკოლოგიურ-ლექსიკოგრაფიული და, ზოგადად, ფილოლოგიური საქმიანობის აღმავლობა XVII-XVIII საუკუნეებში სომხურ ტრადიციას უკავშირდება. ეს შეხედულება პირველად ილია აბულაძემ გამოთქვა და იგი ეფუძნება საბას ლექსიკონზე დართული „ანდერძ-ნამავის“ ერთ ფრაზას, რომელშიც საბა ასახელებს ლიტერატურულ წყაროებს და მზამზარეულ ლექსიკონებს, რომლებითაც მას უსარგებლია:

ეთიკას მიწუნებს, რადგან არ ვიმოწმებ მის ნაშრომებს შუა საუკუნეებში ქართული ენის თვისობრივი და ფუნქციური ლეგიტიმაციის საკითხებზე მსჯელობისას. არათიკური უფრო ის მგონია, თ. ბოლქვაძემ მითითების გარეშე რომ გაიმეორა ჩემი არგუმენტაცია და მასთან ერთად ჩემი შეცდომაც „მითვისა“ (იხ. ბოლქვაძე 2004:83). 1999 წელს გერმანიიდან ფოსტით გამოგზავნილი ჩემი სტატიის (დობორჯგინიძე 2000: 20-27) ერთი გვერდი შემთხვევით დაიკარგა. დაკარგული გვერდი იწყებოდა იოვანე პეტრიწისეული ფრაზით, მომდევნო გვერდი კი – იოვანე პეტრიწისა და XIII საუკუნის უცნობი ქართველი ავტორის პერიფრაზით. ასე რომ, გვერდის ამოვარდნის გამო ეფრემს „მეწერა“ პეტრიწისა და უცნობი ავტორის ციტატების პერიფრაზი. თ. ბოლქვაძემ ჩემი არგუმენტაცია „ენათა განსხვავებული ბუნებით შეპირობებული არაუსაკუთრესობის დამლევისა და სიტყვის ძალისა განმარტებების დართვის“ შესახებ (დობორჯგინიძე 1998:123) ისე გაიმეორა, რომ ჩემ მიერ დამოწმებული „ფსევდოფერემის“ წყაროს შემოწმებაც კი არ მოინდომა. თ. ბოლქვაძეს გამორჩა, თორემ ამ უზუსტობის გამო ერთ-ერთ მომდევნო მოხსენებაში (თეზისები დაიბეჭდა) ბოდიში მოვიხადე.

¹ თანამედროვე ქართულ სამეცნიერო სივრცეში, მართალია, დაგვიანებით, მაგრამ მაინც დაიწყო მეთოდოლოგიური თვალსაზრისით ლექსიკოგრაფიის ახალი ეტაპი; ვგულისხმობ კორპუსის მონაცემებზე დამყარებული ლექსიკონების შედგენას. სრულიად ბუნებრივია, რომ დღესაც მისაბაძი ნიმუში ევროპული ენების ლექსიკონთა მეთოდოლოგიაა, როგორც ეს თავის დროზე იყო ბერძნული, ლათინურ-იტალიური და სხვა ტრადიციები.

„და ერთი სომხური მომცრო ლექსიკონი ვნახე, რომელსა მათისავე ენითა ბარგირქი ეწოდების, და მეც მათის ბაძით ეელი მივყავ და, რაოდენი ძალ-მეღვა, აღვწერე. [...] სხვისა ენათა ვნახე და მეც მათის ბაძით აღვწერე“.¹

ამ ცნობის კვალობაზე ილია აბულაძემ საგანგებოდ შეისწავლა სომხური ბეჭდური და მათი წინამორბედი ხელნაწერი ლექსიკონები და დაასკვნა:

1. სულხან-საბა ორბელიანის მიერ ბაძად აღებული სომხური ლექსიკონი არის „სომეხთა ბარგირქი“, ან, როგორც მისი ხელნაწერების სათაურშია ზოგჯერ აღნიშნული, „საქერდოლო სიტყვები“, სახელდობრ, მისი ვრცელი ვარიანტი.
2. ამ ვარიანტის მიბაძვით, მისი წესის ჩვენებით, საბა ადგილს უთმობს თავის ლექსიკონში საკუთარ სახელთა (აღამიანთა და ადგილთა) განმარტებებს.
3. ქართულ ლექსიკონში შეტანილ საკუთარ სახელთა მარაგი და მათი განმარტებანი მხარს უჭერენ რამდენადმე ნიმუშად გამოყენებულ ბარგირქს, ხოლო თითქმის სრულიად ემთხვევიან „საკუთარ სახელთა თარგმანებას“, რომელიც დართული აქვს პირველ ბეჭდურ სომხურ ბიბლიას, ანუ, როგორც ზოგჯერ მას ეძახიან, ვოსკანის, ან ამსტერდამის დაბადებას, ასე რომ, სულხანს ლექსიკონის საკუთარ სახელთა წყაროდ ძირითადად ვოსკანის ბიბლიის საძიებელი გამოუყენებია.²

საბა ნამდვილად იყენებდა სომხურ წყაროებს (შდრ. ტევანი, ტარხუნა. ბერძულში სხვა მხალი სწერია და ლათინურში სხვა და სომხურში სხვა; ტარხუნა სხვათა ენაა, ქართულად ტევანი ჰქვიან);³ ამასთანავე, ვოსკანის ბიბლიის საძიებელსა და საბას ლექსიკონის საკუთარ სახელთა განმარტებებს შორის აშკარა მსგავსებაა, მაგრამ არის თუ არა ეს მსგავსება საკმარისი საბუთი იმისათვის, რომ საბას განმარტებების ძირითად წყაროდ ვოსკანის ბიბლიის საძიებელი მივიჩნიოთ? ნიშნავს თუ არა „მათის ბაძით კელი მივყავ“ სომხური ან ნებისმიერი სხვა ლექსიკონიდან მზამზარეული განმარტებების გადმოწერას? სავარაუდოდ, არა.

ამ საკითხს უშუალოდ უკავშირდება ილია აბულაძის თვალსაზრისი, რომელიც ეხება XVII-XVIII საუკუნეებში საქართველოში ფილოლოგიური ტრადიციის აღმავლობას. შდრ. „გრამატიკის შექმნის ცდები მაშინ [იგულისხმება XVIII საუკუნე] შემთხვევითი და თავისთავადი არ ყოფილა. გრამატიკას იმ დროს პრაქტიკული მიზანდასახულობა გაუჩნდა. იგი სწორმეთქვებისა და მართლწერის ხელოვნებად იქნა მიჩნეული. აქედან გამომდინარეობდა ისიც, რომ მას დაეკისრა როლი მომსახურისა, პირველ ყოვლისა, ე.წ. „ხედვით ანუ სააზატო“ მეცნიერებისათვის. იგი „შეყვანილობის კარად იქნა აღიარებული ამ დარგში შემავალი სქოლასტიკური ფილოსოფიის, ლოგიკისა და რიტორიკი-

¹ სულხან-საბა ორბელიანი 1991:27.

² აბულაძე 1976:200.

³ სულხან-საბა ორბელიანი 1993:134; 135.

სათვის და სწორედ დასახელებული დარგების გამოცოცხლებამ გამოიწვია ამ დროისათვის ჩვენში გრამატიკების წარმოშობაც. [...] ჩვენში ძველთაგანვე ფენმოდგმული დარგების, რიტორიკისა და ფილოსოფიის აღორძინება, უპირველეს ყოვლისა, ძველი შემოქმედების დაჩხრეკასა და შესწავლაში გამოიხატა. ამ შესწავლას, ცხადია, სიძნელეებიც ახლდა ტექსტის დაძლევის მხრით. მას, საგნის თავისებურებასთან ერთად, ენაც ქმნიდა. ძველი ტექსტების წესიერი აღქმისა და მართებული გაგებისათვის ნორმების გამოძუშავება დაიწყო, ხოლო ამის სისრულეში მოყვანა გრამატიკას დაეკისრა. სომხეთში ანალოგიურ ვითარებათა გამო ამ მიმართულებით მუშაობა ადრე გაჩაღდა, ისე რომ, ზოგიერთ სფეროში სომხური წყაროები ბაძი შეიქმნა ქართულისათვის“.¹

გაუმართლებელი იქნება, „ძველი ტექსტების დაძლევისა და ახსნა-განმარტებათა სისტემის შემუშავება“ XVIII საუკუნით დავათარილოთ და პრაქტიკული მიზანდასახულობის ფილოლოგიის გამოცოცხლება სომხურს დავეუკავშიროთ. შუა საუკუნეების ქართული ლინგვისტურ-ჰერმენევტიკული მეტატექსტების, თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის შესწავლა ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს, რომ ამგვარი საქმიანობა ჩვენში XVII-XVIII საუკუნეებში კი არ დაწყებულა, უკვე მეთერთმეტე საუკუნეში სისტემატიზაციის კანონებს დაემორჩილა, როცა ანტიოქიის მთარგმნელობითმა სკოლამ, განსაკუთრებით ეფრემ მცირემ, ძველი ქართული ლინგვისტურ-ჰერმენევტიკული და მთარგმნელობითი პრაქტიკა გვიანანტიკურობისა და შუა საუკუნეების ზოგადფილოლოგიური ტრადიციის მიხედვით გამართა. ეფრემმა თავადვე აღწერა ეს სისტემა ძირითად ტექსტზე დართულ მეტატექსტებში.²

ახლა მივუბრუნდეთ ილია აბულაძის მთავარ არგუმენტს, კერძოდ, უცხო სიტყვების (პირთა და გეოგრაფიული სახელების) განმარტებათა მსგავსებას საბას ლექსიკონსა და ვოსკანის ბიბლიის საძიებელში. ვფიქრობ, ამ შემთხვევაში მსგავსება ვერ გამოდგება საკმარის საბუთად. საქმე ისაა, რომ ებრაულ საკუთარ სახელთა ეტიმოლოგიური განმარტებები, ძირითადად, ბერძნულიდანაა ნათარგმნი სხვადასხვა ტრადიციაში; ამიტომ ერთმანეთის მსგავსია. როგორც არ უნდა შეიცვალოს სიტყვის ეტიმოლოგიის თარგმანი სხვადასხვა ენაში, ის მაინც ინარჩუნებს ძირითად შინაარსობრივ ღერძს. მაგალითად, მო-

¹ აბულაძე 1976:201.

² ძველი ქართული ფილოლოგიური აზროვნების კონკრეტულ საკითხთა შესწავლას მრავალი საინტერესო ნაშრომი მიეძღვნა; მათში დაწვრილებით არის გაანალიზებული ძველი ქართველი ფილოლოგების მთარგმნელობითი და ლინგვისტურ-ტექსტოლოგიური პრინციპები. ანტიოქიის მთარგმნელობით სკოლაში ამ ტრადიციის სისტემატიზაციისა და მისი დოკუმენტირებული ისტორიის შესახებ 2008-2011 წლებში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ხორციელდებოდა ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ ორგანიზებული კვლევა. დაიბეჭდა ორი მონოგრაფია (იხ. ბუზარაშვილი 2011, ოთხმეხური 2011). როცა ეს სტატია დაიწერა, მესამე მონოგრაფია მზადდებოდა გამოსაცემად. ამჯერად იგი გამოცემულია (დობორჯგინიძე 2012).

სეს ეტიმოლოგიური განმარტება (მდრ. მოსე წყლისგან ამაღლებულად გამო-
ითარგმანების) მსგავსია ქართულ, სომხურ, სირიულ, კოპტურ, ეთიოპურ,
არაბულ, ლათინურ, სლავურ ეგზეგეტიკაში. ეს მსგავსება უფრო მათ საერთო
დედანზე, საერთო ტრადიციაზე მიუთითებს და არა ერთმანეთისგან სესხება-
ზე, რომელიმე ერთის მეორე ტრადიციიდან მომდინარეობაზე. თუ მსგავსებას
ავიღებთ საკმარის საბუთად, მაშინ თანაბრად შეიძლება ვამტკიცოთ, რომ
ქართული მომდინარეობს არაბული, კოპტური, ეთიოპური, სირიული, სლავუ-
რი, ერთი სიტყვით, ნებისმიერი ტრადიციიდან, რომელშიც ეს განმარტება
დასტურდება.

საბას ლექსიკონის ებრაულ საკუთარ სახელთა განმარტებების შემთხვევა-
ში, ვფიქრობ, უფრო მნიშვნელოვანია არა მსგავსება, არამედ ქართულ და
სომხურ ლექსიკონებს შორის სხვაობა. ამის შესახებ ილია აბულაძე საგანგე-
ზოდ მიუთითებს: „ისიც უნდა ითქვას, რომ საბას ლექსიკონს ამ ნაწილში
მოეპოვება ზოგჯერ თითო-ოროლა სიტყვის რამდენადმე გავრცობილი განმარ-
ტება, ზოგჯერაც კიდევ ზედმეტი სიტყვა აქვს განმარტებული, ან განუმარ-
ტებელი სახით [...] ისინი შეიძლება ავტორის საკუთრება იყოს, ან ჯერხანო-
ბით უცნობი რომელიმე წყაროდან მოხვედრილი ქართულ ლექსიკონში“.¹

საბას ლექსიკონსა და სომხურ წყაროში განსხვავებულადაა განმარტებუ-
ლი სიტყვები ალილუია, ანგია, ზაქარია. საბა ალილუიას ერთ-ერთ განმარ-
ტებლად კირილე ალექსანდრიელს ასახელებს. ამ ცნობის კარნახით ილია
აბულაძეს საგარაუდო წყარო კირილე ალექსანდრიელის ქართულენოვან ლექ-
სიკონებში უძებნია: „ქართველი ლექსიკოლოგის მიერ დასახელებული კირი-
ლე შეიძლება კირილე ალექსანდრიელი იყოს, მაგრამ მისი აქ მოტანილი
განმარტება კირილეს ზემოთ დასახელებულ ლექსიკონებში არ მოიპოვება.
ალბათ, იგი რომელიმე სხვა წყაროდან უნდა იყოს ამოღებული“.²

ძველი ქართული ჰერმენევტიკული განმარტებების კვლევამ აჩვენა,³ რომ
თითქმის ყველა სხვაობა საბას ლექსიკონსა და სომხური ბიბლიის საკუთარ
სახელთა საძიებელს შორის ძველი ქართული წყაროების მიხედვით იხსნება.
საბა სხვადასხვა დარგის თხზულებებსა და ლექსიკონებში ეძებდა განმარტე-
ბებს და შეძლებისდაგვარად გადაამუშავებდა მათ; როგორც ქართული, ისე
უცხო სიტყვების შემთხვევაში რამდენიმე განსხვავებული წყაროდან ამოკრებ-
და ერთმანეთის შემავსებელ დეფინიციებს. მაგალითად, გალობა სიტყვის სა-
ბასეული განმარტება სამი სხვადასხვა თხზულებიდანაა ამოღებული. აქედან

¹ აბულაძე 1976:201-202.

² აბულაძე 1976: იქვე.

³ არ დარჩენილა ძველი ქართული ლიტერატურის მკვლევარი თუ გამომცემელი, საკვლევ
ძველ ქართულ ტექსტში, იქნება ეს ორიგინალური თხზულება თუ თარგმანი, საბას პირ-
დაპირი წყარო რომ არ დაეძებნა. მათი უმეტესობა საგანგებო სტატიებში ან კონკრეტული
ძეგლის გამოცემებში ზოგადენობრივ თავისებურებებთან ერთად არის გაანალიზებული.

პირველი სიტყვასიტყვით ემთხვევა უცნობი ქართველი ეგზეგეტიკოსის მიერ XII-XIII საუკუნეებში შედგენილ „ფსალმუნთა გამოკრებული თარგმანების“ განმარტებას, დანარჩენი ორი კი ასევე ძველი ქართული მთარგმნელობითი წყაროებიდანაა აღებული.

შლრ. საბას ლექსიკონი: „გალობა არს თვისისაებრ უკვე სიტყვისა ჳმად რა(დ)მე ყოვლისავე ჳმისა მიერ ჳმატკბილობით თქმული და ყოველივე ორლანოთა მუსიკებრითა მადლობა. გალობა არს რაოდენი რა ხედვისა მადლისა ღმრთის(ა) მეტყუელები(თი)სა მქონებელი იყოს. გალობა არს ჳმად ავაჯიანი შეწყობით აღტკვებული თვნიერ ჳმაცემისა რომლისავე ორლანოსა; გალობა არს მართლმადიდებლობითა მიერ ღმრთისმეტყუელება, რომლისა თვით თავით თვისით იწვრთიდეს შეწირვასა ღმრთისასა სულისა სრულისა ვისიმე.¹

ფსალმუნთა გამოკრებული თარგმანება: „გალობა არს თვისისაებრ უკვე სიტყვსა ჳმად რადმე ყოვლისავე ჳმისა მიერ ჳმატკბილობით თქმული და ყოვლითავე ორლანოდთა მუსიკებრითა. [...] გალობა არს ხედვად გონებისად წუულილადი და ღმრთისმეტყუელებად უცთომელი და მართალი, რომელნი-ესე იყვნენ სულთა შინა მართალთასა და იწურთებოდინ მათ მიერ და აღიწვიან სასმენელად უფლისა.²

ამავე პრინციპს მიჰყვება უცხო სიტყვების, კერძოდ ებრაულ საკუთარ სახელთა, ეტიმოლოგიური განმარტებებიც. მაგალითად, მალეთ სიტყვის განმარტება საბას ფსალმუნთა გამოკრებული თარგმანების სხვადასხვა ფსალმუნის განმარტებებიდან ამოუკრებიან.

შლრ. საბას ლექსიკონი: „მაელეთ ხოროდ (ხოროდ Z) გამოითარგმანების (გამოითარგმანება B); მაელეთ დასაბამადაც ითქმის (ZAB) რამეთუ მალეთ ხოროდ გამოითარგმანების. ხორო მწყობრსა სახელ-ედების, მრგვლიად მოწყობილსა, გინა მგალობელსა, ანუ მომღერალთა; მაელეთ (მაელედ D) დასაბამადაც გამოითარგმანების (CbqD).³

ფსალმუნთა გამოკრებული თარგმანება: „მალეთ ხოროდ გამოითარგმანების, ხოლო ხორო მწყობრსა სახელ-ედების, მრგულიად მოწყობილსა, გინა მგალობელთა, ანუ მომღერალთასა (ფსალმ. 52,1). და კუალად მალეთ დასაბამადაც გამოითარგმანების“ (ფსალმ. 87, ზედაწარწერილი).⁴

როგორც ვხედავთ, ფსალმუნთა გამოკრებული თარგმანების კომენტარები ან სიტყვასიტყვით მეორდება საბას ლექსიკონში, ან ლექსიკონის ერთ-ერთი წყაროა. ძველი ქართული მეტატექსტები და საბას ლექსიკონის განმარტებები

¹ სულხან-საბა ორბელიანი 1991:131.

² ფსალმუნთა გამოკრებული თარგმანება, მოსეს გალობა, 1. ამ თხზულებისა და საბას ლექსიკონის განმარტებათა მიმართების შესახებ იხ. ღობორჯგინიძე 2001:188-194.

³ სულხან-საბა ორბელიანი 1991:428.

⁴ იხ. ღობორჯგინიძე 2001:190.

თანხვედბა ერთმანეთს მაშინაც, როცა ქართული ლექსიკონი და ზემოთ დასახელებული ვოსკანის ბიბლიის საკუთარ სახელთა საძიებელი სხვაობას გვაჩვენებს. გამოდის, რომ საბას ლექსიკონის განმარტებებსა და ვოსკანის ბიბლიის საძიებლებს შორის სხვაობა საკუთრივ ქართული წყაროების მიხედვით იხსნება, მსგავსება კი – საერთო ბერძნული დედნებით. ასე რომ, ზემოთ ნახსენები არგუმენტი – განმარტებათა შინაარსობრივი მსგავსება – ვერ გამოდგება საკმარის საბუთად.

რაზე მიანიშნებს ძველ ქართულ წყაროებში სხვადასხვა ადგილას დადასტურებული ფილოლოგიურ-ლექსიკოლოგიური მეტატექსტებისა და საბას ლექსიკონის განმარტებების თანხვედრა? ვფიქრობ, ძველ ქართველ მთარგმნელთა მწიგნობრულ ტრადიციასა და სულხან-საბას ფილოლოგიურ საქმიანობას, ზოგადად, ვახტანგ მეექვსის საგანმანათლებლო ინიციატივას შორის მემკვიდრეობითი კავშირის აღდგენაზე.

კონცეპტუალური თვალსაზრისით, ამ ორი ეპოქის კულტურული ტრადიცია მართლაც ერთიანია, ერთ ხაზს მიჰყვება. შუა საუკუნეების მწიგნობრები თარგმანით, ბერძენთა და ჰრომთა საუკეთესო წიგნების გადმოღებით, ამ წიგნების შედგენის პრინციპების ათვისებით ცდილობდნენ „ბარბაროსწოდებული ქართველთა ნათესავის „განბრძნობას, გონიერ-ყოფას“ და განათლებას.¹

როცა ევრემ მცირემ პირველი ლექსიკონი შეადგინა, „ბაძად და ნიმუშად“ სხვების გამოცდილება აიღო. შდრ. „ესრეთ აქუს ჩუეულებაგ წიგნებსა ბერძენთასა, რადთა ანბანსა ზედა განაწყობდენ ყოველთავე სიტყუათა გამოსაძიებელთა და ღრმათა, რადთა ადვლ იყენენ საპოვნელად. და მას წიგნსა ლექსიკონ უწოდენ. [...] და თითოეულსა წიგნსა – გარეშესა გინა საეკლესიოთაგანსა – ყოველივე ღრმად და გამოსაძიებელი სიტყუად ანბანსა ზედა განწყობილი და შეკრებული, თავად და შესავალად წიგნისა უწერია. ამითვე სახითა აღუწერიან თვსნი ლექსიკონნი ღრმათა სიტყუათათვს ბერძულთა კონსტანტინ-

¹ ეს იყო კარგად გააზრებული კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესი, რომლის დოკუმენტირებული ისტორია შუა საუკუნეების ქართველმა სწავლულებმა ძირითად ტექსტზე დართული სხვადასხვა ტიპის მეტატექსტების სახით დაგვიტოვეს. სწავლულებმა იმპლიციტურ და ტექნიკურ დონეზე შეაფასეს ეს პროცესი. შდრ. გიორგი მთანწმინდლის ცხოვება: [გიორგიმ] „უმეცრებისა იგი საბურველი მოსძარცვა გონებათაგან ჩუენთა, და ვითარცა დღემან ღმრთივ-განათლებულმან მკჷმუნვარე იგი ნისლი უგულისწმოებისა განკადა სულისაგან ჩუენისა, და სივრცითა და სიმაღლითა ღმრთივ-თარგმნულთა წმიდათა წიგნთა მისთადათა ნაკლულევანება ენისა ჩუენისა ადავსო და, რომელნი-ესე ბარბაროს-წოდებულ ვიყვნით ელენთა მიერ უსწავლელობისათვს და უმეცრებისა ჩუენისა, მათთანავე ადგურაცხნა ღმრთისა მიერ მოცემულითა მით სიბრძნითა თვსითა“ (ლოლაშვილი 1994:177). [იოვანე და ექვთიმე ათონელებმა] შეამკვეს და ადაყუავეს ენად ჩუენი და ქუეყანად თარგმანებითა წმიდათა წერილთადათა“ (ჯავახიშვილი 1946:14, 28).

ნე პორფიროგენეტსა და დიდსა კდრილეს ალექსანდრიელსა. [...] რომელსა კუალთა შედგომითა კნინი ესე სახე ჩუენცა გიჩუენეთ თქუენ“.¹

„ყოველთა უბრძნესთაგან“ აითვისა ეფრემმა ლექსიკოლოგიის წესები, სიტყვის მნიშვნელობათა დადგენისა და დეფინიციის პრინციპებიც. შდრ. „არამედ უმრავლესი მათ სიტყუათაგ წერით ანტიოქს შევიცანი და დიდისა საპატრიარქოჲსა ფილოსოფოსთა და მიტროპოლიტთა და თვთ მიერ ყოველთა უბრძნესისა წმიდისა მეუფისა მიერ გამოვძიე საეჭვ ყოველივე; [...] ოდეს სამნი, გინა ოთხნი თარგმანნი პავლისანი და ეგეოდენნივე ლექსიკონნი, რომელ არიან ღრმათა წიგნურთა სიტყუათა ანბანსა ზედა განწობილნი სიტყუანი, ერთად შემოვკრიბნი, მაშინლა ძლით მოუპოდ ქართული შემსგავსებული სიტყუად“.²

ლექსიკონზე დართულ „ანდერძ-ნამაგში“ სულხან-საბა თავად გვიყვება, როგორ გააგრძელა მან ეს ტრადიცია: „რომელნიცა ვიცოდი, დაწვერე, და რომელნიცა ძნელი სიტყუანი არა ვიცოდი, ღრმათა წიგნებთა შინა ვპოე და რომელიმე სხვათა ენა შევამოწმე და გამოწვლილვით რომელნიცა ვპოე, ადვილად თან მოვაწერე. [...] გარნა რაოდენ ძალ-მედვა, ვეცადე ელენთა, ლათინთა, სომხურთა, რუსთა და არაბთა წიგნებისაგან და მით გამოვიღე“.³

ქვემოთ კიდევ რამდენიმე მაგალითს დავასახელებ შუა საუკუნეების ქართველ მთარგმნელთა ლექსიკოლოგიური მეტატექსტებიდან; ვფიქრობ, ისინი საკმაოდ მკაფიოდ, დამაჯერებლად მიუთითებს საბას მეთოდის გენეალოგიაზეც და ამ ორ ტრადიციას შორის უწყვეტი მემკვიდრეობითი კავშირის აღდგენაზეც.

კოლჯვისტენი: ხოლო კოლჯვისტენი არიან მწუღილთა მსყიდველნი დინართა, ესე იგი არს, ფოლთანი, რამეთუ კოლჯვოსი მწუღილი ფოლი არს ელლინთაებრ, რომელსა ჰრომნი ნუმოდ უწოდენ“.

ხვთქი/კროკოდილო: „და კუალად წყალთა შინა იყვნეს მხეცნი იგი, რომელთა მეგვბურად მეფუთ ეწოდების, ხოლო ბერძულად კროკოდილო და ქართულად ხვთქნი.

გვრგვნი/ქელელიელ: ქელელიელ ასურთა ენისაგან ბერძენთა ენასა სტეფანოს და ბერძენთა ენისაგან ქართველთა ენად გვრგვნი“.

ჰე/ამენ: „მოციქულისად ჰე, ამენ. თარგმანი ერთისა სიტყვისა ორითა ენითა თქუა, რამეთუ ებრაელებრ ამენი გამოითარგმანების იყავნი“.

მწუანისფერ: „მწუანისფერ, რომელსა-იგი ბერძენთა ჰრქვან პრასინოს, რომელსა ერქუმის ქართველთა ენითა მწუანისფერ“.

¹ ეფრემ მცირე, ფსალმუნთა თარგმანების შესავალი, იხ. შანიძე 1988:97.

² ეფრემ მცირე, გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილიათა თავისა ანდერძი, ხელნ. A. 110, 7.

³ სულხან-საბა ორბელიანი 1991:28.

ფორო/ფორი: „მოეგებვოდეს მას შორს გარეგან ქალაქისა ადგილთა, რომელთაგანსა პირველსა აპპიოდს ფორი ეწოდებოდა, რამეთუ აპპიოს ვისმე აქუნდა და თვსად ფორად სახელ-ედვა; ესე იგი არს, ხატად თვსა, რამეთუ პრომთა ენითა სამეუფოთა ადგილთა ფორო ეწოდების.“

გუჯარი/კოდიო: „კოდიო არს სახელი პრომაული და ეწოდების გუჯარსა, განვრცელებით მქონებელსა სამეფოთა რათამე პირთა და სჯულის-დებათასა“.

მიგესტნი: „მიგესტნი კულა ეწოდების პრომაულად წიგნსა ყოველთა უპირატესთა ბრძენთასა, ვითარ სოკრატისა, სოლომონისა, პლატონისა, არისტოტელისა“.

ლექსი: „ლექსი ღრმასა სიტყუასა ჰქვან წიგნურსა, რომელსა სოფლურად ნაცვალი სხუად აქუნდეს და ესევეთარსა მას სიტყუასა სომხურად ქერაკანი ჰქვან, ქართულად არა ვიცი, შემინდევით“.

[ჯელსაქმართა სახელები]: ესე ჯელსაქმართა სახელები ზოგი ბერძულადვე დაგწერე, რაჟამს მრავალთაგან გამოვიძიე და ზედამიწევნით ვერვინ მითხრა, რამეთუ ადგილსა და ადგილსა სხუა ჯელთსაქმარი აქუს, და ზოგი აწ არღარა იპოების. ამისთვის დაგდებასა, ანუ ტყუვილით დაწერასა ბერძულადვე დაწერა ვირჩიე, რამეთუ თვთ ბერძენნიცა ამასვე ჰყოფენ, რომელ სხვსა ქუეყნისა ნაყოფსა, რომელი საბერძნეთსა არა დგას, მისვე ენისა სახელითა დასწერენ: შაქარსა – სახარად, ყულყასსა – კულკასად და ზაფრანსა ზაფარად, რომელნი-ესე არაბულითა ენითა არიან და მათსა ქუეყანასა იქმნებიან“.¹

როცა ამ ორ, ქრონოლოგიურად ერთმანეთისგან დაშორებულ, ტრადიციას შორის მემკვიდრეობითი კავშირის აღდგენაზე ვსაუბრობ, მარტო ძველი ქართული განმარტებების, ანუ შინაარსის გადმოღებას კი არ ვგულისხმობ,² არამედ სწორედ მეთოდოლოგიურ ერთიანობას. ეფრემ მცირე და საბა მსგავსად აღწერენ საკუთარ მეთოდოლოგიურ პრინციპებს: კარგად უნდა გამოძიო, როგორც საბა ამბობს, დაჩხრიკო, სად, რომელ ტრადიციაში მუშაობ, ერთი მხრივ, შენი წინაპარი როგორ აკეთებდა ამ საქმეს, მეორე მხრივ კი – სხვები, უფრო გამოცდილები, ან „ყოველთა უბრძენნი“. სწორედ ამ თვალსაზრისითაა ერთიანი ეფრემ მცირის მიერ სისტემატიზებული დისციპლინა და სა-

¹ ძველი ქართული წყაროებიდან მომდინარე ამ განმარტებათა პრინციპების, მათი ბერძნულ-ლათინური თუ სირიული მეთოდოლოგიური საფუძვლების, განსაკუთრებით ქართულ ენაში უცხო სიტყვათა შემოტანის, ადაპტირების თავისებურებათა შესახებ იხ. Dobarjginidze 2009:110-118.

² ზოგიერთი ამ განმარტებათაგან სიტყვასიტყვით მეორდება საბას ლექსიკონში. იხ. კოლჯვისტენი არიან მწვლილთა მსყიდველნი დინართა, ესე იგი არს, ფოლთანი, რამეთუ კოლჯვოსი მწვლილი ფოლი არს ელინთაებრ, რომელსა რომნი ნუმოდ უწოდენ (სულხან-საბა ორბელიანი 1991:381).

ბას ტრადიცია; ეს ერთიანობა კარგად გამოჩნდა მათ მეტატექსტებში, როცა ისინი საკუთარ პრაქტიკას აღწერენ. ამ პრაქტიკაში, როგორც ვნახეთ, ორი უცვლელი ღერძია:

- ა. საკუთარ კულტურულ გარემოში დაგროვილი, დამკვიდრებული ცოდნის, გამოცდილების სრული რეალიზაცია;
- ბ. სხვა კულტურებში შემუშავებულ „წესთა, ჩუქულებათა, მეყვსობათა“¹ ათვისება და გადმოტანა, როგორც ეფრემ მცირე ამბობს, გადმოტვფრვა.² ბერძნული ეტიმოლოგიის ეს სიტყვა (ტვფ<τύπ გადმოტვიფრვა) ნიშნავს ყალიბის მიხედვით ზუსტი ასლის დამზადებას. ეფრემ მცირე მას თარგმანის მეტაფორად იყენებს. თარგმანი, როგორც გადმოტვიფრვა, ზუსტად ასახავს ეფრემის დამოკიდებულებას უცხო ენობრივი თუ კულტურული გარემოდან³ გადმოღებული მოდელებისა და მეთოდოლოგიის მიმართ. როგორც ვნახეთ, ეს ღერძები პრინციპულად ერთიანია, უბრალოდ, რიგის წევრების რიცხვი იმატებ, ან იკლებს; საბას შემთხვევაში, ეფრემისეულ ბერძნულს, ლათინურს, სირიულს, სომხურს და არაბულს რუსული შეემატა.

ამდენად, ეს ორი ძირითადი ხაზი განსაზღვრავდა საბას ლექსიკოგრაფიულ და ლექსიკოლოგიურ პრაქტიკას: ახალ პირობებში, ახალი ამოცანების მიხედვით რეალიზებული ტრადიცია და სხუათა ენათა წესი, რომელთა თანამიმდევრობა, უფრო სწორად, თანამიმდევრობა ამა თუ იმ ტრადიციასთან სიანლოვის თვალსაზრისით საბამ ზუსტად განსაზღვრა ხსენებულ „ანდერძნამაგში“. საბას მიერ დალაგებული ნუსხა შემთხვევითი არაა და ასახავს ევროპული, ანუ ბერძნულ-ლათინური ტრადიციის როლს და მნიშვნელობას მის ლექსიკოგრაფიულ თუ. ზოგადად, ფილოლოგიურ საქმიანობაში: „რაოდენ ძალ-მედვა, ვეცადე ელენთა, ლათინთა, სომხურთა, რუსთა და არაბთა წიგნებისაგან და მით გამოვიღე“.

ამ ვარაუდს მხარს უჭერს უკანასკნელ ხანს რომის წიგნთსაცავებში მიკვლეული აქამდე უცნობი ქართული თუ იტალიური წყაროები, XVIII–XIX საუკუნეებში ევროპელ მისიონერთა მიერ ახალციხეში, გორსა და თბილისში შედგენილი ლექსიკონები, ქართული ენის მოკლე აღწერილობები თუ გრამატიკა.⁴

¹ ფსალმუნთა გამოკრებული თარგმანება, იხ. ხელნ. S. 1472, 68, 14.

² შდრ. ეფრემ მცირე, იოვანე დამასკელის „დიალექტიკის“ ქართულ თარგმანზე დართული მეტატექსტი: „გადმოტვფრვად ჩუენსა ენასა ზედა“ (იხ. რაფაგა 1976:66).

³ კვლევამ აჩვენა, რომ ტექსტის თარგმნის, ინტერპრეტაციის, თარგმანის ახალი რედაქციისა თუ ზოგადად სკრიპტორიუმებში ხელნაწერი წიგნის მომზადების ეფრემისეული პრაქტიკა ძირითადად ბერძნულ-ლათინური და სირიული ფილოლოგიური ტრადიციიდან იღებს სათავეს. იხ. დობორჯგინიძე 2012:152-163.

⁴ ვეყრდნობი კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ ორგანიზებული პროექტის ფარგლებში რომის არქივებში მოპოვებულ მასალას, რომლის კატალოგი მომზადებულია დასაბეჭდად.

ლექსიკოგრაფიის განვითარება სამისიონერო პრაქტიკის ორგანული ნაწილი იყო.¹ მისიონერთა ლინგვისტური და ლექსიკოგრაფიული საქმიანობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, ამავე დროს, უაღრესად რთული, იყო არავეროპელი ხალხის მისიონირებისას. მუშაობის I ეტაპზე მისიონერი მთარგმნელები ადგილობრივი დამხმარეების მეშვეობით აღწერდნენ ენის კანონზომიერებებს, შეადგენდნენ გრამატიკასა და ლექსიკონებს, მომდევნო ეტაპზე კი ბიბლიის ტექსტს თარგმნიდნენ.²

რაც შეეხება საქართველოს კათოლიკურ მისიებს, მისიონარული სამუშაოს მეორე ეტაპი (ბიბლიის თარგმნა) მათ არ დასჭირვებიათ. კათოლიკური ლიტურგიის კანონიკურ ტექსტად აღიარებულ იქნა ეკლესიათა განყოფამდე შესრულებული ბიბლიის ძველი ქართული თარგმანი. რომის წიგნთსაცავებში ახლახან აღმოჩენილ ლათინურ და იტალიურ წყაროებში კარგად არის დოკუმენტირებული როგორც ამ აღიარების ცალკეული დეტალი, ისე ბიბლიის ძველი ქართული თარგმანის ისტორიის საკითხები.³

ამ წყაროებში არაერთგზის აღნიშნულია, რომ საქართველოს მისიებში როგორც კაპუცინელებმა, ასევე სხვა ორდენის უცხოელმა წევრებმა იციან ქართული და იყენებენ ბიბლიის ძველ ქართულ თარგმანებს;⁴ მისიონერების თქმით, ეს თარგმანები, ბერძნულისგან მხოლოდ ერთ განსხვავდება და შეს-

¹ ამ სამისიონარო ლექსიკონებმა და გრამატიკებმა ფასდაუდებელი სამსახური გაუწია ადგილობრივი ენების ემანსიპაციის პროცესს, მართო აფრიკის კონტინენტზე პირველი მსოფლიო ომიდან მოყოლებული 450 ენას ითვლიან, რომლებიც თავიდან სამისიონერო ლექსიკონებისა და გრამატიკების შედგენით, შემდეგ კი ადგილობრივ ენაზე ბიბლიის თარგმანებისა და ლიტურგიის წყალობით იქცნენ სამწერლობო ენებად და რეალურად გადაურჩნენ გაქრობას. ამან უდიდესი სამსახური გაუწია ენათმეცნიერებასაც. ცნობილია, რომ ელჟარდ სეპირის დიდი აღმოჩენები კანადის ინდიელების ენებზე სწორედ ამ ტიპის სამისიონერო ლექსიკონებისა და გრამატიკების მდიდარ მასალასაც ეყრდნობოდა. სამისიონერო თარგმანების, გრამატიკებისა და ლექსიკონების შესახებ იხ. Wootton 1980: 299-311.

² ლინგვისტური და ლექსიკოგრაფიული საქმიანობა დღეს სამისიონერო მეცნიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. ევროპის უნივერსიტეტებში საგანგებოდ ამზადებენ მისიონერ მთარგმნელებს ჯერ შეუსწავლელი ენების აღსაწერად, ორენოვანი ლექსიკონების მოსამზადებლად და შემდეგ ამ ენებზე ბიბლიის სათარგმნელად.

³ მხედველობაში მაქვს „პროპაგანდა ფიდეს“ აღმოსავლეთის ეკლესიათა კონგრეგაციის არქივის მასალები (Sacra congregazione per la Chiesa Orientale. Scrittura riferite nei Congresses Georganni 1861 -1892), რომლის აღწერილობა შეტანილია კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ ორგანიზებული პროექტის ფარგლებში მომზადებულ კატალოგში.

⁴ შდრ. “e gli stessi missionari cappucini, ce sapevano la lingua giorgiana, si servivano di questi libri stampati in Georgia o in Mosca per leggere il vangelo nella Messa in Georgiano. Percio il rito Giorgiano e’ uno di quei antichi riti, che fa la gloria e splendore della chiesa cattolica apostolica o Romana” (იხ. Sacra congregazione per la Chiesa Orientale. Scrittura riferite nei Congresses Georganni 1861 -1892, f. 328).

რულებულია ძველ ქართულ საეკლესიო ენაზე (შდრ. *lingua antica giorgiana coi carrateri ecclesiastici*).¹ როცა კათოლიკური ეკლესიები დაარსდა საქართველოში, კათოლიკებმა აღიარეს ეს წიგნები, ვინაიდან სარწმუნოდ იყო გადმოთარგმნილი ქართულად; ამიტომაც ქართულ მართლმადიდებლურ და კათოლიკურ ლიტურგიაში (*rito Greco-Georgano e rito Latino-Georgiano*) ერთსა და იმავე ძველ ქართულ თარგმანებს იყენებენ.²

საინტერესო, რელიგიური, კულტურული ცხოვრების ამსახველი ეს წყაროები, ცხადია, სცდება საბასდროინდელ საქართველოში ლექსიკოლოგიური, ზოგადად, ფილოლოგიური საქმიანობის აღმავლობის საკითხებს; საგანგებოდ უნდა იქნეს შესწავლილი კათოლიკური რელიგიური ინკულტურაციის როლი ქართული ენის ფუნქციური სფეროების განვითარების თვალსაზრისით ჯერ მუსლიმანური ექსპანსიის, შემდეგ კი, მეცხრამეტე საუკუნეში, რუსიფიკაციის პირობებში.³ ვატიკანის არქივებში დაცული ახლად აღმოჩენილი საკმაოდ მდიდარი მასალა სწორედ ვახტანგ მეექვსისა და სულხან-საბას ეპოქის საგანმანათლებლო ინიციატივების შესასწავლად არის მნიშვნელოვანი.

ლიტერატურა

- აბულაძე 1976:** ილ. აბულაძე, *სულხან-საბა ორბელიანის სომხური წყაროები, ილია აბულაძე, შრომები, ტ. II*, რედ. გ. ნინუა, ც. ქურციკიძე, გვ. 188-206, თბილისი.
- ბაბუნაშვილი, უთურგაიძე 1991:** ე. ბაბუნაშვილი, თ. უთურგაიძე, *ანტონ პირველის „ქართული ღრამმატიკა“ და მისი ეროვნულ-ისტორიული მნიშვნელობა*, თბილისი.
- ბაბუნაშვილი, უთურგაიძე 1992:** ე. ბაბუნაშვილი, თ. უთურგაიძე, *ზურაბ შანშოვანის „მოკლე ღრამმატიკა ქართული ენისა“*, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწადეული XVIII-XIX, გვ. 24-52, თბილისი.
- ბეზარაშვილი 2011:** ქ. ბეზარაშვილი, *ბიზანტიური და ძველი ქართული რიტორიკული თეორიისა და ლექსთწყობის საკითხები ანტიოქიური კოლოფონების მიხედვით, წიგნი I, II*, თბილისი.
- ბოედერი 2011:** ვ. ბოედერი, *პირიანობის კონცეფცია ანტონის გრამატიკასა და თანამედროვე ლინგვისტიკაში*, ქართველოლოგი, მეხუთე საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმის მასალები [თბილისი 21-24 მაისი, 2006], გვ. 45-54, თბილისი.
- ბოლქვაძე 2004:** თ. ბოლქვაძე, *იდეოლოგიზებული ღირებულებები*, თბილისი.
- ბოლქვაძე 2010:** თ. ბოლქვაძე, *ქართული ნაციონალური იდენტობის წრთობა: ილიას ივერია*, თბილისი.

¹ იქვე. ფოლიო 328.

² იქვე. ფოლიო 328.

³ ამ საკითხებზე ილიას უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ცენტრის სამეცნიერო პროექტის ფარგლებში გამოსაცემად მზადდება საგანგებო მონოგრაფია.

- დობორჯვინიძე 1998:** ნ. დობორჯვინიძე, *ფსალმუნთა გამოკრებული თარგმანება და ძველი ქართული ლინგვისტური აზროვნების საკითხები*, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი.
- დობორჯვინიძე 2000:** ნ. დობორჯვინიძე, *ენის გზით ნაციონალური იდენტობისა და რელიგიური უნივერსალიზმის გამოხატვის ზოგიერთი თავისებურება ქრისტიანულ შუა საუკუნეებში*, კრებულში: ენა და კულტურა, თბილისის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ბოხუმის უნივერსიტეტის ორენოვანი სამეცნიერო ჟურნალი, 1, გვ. 20-27, თბილისი.
- დობორჯვინიძე 2001:** ნ. დობორჯვინიძე, *ეტიმოლოგიურ-ლექსიკოლოგიური ხასიათის კომენტარები „ფსალმუნთა გამოკრებული თარგმანებიდან“*, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 30, გვ. 188-194, თბილისი.
- Doborjginidze 2009:** Doborjginidze N., *Die georgische Sprache im Mittelalter* (=Sprachen und Kulturen des christlichen Orients, Bd. 17), Wiesbaden.
- დობორჯვინიძე 2012:** ნ. დობორჯვინიძე, *ლინგვისტურ-ჰერმენევტიკული მეტატექსტები. პრაქტიკული გრამატიკა და ჰერმენევტიკა X-XIII საუკუნეების ქართულ წყაროებში*, თბილისი.
- Wootton 1980:** Wootton R. W., *Bibelübersetzungen in außereuropäischen Sprachen*, იხ. Theologische Realenzyklopädie, ტ. 6, გვ. 299-311.
- ლოლაშვილი 1994:** ი. ლოლაშვილი, *გიორგი მცირე, ცხოვრება გიორგი მთაწმიდელისა*, ტექსტი გამოკვლევითა და ლექსიკონითურთ გამოსაცემად მოამზადა ივანე ლოლაშვილმა, თბილისი.
- ორლოვსკაია 1959:** ნ. ორლოვსკაია, *XVIII საუკუნის ანონიმური ქართული გრამატიკა იტალიურ ენაზე*, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 75, გვ. 135-164, თბილისი.
- ოთხმეზური 2011:** თ. ოთხმეზური, *კომენტარული ყანრი შუა საუკუნეების ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში. ეფრემ მცირე და გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა კომენტარები*, თბილისი.
- ორლოვსკაია 1960:** ნ. ორლოვსკაია, *იტალიური მასალა სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში*, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 85 (დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის სერია), გვ. 185-214, თბილისი.
- ორლოვსკაია 1974:** ნ. ორლოვსკაია, *XVII საუკუნის ქართულ-იტალიური ლექსიკონები*, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 1974 (4), გვ. 5-9, თბილისი.
- რაფავა 1976:** მ. რაფავა, *იოვანე დამასკელი, დიალექტიკა*, ქართული თარგმანების ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მ. რაფავამ, თბილისი.
- სულხან-საბა ორბელიანი 1991:** სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, გამოსაცემად მოამზადა ი. აბულაძემ, ტ. 1, თბილისი.
- სულხან-საბა ორბელიანი 1993:** სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, გამოსაცემად მოამზადა ი. აბულაძემ, ტ. 2, თბილისი.
- უთურგაიძე 1990:** თ. უთურგაიძე, *ქართული ენის შესწავლა იტალიელ მისიონერთა მიერ და მათი მეცნიერული ნაზრების ურთიერთმიმართება*, იხ. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება XXIX, გვ. 123-147, თბილისი.
- შანიძე 1988:** მ. შანიძე, *შესავალი ეფრემ მცირის ფსალმუნთა თარგმანებისა (ტექსტი და შენიშვნები)* იხ. ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 11, გვ. 77-122, თბილისი.

ჩიქობავა, ვათეიშვილი 1983. ა. ჩიქობავა, ვ. ვათეიშვილი, *პირველი ქართული ნაბეჭდი გამოცემები*, თბილისი.

ჯავახიშვილი 1946. ი. ჯავახიშვილი, *გიორგი მთაწმინდელი: ცხოვრება იოვანესი და ეფთვიძესი* (=ძველი ქართული ენის ძეგლები 3), თბილისი.

Nino Doborjginidze

Some Aspects of Sulkhan-Saba Orbeliani's Lexicological Method

Summary

The presented article deals with the principles of Georgian lexicological tradition, namely, with the definitions provided by the Dictionary of Sulkhan-Saba Orbeliani, as well as with the genealogy of these principles. The study shows that Saba's lexicological practice is based on the Old Georgian lexicological and, generally, Philological tradition, on the one hand, and on the European missionary lexicological principles, on the other. The unity in both methodology and content is affirmed between the Old Georgian lexicological tradition and Saba's lexicological principles. This article aims at demonstrating how on the basis of this coincidence the hereditary relation was restored between the literary tradition of the Old Georgian translators and lexicographic practice of Sulkhan-Saba. The article shows why the idea that was many times expressed in the scholarly literature concerning the alleged connection between the revival of the philological disciplines, and lexicology-lexicography among them, as well as with the Armenian cultural-educational context in the 17-18th centuries is unjustified.

Saba's lexicological principles are also compared to the missionary lexicological tradition that was introduced in Georgia in the 17-18th centuries. With this respect, the Georgian and Italian sources, recently discovered in the libraries of Rome (Archivio Storico di Propaganda Fide, Sacra congregazione per la Chiesa Orientale, Archivi delle missioni dei padri Teatini e dei padri Cappuccini) are discussed as well.

ნათია ღუნდუა

ოშპის ბიბლიაში დაცული ტობის წიგნის
წარმომავლობის საკითხი

როგორც ცნობილია, ძველი აღთქმის ქრისტიანულ კანონს საფუძვლად დაედო ბიბლიის სექტუაგინტას თარგმანი, რომელშიც, გარდა ბიბლიის ებრაულ კანონში შემავალი წიგნებისა, ასევე შევიდა სხვა წიგნებიც. ქრისტიანულმა ეკლესიამ ეს თარგმანი მიიღო სრული შედგენილობით (კანონიკური და „არაკანონიკური“), ამავე შედგენილობით ითარგმნა იგი შემდეგ სხვა ენებზე და შევიდა ყველა ძველი ეკლესიის საღმრთისმსახურო პრაქტიკაში (TRE).

წიგნი ტობისი ერთ-ერთი ის წიგნია, რომელიც ებრაულ კანონში არ შესულა და, შესაძლოა ამიტომაც, მისი ებრაული დედანიც არ არის შემორჩენილი. ასეთი წიგნები ხშირად რამდენიმე ტექსტუალური ფორმით არსებობს. შესაბამისად, მათი თარგმანებიც უმეტეს შემთხვევაში ჭრელ სურათს იძლევა.

ტობის წიგნის თავდაპირველ ენად ზოგი ბერძნულს (Fritzsche 1851; Nöldeke 1879) ვარაუდობს, ზოგი – ებრაულს (Дроздов 1901:245-247; Eissfeldt 1964:792-793), ზოგიც – არამეულს (Charles 1965:181). ტობის წიგნის უძველესი წყაროებია ერთი ებრაული (4Q200) და ოთხი არამეული (4Q196-199) ფრაგმენტები, რომლებიც ყუმრანშია ნაპოვნი. სავარაუდოდ, ამ ენებზე უნდა არსებულიყო სრული ტექსტი ტობის წიგნისა, თუმცა ფრაგმენტებით შემონახულია არამეული ტექსტის მხოლოდ ოცი პროცენტი, ხოლო ებრაულის – ექვსი პროცენტი (Hallermayer 2007:6).¹

ტობის წიგნის წარმოშობას ბიბლიოლოგები ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნის ბოლოდან ახალი წელთაღრიცხვის III საუკუნის I ნახევრამდე სხვადასხვა დროს ვარაუდობენ (Eissfeldt 1964:790-793; Дроздов 1901:530-624). ავტორად ზოგი პალესტინელ, ზოგი კი – ეგვიპტელ ებრაელს მიიჩნევს (Дроздов 1901:624-633; Юнгеров 1907:177).

ტობის წიგნმა ჩვენამდე ბერძნულ ენაზე სამი ტექსტუალური ფორმით მოაღწია, რომელთაგან ორი სრულადაა შემორჩენილი (LXX^I და LXX^{II}),

¹ M. Hallermayer, “Text und Überlieferung des Buches Tobit”, Walter de Gruyter, Berlin, 2007. მონოგრაფია წარმოადგენს ბიბლიური ტექსტის კრიტიკულ ანალიზს, რომელიც ეფუძნება ბერძნული სექტუაგინტას ტექსტის ლათინური თარგმანებისა და ყუმრანში ნაპოვნი არამეული და ებრაული ფრაგმენტების შედარებას. ავტორი განიხილავს ტექსტის თავდაპირველი ვარიანტის დადგენის სირთულეებს.

ხოლო ერთი – არასრულად (LXX^{III} (6.9-12.22)). პირველიდან მომდინარეობს ბერძნული ხელნაწერების უმეტესობა, რომელთაც ეყრდნობა *კობტურ-საჰიდური, ეთიოპური, სომხური და სირო-ჰექსაპლური* თარგმანები; მეორედან – S (910: 2₂ πολ]λα - 8 και ιδου: vgl. TGT), 319 (3₆ - 6₁₆ τουσ) და La; ხოლო მესამედან – d (6₉-12_{fin}) და Sy (7₁₁ και νιν - 12₂₂).

აღნიშნულ სამ ტექსტუალურ ფორმას შორის კავშირის შესახებ რ. ჰანჰარტი *ტობის წიგნის* კრიტიკულ გამოცემაში აღნიშნავს: მათი თანხედობა იმდენად დიდია, რომ უნდა ვივარაუდოთ ტექსტებს შორის ურთიერთდამოკიდებულების არსებობა. თუმცა, მეორე მხრივ, მათ შორის განსხვავებები იმდენად სერიოზულია, რომ ისინი არ შეიძლება მივიჩნიოთ ერთმანეთის რეცენზიებად და უნდა განვიხილოთ, როგორც დამოუკიდებელი წარმომავლობის ტექსტუალური ფორმები.

LXX^{II} ტექსტუალური ფორმა არის LXX^I-ისგან განსხვავებით ძალზე გავრცობილი თხრობა, ხშირად ახასიათებს განმეორებითობა, და მეტად სემიტიზირებული თავისებური ენობრივი ფორმა, რომლის თარგმნის ტექნიკაც დღეს ყუმრანის ფრაგმენტებშიც დასტურდება. კითხვა იმის თაობაზე, თუ რომელ ტექსტუალურ ფორმას აქვს პრიორიტეტი – LXX^I-ს თუ LXX^{II}-ს, რჩება ღიად. რაც შეეხება LXX^{III}-ს, იგი უნდა იყოს LXX^I და LXX^{II}-სგან განსხვავებული ტექსტუალური ფორმა, რომელიც ძირითადად LXX^{II}-ს მიჰყვება. ამ ტექსტუალური ფორმის ძველი ლათინური თარგმანიც მასთან უფრო ახლოს დგას, ვიდრე Codex Sinaiticus, რომელიც აგრეთვე LXX^I-ის მეორეულ ტექსტუალურ ელემენტებს შეიცავს. რ. ჰანჰარტის აზრით, LXX^{III} შემდგომ ეტაპზე განვითარებული ტექსტია, რომელიც სინურ კოდექსში დაცული LXX^{II} ტექსტის საფუძველზე უნდა იყოს აღმოცენებული.

I. *ტობის წიგნის* ბერძნული ხელნაწერები და მათი ურთიერთმიმართება

ტექსტის ისტორია

ტობის წიგნის გამოცემებიდან ყველაზე სრული (რადგან მასში ასახულია ყველა არსებული ხელნაწერი) არის გოტინგენის სეპტუაგინტას რ. ჰანჰარტისეული გამოცემა.¹ იგი თავის ნაშრომში *ტობის წიგნის* ბერძნულ ხელნაწერებში შემდეგ ტექსტუალურ ჯგუფებს გამოჰყოფს:

LXX^I: B A V (990: 12₁₄₋₁₉ გამოტოვებებით) *a b c d* (1 - 6₈ 13₁ - 14₁₅) 46 55 108 126 311` 318 319 (1 - 3₅ 6₁₆ ბτλ - 14₁₅) 392 488 535 583 Sy (1 - 7₁₁ νκτα Sy, 7₁₁ ἀλλὰ - 12₂₂ Sy⁰, 13₁₋₁₈ Sy⁰ Sy, 14₁₋₁₅ Sy⁰) Sa Aeth Arm
a რეცენზია: *a* = 71-74-76-130-236-314-370-402-542-762
 74` = 74-76

¹ R. Hanhart, *Text und Textgeschichte des Buches Tobit*, Göttingen, Vandenhoeck & Ruprecht, 1984.

b რეცენზია: *b* = 64-98-243-248-381-728-731

c რეცენზია: *c* = 58-249-670

249` = 249-670

d რეცენზია: *d* = 106-107

Codices mixti: 46 55 108 126 311 318 319 392 488 535 583 746

311` = 311-746.

LXX^{II}: S (910: 2₂ πολ[λ]α - 8 και εδου: vgl. TGT) 319 (3₆ - 6₁₆ τουτου) La.

LXX^{III}: *d* (6₉-12₂₂) Sy (7₁₁ και ν̄ν - 12₂₂).

II. *ტობის წიგნის ქართული წყაროები*

ტობის წიგნის ქართული წყაროებია:

ოშკის ბიბლია: ათონის №1 ხელნაწერი 978 წლისა;

A-579 ხელნაწერი 1460 წლისა;

A-646 ხელნაწერი XVI საუკუნისა;

H-885 ხელნაწერი XVII საუკუნისა;

მცხეთის ბიბლია: A-51 ხელნაწერი XVIII საუკუნის დამდეგისა;

ბაქარის ბიბლია: ნაბეჭდი, 1743 წლისა.

ტობის წიგნიდან (მისი პირველი თავიდან) რამდენიმე ნაწყვეტი ინახება აგრეთვე სომხეთში, მატენადარანში. **მატენადარანის №7125** ხელნაწერს *ტობის წიგნის* შემცველი ფურცელი საცავ ფურცლად ჰქონია გამოყენებული.

ტობის წიგნზე მუშაობდა ციალა ქურციკიძე (ქურციკიძე 1970:117-126); იგი თვლის, რომ ოშკის ბიბლიაში დაცული *ტობის წიგნი*, A-579, A-646 და H-885 ხელნაწერები ერთ ტექსტურალურ ჯგუფს ქმნიან. მათგან მთარგმნელის ტექსტთან ყველაზე ახლოს მდგომი ტექსტი A-646 წყაროა.

რაც შეეხება *ტობის წიგნს* მცხეთის ბიბლიაში, როგორც ც. ქურციკიძემ დაადგინა, XVIII საუკუნის დამდეგს საგანგებოდ მცხეთის ბიბლიისთვის C რედაქციის ტექსტი ლათინური ვულგატის მიხედვით გადაუშუშავენიათ. რაკი ლათინური ვულგატის ტექსტი თავისთავად დიდად სხვაობს ე.წ. C რედაქციისაგან, ქართულ თარგმანში მივიღეთ სრულიად ახალი რედაქცია – C და ვულგატისეული რედაქციების ნარევი.

ბაქარის ბიბლიისეული ტექსტისათვის ამოსავალია *ტობის წიგნის* სლავური თარგმანი (ქურციკიძე 1970).

მოხსენება ეხება *ტობის წიგნის* ოშკურ ვერსიას, კერძოდ, Ath-1 ხელნაწერში დაცულ ტექსტს.

III. ხელნაწერის აღწერილობა

ოშკის ბიბლიაში *ტობის წიგნი* ხელნაწერის ბოლოსაა დართული, უჭირავს 529r-531r, ნაწერია პერგამენტზე, რომელიც დაზიანებულია, ამის გამო ტექსტის გარკვეული ნაწილი არ იკითხება. *ტობის წიგნი* აქ ნაკლებია, შე-

იცავს ტექსტს V თავის პირველი მუხლიდან (მუხლის მეორე ნახევრიდან) XII თავის პირველი მუხლის ჩათვლით. ხელნაწერში ტექსტის სწორი თანამიმდევრობა გვერდების პაგინაციის მიხედვით ასეთია: 529r, 529v, 531r, 530r, 530v. *ტობის წიგნი* ხელნაწერში თავისებური, დანარჩენი ნაწილისაგან განსხვავებული, ხელითაა დაწერილი. ტექსტი დაწერილია ორ სვეტად, თითოეულ სვეტში 48 სტრიქონია. იგი ცოტა მოგვიანებით (არაუგვიანეს XI საუკუნისა) უნდა გადაეწერათ და დაერთოთ ოშკის ბიბლიისათვის. ტექსტი გადმოწერილი ჩანს ნაკლული დედნიდან (ქურციკიძე 1973:125). დანარჩენ ხელნაწერებში *ტობის წიგნის* ტექსტი სრულადაა შემონახული. გასარკვევია: ა) ოშკურ კრებულში იყო *ტობის წიგნის* სრული ტექსტი, რომელიც შემდეგ დაიკარგა, თუ ბ) არასდროს არ ყოფილა და კრებულის შესავსებად მოგვიანებით მიამატეს ეს ნაკლული ტექსტი. ამ კითხვებზე პასუხს კოდიკოლოგიური კვლევის გარეშე ვერ გავცემთ. მართალია, ოშკის ბიბლიაში *წიგნი ტობისი* ნაკლულადაა წარმოდგენილი, მაგრამ ოშკური რედაქციის სხვა ხელნაწერების მიხედვით, რომლებიც ერთმანეთის იდენტურია, შეგვიძლია აღვადგინოთ პირველთარგმანი.

III.1. *ტობის წიგნის* (ოშკური ხელნაწერის) მიმართება ბერძნულ ხელნაწერებთან

ტობის წიგნის ქართული ტექსტის შესასწავლად: მის გამოსაცემად და ტექსტუალური ანალიზის ჩასატარებლად, თარგმანის ტექნიკის დასადგენად, ტექსტის ჰერმენევტიკისათვის და ა.შ., პირველ რიგში, საჭიროა დადგინდეს ქართული ტექსტის მიმართება ბერძნულ ხელნაწერებთან. ამჯერად ჩვენ თარგმანის წარმომავლობაზე ვერ ვისაუბრებთ, რადგან არ გვაქვს კრიტიკულად დადგენილი თარგმანთან ახლოს მდგომი ტექსტი. ამიტომ ჩვენ ვლაპარაკობთ O-ს მიმართებებზე უცხოენოვან წყაროებთან და ვგულისხმობთ, რომ პარალელები შესაძლებელია იყოს როგორც თარგმანის ეტაპის, ისე რეცენზირებისას გაჩენილი. თუმცა, როგორც ვნახეთ, ეს პარალელები უფრო წარმომავლობაზე მიგვითითებენ.

III.2 კვლევის მეთოდოლოგია

ტობის წიგნის ოშკური ვერსიის ბერძნულ ხელნაწერებთან მიმართების დასადგენად საჭიროა თავდაპირველად გაირკვეს, თუ რომელ ბერძნულ ტექსტუალურ ფორმას მიჰყვება ქართული თარგმანი. განსხვავება ამ სამ ტექსტუალურ ფორმას შორის იმდენად თვალსაჩინოა, რომ არგუმენტების მოტანა საჭირო არ არის. ნათლად ჩანს, რომ ქართული LXX^{III}-ს მიჰყვება. სომხურიდან მომდინარეობა, რომელიც ყოველთვის მოიაზრება ქართულის სავარაუდო დედნად, იმთავითვე გამოირიცხა, რადგან სომხური თარგმანი LXX^I-დან

არის შესრულებული. ამის შემდეგ დავიწყეთ გარკვევა, თუ ამ ტექსტუალური ჯგუფის კონკრეტულად რომელ ხელნაწერთა ჯგუფს მიჰყვება ქართული თარგმანი. შედარებისას ვისარგებლეთ სექტუაგინტას Göttingen-ის Editio Major-ით¹. ქართული ტექსტი სიტყვასიტყვით შევადარეთ ბერძნულის არა მარტო ძირითად ტექსტს, არამედ გამოცემის კრიტიკულ აპარატში მოცემულ ვარიანტებსაც.

ქართული ტექსტის სექტუაგინტას Editio Major-თან სიტყვასიტყვით შედარების შედეგად დადგინდა, რომ *ტობის წიგნის* ძველი ქართული რედაქცია (OIDF) LXX^{II}-სა და მის კითხვასხვაობებს (319 (3₆ - 6₁₆ τουτου), d (6₉-12₂₂), La, Sy (7₁₁ και νιν - 12₂₂)) მისდევს, ე.ი. ბერძნული ე.წ. LXX^{III} ტექსტუალური ფორმიდან მომდინარე თარგმანია. *ტობის წიგნის* ეს ტექსტუალური ფორმა ჩვენამდე სულ რამდენიმე წყაროთია მოღწეული და ისინიც (ბერძნულიც და სირიულიც) ფრაგმენტულია.

აქ არ მოვიყვანთ ყველა მაგალითს. მხოლოდ ვაჩვენებთ ანალიზის შედეგად მიღებულ სტატისტიკას, რომ ნათლად დავინახოთ ბერძნულსა და ქართულს შორის მსგავსება/განსხვავებები.

- ა) **Geo = LXX^{II}-სგან განსხვავებულ ვარიანტს:** სულ 312 შემთხვევაა, როდესაც *ტობის წიგნის* ოშკური ხელნაწერი LXX^{II}-სგან განსხვავებულ კრიტიკულ აპარატში მოცემულ იკითხვის მისდევს (ანუ LXX^{III}-ს); 28 მაგალითია, როდესაც არ მისდევს არც ერთ ვარიანტს და LXX^{II}-ს უდრის. ყველა იმ შემთხვევაში, როცა ქართული თარგმანი ვარიანტებს მიჰყვება, დანამდვილებით ვერ ვიტყვით, ცვლილება დედნით არის გამოწვეული, თუ თარგმანის ტექნიკით ან ქართული ენის ბუნებით იხსნება.
- ბ) დასტურდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც *ტობის წიგნის* ოშკური ხელნაწერი **განსხვავდება LXX^{II}-ის იკითხვისებისაგან**, ასეთი სულ 28 მაგალითია. ეს მაგალითები ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან შესაძლოა უდრიდნენ S-ს, ე.ი. იყვნენ უძველესი იკითხვისები. თუმცა ყველა შემთხვევაში ამას ვერ ვიტყვით, რადგან ამ მაგალითებშიც ნაცვალსახელების, მიმართებისა და კავშირების კლება/მატებას უტყუარ მაგალითებად ვერ მივიჩნევთ. დანამდვილებით შეგვიძლია მხოლოდ ფრაზეოლოგიურ შენაცვლებებსა და დიდი მონაკვეთების კლება/მატებაზე ვთქვათ, რომ ეს ის უძველესი წაკითხვებია, რაც S-შია დაცული.
- გ) **Geo-ს კითხვასხვაობები** უმეტეს შემთხვევაში გამოწვეულია თარგმანის ტექნიკით, ქართული ენის ბუნებით ან თავისუფალი თარგმანით და განსხვავებული დედანი არ ივარაუდება.

¹ R. Hanhart, Septuaginta, Tobit, Vetus Testamentum Graecum Auctoritate Academiae Scientiarum Gottingensis editum, vol. VIII, 5 Tobit, Göttingen, Vandenhoeck&Ruprecht, 1983.

= – დარწმუნებულები ვართ, რომ ცვლილება დედნით არის გამოწვეული;

=(?) – ეს ის შემთხვევებია, როდესაც ქართული თარგმანი ან ენობრივი თვალსაზრისით, ან თარგმანის ტექნიკის გამო ვერ ასახავს ბერძნულის ენობრივ თავისებურებებს და ლექსიკურ თუ გრამატიკულ სინონიმას და ამიტომ დანამდვილებით ვერ ვიტყვით, ცვლილება გამოწვეულია დედნით თუ თარგმანის ტექნიკით.

1. Geo = LXX^{II}-ს კითხვასხვაობებს (სულ 312)

	d, La, Sy	d, Sy	d, La	Sy, La	319, La	319	d	La	Sy	სხვა ვარ.
=	15	60	12	2	9	5	38	25	6	13
=(?)	13	10	11	1	17	5	15	43	3	8
ჯამი	28	70	23	3	26	10	53	68	9	21

ცალ-ცალკე თითოეული წყაროს სვედრითი წილი:

	319	d	La	Sy
=	14	125	63	83
=(?)	22	49	85	27
ჯამი	36	174	148	110

2. Geo = LXX^{II} contra LXX^{II}-ს კითხვასხვაობებს (სულ 28)

	Geo=LXX ^{II} contra 319, La	Geo=LXX ^{II} contra 319	Geo=LXX ^{II} contra La	Geo=LXX ^{II} contra სხვა ვარ.
contra	3	4	5	1
contra (?)	4	7	2	2
ჯამი	7	11	7	3

IV. დასკვნა

მიღებული შედეგი ქართული თარგმანის მნიშვნელობას ბიბლიის ტექსტუალური კრიტიკისთვის ზრდის, რადგან:

1. *ტობის წიგნის* LXX^{III} ტექსტუალური ფორმა სრული სახით მხოლოდ ქართულ ენაზეა დაცული;

2. ოშკური ხელნაწერი ყველა სხვა წყაროზე აღრინდელია;

3. ქართული თარგმანი საკმაოდ ზუსტია და სიტყვასიტყვით მიჰყვება დედანს, ასახავს ბერძნული ტექსტის ყველა თავისებურებას (თხრობის გავრცობა, დუბლეტური ფორმები და სხვ.). ამ სიახლოვის გამო ქართული თარგმანი წარმოდგენას გვიქმნის ბერძნულ Vorlage-ზე;

4. ის ფაქტი, რომ ქართულად LXX^{III}-ის თარგმანი გვაქვს, მეტყველებს იმაზე, რომ ეს ფორმა იყო textus receptus ტობის წიგნის ქართულად თარგმნის პერიოდში.

ლიტერატურა

ქურციკიძე 1970: ც. ქურციკიძე, *ძველი აღთქმის აპოკრიფების ქართული ვერსიები, წიგნი I, „მეცნიერება“*, თბილისი.

ქურციკიძე 1973: ც. ქურციკიძე, *ძველი აღთქმის აპოკრიფული (არაკანონიკური) წიგნების ქართული ვერსიები, წიგნი II, „მეცნიერება“*, თბილისი.

Дроздов 1901: Дроздов Н., *О происхождении книги Товита*, Библиологическое исследование, Киев.

Юнгеров 1907: Юнгеров П., *Частное историко-критическое введение в священные ветхозаветные книги, книги законоположительные, исторические и учительные*, Казань.

Brooke, McLean & Thackeray 1940: Brooke A. E., McLean N., Thackeray H. St. J., *The Old Testament in Greek: VIII-I Esther, Judit, Tobit*, Cambridge.

Charles 1965: Charles R.H., *The Apocrypha and Pseudepigrapha of the Old Testament in English with Introductions and Critical and Explanatory Notes to the Several Books*, ed. in Conjunction with many Scholars by R.H. Charles, D. Litt., D.D., Volume I, Apocrypha, Oxford.

Eissfeldt 1964: Eissfeldt O., *Einleitung in das Alte Testament, 3. Auflage*, J.C.B. Mohr (Paul Siebeck) Tübingen.

Fritzsche 1851: Fritzsche F., *Kurzgefasstes exegetisches Handbuch zu den Apoktyphen des A.T.*, Leipzig.

Fritzsche 1871: Fritzsche O., *Libri apocryphi Veteris Testamenti graece*, Lipsius.

Hallermayer 2007: M. Hallermayer, *Text und Überlieferung des Buches Tobit*, Walter de Gruyter, Berlin.

Hanhart 1983: Hanhart R., *Septuaginta, Tobit, Vetus Testamentum Graecum Auctoritate Academiae Scientiarum Gottingensis editum, vol. VIII, 5 Tobit*, Göttingen, Vandenhoeck&Ruprecht.

Hanhart 1984: Hanhart R., *Text und Textgeschichte des Buches Tobit*, Mitteilungen des Septuaginta-Unternehmens (MSU) XVII, Göttingen, Vandenhoeck & Ruprecht.

Marcos 2001: Marcos N. F., *The Origins of the Septuagint: The double text of Tobit, The Septuagint in Context Introduction to the Greek Versions of the Bible*, Brill Academic Publishers, Inc. Boston. Leiden.

Nöldeke 1879: Nöldeke Th., *Die Texte des Buches Tobit*, Berlin.

TRE 1980: *Theologische Realencyclopädie, Band 6, Bible-Böhmen und Mähren* de Gruyter Walter de Bruyter, Berlin-New York.

www.otechnik.narod.ru/pisanie23.DOC

<http://sangu.ge/religion/pmb/index.php?book=18&chapter=&version=BIB>

<http://titus.uni-frankfurt.de/indexe.htm>

Natia Dundua

The Issue of the Origin of *the Book of Tobit* in Oshki Bible

Summary

The research has shown that the old Georgian redaction (OIDF) of *the Book of Tobit* follows the LXX^{II} textual form and its variants (319 (3₆ - 6₁₆ τουτου), La, *d* (6₉-12₂₂), Sy (7₁₁ καὶ νῦν - 12₂₂)), i.e. it is a translation that comes from the LXX^{III} textual form. This textual form of *the Book of Tobit* has reached us just by several sources in Greek and Syriac languages, but in both languages the sources are not complete.

This result of the research rises the significance of the Georgian translation for the textual critique of the Bible, because:

1. the LXX^{III} textual form of *the Book of Tobit* fully exists only in Georgian;
2. moreover, the Oshki manuscript is the oldest one;
3. the Georgian translation is precise enough, and follows the original word-by-word, reflects all the peculiarities of the Greek text (expanded narration, duplicate forms etc.). Because of that closeness the Greek original of *the Book of Tobit* can be restored;
4. the fact that we have a translation in Georgian that comes from LXX^{III} shows that that the version of the *Book of Tobit* was *textus receptus* at the time of its translation into Georgian.

რუსულან ზემალაშვილი

ქართული ზღაპრების ზოგიერთი ენობრივი თავისებურება გერმანულ თარგმანებში

ადამიანები კაცობრიობის არსებობის დღიდან სამყაროს მხატვრულად აღიქვამდნენ და ცდილობდნენ საკუთარი ოცნებები, ნატვრა, ცხოვრებისეული დამოკიდებულება გადმოეცათ ფოლკლორში. ხალხის სული, რწმენა-წარმოდგენები, ადათ-წესები, ისტორიული რეალიები, ეროვნული ფასეულობები, ფილოსოფიური განსჯა და სამყაროს ხატი განსაკუთრებით კარგადაა ასახული ზღაპარში, რადგან ის ხალხური სიბრძნის ერთ-ერთი ყველაზე ძველი და პოპულარული ჟანრია. სხვადასხვა ერის ზღაპრებში ვხვდებით ბევრ საერთოსაც და სპეციფიკურსაც.

კულტურათაშორისი დიალოგისთვის მნიშვნელოვანია ზღაპრების მაღალ-მხატვრული თარგმნა. მთარგმნელმა უნდა მოახერხოს სპეციფიკური ენობრივი ქსოვილის ადეკვატურად გადატანა მეორე ენაზე და ეროვნული კოლორიტის, თხრობის თავისებური მანერის შეძლებისდაგვარად შენარჩუნება.

ქართული ზღაპრების თარგმნას უცხოურ ენებზე კარგა ხნის ისტორია აქვს. გერმანულენოვანი თარგმანები დასაბამს იღებს XX საუკუნის 20-იანი წლებიდან. 1922 წელს ადოლფ დირმა იენაში გერმანულად გამოსცა კავკასიური ზღაპრები (დირი 1922), რომელთა შორის გარკვეული ადგილი უკავია ქართულ ზღაპრებსაც.

შემდეგდროინდელი თარგმანებიდან აღსანიშნავია ბერლინში გამოცემული რუსულიდან თარგმნილი ზღაპრები (გამოიცა რამდენჯერმე: 1957, 1958, 1959, 1963, 1977, 1978). მთარგმნელი იყო მარგარეტ სპელი, გადაამუშავა გერდა ჰემცალმა (ხოლო ქართულიდან რუსულად ზღაპრები თარგმნა ნ. დოლიძემ) (ქართ. ზღ. 1958).

საქართველოში 1973 წელს გამოიცა ამ თარგმანების ნაწილი, ადაპტირებული სკოლის VIII-X კლასის მოსწავლეებისთვის საკითხავად. მასალა შეარჩიეს, კომენტარები და ლექსიკონი დაურთეს თ. ჩოჩუამ და ნ. კროიცმა (ქართ. ზღ. 1973). ამ გამოცემაში შესულია ზღაპრები: რწყილი და ჭიანჭველა (Floh und Ameise), ლომი და კურდღელი (Der Löwe und der Hase), ვეფხვი და კატა (Der Tiger und der Kater), ორი ქოსატყუილა (Die zwei bartlosen Betrüger), წიქარა (Zikara), ცხრა ძმა (Die neun Brüder), ზღაპარი სამი ბროწეულის შესახებ (Das Märchen von den drei Granatäpfeln), გაუცინარი ხელმწიფის ზღაპარი (Das Märchen vom König Lachenicht), უჩინმაჩინის ქუდი (Die Zauberkappe) და სხვ.

იტყვიპო ჰოლშტაინში (1974) გამოცემული ზღაპრები ლიდია პაპე-გეგე-ლაშვილმა და ნიკოლოზ ჯანელიძემ თარგმნეს (გეგელაშვილი, ჯანელიძე 1974). კრებული ეძღვნება ლიდია გეგელაშვილის უდროოდ დაღუპული ვაჟის – ულრიხ პაპეს – ხსოვნას. მასში შესულია ზღაპრები და მოთხრობები: როგორ გაჩნდა ენძელა (Die Entstehung des Schneeglöckchens), პეპლები (Die Schmetterlinge), ო. იოსელიანის „დედისა და შვილის ზღაპარი“ (Das Märchen über Mutter und Kind), მეფე და ობოლი (Der König und der Waisenjunge), რწყილი და ჭიანჭველა (Der Floh und die Ameise), მებადურის შვილი (Der Fischersohn), ვლ. ასლამაზიშვილის „თაგვი და თხილი“ (Die Maus und die Haselnuß), ლომი და კატა (Der Löwe und die Katze), თქმულება როსტომე-ლაზე (Die Sage von Rostomela) და სხვ.

წარწერა წიგნზე გვამცნობს, რომ აქ თავმოყრილია „ლამაზი ქართული ზღაპრები, რომლებშიც ვერ შეხვდებით ძალადობას“ (“Georgische gewaltlose, schöne Märchen”). მასალა ისეა შერჩეული, რომ ზღაპრებში ძალადობა, ბოროტება და საშინელება თითქმის არ გვხვდება, ყველგან იმარჯვებს სიკეთე, მეგობრობა და სიყვარული. აღსანიშნავია, რომ აქ, ხალხური ზღაპრების გარდა, შედის ქართველ მწერალთა (ა. წერეთლის, ო. იოსელიანის, ვლ. ასლამაზიშვილის, რ. ინანიშვილისა და სხვ.) მოთხრობები და ზღაპრები, ამოკრებილი ჟურნალ „დილადან“, I და II კლასის „დედაენიდან“ და ლაზური ზღაპრებიდან.

1977 წელს მოსკოვში ითარგმნა ქართული ზღაპრები რუსულიდან (მთარგმნელი ვერა ნოვაკი). რუსული გამოცემის 100 ზღაპრიდან (ქართ. ზღ. 1971) დატოვებულია მხოლოდ 50 (ქართ. ზღ. 1977). წიგნში უანრობრივად შერჩეული მასალა მრავალფეროვანია: ვხვდებით საგმირო, ჯადოსნურ, იგავურ, ცხოველთა, საყოფაცხოვრებო ზღაპრებსა და მახვილგონივრულ ზღაპარ-გამოცანებს (ქართული ზღაპრების შესახებ იხ. ქურდოვანიძე 2001): ზღაპარი ივანე ცისკრისა (Morgen-Wano), გაუცინარი ხელმწიფის ზღაპარი (König Nimmerfroh), მზეთუნახავი შორეული ნიგოზეთიდან (Die Schöne aus dem fernen Lande Nigoseti), საწყალი კაცის ზღაპარი (Märchen vom armen und den drei Granatäpfeln des Recken), უჩინმაჩინის ქუდი (die Zaubermütze), ოქროსთასიანი (Der goldene Becher), ოსტატი და შეგირდი (Der Meister und sein Schüler), ჭილყავის საჩუქარი (Die Geschenke des schwarzen Raben), მიწა თავისას ითხოვს (Die Erde nimmt sich das Ihre), გამოქექილი ბერიკაცი და ყერყეჩი მღვდელი (Der habgierige Pope und der listige Alte), ზღაპარი უხეიროსი (Das Märchen vom gefrässigen Habenichts), მარგალიტის ცრემლი (Perlen-tränen), გველვაჟი (Der Schlangenknahe), მუჭანახევარი (Anderthalb Handvoll), კონკაიჟლარუნა (Das Lumpenmädlein) და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ იმდროინდელი რუსული გამოცემა მაღალ აკადემიურ დონეზეა შესრულებული. ტექსტებს ახლავს შენიშვნები, სიტყვების ახსნა, მიხეილ ჩიქოვანის ვრცელი წინასიტყვაობა. ამას გარდა, მითითებულია არა მარტო ზღაპრების ქართული სათაურები, არამედ წყარო, სად, როდის და ვის მიერაა ჩაწერილი (სამწუხაროდ, ასეთი სამეცნიერო აპარატი აკლია გერმანულ თარგმანს, რომელშიც მხოლოდ რუსული გამოცემის წელი და რედაქტორია მითითებული). ახსნილია ზოგიერთი გეოგრაფიული ადგილის სახელწოდება, ქართული ზღაპრული პერსონაჟები, მუსიკალური საკრავები და სხვა ეთნოგრაფიული ლექსიკური ერთეულები: ადამის სუნი მცემს, ალი, ბანგი, ბანი, ბელტიყლაპია, გველეშაპი, გენაცვალე, გუდა (der Weinschlauch), გულაბი, დაირა, დაფა-ზურნა, დევი, ელასა-მელასა, თონე, თურაშაული, კეცი, კოდი, კომბალი, ლურჯა, მათარა, მარანი, მაწონი, მიქელ-გაბრიელი, საცალო (დაწული კალათა), ტახტი, ფასკუნჯი, ქალამანი, ქაჯი, ქიშმიში, ჩიჩილაკი, ჩოხა, ჩონგური ხაში, ხაჭაპური... ამ გამოცემის მაღალმა დონემ განაპირობა გერმანული გამოცემის ხარისხიც, თუმცა თარგმანის ენაში მაინც იგრძნობა, რომ ის არაა შესრულებული ორიგინალიდან.

მთარგმნელებს შორის ქართული ენისა და კულტურის ღრმა ცოდნით, დიდი პროფესიონალიზმითა და საოცარი ნაყოფიერებით განსაკუთრებით უნდა გამოიყოს პროფ. ჰაინც ფენრიხი, რომელმაც 1980 წელს ლაიფციგში გამოსცა ქართული ზღაპრები (ქართ. ზღ. 1980). ზღაპრების გარდა, მას ნათარგმნი აქვს თქმულებები და მითები (ამირ. 1978; ბახტრ. 1984), ასევე სვანური (სვან. ზღ. 1992), ლაზური (ლაზ. ზღ. 1995) და მეგრული ზღაპრები (მეგრ. ზღ. 1995), მეგრული თქმულებები (მეგრ. თქმ. 1997). ცალკე აღნიშვნის ღირსია მის მიერ თარგმნილი ქართული ზღაპრების ახალი გამოცემაც (ქართ. ზღ. 2011), რომლის შესახებაც გამოქვეყნდა საინტერესო რეცენზია.¹

1990 წელს რეგენსბურგში გამოიცა რობერტ ბლაიზშტაინერის თარგმნილი ქართული ზღაპრები (ქართ. ზღ. 1990ა), ამავე წელს ალმა-ატაში „საბჭოთა კავშირის ხალხთა ზღაპრების“ რუბრიკით გერმანულად გამოვიდა ქართული ზღაპრების კრებული „ჭილყვავის საჩუქრები“ (მთარგმნელი ვიქტორ ჰაინცი) (ქართ. ზღ. 1990ბ), რომელსაც პარალელურად ახლავს რუსული ტექსტებიც.

¹ რეცენზიის ავტორი სამართლიანად წერს: „ჰაინც ფენრიხის მიერ გამოცემული „ქართველთა ზღაპრები“ მნიშვნელოვანი გამოცემაა არა მხოლოდ ქართველოლოგიური კვლევებისათვის, არამედ ზოგადად ფოლკლორისტიკისა და კულტუროლოგიური მეცნიერებისთვის, მით უფრო რომ ამ მიმართულებით კრებულში ფართო ასპარეზია გადამღილი: მკითხველი ხალხური ზღაპრების მეშვეობით ეცნობა ქართველთა ისტორიას, კულტურას, ყოველდღიურ ყოფას, წეს-ჩვეულებებს, რწმენა-წარმოდგენებს, მახვილგონიერებასა და ხალხურ სიბრძნეს“ (გოგიაშვილი 2012).

ზღაპრების თარგმანთა განხილვისთვის მნიშვნელოვანია რამდენიმე ასპექტი: წყარო, საიდანაც ითარგმნა ზღაპარი, მისი დანიშნულება (პოპულარული თუ სამეცნიერო: ლიტერატურული თუ ლინგვისტური), წყაროს ორიგინალობა და ბოლოს მკითხველი, რომლისთვისაც ის განკუთვნილია. ზღაპრების მთარგმნელის წინაშე ყოველთვის საკმაოდ ძნელი ამოცანა დგას: შეინარჩუნოს ჩვეული ეროვნული კოლორიტი და თან გამოიყენოს მშობლიური ენის ფოლკლორული ტრადიცია, რომ თარგმანი არ გამოვიდეს არაბუნებრივი. როცა ზღაპარი მხოლოდ პოპულარიზაციის მიზნითაა თარგმნილი, წყარო ზოგადაა მინიშნებული, გამოცემის წლისა და გამომცემლობის გარეშე, ზოგჯერ ხალხურის გვერდით შეტანილია ლიტერატურული ზღაპრებიც (სამწუხაროდ, ავტორთა დაუსახელებლად).

განსაკუთრებულ სიძნელეს უქმნის მთარგმნელს ქართული ზღაპრის სტილის შენარჩუნება და ენობრივი თავისებურებების ადეკვატურად გადმოტანა. აკადემიურ გამოცემებში სპეციფიკური რეალიების დასაზუსტებლად მოშველიებულია კომენტარები ორიგინალის ზუსტი სათაურის მითითებით, მოყვანილია სიუჟეტური პარალელები მსოფლიო ფოლკლორიდან.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ქართული ზღაპრის სპეციფიკური **დასაწყისისა და დაბოლოების** ფორმულები, რომელთა მოშველიებით შეიძლება ზღაპრის კოლორიტის შენარჩუნება. ჩვენ არ შევჩერდებით საწყისი ფორმულის ღრმა ფილოსოფიურ გააზრებაზე, მის პარალელებზე მსოფლიოს ხალხთა ფოლკლორში, არამედ განვიხილავთ გერმანულად თარგმნის სპეციფიკას (ზღაპრების თარგმნის საკითხების შესახებ იხ. წიბახაშვილი 1987).

როგორც ცნობილია, ქართულ ზღაპრებში ყველაზე გავრცელებულია მოკლე საწყისი ფორმულა: „იყო და არა იყო რა“, მაგრამ ის შეიძლება გავრცობილიც იყოს: „იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა“, ზოგჯერ ემატება: „იყო შაშვი მგალობელი, ღმერთი ჩვენი მწყალობელი“, ანდა: „ღმერთს დიდება, ჩვენ მშვიდობა: ღმერთი მაღალი, კაცი მდაბალი“.

თვით გერმანული ზღაპრებისთვის დამახასიათებელია ასეთი დასაწყისი: Es war einmal (იყო ერთხელ), es lebte einmal (ცხოვრობდა ერთხელ), vor Zeiten lebten (დიდი ხნის წინ ცხოვრობდა), einst lebte (ოდესღაც ცხოვრობდა)... ცხადია, ეს ფორმულები ჭარბობს კიდევ თარგმანებში, მაგრამ მაინც ვხვდებით ქართული ზღაპრების დასაწყისის ვარიანტებს (თუმცა განსხვავება შეინიშნება ერთსა და იმავე გამოცემაშიც კი): ლ. გეგელაშვილისა და ნ. ჯანელიძის თარგმანები თავისუფალია. შეიძლება ამიტომაც არის მასში მაქსიმალურად შენარჩუნებული ქართული კოლორიტი და ლაღი თხრობა. საწყისი ფორმულებში იგრძნობა მრავალფეროვნება: Es war einmal oder es war einmal nicht (გეგელაშვილი, ჯანელიძე 1974:9; იქვე:21), Es war einmal oder es war nicht (იქვე:14) – ერთხელ იყო და არც იყო; In einem wilden Walde lebte

(იქვე:40) – ერთ უდაბურ ტყეში ცხოვრობდა; Eines Tages (იქვე:44) – ერთ დღეს..., Vor sehr langer Zeit... (იქვე:48) – ძალიან დიდი ხნის წინ...

ერთგან მთარგმნელს შეცვლილი აქვს საწყისი ფორმულის სიტყვა „ღვთის“ „მზით“: “Es war einmal oder es war einmal nicht. Was könnte es Besseres geben als die Sonne” (გეგელაშვილი, ჯანელიძე 1974:66) – „იყო და არა იყო რა, მზის უკეთესი რა იქნებოდა“, თუმცა საკითხავია, რამდენად გამართლებულია ეს ცვლილება.

სხვა გამოცემებსაც თუ განვიხილავთ, ზღაპრის დასაწყისი ფორმულებში მრავალფეროვნებაა: “Es war und war doch nicht” (ქართ. ზღ. 1973:26; იქვე:86) – იყო და არც იყო; “Ob wahr oder nicht, es lebte einst ein”... (ქართ. ზღ. 1973:74) – მართალია თუ არა, ოდესღაც ცხოვრობდა ერთი; “Ob es nun wahr ist oder nicht – in einer Stadt lebten”... (ქართ. ზღ. 1977:5; იქვე:12) – არის ეს მართალი თუ არა, ერთ ქალაქში ცხოვრობდნენ; “War es nun so oder war es nicht so”... (ქართ. ზღ. 1977:33; იქვე:132) – იყო ეს ასე თუ არ იყო ასე; “einst und niemals wieder lebte”... (ქართ. ზღ. 1977:128) – ერთხელ და არასოდეს მანამდე ცხოვრობდა; “Es mag so gewesen sein oder auch nicht” (ქართ. ზღ. 1977:192) – შეიძლება ეს ასე იყო ან არც იყო; “War es nun so, oder war es nicht so, es lebte jedenfalls” (ქართ. ზღ. 1977:211) – ასე იყო თუ ასე არ იყო, ყოველ შემთხვევაში, ცხოვრობდა ერთი; “Es lebten einst vor Zeiten ein armer Mann” – ოდესღაც დიდი ხნის წინ ცხოვრობდა ერთი ღარიბი კაცი; Vor Zeiten lebte einmal... – დიდი ხნის წინ ერთხელ ცხოვრობდა...

ქართული ზღაპრების **დაბოლოების** მოკლე ფორმულაა: „ჭირი იქა – ლხინი აქა“, ზოგჯერ ემატება: “ქაბო იქა – ფქვილი აქა“, ვრცელი ვარიანტი კი ასეა:

„ჭირი იქა, ლხინი აქა.
ქაბო იქა, ფქვილი აქა.
ელასა, მელასა,
ჭიქა მეკიდა ყელასა;
მთქმელსაც და გამგონებელსაც
ძილი გაამოთ ყველასა!“ (ზღაპარი „გაუცინარი ხელმწიფე“).
ანდა: „ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქაბო იქა, ფქვილი აქა.
მთას ურემი ავიტანე,
წამოვიდა გორებითა,
აქ სიცოცხლით გამოძენით,
საიქიოს – ცხონებითა.
ახლაც იქ არიან ბედნიერად“ (ზღ. „სამი და“).
ან ასე: „ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო,
ჭალას ჩიტი მომკვდარიყო,
დიდ ქვაბში არ ეტეოდა,

პატარაში აღარ იყო“.

გერმანულ თარგმანებში გვხვდება:

“Dem einen Weizen und ein Fest,
dem anderen Kleie und die Pest” (ქართ. ზღ. 1973:20; იქვე:73; იქვე:85).¹

შემოკლებული ვარიანტი: “Elassa, melassa, schlaft süß” (ქართ. ზღ. 1973:32)
(სიტყვასიტყვით: “ელასა, მელასა, იძინეთ ტკბილად “).
თავისუფალი ინტერპრეტაციის ნიმუშია:

“Hier Fröhlichkeit – dort Fröhlichkeit,

Hier Frieden – dort Frieden” (გეგელაშვილი, ჯანელიძე 1974:13) (სიტყვა-
სიტყვით: „ლხინი აქა – ლხინი იქა, მშვიდობა აქა – მშვიდობა იქა“).

“Friede hier – Friede da,

Freude hier – Freude da” (გეგელაშვილი, ჯანელიძე 1974:14) (სიტყვასიტ-
ყვით: „მშვიდობა აქა – მშვიდობა იქა, სიხარული აქა – სიხარული იქა“).

“Drei Tage und Nächte feierten die Mäuse Hochzeit. Ich aber schaute ihnen
von weitem zu” (გეგელაშვილი, ჯანელიძე, 1974:56) (სიტყვასიტყვით: „სამი
დღე და სამი ღამე ილხენდნენ ქორწილში, მე კი მათ შორიდან ვუცქერდი“).

ასეთი დასასრული სხვა თარგმანშიცაა, რადგან ქართულ ზღაპარში ასე
წერია: “Auch ich war dabei und habe am Freudenmahl teilgenommen. Als ich
zurückkam, war mir, sei ich nirgends gewesen” (ქართ. ზღ. 1977:56) (სიტყვა-
სიტყვით: „მეც იქ ვიყავი და კარგადაც მოვუღხინე. როცა დავბრუნდი, თით-
ქოს არსადაც არ ვყოფილვარ“); “Wenn das alles nicht wahr ist, dann soll uns
nichts wehtun!” (ქართ. ზღ. 1977:217) (სიტყვასიტყვით: „თუ ეს ყველაფერი
მართალი არაა, მაშინ არაფერი გვეტკინოს“).

მთარგმნელები მიმართავენ აღწერის ხერხსაც, როცა შესაბამისი ლექსი-
კური ერთეული არ იძებნება გერმანულად: მზეთუნახავი die Schöne (eine Frau,
wie es unter der Sonne keine Schöner gab) (ქართ. ზღ. 1977:22), იქვე: Nicht-
snutz (უხეირო, უქნარა), goldlockiger Sohn (ოქროსთმიანი ვაჟი) და სხვ.

ზოგჯერ ძნელია სიტყვის მხატვრულობის შენარჩუნება: უჩინმაჩინის ქუდი
თარგმნილია, როგორც ჯადოსნური ქუდი (ერთ გამოცემაში – die Zauberkappe,
მეორეში – die Zaubermitze); კუდიანი დედაბერი, როგორც die Hexe (ჯადოქარი
ქალი), ღორმუცელა, როგორც – Vielfrässer და gefrässiger Habenicht...

თარგმანებში, ცხადია, ვხვდებით ქართული ჯადოსნური ზღაპრის ატრი-
ბუტებს: ნატვრისთვალს – der Wunschstein (der Wunschring), მფრინავ
ხალიჩას – der fliegende Teppich, ჯადოსნურ სარკეს – der Zauberspiegel,
ზღაპრულ პერსონაჟებსა და გმირებს: ნაცარქექიას – der Aschenpuster, ქოსა-
ტყუილას – der bartlose Betrüger/ Schalke, გაუცინარ ხელმწიფეს – König
Nimmersfroh/Lachenicht, ღორმუცელას – Vielfrässer, ბელტიელაპიას – der

¹ სიტყვასიტყვით: „ერთს – ფქვილი და ლხინი, მეორეს – ქატო და ჭირი“.

Erdeschlucker... დევებს – der Dew (der böse Geist), ფასკუნჯს – Paschkundshi (Fabelwesen mit Löwenleib und Adlerschwingen) (ქართ. ზღ. 1977:55), გველეშაპს (der Drache)...

ღინამიკურობის საზგასასმელად გამოყენებულია ზმნის გამეორებით შექმნილი კონსტრუქციები: „ბევრი იარა თუ ცოტა იარა“ – über lang oder kurz (ქართ. ზღ. 1977:191); ob er nun viel gegangen war oder nur wenig, über kurz oder lang (იქვე:85); „იარა, იარა და ცხრა მთა გადაიარა“ – “über lang oder kurz ging er über alle Berge” (იქვე:85)... სტერეოტიპული გამონათქვამები: „თვალის დახამხამებაში გადაიარეს ცხრა მთა“ – im Nu waren sie über alle Berge (ქართ. ზღ. 1973:83); „დარჩნენ ხახამშრალი“ – “Der Wolf, der Bär und der Fuchs blieben mit trockenem Hals zurück” (გვეგლაშვილი, ჯანელიძე, 1974:70), „მეფე უკანმოუხედავად გაიქცა“ – “der Fürst eilte nach Hause, ohne sich auch nur einmal umzublicken” (ქართ. ზღ. 1977:163), „სიკეთე მიყავი“ – “tu ein gutes Werk, tu mir ein Gefallen” (ქართ. ზღ. 1973:83), „მისი საცოდაობით ცა და ქვეყანამ იწვოდა“ – “dass der Himmel und Erde mit ihm Mitleid hatten” (ქართ. ზღ. 1973:84), „სადაც შენი დაიკვეხო, იქ ჩემიცა თქვიო“ – “Wenn es dir wieder einmal einfällt, großzutun, verghiß nicht auch mich zu erwähnen!” (ქართ. ზღ. 1973:84).

ჩვენ განვიხილეთ ქართული ზღაპრების რამდენიმე გერმანულენოვანი გამოცემის ზოგიერთი ენობრივი თავისებურება. უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს თარგმანები ხელს უწყობს ჩვენი კულტურის პოპულარიზაციას და ამდიდრებს გერმანულ ენას გამომსახველობითი საშუალებებით, მაგრამ მაინც ხაზი უნდა გაესვას, რომ საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს არა მარტო მთარგმნელთა მალალ პროფესიონალიზმს, არამედ მათთვის კონსულტანტთა გამოყოფას, სათარგმნი მასალის შერჩევას სპეციალისტთა მიერ, ფოლკლორული ტექსტების აღჭურვას სათანადო კომენტარებით.

ლიტერატურა

- ამირ. 1978:** *Das Buch vom Helden Amirani: ein altgeorgischer Sagenkreis/* [bearb. u. mit einem Essay, “Amirani und Prometheus” von Micheil Tschikowani; aus dem Georg. übers. von Heinz Fähnrich], Kiepenheuer Verlag, Leipzig-Weimar
- ბახტრ. 1984:** *Der Sieg von Bachtrioni: Sagen aus Georgien /* [Aus dem Georg. übertr. u. hrsg. von Heinz Fähnrich], Kiepenheuer Verlag, Leipzig-Weimar.
- გვეგლაშვილი, ჯანელიძე 1974:** Pape-Gegelaschwili, Lidia [Hrsg.], Nikolos Dschanelidse, Georgische Märchen, Georgischer Verlag Sakharthwelo, Itzehoe.
- გოგიაშვილი 2012:** ე. გოგიაშვილი, *ქართველთა ზღაპრები გერმანულ ენაზე*, ჟურნ. „ქართველოლოგი“, 2012, აპრილი, №2; <http://kartvelologi.tsu.ge/index.php/ge/journal/inner/24>.
- დირი 1922:** Adolf Dirr, *Kaukasische Märchen*. [Märchen der Weltliteratur], Jena.
- ლაზ. ზღ. 1995:** Lasische Märchen und Geschichten, übertr. von Heinz Fähnrich, Berichte aus der Literaturwissenschaft, Aachen: Shaker

- მეგრ. ზღ. 2001:** Mingrelische Märchen, Dt. von Heinz Fähnrich , Friedrich-Schiller-Universität, Jena.
- მეგრ. თქმ. 1997:** Heinz Fähnrich, *Mingrelische Sagen*, Friedrich-Schiller-Universität, Jena.
- სვან. ზღ. 1992:** *Märchen aus Swanetien* (bersetzt, herausgegeben und kommentiert von Heinz Fähnrich, mit freundlichen Genehmigung Utscha Zindelianis und des Verlags Nakaduli, Tbilisi: Edition Sakartwelo, Südverlag, GmbH, Konstanz.
- ქართ. ზღ. 1958:** *Die Zauberkappe: Georg. Märchen/ Ill.* Gerhard Gossmann; [Übers. ins Russ. von N. I. Dolidse; Der Deuts. Fassung liegt eine Übers. von M. Spady; Bearb. von G. Hemzal]. – 2. Aufl., Verlag Kultur u. Fortschritt, Berlin.
- ქართ. ზღ. 1971:** *Юноша-змея, Грузинские народные сказки. Сто сказок*, перевод с грузинского. Сборник составлен и переведен Н. Долидзе, под редакцией Проф. М. Чиковани, Художник Гулда Каладзе, Издательство “Мерани”, Тбилиси.
- ქართ. ზღ. 1973 ბბ:** *Georgische Märchen: für die VIII-X Klassen* (der deutschen Fassung liegt eine Übersetzung von M. Spady zugrunde. Bearbeitet von G. Hemzal), *ausw., Komment. u. Wörterb.* von T. Tschotschua u. N. Kreuz, Ill.: Gerhard Gossmann, Verlag Ganatleba, Tbilissi.
- ქართ. ზღ. 1974:** *Die Zauberkappe: Georgische Märchen*, Margarete Spady, Gerda Hemzal (Publisher), Verlag Kultur u. Fortschritt, Berlin.
- ქართ. ზღ. 1977:** *Der Schlangenknahe. Georgische Volksmärchen (aus dem Russischen von Vera Nowak, Ausstattung Gulla Kaladse(für die reifere Jugend) (red. I.V. Loginow, M. Jarowa) Verlag Progress, Moskau.*
- ქართ. ზღ. 1980:** *Georgische Märchen / Hrsg. und übers. von Heinz Fähnrich; Komment. unter Mitarbeit von Heinz Mode*, Insel-Verlag, Leipzig.
- ქართ. ზღ. 1990:** *Hufschläge am Himmel, Georgische Märchen* (Author: Robert Bleichsteiner), Regensburg.
- ქართ. ზღ. 1990ბ:** *Die Geschenke des schwarzen Raben: Grusinisches Volksmärchen=Подарки черного ворона /Nacherzählt von Viktor Heinz, Ill. von Iwan Kiriakidi, Kasachstan, Alma-ata.*
- ქართ. ზღ. 2011:** *Hinter neun Bergen: Märchen der Kartwelier*, Heinz Fähnrich (Herausgeber und Übersetzer), Buchverlag König, Greiz, Thür.
- ქურდოვანიძე 2001:** თ. ქურდოვანიძე, *ქართული ფოლკლორი*, თბილისი.
- წიბახაშვილი 1987:** გ. წიბახაშვილი, *ხალხური ზღაპრის თარგმნის საკითხები*, თბილისი.

Rusudan Zekalashvili

Some Language Features of the Georgian Fairy Tales in German Translation

Summary

The work of translation of the Georgian fairy tales into German has its long history. As early as in 1922 Adolf Dirr issued *Caucasian Fairy tales* in the German language, in Jena. Among the later translations of the Georgian tales, it is worth to note the fairy tales, edited in Berlin (Margarete Spady, G. Hemzal 1958; 1963), Itzehoe/Holstein

(Lidia Pape-GegelaSvili, Nikoloz Janelidze 1974), Moscow (Vera Nowak 1977), Leipzig (Heinz Fähnrich 1980), Regensburg (Robert Bleichsteiner 1990), Alma-Ata (Viktor Heinz 1990). We should especially mention Prof. Heinz Fähnrich who has translated not only the Georgian fairy-tales but also Georgian legends and myths (1978; 1984; 1999), Svan (1992), Laz (1995) and Megrelian tales and legends (1997).

When discussing those translations, it is important to consider several points: the source from which the tale is translated, its purpose (is it popular or of scientific character, namely, of some linguistic or literary purpose) originality and, at last, the reader for whom the tale is addressed. For example, one of the mentioned collections (*Der Schlangenknecht – The Boy-Snake*) is translated into German from Russian, not from Georgian.

It is an outstanding challenge for the translator to maintain the style of the Georgian tales and to transfer the linguistic texture properly. In the academic editions, in order to precisely indicate specific realia, some comments are cited, the exact title of the original tale is given and the analogous plots out of the worldwide folkloric examples are provided.

The traditional Georgian formulas at the beginning and at the end of the tales are preserved in some German editions, such as: “*iḡo da ara iḡo ra, ḡvtis uḡetesi ra ikneboda*” – “*Es war einmal oder es war einmal nicht. Was könnte es Besseres geben als der Gott*” (“*once upon a time, there was,...but what could be better than God*”...), also: “*čiri ika – lxini aka, kaḡo ika – pkvili aka*” – “*Dem einen Weizen und ein Fest, dem andern Kleie und die Pest*” (“*bad times there, good times here*”...); further: repeated constructions with the purpose of emphasizing the dynamics: “*iara, iara, cxra mta gadaira*” – “*the he went on, and kept going till he travelled over nine mountains*”... and others. Such constructions help to maintain interesting features of the Georgian tales.

Sometimes the translators use a descriptive method when it is impossible to choose an adequate lexical unit in German: *mzetunaxavi* – *die Schöne* – “*untouched by the sun*” – *outstanding beauty*; *kosaḡquila* – *der bartlose Schalke* – “*bare-faced liar*”; *gaucinari xelmcipe* – *König Lachenicht* – “*unsmiling king*”; *nacarkekia* – *der Aschenpuster* – “*ash-raker*” – *lazy but sly hero*; *Anderthalb Handvoll* – *mučanaxevara* – “*Hand and a Half full*”, but sometimes the artistic nature of a word could not be preserved (*učinmačinis kudi* – *die Zaubermütze* – *cap of invisibility*; *ḡudiani dedaberi* – *die böse Hexe* – *a wicked witch*; *gvelešapi* – *der Drache* – *a dragon*; *ḡormucela uxeiro* – *der gefräßige Habenicht/ Vielfraß* – *worthless glutton*).

In most cases, German translations of the Georgian fairy tales support the popularisation of the Georgian culture. But it must be mentioned that this sphere requires not only highly skilled translators but also advisers assigned to them, specialists who will select the proper material to be translated, which will be published with the appropriate comments.

**მეგრული ყ, ხ თანხმოვნების
დისტრიბუციული და მქსპერიმენტული ანალიზი**

შესავალი

მეგრული ფონემატური სისტემა განარჩევს ფონემათა ორ კლასს – ხმოვნებსა და თანხმოვნებს. თანხმოვანთა სისტემა მეგრულში ისეთივეა, როგორც ქართულში. მეგრულს, მსგავსად ქართულისა, ახასიათებს ხშულთა სამეულებრივი სისტემა. ქართულთან შედარებით მეექვსე, პოსტველარული სამეული კიდევ უფრო ნაკლებია, ვ უკვალოდ არის დაკარგული, რაც მეგრულსა და ლაზურში ფარინგალური არტიკულაციის შესუსტებითა და ამის საფუძველზე ფარინგალთა არტიკულაციის ცვლით, ზოგჯერ კი სრული მოშლით იხსნება (ჟღენტი 1953:57-64).

განსხვავებას ქართულ თანხმოვანთა სისტემისგან მეგრულში ქმნის **ქ** თანხმოვანი. ალ. ცაგარელმა პირველმა აღნიშნა მეგრული ბგერითი სისტემისათვის დამახასიათებელი **ქ** ბგერა. მანვე შემოიღო მეგრული ტექსტების ჩასაწერად ეს გრაფიკული ნიშანი – **ქ**. გარდა ამისა, ალ. ცაგარელი შეეცადა გაერკვია ამ ბგერის არტიკულაციური და აკუსტიკური ბუნებაც. ის წერს: „ბგერა **ქ** ისეთივე წარმოშობისაა როგორც **ყ**, ოღონდ პირველი ამ უკანასკნელზე ნახევრად უფრო სუსტია რაოდენობრივად და თვისობრივად. სახელდობრ, ამ ბგერის წარმოთქმისას არ არის საჭირო ერთმანეთთან ძლიერად მიჭერა იმ ორგანოებისა, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ამ ბგერის წარმოთქმაში. ენის საფუძველი იწევს რა ზემოთ, ის ოდნავ ეხება რბილი სასის ბოლოს. ჰაერნაკადი გადალახავს რა ამ დაბრკოლებას, გამოსცემს **ქ** ბგერას, რომელიც თავისი სიძალდითა და ხანგრძლიობით უფრო ნაკლებ ინტენსიურია, ვიდრე **ყ** ბგერა“ (ცაგარელი 1880:26). მისი დაკვირვებით, სიტყვათა იმ ძირებში, რომლებიც მეგრულს ქართულთან აქვს საერთო, უმეტეს შემთხვევაში, ქართული **ყ** მეგრულში გადასულია **ქ**-ში. ალ. ცაგარელს **ქ** ადგილის წარმოების მიხედვით შეაქვს ხორხისმიერებში, რაგვარობის მიხედვით – ყრუ ნაპრალოვნებში.

ი. ყიფშიძე (ყიფშიძე 1914:4) მოცემულ „თანხმოვანთა კლასიფიკაციის ტაბულაში“ **ყ**-ს ახასიათებს როგორც გლოტალურ, რთულ, ყრუ ხშულ-მსკლომ თანხმოვანს, ხოლო **ქ**-ს – როგორც გლოტალურ, მარტივ, მჟღერ

ხშულ-მსკდომ თანხმოვანს, თუმცა ავტორს იმავე გვერდზე **ც** სპირანტებს შორისაც აქვს დასახელებული.¹

ს. ჟღენტიც ექსპერიმენტული მონაცემებით ნათლად დასტურდება, რომ „**ყ** როგორც რაოდნობრივად, ისე თვისობრივადაც განსხვავდება **ც**-სგან. **ც**-ს ყრუ სპირანტად მიჩნევა უმართებულოა, ისე როგორც იგი არც სრულფასოვანი მკვეთრი ხშულია. მას მეტი სიახლოვე მაინც მკვეთრთან აქვს ყიის მონენტალურად ჩაექტვისა და სკდომის გამო“ (ჟღენტი 1953:61-62). მისი აზრით, მეგრულსა და ლაზურში მაგარშემართვიანი ხმოვნები ბევრ შემთხვევაში შედეგია ფარინგალური მკვეთრი **ც**-ს ხმოვნებთან შეგუებისა და გადაგვარებისა (ჟღენტი 1953:35).

ტ. გულავა **ც**-ს ახასიათებს როგორც ყრუ, მკვეთრ თანხმოვანს, რომელიც იწარმოება სახმო სიმების ტკაცუნით. იგი მეგრულში მეორეული ბგერაა, მისი გაჩენა დაკავშირებულია **ყ** ბგერასთან: **ყ** → **ც**, ეს გადასვლა აიხსნება ფარინგალურ თანხმოვანთა სამეულის (-, **ჭ**, **ყ**-ს) მოშლით, თუმცა მეგრულში **ც**-სთან ერთად **ყ**-ც წარმოდგენილია. იგი შენიშნავს, რომ **ც** შეიძლება განვიხილოთ როგორც მაგარი შემართვა, რომელიც იხმარება სხვადასხვა პოზიციაში.²

ტ. გულავასა და თ. გამყრელიძის კომპაქტურ, მაგრამ ინფორმაციულად უაღრესად ღირებულ ნაშრომში „თანხმოვანთკომპლექსები მეგრულში“ (გულავა, გამყრელიძე 1981:202-242) წარმოდგენილია თანხმოვანთკომპლექსების გამჭვირვალე და მკაფიო ფორმულა. ჩვენთვის საინტერესო **ყ** და **ც** თანხმოვნების შესახებ ნათქვამია, რომ /ყ/ ფონემა აერთიანებს ორ პოზიციურ ვარიანტს [ყ] და [ც]-ს.

შ. გაფრინდაშვილის აზრით, **ც** ისეთივე ტრანსლარინგალური ფონაციის ბგერაა, როგორც სხვა სუნთქვიერი თანხმოვნები. სახმო სიმების ხშულად მიჩნეული **ც**-ს წარმოსათქმელად საჭიროა ფილტვებიდან ამომავალი საფონაციო ნაკადი. ამ ბგერის ტრანსლარინგალურობა არის მიზეზი იმისა, რომ იბერიულ-კავკასიურ ენებში იგი იჩენს მიდრეკილებას გასპირანტებისკენაც და გამჟღერებისკენაც. „არის საფუძველი, ვიფიქროთ, რომ რიგ ენაში ამ ბგერად მიჩნეული თანხმოვნები იწარმოება არა სახმო სიმებს შორის, არამედ გაცილებით ზემოთ, ხახის ღრუს ქვემო ნაწილში“ (გაფრინდაშვილი 1962).

ამ განსხვავებულმა, ხშირად ურთიერთგამომრიცხავმა თვალსაზრისებმა გვიბიძგა კიდევ ერთხელ მივბრუნებოდით მეგრულში **ყ** და **ც**-ს დისტრიბუციულ და ექსპერიმენტულ ანალიზს.

¹ ტერმინი „როთული“ დაახლოებით აფრიკატის ტოლფასია. ი. ყიფშიძის მიხედვით, ამ კატეგორიის ბგერებია: **წ**, **ჭ**, **ძ**, **ჯ**, **ც**, **ჩ**, **ხ**, **ღ**. ასევე საინტერესოა, რომ „სპირანტებში“ ნაგულისხმები (**პ**, **ტ**, **წ**, **ა**) თანხმოვნები, სინამდვილეში, აპროქსიმანტებია.

² ტ. გულავას ეს მოსაზრება გამოთქმული აქვს მეგრულის სპეცკურსის კითხვისას.

მეგრულის თანხმობები ექსპერიმენტულად შეისწავლა ნ. იმნაძემ. კვლევის შედეგები გამოქვეყნებულია ნაშრომში – „ზანური ენის მეგრული დიალექტის ბგერითი შედგენილობა“ (იმნაძე 1981). გამოკვლევას თან ახლავს თანხმობების სამეტყველო ორგანოთა პროფილის გრაფიკული გამოსახულებები, ოსცილოგრამებისა და სპექტოგრამების ფოტოები.

ყ და **ქ** თანხმობანთა რენტგენოგრამების (იმნაძე 1981:99) ანალიზი გვიჩვენებს, რომ მეგრულის **ყ** ბგერა არის ხახისმიერი, არანაზალური თანხმობანი, მისი წარმოთქმისას ენის უკანა ნაწილი უახლოვდება ხახის უკანა კედელს. ერთი შეხედვით, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ საქმე გვაქვს ნაპრალოვან თანხმობანთან. ხოლო **ქ** თანხმობანი იწარმოება ხორხისმიერი ნაპრალოვანი **ჭ** თანხმობის ანალოგიურად (იმნაძე 1981:100).

განსახილველ თანხმობანთა ოსცილოგრამების ანალიზის შედეგად დგინდება ბგერათა ძირითადი აკუსტიკური სურათი. **ყ** ინტერვოკალურ პოზიციაში V-V (მაგ., სიტყვაში *ყყაბი* „ხის ფლოსტები“) ხასიათდება შემდეგნაირად: ახმობის პერიოდული რხევების თანდათანობით შემცირების შემდეგ უშუალოდ იწყება აპერიოდული, მაღალი სიხშირის რხევები. მოცემულ ფაზას მოსდევს ურხევო მონაკვეთი. გამოიყოფა 2 ფაზა – სპირანტული ნაწილი და უბგერო პერიოდი. შეიძლება ითქვას, რომ არც აკუსტიკურად დასტურდება პირში ხშვა **ყ**-ს წარმოთქმისას. რაც შეეხება ყელში ხშვას, იგი საკმაოდ მკაფიოდ გამოიხატება, რისი დამადასტურებელიც არის უბგერო პერიოდი. ასევე ორი ფაზაა გამოხატული ამავე სიტყვაში თავკიდური **ყ**-ს წარმოთქმისას (იმნაძე 1981: ნახ. 247, 248).

ყ C-V პოზიციაში (მაგ., სიტყვაში *მანწყული* „მოსაწყობი“), **ვ** ბგერის დამთავრებისას გამოიყოფა ხმოვნური ელემენტი. მას მოჰყვება სპირანტული ნაწილი, რომლის გრძლივობა 37 მს-ია და უბგერო პერიოდი (7 მს). **ყ**-ს I ფაზა ხასიათდება ცვალებადი ამპლიტუდის მქონე, მაღალი სიხშირის რხევებით. ამავე სიტყვაში წარმოთქმული **ყ** გვიჩვენებს პირველის მსგავს სურათს. მინიმალური ამპლიტუდის მქონე ხმოვნური ნაწილის შემდეგ შეინიშნება სპირანტული ნაწილი და უბგერო პერიოდი (იმნაძე 1981:ნახ. 249, 250).

რადგანაც **ყ** არც მკაფიოდ გამოხატული ნაპრალოვანი და არც მკაფიოდ გამოხატული ხშული ბგერაა და ის აერთიანებს როგორც სპირანტის, ისე ყელხშული აფრიკატის თვისებებს, ავტორი **ყ** ბგერას განიხილავს ყელხშულ აფრიკატიდად (იმნაძე 1981:63).

ანალოგიურად განხილულია თავკიდურ პოზიციაში წარმოთქმული **ქ**-ს ოსცილოგრამა (მაგ., სიტყვაში *ქანჭეფი* „აბრეშუმის ჭია“, ნახ. 255). სიტყვა იწყება პერიოდული რხევებით. 20 მს-ის მანძილზე აღინიშნება პერიოდულ რხევებში შერეული მაღალი სიხშირის რხევები. ეს არის **ქ** ბგერის ჩქამი. შემდეგ იწყება ხმოვნისთვის დამახასიათებელი რხევები. მკვეთრი ზღვარი **ქ**-სა

და მომდევნო ხმოვანს შორის არ შეინიშნება, **ქ** გამოხატულია პერიოდული რხევებით. ასეთი სურათი გვაქვს ხოლმე მჟღერი სპირანტების შემთხვევაში.

სხვა დიქტორის მიერ ამავე სიტყვაში (იმნაძე 1981:ნახ. 256) წარმოთქმულ **ქ**-ს ახასიათებს **ა**-საგან განსხვავებული რხევები. ძირითადად ეს ეხება რხევათა ამპლიტუდას. იგი **ქ**-ს წარმოთქმისას უფრო მცირეა, ვიდრე **ა**-ს წარმოთქმის დროს. გამოიყოფა ოთხი პერიოდული რხევა, რომელიც მოდულირებულია მაღალი სიხშირის რხევებით. ამის შემდეგ კი გვაქვს მკვეთრი გადასვლა **ა** ხმოვანზე.

ინტერვოკალურ პოზიციაში წარმოთქმული **ქ** (მაგ., სიტყვაში *მაგალე* „ამხანაგი“, ნახ. 258) საკმაოდ დიდი ამპლიტუდის რხევებით გამოირჩევა. რხევები პერიოდულია. ხმოვნის რხევებისაგან განსხვავებით, ისინი მოდულირებული არიან მაღალი სიხშირის რხევებით.

ნ. იმნაძის აზრით, **ქ** სპირანტული ხასიათის ბგერაა. ის არც ხშულია და არც სპირანტი, რადგან ხშვისა და განხშვის ფაზები არ გამოიყოფა, ამასთანავე, მისი გაგრძელებაც შეუძლებელია. ამდენად, მიზანშეწონილია იგი ჩაითვალოს სპირანტოიდად. თანხმოვანთა საბოლოო კლასიფიკაციაში **ყ** მიჩნეულია ჩქამიერ, ყელხშულ, ხახისმიერ (ფარინგალურ), ხოლო **ქ** – ჩქამიერ, არაყელხშულ, ხორხისმიერ (ლარინგალურ) ფონემად (იმნაძე 1981:65, 67).

დისტრიბუციული ანალიზი

ვნახოთ, თუ რა დისტრიბუციულ სურათს იძლევა **ყ** და **ქ** ბგერათა განაწილება მეგრულში. დავიწყოთ **ქ**-ს ანალიზით:

I. #-V – სიტყვის თავკიდური პოზიცია ხმოვნის წინ. **ქ** თავკიდურ პოზიციაში დასტურდება ყველა, ხუთივე ხმოვნის წინ:

- **ქა** – რტო, შტო, ნოშო; **ქალა** – ცოფიანი, გადარეული; **ქალეა** – გახელეა, გადარევა;
- **ქებური**, **ყებური**, **კებური** – კერა, კერია, ადგილი კერიასთან ახლოს; **ქეილი** ზესხერი – შედედებული, დაკვეთილი, ლეკერტი სისხლი; **ქერთი** – ყლორტი;
- **ქიდირი** – ყიდვა (პიღურენქ <ვწიდურენქ) ვყიდულობ¹; **ქინჩი** – მკვახე; **ქილო** – ვეფხვი;
- **ქომური**, **კომური** – ტყემალი, **ქოროფა** (მიქორს) – ყვარება (მიყვარს); **ქოთუა** – გოღება;

¹ მკვეთრი **ქ** თანხმონით დაწყებულ ზმნურ ფუძეებში ივარაუდება ვ+ქ → პ-ქ, **ქ** თანხმოვნის შემდგომი დაკარგვით. მაგ., ვ-ქილუნქ → *პ-ქილუნქ → პ-ილუნქ „ყყიდულობ“; ვ-ქვილუნქ → *პ-ქვილუნქ → *პ-ილუნქ „კვლავ“. ამ მაგალითებიდან ჩანს, რომ **ქ** ყრუ ფონემაა, ის რომ მჟღერი თანხმოვანი ყოფილიყო, მაშინ მკვეთრი **პ**-ს ნაცვლად გვექნებოდა პოზიციურად შეპირობებული მჟღერი **ბ** ალომორფი.

- **სუდე** – სახლი; **სუბერი** – კუმპალი, კიმპალი, კუფხალი; **სურდგელი** – კურდღელი.

II. V-V – ინტერვოკალური პოზიცია. ხმოვნების გარემოცვა ნებისმიერი ვარიანტით შეიძლება იყოს წარმოდგენილი, ე.ი. შესაძლებელია ერთნაირი ხმოვნებიც იყოს და სხვადასხვაც:

- ა-ა: აცა – აჰა; ლაცაფი – თამაში; ნაცაფი – წლის ღორი, ბურვაკი;
- ა-ი: ღოშაფი – სოფლის სახელია, ვარაფია – ვარია;
- ა-ო: დაფონება – დაყოვნება; გიშაფოთამა – გამოვლება;
- ა-უ: რაფუა (ბრაფე) – რეკა, გაღენა, ბერტყვა, პენტვა; მალაფუნა (მალვაფუნუქ) – გამოყოლა;
- ე-ე: შეფერი – ყლორტი, რქა (ვენახის);
- ე-ო: გეფონუა, ცონუა – მცნობა;
- ე-ა: ქეფანა – ქვეყანა;
- ი-ი: გორიფინაფა (კისგრიში) – ყელყელაობა;
- ი-ა: რიფალი – გრძელი, მაღალი; ქიფანა – ქვეყანა;
- ი-უ: ციფუა, გე-ციფუა – ყლაპვა;
- ო-ო: ნოფორი – საყლაპავი, ყრონტი, კრიჭა, ხახა;
- ო-ა: ღოფაშუა (ბინერიში) – გადაწინდვა ვახისა, დამგინება, იხ. მაგანი);
- ო-ე: ოფე – საყვირი, ბუკი;
- ო-ი: ოფია – თანხმობის მიცემა, კი, ჰო;
- ო-უ: ნოფური – ჩენჩო;
- უ-უ: ნუფუ, ნგფუ – კუნძი;
- უ-ი: მუფი – მყვალნი, ძიგირი; ღუფი – იდაყვი.

III. კომპლექსის შემადგენლობაში **ც** გვხვდება მხოლოდ **ვ**-ს წინ: **ცვა** – შუბლი, **ცვალი** – ყველი, **ცვერე** – ბრმა, **ფაცვაფი** თგრიში – ფანტელ-ფანტელ თოვა, **ძაცვაფი** – ძნეყვა, **ბიძვალი** – გაბერილი, **რეცვინი** – ცმუკვა, **ფოცვინაფა** – ბუზვა და სხვ.

კანონიკური ორწევრიანი კომპლექსების მაგალითებს თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ **ცვ**- სიტყვის ანლაუტშიც არის წარმოდგენილი და ინლაუტშიც. მხოლოდ ერთადერთი მაგალითია არაკანონიკურ კომპლექსში: –**მცვ**-, **ციმცვა**, **ცემცვა** – მარწყვი (შდრ. **მუფი** – მყვალნი).

ამგვარად, როგორც ვხედავთ **ც**-ს დისტრიბუცია არის: #-V, V-V, #**ცვ**-, –**სცვ**-.

მეგრულში **ც** რომ მართლაც **ყ**-სგან მომდინარეა და მეორეული წარმოშობისაა, ამაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ **ც** ქართველური ენებიდან მხოლოდ მეგრულ-ლაზურშია წარმოდგენილი. ე.ი. მეგრულში მოხდა უკან გადაწევა (**ყ**

→ **ც**) და გაჩნდა უკანა წარმოების ლარინგალური თანხმოვანი. გასარკვევია **ც** არის **ყ** ფონემის პოზიციური ვარიანტი, ე.ი. ალოფონია, თუ დამოუკიდებელი ფონემა? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა ვნახოთ **ყ**-ს დისტრიბუცია მეგრულში.

ყ-ს შემცველი საკმაოდ ბევრი ფუძე დასტურდება მეგრულში. **ყ** მონაწილეობს მეგრული თანხმოვანთკომპლექსების როგორც ოთხწევრა (მაგ., რჭყყ – ლერჭყყა „ნერწყვი“; ნწყყ – ნწყყირი „დაქცეული“), ისე სამწევრა (მაგ., რტყ – ორტყაფუ „სარტყელი“, ნტყ – მონტყორი „მატყელი“) და ორწევრა კანონიკურ კომპლექსებში (მაგ., ტყ – ტყა „ტყე“, წყ – წყუ „ჭა“).

იძებნება მაგალითები, სადაც **ყ** და **ც** ერთმანეთთან თავისუფლად მონაცვლეობენ: მაგ., ყაზახი || ყაზაყი || ცაზახი – „გლეხი“, ყარება || ცარება – „მოდრაობა“, ყინტუა || ცინტუა – „ყლაპვა“, ყურდგელი || ცურდგელი – „კურდღელი“ და სხვ.

რა მიმართებაა **ყ** და **ც** ვარიანტებს შორის მეგრულში? მართალია, **ყ:ც** დაპირისპირებისთვის მინიმალური წყვილი ჩვენ ვერ ვნახეთ, მაგრამ დასტურდება უამრავი კონტრასტული დისტრიბუციის მაგალითი, რაც საფუძველს იძლევა [**ყ**] და [**ც**] ჩათვალოს არა ერთი ფონემის /**ყ**/-ს პოზიციურ ვარიანტებად, არამედ ორ განსხვავებულ ფონემად მეგრულის თანხმოვანთა სისტემაში.

ყ შეიძლება, ისევე როგორც **ც**, შეგვხვდეს სიტყვის თავში სხვადასხვა ხმოვნის წინ: მაგ., #-უ: ყურსუა – დაყურსება, #-ე: ყებური – კერა, #-ა: ყანჭი – ყაჭი, აბრეშუმის ჭია, #-ო: ყორყელი – ყანყრატო, ყელი, ხორხი, #-ი: ყიარი – ორ-ულელი და სხვ.

ყ-ს V-V პოზიციაში გამოჩენის მაგალითები: ჯაბაყულა – შუა მოსართავი ბალიშზე გადარტყმული, რაყალე – ჩივილი, ვაყა – ცხენი, ბუყუნი – ხის ჭურჭელი, კასრი და სხვ.

#ყყ- პოზიცია: ყვაბუა (იყვაბუუქ) – კვება (ვიკვებები), ყვიყალი, – ყვიყილი – მოლურჯო; ყვანდგინი – ყვედრება, ღრტყინვა, ბუზლუნი, ყვარილი – ყვერული, ყვარანი – ყორანი და სხვ.

შეინიშნება შემდეგი კანონზომიერება:

1. მეგრულში **ყ** არ იცვლება იმ შემთხვევაში, თუ ის არის ჰარმონიული კომპლექსის წევრი. მაგ., ქართ. ტყავი: მეგრ. ტყები, ქართ. მწყერი: მეგრ. მჭყორი, ქართ. წყალობა: მეგრ. ჭყოლოფუა, ქართ. მწყემსი: მეგრ. ჭყიში, ქართ. წყვეტა: მეგრ. ჭყვად და სხვ.
2. **ყ** მეგრულში დაცულია მაშინაც, როდესაც ერთ სიტყვაში წარმოდგენილია ორი **ყ**. მაგ., ქართ. ყიყინებს: მეგრ. ყაყალანს, ქართ. ყურყური: მეგრ. ყურყინი, ქართ. ყაყაბი: მეგრ. ყაყაფი და სხვ.
3. **ყ** აგრეთვე დასტურდება ქართულიდან ახლად ნასესხებ სიტყვებში, მაგ., ქართ. ყავარი: მეგრ. ყამბარი, ჯაყვა, ბრიყვი, ნიყვი, სიტყვა და სხვ.

ამგვარად, /ყ/ და /ყ̄/ მეგრული ენის თანხმოვანთა სტრუქტურაში ორი დამოუკიდებელი ფონემაა. **ყ** მეორეული ბგერაა **ყ**-დან მომდინარე – **ყ**→**ყ̄**, გადაწვევის პირველ ეტაპზე გვქონდა **ყ** || **ყ̄** ვარიანტების თავისუფალი მონაცვლეობა, ხოლო შემდეგ აღმოჩნდნენ რა კონტრასტულ პოზიციებში, ჩამოყალიბდნენ დამოუკიდებელ ფონემებად. თავისუფალი მონაცვლეობის პოზიციაში ხდება ფონემური დაპირისპირების ნეიტრალიზაცია და შეიძლება გვქონოდა თავისუფლად მონაცვლე ალოფონებიც და ფონემებიც. ამ შემთხვევაში გვაქვს ფონემები.

საინტერესოა, რომ ტიპოლოგიურად იმ ენებში, სადაც გლოტალიზაცია წარმოდგენილია, **ყ** ფონემაც დასტურდება ხოლმე – ანუ ისე, როგორც გვაქვს მეგრულში.

ექსპერიმენტულ-ფონეტიკური ანალიზი

მეგრული მეტყველების ციფრული აკუსტიკური ანალიზი შესრულებულია კომპიუტერული პროგრამებით – Praat-ითა და WaveSurfer-ით. გაანალიზებული აუდიომასალის გრაფიკული გამოსახულებები (ოსცილოგრამა, სპექტროგრამა, ინტონოგრამა და ინტენსივობის მრუდი) ვიზუალიზებულია WaveSurfer -ის მეშვეობით.

*

თაკიდურ პოზიციაში ხმოვნის წინ **ყ** ბგერა შესაძლოა წარმოდგენილი იყოს მსკლომის (იხ. დანართი, სურ. 3, 4, 5, 16, 23) ან სპირანტის (სურ. 1, 6, 17, 24) აკუსტიკური სურათით.¹ მსკლომის სურათი ასეთია: 10-35 მსკ-ის გრძლივობის სკლომის ჩქამი და, როგორც წესი, უბგერო ინტერვალი (გრძლივობა 5-20 მსკ); სპირანტული ვარიანტისთვის დამახასიათებელია საკმაო გრძლივობის ჩქამი (55-100 მსკ) უბგერო ინტერვალით (20-35 მსკ) ან მის გარეშე.

ორივე ვარიანტის მომდევნო ხმოვნის დასაწყისისათვის საერთოა სახმო სიმების „თრთოლის“ (კვაზიპერიოდულობის) მაღალი ხარისხი ან ლარინგალიზაცია („ჭრიალა ხმა“ – creaky voice), რაც გამოიხატება დეფორმირებული ფორმანტული სურათით და შესაბამისად – ინტენსივობის ნელი მატებით; ხმოვანი შეიძლება დაიწყოს დაბალი, თანაბარი ან მაღალი (იშვიათად) ტონით და ინტენსივობის ნელი, ზომიერი ან მკვეთრი მატებით. ხმოვნის დასაწყისში ინტენსივობის მატების დინამიკისა და ძირითადი ტონის (F0-ის) ცვლილების ხასიათის მიხედვით შესაძლებელია განსხვავებული ვარიანტების არსებობა: ა) – მაღალი ძირითადი ტონითა და ინტენსივობის მკვეთრი მატებით; ბ) – დაბალი ტონით (შესაძლოა სახმო სიმების „ჭრიალით“ (ლარინგალიზაციით) და ინტენსივობის ნელი მატებით; გ) დაბალი ტონით და ინტენსივობის

¹ ერთი შემთხვევაა, როდესაც სკლომას მოსდევს საკმაო გრძლივობის ჩქამი (სურ. 10).

მკვეთრი მატებით; დ) – თანაბარი ძირითადი ტონითა და ინტენსივობის ნელი ან მკვეთრი მატებით.

თავკიდურ პოზიციაში ვ-ს წინ უფრო ხშირია *ყ* ბგერის სპირანტული სურათი 60-95 მს-ის გრძლივობის ჩქამითა და უბგერო ინტერვალით (25-60 მს) ან მის გარეშე; მსკდომი ვარიანტის ჩქამის (15-80 მს) მონაცემები საგრძნობლად არის შემცირებული, ხოლო უბგერო ინტერვალის (20-60 მს) დაახლოებით იგივეა (სურ. 8, 20).

ვ-ს უღერა შესაძლოა დაიწყოს დაბალი, თანაბარი და მაღალი ტონით ან სახმო სიმების „ჭრიალით“ (ლარინგალიზაციით) და ინტენსივობის ნელი ან მკვეთრი მატებით. სახმო სიმების „თრთოლის“ ხარისხი ხმოვნის დასაწყისთან შედარებით ოდნავ დაბალია; ასევე აღსანიშნავია, რომ მსკდომი ვარიანტი ხმოვნის წინ უფრო მოკლე ჩქამით არის წარმოდგენილი.

თავკიდურ ჰარმონიულ კომპლექსებში (ტყ და წყ) ყ ბგერა, როგორც წესი, წარმოდგენილია ხშვის გარეშე მხოლოდ ჩქამით (გრძლივობა 25-70მს) და უბგერო ინტერვალით (გრძლივობა 15-55 მს). იმავე კომპლექსებში *ყ-ს* ხშვის არსებობის შემთხვევებში მისი გრძლივობა მერყეობს 15-25 მს-ის – ხოლო უბგერო ინტერვალის – 10-15 მს-ის ფარგლებში (სურ. 4, 13, 18).

ინტერვოკალურ პოზიციაში ყ ბგერა რეალიზდება როგორც სპირანტი (ჩქამის გრძლივობა 50-95 მს) ან სპირანტი დი და ხშვის ჩქამით, ხშვის ფაზით, სკდომის იმპულსით და უბგერო ინტერვალით – საერთო გრძლივობა 70-100 მილისეკუნდია (სურ. 16, 17, 23, 24).

* *

თავკიდურ პოზიციაში ხმოვნის წინ *ქ-ს* აკუსტიკური სურათისთვის დამახასიათებელია გლოტალური სკდომის იმპულსი მოკლე დაბალსიხშირული ჩქამით ან უჩქამოდ; უღერა იწყება სახმო სიმების „თრთოლის“ მაღალი ხარისხით. ხმოვნის დასაწყისში ძირითადი ტონის (F0-ის) ცვლილებისა და ინტენსივობის მატების დინამიკის ხასიათის მიხედვით შესაძლებელია განსხვავებული ვარიანტები: ა) – მაღალი ძირითადი ტონითა და ინტენსივობის მკვეთრი მატებით; ბ) დაბალი ტონით და ინტენსივობის მკვეთრი მატებით; დ) თანაბარი ძირითადი ტონითა და ინტენსივობის მკვეთრი მატებით.

თავკიდური პოზიციაში ვ-ს წინ დაახლოებით ისეთივე ვითარებაა, როგორც ხმოვნის წინა პოზიციაში იმ განსხვავებით, რომ, როგორც წესი, უღერა იწყება დაბალი ძირითადი ტონით და ინტენსივობის ნელი მატებით.

ინტერვოკალურ პოზიციაში ქ-ს აკუსტიკური სურათი წარმოდგენილია მეზობელ ხმოვნებთან შედარებით მცირე ინტენსივობისა და დაბალი ძირითადი ტონის 50-90 მს-ის გრძლივობის გამჟღერებული აპროქსიმანტის სახით სახმო სიმების „ჭრიალით“.

გლოტალიზაციის დიქტომიური კლასიფიკაციის (ლინდაუ 1984, სტივენსი 1998, რაიტი... 2002,) მიხედვით ზისტი (stiff) გლოტალიზებულები იწარმოებიან სახმო სიმების ზომიერი მედიალური კუმშვითა და ზღვრული გასწვრივი დაჭიმულობით, რაც შეესაბამება მომდევნო ხმოვნის (ჟღერის) მკვეთრი და მაღალი ძირითადი ტონით დაწყებას, ხოლო სუსტი (slack) გლოტალიზებულებისთვის დამახასიათებელია სახმო სიმების მცირე გასწვრივი დაჭიმულობა (დაბალი ძირითადი ტონი), ზღვრული მედიალური კუმშვა (ინტენსივობის ნელი მატება) და ე.წ. „ჭრიალი“ (creaky voicing); ანუ ხმოვნის დაწყების ინტენსივობის მკვეთრი მატება ნიშნავს სახმო სიმების ზომიერ (moderate) მედიალურ კუმშვას, ინტენსივობის ნელი მატება – ზღვრულ (extreme) მედიალურ კუმშვას, მაღალი ძირითადი ტონი – ზღვრულ გასწვრივ დაჭიმულობას, დაბალი ძირითადი ტონი – მცირე (little) გასწვრივ დაჭიმულობას. როგორც მეგრულის გაანალიზებული მასალიდან ჩანს (ცხრილი 1,2), ხშირია თავკიდური გლოტალიზებული ბგერის მომდევნო ხმოვნის დაწყება თანაბარი ძირითადი ტონით; ამიტომ ალბათ ლოგიკურია, რომ ეს აკუსტიკური თვისება შეესაბამებოდეს სახმო სიმების ზომიერ გასწვრივ დაჭიმულობას.

ცხრილების სახით წარმოდგენილია ყ და ჭ ბგერების მომდევნო ხმოვნის დასაწყისის აკუსტიკური სურათის კორელაცია სახმო სიმების არტიკულაციასთან:

<i>ინტენსივობის მატება</i>	<i>ძირითადი ტონი</i>		
	ნელი	მკვეთრი	
დაბალი	+	+	მცირე გასწვრივი დაჭიმულობა
თანაბარი	+	+	ზომიერი გასწვრივი დაჭიმულობა
მაღალი	-	+	ზღვრული გასწვრივი დაჭიმულობა
	ზღვრული მედიალური კუმშვა	ზომიერი მედიალური კუმშვა	სახმო სიმების მდგომარეობა

ცხრილი 1. თავკიდური ყ ბგერის მომდევნო ხმოვნის დასაწყისის აკუსტიკური სურათის კორელაცია არტიკულაციასთან

<i>ინტენსივობის მატება</i> <i>ძირითადი ტონი</i>	ნელი	მკვეთრი	
დაბალი	–	+	მცირე გასწვრივი დაჭიმულობა
თანაბარი	–	+	ზომიერი გასწვრივი დაჭიმულობა
მაღალი	–	+	ზღვრული გასწვრივი დაჭიმულობა
	ზღვრული მედიალური კუმშვა	ზომიერი მედიალური კუმშვა	სახმო სიმების ძღვომარეობა

ცხრილი 2. თავკიდური Բ ბგერის მოძღვრობის ხმოვნის დასაწყისის აკუსტიკური სურათის კორელაცია არტიკულაციასთან

ცხრილებიდან ნათლად ჩანს, რომ ყელში სკდომის შემდეგ ხმოვნის დასაწყისში მაღალი ძირითადი ტონი (F0) და ინტენსივობის მკვეთრი მატება მიუთითებს სახმო სიმების ენერგიულ სკდომაზე, რაც მიიღწევა სახმო სიმების ზღვრული გასწვრივი დაჭიმულობითა და ზომიერი მედიალური კუმშვით. ხოლო დაბალი F0 და ინტენსივობის ნელი მატება ან ხმოვნის დასაწყისის ლარინგალიზაცია („ჭრიალა ხმა“) მაჩვენებელია სახმო სიმების მცირე გასწვრივი დაჭიმულობისა და ზღვრული მედიალური კუმშვისა; და ეს მაშინ, როცა ჟღერის დაწყებისას დაბალი ძირითადი ტონი და ინტენსივობის მკვეთრი მატება სახმო სიმების მცირე გასწვრივ დაჭიმულობასა და ზომიერ მედიალურ კუმშვას ნიშნავს. თანაბარი F0 და ინტენსივობის ნელი მატება მაჩვენებელია ზომიერი გასწვრივი დაჭიმულობისა და ზღვრული მედიალური კუმშვისა. თანაბარი F0 და ინტენსივობის მკვეთრი მატება კი ნიშნავს სახმო სიმების ზომიერ გასწვრივ დაჭიმულობასა და ზომიერ მედიალურ კუმშვას.

თავკიდურ პოზიციაში Բ-ს წარმოთქმისათვის დამახასიათებელია მხოლოდ ზომიერი მედიალური კუმშვა და მცირე, ზომიერი ან ზღვრული (ძლიერი) გასწვრივი დაჭიმულობა, Գ-სთვის კი დამახასიათებელია როგორც ზომიერი, ისე ძლიერი მედიალური კუმშვა და მცირე, ზომიერი ან ზღვრული გასწვრივი დაჭიმულობა.

მაშასადამე, Գ-სგან განსხვავებით, Բ-ს არტიკულაციისათვის არ არის დამახასიათებელი სახმო სიმების ძლიერი მედიალური კუმშვა. ამასთანავე, აღსანიშნავია ისიც, რომ არც Գ და არც Բ არ წარმოითქმება ზღვრული გასწვრივი დაჭიმულობითა და მედიალური კუმშვით.

არაბული გლოტალური მსკლომი ე.წ. „ჰამზა“ თავკიდურ პოზიციაში **ქ**-სთან შედარებით ინტენსივობის უფრო მკვეთრი მატებით გამოირჩევა (იხ. დანართი, სურ. 25, 27). მაგრამ, რაც მთავარია, ინტერვოკალურ და ბოლოკიდურ პოზიციებში ის ინარჩუნებს ყრუ ხშულ-მსკლომის სურათს (დანართი, სურ. 26, 27, 28). მაშინ როცა ინტერვოკალური **ქ**-ს აკუსტიკური სურათი ძალიან ჰგავს არაბულ ფარინგალურ მჟღერ სპირანტს, რომელსაც უმნიშვნელო ტურბულენტური ჩქამის გამო შეიძლება აპროქსიმანტის კვალიფიკაცია მიეცეს (სურ. 28, 29, 30).

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ყ თანხმოვანი მეგრულში ფაკულტატიურად რეალიზდება გლოტალიზებული ხშულის, სპირანტის ან სპირანტოიდის (ინტერვოკალურ პოზიციაში) სახით. აღსანიშნავია, რომ სპირანტული წარმოთქმა უფრო დამახასიათებელია ჰარმონიულ კომპლექსში და ინტერვოკალურ პოზიციაში.

ქ ბგერა მეგრულში აკუსტიკური სურათის მიხედვით ფონეტიკურად ასე დამახასიათებელია – თავკიდურ პოზიციაში გლოტალური მსკლომი (მაგარი შემართვა), ხოლო ინტერვოკალურ პოზიციაში გამჟღერებული ფარინგალური აპროქსიმანტი ლარინგალიზაციით.¹ გამჟღერებას ხელს უნდა უწყობდეს ის ფაქტი, რომ ამ ბგერის წარმოთქმისთვის, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, დამახასიათებელია სახმო სიმების ზომიერი და არა ძლიერი (ზღვრული) მედიალური კუმშვა. სწორედ **ქ** ბგერის ასეთი რთული ბუნება უნდა იყოს განსხვავებული, ზოგჯერ წინააღმდეგობრივი აღწერის მიზეზი (ცაგარელი 1880, ყიფშიძე 1914).

ლიტერატურა

გ. ახვლედიანი, *ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები*, „ქართველოლოგიური ბიბლიოთეკა“, თბილისი 1999.

თ. გამყრელიძე, *რჩეული ქართველოლოგიური შრომები*, „ქართველოლოგიური ბიბლიოთეკა“, თბილისი 2000.

გაფრინდაშვილი 1962: შ. გაფრინდაშვილი, *ხშულ-მსკლომ თანხმოვანთა კლასიფიკაციის თვის ქართველურ ენებში*, იკე XIII, გვ. 81-91.

გუდავა, გამყრელიძე 1981: ტ. გუდავა, თ. გამყრელიძე, *თანხმოვანთკომპლექსები მეგრულში*, თსუ კრებული „აკაკი შანიძეს“, თბილისი.

იშაძე 1981: ნ. იშაძე, *ზანური ენის მეგრული დიალექტის ბგერითი შედგენილობა*, თბილისი.

ლინდაუ 1984: Mona Lindau, *Phonetic Differences in Glottalic Consonants*, Journal of Phonetics, 12, 147-55.

ჟღერტი 1953: ს. ჟღერტი, *ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა*, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

¹ ანალოგიურია ჰ-ს გამჟღერებისა უმნიშვნელო დავიწროების გამო.

რაიტი... 2002: Wright R., Hargus Sh., Davis K., *On the Categorization of Ejectives, data from Witsuwit'en*, Journal of the International Phonetic Association, 32: 43-77.

სტივენსი 1998: Stevens K. N., *Acoustic Phonetics*, MA: MIT Press, Cambridge.

თ. უთურგაიძე, *ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა*, „მეცნიერება“, თბილისი 1976.

პ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, *ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი*, თბილისი 2000.

ყიფშიძე 1914: Кипшидзе I., *Грамматика мингрельскаго (иверскаго) языка съ хресто- матіей и словаремъ*, Типографія Императорской Академіи Наукъ, С.-Петербургъ.

ა. ჩარგვიშვილი, *ქართული თანხმოვნების „ყ“ და „კ“ ბიომექანიკის საკითხებისთვის*, „საქ. მეცნ. აკადემიის მოამბე“, ტ. VII, №8, თბილისი 1946.

არნ. ჩიქობავა, *სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში*, თბილისი 1942.

ცაგარელი 1880: Цагарели А., *Мингрельские этюды*, II, С.-Петербург.

პ. ჭარაია, *მეგრულ-ქართული ლექსიკონი*, თბილისი 1997.

მ. ხუბუა, *მეგრული ტექსტები*, თბილისი 1937.

Marine Ivanishvili, Ivane Lezhava

Distributive and Experimental Analysis of [qʷ] and [ʔ] Consonants in Megrelian

Summary

The phonemic systems of Georgian and Zan (Megrelian-Laz) languages coincide with each other. The difference is minimal: 1) the so-called neutral vowel [ə]; 2) the glottal stop consonant [ʔ], which in the linguistic literature is qualified variously. It is shared that [ʔ] and dorso-uvular ejective [qʷ] are the allophones of one phoneme. It should be noted that [qʷ] falls within the system of fricatives; though following the fricative on-glide, it is characterized by occlusion as well. Here, too, the classification necessitated the consideration of syntagmatic level (e.g., in harmonic clusters [qʷ] will be found alongside the fricatives [ɣ] and [x]: [bɣ], [px], [pʷqʷ]...). Because of that, many phoneticians used to qualify it as a “spirantoid”.

The synchronic distributive and experimental analysis shows that [qʷ] and [ʔ] are independent phonemes. In particular, it has been stated that the distribution of [ʔ] is: #-V, V-V, #ʔv-, -Sʔv- (and the same for [qʷ]). Though for the [qʷ]: [ʔ] opposition there is no minimal pair, but many examples of contrastive distributions are attested, on the basis of which we can consider [qʷ] and [ʔ] not as the positional variants of [qʷ] phoneme, but as two different phonemes of Megrelian consonant system. This is also confirmed by the typological point of view, because in the languages with glottalization usually [ʔ] phoneme is presented.

In Megrelian the following regularity may be traced:

1. [qʰ] is not changed and stays the same in harmonic complexes: e.g., Geo. tʰqʰavi: Megr. tʰqʰebi ‘leather’;
2. [qʰ] is saved when there are two [qʰ] s in the root: e.g., Geo. qʰiqʰinebs: Megr. qʰaqʰalans ‘croaks’;
3. [qʰ] is presented in the new Georgian borrowings: e.g., Geo. sitʰqʰva: Megr. sitʰqʰva ‘word’.

Diachronically [ʔ] is a secondary sound that comes from [qʰ] ([qʰ] → [ʔ]). It is indicated by the fact that of all Kartvelian languages [ʔ] exists only in Megrelian and Laz, which could be a result of backwarding which took place in Zan articulation. On the first level there occurred a free alternation, and only after they were found in contrast position, they were formed as independent phonemes.


The digital acoustic analysis of Megrelian speech was made by the following computer programs: Praat and WaveSurfer.

The graphic pictures of the analyzed Megrelian audio material (waveform, pitch contour, power plot and spectrogram) were visualized by WaveSurfer.


According to the dichotomic classification of ejectives (Lindau, Kingston), extreme medial compression of the vocal folds is not characteristic of the articulation of [ʔ]. Herewith, it is noteworthy that neither [qʰ] nor [ʔ] are pronounced with extreme longitudinal and medial compression.

Consonant [qʰ] in Megrelian is facultatively realised as glottalized stop (qʰ), fricative (χʰ) or only in intervocalic position as “spirantoid” (χ^h). Fricative articulation is more typical within harmonic clusters (tʰqʰ...) and intervocalic position.


According to the acoustic picture, sound [ʔ] in Megrelian can be phonetically characterized as follows: in initial position as a glottal stop, and in intervocalic position – as voiced pharyngeal approximant with laryngealization. The voicing should be promoted by the fact that for the pronunciation of this sound a moderate and not extreme medial compression of the vocal folds is typical. Exactly such complicated nature of sound [ʔ] should be the reason of various, sometimes even contradictory, descriptions (Tsagareli, Kipshidze).




სურათი 1. ყანრა [χ'antʃa] (სპირანტი) – „ყანრა“ (გ.ა. – მამაკაცი)




სურათი 2. ჭურბენი [ʁurdzeni] (გლოტალური მსკლომი ჩქამით) – „ჭურბენი“ (გ.ა. – მამაკაცი)




სურათი 3. ყაღალა [q'adaya] (მსკლობი) – „ყაღალა“ (თ.ა. – ქალი)




სურათი 4. ტყობაშე [t'q'obash'e] (მსკლობი) – „ფარულად“ (თ.ა. – ქალი)




სურათი 5. ყია [q'ia] (მსკლომი) – „მუცელი“ (გ.შ. – მამაკაცი)




სურათი 6. ყია [χ'ia] (სპირანტი) – „მუცელი“ (გ.შ. – მამაკაცი)




სურათი 7. ჭილუა [p'ila] (გლოტალური მსკლომი) – „ყიყინი“ (გ.შ. – მამაკაცი)




სურათი 8. ცვინთელი [ʁvinteli] (გლოტალური მსკლომი) – „ყვითელი“ (გ.შ. – მამაკაცი)




სურათი 9. ნოცუნა [nɔnɔnɔ] (აპროქსიმანტი) – „ჰეოლიათ“ (ლ.გ. – ქალი)




სურათი 10. ყავა [qʰava] (მსკლომი+სპირანტი) – „ყავა“ (ნ.ყ. – ქალი)




სურათი 11. ცუჯი [ʁudʒi] (კარგად ჩანს ყელში სკლომა) – „ყური“ (ნ.ყ. – ქალი)




სურათი 12. მაჭილე [maʎide] (აპროქსიმანტი) – „მედიკალი“ (ნ.ყ. – ქალი)




სურათი 13. ტყაპი [tʃ'ap'i] (სპირანტი) – „ტყლაპი“ (ლ.გ. – მამაკაცი)




სურათი 14. ჭიდირი [ʒidiri] (გლოტალური მსკლომი) – „ყიდვა“ (ლ.გ. – მამაკაცი)




სურათი 15. მაწიდე [maɲide] (აბროქსიმანტი) – „მეიდველი“ (ლ.გ. – მამაკაცი)




სურათი 16. ყაყალანს [q'aχ'alans] (თავკიდური მსკლომი, ინტერვოკალური სპირანტოიდი) – „ყეყინებს“ (გ.შ. – მამაკაცი)




სურათი 17. ყაყალი [χ'aχ'ali] (სპირანტები) – „ყაყანი“ (ლ.დ. – მამაკაცი)




სურათი 18. ტყაბი [t'χ'ap'i] (სპირანტი) – „ტყლაბი“ (ლ.დ. – მამაკაცი)




სურათი 19. ოყიდე [ɲ'ide] (აპროქსიმანტი) – „საყიდელი“ (ლ.დ. – მამაკაცი)




სურათი 20. ყვინთელი [q'vinteli] (მსკლომი) – „ყვინთელი“ (რ.ა. – მამაკაცი)




სურათი 21. წულე [ɖudɛ] (გლოტალური მსკლომი) – „სახლი“ (რ.ა. – მამაკაცი)




სურათი 22. წყირტუ [ts'χ'irt'u] (სპირანტი) – „ქათმის ავადმყოფობა“ (რ.ა. – მამაკაცი)




სურათი 23. ყყონუნს [q'i'χ'unns] (თავკიდური მსკლმი, ინტერვოკალური სპირანტი) – „უწესოდ ჭამა“ (თ.თ. – ქალი)




სურათი 24. ყყუნს [χ'aχ'uns] (თავკიდური და ინტერვოკალური სპირანტი) – „ბევრს შეჭამდა“ (პ.ც. – მამაკაცი)




სურათი 25. 'atara [ʔaθara] (ʔ- გლოტალური მსკლომი, „ჰამზა“) – „გადაცემა, მოყოლა“ (ეგვიპტური არაბული)




სურ. 26. *dara'a* [ðaraʔa] (ʔ- გლოტ. მსკლომი, „ჰამზა“) – „შექნა“, (ეგვიპტური არაბული)




სურათი 27. *ʔalifbā* [ʔalifba:ʔ] (ʔ- გლოტალური მსკლომი, „ჰამზა“) – „ანბანი“ (ეგვიპტური არაბული)



სურათი 28. ʔabaʔa [ʔabaʔa] (ʔ- ფარინგალური აპროქსიმანტი, „აინი“; ʔ- გლოტალური მსკლმი, „ჰამზა“) – „ყურადღების მიქცევა“ (ეგვიპტური არაბული)



სურათი 29. tabiʔa [tabiʔa] – (ʔ- ფარინგალური აპროქსიმანტი, „აინი“) – „ვაეოლა“ (ეგვიპტური არაბული)



სურათი 30. mu'abbar [mu'abbar] (‘- ფარინგალური აპროქსიმანტი, „აინი“)
 – „დასახელებული“ (ეგვიპტური არაბული)

უარყოფითი და დადასტურებითი ნაწილაკების ფუნქციური განაწილების პრინციპები მებრუნში¹

მებრუნში დადასტურებულია უარყოფითი (უკუქცევითი) ვა(რ) „არ“² და დადასტურებითი (მტკიცებითი) ქო- „ქე“/„კი“ ნაწილაკები.

მნიშვნელობათა რაობისათვის

ვა(რ) „არა“ სრული სახეა უარყოფის ნაწილაკისა. იგი გამოიყენება დიალოგურ მეტყველებაში, II პირის რეპლიკაში. მისი ფონეტიკური ვარიაციებია: ვა, ვე. უარყოფის ნაწილაკი მებრუნში გამოხატავს კატეგორიულ (ვამოკო „არ მინდა“) და შესაძლებლობის უარყოფას, პოტენციალის ფორმებთან (ვამაჭკომე „არ მეჭმევა“). ვა ზმნის პროკლიტიკური ნაწილია. ი. ყიფშიძე მის მიერ გამოცემულ მებრუნ ტექსტებში ცალკე წერდა და ამის შესახებ აღნიშნავდა კიდევ მებრუნ ენის გრამატიკაში (Кипшидзе 1914:013). სხვა ავტორების მიერ შემდეგდროინდელ გამოცემულ ტექსტებში ზმნასთან ერთადაა. ერთად დაწერილობას ისიც უწყობს ხელს, რომ აღნიშნული ნაწილაკის ხმოვნითი ნაწილი ხმოვნით დაწყებულ ზმნურ ფუძესთან შეერთებისას, მორფმათა საზღვარზე, განიცდის ფონეტიკურ ტრანსფორმაციას.

ქო მტკიცებითი ნაწილაკი ცალკეც იხმარება კითხვა-მიგების დროს და ზმნურ პროკლიტიკადაც გვევლინება (კარტოზია და სხვ., 2010:307). მისი ფაკულტატიური ვარიანტებია: ქექქე „ქე“/„კი“. აღნიშნული ნაწილაკი, გარდა იმისა, რომ გამოხატავს დადასტურებას, მორფოლოგიური მარკერიც არის: აწარმოებს სრულ ასპექტსა და მომავალ დროს:

თქუ-ან-ს – ქო = თქუ-ან-ს

თქმა.FUT-THM-S3.SG – PPTC(FUT:PFV) = თქმა-THM-S3.SG

ნაწილაკების ოპოზიციური მიმართება

- (1) დისქანქ ვამორთუო? „დედაშენი არ მოვიდა?“
- (2) დისქანქ მორთუო? „დედაშენი მოვიდა?“
- (3) დისქანქ ქომორთუო? „დედაშენი ქე მოვიდა?“

¹ წაკითხულია მოხსენებად არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო სესიაზე „არნოლდ ჩიქობავას საკითხავები-XXII“, 07-08.05.2011.

² მებრუნში დასტურდება ქართულთან საერთო ნუ უარყოფითი ნაწილაკიც, რომელიც მხოლოდ უარყოფას გამოხატავს; ამიტომ მისი ფუნქციური განაწილების პრინციპებზე ვერ ვისაუბრებთ და მხოლოდ ვა(რ) და ქო ნაწილაკების ოპოზიციას განვიხილავთ.

მეგრულ მეტყველებაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ზემოთ მოცემული სამი შესაძლო ვარიანტიდან სიხშირით უარყოფითნაწილაკიანი ჭარბობს (1), დანარჩენი ორის – (2), (3) პროცენტული მონაცემი თითქმის თანაბარია.¹

კონსტრუქციის კომპონენტთა აზრობრივი მიმართებისათვის

უარყოფითი ნაწილაკის შემცველი კონსტრუქცია აზრობრივად მრავალფეროვანია მეგრულში. კერძოდ, -და და -ნი კავშირ-ენკლიტიკების შემცველ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში გამოიყოფა ორი ტიპის კონტექსტი: უარყოფით-ნაწილაკიანი დამოკიდებული გამოხატავს უარყოფას ან პირიქით – დადასტურების შინაარსის შემცველია.²

უარყოფითნაწილაკიანი დამოკიდებული უარყოფითი მნიშვნელობის გამო-მხატველია:

- (4) *ხვარას ხვარა ვა დუუძახი და, აშო ქედოვიძახ?* (ყიფ. 177₁₀) „ქაჩალს ქაჩალი თუ არ დაუძახე, აქეთ დავიძახებ“.
- (5) *ვა დობილუნთ და, მა ქოფთქუანქია* (ხუბ. 134₂₉) „თუ არ მოძკლავთ, მე ვიტყვი“.
- (6) *ვამიყუნანსდა, ოსური მიდულია* (ხუბ. 107₆) „თუ არ მოიყვანს [ცხენს], ცოლი წაართვი“.³

¹ დადებითფორმიან ზმნებს ხშირად პოსტპოზიცივაში დაერთვის კითხვითობის -ო-ს შემცველი უარყოფის ნაწილაკი ვარო? „არა“?, რომლითაც უკეთ არის გამოხატული ჩაკითხვა: *დასქანქ მორთუ/ქომორთუ, ვარო?* „დედაშენი მოვიდა, არა?“

² მეგრულში აზრობრივ ორნაზროვნებას წარმოაჩენენ არა მარტო ჰიპოტაქსური კონსტრუქციები, არამედ მარტივი წინადადებებიც; კერძოდ, *შურით ვემიართე*-ს სიტყვასიტყვითი თარგმანი იქნება: „სუნით არ მისვლება“; ე.ი. ისეთი ცუდი სუნი ტრიალებს, ახლოს მისვლა შეუძლებელია. ამ ტიპის მარტივ კონსტრუქციებს ორი კონტექსტი აქვთ: (1) პირდაპირი მნიშვნელობით (იხ. მაგალითის თარგმანი ზემოთ), (2) გადატანითი – საპირისპირო მნიშვნელობით: როცა საჭმლის/საკვების არომატული სუნი ტრიალებს და იქ ახლოს მისვლას, მის მიერთმეგას არაფერი ჯობია: *კინტირიშ მყავე ქედვოდეინი, ასე იყვანს მუას დო შურით ვემიართე* „კიბრი დავამწნილე, ახლა იწყებს დამწნილებას/„მოსვლას“ და სუნით არ მისვლება, ე.ი. სასიამოვნო სურნელი ისე ვავაბრუებს, ახლოს ვერ მიხვალ“ (ექსპ. მას.)

³ უარყოფითპრედიკატიანი დამოკიდებული თუკი დაწვევლებულია *იშენთ /იშენი* „მინც“ ნაწილაკიან მთავართან, მთლიანად კონსტრუქცია პირობით-დათმობითი ხასიათისაა. დამოკიდებული წინადადებით გადმოცემული მოქმედება, ანუ პირობა, არ თუ ვერ სრულდება, მაშინ გარკვეული დათმობა უნდა მოხდეს (რასაც *იშენთ* „მინც“ ნაწილაკით ახერხებს მთავარი წინადადება) და ამ დათმობით პირობის შეუსრულებლობა გარკვეულწილად მინც უნდა დაკომპენსირდეს: (1) *ჯიმუშ მათუალიშა ჯიმუ ვემგაჩენდა, იშენ ჯიმუაში სიტყვა ქოუწი* „მარილის მთხოვნელს მარილს თუ ვერ მისცემ, მარილიანი სიტყვა მინც უთხარი“ (დან/ცან. 462₁₅); (2) *მა ვამირჩქილეთაიდა, იშენი თქვანი ღორონც ქუურჩქილითა* „მე თუ არ მისმენთ, თქვენს ღმერთს მინც შეხედეთ“ (დან/ცან.36₁₅). ამგვარ კონსტრუქციაში შესაძლებელია ასევე დამოკიდებული და მთავარი კომპონენტები სემანტიკურად გადააზრიანდეს; პირობა დადებითი ფორმით იყოს მოცემული, შედეგი უარყოფითით, ოღონდ ამ შემთხვევაში გვექნება არა დათმობა, არამედ *ირეალური გამორიცხულობა* (დიდიგური 1973:261-262); (3) *ინა დიო დასახებული ვარე, დეესახუა, იშენი დაბადებული ვარე* (ხუბ. 209გ) „ის ჯერ ჩასახული არ არის, თუ ჩაისახა, მინც დაბადებული არ არის“ (ორივე ტიპის კონსტრუქციებზე მსჯელობა დაწვრ. იხ. ლომია 2005:121-122).

მეგრულში უარყოფის ვარ- ნაწილს დაერთვის -და კავშირი, რის შედეგადაც მიიღება რთული ვარდა, რომლის ზუსტი ქართული შესატყვისია არა და, ხშირად გადმოდის თუ არადა¹ სახით (ლომია 2005:126). ვარდა სამკომპონენტთან ჰიპოთაქსურ კონსტრუქციაში გვხვდება, სადაც, როგორც წესი, დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენელი გაუჩინარებულია, მის ადგილს კი კავშირდართული უარყოფითი ნაწილაკი იკავებს:

(7) *მუ გილუ სააზრო, ქომიწი, ვარ და, მა სქანი თოლიში წოხოლე დუს დიბილუნქ* (ზუბ. 21322) „რა გაქვს საფიქრალი, მითხარი, თუ არა და, მე შენ თვალწინ თავს მოვიკლავ“¹

მეგრულში ვარდა კავშირიან წინადადებას ზოგჯერ წინ უსწრებს -და კავშირიანი ქვეწყობილი, რომელიც დადებითი შინაარსის შემცველია, ხოლო მას უპირისპირდება მომდევნო კონსტრუქცია უარყოფის შინაარსით:

(8) *გეიანწყე-და, ჩილო მიდააქუნუნია, ვარია-და, დუდი ოკო მეკათასიე „თუ შეძლო ამოხსნა, ცოლად წაჰყვება, თუ არა და, თავი უნდა მოჰკვეთოსო* (დან/ცან. 524-5).

უარყოფითპრედიკატიანი -ნი კავშირიანი² დამოკიდებული ყოველთვის პირველ ადგილზე დგას, უსწრებს დამოკიდებულს:

მა ვამოვროთინი, თიწყუმა შიიწუხეს ენენქ „მე რომ არ მოვედი, მაშინ შეწუხდნენ ესენი“ (ექსპ. მას.);

(10) *ჩქიმი დაღეფი ვემიშეს კამპანიაშანი, მა თე ამბე ასე გებგი „ჩემი დები რომ არ მიდიოდნენ ქორწილში, მე ეს ამბავი ახლა გავიგე“* (ექსპ. მას.).

მეგრულში დადასტურებული ერთი ტიპის თავისებური კონსტრუქციები მიიღება -ნი კავშირიანი დამოკიდებულისა და მთავარი წინადადების შეერთებით, რომლის პრედიკატი „ყოფნა“ ზმნის ახლანდელი (ორე(ნ) „არის“) ან წარსული (ორდუ „იყო“) დროის ფორმითაა მოცემული. ამგვარი სტრუქტურის კონსტრუქციებს შეუძლიათ:

უარყოფითი ფორმით დადებითი შინაარსის გადმოცემა

„ყოფნა“ ზმნის პირიან ფორმას თავში დაერთვის უარყოფის ვა- ნაწილაკი, ბოლოში კი – კითხვითის გამომხატველი -ო. თუკი უარყოფითპრედიკატიან მთავარს წართქმითი დამოკიდებული მიუერთდება, ქვეწყობილი წინადადება მთლიანად დადებით შინაარსს შეიძენს. „უარყოფითის არა, არ ნაწილაკები ენამ გარკვეულ კონტექსტში შეიძლება გამოიყენოს სრულიად საპირის-

¹ სამკომპონენტთან კონსტრუქციაზე მსჯელობა იხ. ლომია 2005:125-128.

² -ნი კავშირ-ენკლიტიკა პოლისემანტურია. იგი მნიშვნელობით ყველაზე ახლოს დგას ქართულის „რომ“ კავშირთან. სტანდარტულ ჰიპოთაქსურ კონსტრუქციაში -ნი კავშირის მნიშვნელობას მთავარში მოცემული კორელატი განსაზღვრავს, თავისებურში კი მოცემულ კავშირ-ენკლიტიკას დამატებით სხვა სემანტიკური ნიუანსიც აქვს, ვიდრე კონკრეტული შინაარსის დამოკიდებული წინადადების გადმოცემა.

პირო – დადასტურების ფუნქციით“ (შანიძე 1980:209; ჯორბენაძე 1984:165). გამოიყოფა ძირითადად ორი ტიპის კონტექსტი:¹

პირობით-შედეგობითი ურთიერთობის გამომხატველი

- (11) *მა ვამირტინუაფულუკო-და,²გლახათი რღუ იში საქმე „მე რომ არ გამე-ქცია // არ გამექცია და, ცუდად იყო მისი საქმე“* (ექსპ. მას.).
- (12) *თე ბალანა ვამოფხვარებულუკო-და, გვალე მიდელანდუ წყარი შხურს „ეს ბავშვი რომ არ მომხმარებოდა // არ მომხმარებოდა და, მთლად წაიღებ-და წყალი ცხვარს“* (ექსპ. მას.).

კითხვითი ან კითხვით-ძახითი ინტონაციის შემცველი

- (13) *თე ქუა ვარენო³ მა ვიშვოგორაფენ?! (ხუბ. 35720) „ეს ქვა არ არის, მე რომ ამოვარჩევინე?!“*
- (14) *თეს ვარდუო⁴ მირიგენდუნ ჩქიმი სინჯა?! (ხუბ. 35722) „ამას არ იყო, რომ მირიგებდა ჩემი სიდე?!“*
- (15) *თინა ვარდუო მა ვოკვილაფენ „ის არ იყო, მე რომ მოვაკვლევინე?!“* (ექსპ. მას.)

თინა ვარდუო მა ვოკვილაფენ?! სინონიმური შენაცვლებით იქნება: ნანღუ-ლო თინა რღუ მა ვოკვილაფენ! „ნამღვილად ის იყო, მე რომ მოვაკვლევინე!“ შდრ. ქართულის ვითარება – აგერ არ მოდის?! ეს ნიშნავს: აგერ ახლა მოდის! (ჯორბენაძე 1984:165). საინტერესოა ამ თვალსაზრისით დიალექტების მონაცემები. იმ პოზიციაში, სადაც გურულში უარყოფის არა ნაწილაკია დადასტურებული, იმერულში დადასტურების ქე არის გამოყენებული (ლომთათიძე 1946:343):

- (16) *იქიდან რომ დაბრუნდება, არა, მაშინ უნდა იკითხო მისი ამბავი* (გურული).
- (17) *ქე რო ღვეცი, მერე ასე მაქ ე ფეხი* (იმერული).

„ორივე ამ ტიპის წარმოების ფუნქციური ახსნა საერთო საფუძველს ეყრდნობა. ესაა: განსაზღვრულობის, ფაქტის „ცნობილობის“ დადასტურების განხაზვის საჭიროება“ (ლომთათიძე 1988:44).

დადებითი ფორმით უარყოფითი შინაარსის გადმოცემა

რიტორიკის გამომხატველი კითხვითსიტყვიანი კონსტრუქცია უარყოფითი შინაარსისაა, მიუხედავად იმისა, რომ მთავარ კომპონენტში კითხვითი

¹ ქართულისა და სვანურის მაგალითების ანალიზი დაწვრ. იხ. შანიძე 1973:92; ჯორბენაძე 1984:165; აბესაძე 1962:190.

² ამ ტიპის კონსტრუქციებში -და კავშირ-ენკლიტიკა შინაარსობრივად ქართული „რომ“ კავშირის ბადალია (ლომთა 2005:123; კარტოზია და სხვ. 2010:379).

³ ვარენო-ს მორფოლოგიური შედგენილობა ასეთია: ვა=რ-ე-ნ=ო NPTC=ყოფნა.PRS-CV-S3.SG=QPTC

⁴ ვარდუო-ს მორფოლოგიური შედგენილობა ასეთია: ვა=რ-ღ-უ=ო NPTC=ყოფნა.PST-IMP-S3.SG=QPTC

სიტყვასთან პრედიკატი დადებითი ფორმით მოცემული „ყოფნა“ ზმნაა. ამგვარ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში დამოკიდებული, შინაარსის მიხედვით, **შედეგობით-გამორიცხვითად** არის მიჩნეული (კვანტალიანი 1990:49). როცა კითხვითი ნაცვალსახელები ან ზმნიზელები უარყოფითი მნიშვნელობით გამოიყენება, მაშინ გადმოიცემა როგორც კითხვა, ისე ემოცია (ბასილაია 1983:50):

(18) *მინი რე მოთინანსუნ?* (ხუბ. 126₁) „*ვინ არის, რომ მიუახლოვდება?!*“ ეს ნიშნავს; ვერავენ მიუახლოვდება ან: არავინ არის ისეთი, რომ მიუახლოვდეს!

ასეთნაირად უნდა იქნეს გაგებული სხვა მაგალითების შინაარსიც:

(19) *ბოში, სი მუთ რე ვაგორენი თი სქანი ჯიმალეფი?* „*ბიჭო, შენ რით არის, რომ მოგეძებნება ის შენი ძმები?*“ (დან/ცან. 164₃₀₋₃₁).

(20) *მუჟანსი რლე მა სი გოხვარუდინ?! „როდის იყო, მე შენ რომ გეხმარებოდი?!“* (ექსპ. მას.).

მთავარი და დამოკიდებული წინადადებების აზრობრივი მიმართება არ იცვლება მაშინაც, როცა მთავარ წინადადებაში კითხვითი სიტყვის ნაცვლად პირის ნაცვალსახელი ან რომელიმე სახის ზმნისართია მოცემული:

(21) *ათეს რლეო მნატრენდინი?*¹ „*ამას იყო, რომ ვნატრობდი?*“ (გულ. 164₂₇).

(22) *მა რენო თქვა ჭითა ნაბადის მიცილენთუნი?! „მე არის თქვენ წითელ ნაბადს რომ მიყიდით?!“* (დან/ცან. 144₁₉).

(23) *ამღლა რენო მუენანან ? „ღღეს არის, რომ მიდიან?“* (ექსპ. მას.).

(24) *ღღას ორღუო მა სი გოხვარუდინ?! „ოდესმე იყო, მე შენ რომ გეხმარებოდი?!“* (ექსპ. მას.).

(25) *ღღას ორღუო მა სი მერკუნდინ?! „ოდესმე იყო, მე შენ რომ მიგყვებოდი?!“* (ექსპ. მას.).

„წინადადებაში ჩართული წინადადებები“

უარყოფითი ფორმით დადებითი შინაარსის გადმოცემისას მეგრულში ყურადღებას იქცევს ერთი სპეციფიკური მოვლენა: სხვადასხვა საკავშირებელი საშუალებით გაფორმებულ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში *ვარენო/ვარღუო* დამოკიდებული წინადადების პრედიკატი კი არ არის,² არამედ ჩართულია დამოკიდებულ წინადადებაში. მათი ეს თვისება თავის დროზე შენიშნა ი. ყიფშიძემ და „წინადადებაში ჩართული წინადადებები“ უწოდა (Кипшидзе 1914:0144-0145;301). ამგვარი დამოკიდებული, როგორც წესი, იწყებს ჰიპოტაქსურ

¹ S1 პირის ნიშანი ვ- ნ-ს წინ გადადის მ-ში (Кипшидзе 1914:055)

² შდრ: კითხვისა და ძახილის ინტონაციის შემცველი კონსტრუქციები, მაგალითები 13, 14, 15, სადაც *ვარენო/ვარღუო* დამოკიდებული წინადადების პრედიკატია. მათი მორფოლოგიური შედგენილობა იხ. სქოლიოში (8,9).

კონსტრუქციას. განსაზღვრულია თავად ვარენო/ვარდუო¹ს ადგილიც: ის ყოველთვის მოსდევს იმ წევრს, რომელსაც გახაზავს. ეს წევრი, ჩვეულებრივ, კონსტრუქციის თავში დგას, თუმცა შეუძლებელი არ არის გადაინაცვლოს წინადადების შუაში.¹

- (26) *ხენწიფექ ვარენო ვარია ქუწუასგნი, თელი ქალაქის მოსპენს გვერშაპი „ხელმწიფემ (+არ არის?) უარი რომ უთხრას, მთელ ქალაქს მოსპობს გველეშაპი“* (დან/ცან. 242₂₈).
- (27) *მა თიქ ვარენო ვადმარავუადა, მაჟია მინუთის დული მეპკვათია,– თქუუ ბოშიქ (ხუბ. 1₂₃) „მე ის (+არ არის?) თუ ვერ წავაქციე, მეორე წუთს თავი წამგდებინეო, – თქვა ბიჭმა“*.
- (28) *მუჟამ ვარენიავო მა გამიჭირდენიან, თიმწკმა რაში სოფუას დიიჭყანსია ჯაჭვიში (ხუბ. 297₈) „როცა || რაჟამს (+არ არის?) მე რომ გამიჭირდებაო, მაშინ რაში ჯაჭვის დაგლეჯას დაიწყებსო“*.
- (29) *სი მუთ ვარდუო ქომიწინი, ირფელი მართალი ცოფე (ხუბ. 18₅) „შენ რაც (+არ იყო?) რომ მითხარი, ყველაფერი მართალი ყოფილა“*.
- (30) *მუჟანს ვარდუო ათენა ვოწიმინდგნი, თიწკმა დემენქ ქუციუ (ხუბ. 205₅₋₆) „როცა || რაჟამს (+არ იყო?) ეს რომ გაანადგურა, მაშინ დევები მისცვივდნენ“*.
- (31) *მუჭოთ ვარდუო კერიწკუმა ლოლესგნი, თეში ქიმინეს ირფელი „როგორც (+არ იყო?) ტახთან რომ მოიქცნენ, ისე გააკეთეს ყველაფერი“* (დან/ცან. 98₁₄).
- (32) *სიდეთ თი გვერი ვარდუო ვიოცოთგნი, თი არდგის ბრეელი ხვითოფეი ქომირე „სადაც ის გველი (+არ იყო?) რომ დაავდო, იმ ადგილას ბვერი ხვითოები ნახა“* (დან/ცან. 226₃₅).

ცალკე უნდა გამოიყოს ვარენო/ვარდუო ლექსიკური ერთეულების ჩართვის საკითხი იმ ტიპის კონსტრუქციებში, სადაც დამოკიდებული წინადადების პრედიკატი “ყოფნა“ ზმნის პირიანი ფორმაა -ნი კავშირ-ენკლიტიკასთან ერთად, რომელთა ფუნქციაც დამოკიდებულში მოცემული სუბიექტის ხაზგასმაა. უარყოფითნაწილაკიანი ლექსიკური ერთეულები აძლიერებენ ფოკუსირებული წევრის გამოყოფის პროცესს.

- (33) *ათე მონადირე კოჩი ვარენო რენი, ათექ იფიქრე „ეს მონადირე კაცი არ არის რომ არის, ამან იფიქრა“* (დან/ცან. 242₄₈).²

¹ ინფორმაციის მარკირების გავრცელებულ სტრატეგიასა და მისი ჩანაცვლების შემთხვევაზე დაწვრილებით იხ. მსჯელობა ივანიშვილი 2009.

² შდრ: მოცემული კონსტრუქციის შინაარსი მარტივი წინადადებითაც შეიძლება გადმოიცეს: ათე მონადირე კოჩი იფიქრე „ამ მონადირე კაცმა იფიქრა“. მეგრული ყველა საშუალებას, რომლებიც კონსტრუქციის შექმნაში მონაწილეობენ, იყენებს იმისთვის, რომ გახაზოს, წარმოაჩინოს სუბიექტი, კონკრეტულ წინადადებაში – მონადირე კაცი.

(34) ეზმა ხანს თემ და-ქონერი ვარდუო რდგნ, თინა ქიმეჩგ მზაკვალ ოსურქ ქომონს, თი ბოშის „მასობაში // ამდენ ხანს ამის ნახევარდა არ იყო რომ იყო, ის მიათხოვა მზაკვარმა ქალმა ქმარს, იმ ბიჭს“ (დან/ცან. 20022).

ნაწილაკთა თანხვედრისათვის

მეგრულში დასტურდება ისეთი ზმნური ლექსემები, რომელთა ანლაუტში ერთად არის წარმოდგენილი ვა- და ქე-¹ნაწილაკები. ამგვარი ზმნური ლექსემების აუსლაუტში აუცილებლობით დაჩნდება კითხვითობის -ო ნაწილაკი და „მეგრულში ინტენსიურად გამოყენებული -ნი კავშირ-ენკლიტიკისთვის ადგილი არ რჩება“ (კარტოზია და სხვ. 2010:103). ამ ტიპის ლექსემები კითხვასთან ერთად ჩაითხვასაც გამოხატავენ, აზუსტებენ დადებითი ფორმით გადმოცემულ მოქმედებას/მდგომარეობას და მოულოდნელობის ეფექტის სემანტიკას წარმოაჩენენ:

(35) ჩქიმი ჯიმა ჯარს დინაფი უჩქედეს, მარა დრო დო ხანქ მიდართუნი, ვაქომორთუო?!² „ჩემი ძმა ომში დაღუპული // დაკარგული ეგონათ, მაგრამ დრო და უამი რომ გავიდა, ქე არ მოვიდა?!“ (ექსპ. მას.).

(36) თე ბალანა მუთუნს ვარაგადანდუ, მარა ბებიშ ლურაშ უკუი ვაქოთქუო ნინა, ვაქიდიჭყუო რაგადი?! „ეს ბავშვი არაფერს არ ლაპარაკობდა, მაგრამ ბებიის ვარდაცვალების შემდეგ ქე არ ამოიღვა ენა, ქე არ დაიწყო ლაპარაკი?!“ (ექსპ. მას.).

უარყოფის გადმოცემის მექანიზმი

ნაცვალსახელთა საშუალებით

მეგრულში სახელდება ორი უარყოფითი ნაცვალსახელი: მითა „არავინ“, მუთა „არაფერი“ (Кипшидзе 1914:102; კარტოზია და სხვ. 2010:131), რომლებიც ზმნას მხოლოდ დადებითი ფორმით შეიწყობენ (Кипшидзе 1914:0145) და ამგვარად გამოხატავენ უარყოფას:

(37) მითა რე თე ამბეშ გემაცუნაი „არავინ არის ამ ამბის [კვალს] მიმყოლი“ (ექსპ. მას.).

(38) მუთა ნოღვე თის ხოლო ოცქვაფური „არაფერი ჰქონია მასაც საქებარი“ (ექსპ. მას.).

მეგრულში უარყოფის ნაცვალსახელთა გადმოცემის მექანიზმი უკავშირდება განუსაზღვრელობით ნაცვალსახელსა და მასთან დაკავშირებულ უარყო-

¹ წინამდებარე სტატიაში არ განვიხილავთ ვა-სთან კომბინაციაში ქე- ნაწილაკის ჩანაცვლებას სხვა ოდენობებით.

² ზმნაში ქე- ნაწილაკთან შეწყვილებული ვა- ელემენტი შესაძლოა განხილულ იქნეს დამოუკიდებელ სიტყვად, უარყოფის ნაწილაკად და არა პრეფიქსულ მორფემად (დაწვრ. იხ. გულავა, გამყრელიძე 1981:239).

ფითნაწილაკიან ზმნასაც (Кипшидзе 1914:0145). საკუთრივ განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები მეგრულში რთული აგებულებისაა. ი. ყიფშიძე გამოყოფს სამ ჯგუფს:

- I. ა) **მითინი//მითინე//მითინე** „ვინმე“, შედგენილობით – მი- „ვინ“+თი//თ ქართული -ცა ნაწილაკის ტოლფარდი + -ნი კავშირი.
ბ) **მუთუნი** „რამე“ – მუ „რა“ + თუ < თი (ასიმილაციით წინამავალ „უ“ ზმოვანთან) + -ნი.
გ) **ნამუთინი//ნამუთინე//ნამუთინე** „რომელიღაც“, -ნამუ „რომელი“ + -თი „ცა“ + -ნი.
- II. ა) **მიგიდა//მიგელა//მიღა** მი- + გი-<//გა (=ქართ. -ლა ნაწილაკის ფარდი) + დ//დ //და – იგივე -თი ნაწილაკი გამჟღერებული „გა“ ნაწილაკის წინა პოზიციაში: მეგრ. მი-გიდა//მი-ღ-ა = ვი-ღ-ა-ცა//ვინ-ცა-ღა.
ბ) **მუგიდა//მუღიდა//მუიღა//მუღა** „რალაცა“, „რაც გინდა ის“ – მუ „რა“+გი+და ნაწილაკები, შდრ.: ქართ. რა-ღა-ცა//რა-ცა-ღა.
გ) **ნამუგიდა//ნამუღა** „ვინც [არ] იყოს“, „ვიღაცა“, ნამუ „რომელი“ (მნიშვნელობით „ვინ“) + გი- + და ნაწილაკები.
- III. ა) **მიგიდარენი//მიგლენი//მიღარენი//მიღგენი** „ვიღაცა“, ზედმიწევნით „ვიღაცა რომ არის“ – მიგიდა//მიღა „ვიღაცა“ + რე „არის“ + -ნი კავშირი. მიგიდენი//მიღგენი ვარიანტებში რე ზმნისართული „რ“ სონანტი ამოვარდნილია.
ბ) **მუგიდარენი//მუღარენი//მუიგლენი//მუღგენი** „რალაცა რომ არის“ – მუგიდა+რე+ნი.
გ) **ნამუგიდარენი//ნამუღარენი//ნამუიგლენი//ნამუღგენი** „რომელიღაც რომ არის“.

ი. ყიფშიძე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ზოგი მათგანი (კერძოდ, II რიგის ნაცვალსახელები) მიღებულია დამოკიდებული წინადადებისაგან (Кипшидзе 1914:049). I რიგის განუსაზღვრელობით ნაცვალსახელებზე (მითინი, მუთუნი, ნამუთინი) იგი წერს: „Пока не удаётся разложить эти формы на составные части с полной уверенностью, но напрашивается одно предложение, именно, что они сложены из ми „кто“ и частицы – თი//თ и союза -ნი „что“, „чтобы“, „когда“ (Кипшидзе 1914:049). როგორც ჩანს, ი. ყიფშიძე ამ ნაცვალსახელთა შედგენილობის შესახებ თავის ვარაუდს სავსებით დამაჯერებლად არ მიიჩნევს.

მოგვიანებით ამ საკითხს შეეხო გ. როგავა. მისი აზრით, ი. ყიფშიძის მიერ პირველ რიგში მოთავსებული განუსაზღვრელობით ნაცვალსახელთა აგებულება არაფრით განსხვავდება მესამე რიგის ნაცვალსახელთა აგებულებისაგან, თუ პირველი ჯგუფისთვის ვივარაუდებთ ამოსავალ სახეობას: მით-იცი-ნი „ვინც რომ იქნება“, მუთ-იცი-ნი „რაც რომ იქნება“, ნამუთ-იცი-ნი „რომელიც

რომ იქნება“¹, რომლებიც, როგორც დამოკიდებული წინადადებები, ამჟამადაც მოქმედია მეგრულში (როგავა 1988:224). როგორც გ. როგავა აღნიშნავს, მითინი, მუთუნი და ნამუთინი განუსაზღვრელი ნაცვალსახელების ჩამოყალიბება მოხდა ფონეტიკური პროცესის ნიადაგზე – დამოკიდებული წინადადების ზმნური ფუძის გაუჩინარებით (იხ. სქოლიო).

უარყოფითნაწილაკიან ზმნურ სინტაგმაში მონაწილეობს მხოლოდ I რიგის (ი. ყიფშიძის კლასიფიკაციით) განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები, ისიც ზოგიერთი და არა ყველა; კერძოდ, ენაში დადასტურებული კომბინაციებია:

(39) მითინი ვამურს „არავინ არ მოღის“.²

(40) მუთუნი ვამოკო „არაფერი არ მინდა“.

(41) ნამუთინი ვეცი „არავინ არ იქნება“.

ზმნიზედის საშუალებით

უარყოფის კონტექსტის შემცველია დროის აღმნიშვნელ ზმნიზედასთან მოცემული უარყოფითნაწილაკიანი ზმნა:

(42) *ღღას ვამურს იქნება „ღღეს არ მოვა“* კი არა,³ **არაღღეს მოვა*“, ანუ: *„არასოდეს მოვა“*; რადგან ზმნასთან მოცემული უარყოფის ნაწილაკი აზრობრივად მიემართება ზმნიზედას; შდრ: ისეთი კონსტრუქცია, სადაც *ღღას* არსებითი სახელია. ამ შემთხვევაში ზმნით გამოხატული მოქმედების ჩვეულებრივ უარყოფასთან გვაქვს საქმე:

(43) *ღღას ვასერუანს ტყურაე „ღღეს არ აღამებს ტყუილობრალოდ“*.

დასკვნა

უარყოფით და დადასტურებით ნაწილაკებს მეგრულში აქვთ პირველადი და მეორეული ფუნქციები. მათი ფუნქციური განაწილების პრინციპების შედარება ცხდყოფს, რომ მრავალფეროვნებით გამოირჩევა უარყოფის ნაწილაკი, რაც ვლინდება არა დადასტურების ნაწილაკთან, არამედ დადებითი ფორმით გადმოცემულ პრედიკატიან კონსტრუქციასთან ოპოზიციაში.

¹ უფრო ზუსტად, გ. როგავა აღნიშნული ნაცვალსახელების ამოსავალ სახეობად ვარაუდობს:

* მით(ი)-იცი-(ნ)ნი > მით(ი)-იცი-ნი > მითინი „ვინც რომ იქნება“ > ვინმე.

* მუთ(ი)-იცი-(ნ)ნი > მუთ(ი)-იცი-ნი > მუთუნი „რაც რომ იქნება“ > რაღაცა/რამე.

* ნამუ-თ(ი)-იცი-(ნ)-ნი > ნამუ-თ(ი)-იცი-ნი > ნამუთინი „რომელიც რომ იქნება“ > რომელიმე (დაწვრ. იხ. როგავა 1988:224).

² განუსაზღვრელობით ნაცვალსახელთა აგებულების გათვალისწინებით, მოცემული კონსტრუქციის სიტყვასიტყვითი თარგმანი იქნება: ვინც რომ იქნება (ე.ი. ვიღაცა) არ მოვა. აქ ხაზი ესმება იმას, რომ, ვინც უნდა მოსულიყო, უცნობი პირია, მაგრამ კონკრეტული.

³ *ღღეს არ მოვა* მეგრულად ასე გადმოიცემა: *აღღა ვამურს*.

ლიტერატურა

- აბესაძე 1962:** ნ. აბესაძე, *ჰიპოტაქსის წვერ-კავშირები და კავშირები სვანურში*, საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი.
- ბასილაია 1983:** ნ. ბასილაია, *წინადადების ტიპები მტკიცებისა და შინაარსის ინტონაციის ანუ მოდალობის მიხედვით*, თბილისი.
- გუდავა, გამყრელიძე 1981** – ტ. გუდავა, თ. გამყრელიძე, *თანხმოვანთკომპლექსები მეგრულში*, „თბილისის უნივერსიტეტი აკაკი შანიძეს“, თბილისი, 1981 [გადაბეჭდილია კრებულში: თამაზ გამყრელიძე, რჩეული ქართველოლოგიური შრომები, თბილისი, 2000].
- ივანიშვილი 2009:** მ. ივანიშვილი, *წინადადების საინფორმაციო სტრუქტურა: სიტყვათა რივი ქართველურ ენებში*, კრებული: ინფორმაციის სტრუქტურირების ძირითადი მოდელები ქართველურ ენებში, თბილისი.
- კარტოზია და სხვ. 2010:** გ. კარტოზია, რ. გერსამია, მ. ლომია, თ. ცხადაია, *მეგრულის ლინგვისტური ანალიზი*, თბილისი.
- კვანტალიანი 1990:** ლ. კვანტალიანი, *ქართული ზეპირი მეტყველების სინტაქსის საკითხები*, თბილისი.
- ლომთათიძე 1946:** ქ. ლომთათიძე, *დამოკიდებული წინადადების ერთი თავისებურება ზოგ ქართულ დიალექტში*, იკე, I, თბილისი.
- ლომთათიძე 1988:** ქ. ლომთათიძე, *ქართულ დიალექტებში დამოკიდებული წინადადების თავისებური გამოხატვის ფუნქციური საფუძველი*: რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, ქ. თელავი, 20-22.
- ლომია 2005:** მ. ლომია, *ჰიპოტაქსის საკითხები მეგრულში*, თბილისი.
- როგავა 1988:** გ. როგავა, *ზანური -ნი კავშირ-ნაწილაკის კვალი ჭანურ დიალექტში*, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XXVI, თბილისი.
- შანიძე 1980:** ა. შანიძე, *ქართული ენის გრამატიკა, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. III*, თბილისი.
- ძიძიგური 1973:** შ. ძიძიგური, *კავშირები ქართულ ენაში*, თბილისი.
- ჯორბენაძე 1984:** ბ. ჯორბენაძე, *უარყოფის გამომხატველ ფორმათა ნაირსახეობისათვის ქართულში: ქართული სიტყვის კულტურის საკითხები*, ტ. VI, თბილისი.
- Кипшидзе 1914:** И. Кипшидзе, *Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем*, СПб.

შემოკლებათა განმარტებანი

- გუდ.** – ქართული ხალხური სიტყვიერება (მეგრული ტექსტები) I, პოეზია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და გამოკვლევა დაურთო ტ. გუდავამ, თბილისი, 1975.
- დან/ცან.** – ქართული ხალხური სიტყვიერება (მეგრული ტექსტები ქართული თარგმანითურთ), II, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს კ. დანელიამ და ა. ცანავამ.
- ეჟსპ. მს.** – 2007-2011 წლებში სამეგრელოში მოძიებული ლინგვისტური ექსპედიციის მასალები.

ყოფ. – И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем, СПб, 1914.

ხუბ. – მ. ხუბუა, მეგრული ტექსტები, ტფილისი, 1937.

S – Subjective (სუბიექტური პირი)

SG – Singular (მხოლოდითი რიცხვი)

PFV – Perfective (სრული ასპექტი)

CV – Character vowel (მახასიათებელი ხმოვანი)

THM – Thematic Marker (თემის ნიშანი)

PRS – Present (ახლანდელი დრო)

FUT – Future (მომავალი დრო)

PST – Past (წარსული დრო)

IMP – Imperfect (განგრძობითობა)

PPTC – Positive Particle (დადასტურებითი ნაწილაკი)

QPTC – Question Particle (კითხვითობის ნაწილაკი)

Maia Lomia

Principles of Functional Distribution of Negative and Affirmative Particles in Megrelian

Summary

The paper addresses the principles of the functional distribution of the negative **va(r)** “no”/“not” and affirmative **ko** “yes” particles.

Meanings: The particle **va(r)** refers to ordinary and possibility negation (with the forms of Potential). The affirmative particle denotes affirmation and is also used for morphological purposes – it forms the perfect aspect and the future tense.

- *vamok*’o “I don’t want;” *vamač*’k’ome “I cannot eat;”
-*murko ašo*? “Are you coming this way?”
-*var* “no”/*ko* “yes”
tkuans – *kotkuans* “s/he will say”; morphologically: perfect aspect, future tense.

Principles of Functional Distribution: Observation of frequency distribution of the particles **var** and **ko** evidences that an utterance, including a negative particle, is preferred even when an idea in case is positive, viz.

- of the presented three possible variants, the one with the negative particle is more frequent, while the percentages of the other two ones are almost the same:
(1) *diaskank vamortuo*? “Hasn’t your mother come?” (2) *diaskank mortuo*? “Has your mother come?” (3) *diaskank komortuo*? “Has your mother [really] come?”
- the negative particle is used in the reverse – affirmative function in the following constructions:
(4) *ma vamirt*’inuapuduko-da, *glaxati rdu tiši sakme*. “If I hadn’t made him run away, he was going to suffer;” (5) *te kua vareno* *ma gišvogorape*?! “Isn’t it the

stone I helped him/her choose?!” (6) tina amdya dik’murs kartiše, **varo**? “He is coming from Tbilisi today, isn’t he?”

- vareno/varduo “Isn’t it?”/“Wasn’t it?” – a focused member is emphasized by means ‘of the sentences inserted in a sentence’ (I. Kipshidze):

(7) xenc’ipek vareno varia kuc’uasuni, teli kalakis mospens gveršap’i “If the king (doesn’t he) refuses, the dragon will destroy the whole city;” (8) ate monadire k’oči vareno reni, tek ipikru “This hunter man (isn’t he) that he is, he thought.”

On the Co-occurrence of Particles. Megrelian exemplifies the verb forms in which the particles **var** and **ko** co-occur in the auslaut; a verb enclitically takes on the interrogative particle **-o**, referring to re-questioning: (9) vakomortuo? “Hasn’t he arrived yet?”

Within such a lexeme, the element **va** is regarded as an indefinite negative word which is not a prefixal morpheme and is not included in a chain of prefixes. Such **va** is neither a subject to the rules of syncope nor does it undergo assimilation (T. Gudava, T. Gamkrelidze).

A comparison of Megrelian data with those of Georgian dialects yields in noteworthy outcomes.

**კილოსა და ევიდენციალობის
ურთიერთმიმართებისათვის სვანურ ენაში**

ევიდენციალობის არსის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში გაზიარებული ფორმულირების მიხედვით, გრძნობის ორგანოების მიერ უშუალოდ აღქმული ინფორმაცია – პირდაპირევიდენციალურია, ხოლო არაუშუალოდ (ირიბი წყარო) აღქმული – ირიბევიდენციალური (კორდი 2007:255). გამოყოფენ ირიბი ევიდენციალობის ორ ტიპს: ვერბალურს (გადმოცემითი, „სხვა ხელიდან“ მიღებული ინფორმაცია) და ინფერენციულს (გონების ჩართვით, დასკვნების გზით მოწოდებული ინფორმაცია, რომელიც, ძირითადად, ეყრდნობა მთქმელისთვის ცნობილ ფაქტებს, მათს განზოგადებას). საანალიზო კატეგორიის შესახებ საერთაშორისო ლიტერატურაში მიღებული, სავალდებულო კრიტერიუმების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ ევიდენციალობა სვანურ ენაში, როგორც მორფოსინტაქსური კატეგორია, სრულად არის წარმოდგენილი ამ ფენომენისთვის დამახასიათებელი ყველა ასპექტით: ა) მორფოლოგიური საშუალებებით (მწკრივებით) გამოიხატება ირიბი ევიდენციალობის სხვადასხვა წყაროზე დაფუძნებული ორივე ტიპი (ვერბალური, ინფერენციული); ბ) სინტაქსურად ევიდენციალობის ვერბალურ ტიპს გამოხატავს ე.წ. „სხვათა სიტყვა“, ინფერენციულს – პირობით-შედეგობითი ჰიპოტაქსური კონსტრუქცია; გ) ლექსიკურად კი, კვლევის შედეგად, გარდა ვერბალობის აღმნიშვნელი სხვათა სიტყვის ნაწილაკებისა, დადასტურდა 17 ინფერენციული დამხმარე ლექსემა.

იმ ზმნური ფორმების კილო, რომლებიც სვანურში უმთავრესად ვერბალურ ევიდენციალობას გამოხატავენ (ე.წ. „უხილავი“ მწკრივები), თხრობითია (ნეიტრალური, ინდიკატიური); მათ, ჩვეულებრივ, მინიმალური კონსტრუქციის (ა. არაბულის ტერმინოლოგიით, არაბული 1992) შექმნის უნარი აქვთ, დამატებითი საშუალებების ან ვრცელი კონტექსტის გარეშე:

ნიმუში ზოშნლ მელახს გლენზარს ლიჭუდი-ლიდრის ხათურინახ (I თურმ.)¹ – „ჩვენი წინაპრები მულახში გლენებს წერა-კითხვას („კითხვა-წერას“) ასწავლიდნენ თურმე“;

¹ უნახაობის გამომხატველ დრო-კილოთა იმ ფორმებს, რომლებიც I სერიის ფუძეს ემყარებიან და, შესაბამისად, კონსტრუქციასაც ნომინატიურს ქმნიან, ტრადიციულად (ვ. თოფურიას პარადიგმის კვალობაზე), თურმეობითებს ვუწოდებთ, III სერიის სათანადო მწკრივებს კი, რომლებიც, სალიტერატურო ენასთან შედარებით, ტერმინ „თურმეობითს“ კიდევ უფრო ვერ ამართლებენ, შედეგობითებს (თუმცა, სხვა მოსაზრების თანახმად, I სერიის თურმეობითები IV სერიადაც შეიძლება წარმოგვედგინა, მაგრამ საანალიზო საკითხისთვის ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს).

ლწთ მესტიას ლგმტიჩხინ (II თურმ.) – „გუმინ მესტიაში თურმე წვიმდა“;

გიომას ჩივარ ხტუნდ კუმწმ ხარდენახ (უსრ. I შედეგ.) – „გიოანთ ყოველთვის ბევრი საქონელი ჰყოლიათ“;

ლუნთრი შტუნს ხტუნდ მუს სმვედ[ე-ლი] (სრ. I შედეგ.) – „შარშან სვანეთში ბევრი თოვლი მოსულა“...;

განსხვავებული ვითარებაა ამ მხრივ კავშირებითი კილოს ფორმებში; ისევე როგორც თანამედროვე ქართულ ენაში, სვანურშიც ეს ნაკვთი მარტივ წინადადებას დამოუკიდებლად ვერ ქმნის, თუმცა მისი მონაწილეობა კონტექსტს ინფერენციულად წარმოადგენს: „კავშირებითია კილო, რომელიც ზმნით აღნიშნულ მოქმედებას ისე წარმოადგენს, რომ იგი არ არის ფაქტი, მაგრამ შეიძლება ხდებოდეს, მოხდეს, ან მომხდარიყოს“ (შანიძე 1973:30, 205) – ანუ მთქმელი ამ ფორმების შემცველი ტექსტით მსჯელობას გადმოსცემს და არა დადასტურებულ (უეჭველ, პერცეფციულ ან მასთან გატოლებულ) ინფორმაციას. სხვაგვარად: კონიუნქტიური ზმნების დანმარებით გადმოცემული ინფორმაციის წყარო ინფერენციაა, მაგრამ მათ **საკუთრივ** ინფერენციულ ზმნებად, ცხადია, ვერ ჩავთვლით, ვინაიდან, სვანურის ამ ტიპის (ინფერენციული) ზმნებისგან განსხვავებით, მათ მხოლოდ რთული კონსტრუქციის ფარგლებში აქვთ აღნიშნული (ინფორმაციის ინფერენციულობის, პირობითობის გამოხატვის) ფუნქცია; სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ კავშირებითის ფორმების ძირითადი ასპარეზი ჰიპოტაქსური კონსტრუქციაა; კავშირებითის ფორმები (I, II და III) ძველ ქართულში ბევრ ფუნქციას ასრულებენ: თხრობითი კილოს მყოფადისა და ბრძანებითობის გადმოცემა; აგრეთვე კავშირობითობის მოდალობებიდან: სურვილის, მისწრაფების, თხოვნის, გაფრთხილების, აკრძალვის; ნატვრით, საეჭვო, საგარაუდო, სავალდებულო, შესაძლო, პირობითი და სხვა ნიუანსების გამოხატვა (არაბული 1984:168; დეეტერსი 1930:154; კოტინოვი 1959:398); თუკი სვანურ ინფერენციულ ზმნებს აქვთ უნარი, შექმნან მარტივი წინადადება დამოუკიდებლად და მნიშვნელობა იყოს ეპისტემიკური, კავშირებითის ფორმები იმავე სემანტიკას მხოლოდ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში ანიჭებენ კონტექსტს შესაბამისი კავშირებისა თუ სხვა დამხმარე მოდალური ლექსემების თანხლებით; შდრ. ჩტადხატტი (ინფერენც. სრ. მყოფადი) „[ალბათ] დახატავს“ (=„დახატოს იქნება“) – ჩტახტტუდეს (I კავშ.) „დახატავდეს“ – ეს უკანასკნელი წინადადება მხოლოდ ბრძანებითი კილოს შემთხვევაშია (=„დახატოს ხოლმე!“).

„კონიუნქტივის ფორმები, განსაკუთრებით კი კონიუნქტივ III-სა, არც ისე ხშირად გვხვდება სვანურში, რადგანაც ქართულ „მცა“-ს შესატყვისი უ (>ჟ), ოჟ, უჟ, ოდ... ნაწილაკებია ხმარებაში. ფრაზაში, სადაც ნაწილაკს ექნება ადგილი, ზმნა უთუოდ კონიუნქტივის მნიშვნელობისაა. უკანასკნელის გარდა

ყველა დროის ფორმასთან შეიძლება მათი გამოყენება“ (თოფურია 1967:178; ხაზი ჩვენია, ქ. მ.). ჩვენი აზრით, გახაზული მოვლენის მიზეზი მხოლოდ „მცა“-ს შესატყვისი ნაწილაკის პროლუქტიულობა არ უნდა იყოს ენაში, არამედ საკუთრივ ინფერენციული, ეპიტემიკური მნიშვნელობის ზმნების არსებობაც, რომლებიც ამ სემანტიკას (პირობითი ცოდნა მოვლენის/მოქმედების შესახებ) ჯერ კიდევ სტატიკურობის დროიდან გამოხატავდნენ (შდრ. სტატ. ნეიტრ. აწმყო: **ხადარა** „აწერია ის მას“ – სტატიკ. ინფერენც. აწმყო: **ხედრი** „იქნებ/აღბათ/შესაძლოა აწერია ის მას“). კავშირებითები ზმნური ფორმები სვანურში, ცხადია, ჩამოყალიბდა, მაგრამ, შესაძლოა, მხოლოდ სალიტერატურო ენის გავლენით, ისე რომ ფუნქციურად მაინცდამაინც ვერ განმტკიცდა.

ისმება საკითხი: თავად საკუთრივ ინფერენციული მწკრივები რომელ კილოს შეესაბამებიან?

ა. არაბულის აზრით, „ყოველი ნაკვთის ძირითადი მნიშვნელობა შეიძლება დახასიათდეს სამი სემანტიკური კატეგორიის – **კილოს, დროისა და ასპექტის** – გამოყენებით. მათი კომბინაცია გვაძლევს ნაკვთს როგორც ფუნქციურ ერთეულს. კილო ნაკვთის კონსტრუქციული (resp. ფუნქციური) უნარია“ (არაბული 1992:103). მკვლევარს მიაჩნია, რომ ქართულში ტრადიციულად გამოყოფილი კილოს სამის სახეობიდან (თხრობითი, კავშირებითი, ბრძანებითი) ერთ-ერთის – ბრძანებითის გამოხატვა დღეს მხოლოდ ინტონაციური და ლექსიკურია, ამიტომაც ის მწკრივის დონეზე აღარ არსებობს. ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებო აღმოჩნდა მეცნიერის მართებული დასკვნა იმის შესახებ, რომ „თხრობითი და კავშირებითიც არ არის ერთი დონის მონაცემები იმისთვის, რომ მათ შორის სემანტიკური ოპოზიცია შეიქმნას. ე.წ. თხრობითი კილო სემანტიკურად არის კილოს ნეიტრალური ფორმა [ტერმინი „ნეიტრალური“ ჩვენც გვქონდა გამოყენებული პირდაპირედიენციალური (როგორც არამარკირებული) ფორმებისთვის, ვერბალურისა და ინფერენციულის (მარკირებულის) საპირისპიროდ; ქ. მ.], რომელსაც ოპოზიციის შესაქმნელად უნდა დაუპირისპირდეს კილოს სემანტიკურად მარკირებული სახე. მაგრამ ე.წ. კავშირებითი კილოს ფორმა – „ვაშენო“ – უკონტექსტოდ არაფერს არ გამოხატავს, რამდენადაც **ვერ ქმნის, თხრობითი კილოსაგან განსხვავებით, ნეიტრალურ შესიტყვებას**. კავშირებითი ფორმის მნიშვნელობა გამოვლინდება **მხოლოდ კონტექსტისეულ გარემოცვაში... თხრობითი კილოს ფუნქციაა მარტივი კონსტრუქციისა და რეალური, განსაზღვრული სემანტიკის შექმნა**“ (არაბული 1992:104; ხაზი ჩვენია, ქ. მ.); პრობლემის ამგვარი სიცხადით განხილვის შემდეგ გაცილებით გაგვიადვილდება ზემოთ დასმულ კითხვაზე პასუხი; ჩვენი აზრით, სვანური საკუთრივ **ინფერენციული მწკრივები** ოპოზიციურობის თვალსაზრისით სრულიად თანაბარ პირობებში არიან თხრობითი (ნეიტრალური, ინდიკატიური) კილოს ფორმებთან, რამდენადაც ისინი, **თხრობითი კი-**

ლოს მსგავსად, ქმნიან ნეიტრალურ შესიტყვებას, სემანტიკურად კი ეს უკანასკნელნი მარკირებულნი არიან განუსაზღვრელობის, სავარაუდობის ნიშნით, რაც საბოლოო ვჯამში მოქმედების/მოვლენის შესახებ ცოდნის პირობითობას (და არა დადასტურებულობას, იდეალურობას) გულისხმობს:

ინფერენციული აწმყო (resp. უსრული მყოფადი): **ა-დრ-უნ-ი** „წერდეს იქნება“, „შესაძლოა/ალბათ წერს“ (შდრ. ნეიტრალური აწმყო: **ა-დრ-ი** „წერს“);

ინფერენციული მყოფადი სრული: **ა-დ-რ-ნე** „დაწერს იქნება /შესაძლოა/ალბათ“ (შდრ. ნეიტრალური/კატეგორიული სრული მყოფადი: **ჩუ-ა-დრ-ი** „დაწერს“);

პირობითი უსრული: **ა-დრ-უნ-რლ** „ალბათ/შესაძლოა/იქნებ წერდა“ (შდრ. უწყვეტელი: **ა-დრ-და** „წერდა“);

პირობითი სრული: **ა-დ-რ-ნ-ა** „ალბათ/შესაძლოა/იქნებ დაწერდა“ (შდრ. ქართულისებური წარმოების პირობითი, resp. ხოლმეობითი: **ჩუ-ა-ირ-და** „დაწერდა“);

პირობით-შედეგობითი I: **ხ-ე-დრ-ი** „შესაძლოა/ალბათ/იქნებ [და]უწერია მას ის“ = „[და]წაწერი ექნება“ (შდრ. არაევიდენციალური უსრული I შედეგობითი: **ხ-ო-დრ-ა** „[და]უწერია“ = „[და]წაწერი აქვს“).

პირობით-შედეგობითი II: **ხ-ე-დრ-რლ** „[და]ეწერა ალბათ/იქნებ მას ის“ = „[და]წაწერი ექნებოდა“ (შდრ. უსრული II შედეგობითი: **ხ-ო-დრ-ან** „[და]ეწერა მას ის“ = „[და]წაწერი ჰქონდა“).

ამიტომ, ვფიქრობთ, სვანურში ინფერენციული მწკრივების კილო პირობითია.

როგორც ცნობილია, პირობითს ცალკე კილოდ გამოყოფენ მეგრულში (ყოფიძე 1994:068; ჩიქობავა 1936:117; კოტინოვი 1986:90), სადაც შესაბამისი მწკრივებითაა გადმოცემული და მაწარმოებელია -კო(ნ) სუფიქსი. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ „პირობითის მწკრივები მეგრულში წარმოშობით აღწერილი ფორმებია, მაგრამ დროთა განმავლობაში ორგანულ წარმოებად ქცეულან“ (კარტოზია და სხვ. 2010:191). სვანურში კი პირობითი კილო მწკრივის ის ფუნქციური უნარია, რომლის მეშვეობითაც ზმნურ ფორმას შეუძლია მარტივი კონსტრუქციის შექმნა:

ცხუთაგ ცვკემანდს მერანლს ხანფშდლუნი – „ცხვითაგი მშვილდისარს ღრუბლებს ესვრის შესაძლოა/ალბათ, ესროდეს იქნება“;

ასევე, თავისი სემანტიკიდან გამომდინარე, ეს ზმნები განაპირობებენ ჰიპოტაქსური კონსტრუქციის თავისებურ (უკავშირო და ხშირად უკორელატო) სახეობასაც:

ცხუთაგდ ხანქუ: „მერანლს მი ცვკემანდს ხანფშდლუნი, ცხუტპარ ჩუმიშდხენიხ“ (სვ. პრ. ტ. I, 1939:25) – „ცხვითაგმა უთხრა: ღრუბლებს [რომ] მე მშვილდ-ისარს ვესვრი (= ‘ვესროდე იქნება, თუ ვესვრი’),

მაშინ ისრები გამითავდებაო“ – მოცემულ კონსტრუქციაში არც მაქვემდებარებელი კავშირია და არც კორელატი, ეს ატრიბუტიკა ჰიპოტაქსისთვის სავალდებულო არ არის სვანურში იმ შემთხვევაში, თუ დამოკიდებულ წინადადებაში ინფერენციული ზმნა მონაწილეობს, ვინაიდან პირობითობა, რომელსაც სალიტერატურო ენაში მაქვემდებარებელი კავშირი (ზმირად კავშირებითი კილოს ფორმებთან ერთად) განაპირობებს, სვანურის საანალიზო ზმნათა ორგანულ ფორმებშივეა მოქცეული.

მაშასადამე, პირდაპირი ევიდენციალობა და ირიბი ევიდენციალობის ვერბალური სახეობა სვანურში თხრობითი კილოს ზმნური ფორმებით გადმოიცემა, ირიბი ევიდენციალობის ინფერენციული სახეობის გამომხატველი საკუთრივ ინფერენციული ზმნები პირობით კილოს შეესაბამებია, ხოლო, რაც შეეხება კავშირებითს, მის ფუნქციათა შორის ის სემანტიკებია, რომელთათვის წყარო, უდავოდ, ინფერენციაა, მაგრამ მხოლოდ წინადადების ფარგლებში: „III კავშირებითიანი სინტაქსური კონსტრუქციის ძირითადი ტიპი წარმოადგენს თავისებურ პირობით ქვეწყობილ წინადადებას, რომლის დამოკიდებული წინადადება III კავშირებითით გადმოსცემს პირობად დადებულ ისეთ მოქმედებას, რის შესრულებასაც მთავარ წინადადებაში გადმოცემული მოქმედება (შედევი) უნდა მოჰყვეს“ (არაბული 1984:168) – ეს მოსაზრება ვრცელდება ყველა კონიუნქტიურ ფორმაზე, სწორედ ეს არის ინფერენცია კონტექსტში, ანუ მსჯელობის ნიადაგზე დგება შედეგი. ამ ტიპის წინადადება თავისთავად ევიდენციალურია, ზმნა კი კონტექსტისგან დამოუკიდებლად – არა, განსხვავებით ინფერენციული აწმყოს, პირობითის, პირობით-შედევობითებისგან, რომლებიც, როგორც ცალკე აღებული ენობრივი ერთეულები, ერთმნიშვნელოვნად ეპისტემიკური მნიშვნელობისანი არიან და მარტივ თხრობით წინადადებაში შეუძლიათ ამ სემანტიკის შემოტანა.

თუკი „ნაკვთის ძირითად მნიშვნელობაში დამოუკიდებელი სემანტიკური ნიშანი მისი ენობრივი არსებობის განმსაზღვრელი პირობაა და ამიტომ ყოველი სემანტიკური ნიშნის ცვლა (ფორმის ცვლასთან ერთად) უფლებას გვაძლევს გამოვყოთ ცალკე ზმნური ერთეული, დამოუკიდებელი ენობრივი ოდენობა“ (არაბული 1992:117), მაშინ ამ პრინციპითა და მკვლევრის მიერ თხრობითი კილოს ქვესასისტემაში გამოყოფილი დამოუკიდებელი ფუნქციური ერთეულების ანალოგიით, სვანურში ეს ერთეულები პირობით კილოს ქვესისტემაში შემდეგნაირად გამოიყოფა:

აწმყო (ა-გმ-უნ-ი „იქნებ/ალბათ აშენებს; აშენებდეს იქნება“)

მყოფადი (აღ-გემ-ნ-ე „იქნებ/შესაძლოა ააშენოს“)

პირობითურული (ა-გმ-უნ-რლ/ი-გმ-უნ-ი-ჟ „შესაძლოა/იქნება აშენებდა“)

პირობითურული (აღ-გამ-ნ-ა/აღ-გამ „შესაძლოა/იქნება ააშენა“)

აწმყოს პირობით-შედევობითი I უსრული (ხ-ე-გ-ი „იქნებ/ალბათ უშენებია“ = „ალბათ ნაშენები აქვს“; „ნაშენები ექნება“)
 ნამყოს პირობით-შედევობითი II უსრული (ხ-ე-გ-რლ/ხ-ე-გ-ი-ჟ „იქნებ/ ალბათ ეშენებინა“ = „ალბათ, ნაშენები ჰქონდა; „ნაშენები ექნებოდა“).

დაბოლოვ: ვინაიდან როგორც ვერბალობის, ისე ინფერენციის გამომხატ-
 ველ ზმნებში ერთი და იგივე აფიქსი – -V6 (-უნ-, -ინ-)/-ნ დასტურდება
 (გარდა მესამე სერიის ფორმებისა, რომლებშიც, მათი გენეზისის გათვალის-
 წინებით, სპეციალური აფიქსი არც იყო მოსალოდნელი), შეიძლება ითქვას,
 რომ ვედენცილობა, ინფორმაციის წყაროდან (ვერბალობა, ინფერენცია) გა-
 მომდინარე თავისი ქვესახეობებით, სვანურში მორფოლოგიური კატეგორიაა,
 მწკრივის ის ელემენტია, რომლის ეკვივალენტი სალიტერატურო ენას არ
 მოეპოვება (ამით არის გამოწვეული მწკრივთა სიჭარბე ქართულის მონაცე-
 მებთან შედარებით), ხოლო კილო მხოლოდ ფუნქციური მახასიათებელია:
 თხრობითი და პირობითი კილოს ფორმები ნეიტრალური კონტექსტის შექ-
 მნას ემსახურებიან, კავშირებითის ფორმებს კი მხოლოდ რთულ კონსტრუქ-
 ციაში შესწევთ უნარი ინფერენციულობის სემანტიკა შეიტანონ.

ლიტერატურა

- არაბული 1984:** ა. არაბული, *მესამე სერიის ნაკვეთულთა წარმოება და მნიშვნელობა ძველ ქართულში*, თბილისი.
- არაბული 1992:** ა. არაბული, *ქართული ზმნის ფორმათა სემანტიკური ანალიზისათვის*, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №4, თბილისი.
- დეეტერსი 1930:** Deeters G., *Das kharthvelische Verbum. Vergleichende Darstellung des Verbalbaus der südkaukasischen Sprachen*, Leipzig.
- თოფურია 1967:** ვ. თოფურია, *შრომები, I, სვანური ენა, ზმნა*, თბილისი.
- კარტოზია, გერსამია, ლომია, ცხადაია 2010:** გ. კარტოზია, რ. გერსამია, მ. ლომია, თ. ცხადაია, *მეგრულის ლინგვისტური ანალიზი*, თბილისი.
- კორდი 2007:** Корди Е., *Категория эвиденциальности во французском языке, Эвиденциальность в языках Европы и Азии*, Санкт-Петербург.
- კოტინოვი 1959:** ნ. კოტინოვი, *კილოს კატეგორია ქართულ ენაში*, თელავის პედინსტიტუტის შრომები, ტ. III.
- კოტინოვი 1986:** ნ. კოტინოვი, *კილოს კატეგორია და სინტაქსის ზოგიერთი საკითხი ქართულში*, თბილისი.
- სვანური პროზაული ტექსტები 1939:** *სვანური პროზაული ტექსტები*, ტ. I, (ბალსზემოური კილო, ტექსტები შეკრებიეს ა. შანიძემ და ვ. თოფურიათ), თბილისი.
- ყიფშიძე 1994:** ი. ყიფშიძე, *რჩეული თხზულებანი*, თბილისი.
- შანიძე 1973:** ა. შანიძე, *ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები*, თბილისი.
- ჩიქობავა 1936:** არნ. ჩიქობავა, *ჭანურის გრამატიკული ანალიზი*, ტფილისი.

On the Interrelation of Mood and Evidentiality in the Svan Language

Summary

The Svan verb, as compared with the Georgian verb, has more *screeves*, due to the existence of one more morphosyntactic category in this language, namely, evidentiality. This category is grammatically marked in Georgian as well, but only partially: although verbality is expressed by special *screeves* – evidentials, the literary language lacks similar forms of tense and moods for expressing epistemic inferentiality (the language can functionally use one or another *screeve*, but without a broad context inferentiality of these forms cannot be proved). The Svan verb forms denoting doubt-assumption, to which I refer as inferential proper, fail to find any corresponding mood of those attested in the language (indicative, subjunctive, imperative): it differs from the indicative by semantics, and from the subjunctive – by the ability of creating a simple construction of epistemic modality independently. The mood of these *screeves* is conditional.

Thus, in Svan, evidentiality (both verbal and inferential) is a morphosyntactic category, and mood is a functional characteristic: forms of the indicative and conditional serve to create a neutral context, whereas the subjunctive forms are able to introduce the semantics of inferentiality into a complex construction.

თამარ მახარობლიძე

ინვერსია და პრაგმატიკის პროცესი

თანამედროვე ქართული ენათმეცნიერება აგრძელებს სამეცნიერო პოლემიკას ინვერსიის თემაზე. ჩვენ ერთ-ერთ წერილში ვწერდით, რომ „ის პირთა ნიშნები, რაც მოცემული გვაქვს III სერიაში, დიაქრონიული თვალსაზრისით, სრულიად ცხადია, რომ არის არა პირდაპირი ობიექტის, არამედ ირიბი ობიექტის კუთვნილება, რამდენადაც სტატიკურ ზმნათა ფორმებში, რის საფუძველზეც გაფორმდა III სერია, პირდაპირი ობიექტი არასოდეს ყოფილა. ეს იყო ირიბი ობიექტი და ზუსტად ამიტომ III სერიაში სამპირიან ზმნაში ირიბ ობიექტს ზმნის გარეთ ტოვებს უღლების პარადიგმა. რომ გავიზიაროთ ეს მოსაზრება, რომ თითქოს არ ხდება ინვერსია, უნდა ჩავთვალოთ, რომ – დაუხატავს (კაცს სურათი დედისათვის) – აქ სურათი არის სუბიექტი (გნებავთ ინიციატორი). თუ I და II სერიაში სუბიექტი არის კაცი, პარადიგმა წინააღმდეგობრივი იქნება, თუ მას მესამე სერიაში სხვა გრამატიკული სუბიექტი გაუჩნდება. ეს ეწინააღმდეგება ფლექსიის ძირითად კანონებს. ნათელია, რომ III სერიაში არა გვაქვს ორდინარული სიტუაცია, მაგრამ მარკერთა ფორმობრივი ცვლა უფრო მისაღებია, ვიდრე შინაარსობრივი ხასიათის ცვლილებანი პარადიგმაში“ (მახარობლიძე 2007:193).

უდავოა, რომ როდესაც საუბარია ინვერსიაზე და ეს ხდება სინქრონიულ დონეზე გარდამავალ ზმნაში (რომელიც შეიძლება იყოს ორპირიანი ან სამპირიანი) პირის ნიშანთა ცვლილება ეხება სუბიექტსა და პირდაპირ ობიექტს. აქტივი და პასივი კონვერსიული კონკრეტული ურთიერთმიმართების ფორმებია და ნათელია, რომ „მე წერილს ვწერ“ იქნება „წერილი იწერება“/„წერილი წერია“, სადაც ყოფილი პირდაპირი ობიექტი იქნება სუბიექტის როლში და ეს მოვლენა შესაბამისადაც არის გაფორმებული ქართული ენის მორფოლოგიურ კვლევებში. მაგრამ ამავე დროს ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ „მე წერილს ვწერ“ ფორმისათვის უღლების რომელიმე პარადიგმაში ფლექსიის კანონებისათვის მიუღებელი ცვალებადი აქტანტებია მოსალოდნელი.

პროფესორი თედო უთურგაიძე თავის წიგნში „ქართული ენის დონეთა ძირითადი მახასიათებლების ურთიერთზემოქმედებისათვის გლობალურ ენობრივ სისტემაში“ ინვერსიასთან დაკავშირებით წარმოაჩენს განსხვავებულ თვალსაზრისს და წერს, რომ „შედეგი ყოველთვის პირდაპირი დამატებით არის გამოხატული“ (უთურგაიძე 2002:142) და იქვე ეწინააღმდეგება ამ დებულებას, როდესაც საუბრობს პერფექტის მიერ როლების განაწილებაზე და ეს

შედეგი, ავტორის აზრით, უკვე სუბიექტია პერფექტში. თუმცა მკვლევარი ამჯერად პირდაპირ სუბიექტად მას არ მოიხსენიებს. იგი წერს: „მას დაუხატავს სურათი.“ „სურათი“ წარსული ქმედების შედეგია... და პერფექტულობის მოდელით, როგორც შედეგი, იღებს სუბიექტის ნიშანს, ხოლო „მას“ აქაც შემსრულებელი აქტანტია და ობიექტის ნიშნით გამოიხატება“ (უთურგაიძე 2002:142). როგორც არ უნდა შეიფუთოს თ. უთურგაიძის მიერ წარმოდგენილი პერფექტულობის კატეგორიის მიერ როლების განაწილების თეორია, მისი არსი იგივე რჩება – თუ არ ვცნობთ და არ ვალიარებთ ინვერსიის მოვლენას ენაში, მაშინ გამოდის, რომ სუბიექტად მივიჩნევთ ამ ნიშნებით გაფორმებულ აქტანტს. იმ შემთხვევაშიც კი თუ ზოგადად არ მოგვწონს „სუბიექტის“ ტერმინი ან ცნება და გვსურს მისი გაშლა სემანტიკური ნიუანსების მიხედვით, აქაც იგივე პრეტენზია იქნება: ეს მოთხოვნა თანაბრად უნდა გავრცელდეს სამივე სერიაზე. ყველა სხვა შემთხვევაში თ. უთურგაიძის მიერ წამოყენებული მოსაზრება შეუსაბამობაში აღმოჩნდება ფლექსიის ძირითად კანონებთან მიმართებაში და შეეწინააღმდეგება ენის – როგორც ფორმალურ-ფუნქციური სისტემის განვითარების გზას. ნებისმიერი ახალი საენათმეცნიერო დებულებების მიღება ან არ მიღება სირთულეს არ წარმოადგენს, რამდენადაც ენა სისტემაა და ესა თუ ის მოსაზრება რამდენად მართებულია, ამას თვითონ სისტემა უჩვენებს.

დავუშვათ, გავიზიარებთ თედო უთურგაიძის მოსაზრებას და ჩავთვალოთ, რომ მე დამინატავს ნახატი – ნახატი არის სუბიექტი, როგორც რეზულტატი და მე (კაცს) არის ობიექტი. დგება საკითხი: ეს მე (კაცს) რომელი ობიექტია – პირდაპირი თუ ირიბი? მიცემით ბრუნვაში მდგარი ობიექტი ირიბს წააგავს, თუმცა თუკი პირდაპირმა ობიექტმა და სუბიექტმა გაცვალეს როლები, მაშინ ეს პირდაპირი ობიექტი უნდა იყოს. პირდაპირი ობიექტი, საერთოდ, მეორესა და მესამე სერიებში სახელობითში გვეგულებოდა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სემანტიკურადაც მიუღებელია ამ აქტანტის პირდაპირ სამოქმედო ობიექტად გადააზრება. გამოდის, რომ ეს არის ირიბი ობიექტი, რაც ბრუნვის მიხედვით დასაშვებია. მაგრამ აქ უკვე მივიღეთ გარდაუვალი ზმნა. ასეთი ტიპის თვისებრივი ცვლილება კი სავსებით დაუშვებელია პარადიგმის კანონების მიხედვით. არც ერთ ენაში ფლექსია არ იცნობს ამ ტიპის ენობრივ მოვლენას.

ისმის მარტივი კითხვა: თუ პერფექტულობა ანაწილებს როლებს, მეორე სერიაში რატომ არ ხდება იმავე ტიპის მოვლენა, იქაც ხომ სრულ დროებთან გვაქვს საქმე (დაწერა, დაწეროს)?

აღსანიშნავია, რომ ზმნური აქტანტების უმარტივესი კლასიფიკაცია, ანუ ტრადიციული კლასიფიკაცია – სუბიექტი, პირდაპირი და ირიბი ობიექტები – გახლავთ საენათმეცნიერო აზროვნების უდიდესი მონაპოვარი. სხვადასხვა

ნიუანსის მქონე აქტანტთა უნიფიკაცია და განზოგადება უნივერსალურია და თავის თავში მოიაზრებს ამ აქტანტთა ყოველგვარ სემანტიკურ შინაარსებს. ამრიგად, უღლების პარადიგმა (ანუ დრო-კილოთა სისტემა), სხვა დერივაციული კატეგორიებისაგან განსხვავებით, ვერ შეცვლის ამ აქტანტთა მორფო-სინტაქსურ როლებს. საერთოდ, ნათელია, რომ ზმნის სამივე პირს (სუბიექტს, პირდაპირსა და ირიბ ობიექტებს) აქვს საკმაოდ ფართო სემანტიკური დიაპაზონი. მაგალითად, სუბიექტის ტიპების დახასიათება შეიძლება აქტიურობის გრადაციით, გვარის მიხედვით და, რა თქმა უნდა, კონკრეტული ზმნის სემანტიკით. ცნობილია ირიბი ობიექტის ფართო სემანტიკური სპექტრი – დაწყებული ბენეფიციარით და დამთავრებული ლოკაციით. თუ აქცენტს გავაკეთებთ პირდაპირ ობიექტზე – როგორც შედეგზე, მაშინ აქვე უნდა აღვნიშნოთ ის გარემოებაც, რომ ასეთივე შედეგი იქნება სხვა სერიებსა და მწკრივებშიც. თუ კაცს დაუხატავს ქალი – ქალი არის შედეგი, მაშინ თვისებრივად იგივე შედეგი უნდა იყოს მეორე სერიაშიც – კაცმა დახატა ქალი. ხოლო პირველ სერიაში კაცი ხატავს ქალს – აქტანტი „ქალს“ არის მოსალოდნელი შედეგი. უნდა ითქვას, რომ შედეგი ყოველთვის არ არის ცალსახა – ანუ „მე მოვკალი კაცი“ შედეგი არ არის „კაცი“, აქ შედეგია „მოკლული კაცი“. მესამე სერიაში „კაცს დაუხატავს ქალი“. შედეგი არ არის „ქალი“, აქ შედეგია „დახატული ქალი“.

თუ მივიღებთ იმას, რომ პირველ სერიაში „კაცი ხატავს ქალს“ – „ქალი“ არის პირდაპირი დამატება და „კაცი“ – სუბიექტი, მაშინ მესამე სერიაშიც იგივე გვექნება ფორმობრივი ცვლილებების მიუხედავად. ეს განხლავთ ანბანური ჭეშმარიტება. რაც შეეხება პერფექტის ფორმებში წინ წამოწეულ შედეგობრიობას, ეს სავსებით ნათელი ფაქტია, პერფექტი, როგორც დასრულებული მოქმედება თავისი შედეგითაა წარმოდგენილი და შესაბამისად ასეთ ფორმებს რეზულტატივებსაც უწოდებენ.

საქმე ისაა, რომ მესამე სერიაში ჩვენ გვაქვს ერგატივიზაციის მიმდინარე პროცესი. ერგატიული კონსტრუქცია სწორედ ობიექტის წინ წამოწევას გულისხმობს. ერგატივიზაციის პროცესის შედეგად წარმოქმნილი ინვერსიის მოვლენის გამო ამ სერიაში ზმნის აქტანტების შინაგანი – სემანტიკური დონის და გარეგნული ანუ მორფოლოგიური რეფერენციის დონის ვექტორები სარკისებურ ასიმეტრიას გვიჩვენებენ.

გამოყოფთ სტატისტიკურ ცალმხრივ უნივერსალიას: ინვერსია, როგორც ზმნური მოვლენა მხოლოდ პოლიპერსონალურ (გარდამავალ) ზმნებშია შესაძლებელი.

პროფესორი თ. უთურგაიძე წერს, რომ „ძალადობა ენაზე ემყარება დებულებას – მოქმედი უ თ უ ო დ ს უ ბ ი ე ქ ტ ი ა (ხაზგასმა ავტორისაა), ე.ი. თუ მოქმედია, გინდ ობიექტის ნიშანი ჰქონდეს, უსათუოდ სუბიექტად

უნდა მივიჩნიოთ და პირის ნიშანთა ინვერსიის დაშვებაც აუცილებელი ხდება“ (უთურგაიძე 2002:143). ჩვენი შეხედულებით, კი ძალადობა ენაზე ემყარება დებულებას – **მოქმედი** ანუ სუბიექტი უ თ უ ო დ სუბიექტის ნიშნებითაა გაფორმებული. ეს დებულება უარყოფს ინვერსიას და ხელოვნურად მოიზარებს პირდაპირ ობიექტს სუბიექტად.

ვფიქრობთ, აქვე უნდა დავძინოთ ისიც, რომ ასეთი საკითხების განხილვისას უპრიანი იქნებოდა ენობრივი ანალიზისათვის ჩვენ მიერ რამდენიმე წლის წინ მოწოდებული ფუნქციო-ფორმალური თეორიის გამოყენება. ანა, როგორც უმაღლესი მატერია, არის ფორმისა და ფუნქციის მჭიდრო და კანონზომიერი ურთიერთობა.

ამიტომაც ამა თუ იმ ენობრივი მოვლენის შესწავლა ფორმისა და ფუნქციის ურთიერთობის საფუძველზე უნდა მოხდეს. ფაქტობრივად, ჩვენ ვაერთიანებთ ამ ორი უკიდურესი მიმდინარეობის (ფორმალიზმისა და ფუნქციონალიზმის) საუკეთესო დებულებებს და **ახალი ფუნქციო-ფორმალური რაციონალური მეთოდური მიდგომის თეორია შემოგვაქვს, რომლის მიხედვითაც, ესა თუ ის ენობრივი მოვლენა ხან ფორმიდან, ხან კი ფუნქციიდან გამომდინარე აიხსნება**. ერთი შეხედვით, ასეთი მიდგომა თითქოს არ არის ერთგვაროვანი და, როგორც მეთოდი, მიუღებელიც ჩანს, მაგრამ გავიხსენოთ თუნდაც ენათმეცნიერებისათვის უკვე ცნობილი კლასიფიკაციის კომბინირებული პრინციპის სქემა. ერთგვაროვნების პრინციპის დაცვა აუცილებელია ერთი კონკრეტული მიდგომის დროს, მაგრამ მოვლენათა ტიპოლოგიური განზოგადებისათვის და მისი საბოლოო ზოგადენობრივი მოდელის გასააზრებლად აუცილებელია თავად ენის მრავალმხრივობის გათვალისწინება, რაც, უპირველეს ყოვლისა, მდგომარეობს ენის ფორმისა და ფუნქციის ურთიერთმიმართების საკითხში. ენაში ფორმა და ფუნქცია ერთობას ქმნის. ამდენად, ცხადია, ეს ერთობა კვლევისთვისაც მნიშვნელოვანი იქნება. სათქმელი, აზრი, არსი ანუ **ფუნქცია არის პირველადი ამოსავალი, მაგრამ რიგ შემთხვევებში, როდესაც უკვე შექმნილია ენობრივი სისტემა, იგი უკვე დამოუკიდებლად, სისტემის კანონების შესაბამისად, ენობრივი ინერციით მუშაობს**. ასეთ დროს ყალიბდება ფორმალური ერთეულები, რომლებიც საკმაოდ დაცილებულია ფუნქციურ საწყისს. ასეთ შემთხვევაში ფორმალური მიდგომა იქნება სწორი... ასეთი ტიპის ფუნქციას დაცილებული ფორმების ისტორიულ განვითარებას დიაქრონიული ტიპოლოგია გაარკვევს.

ბუნებრივია, რომ სინქრონიულად ფორმა და ფუნქცია ენაში თანაბარ შესაბამისობაში ვერ იქნება. რიგ შემთხვევებში ფუნქცია ახსნის ფორმას, ზოგან კი ფორმა ახსნის ფუნქციას. თუ ეს ორივე თანაბრად არ გავითვალისწინეთ, მაშინ სრულყოფილი ვერ იქნება ამა თუ იმ ენობრივი მოვლენის კვლევა. ასეთი მიდგომით ჩვენ ვაერთიანებთ ორ ინტერესს: ერთი მხრივ, ლინგვისტი თეორეტი-

კოსების ინტერესს ფორმალური ინვენტარისადმი და, მეორე მხრივ, ინტერესს ენობრივი ფაქტების ფუნქციური ახნისადმი“ (მახარობლიძე 2007:7).

საერთოდ, დიაქრონიული გადმოსახედიდან შედარებით ადვილად მოჩანს ენაში განვითარებული პროცესები. ასეთ დიაქრონიულ ბაზაზე კარგად აიხსნება სინქრონიული პროცესებიც. ფაქტია, რომ ქართულ ენაში ყალბდება სპეციფიკური ერგატიული სისტემა და ამ მიმდინარე პროცესს უკავშირდება მოვლენათა რიგი: ერთთემიანი, უთემისნიშნო და ფუძედრეკადი ზმნების ორთემიანად გადაქცევის ტენდენცია და პროცესი; პირველი და მეორე სერიების გამიჯვნის დამატებითი მცდელობა თემის ნიშნებით, მესამე სერიაში მიმდინარე ისეთი პროცესები, როგორცაა ერგატიული დატივი სუბიექტისათვის, ინვერსია და თემის ნიშანთა არაობლივატორულობა. მიუხედავად მიღებული სალიტერატურო ნორმებისა, ფაქტია, რომ ენას ვერ გადაუწყვეტია „დამიხატია“ თუ „დამიხატავს“. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ სალიტერატურო ნორმები, გარკვეული თვალსაზრისით, შეზღუდვებს უწყებს ენას, ეს კი ენის განვითარების თვალსაზრისით, არის ისეთი რამ, რასაც ენა რეალურად არასოდეს ემორჩილება. არაა გამორიცხული, რომ გარკვეული დროის შემდეგ მესამე სერიამ უთემისნიშნო ფორმები დაიმკვიდროს ნორმებად. ამ ტენდენციას კი განაპირობებს ის გარემოება, რომ თემის ნიშნები თავს იყრის პირველ სერიაში – ნომინატიური კონსტრუქციის ფორმებში.

გარდამავალი ზმნების მეორე სერიაში გვაქვს ერგატიული ბრუნვა გარდამავალ ზმნებთან. აქ გვაქვს პერფექტი, რაც არის ქართული (და არა მარტო ქართული) ერგატივისათვის ერთ-ერთი საყრდენი მონაცემი. თუმცა აქ გვაქვს უსრული დროის ფორმებიც, რომლებიც, ინერციის კანონის მიხედვით, იმავე ტიპის ერგატიულ მოდელს ავსებენ. ეს კი ნიშნავს იმას, რომ პერფექტულობა ერთადერთი გადამწყვეტი ფაქტორი არაა ქართული ერგატიული კონსტრუქციისათვის. მესამე სერიის თავისებურება სწორედაც ისაა, რომ აქ გვაქვს ერგატიული დატივი და პერფექტულობა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართულში გარდამავალი ზმნების მეორე სერიაში ხდება განზოგადება, ეს არის ინერციის კანონის მოქმედება – ერგატიული კონსტრუქციაა სრულ და უსრულ ფორმებთან. აქვე საჭიროდ მიგვაჩნია, რომ ორიოდ სიტყვით შევეხოთ ინერციის კანონს ენაში. „ინერციის კანონი... სხვა კანონებთან ერთად ქმნის ენის განვითარების შინაგან კანონს. ენის სისტემაში მუშაობს კლასიკური მექანიკის კანონები. ეს არც არის გასაკვირი, რამდენადაც ენა არის ცოცხალი ორგანიზმი და იგი განუწყვეტლივ განიცდის ევოლუციას. 1687 წელს შემუშავებული ნიუტონის პირველი კანონი, რომელიც საფუძვლად დაედო კლასიკურ მექანიკას ასე ჟღერს – „ყოველი სხეული ცდილობს შეინარჩუნოს თავისი უძრაობის ან თანაბარი წრფივი მოძრაობის მდგომარეობა, ვიდრე იგი იძულებული არ გახდება მოდებული ძა-

ლების გავლენით შეიცვალოს ეს მდგომარეობა“ (ქსე 1984:450). ეს არის ინერციის კანონი.

ინერციის კანონი მუშაობს ენაშიც, ენის სისტემის ყველა უბანზე და მისი იერარქიის ყველა დონეზე. ენის განვითარების პროცესი პირდაპირ ექვემდებარება ამ კანონს. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ინერციის კანონის მოქმედება ამა თუ იმ ენაზე სხვა ენის გავლენის ფაქტებში, როდესაც გავლენის ქვეშ მყოფი ენა ინერციით ცდილობს გადააბგეროს შემოსული სიტყვები ან მისთვის ნაცნობი სემანტიკა მოახვიოს უცხო ერთეულებს. ენა, როგორც მაღალი მატერია, ცხადია, ემორჩილება შესაბამის კანონზომიერებებს. ენის განვითარების ინერციის კანონი ერთადერთია, რომელსაც შეუძლია ახსნას ენათა რეინტეგრაციის პროცესებში რეინტერაგირებულ ენათა მორფოსემანტიკასა და სინტაქსში განვითარებული პარალელური ცვლილებები....

ენის განვითარების კანონი მარტივად ხსნის ნებისმიერი ანალოგიის მოვლენას ენაში. ხშირად ინერციის კანონი ასევე განაპირობებს რიგ სისტემურ ცვლილებებსაც. ფაქტობრივად, ენის განვითარების ინერციის კანონი ქმნის სიმეტრიულ კონსტრუქციებს ენაში“ (მახარობლიძე 2009:9). ეს არის ასიმეტრიების კანონის საწინააღმდეგო მოვლენა. ყველა ენას ახასიათებს სისტემურობა, რადგანაც ენა არის სისტემა და ეს უნივერსალურია, თუმცა ყველა ენას აქვს თავის ენობრივი ლოგიკა და გააჩნია თავისი კონკრეტული სისტემური მახასიათებლები. ის, რაც ენობრივ სისტემას ქმნის კონკრეტულ ენაში, ექვემდებარება შესაბამის ენობრივ ლოგიკას, მაგრამ, ამავე თვალსაზრისით, ყოველ ენას აქვს ასიმეტრიები. ლინგვისტური ასიმეტრიები ამ შემთხვევაში არ გულისხმობს იმავს, რასაც პრაგმატული ენათმეცნიერების შესაბამისი ტერმინი, რომელიც გამოიყენება, მაგალითად, ასიმეტრიული დიალოგის ანალიზისათვის. ამ შემთხვევაში ჩვენ ვსაუბრობთ ენობრივი ლოგიკის ასიმეტრიებზე. ეს არის არასისტემური, განუპირობებელი ფორმები ენაში.

ყოველ ენას აქვს თავისი სახასიათო საიდუმლოებები ანუ ფორმობრივ-სემანტიკური ასისტემური მოვლენები და გარკვეული სირთულეები უცხოელთათვის. ნებისმიერი ყველაზე უფრო რთული სისტემაც კი ვერ ჩაითვლება სირთულედ ამ საიდუმლოებებთან შედარებით. სწორედ ეს წარმოქმნის ამ ენის შესწავლის ძირითად სირთულეს... ენობრივი ლოგიკის ასიმეტრიებად უნდა განვიხილოთ ყველა ლინგვისტური გამონაკლისი.

აბსოლუტურად ნათელია, რომ ენობრივი ასიმეტრიები ბუნებრივი მოვლენაა, რამდენადაც ენა გახლავთ ცოცხალი ორგანიზმი. ასიმეტრიები არის გარკვეული თავდაცვის ფორმები. ბიოლოგიაში ცნობილია, რომ ცხოველები და მცენარეებიც კი გარკვეულ თავდაცვით სისტემებს მიმართავენ, როცა უცნობი ობიექტი უახლოვდებათ, ისინი ინიღბებიან, ან მომწამვლელ სუნს გამოყოფენ. ამდენად, ენის მიერ ასიმეტრიების შექმნაც ამ მიზანს ემსახურება. თუმცა ენას აქვს გასაიდუმლოების სხვა ცნობილი ფორმებიც.

ზანურში უფრო ძლიერია ინერციის კანონის მოქმედება ამ კუთხით და გარდაუვალი ზმნებიც ერგატიულ კონსტრუქციას ქმნიან მეორე სერიაში.

მესამე სერია ამ პირველი ორი სერიის შუალედური ვარიანტია, ერგატიულობის თვალსაზრისით. ერთი მხრივ, გვაქვს თემის ნიშნებით, თუმცა არაობლივობის. მეორე მხრივ, გვაქვს ერგატიული დატივი და პერფექტი. ეს ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილი ერგატიული კონსტრუქცია. ენა ცდილობს, წინ წამოწიოს ობიექტის როლი და მნიშვნელობა და ამიტომ ჩნდება ინვერსიის მოვლენა. ჩვენი აზრით, ინვერსია აიხსნება მიმდინარე ერგატივიზაციის პროცესით. სწორედ ეს პროცესი არის ინვერსიის გამომწვევი გარემოება.

ისმის კითხვა – რატომ დასჭირდა მესამე სერიას დამატებითი რეფერენცირება და რატომ არ წარიმართა ერგატივიზაციის პროცესი მეორე სერიის მოდელით? საქმე ისაა, რომ ერგატიული სუბიექტი არის მოაზროვნე სუბიექტი კონკრეტული ვინ კლასის ნიშნებით. თურმეობითების დაუზუსტებელი „თურმე“ კატეგორიის მოქმედება მოაზროვნე სუბიექტის სემანტიკიდან გადის და ამიტომ ვერც ფორმდება ერგატიული ბრუნვით. თუმცა გარდამავალი ზმნის პერფექტით ნაკარნახები ერგატიული მოდელით ენა მაინც ცდილობს ერგატივიზაციის პროცესის წარმართვას და შესაბამისად აყალიბებს სუბიექტისათვის ერგატიული დატივის ფორმებს და განავითარებს ინვერსიას ობიექტის წინ წამოწევის გზით. იქმნება არასრული (ნაწილობრივი) ერგატიულობის შემდეგი სისტემა: პირველი სერიის ნომინატიურ კონსტრუქციას უპირისპირდება მეორე და მესამე სერიების ასიმეტრიული ერგატიულობა.

გვინდა აღვნიშნოთ, რომ ქართული ერგატიული სისტემა არის კანონზომიერად ასიმეტრიული. ცხადია, მესამე სერიაში პერფექტულობა არის გადამწყვეტი ფაქტორი, მაგრამ ჩვენ აქ საქმე გვაქვს არა როლების გადანაწილებასთან, არამედ ერგატიული კონსტრუქციის ფორმირების მიმდინარე პროცესთან. მოგეხსენებათ, რომ ქართული (და არა მარტო ქართული) ერგატიული კონსტრუქციისათვის პერფექტულობა არის ერთ-ერთი დასაყრდენი მორფოლოგიური კატეგორია. საერთოდ, პერფექტულობას ახასიათებს ობიექტის წინ წამოწევა (ზუსტადაც რეზულტატის სახით) და სწორედ ეს ქმნის ერგატიულ კონსტრუქციას. მაგრამ მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ ამ დროს ეს სემანტიკურად დომინირებული აქტანტი არის ობიექტი და არა სუბიექტი.

ლიტერატურა

მაზარობლიძე 2007. თ. მაზარობლიძე, *ვერსიის კატეგორიისა და მესამე სერიაში ე.წ. უფუნქციო ქცევის ნიშნების შესახებ*, ქართული სალიტერატურო ენის საკითხები, ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა, საქართველოს განთლების სამინისტრო, თსუ, 14-17 აპრილი, გვ. 181-196, თბილისი.

მაზარობლიძე 2007. თ. მაზარობლიძე, *ბასკური და ქართველური დესტინაციური სისტემების ტიპოლოგია*, არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი.

მასარობლიძე 2009: თ. მასარობლიძე, *ლინგვისტური წერილები I*, საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

უთურგაიძე 2002: თ. უთურგაიძე, *გრამატიკული კატეგორიებისა და მათი ურთიერთმიმართებისთვის ქართულ ზმნაში*, გამომცემლობა „ქართული ენა“ თბილისი.

უთურგაიძე 2009: თ. უთურგაიძე, *ქართული ენის დონეთა ძირითადი მახასიათებლების ურთიერთზემოქმედებისათვის გლობალურ ენობრივ სისტემაში*, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი.

ქსე 1984: *ქართული საბჭოთა ენციკლოპედია*, ტ. 7, თბილისი 1984

ა. ჩიქობავა, *სახელის ფუძის უბველესი აგებულება ქართველურ ენებში*, თბილისი, 1942.

ა. ჩიქობავა, *ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში. ერგატიული კონსტრუქციის რაობის თეორიები*, თბილისი 1961.

ა. შანიძე, *ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. I, მორფოლოგია*, თსზულებანი თორმეტ ტომად, ტ. III, თბილისი 1980.

Tamar Makharoblidze

Inversion and the Process of Ergativization

Summary

Georgian split ergativity has an asymmetric system. The general basics for Georgian ergativity are the thinking subject of animated who-class category and the perfect forms of transitive verbs, which in the first series are exposed with nominative construction in opposite with the other two series.

The Georgian ergative system shows the specific situation in the third series with the Dative case for the subject of transitive verbs and inversion. We are exposing the universal linguistic regulation – **inversion as a verbal category could be exposed only in poly-personal verbs**. In these rows of conjugation we can see the dynamic process of ergativization. The ergative construction tries to expose the object on the first place and as a result of this process, we have the inversion: the subject and the object are changing the markers. In the third series of transitive verbs the inner semantic vectors and the morphological referential vectors show the mirror asymmetry.

Georgian split ergativity is forming now and it is reflected on the following processes:

1. The processes in the third series are based on its specific semantics and the usage of thematic markers is not an obligatory;
2. The tendency to unify the forms of transitive verbs by thematic markers in nominative construction - in the first series (adding the thematic markers to the verbs with one theme) in opposition with the second and third series;
3. The distribution of all thematic markers.

According to the law of inertia, in the second series all transitive verbs – perfect and imperfect forms – are generalized under the ergative construction. This process is wider in Zan where even intransitive verbs are exposing ergative construction in the second series.

ირინე გელიძეშვილი

ერგატიული კონსტრუქციის მეორეულობის შესახებ ქართველურ ენებში

1. შესავალი

ქართველურ ენათა სინტაქსური სისტემა უაღრესად რთულია – დრო-კი-ლოთა სამ სერიაში ასპექტურად შეპირობებული სამი განსხვავებული კონსტრუქცია გვაქვს (ქვემდებარის ბრუნვებით სახელობითში, მოთხრობითსა და მიცემითში); ამდენად, სისტემა გახლეჩილი (split) ერგატიულობის კატეგორიას განეკუთვნება. კონსტრუქციათა თანაარსებობა ასპექტის გარდა განისაზღვრება ნაცვალსახელთა და არსებით სახელთა კლასების, ზმნათა სემანტიკური კლასებითაც. ამას გარდა, ქართველური ერგატიული კონსტრუქცია არ მიეკუთვნება კლასიკური ერგატიულობის ტიპს და მას უნდა ეწოდოს გაფართოებული ერგატივი, რადგანაც მისი განმსაზღვრელი არ არის მხოლოდ ზმნათა გარდამავლობა – ქვემდებარის არანომინატიური გაფორმება ეხება არა მარტო გარდამავალ ზმნებს, არამედ მოიცავს ატელიკურ დინამიკურ გარდაუვალ ზმნებსაც. სტატიაში წარმოდგენილია ამ სამი სინტაქსური კონსტრუქციის გააზრება და მათი დიაქრონიული ურთიერთმიმართების საკითხების განხილვა.

სინტაქსურ კონსტრუქციათა განაწილება ასპექტურ ოპოზიციებთან მიმართებით არსებითად ერთგვარია ქართულსა და სვანურში. განსხვავებული ვითარებაა მეგრულსა და ლაზურში. ლაზურში ნეიტრალიზებულია ერგატივის ასპექტური შეპირობებულობა და მთელი პარადიგმა სახელური ერგატივის პრინციპით არის გაფორმებული, ხოლო მეგრულმა საპირისპირო გზით დასძლია კონსტრუქციათა სხვაობა და უნიფიკაცია ნომინატიურ/აქტიური კონსტრუქციის სასარგებლოდ მოახდინა. ნაშრომში განხილული იქნება ქართულისა და სვანურის სისტემა. ეს სისტემა ამოსავალია იმ ტრანსფორმაციებისათვის, რომლებიც განხორციელდა მეგრულსა და ლაზურში.

შევეცდებით ზოგადი ტიპოლოგიის თვალსაზრისით განვიხილოთ ეს სისტემა და გავარკვიოთ მისი ადგილი ენათა ზოგად სინტაქსურ ტიპოლოგიაში. სინტაქსურ კონსტრუქციათა ხასიათი განისაზღვრება ზმნასთან დაკავშირებული ძირითადი აქტანტების სახელური და ზმნური გაფორმებით – ქვემდებარისა და დამატებების ბრუნვებით და ზმნაში პირის კატეგორიის აღნიშვნის წესებით. ქართველურ ენებში სინტაქსურ ფუნქციებს გამოხატავს სამი ბრუნვა: სახელობითი, მიცემითი და მოთხრობითი; ხოლო პირის მარკირება ზმნაში ხორციელდება ორი რიგის (გ-ს რიგისა და ჰ-ს რიგის) პირის ნიშნებით. ამ

სამი ბრუნვისა და პირის ნიშნების ორი რიგის ფუნქციონირების კანონზომიერებებით განისაზღვრება სინტაქსურ კონსტრუქციათა მრავალსახეობა ქართველურ ენებში.

ქართული და სვანური ავლენენ გახლეჩილ კანსტრუქციებში ერგატიული და არაერგატიული კონსტრუქციების თანაარსებობის თითქმის ყველა კანონზომიერებას, რომელიც დადგენილია ამ ტიპის ენებისათვის. ეს კანონზომიერებები განისაზღვრება:

- ა) დიქტომიით სახელი/ზმნა: თუ სახელურ სისტემაში გვაქვს ერგატიული კონსტრუქცია, იგი გვექნება ზმნურ სისტემაშიც; ე.ი. გვაქვს ენები ზმნაში პირების მარკირების ნომინატიური და სახელთა ბრუნვების ერგატიული მარკირებით, მაგრამ არა პირიქით. ასეთი ვითარება არის ახალი გვინიის ზოგ ავსტრონეზიურ ენაში, მაგალითად, სინაუგოროში (Sinaugoro). ასეთი ვითარება გვაქვს ქართულსა და სვანურშიც: II სერიაში ზმნაში პირების მარკირება ნომინატიური პრინციპით ხორციელდება, სახელების ბრუნვებით მარკირება კი – ერგატიული პრინციპით.
- ბ) ასპექტური დაპირისპირებით: თუ ენობრივ სისტემაში კონსტრუქციათა თანაარსებობა ასპექტურად არის შეპირობებული, პერფექტული ფორმები ერგატიულია, ხოლო იმპერფექტული – არაერგატიული. ასეა ეს, მაგალითად, ბევრ საშუალ და თანამედროვე ინდოირანულ ენაში და ასეა ეს ქართულსა და სვანურში: I სერიის ფორმებში, რომლებიც ძირითადად უსრული ასპექტისაა (მყოფადის წრის მწკრივები ნაწარმოებია აწმყოს წრის მწკრივებისაგან და იზიარებენ მის კონსტრუქციას), გვაქვს ნომინატიურ/აქტიური კონსტრუქცია, ხოლო სრული ასპექტის II სერიის მწკრივებში ზმნაში აქტანტების მარკირება ერგატიული პრინციპით ხორციელდება. III სერიის პერფექტულ კონსტრუქციას ჩვეულებრივ დატიურ კონსტრუქციას უწოდებენ, მაგრამ არგუმენტთა ბრუნვითი მარკირება და ზმნური შეთანხმება გაფართოებული ერგატივის პრინციპით ხორციელდება.
- გ) პიროვნულობა/სულიერების იერარქია განსაზღვრავს სახელთა ერგატიული თუ ნომინატიური პრინციპით გაფორმებას (სილვერსტაინი 1976; დიქსონი 1979; კომრი 1989; აისენი 1999):

ერგატიული და ნომინატიური ბრუნვების განაწილება სახელურ კლასებში შეესაბამება მათ პიროვნულობა/სულიერების იერარქიას: **1/2 პირის ნაცვალსახელი > საკუთარი სახელი > სულიერი არსება > უსულო საგანი**; რაც უფრო მაღალია სუბიექტის რანგი ამ სკალაზე, მით მეტია მისი ერგატივით აღუნიშვნელობის ალბათობა.

მართლაც, ქართველურ ენებში პირის ნაცვალსახელთა ბრუნვითი სინკრეტიზმი – *მე, შენ, ჩვენ, თქვენ* საერთო ფორმები სახელობითი, მიცემითი, მოთხრობითი ბრუნვებისათვის, *კინ* ნაცვალსახელის სინკრეტული ფორმის ხმარება

სახელობითი და მოთხრობითი ბრუნვების ფარდად ამ კანონზომიერების გამოხატულებაა.

სტატიაში განხილულია სამივე ასპექტურად შეპირობებული კონსტრუქცია და ამ კონსტრუქციათა დიაქრონიული ურთიერთმიმართების საკითხი.

2. ასპექტურად შეპირობებული ერგატივის ტიპოლოგია

საინტერესოა ქართველურ ენათა ვითარების შედარება გახლეჩილი ერგატიულობის სისტემათა მქონე სხვა ენებთან. განსაკუთრებულ სიახლოვეს ქართული და სვანური საშუალო და ახალ ინდოირანულ ენებთან ავლენენ. მათ აერთიანებთ არა მარტო კონსტრუქციათა ასპექტური შეპირობებულობა, არამედ ერგატივის გაფართოების პრინციპიც. ასპექტურად შეპირობებული ერგატივი პერფექტულ დროებში გვაქვს შემდეგ ინდოირანულ ენებში: ჰინდი-ურდუ, მარატჰი, გუჯარათი, პენჯაბი, ქაშმირი, სინდჰი. ჰინდი-ურდუში ერგატივის ნიშანია *-ne*, ქაშმირიში *-na*. პერფექტის წარმოება ემყარება პერფექტის მიმდევობას და მეშველ ზმნას „ყოფნა“; საშუალო ინდოირანულ ენებში მოხდა ნომინატივისა და აკუზატივის სინკრეტიზაცია და ორივე ბრუნვა აბსოლუტური, უნიშნო ფორმით არის წარმოდგენილი. ინდურ ენებში პერფექტულ ერგატივში ზმნა პირსა და რიცხვში უთანხმდება პირდაპირ ობიექტს, ანუ აბსოლუტივ/ნომინატივში მდგომ სახელს. თუ ობიექტი მაღალი რანგისაა პიროვნულობა/სულიერების სკალაზე, იგი შეიძლება მარკირებული იყოს მიცემითი ბრუნვით (ჰინდი-ურდუში სუფიქსი *-ko*), რომელიც ძირითადად ირიბი ობიექტის მარკერია (ბჰატი 2007:1-12; ჰუპი, მალჩუკოვი 2007:1646). ჰინდიში ობიექტის მარკირება დამოკიდებულია იმაზე, ობიექტი განსაზღვრულია თუ არა. ობლივატორული მარკირება ხდება პირველ რიგში პიროვნებების – პირის ნაცვალსახელებისა და საკუთარი სახელებისა, დასაშვებია სულიერი განსაზღვრული ობიექტების აღნიშვნა და გამორიცხულია უსულო განუსაზღვრელი ობიექტების მარკირება (აისენი 2003:467). ქვემოთ წარმოდგენილ მაგალითებში პირდაპირი დამატება ორივე შემთხვევაში – პერფექტულ ფორმასთანაც და იმპერფექტულთანაც – აბსოლუტურ ფორმაშია, ხოლო სუბიექტი პერფექტულ ფორმასთან ერგატივშია, იმპერფექტულ ფორმასთან კი – აბსოლუტივში. პერფექტული ფორმა პირდაპირ დამატებას ეთანხმება სქესში, ხოლო იმპერფექტული ფორმა – სუბიექტს (ლაკა 2006:177):

(a)	Raam-ne	roTii	khaayii	thii
	Raam-E	bread/Fem	eat-PERF.Fem	was.FEM
	რაამმა შეჭამა პური			
(b)	Raam	roTii	khaataa	thaa
	Raam/MASC	bread	eat-IMPF.MASC	was.MASC
	რაამი ჭამდა პურს			

საყურადღებოა, რომ ახალ ინდურ ენებშიც, ქართველურ ენათა მსგავსად, ხდება ერგატივის გაფართოება გარდაუვალი ზმნების სფეროში. ეს გარდაუვალი ზმნები იმავე სემანტიკისაა, რაც ქართველურ ენათა საშუალ-მოქმედებითი გვარის ზმნები: ეს არის გარდაუვალი, დინამიკური, ატელიკური ზმნები შემდეგი მნიშვნელობებით: „ითამაშა, იცეკვა, იხტუნა, იხონა, იბანავა, იჩხუბა, გაიცინა, იტირა, იყვირა, დაიყვია, დაიყოყინა, დაიხვიხვინა, იღრიალა, დააცემინა, დაახველა ...“ (ლაზარდი 2001). ზმნათა ეს კლასი ქართველურ ენებში ძალზე განვითარებული და მრავალრიცხოვანია – როგორც ცნობილია, ამ კლასის ზმნების წარმოება შესაძლებელია როგორც არსებითი, ისე ზედსართავი სახელებისაგან (*მეფე – მეფობს, სახლი – სახლობს, კონტა – კონტაობს...*).

ამ კონტექსტში საინტერესოა ბასკური ზმნის სისტემა. ბასკური ძირითადად ერგატიული ტიპოლოგიის ენაა. ერგატიული კონსტრუქცია წარმოდგენილია როგორც იმპერფექტულ, ისე პერფექტულ ზმნურ ფორმებთან. ნომინატივისებური კონსტრუქცია წარმოიქმნება განსაკუთრებულ ასპექტურ ფორმებში, რომლებიც პროგრესივის კატეგორიას გამოხატავენ:

- | | | | | | |
|-----|--------------------------------|--------------------|-------------------|-------------|----------|
| (a) | emakume-a-k
women-DET-ERG | ogi-a
bread-DET | ja-te-n
eating | du
has | |
| | ქალი ჭამს პურს (eats) | | | | |
| (b) | emakume-a
women-DET | ogi-a
bread-DET | ja-te-n
eating | ari
PROG | da
is |
| | ქალი პურის ჭამაშია (is eating) | | | | |

უბრალო აწმყოდან პროგრესივზე გადასვლა ხორციელდება მეშველი ზმნისა და ბრუნვათა მარკირების შეცვლით. პროგრესივის მაჩვენებელია *ari*. ამის საფუძველზე დიქსონი ლაპარაკობს ბასკურში გახლენილ ერგატიულობაზე (დიქსონი 1994). პროგრესივის კონსტრუქციის ინტერპრეტაცია წარმოდგენილი აქვს ი. ლაკას, რომელიც ასაბუთებს, რომ კონსტრუქციის ცვლილებას განაპირობებს აქ გამოყენებული ზმნა *ari* „ჩართულობა, დაკავშირებულობა“, რომელთანაც დაკავშირებულია მეშველი ზმნა „ყოფნა“ და სწორედ ის განაპირობებს ქვემდებარის აბსოლუტივის ბრუნვას (ლაკა 2006). მისი აზრით, აქ პროგრესივი ორფრაზიანი სტრუქტურით არის წარმოდგენილი. ტიპოლოგიურად პროგრესივი ხშირად რეალიზებულია ლოკატიური პრედიკაციის სახით. ვიღებთ ორფრაზიან (*biclausal*) სინტაქსურ სტრუქტურას: მთავარი ზმნა *ari* “to be engaged” (ჩართულობა) განაპირობებს ლოკატიურ კონსტრუქციას: „რადაცაში“. ამ ლოკატიურ კონსტრუქციას უკავშირდება ნაზმნარი სახელი ლოკატივში და ზმნა „არის“. ნაზმნარი სახელი შესაძლებელია შეესაბამებოდეს როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ ზმნას:

- | | | | | |
|-----|----------------------------|-----------------------|----------------|----------|
| (c) | emakume-a
women-DET | dantza-n
dance-LOK | ari
engaged | da
is |
| | ქალი ცეკვაშია (is dancing) | | | |

(d) emakume-a ogi-a ja-te-n ari da
 women-DET bread-DET eating-NOM-LOK engaged is
 ქალი პურის ჭამაშია (is engaged in eating bread)

ეს კონსტრუქცია აუცილებლობით მოითხოვს მეშველ ზმნას „ყოფნა“ და შესაბამისად სუბიექტის აბსოლუტივის ფორმით წარმოდგენას. ზმნა ari გარდაუვალია და მისი მეორე არგუმენტი ლოკატივშია, სუბიექტი კი აბსოლუტივში. ლექსიკური ზმნა jan „ჭამა“ არ განსაზღვრავს კონსტრუქციაში ბრუნვებით მარკირებას. საინტერესოა, რომ აღმოსავლურ ბასკურში ari კარგავს დამოუკიდებელი ზმნის სტატუსს, გადაიქცევა ფუნქციონალურ ელემენტად და ლექსიკური ზმნის გარდამავალი სემანტიკის შესაბამისად წინადადება ერგატიულად არის გამართული:

(e) gatzri-a-k pilota uz-ten ari du
 youth-DET-ERG ball-DET leave-IMPF PROG has
 the youth is leaving the ball
 ახალგაზრდა ბურთის გდებაშია

ზმნა utzi (uz-) „დატოვება“ მოითხოვს ერგატიულ ბრუნვას (-k). აღმოსავლურ დიალექტებში ari აღარ არის ლექსიკური ზმნა, ის გადაიქცა ასპექტის ნაჩვენებელ ელემენტად და კონსტრუქცია ერგატიული ხდება.

ამრიგად, დასავლური ბასკური დიალექტების ნომინატიური კონსტრუქცია პროგრესივის ლოკატიური კონსტრუქციის ასახვაა. პროგრესივი, როგორც ლოკატიური ფრაზა, გარდაუვალი ზმნის კონსტრუქციას ინაწილებს. ი. ლაკას ნაშრომის ძირითადი აზრია, რომ ბასკური ნომინატიური კონსტრუქცია არის არა ანტიპასივი, არამედ პროგრესივის ლოკატიური კონსტრუქცია. ბასკურში პროგრესივის გარდა ყველა ასპექტური ფორმა ერგატიული კონსტრუქციის ერთგულია. ბასკურის პროგრესივის ფორმები ლოკატივის ჰომომორფულია. ქართულშიც შესაძლებელია ლოკატივით პროგრესივის გამოხატვა: ცეკვაშია, ჭამაშია, მუშაობაშია... ასეთი ფორმები გვაქვს ჰოლანდიურში, უელსურში. ავტორისათვის ეს საფუძველია იფიქროს, რომ ბასკურში არ არის გახლეჩილი ერგატიულობა, ეს უბრალოდ პროგრესივის გამომხატველი ლოკატიური კონსტრუქციაა შესაბამისი არაგარდამავალი სტრუქტურით (ლაკა 2006:191).

ტიპოლოგიურად ბასკურის მსგავსი ვითარება ჩანს ჩოლში, რომელიც მაიას ენათა ოჯახს ეკუთვნის. ყველა მაიას ენა დომინანტურად ერგატიული ტიპისაა. ზოგიერთი, მათ შორის ჩოლი, ასპექტურად შეპირობებულ გახლეჩას გვიჩვენებს. ნომინატიურად არის მიჩნეული იმპერფექტივისა და პროგრესივის ფორმათა კონსტრუქციები (კუნი 2010).

ქართული და სვანური ასპექტურად შეპირობებული სისტემა, როგორც ვნახეთ, უფრო ახლოს დგას ინდოირანულ ენებში გამოვლენილ ვითარებასთან, რომელიც პერფექტის პოსესიური კონსტრუქციიდან იღებს სათავეს.

განვიხილოთ I, II და III სერიების კონსტრუქციები და შევეცადოთ მათი დიაქრონიული ურთიერთმიმართების გააზრებას.

3. I სერიის კონსტრუქციის ინტერპრეტაციისათვის

ძველ ქართულში, და სავარაუდოდ საერთო-ქართველურშიც, I სერიის მწკრივები უსრული ასპექტისა იყო, ხოლო მეორე სერიის მწკრივები სრული ასპექტის მოქმედებას გამოხატავდა. ახალ ქართულში ასპექტის გამოხატვა ზმნისწინს დაუკავშირდა, თუმცა I სერიის მწკრივთა დიდმა წილმა შეინარჩუნა უსრული ასპექტის სემანტიკა. ასეთებია აწმყო, უწყვეტელი, უწყვეტლის კავშირებითი; I სერიის მწკრივებთან ზმნისწინის დაკავშირების გზით წარმოიშვა **მყოფადის** წრის მწკრივები: მყოფადი – *გა-აკეთებს*, ხოლმეობითი – *გა-აკეთებდა*, მყოფადის კავშირებითი – *გა-აკეთებდეს*; ასევე სვანურშიც I სერიის ფარგლებში არის სრული ასპექტის მწკრივები: მყოფადსრული და პირობითი სრული. ამ მწკრივების ფორმების წარმოქმნაშიც მონაწილეობენ ზმნისწინები. მიუხედავად ასპექტური განსხვავებისა, მყოფადის წრის მწკრივებიც იზიარებენ აწმყოს წრის კონსტრუქციას. ამრიგად, კონსტრუქციების ძველი ქართულისეული, და სავარაუდოდ, საერთო-ქართველური განაწილება შენარჩუნებულია ახალ ქართულშიც და თანამედროვე სვანურშიც, თუმცა ვითარება რამდენადმე შეცვლილია – გაჩნდა I სერიის სისტემაში სრული ასპექტის მწკრივები. იმის გამო, რომ ასპექტურად შეპირობებული გახლეჩილი სინტაქსური სისტემა მყოფადის წრეზე ადრე არის ჩამოყალიბებული, მასზე ახალშექმნილმა ასპექტურმა დაპირისპირებებმა გავლენა აღარ მოახდინეს. ამიტომ I სერიის კონსტრუქცია უსრულ ასპექტს უნდა დაეუკავშიროთ.

მორფოლოგიური მარკირების თვალსაზრისით I სერიაში წარმოდგენილია ორი ძირითადი როლი – აქტიური და არააქტიური: გამონათქვამის აქტიური მონაწილე გამოხატულია **სახელობითი** ბრუნვითა და **ჟ-ს** რიგის პირის ნიშნებით, ხოლო არააქტიური მონაწილე – **მცემითი** ბრუნვითა და **ჰ-ს** რიგის პირის ნიშნებით. ოპოზიციაში: გამონათქვამის აქტიური/პასიური მონაწილე – არამარკირებულია აქტიური პირი. ამით აიხსნება ზოგიერთი არააქტიური აქტანტის (სტატიკური და ვნებითი გვარის ზმნების სუბიექტის) **ჟ-ს** რიგის პირის ნიშნებით მარკირება.

3.1. აქტიური მონაწილე, მარკირებული სახელობითი ბრუნვითა და ჟ-ს რიგის პირის ნიშნებით

ამგვარი მარკირება აერთიანებს გამონათქვამის შემდეგ წევრებს:

1) გამონათქვამის აქტიური წევრები:

- ა) **აქტიური, მაკონტროლებელი** წევრი ანუ **აგენსი** (რომელიც წინადადებაში ჩვეულებრივ ქვემდებარის როლს ასრულებს): *ის აკეთებს, ცურავს, მიდის...*

აქ შედის როგორც გარდამავალი ზმნების, ისე აქტიური გარდაუვალი ატელიკური ზმნების (ეს არის ტრადიციული ტერმინოლოგიით საშუალო-მოქმედებითი) და გარდაუვალი ტელიკური აქტიური ზმნების (*ის იმალება/ემალება, იმუქრება/ემუქრება...*) მთავარი არგუმენტის მარკირება.

ბ) აღქმის, შეგრძნების, გრძნობის, მენტალური პროცესების **გამომწვევ მიზეზს**, რომელსაც **სტიმული** ან **ეფექტორი** შეიძლება ვუწოდოთ: *ბავშვი მომწონს, ზმა მესმის, აზრი მიზნდება, ნათქვამი მჯერა...* ცხადია, სტიმული არ არის მოქმედების მაკონტროლებელი ცნობიერი მონაწილე, მაგრამ ის არის აქტორი – ქმედითი, თუმცა არაცნობიერი გამომწვევი მოქმედებისა.

2) გამონათქვამის წევრები, რომელთა სპეციფიკაცია არ ხდება აქტიურობის ოპოზიციის თვალსაზრისით.

ა) კონვერსიული ვნებითის ქვემდებარე. მისი სახელობითი ბრუნვითა და *ჟ*-ს რიგის პირის ნიშნებით მარკირება პასიური ტრანსფორმაციის არსითაა გაპირობებული – ძირითადი აქტანტის (ფოკუსის) პოზიციას იკავებს საგანი, რომლის შექმნა ან გარდაქმნა წარმოებს: *სახლი შენდება, წიგნი იწერება...*

ბ) გარდაქმნის ან ცვლილება მოსდის, გარდაქცევას განიცდის – მის სემანტიკაში შედის სემა „ხდება“: *ის ლამაზდება (ლამაზი ხდება), წითლდება, ფუჭდება, ბრაზდება, თბება, იზრდება...*

გ) სტატიკური ზმნების ქვემდებარე. მისი სახელობით ბრუნვით გაფორმება უნდა იხსნებოდეს იმით, რომ ეს ფორმები არამარკირებულაა აქტიურობა/პასიურობის ოპოზიციის თვალსაზრისით: *ის წევს, ზის, ღვას, გღიას, წერია...* საინტერესოა, რომ სტატიკური ზმნების პირველი და მეორე პირის მარკირებაში მომხდარია დიფერენციაცია: მდგომარეობის ზმნებში პირის ორმაგი აღნიშვნა: *ვ-გღი-ვ-არ, ვ-ზი-ვ-არ, ვ-წერ-ი-ვ-არ...* ამრიგად, ენამ მოახდინა **მდგომარეობის** სუბიექტის (ე.ი. არააქტიური წევრის) განსხვავებული აღნიშვნა.

სახელობითი ბრუნვითა და *ჟ*-ს რიგის პირის ნიშნებით ფორმდება აქტიურობა/ არააქტიურობის ოპოზიციის არამარკირებული წევრი. ოპოზიციის არამარკირებული წევრის ფუნქციონირება უფრო ფართოა, ვიდრე მარკირებული წევრისა. იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნეიტრალიზაციის პოზიციებში, როდესაც ოპოზიცია მოხსნილია. ამ შემთხვევაში ფუნქციონირებს ოპოზიციის არამარკირებული წევრი. ამით შეიძლება აიხსნას აქტიური მარკირების გამოყენება სტატიკურ ზმნებში, თუმცა, საინტერესოა, რომ განსხვავება მაინც დამყარებულია I და II პირში ფორმებზე მეშველი ზმნის *ვარ, ზარ* ფორმების დართვით. III პირის ფორმების *ა* ნიშანი კი შესაძლებელია *არის* ფორმიდან მომდინარეობდეს. შდრ. *შესაძლებელია < შესაძლებელი არის It is possible, Es ist möglich, მასწავლებელია < მასწავლებელი არის He is a teacher, Er ist Lehrer, გაკეთებულია < გაკეთებული არის It is done, Es ist gemacht.*

ალექსანდრე ონიანი *ჟ*-ს რიგის პირის ნიშნებს ობლიგატორულს უწოდებს (ონიანი 1978) იმის საფუძველზე, რომ ამ რიგის პირის ნიშნები აუცილებლად არის წარმოდგენილი ყველა ფორმაში – ისეთ ზმნებშიც, რომლებსაც უპიროს ვუწოდებთ, რადგან მათ არ უკავშირდება ექსპლიციტურისახელოვანი არგუმენტი: *წვიმს* ინგლ. *It rains*, გერმ. *Es regnet*, *ქუხს* გერმ. *Es donnert*, *ცხელა* ინგლ. *It is hot*, გერმ. *Es ist heiss*, *თბილა* ინგლ. *It is warm*, გერმ. *Es ist warm...* ამ მოვლენის ინტერპრეტაციისათვის მიმართავენ შინაგანი, ფარული არგუმენტის ცნებას „წვიმა წვიმს“, ან ცრუ (dummy) მორფემის ცნებას ასეთია, მაგ., ინგლ. *It*, გერმ. *Es*.

3.2. არააქტიური როლი, მარკირებული მიცემითი ბრუნვითა და *ჟ*-ს რიგის პირის ნიშნებით

ეს როლი აერთიანებს გამონათქვამის არააქტიურ მონაწილეებს მათი სინტაქსური ღირებულების გაუთვალისწინებლად: **არააქტიურ, არამაკონტროლებელ ქვემდებარეს** (*მას მოსწონს, ჰგონია, აქვს, ესმის, ახველებს, ექეიფება...*), **ირიბ ობიექტს** ანუ პირს, რომლისკენაც მოქმედება არის ორიენტირებული (მაძლევს, *მეუბნება, მიკეთებს, მწერს*) და **პირდაპირ ობიექტს**, რომელიც არის ზემოქმედების საგანი (მხატავს, *მკლავს*).

განვიხილოთ მიცემითური და *ჟ*-ს რიგის პირის ნიშნებით გამოხატული კონსტრუქციები:

1) **არააქტიური ქვემდებარე** ზმნური ფრაზის სხვადასხვა არააქტიურ პარტიციპანტს აერთიანებს:

ა) უნებური, არაკონტროლირებული მოქმედებების ქვემდებარე. „მემართება“ სემანტიკური კომპონენტის შემცველი ფორმები: *მ-რჩება, მ-ე-კარგება, მ-ე-წვება მზეზე კანი, მ-ე-ყინება სახე, რაღაც ხელიდან მ-ი-ვარდება, მ-ე-ხარჯება ფული ტყუილად...*

ბ) ორგანული და ფიზიოლოგიური პროცესების განმცდელი – ექსპირიენსერი: *მ-ში-ა, მ-წყური-ა, მ-ცხელ-ა, მ-ცივ-ა, მ-ტკივ-ა, მ-ძინავ-ს, მ-ღვიძავს...* ამავე კატეგორიაში შედის [მ-ა- ებ-ს] პროდუქტიული მოდელით წარმოებული ორგანული პროცესების აღმნიშვნელი ფორმები: *მ-ა-ხველ-ებ-ს, მ-ა-ცემ-ინ-ებ-ს, მ-ა-კანკალ-ებ-ს, მ-ა-ჟრიალ-ებ-ს, მ-ა-ბაბან-ებ-ს, მ-ა-ღებ-ინ-ებ-ს, მ-ა-ცხელ-ებ-ს, მ-ა-ცივ-ებ-ს...* აქ ზემოქმედება არააქტიურ ქვემდებარეზე პირდაპირია, ისეთივე, როგორცაა რუსულ ფორმებში: *меня-ACC трясет* „მაკანკალებს“, *меня-ACC знобит* „მაცივებს“; ამ ფორმებში ინაქტიურ ქვემდებარესთან მიმართება აკუზატიურია (პირდაპირი) და არა დატითური (ირიბი), განსხვავებით *мне-DAT холодно* „მცივა“ ტიპის ფორმებისაგან. პირდაპირ ზემოქმედებას ქართულ ფორმებში გადმოსცემს ქცევის ა- პრეფიქსი.

გ) გრძნობების, ემოციების განმცდელი, ექსპირიენსერი: *მ-ძულ-ს მ-წყინ-ს, მ-სურ-ს, მო-მ-წონს, მ-ი-ყვარ-ს, მ-რცხვენ-ი-ა, მ-ი-ხარ-ი-ა, მ-ე-შინ-ი-ა, მ-ე-ჯავრებ-ა, მ-ე-ბრალეზ-ა, მ-ე-ნანებ-ა, მ-ე-რიდებ-ა...*

დ) სურვილისა და გუნება-განწყობის ქვემდებარე: *მ-ი-ნდ-ა, მ-სურ-ს, მ-ნებ-ავ-ს, მ-წადი-ა, მ-ე-პრიან-ებ-ა, მ-ე-გუნებ-ებ-ა...*

აქვე შემოდის გუნება-განწყობის სემანტიკის შემცველი პროდუქტიული მოდელი [ე- ებ]: *მ-ე-ცეკვ-ებ-ა, მ-ე-ძღერ-ებ-ა, მ-ე-ქეიფ-ებ-ა, მ-ე-ძინ-ებ-ა*; მათში შედის სემანტიკური კომპონენტი „მინდა“. სემანტიკურად ამ კატეგორიისა კითხვითი ფორმები: *რა გ-ე-თამაშ-ებ-ა, როცა აძღენი საქმეა გასაკეთებელი?*

ე) მენტალური პროცესების ამსახველი ფორმები: *მ-გონი-ა, მი-მ-ა-ჩნი-ა, მ-ჯერ-ა, მ-წამ-ს, მ-ი-კვირ-ს, მ-ა-ხსოვ-ს, მ-ა-გონდ-ებ-ა, მ-ა-ვიწყდ-ებ-ა მ-ე-ეჭვ-ებ-ა, მ-ე-იმედ-ებ-ა*;

სვანურში, მეგრულ-ლაზურში „ცოდნის“ აღმნიშვნელი ბაზისური ზმნებიც მიცემითური კონსტრუქციისაა: სვან. *მ-ი-ხალ*, მეგრ. *მ-ი-ჩქ-გ*, ლაზ. *მ-ი-ჩქუნ* „ვიცი“. აქვე შემოდის პროდუქტიული კლასი ფორმებისა, სემანტიკური კომპონენტით: „მგონია, მიმაჩნია“: *მ-ე-დიდ-ებ-ა, მ-ე-ლამაზ-ებ-ა, მ-ე-მწარ-ებ-ა...* = *მგონია დიდი*, ლამაზი, მწარე...

ვ) აღმქმელი: *მ-ე-სმი-ს* (შდრ. აქტიური ფარდი: *ე-უ-სმენ*, სადაც აქტიური, მიზანდასახული ყურადღება მონაწილეობს).

ზ) შესაძლებლობა, უნარი: *შე-მ-ი-ძლი-ა, ჯელმეწიფება, ძალიძის*;

სემანტიკური კომპონენტი „შემიძლია“ მონაწილეობს „შესაძლებლობა/დასაშვებობის“ პროდუქტიული მოდელის წარმოებაში: *მ-ე-ჭმევ-ა, მ-ე-სმევ-ა* = *შე-მ-ი-ძლი-ა/შეიძლება ვჭამო, დავლიო*: *შინ არ მ-ე-ჯდომება* „არ შემიძლია სახლში ჯდომა“...

თ) მფლობელი, პოსესორი: *მ-ა-ქვ-ს, მ-ყავ-ს, მ-ა-ბადი-ა, გა-მ-ა-ჩნი-ა, მ-ა-კლი-ა, მ-ე-ლეგ-ა, მ-ე-მატებ-ა...* პოსესიური სემანტიკის შემცველად შეიძლება მივიჩნიოთ პროდუქტიული სემანტიკური კლასი, რომელიც რაიმეს ტანზე ქონას აღნიშნავს: *მ-ა-ცვი-ა, მ-ა-ხურავ-ს ქუდი* „, *მ-ა-ფარი-ა საბანი, მ-ცხი-ა მალამო ჭრილობაზე, მ-ი-კეთი-ა ბეჭედი ხელზე*“... ამავე კლასს ეკუთვნის აგრეთვე: *მ-ჩვევი-ა, მ-ქეი-ა და მ-ი-ჭირავ-ს ხელში, მ-ი-პერი-ა*.

არააქტიური ქვემდებარის მქონე ზმნური სემანტიკური კლასების და შესაბამისი ფორმების რიცხვი, როგორც ვხედავთ, ქართველურ ენებში ძალიან დიდია; გარდა აფექტური სემანტიკის ზმნებისა, მასში შედის კოგნიტიური პროცესების აღმნიშვნელი ზმნები, აღქმის, სურვილის, შესაძლებლობის, პოსესიურობის, უნებლიობის სემანტიკის ზმნები; მიცემითი ბრუნვითა და მ-ს რიგის პირის ნიშნებით გამოხატული ქვემდებარე შეეფარდება არაკონტროლი-

რებადი, არანებისმიერი მოქმედებების და მდგომარეობების აღმნიშვნელ ფართო ზმნურ კლასს. მასში შედის ფორმათა რამდენიმე პროდუქტიული კლასი (მიჩნევის, გუნება-განწყობის, სურვილის, შესაძლებლობის, ფიზიოლოგიური პროცესების... აღმნიშვნელი).

მიცემითური კონსტრუქციის ფორმათა ინვერსიულ ფორმებად მიჩნევისათვის არ არსებობს საფუძველი, რადგანაც ამ ფორმათა ქვემდებარე არააქტიურია, ხოლო მიცემითი ბრუნვა პროტოტიპურად სწორედ გამონათქვამის არააქტიური სულიერი მონაწილის გამომხატველია (ფილმორი 1968:24) და ამდენად აქ გვაქვს არა ინვერსია, არამედ სემანტიკური ვითარების პირდაპირი, უშუალო ასახვა.

როგორი კვალიფიკაცია უნდა მიენიჭოს I სერიის კონსტრუქციას? ვფიქრობთ, რომ ეს კონსტრუქცია უნდა შეფასდეს როგორც აქტიური და არა ნომინატიური. ამის საფუძველს გვაძლევს შემდეგი მოვლენები:

- ა) კონსტრუქციათა ძირითადი მაღიფერენცირებელი კატეგორია არის არა გარდამავლობა/გარდაუვლობა, არამედ აქტიურობა/ინაქტიურობა.
- ბ) გვაქვს ბინარული მორფოსინტაქსური სისტემა. მასში სახელობითითა და *გ*-ს რიგით აღინიშნება აგენსი და სტიმული და მიცემითითა და *ჟ*-ს რიგით – არააქტიური ქვემდებარე, ირიბი ობიექტი და პირდაპირი ობიექტი. მორფოლოგიური მარკირების ძირითადი პრინციპი სემანტიკურია. სემანტიკური მარკირების უპირატესობა კი აქტიური კონსტრუქციისათვის არის დამახასიათებელი (პლანკი 1979:4). სამპირიან ზმნებში ირიბი ობიექტის მარკირებას უპირატესობა ეძლევა პირდაპირი ობიექტის მარკირებასთან მიმართებით: *მე-სერი-ს ის მე მას, მე-უბნებ-ა ის მე მას*.
- გ) ზმნაში აღინიშნება სულიერი, პიროვნული მონაწილეები და აღუნიშვნელი რჩება უსულო საგანი. აქტიური, მაკონტროლებელი ქვემდებარე პროტოტიპურად სულიერია, პირია, ასევე პროტოტიპურად სულიერია და პირია არააქტიური ქვემდებარე და ირიბი ობიექტი, პირია I და II პირის პირდაპირი ობიექტიც ასევე პირია, ხოლო III პირის პირდაპირი ობიექტი პროტოტიპურად უსულო საგანია და სწორედ ის არ არის პირის ნიშნით მარკირებული ზმნაში.
- დ) I სერიის კონსტრუქციის მნიშვნელოვანი მახასიათებელია პირდაპირ და ირიბ ობიექტურ პირებს – პაციენსსა და რეციპიენტს შორის დაპირისპირების არარსებობა სახელური მორფოლოგიის თვალსაზრისით; ორივე მარკირებულია მიცემითი ბრუნვით. ის განსხვავება კი, რომელიც ზმნურ მორფოლოგიაშია ასახული – I და II პირის პირდაპირი ობიექტის აღნიშვნა და III პირის აღუნიშვნელობა (*მე მ-ჭრის, შენ გ-ჭრის, მას ჯრის*) – აქტიურობა/არააქტიურობის დაპირისპირების აქტუალურობას მოწმობს, რადგან პირველი და მეორე პირი საკუთრივ პირებია, გამონათქვამის პი-

როვნული და სულიერი მონაწილეები, ხოლო მესამე პირი, როგორც წესი, სამოქმედო საგანია, პროტოტიპულად უსულოა, არაპირია. ირიბი ობიექტი კი სულიერია და უმეტესად პირია როგორც I და II პირის შემთხვევაში, ისე III პირის შემთხვევაში (*მწერს, გწერს, სწერს წერილს*). ამრიგად, აქტანტების მარკირებისას განმსაზღვრელია პიროვნულობა/ არაპიროვნულობისა და აქტიურობა/არააქტიურობის სემანტიკური კატეგორიები. ზმნაში აღინიშნება პირი, არაპირი კი აღუნიშნელია, ხოლო *ჯ*-ს რიგით ხორციელდება პირის აღნიშვნა, თუ *ძ*-ს რიგით, – ეს შესაბამისი აქტანტის აქტიურობა/არააქტიურობით განისაზღვრება.

ეს იერარქია პირდაპირი ობიექტის აღნიშვნაში შეესაბამება უნივერსალურ მიმართებას პიროვნულობა/სულიერება/უსულობის იერარქიასა და სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის კატეგორიებს შორის. მნიშვნელობათა იერარქია: პირი > სულიერი > უსულო პირდაპირ მიმართებაშია სუბიექტურობის კატეგორიასთან – მარკირების იერარქია იკლებს მაღალი რანგიდან დაბლისაკენ; პირდაპირი ობიექტის ფუნქციით კი შებრუნებული მიმართება გვაქვს: რაც უფრო მაღალია რანგი, მით მეტია მარკირების ალბათობა, რადგან პირდაპირ ობიექტად პროტოტიპულად ნაკლებ მოსალოდნელია პირი და სულიერი არსება, ვიდრე არაპირი და უსულო საგანი. სუბიექტის როლში პირის ბრუნვა შეიძლება არ აღინიშნებოდეს, უსულო საგნის ბრუნვის აღნიშვნა კი ობლივატორული იყოს. შდრ. ქართულში *მე, ჩვენ, შენ, თქვენ*, ნაცვალსახელების არამარკირება სახელობით, მოთხრობით, მიცემით ბრუნვებში და *ვინ* ნაცვალსახელის საერთო ფორმა სახელობითისა და მოთხრობითისათვის. ასევე ქართულში პირდაპირი ობიექტის არამარკირება მესამე პირში შეესაბამება მის არამარკირებულობას ამ როლში – სამოქმედო ობიექტი, ჩვეულებრივ, უსულო საგანია. ობიექტების განსხვავებული მარკირება ბევრი ენის მასალაზე განხილული აქვს იუდით აისენს. ის აჩვენებს, რომ რაც უფრო მაღლა დგას პირდაპირი ობიექტი პიროვნულობა/სულიერების სკალაზე, მით მეტია მისი მარკირების ალბათობა (აისენი 2003).

პირის აღნიშვნის კიდევ ერთი თავისებურება – მესამე პირის ნიშნის *-ს* და *-ა* ალომორფების განაწილება, ასევე აქტიურობის იერარქიას უკავშირდება: *-ა* ალომორფი გვაქვს არა მარტო წარსულ დროებში: უწყვეტელში, წყვეტილსა და I და II თურმეობითებში, არამედ სტატიკური ზმნებისა და ვნებითი გვარის ზმნების აწმყოშიც. წარსული აწმყოსთან მიმართებით აქტიურობის უფრო დაბალი ხარისხით ხასიათდება, რადგან საქმე ეხება არა თვით მეტყველების მომენტის თანადროულ მოქმედებას, არამედ თხრობას წარსულში შესრულებული მოქმედების შესახებ. ამგვარად, I სერიაში პირთა აღნიშვნაში არსებული დიფერენციაცია უკავშირდება აქტანტების სემანტიკას – მათი აქტიურობის ხარისხს. საკუთრივ პირდაპირი ობიექტის, როგორც ასეთის,

მარკირების არავითარი ტენდენცია არ ჩანს I სერიაში. პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის აღნიშვნა ძველ ქართულში არ ხდებოდა I სერიაში, იგი ჩნდება II სერიაში, სადაც, როგორც ქვემოთ ვნახავთ, უკვე გამოიყოფა პირდაპირი ობიექტის ცნება არააქტიური წევრის ზოგადი ცნებიდან.

ე) I სერიის ფარგლებში არა გვაქვს პირდაპირი ობიექტის ცნება. პირდაპირ ობიექტს არა აქვს საკუთარი განსაკუთრებული გამოვლენა, თუ არ ჩავთვლით მესამე პირის პირდაპირი ობიექტის აღნიშვნელობას. ეს კი, როგორც ზემოთ შევეცადეთ გვეჩვენებინა, მისი სემანტიკური მახასიათებლით (უსულობით) არის განსაზღვრული და არა პირდაპირი ობიექტის სინტაქსური ფუნქციით. პირდაპირი და ირიბი ობიექტის განურჩევლობა გიორგი კლიმოვის აქტიური კონსტრუქციის მახასიათებლად მიაჩნია (კლიმოვი 1977:138). საინტერესოა, რომ პირდაპირი და ირიბი ობიექტი ერთი და იმავე თანდებულთ (-ko) აღინიშნება ჰინდიში.

პირდაპირი ობიექტის კონცეპტი განმსაზღვრელი ღირებულებისაა ნომინატიური და ერგატიული კონსტრუქციებისათვის. მას უკავშირდება ზმნათა ძირითადი კატეგორია – გარდამავლობა/გარდაუვლობა. ქართველურ ენათა ზმნურ ფორმათა I სერიისათვის გარდამავლობას არა აქვს საკვანძო ღირებულება. ძირითადი კატეგორიის ღირებულება აქვს ზმნურ ფორმათა აქტიურ/არააქტიურ სემანტიკას.

აქტიური კონსტრუქციისათვის დამახასიათებლად მიიჩნევენ მკვლევრები ზმნათა შეუზღუდავ წარმოებას არსებითი და ზედსართავი სახელებისაგან, რომელიც ასე დამახასიათებელია ქართული ენისათვის (ბოედერი 2002).

შესაბამისად, I სერიის კონსტრუქცია უნდა განისაზღვროს როგორც **აქტიური** და არა ნომინატიური. ნომინატიური კონსტრუქციისათვის დამახასიათებელია განსხვავების გამოხატვა პირდაპირ და ირიბ ობიექტურ პირებს შორის. ამ კონსტრუქციას აკუზატიურს უფრო ზმირად უწოდებენ, ვიდრე ნომინატიურს, რადგან სახელობითი ბრუნვისაგან განსხვავებული ბრუნვით – აკუზატივით ამ კონსტრუქციაში აღინიშნება პირდაპირი ობიექტი. მორფოლოგიური მარკირების თვალსაზრისით, ქართული ენის I სერიაში ობიექტის კონცეპტის არსებობის არავითარი ნიშანი არ ჩანს. **ეს კონსტრუქცია ხასიათდება პირდაპირი და ირიბი ობიექტის განურჩევლობით და აქტიურობის კატეგორიის თანმიმდევრული მორფოლოგიური გამოხატვით.**

აქტიური კონსტრუქცია პირველად ეღუარდ სეპირმა გამოყო. თავის რეცენზიაში ულენბეკის შრომაზე მან აქტიური კონსტრუქცია გამიჯნა ერგატიული კონსტრუქციისაგან და მიუთითა, რომ აქტიური კონსტრუქციისათვის ძირითადი დისტინქციაა აქტიური/არააქტიური, ხოლო ერგატიულისათვის – გარდამავალი/გარდაუვალი (სეპირი 1917:85). აქ მან გამოყო კონსტრუქციათა ხუთი ტიპი (სეპირი 1917:86).

	ობიექტი	გარდაუვ.სუბიექტი არააქტ. აქტ.	გარდამ. სუბიექტი	მაგალითი
1. ერგატიული	A	A	B	ჩინუკი
2. აქტიური	A	A B	B	დაკოტა
3. სამწვერა	A	B	C	ტაკელმა
4. ნომინატიური	A	B	B	პაიუტი
5. ნეიტრალური	A	A	A	იანა

სებირი ფიქრობდა, რომ არსებობს საფუძველი დავუშვათ, რომ მე-4 ტიპს (ნომინატიური) აქვს მე-2-ში (აქტიური) გადასვლის ტენდენცია. ჩარლზ ფილმორმა (ფილმორი 1968:53-58) და გიორგი კლიმოვმა (კლიმოვი 1977) გააცოცხლეს და ახალი დეტალებით შეავსეს სებირის კლასიფიკაცია. ჩიკსავ (Chikksaw) ენაში (მუსკოვის ოჯახი) არის პირის ნიშანთა ორი რიგი – აქტიური და არააქტიური. აქტიური: 1პ. მხ. sa-, მრ. po-; 2პ. მხ. chi-, მრ. hachi-; 3პ. 0; არააქტიური: 1პ. მხ. -li, მრ. il- / ii-; 2პ. მხ. chi-, -მრ. hachi -; 3პ. 0;

ა. *chi-ssoli*

შენ-დარტყმა-მე
„მე შენ გარტყამ“

ბ. *is-sa-thaana*

შენ-მე-ცნობა
„შენ მე მიცნობ“

გ. *malili-li*

გაქცევა-მე
„მე გავიქეცი“

დ. *sa-hotlhko*

მე-დახველება
„მე დამახველა“

საინტერესოა, რომ სპეციალისტები ლაპარაკობენ აქტიური კონსტრუქციის ნიშნების გაჩენაზე ისეთ ენებში, როგორცაა ინგლისური, სადაც მორფოლოგიური სხვაობა პირდაპირ და ირიბ ობიექტს შორის ნაცვალსახელებში მოშლილია (არონსონი 1977:201-216).

4. არგუმენტების მარკირება II და III სერიაში

ერგატიული კონსტრუქცია ქართულსა და სვანურში უკავშირდება ზმნური სისტემის II და III სერიის ფორმებს, თუმცა მას ამ სერიებში განსხვავებული სახე აქვს. II სერიაში გვაქვს სახელური ერგატივი და არა გვაქვს ზმნური ერგატივი, ხოლო III სერიაში წარმოდგენილია როგორც სახელური, ისე ზმნური ერგატივი. II სერიაში ერგატიული კონსტრუქცია საკუთრივ ერგატიული ბრუნვით არის წარმოდგენილი, III სერიაში კი ერგატიული კონ-

სტრუქციის სახელური მარკირება ხდება მიცემითი ბრუნვით. ეს კონსტრუქციები სხვადასხვა ფორმაციისაა. III სერიის კონსტრუქცია უფრო ახალია და მისი წარმოების პრინციპი გამჭვირვალეა. სტატიამში შევეცდებით ვაჩვენოთ, რომ II სერიის კონსტრუქცია ასევე მეორეულია და წინარე-ქართველურ დონეზე იგი არ აღდგება. ჯერ განვიხილოთ ერგატიული კონსტრუქციის თავისებურებები II და III სერიაში, ხოლო შემდეგ შევეცადოთ განვსაზღვროთ ასპექტურად შეპირობებული სამივე კონსტრუქციის დიაქრონიული ურთიერთმიმართება.

4.1 ზმნური მარკირება II სერიაში

II სერიაში არგუმენტების **ზმნური** მარკირება ისეთივეა, როგორც I სერიაში. აორისტში ანუ წარსულ დროში *ვ*-სა და *ძ*-ს რიგის პირის ნიშნების განაწილება ისეთივეა, როგორც I სერიაში. *ძ*-ს რიგით აღინიშნება პაციენსი, ადრესატი, რეციპიენტი, ექსპერიენსერი, პოსესორი...

ვ-ს რიგი: წავედი, ვაგაკეთე, დავიძალე, ვაგწითლდი, ვავშრი, ველაპარაკე, ვითამაშე;

ძ-ს რიგი: პაციენსი: დამხატა, ბენეფაქტორი: ამიშენა, ადრესატი: მომცა, ეგზეკუტორი: გამაკეთებინა; ექსპერიენსერი: გრძნობა: მომეწონა, მესიამოვნა, შემეშინდა, გამელვიდა, დამეძინა, მეტკინა, მეგონა, მომეჩვენა, მომაგონდა, გამახსენდა; აღქმა: მომესმა; ფიზიოლოგიური მდგომარეობები: მომშივდა, დამცხა, შემცივდა, გამაცია, ამაკანკალა, გამახურა, მალეძინა, დამახველა; მიჩნევა: მედიდა, მემწარა; სურვილი: მომინდა, მომეპრიანა; ქონა: მებადა, გამომელია, მომაკლდა; მეჭირა, მეპყრა, მერქვა; მეხურა, მეფარა; უნებლიობა: დამრჩა, დამეკარგა, შემომეჭამა, შემომაცვდა, გამეცინა.

ინაქტიური ქვემდებარის მქონე ყველა სემანტიკური ჯგუფი წარმოდგენილია II სერიაშიც, გარდა გუნება-განწყობის – „მექეიფება“ ტიპის ზმნებისა. საერთოდ, ინაქტიური ქვემდებარის მქონე ფორმები ხშირად შეიცავენ მდგომარეობის, სტატიკის სემას. შესაბამისად, მათ სრული ასპექტის სემანტიკა ძნელად უკავშირდება, ამიტომ ბევრ ზმნას არა აქვს სრული ასპექტის ფორმა, ასეთებია, მაგალითად, *მაქვს*, *მყავს*, *მწამს*.¹ ამგვარად, II სერიის ზმნური მარკირებაც აქტიური კონსტრუქციის გამოხატულებად შეიძლება მივიჩნიოთ.

4.2. სახელური მარკირება II სერიაში

სახელური მარკირების თვალსაზრისით, II სერიის ფორმები **გაფართოებული ერგატივის** კონსტრუქციას ავლენენ. სახელობითით არის მარკირებული გარდაუვალი სტატიკური (*ის ევლო*) და გარდაუვალი დინამიკური ტელიკური

¹ ინაქტიურ ქვემდებარე ზმნათა მწკრივთა წარმოება ბევრ თავისებურებას გვიჩვენებს. მათი განხილვა ამ სტატიის ფარგლებს სცილდება და სამომავლოდ გვაქვს განზრახული.

ზმნების (ტრადიციულად: ვნებითი გვარის) სუბიექტი: *ის დაიძალა, გაწითლდა, შეებრძოლა* და გარდამავალი ზმნების ობიექტი, ხოლო მოთხრობითი ბრუნვით – ა) გარდამავალი ზმნებისა და ბ) გარდაუვალი აქტიური ატელიკური ზმნების (ტრადიციულად: საშუალ-მოქმედებითი) სუბიექტი: *მან ააშენა, მან იცეკვა*. ამ კონსტრუქციას ვუწოდებთ გაფართოებულ ერგატივს (extended ergative), რადგან ერგატიული ბრუნვის ზმარება სცდება გარდამავალ ზმნათა სფეროს და ვრცელდება გარდაუვალ ზმნებზე. რ. დიქსონის ტერმინოლოგიით, ეს არის გახლეჩილი-S (Split-S) ენა, ანუ ენა, სადაც გარდაუვალი ზმნების სუბიექტის მარკირება იხლიჩება (ნაწილი იღებს მოთხრობით ბრუნვას და ნაწილი – სახელობითს) და ეს ხდება გრამატიკულად და არა სიტუაციურად [Each verb is assigned a set syntactic frame, with case marking or cross-referencing always being done in the same way, irrespective of the semantics of a particular instance of use (დიქსონი 1994:71)].

ამ კონსტრუქციას გ. კლიმოვი და ა. ჰარისი აქტიურს უწოდებენ. ამ აზრს იზიარებს ბ. კომრიც. მსოფლიოს ენათა ატლასში (WALS) იგი მეორე და მესამე სერიის კონსტრუქციებს აქტიური კონსტრუქციების კვალიფიკაციას აძლევს (კომრი 1989:4-6). საფუძველი ჯერ კლიმოვისთვის და შემდეგ ჰარისისა და კომრისათვის არის გარდამავალ ზმნებთან ერთად გარდაუვალ ზმნათა გარკვეული ჯგუფის – მათ ჰარისი და კომრი უწოდებენ Sa-ს – ერგატიული გაფორმება. ჩემის აზრით, ვერ ვიტყვით, რომ *ემეფობ, ეცხოვრობ, ეცეკვავ, ვთამაშობ* უფრო აქტიურია სემანტიკურად, ვიდრე *მივრბივარ, მივფრინავ, მივდივარ*. აქ საქმე ეხება გარდაუვალ ზმნათა დაყოფას არა აქტიურობა/არააქტიურობის საფუძველზე, არამედ მათ დაპირისპირებას ტელიკურობა/ატელიკურობის თვალსაზრისით. საყურადღებოა, რომ პოსესიური პერფექტის მქონე როგორც სპლიტ-ენები (ჰინდი-ურდუ და სხვა ინდოირანული ენები), ისე ნომინატიური კონსტრუქციის ენები (გერმანული, იტალიური, ძველი ბერძნული) ანგარიშს უწევენ გარდაუვალ დინამიკური ზმნების ტელიკურობა/ატელიკურობას. მე ვფიქრობ, გაფართოებული ერგატივი უფრო შესაფერი ტერმინია, რადგან ამ კონსტრუქციაში ჩნდება პირდაპირი და ირიბი ობიექტის განსხვავება, რომელიც არ გვქონდა I სერიაში; ნომინატივით ფორმდება პირდაპირი ობიექტი. ეს სამართლიანია III სერიისათვისაც, რადგან ზმნური კლასების კონსტრუქციებად განაწილება II და III სერიებში ერთნაირია. II და III სერიის კონსტრუქციები რომ არ გვქონდეს, ქართულ ენაში არავითარი მორფოსინტაქსური საფუძველი არ გვექნებოდა პირდაპირი და ირიბი ობიექტის გარჩევისათვის. II და III სერიაში პირდაპირი ობიექტი სახელობით ბრუნვაშია – ზოგადი ინაქტიური არგუმენტი იხლიჩება ორად: პირდაპირ ობიექტად, რომელიც სახელობითშია და ირიბ ობიექტად, რომელიც II სერიაში მიცემითში რჩება, ხოლო III სერიაში -თვის თანდებულის უბრალო დამატებად გარდაიქმნება:

კაც-ი მეგობარ-ს წიგნ-ს სჩუქნის
კაც-მა მეგობარ-ს წიგნ-ი აჩუქა
კაც-ს მეგობარ-ის-თვის წიგნ-ი უჩუქებია

პირდაპირი და ირიბი ობიექტის განურჩევლობა აქტიური კონსტრუქციისათვის არის დამახასიათებელი. პაციენსისა და რეციპიენტის (დატიური ბრუნვის) განსხვავებული მარკირება ერგატიულ და ნომინატიურ კონსტრუქციებში ჩნდება. ერგატიულ კონსტრუქციაში პაციენსის მარკირება ემთხვევა გარდაუვალი ზმნის ძირითადი არგუმენტის მარკირებას და ეს არის არამარკირებული, ამოსავალი ბრუნვა, დასახელების ფორმა.

რაც შეეხება ერგატივის გაფართოებას – S_{erg} მარკირებას, მას ქართველურ ენებში გარდამავალ ზმნებთან ინაწილებენ მედიაოქტიური ზმნები – **დინამიკური, პროცესუალური, ატელიკური ზმნები**. შდრ. *ის მიდის, მიფრინავს თბილისში – ის წავიდა, გაფრინდა თბილისში*; და *ის ბევრს დადის – მან ბევრი იარა, იცურა, იციგავა, იფრინა, იცეკვა*; ეს ინტრანზიტიულ ფორმათა ის სემანტიკური კლასია, რომელიც გერმანულ ენაში haben მეშველ ზმნას იყენებს პერფექტში – დურატიული, ატელიკური (*Sie hat früher viel getanzt* „მან ადრე ბევრი იცეკვა“), განსხვავებით ინტრანზიტიული ტელიკური ფორმებისაგან (*Sie ist durch den Saal getanzt* „ის გაცეკვით გასრიალდა დარბაზში“), რომლებიც sein მეშველი ზმნით აწარმოებენ პერფექტს. ასევე მიუთითებენ, რომ ნიდერლანდურში არაერგატიულები (unergatives) პერფექტს აწარმოებენ მეშველი ზმნით zijn „ყოფნა“, ხოლო არააკუზატიურები (unaccusatives) მეშველი ზმნით hebben „ქონა“ (დოუტი 1991:606). ამგვარად, გერმანიკულ ენებში ვხედავთ ინტრანზიტიულ ზმნათა ქართულის მსგავს განაწილებას პერფექტის წარმოებისას. საინტერესოა, რომ არააკუზატიური (საშუალ-მოქმედებითი) ზმნები სრულ ასპექტს ახალ ქართულში სათავისო ქცევით აწარმოებენ, ხოლო სასუბიექტო, ცენტრისკენულ ქცევას შეუძლია გამოხატოს პერფექტული ასპექტი (მეფობს – *იმეფა*, *თამაშობს* – *ითამაშა*), ისევე როგორც „ქონა“ ზმნას ანალიზურ კონსტრუქციებში (მელიქიშვილი 2002). პოსესიურ-ბენეფაქტიურ ქცევაზე არის დამყარებული ტრანზიტიულ და არააკუზატიურ ზმნათა III სერიის წარმოებაც ქართულში. სრული ასპექტის ფორმებში ერგატიული კონსტრუქციის გაფართოება ინტრანზიტიულ არააკუზატიურ ზმნებზე იმავე პროცესს წარმოადგენს, რასაც ანალიზური პერფექტებში „ქონა“ მეშველი ზმნის გავრცელება ტრანზიტიული ზმნებიდან ინტრანზიტიურ არააკუზატიურ ზმნებზე. ეს არის პერფექტულ ფორმათა პოსესიურ კონსტრუქციაზე დამყარებული habeo factum ტიპის წარმოება (ამ ტიპის წარმოების როლი გახლეჩილი, ასპექტურად შეპირობებული ერგატიული კონსტრუქციის წარმოქმნაში გამოავლინა ე. ბენვენისტა (ბენვენისტი 1960).

4.3. სახელური და ზმნური მარკირება III სერიაში

III სერიის ფორმები გაფართოებული ერგატივის კონსტრუქციას გვინვენებენ როგორც სახელური, ისე ზმნური მარკირების თვალსაზრისით: ტრანზიტიული ზმნების და ინტრანზიტიული აქტიური ატელიკური ზმნების მთავარი არგუმენტი მარკირებულია მიცემითი ბრუნვით და *შ*-ს რიგის პირის ნიშნებით, ხოლო დანარჩენი ინტრანზიტიული ზმნების მთავარი არგუმენტი – სახელობითი ბრუნვითა და *ჯ*-ს რიგის პირის ნიშნებით; უფრო სწორად, სტატიკურ ზმნათა *ჯ-ვარ* ტიპის პირის მარკირებით:

მე ა-მ-იშენები-ა, მას აუშენები-ა; მე წა-ვ-სულ-ვ-არ, ის წასულ-ა.

პერფექტის ამ წარმოების ბენვენისტისეული პრინციპიდან გამომდინარე: „პერფექტი არის ფორმა, რომელშიც მდგომარეობის ცნება, შეერთებული ფლობის ცნებასთან, დაკავშირებულია მოქმედ პირთან... პერფექტში მოქმედი პირი წარმოგვიდგება როგორც განხორციელებული მოქმედების მფლობელი“ (ბენვენისტი 1960). ამ კონსტრუქციაში ქართულ ენაში მდგომარეობის სემანტიკა შემოაქვს სტატიკური ზმნის ფორმას, ხოლო პოსესიური სემანტიკა – პოსესიურ-ბენეფაქტიურ *ი-უ*- ქცევას. „ცენტრიდანული“ *ი-უ*- ვერსია ქვემდებარეზე ორიენტაციით „ცენტრისკენულ“ სემანტიკას იძენს: *მას ა-უ-შენებ-ი-ა* – ქცევის ნიშანი *უ*- რომელიც ყოველთვის მიცემითით მარკირებულ არგუმენტს უკავშირდება, ინაქტიურ სუბიექტთან კავშირში ცენტრისკენულ, სასუბიექტო (სათავისო) მნიშვნელობას იძენს. პოსესიურ-ბენეფაქტიურ კონსტრუქციაზე დამყარებული პერფექტის წარმოება გასაგებს ხდის ვერსიის სინკრეტიზმს III სერიაში და I თურმობითში *ი-უ*- ქცევის და არა ნეიტრალური *ა*- ქცევის გამოვლენას სინკრეტული ფორმის სახით. სხვაგვარად ვერ აიხსნება ქცევის დაპირისპირებათა მარკირებული წევრის გამოვლენა ნეიტრალიზაციის პოზიციაში. III სერიის კონსტრუქციის ინტერპრეტაციისათვის ბენვენისტის მიერ გამოვლენილი პერფექტის წარმოების პრინციპზე დაყრდნობით იხ. ალენი 1964; მელიქიშვილი 1977, 1991, 1998; კორტავა 1981.

III სერიის კონსტრუქცია აშკარად მეორეულია I და II სერიასთან მიმართებით და მეორეული ერგატივის წარმოქმნის ნიმუშს წარმოადგენს ინდო-რანულ ერგატიულ კონსტრუქციასთან ერთად.

5. ერგატიული კონსტრუქცია დიაქრონიული თვალსაზრისით

შევეცდებით I სერიის კონსტრუქციის პირველადობის თეზა დავასაბუთოთ სხვადასხვა მხრიდან, არგუმენტთა კომპლექსის საფუძველზე.

5.1. I და II სერიის კონსტრუქციათა მიმართება მარკირების მიმართების თვალსაზრისით

I სერია სხვა სერიებთან მიმართებით არამარკირებულ ხასიათს ამჟღავნებს მრავალი პარამეტრით:

- 1) შეიცავს დროისა და ასპექტის თვალსაზრისით არამარკირებულ წვევრებს – აწმყოსა და იმპერფექტს; აწმყო არამარკირებულია წარსულთან მიმართებით, ხოლო იმპერფექტი (უსრული ასპექტი) – აორისტთან მიმართებით.
- 2) მოიცავს მწკრივთა უფრო დიდ რაოდენობას – უფრო დიფერენცირებულია; ეს ასე იყო ძველ ქართულშიც.
- 3) ყველა ზმნას აქვს I სერიის ფორმები, მაშინ როდესაც საკმაოდ ბევრია დეფექტური ზმნა, რომელსაც აკლია II სერიის მწკრივები.
- 4) სახელზმნების – მიმღობისა და საწყისის წარმოება I სერიის ფორმებს ემყარება.
- 5) პირველი სერიის მწკრივების ტექსტობრივი სიხშირე უფრო მაღალია, ვიდრე მეორე სერიის მწკრივებისა.
- 6) I სერიის ფორმები შეიცავენ ზმნური კლასების მარკერებს – თემის ნიშნებს. II სერიაში ამ მარკერებით წარმოქმნილი დიფერენციაცია ნივდირებულია: მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნები მხოლოდ I სერიაში განსხვავდებიან -ები/-ება ბოლოსართითა და იმპერფექტის -დ/-ოდ სავრცობებით. II სერიაში ეს განსხვავება არ იცის. ვნებითი გვარის მორფოლოგიური დაპირისპირება მოქმედებით გვართან II სერიაში ნეიტრალიზებულია, რადგან თემის ნიშანი -ებ+-ი დაბოლოება II სერიაში აღარა გვაქვს. ვნებითების გამაერთიანებელი მარკერი II სერიაში არ არსებობს. დაპირისპირება ვიზრდი/ვიზრდები ნეიტრალიზებულია და ორივეს ფარდად გვაქვს გავიზარდე.

5.2. I და II სერიის ფუძეთა შეფარდებითი სირთულის არგუმენტი

II სერიის ფორმათა პირველადობის დასაშვებად არგუმენტი შეიძლება იყოს I სერიის ფორმათა სირთულე – თემის ნიშნები, რომლებიც ვლინდება I სერიაში და არა გვაქვს II სერიაში. მაგრამ ეს განსხვავება მეორეულია: საერთო-ქართველურში I სერია არ განსხვავდებოდა სირთულით II სერიისაგან. აღდგება აწმყოსა და აორისტის დაპირისპირების რამდენიმე მოდელი:

მარკირებული აწმყო და მარკირებული აორისტი: **ტ-თლ-ეი/ტ-თალ-ე*;

არამარკირებული აწმყო და მარკირებული აორისტი: **ტ-ბერ-/ტ-ბერ-ე*;

**ტ-დრეკ/ *ტ-დრიკ-ე*;

მარკირებული აწმყო და არამარკირებული აორისტი: **ტ-ჭრ-ეი/ტ-ჭერ*

(გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965:262-273);

ამრიგად, საერთო-ქართველურში აწმყოსა და აორისტის წარმოება ერთგვარი სირთულისა იყო.

აწმყოს მაწარმოებელი თანამედროვე მარკერები, რომლებსაც თემის ნიშნებს ვუწოდებთ, ახალ წარმონაქმნებს წარმოადგენენ. საერთო-ქართველურ დონეზე მათი უმეტესობა ვერ აღდგება, რადგან არა აქვთ შესატყვისები ქარ-

თველურ ენებს შორის (მაჭავარიანი 2002:116-120). ამდენად, აწმყოს ფუძე ისტორიულად არ არის უფრო რთული, ვიდრე აორისტის ფუძე.

5.3. სახელური და ზმნური მარკირების განსხვავება II სერიაში.

ზმნური მარკირების პირველადობის არგუმენტი

ერგატიული კონსტრუქციის მეორეულობის მტკიცებისათვის მნიშვნელოვან არგუმენტად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ ყველა ქართველურ ენაში **ზმნური მარკირება I და II სერიაში** ერთგვარია და არაერგატიული ხასიათისაა. მიუხედავად იმისა, რომ როგორც მეგრულში, ისე ლაზურში სახელური მარკირება შეიცვალა: მეგრულში I სერიაში ყველა ზმნის სუბიექტი სახელობითშია, II სერიაში კი – ერგატივში; ხოლო ლაზურში გაფართოებული ერგატიულობა გავრცელდა I და III სერიაზეც. სახელური აღნიშვნის მხრივ და ერთი და იგივე ერგატიული კონსტრუქცია გვაქვს როგორც მეორე, ისე პირველ და მესამე სერიაში; ქვემდებარის მიცემითი ბრუნვა III სერიაში მოთხრობითმა შეცვალა: აორ. *უსტა-ქ დოკოდუ ოხორი* „ოსტატმა ააშენა სახლი“; აწმყო: *უსტა-ქ კოდუმს ოხორი* „ოსტატი აშენებს სახლს“; თურმეობითი: *უსტა-ქ დოკოდუდორენ ოხორი* „ოსტატს აუშენებია სახლი“; მაგრამ ზმნური მარკირების მხრივ არაფერი არ შეცვლილა, ზმნაში პირის ნიშანთა განაწილება ისეთივეა, როგორც ქართულსა და სვანურში და როგორც უნდა ყოფილიყო საერთო-ქართველურში – ანუ, *ჟ*-ს რიგით აღინიშნება აქტიური ქვემდებარე განურჩევლად გარდამავლობისა და *ჟ*-ს რიგით – გამონათქვამის არააქტიური ბაზისური წევრი განურჩევლად მისი სინტაქსური ფუნქციისა. როგორც ვხედავთ, საკმაოდ ადვილად იცვლება აქტანტების სახელური მარკირება ბრუნვებით და კონსერვატიულია აქტანტების ზმნური მარკირება პირის ნიშნებით. აქედან ბუნებრივად შეიძლება დავასკვნათ, რომ ძველი ვითარება შენარჩუნებულია ზმნურ მარკირებაში.

5.4. მოთხრობითი ბრუნვის წარმოშობა ქართველურ ენებში

შემდგომი არგუმენტი შესაძლებელია იყოს ის, რომ საერთო-ქართველურ დონეზე ერგატიული ბრუნვისთვის საერთო მარკერი არ აღდგება (ნებიერიძე 1987, 1988). მოთხრობითი ბრუნვის რეკონსტრუქციას საერთო-ქართველურ ენაზე დიდი სიმნელები ახლავს, განსხვავებით ყველა სხვა ძირითადი ბრუნვისაგან (სახელობითი, მიცემითი, ნათესაობითი, ვითარებითი, მოქმედებითი). ქართული მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი **-ნ** ირიბი ბრუნვისაგან უნდა მომდინარეობდეს. იგი წარმოდგენილია ადვერბიალურ ფორმებში: *გვია-ნ*, *წელა-ნ*, *გუში-ნ*, *უკა-ნ*, *წი-ნ*; ნ. მარი მას არქაულ მიცემითად მიიჩნევდა. მეგრულ-ლაზური **-ქ** ფორმანტი საერთო-ქართველურ დონეზე არ აღდგება. ქართულისათვის ერგატივის არქაული ფორმანტია **-ნ**. სვანური მოთხრობითის ბრუნვის ნი-

შნებად აღწერით გრამატიკებში წარმოდგენილია შემდეგი მაწარმოებლები: **ჟ**, **-აღ**, **-ემ/-ემ** **-ჟ-ემ** **ნ-ემ** (ჭუმბურიძე, ნიჟარაძე, ქურდაძე 2007:83). აღ. ონიანს ეს სიმრავლე ორ ძირითადი მაწარმოებელზე დაჰყავს (ონიანი 1998:68-71); ესენია: **ჟ** და **-ემ/-მ** რომელთაგანაც **ჟ** თავსებადი ერგატივის სახით ფუნქციონირებს: ერგატივის ნიშანი **ჟ** სვანურში იგივეა, რაც ვითარებითი ბრუნვის **ჟ** იმავე სვანურში და სხვა ქართველურ ენებში.

სპეციალისტები, რომლებიც აღადგენდნენ მოთხრობითი ბრუნვის მორფემას საერთო-ქართველურში, ამოდიან წინასწარი დაშვებიდან, რომ ასეთი ბრუნვა უნდა ყოფილიყო საერთო-ქართველურში და ცდილობენ დაასაბუთონ ისტორიულ ენებში დადასტურებულ მორფემათაგან ერთ-ერთი კანდიდატის უპირატესობა. გ. კლიმოვი უშვებს, რომ საერთო-ქართველურ დონეზე უნდა ყოფილიყო ირიბი ბრუნვა, რომელიც ერგატივის ფუნქციას ითავსებდა და რეკონსტრუირებულ ირიბ ბრუნვებს შორის: **-ს**, **-ის/ -იშ**, **-თ/-ლ** არჩევს ***-ღ-ს**, როგორც ისეთს, რომელსაც ერთ ქართველურ ენაში მაინც აქვს ასეთი ფუნქცია (კლიმოვი 1962:63-65).

აღ. ონიანს ერგატივის ფუნქციის მქონედ უფრო სააღბათოდ ესახება ***-წ** სუფიქსის აღდგენა. ამის უფლებას, მისი აზრით, იძლევა ქართულ ნაცვალსახელებში წარმოდგენილი **-წ** (იგი: *მა-წ*, *ვი-წ*), და სვანურ ნაცვალსახელთა მოთხრობითი და მოქმედებითი ბრუნვების შემადგენლობაში წარმოდგენილი **-წ**: *გვ-წ-ემ* „ვინ“, *გვ-წ-ომ* „ამით“; *ხედ-წ-ემ* „რომელმა“, *ხედ-წ-ომ* „რომლით“ (ონიანი 1989:151-152);

გ. მაჭავარიანი ფიქრობდა, რომ საერთო-ქართველურში მოთხრობით ბრუნვას არ ჰქონდა ნიშანი და ცალ-ცალკე გაფორმდა სხვადასხვა ქართველურ ენაში ნაცვალსახელური წარმოშობის ელემენტების გამოყენებით (მაჭავარიანი 2002:79). უფრო გვიან იგი აღადგენს თავსებად ირიბ ერგატიულ-ადვერბიულ ბრუნვას და ***-ღ**, ***-აღ**, ***-წ** ალომორფების რეკონსტრუქციას ახდენს (მაჭავარიანი 1970).

ჰ. ფენრიხი ქართველური ფუძე-ენის შესახებ მსჯელობისას წარმოადგენს ბრუნვებს: ***-ი**, ***-ის**, ***-ს**, **-*აღ** და არაფერს ამბობს მოთხრობითი ბრუნვის აღდგენაზე. ეს ჩვენ კვლავ საკითხის სირთულის მაჩვენებლად მიგვაჩნია (ფენრიხი 2008:19).

ა. ჰარისი აღადგენს მოთხრობითისთვის ***-ღ**, ***-წ** მარკერებს არა შესატყვისობის, არამედ იმის საფუძველზე, რომ ქართულში მოთხრობითი ბრუნვის არქაულ ნიშნად ივარაუდება ***-წ**, ხოლო სვანურში – ***-ღ** (ჰარისი 1985:89-90).

გ. ნებიერიძე თვლის, რომ საერთო-ქართველურ დონეზე მოთხრობითი ბრუნვის ფორმანტის რეკონსტრუქციის შეუძლებლობა ძლიერი არგუმენტია იმისათვის, რომ ერგატიული კონსტრუქცია მეორეულად მივიჩნიოთ ქართველურ ენებში (ნებიერიძე 1987, 1988).

5.5. II სერიის ფორმების კონსტრუქციის პირველადობის არგუმენტები

II სერიის ფორმების კონსტრუქციის პირველადად მიჩნევას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. ამ აზრისა იყენენ ცორელი (ცორელი 1930), დეტერსი (დეტერსი 1930), ჩიქობავა (ჩიქობავა 1948), როგავა (როგავა 1975), ჰარისი (ჰარისი 1985:96).

არნ. ჩიქობავა ფიქრობს, რომ ქართველურ ენებში დროის კატეგორიის ჩამოყალიბებას წინ უსწრებს ასპექტური დაპირისპირებების არსებობა. მისი აზრით, II სერიის მწკრივი, აორისტის ხოლმეობითი (ამ მწკრივის აღსანიშნავად გამოყენებულია აგრეთვე ტერმინები: პერმანსივი, დიურატიული, განგრძობითი, პერპეტუალური, აორისტი ჩვეულებითი, ნამყო მრავალგზისი), რომელიც ძველ ქართულში დასტურდება, ასრულებდა ფუნქციებს, რომლებიც დროის კატეგორიის ჩამოყალიბების შემდეგ აწმყო დროის ფუნქციებთან გადაიკვეთა. ეს იყო აორისტის ფუძეზე **ა** სუფიქსითა და აწმყოსეული პირის ნიშნით ნაწარმოები ფორმა: *მო-კლ-ი-ს*; მისი ნიშანი იყო **ა**. ის იზიარებდა აორისტის აბლაუტურ საფეხურს: *მო-კლ-ა*. მისი ფუნქცია იყო ზოგადი, საყოველთაო ჭეშმარიტებების გადმოცემა, რომლებიც უდროოა; ხშირია სენტენციებში და ტექსტების ბუნების შესაბამისად, განსაკუთრებით ხშირია გამონათქვამებში, რომლებიც ღმერთს მიემართება. ამ ფუნქციასთან მჭიდრო კავშირშია მისი გამოყენება ჩვეულებითი მოქმედებების, წესებისა და ჩვეულებების გადმოსაცემად (დეტერსი 1930:111 და შმდ.). ჩიქობავა განსაკუთრებით უსვამს ხაზს აწმყოსთან მის ფუნქციონალურ კვეთას ზოგადი ჭეშმარიტებების გადმოსაცემად, რადგან აქ ხედავს ის ამ ფორმაზე დაყრდნობით აწმყოს და პირველი სერიის განვითარების საფუძველს (ჩიქობავა 1948).

ვფიქრობთ, დროის კატეგორიასთან მიმართებით ასპექტის კატეგორიის წინარეობა, მასალაზე დაყრდნობით, ქართველურ ენებში ვერ საბუთდება და მხოლოდ თეორიული შესაძლებლობის დაშვების ფარგლებშია, თუმცა ჰიპოთეტურად ასეთი რამ ვერც გამოირიცხება, ისევე ალბათ, როგორც სხვა წინარე-ენებისათვის. როგორც ცნობილია, ამერიკის ინდიელთა ზოგ ენაში დღესაც არა არის განვითარებული დროის კატეგორია და ასპექტი ქმნის ზმნურ დაპირისპირებათა საფუძველს. მკვლევართა ეჭვს არ იწვევს საერთო-ქართველურ დონეზე დროის კატეგორიის აღდგენის შესაძლებლობა. ამრიგად, ეს მსჯელობა საერთო-ქართველურ დონეს არც ეხება. რაც შეეხება ძველ ქართულ უღლებების სისტემას, იგი უაღრესად მწყობრ და სიმეტრიულ სურათს გვიჩვენებს: როგორც I, ისე II სერიაში წარმოდგენილია თხრობითი, კავშირებითი კილოს და ხოლმეობითი ასპექტის ფორმები:

I სერია	II სერია
აკეთებ-ს	აკეთ-ა
აკეთებ-დ-ე-ს	აკეთ-ო-ს
აკეთებ-დ-ი-ს	აკეთ-ი-ს

როგორც პირველ, ისე მეორე სერიაში ხოლმეობითის (მრავალგზისის, ჩვეულებითის, პერმანსივის) მარკერია **ა**. მრავალგზისი, ჩვეულებითი მოქმედება განმეორებად მოქმედებებს გამოხატავს. დეეტერსი ასე ახასიათებს მის ფუნქციონირებას: „პერმანსივი გამოხატავს ზოგად ჭეშმარიტებებს, რომლებსაც უდროო ღირებულება აქვთ, შესაბამისად, გვხვდება სენტენციებში და – ტექსტების ბუნებიდან გამომდინარე – განსაკუთრებით ხშირად გამონათქვამებში, რომლებიც ღმერთს მიემართება... ამ ფუნქციასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული მისი გამოყენება ჩვეულებითი მოქმედებების აღსანიშნავად, წესებისა და ჩვეულებების აღსანიშნავად“ (დეეტერსი 1930:111 და შმდ.). აორისტის ხოლმეობითი არის დისკრეტულ დასრულებულ მოქმედებათა მიმდევრობა. მრავალგზისობის კატეგორია ბუნებრივად წარმოიქმნება სრული, ანუ მომენტობრივი და განგრძობითი კატეგორიის შეერთებით: აორისტი, სრული ასექტი უზრუნველყოფს დისკრეტულობას, ხოლო მასთან დაკავშირებული განგრძობითობა ამ დასრულებულ მოქმედებათა მრავალჯერადობას: აორისტი + განგრძობითობა = დისკრეტულ მოქმედებათა მიმდევრობას, ანუ მრავალგზისის, ჩვეულებითს.

მრავალგზისობის კატეგორიით ზოგადი, დროით შეუზღუდავი მოქმედებების გადმოცემა ბუნებრივია, რადგან ეს მოქმედებები უდროოა იმ აზრით, რომ ისინი მუდამ მეორდება, მეორდებოდა წარსულში, განმეორდება მომავალში. *მზე აღმოსავლეთით ამოდის* – ამოდიოდა მუდამ, ყოველდღე, რაც დედამიწა არსებობს. ამდენად ეს ზედროითი მოქმედება ყველა დროში მეორდება, მრავალგზისია. სადაც მრავალგზისობის კატეგორია არ არსებობს, მარადიული მოქმედებები აწმყოს ფორმებით გადმოიცემა. ეს აწმყოს კატეგორიის არამარკირებული ბუნებით არის შეპირობებული. დასაშვებია, რომ მრავალგზისობის კატეგორიის არსებობის შემთხვევაშიც მოხდეს ზედროული მოქმედებების აწმყოს ფორმით გადმოცემა. ძველ ქართულში აწმყოსა და პერმანსივის ფუნქციონალური კვეთა ზედროულ მოქმედებათა გამოხატვის თვალსაზრისით ამ მოვლენით უნდა იყოს შეპირობებული. ამას გარდა, აორისტის ხოლმეობითის მოშლის ტენდენცია უკვე ძველ ქართულში იჩენს თავს. კ. კ. შმიდტი მიუთითებს, რომ აორისტის პერმანსივი ძველ ქართულში I სერიის იმპერფექტულ მწკრივთა უაღრესად განვითარებული სისტემის გვერდით არსებობს და მათი სხვადასხვა ფორმაციისთვის მიკუთვნება ჰიპოთეზაა, რომლის დასასაბუთებლად ფაქტების მოძიება ძნელია (შმიდტი 1969:85). დღეს ეს კატეგორია აღარ არსებობს და ზოგადი, მარადიული და ჩვეულებრივი მოვლენები აწმყოთი გადმოიცემა. მარადიული მოქმედებების აღმნიშვნელად აწმყოსა და პერმანსივის ხმარება ამ მოვლენითაც განისაზღვრებოდა. ხოლმეობითი იმპერფექტულ სერიაშიც გვაქვს. **ა** განგრძობითობის კატეგორიის ნიშანია, რომელიც სხვადასხვა კატეგორიებს შეიძლება შეუერთდეს.

II სერიის პირველადობის ჰიპოთეზა ემყარება მოსაზრებას, რომ I სერიის ფუძე უფრო რთულია, ვიდრე II სერიისა. ამ საკითხზე ზემოთ გვქონდა მსჯელობა და შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ საერთო-ქართველურ დონეზე I სერია არ არის უფრო რთული აგებულებისა, ვიდრე II სერია.

ა. ჰარისს მეორე არგუმენტად მოჰყავს *იცის* და *უწყის* ზმნების სინტაქსური კონსტრუქციები – *მან იცის*, *მან უწყის*. საყურადღებოა, რომ „ცოდნის“ სემანტიკის ზმნებს მეგრულ-ლაზურსა და სვანურში დატიური კონსტრუქცია აქვთ: მეგრ. *თის უჩქუ* „მან იცის“, სვან. *ეჟას ხოხალ* „მან იცის“; სემანტიკურად ეს ზმნები პერფექტულ-პრეზენსულია. უაღრესად საინტერესოა ცოდნის აღმნიშვნელ ზმნათა პერფექტულ-პრეზენსულ კონსტრუქციებთან პარალელიზმი გერმანიკულ ენებში. ქართულ ენაში პერფექტულ-პრეზენსულ ზმნათა დატიური კონსტრუქცია (მაგ. *მას აქვს*, *მას ჰყავს*) გვაგვარაუდებინებს, რომ ცოდნის აღმნიშვნელ ფორმებშიც ამოსავალი დატიური კონსტრუქცია უნდა იყოს; ვფიქრობთ, რომ *მა-ნ იცის*, *მა-ნ უწყის* ფორმებში *-ნ* ოდინდელი ირიბი, სავარაუდოდ, მიცემითი ბრუნვა იყოს. ამ ზმნათათვის მიცემითური კონსტრუქციის ვარაუდს მხარს უჭერს სვანური და მეგრულ-ლაზური ენების მონაცემები. ამ კონტექსტში საინტერესოა, რომ ნ. მარი და ი. ყიფშიძე ერგატივის ნიშნებს ქართულსა და მეგრულში უწოდებდნენ მიცემით II-ს და მიცემით-ნაცვალსახელურს.

ა. ჰარისს შეჯამებული აქვს მის წინამორბედ ავტორთა მოსაზრებები I სერიის ფორმათა წარმოშობის შესახებ.

ცორელმა შემოგვთავაზა I სერიის კონსტრუქციის გააზრება, რომელიც არაერთმა სპეციალისტმა გაიზიარა. მისი აზრით, I სერიის ფორმათა პირდაპირი ობიექტი ლოკატიური ხასიათისაა. იგი პარალელს პოულობს ისეთ გერმანულ გამოთქმებში, როგორიცაა: *Er malt an einem Bild* და *er schreibt an einem Brief* (Zorell 1930:93). მსგავსი კონსტრუქციები გვაქვს ინგლისურშიც: *he knits on a scarf*, *he reads in the book*.

გ. დეეტერსი ასევე ფიქრობს, რომ ქართული I სერიის კონსტრუქცია შესაძლებელია გავიაზროთ როგორც მიმდებარისა და ლოკატივის კომბინაცია: *er bau-end-ist am Hause* (დეეტერსი 1930:115; 1963:59). გ. პეტჩი ასევე I სერიის ფორმებს ინტრანზიტულად და პირდაპირ ობიექტს ამ ფორმებთან უბრალო დამატებად მიიჩნევს (პეტჩი 1967).

გ. როგავა ასევე ფიქრობს, რომ I სერია წარმოშობით ინტრანზიტულია, პირდაპირი ობიექტი უბრალო დამატებაა, ხოლო კონსტრუქცია წარმოშობით ლაბილური (როგავა 1975).

ს. ანდერსონი, ცორელისა და როგავას მსგავსად, მიუთითებს I სერიის კონსტრუქციის მსგავსებაზე *John shot at Bill* და *John chewed at his steak* ტიპის კონსტრუქციებთან და პირდაპირ ობიექტს უბრალო დამატებად მიიჩნევს (ანდერსონი 1977).

3. არონსონი ფიქრობს, რომ I სერიაში მოხდა პირდაპირი და ირიბი ობიექტის ნეიტრალიზაცია და I სერიის მარკერები ინტრანზიტივიზაციის სუფიქსები არიან (არონსონი 1979:300-303). ვ. ბოედერი მსგავს ანალიზს გვთავაზობს და მოჰყავს ჩრდილო-აღმოსავლურ კავკასიურ ენათა ლაბილური ანუ ანტიპასიური კონსტრუქციების პარალელები (ბოედერი 1979:462-463). იგი მიუთითებს, რომ ანტიპასივი ჩვეულებრივ იმპერფექტულ ასპექტს უკავშირდება.

თვითონ ა. ჰარისიც I სერიის ფორმებს ანტიპასივის კონსტრუქციის საფუძველზე წარმოშობილად მიიჩნევს. მას მიაჩნია, რომ ხდება ინტრანზიტივიზაცია და პირდაპირი ობიექტის გაუქმება (object demotion). იგი ვარაუდობს, რომ პროტოქართველურ გრამატიკაში იყო ობიექტის გაუქმების წესი: **პირდაპირი ობიექტი გადაიქცევა ირიბ ობიექტად.**

ეს წესი არ მოქმედებდა სიღრმული სუბიექტის სუბიექტურობაზე. გამოყენებული ამოსავალი გარდამავალი სტრუქტურის მიმართ, ის მოგვცემდა სტრუქტურას პირდაპირი ობიექტის გარეშე. ასეთი ფრაზა კი ზედაპირულ სინტაქსურ დონეზე ინტრანზიტიული იქნებოდა. ასე წარმოიქმნა I სერიის ნომინატიური კონსტრუქცია, რომელიც ფაქტობრივ გარდაუვალი კონსტრუქციაა.

6. დასკვნა

ამრიგად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ II სერიის კონსტრუქცია მეორეულია I სერიის კონსტრუქციასთან მიმართებით. შესაბამისად, **ქართველურ ენათა უძველესი კონსტრუქცია აქტიური კონსტრუქცია უნდა ყოფილიყო.**

აქტიური კონსტრუქცია დღევანდელი ქართული ენისათვის ცოცხალ, აქტუალურ კონსტრუქციას წარმოადგენს. ქართული ენის მორფოლოგიაში აქტიურობის იერარქია განმსაზღვრელ როლს ასრულებს. იგი არგუმენტთა მარკირების ძირითადი პრინციპია, რომელიც ვლინდება არა მარტო I სერიაში, არამედ II და III სერიებშიც.

I სერიის კონსტრუქციის აქტიურ კონსტრუქციად მიჩნევის შემთხვევაში აღვადგენთ არქაული ტიპის კონსტრუქციას, რომლის რეკონსტრუქცია ივარაუდება საერთო-ინდოევროპულშიც (კლიმოვი 1973, 1977; შმიდტი 1979; გამყრელიძე, ივანოვი 1984: 267-319).

ლიტერატურა

- ალენი 1964*: S. W. Allen, *Transitivity and Possession*, In: *Language*, vol. 40, No. 3, P. 1, pp. 337-343.
- აისენი 1999*: J. Aissen, *Markedness and Subject Choice in Optimality Theory*, *Natural Language and Linguistic Theory*, 17, 673-711, Kluwer Academic Publishers.
- აისენი 2003*: J. Aissen, *Differential Object Marking: Iconicity vs. Economy*, *Natural Language and Linguistic Theory* 21: 435-483.

- ანდერსონი 1977:** S. R. Anderson, *On Mechanisms by which Languages Become Ergative*, In: *Mechanisms of syntactic change*, ed. by C. N. Li, 317-363, Univ. of Texas Press, Austin.
- არონსონი 1977:** H. I. Aronson, *English as an Active Language*, In: *Lingua* 41, pp. 201-216.
- არონსონი 1979:** H. I. Aronson, *Towards a Typology of Transitivity: the strange case of Georgian Subject*, In: *The elements*, CLS parasession volume, 297-303.
- ბენვენისტი 1960:** É. Benveniste, "Être" et "avoir" dans leurs fonctions linguistiques, In: *Bulletin de la Société de Linguistique*, 55(1960), pp. 113-134, Repr., In: *Problèmes de linguistique générale*, Paris, 1966, pp. 187-207.
- ბჰატი 2007:** R. Bhatt, *Ergativity in Indo-Aryan Languages*, Ergativity Seminar MIT, University of Massachusetts at Amherst.
- ბოედერი 1979:** W. Boeder, *Ergative Syntax and Morphology in Language Change: the South Caucasian Languages*, In: *Ergativity*, ed. F. Plank, 435-480, Academic Press, New York.
- ბოედერი 2002:** W. Boeder, *Syntax and Morphology of Polysynthesis in the Georgian verb*, In: Evans, Sasse (eds.), *Problems of polysynthesis*, Berlin: Akademie-Verlag, pp. 87-111.
- გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965:** თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, *სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში*, მეცნიერება, თბილისი.
- დეეტერსი 1930:** G. Deeters, *Das kartvelische Verbum*, Leipzig.
- დეეტერსი 1963:** G. Deeters, *Die kaukasischen Sprachen*, Handbuch der Orientalistik, I Abt. VII Band, Leiden, Brill.
- დიქსონი 1994:** R. M. W. Dixon, *Ergativity*, Cambridge University Press, Cambridge.
- დოუტი 1991:** David Dowty, *Thematic proto-roles and argument selection*, In: *Language*, vol. 67, No. 3, pp. 547-619.
- კლიმოვი 1962:** Г. А.Климов, *Склонение в картвельских языках в сравнительно-историческом аспекте*, Наука, Москва.
- კლიმოვი 1973:** Г. А.Климов, *Типология языков активного строя и реконструкция протоиндоевропейского*, Известия академии наук СССР, XXXII, N. 5.
- კლიმოვი 1977:** Г. А.Климов, *Типология языков активного строя* Москва, Наука.
- კომრი 1989:** B. Comrie, *Language Universals and Linguistic Typology*, University of Chicago Press, Chicago.
- კომრი 2008:** B. Comrie, *Alignment of Case Marking of Full Noun Phrases*, Chapter 98; *Alignment of case marking of Pronouns*, Chapter 99; *Alignment of Verbal Person Marking*, Chapter 100; In: Dryer, Matthew S. & Haspelmath, Martvansin (eds.) *The World Atlas of Language Structures Online*. Munich: Max Planck Digital Library, chapter 1. Available online at <http://wals.info/chapter/1>
- კორტავა 1981:** Ю. Г. Кортава, *Перфект индоевропейский и картвельский*, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1, გვ. 109-115.
- კუნი 2008:** J. Coon, *When Ergative = Genitive: Nominals and Slit-Ergativity*, Proceedings of the 27th West Coast Conference on Formal Linguistics, eds. Natasha Abner and Jason Bishop, 99-107. Somerville, MA: Cascadilla Proceedings Project.

- კუნი 2010:** J. Coon, *Rethinking Split Ergativity in Chol*, International Journal of American Linguistics Vol. 76, No. 2, pp. 207-253.
- ლაკა 2006:** I. Laka, *Deriving Split Ergativity in the Progressive: the case of Basque*, In: Johns, A. Massam, D. & Ndayiragije J. (Eds.) *Ergativity. Emerging Issues*, Dordrecht: Springer, pp. 173-19 pp. 173-196.
- ლაზარი 1985:** G. Lazard, *Anti-impersonal Verbs, Transitivity Continuum and the Notion of Transitivity*, in *Language invariants and mental operations*, eds. Hansjakob Seiler and Gunter Brettschneider, Tübingen, 1985.
- ლაზარი 2001:** G. Lazard, *Le géorgien: actance duale («active») ou ergative? Typologie des verbes anti-impersonnels*, Études de linguistique générale. Typologie grammaticale, Leuven-Paris, p.243-263. ქართული თარგმანი – ქართული ენა: ლუა-ლური („აქტიური“) აქტანტი თუ ერგატიული? ანტი-იმპერსონალური ზმნების ტიპოლოგია, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XXXVII, 2009.
- მაჭავარიანი 1970:** G. I. Machavariani, *The System of Ancient Kartvelian Nominal Inflection as Compared to those of the Mountain Caucasian and Indo-European Languages*, Theoretical problems of Typology and the Northern Eurasian Languages, Budapest.
- მაჭავარიანი 2002:** გ. მაჭავარიანი, *ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა*, ლექციების კურსი, წაკითხული 1958-1961 წლებში, თსუ გამომცემლობა, თბილისი.
- მელიქიშვილი 1977:** И. Г. Меликишвили, *Перфект в общекартвельском и общиндоевропейском*, Материалы конференции – *Ностратические языки и ностратическое языкознание*, Москва, с. 24.
- მელიქიშვილი 1988:** ი. მელიქიშვილი, *პოსესივი, პერფექტი და მეორეული ერგატივი*, რ. ასათიანთან ერთად, საქ. მეცნ. აკად მაცნე, ენისა და ლიტ. სერია, 3, გვ. 145-150.
- მელიქიშვილი 1991:** И. Г. Меликишвили, *Перфект в картвельском и индоевропейском*, Историческая лингвистика и типология, Сборник, посвященный Т. В. Гамкрелидзе, Москва, с. 127-134.
- მელიქიშვილი 2001:** I.G. Melikishvili, *Nominative-Active Split Construction in Kartvelian (South Caucasian) Languages*, A SKY Symposium - *Linguistic Perspectives on Endangered Languages*, August–September 2001, Abstracts Helsinki, <http://www.ling.helsinki.fi/sky/tapahtumat/el/endabs.htm>.
- მელიქიშვილი 2002:** ი. მელიქიშვილი, *ქცევა, როგორც ასპექტურ დაპირისპირებათა გამოხატვის საშუალება ქართულში*, ენათმეცნიერების საკითხები, 4, გვ. 120-131.
- ნებიერიძე 1987:** გ. ნებიერიძე, *არსებობს თუ არა ერგატიული კონსტრუქცია ქართველურ ენებში*, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 3.
- ნებიერიძე 1988:** გ. ნებიერიძე, *როგორი სისტემა უნდა ადგეს ქართველურ ფუძე-ენაში?* მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 2.
- ოლდრიჯი 2007:** E. Aldridge, *Case in Ergative Languages and NP Split-Ergativity*, Texas Linguistic Society 9: Frederick Hoyt, Nikki Seifert, Alexandra Teodorescu, Jessica White eds., *Morphosyntax of Underrepresented Languages*, CSLI Publications.
- ონიანი 1978:** ა. ონიანი, *ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები*, თბილისი.

- ონიანი 1998:** ა. ონიანი, *სვანური ენა*, თბილისი.
- ჟეი 1967:** G. Pätsch, *Das Georgische präsens – indoeuropäischer Einfluß oder eigen-gesetzliche Entwicklung?* ВК, 23-24, 143-152.
- პირეიკო 1968:** Л. Пирейко, *Основные вопросы эргативности на материале индоиранских языков*, Москва.
- სახოკია 1985:** М. Сахокия, *Посессивность, переходность и эргативность: Типологическое сопоставление древнеперсидских, древнеармянских и древнегрузинских конструкций*, Тбилиси.
- პლანკი 1979:** F. Plank, *Ergativity, Syntactic Typology and Universal Grammar: Some past and present viewpoints*, In: F. PLANK (ed.), *Ergativity: Towards a theory of grammatical relations*, pp. 3-16. New York: Academic Press.
- როგავა 1975:** გ. როგავა, *ნომინატიური კონსტრუქციის მქონე გარდამავალი ზმნის კენეზისისათვის ქართველურ ენებში*, წელიწადუღი, 2, 273-279.
- სეპირი 1917:** E. Sapir, Review of: C. C. Uhlenbeck, *Het Passieve Karakter van het Verbum Transitivum of van het Verbum Actionis in Talen van Noord-America*, In: *International Journal of American Linguistics*, vol.1, No. 1. pp. 82-86.
- სილვერსტაინი 1976:** M. Silverstein, *Hierarchy of Features and Ergativity*, In: *Grammatical Categories in Australian Languages*, ed. R.M.W. DIXON, 112-71. Canberra: Australian Institute of Aboriginal Studies.
- შმიდტი 1969:** K. H. Schmidt, *Permansiv und Injunktiv*, *Wissenschaftliche Zeitschrift der Friedrich-Schiller-Universität Jena*, Sprachwissenschaftliche Reihe, Heft 5, 18, Jena.
- შმიდტი 1979:** K. H. Schmidt, *Reconstructing Active and Ergative Stages of Pre-Indo-European*, in: F. Plank, ed. *Ergativity: Towards a theory of Grammatical Relations*. London.
- შმიდტი 1980:** K. H. Schmidt, *Ergativkonstruktion und Aspekt*, *Studia linguistica in honorem Vladimiri I. Georgiev*, In *aedibus academiae litterarum Bulgaricae*, Sofia.
- ფენრიხი 2008:** H. Fähnrich, *Kartwelsprachen*. Wiesbaden, Reichert Verlag, S. 7-54.
- ფილმორი 1968:** Ch J. Fillmore, *The Case for Case*, In: BACH & HARMS, (eds.), *Universals in linguistic theory*, 1-88, New York: Holt, Rinehart & Winston.
- ცორელი 1930:** F. Zorel, *Grammatik zur altgeorgischen Bibelübersetzung*, Rome: Pontificium Institutum Biblicum.
- ჩიქობავა 1948:** არნ. ჩიქობავა, *ერგატიული კონსტრუქციის საკითხი იბერიულ-კავკასიურ ენებში*, 1, თბილისი.
- ჭუმბურიძე, ნიჟარაძე, ქურდაძე 2007:** ზ. ჭუმბურიძე, ლ. ნიჟარაძე, რ. ქურდაძე, *სვანური ენა*, თბილისი, გამომცემლობა „პეტეტი“.
- ჰარისი 1985:** A. C. Harris, *Syntax and Semantics, Diachronic Syntax: the Kartvelian Case*, Academic Press, New York.
- ჰუპი, მალჩუკოვი 2007:** H. Hoop, A. Malchukov, *On Fluid Differential Case Marking: a bidirectional approach*, *Lingua* 117, 1636-1656.

Secondary Ergative in Kartvelian Languages

Summary

Three alignment types of argument marking are coexistent in Kartvelian languages. They are determined by the three TAM Series of the Georgian verb system – Imperfective, Aorist and Perfective. The different types of argument marking are:

1. Active/Nominative construction in Imperfective Series (I).
2. Active/Extended Ergative split construction in Aorist Series (II) – case marking active/nominative and the person marking of extended ergative type.
3. Extended Ergative construction in Perfective Series (III) both of case and person marking.

The alignment type of Series I is commonly considered as **nominative/accusative**. In the paper it is argued that it has many features of the **active/inactive** construction.

The coexistence of three alignment types poses the question of their diachronic relationship.

The problem can be approached on the basis of the theory of markedness developed by *Jakobson*. From this point of view, there is much evidence to consider Series I as unmarked in relation to Series II and III. All these criteria testify for considering Series I as unmarked in opposition to the other Series: 1. The TA forms of Series I – present and imperfective – are unmarked members of tense and aspect correlations. Present is the form, functioning in general, tenseless expressions. 2. Series I is more differentiated; in Old Georgian it consisted of 6 screeves, whereas Series II and III included 4 screeves each. In Modern Georgian Series I includes 6 screeves, Series II – 2, Series III – 3 screeves. 3. All verbs have the forms of Series I, whereas many defective verbs lack the forms of Series II and III. 4. Infinitives and participles are based on the stems of Series I. 5. The textual frequency of the forms of Series I is higher than that of the forms of Series II and III. The theory of markedness implies that the unmarked member of the category predates the marked one, if a diachronic change takes place

Diachronic typology also shows that the aspect conditioned ergative construction can emerge in the languages of the nominative/accusative type based on the perfect derivation (for example, the split ergativity in Indo-Iranian languages); the principle of the formation of Series III in Georgian is the same as in the Indo-Iranian languages with split ergativity. The possessive derivation underlies the forms of class 3 in Aorist too (*is*(NOM) *mepob-s* “he reigns” / *man* (ERG) *i-mep-a* “he reigned”).

Series II has split alignment, as the verbal marking is of the type of Series I (active) and the case marking is of the extended ergative type. There is the evidence, that the nominal marking undergoes the change easier than the verbal marking. The unmarked character – the higher position in the hierarchy of the parts of a sentence – can be the explanation for this. Examples for this diachronic assumption are the systems of

Megrelian and Laz, where the case marking of the arguments has changed, but the verbal marking has remained the same. In Megrelian all subjects in Series II are marked with the ergative case, and in Laz Series I has developed the case marking of the extended ergative type, the same as in Series I. However, the verbal marking remains of the Georgian and Svan type. This indicates that the verbal marking can be expected to be of an older formation.

The fact that the forms of Series I are of greater morphological complexity than the forms of Series II in Modern Georgian does not give grounds for considering it a secondary formation, as the majority of the stem markers of Series I cannot be reconstructed on the Common Kartvelian level. In the ancient verb system of Common Kartvelian there was the opposition of unmarked present *versus* marked Aorist (pres. **û-ber* – aor. **û-ber-e*; **û-drek'* – **û-drik'-e*), of both marked forms for the present and Aorist (**û-tl-ej* – **û-tal-e*) and of the marked present *versus* unmarked Aorist (**û-č'r-ej* – **û-č'er*). Hence, in Common Kartvelian system the present and aorist stems were of equal complexity.

Another important evidence for considering Series I as more ancient is: the ergative case marker cannot be reconstructed on the Common Kartvelian level, not even on the Common Georgian-Zan level. Georgian *-n*, Megrelian-Laz *-k* and Svan *-d*, *-ēm* markers of the ergative case do not allow the reconstruction of a common archetype from which these markers could be derived. On the Common Kartvelian level the dative **-n* and locative **-d* markers can be reconstructed, which could be the sources of the Georgian and Svan ergative markers. Hence, in Common Kartvelian it is possible to reconstruct only two cases for marking the core arguments: nominative and dative. This points to the possibility of the reconstruction of the active alignment type on the Common Kartvelian level. Active construction is reconstructed in the syntactic structure of the Common Indo-European level as well. Hence, the active construction could be a common feature in the Common Kartvelian and Common Indo-European reconstructed systems.

ლინგვისტიკა და ლინგვისტიკის ტერმინოლოგია

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ლინგვისტიკის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება პირველად ვახუშტი ბაგრატიონმა მოგვცა. იგი მოკლედ, მაგრამ მისი დამახასიათებელი სიღრმით ახასიათებს ამ მხარის ფიზიკურ-გეოგრაფიულ თავისებურებებს. ვახუშტი ზედმიწევნით სწორად განსაზღვრავს ლინგვისტიკის მთათა სისტემის მდებარეობა-მიმართულებას. იგი წერს: „ლინგვისტიკის მთა ძვეს დასავლეთიდან აღმოსავლეთად, მცირე ჩრდილით მოწვევით, და მოვალს ვიდრე ჭოროხამდე“ (ბაგრატიონი 1972:689).

ქართველური ენების ტოპონიმიური სისტემა, უპირველეს ყოვლისა, არის ზოგადქართველური, ე.ი. ქართული, სვანური და მეგრულ-ლაზური ტოპონიმიური სისტემები საერთო ნიშან-თვისებებს შეიცავენ. ამასთანავე, ტოპონიმიური სისტემა მკაცრად ტერიტორიულია, რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეულ ქართველურ ენას მოეპოვება თავისი ტოპონიმიური ქვესისტემა, რომელიც, თავის მხრივ, იყოფა დიალექტურ ტოპონიმიურ სისტემებად. სწორედ მათში ვლინდება შესაბამისი დიალექტურ-ეთნოგრაფიული და ტერიტორიული ერთეულებისათვის ნიშანდობლივი მოდელები, ფუძეები და აფიქსები (ცხადაია 2002:9).

ლინგვისტიკის გეოგრაფიულ სახელთა ნომენკლატურა წარმომავლობითა და სტრუქტურით ტრადიციულია – საერთო-ქართველურია. ჩვენამდის თავდაპირველი სახითა და ნომენკლატურით სრულად არ მოღწეულა, მნიშვნელოვანი ცვლილებებიც განუცდია, უცხო ელემენტებიც ბლომად შემორევია, ახალიც შემატებია, მაგრამ მისი თავდაპირველი ფონდის საგრძნობი ნაწილი მაინც ჩარჩენილა ხალხის ხსოვნაში. ადგილობრივ ტოპონიმთა ანალიზისათვის გასათვალისწინებელია რამდენიმე შესაძლებლობა. ერთი, თავად ლინგვისტიკის დამაფუძვლები, მისი მიწა-წყალი, რელიეფი, დასახლებული და დაუსახლებელი ზოლები, ქალაქები, დაბები, ჰიდრონიმები, ორონიმები, ფიტონიმები... თავიანთი ენობრივი ნიშან-თვისებებით. ბევრი ტოპონიმი მსგავსი და ერთგვარი წარმომავლობისაა, საერთო-ქართველური მოდელების მიხედვითაა წარმოქმნილი. მეორე კი, როგორც ითქვამს, თავდაპირველი ფონდია, რომელშიც დასტურდება უძველესი და ახალი ფენები.

რეგიონული ტოპონიმიკის თითქმის ყველა საკითხი, რომელ დონეზეც უნდა განვიხილოთ (ფონეტიკა, მორფოლოგია, ლექსიკა), იმავდროულად, დიალექტიზმების საკითხსაც მოიცავს. ამ თვალსაზრისით გასათვალისწინებელია, რამდენადაა გამოვლენილი კილოებისათვის დამახასიათებელი ლექსიკური თუ

გრამატიკული თავისებურებანი, რა თავისებურებები განასხვავებს ტოპონიმთა წარმოებას სხვადასხვა კილოში. კერძოდ, გამოვლინდება თუ არა სპეციფიკური, მხოლოდ ამა თუ იმ კილოსათვის დამახასიათებელი მოვლენა.

მრავალ გეოგრაფიულ სახელს საფუძვლად უდევს ფიზიკური (მცენარეთა სახელწოდებები). ქართველური ენები ამ მხრივ საინტერესო სურათს იძლევა. საქართველოში ენდემური (ადგილობრივი) ჯიშის მცენარეთა სახელებისაგან მრავალი ტოპონიმია წარმოქმნილი. ქალაქის, სოფლის, დაბის, ველის, მინდვრის... სახელწოდებებში სხვადასხვა მცენარეთა აღმნიშვნელი სიტყვა მონაწილეობს მაგ.: თელავი, ცხინვალი, პანტიანი, ჭუბურხინჯი, ლეჩხუმი და მისთ.

გამონაკლისს არ წარმოადგენს ლაზეთის გეოგრაფიულ სახელთა ნუსხაც.

ფლორის შინაარსის მქონე ტოპონიმთაგან ქართველურ ტოპონიმიაში ყველაზე მრავალრიცხოვანია -იან სუფიქსით ნაწარმოები სახელები. მცენარის სახელისაგან ნაწარმოებ ტოპონიმებში -იან ყოლა-ქონების მორფემა მცენარეულით დაფარული მიწების გარკვეულ მონაკვეთზე მიუთითებს და მიჩნეულია ე.წ. ტოპომაწარმოებლად მცენარეთა სახელებისაგან.

-ონ სუფიქსი მეგრულ-ლაზურში გავრცელებული სუფიქსია; მას იგივე ფუნქცია და მნიშვნელობა აქვს, რაც -იან, -ან, -ოვან-ს ქართულში, რომლებიც, როგორც ითქვამს, რისამე ან ვისიმე ქონებას გამოხატავენ. ეგვევ სუფიქსი -ა ელემენტით აღნიშნავს ადგილს, სადაც რაიმე მცენარე ხარობს, მიუთითებს მცენარეთა სიმრავლეზე.

სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ ჭანური: ბინეზონა (=ვენა-ხოვანი ადგილი, ვენახნარი), თხირონა (თხილოვანი ადგილი, თხილნარი), ლიმხონონა (გვიმროვანი ადგილი, გვიმრნარი) ისეთივე წარმოებაა მთლიანად, როგორიცაა მეგრული: ჭუბურონა (=წაბლიანი, წაბლნარი), გვიმარონა (=ადგილი, სადაც გვიმრა იზრდება), ჭორთონა (=ადგილი, სადაც ახლად აყრილი ხეები იზრდება) (ჩიქობავა 1926:07).

ქართულში მსგავს შემთხვევაში ასეთივე წარმოება იქნება: მუხიანი, ვაზიანი, ვაშლოვანი, კაკლიანი, პანტიანი და მისთ.

ლაზურში -ონ სუფიქსიან გეოგრაფიულ სახელებში ენდემური ჯიშის მცენარეები მონაწილეობენ და ამასთანავე, -ონ სუფიქსი, სხვა სუფიქსებთან შედარებით, ყველაზე პროდუქტიულია.

კამპარონა (ათინა, არქაბი, ხოფა) – კამპარა-დიდგულა;

ცხემბონა// ცხემრონა// ცხემბონა (ათინა, ვიჯე) – *რცხილიანი*, ათინურისათვის სიტყვაში ლაბიალის ჩართვა, სხვა კილოებისგან განსხვავებით, თავისებური მოვლენაა (მდრ. ატამბა – ატამი, ომბრი – ტყემალი, ხომბულა – ხმელი);

ჭუბურონა (ბორჩხა), მეტათეზისით და ფუძის რედუქციით ჭურბუნა// ჭურბუნა (ათინა), ჭურბონა (ართაშენი), ჭურბონა (ვიწე) – *წაბლიანი*; ნთხირონა (ართაშენი), თხირუნა (ხოფა) – *თხილიანი*;

მცხულონა (ხოფა), მცხულონა (არქაბი) – *მსხლიანი*;
 თხოძონა (ათინა), თხოძონა (ბორჩხა) – *თხმელიანი*;
 მსიჯონა (არქაბი), მსიჯუნა (ბორჩხა) – *სურიანი*;
 პრინზუნა//პრინძუნა (ათინა), ფრინჯონა (ვიწე) – *ბრინჯიანი*;
 ბინეხონა (ვიჯე), ბინეხუნა (არქაბი, ვიწე) – *ვენახიანი*;
 წიფრონა (ვიწე), წიფურუნა (ბორჩხა) – *წიფლიანი*;
 ნეძონა (ვიწე), ნოზონა (ვიჯე) – *ნივეზიანი, კაკლიანი*;
 ჭკონუნა (ბორჩხა), მჭონონა (ართაშენი) – *ჭუხიანი*;
 ომბრუნა (ათინა) – *ტყემლიანი*;
 ატამბონა (ართაშენი) – *ატმიანი*;
 ტუტუჯონა (ათინა) – *ჭინჭრიანი*.

მრავლობით რიცხვში ბავისმიერ ბგერათა მეზობლობაში -ონ-ა სუფიქსი -უნ-ა სუფიქსითაა წარდგენილი და ქართული ნარ სუფიქსით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელების შესაბამისი ფუნქციით გადმოიცემა.

თხოძეფუნა (ხოფა) – *თხმელნარი*;
 ბინეხეფუნა (ხოფა) – *ვენახნარი*;
 უშქიეფუნა (ხოფა) – *ვაშლნარი*;
 მშქერეფუნა (ხოფა, ვიწე, ათინა) – *შქერნალი*;
 ნეძეფუნა (ხოფა, არქაბი, ვიწე) ნეზოფონა (ათინა) – *კაკლნარი*.
 ურძენეფუნა (არქაბი) – *ყურძნალი*;
 ბურღეფუნა (არქაბი, ათინა) – *ბურღნალი*;
 ნოხირეფუნა (არქაბი, ვიწე) – *თხილნარი*;
 ჭუბურეფუნა (არქაბი, ვიწე), ჭუბრეფუნა (ათინა) – *წაბლნარი*;
 ინჭირეფუნა (არქაბი) – *ანწლარი*;
 ჭკონოფუნა (ვიწე) – *ჭუხნარი*;
 წიფროფუნა (ვიწე) – *წიფლნარი*;
 მწკოეფუნა (ვიწე) – *წყავნარი*;
 ბულეფუნა (ვიწე) – *ბალნარი* და *სხვა*.

-ონ-ა//უნ-ა რთული სუფიქსია. -ონ ქართულ -ან სუფიქსის შესატყვისია. -ა ელემენტის სტატუსი სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვაგვარად კვალიფიცირდება.

ა. შანიძის მიხედვით -ა -აკ-ისაგან მიღებული კნინობითობის მაწარმოებელია, რომელიც ქონების წარმოდგენას გვაძლევს გარკვეული ტიპის სახელებში, ცხრა-ფეხა, ას-ფურცელა, ენა-ჭარტალა და სხვა. იგივე მაწარმოებელი გამოყენებულია მსგავსების აღსანიშნავად. მსგავსება შეიძლება იყოს ფერისა, მოყვანილობისა ან სხვა ნიშნის მიხედვით: ქერ-ა (ქერის ფერი), შვინდ-ა (შვინდის ფერი), კიღობან-ა ... (შანიძე 1973: 120-126).

ს. ჯანაშია -ა სუფიქსს მასუბსტანტივებელ ხმოვნად მიიჩნევს: თელოვნა, თხილოვნა ტიპის სახელებში (ჯანაშია 1959:45).

თ. ზურაბიშვილის თვალსაზრისით, -ა სუფიქსს არსებით სახელებთან კნინობითობის ფუნქცია აქვს, მაგრამ გეოგრაფიულ სახელებთან იგი ქონების, მსგავსების, თვისების მნიშვნელობას იძენს (ზურაბიშვილი 1961:151).

მამასადაძე, -ა სუფიქსი, როგორც სიტყვაწარმოებითი ელემენტი, მრავალფუნქციანია, კერძოდ, აწარმოებს კნინობით სახელებს, აღნიშნავს ქონებას, გამოხატავს მსგავსებას, საგანს ახასიათებს მისი ნიშან-თვისების მიხედვით, საგანს ან მოვლენას აკონკრეტებს (პაპიძე 1974:24-30).

-ა სუფიქსის ფუნქცია თვალსაჩინოა მასდართან (ხილვ-ა, ცემ-ა), სადაც იგი ზმნურ ფუძეს სახელად აქცევს (ჩიქობავა 1942:213). ასევეა გაარსებითებულ მიმღებობებთან (ნაცარქექია...) (ოსიძე 1957:184).

მეგრულ ტოპონიმიში გამოვლენილი -ონ-ა რთული სუფიქსის შემადგენელი -ა მასუბსტივებელ სუფიქსადაა მიჩნეული (ჩიქობავა 1926:307). ანალოგიური მდგომარეობაა ლაზეთის ტოპონიმიში; -ა ელემენტი მასუბსტანივებელ-მატოპონიმებელ სუფიქსად გვესახება.

წარმოქმნის საშუალებებს შორის გარკვეული ადგილი უჭირავს პრეფიქსულ და პრეფიქსულ-სუფიქსურ წარმოებას, რომელიც ლაზეთის გეოგრაფიულ სახელთა ნუსხაში ნაკლები სიხშირით ხასიათდება, როგორც ეს საერთოდ ქართველურ ტოპონიმიშია.

საერთოდ, დერივაციული ტოპონიმები ან ზმნებისაგან მომდინარეობენ, ან სახელებისაგან. პრეფიქსული, სუფიქსური თუ კონფიქსური მორფემების დართვით ზმნურფუძიანი წარმოქმნილი გეოგრაფიული სახელები წარმოადგენს ვნებითი გვარის ნამყო დროის მიმღებობას, სახელურფუძიანი კი – წინავითარების, დანიშნულების, წარმომავლობის, კნინობითობის... სახელებს (ცხადაია 1985:188).

ლაზურში მცენარეთა სახელებისაგან წარმოქმნილ ტოპონიმებში ო- – ე (ქართ. სა- – ე) წარმოება, რომელიც დანიშნულებას, განკუთვნებას გამოხატავს მეტწილად მიკროტოპონიმიში შეინიშნება.

ოლაზუტე (ვიწე) – სასიმინდე; ოლიმხონე//ოლიმხანე (ვიწე, არქაბი) – საგვიმრე; ოთიფალე (არქაბი) – სათივე; ოპრინძე (ათინა, ვიწე) – საბრინჯე; ოჭეფრე (ართაშენი), ოკეფე (ხოფა) – საკანაფე; ოთხეე < ოთხიე < ოთხირე (სარფი) – სათხილე; ომოხალე (ვიწე) – სამახე (მახა – უძველესი ქართული ხორბლის სახეობა). ქართულ ტოპონიმიში წინავითარების სახელებს აწარმოებს ნა- პრეფიქსი სხვადასხვა სუფიქსებთან ერთად. პარალელური მაწარმოებლები ნა- – -არ, ნა- – -ეკ, ნა- – -ებ გეოგრაფიულ სახელებში გვიჩვენებს, თუ რას წარმოადგენდა ესა თუ ის ადგილი ადრე, რა იყო იქ, ან

რა მოხდა. ლაზურში იმავე ფუნქციით შეესატყვისება ნო- - -ენ ცირკუმფიქსი და მეტწილად მიკროტოპონიშია გამოვლენილი.

ნოკერფენი (ბორჩხა, ვიწე) – ნაკანაფევი; ნოდიკენი (ვიწე) – ნადიკვარი; ნობულეკენი (ვიწე) – ნაბოლოკევი; ნოფატენი (ვიწე, ათინა, ართაშენი) – ნაფეტვარი; ნოქურმენი (არქაბი, ხოფა) – ნაქვრიმევი; ნოფრინჯენი (არქაბი), ნობინჯენი (ხოფა) – ნაბრინჯევი;

გეოგრაფიულ სახელთა ნომენკლატურაში გამოყოფენ ზმნურფუძიან და სახელურფუძიან თხზულ სახელებს. ზმნურფუძიანი თხზული ტოპონიმი მომდინარეობს წინადადებისაგან, შედგება ზმნური და სახელური კომპონენტებისაგან, ინარჩუნებს პრედიკატიულობას, ორ- ან სამშემადგენლიანია და ასახავს ობიექტის ადგილმდებარეობასთან დაკავშირებულ მოვლენას, სახელფუძიანი რთული ტოპონიმები კი მომდინარეობს სიტყვაშეერთებისაგან და შედგება მხოლოდ სახელური კომპონენტებისაგან, გამოხატავს საგნობრიობას, მეტწილად ორშემადგენლიანია და აღნიშნავს კუთვნილებას, სივრცით მიმართებას.

ლაზეთის ტოპონიშიაში ჭარბადაა რთული სახელები, რომლებიც მეტწილ შემთხვევაში ორშემადგენლიანია და წარმოადგენენ ატრიბუტულ და მართლმსაზღვრიან კომპლექსებს. მაშასადამე, რთული გეოგრაფიული სახელების ბაზას წარმოადგენს განსაზღვრებითი კომპოზიტები, ტოპონიმები მიღებულია შესიტყვებებისაგან.

შედგენილობის თვალსაზრისით მცენარეთა აღმნიშვნელ სახელში მსაზღვრულ სიტყვად გამოყენებულია ზედსართავი სახელი, არსებითი სახელი, რიცხვითი სახელი, მიძლეობა, ზმნისართული ატრიბუტები და მისთ. სიტყვათა თანამიმდევრობის მიხედვით წყობა პრეპოზიციურია ან პოსტპოზიციური.

კოლო მბული (ხოფა) – მწარე ბალი; ჭუბრი დიდი (ართაშენი) – წაბლი დიდი; მცხული ხომბულა (ართაშენი) – მსხალი ხმელი; ბული ჯეტახერი (ართაშენი) – ბალი დამტვრეული, ლუხეხეი (ვიწე) – ლელვი დახერხილი; ნემ მაქვალი (ვიწე) – ნიგოზი სოკო; სუმ წიფური (არქაბი) – სამი წიფელი.

სუბსტანტიური მსაზღვრული ინარჩუნებს ბრუნვის ნიშანს: კაკალიშ ყონა (სარფი) – კაკლის ყანა; მწკოში სირთი (ხოფა) – წყავის სერი; პანტაშ ონა (არქაბი) – პანტის ყანა; ოშქურონა ლივადი (ართაშენი) – საშიში საბოსტნე.

მსაზღვრელს მოკვეცილი აქვს ბრუნვის ნიშანი: ბული ღუზი (ვიწე) – ბლის ველი; წიფრი ღალი (ვიწე) – წიფლის ღელე; კოპიტი ზენი (ვიჯე) – კოპიტის ველობი; მბული ზენი (ათინა) – ბლის ველობი; მცხული ზენი (ათინა, ართაშენი) – ვაშლის ველი; მცხული ხინჯი (ათინა) – მსხლის ხინჯი; ომბრიზენი (ათინა) – ტყემლის ველი; ბულეფე ღალი (ართაშენი) – ბლების ღელე; მწუ კაპულა (ართაშენი) – წყავის ზურგი; დიცხუ ჯიჯი (ხოფა) – ცახცვის ძირი; ყომურ ყონა (ხოფა) – ტყემლის ყანა.

ფორმანტისეული ელემენტის მოკვეცა ჭარბად შეიმჩნევა ათინისა და არ-თაშენის მიკროტოპონიმიაში, უფრო ნაკლებად ვიწეს, არქაბის, ხოფის რეგიონებში. ანალოგიური მდგომარეობაა სხვა ქართველურ ენათა გეოგრაფიულ სახელთა ნომენკლატურაშიც.

თანდებულის მონაწილეობით ნაწარმოები ტოპონიმები ერთობ მცირეა. თანდებულიანი (-თან//-თანა) გეოგრაფიული სახელები ნიშანდობლივია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის (თუმ-ფშავ-ხევესურეთი, მთიულეთი, ხევი, ერწო-თიანეთი) ტოპონიმისათვის (ბელოშვილი 1980:44)

საკვლევ რეგიონში რამდენიმე სახელწოდება დადასტურდა -კალა (-თან//-თანა) თანაობის თანდებულებით.

ომრიშკალა (ვიჯე) – ტყემალთან; მბულიშკალა (ვიჯე) – ბალთან. ცხემრიშკალა (ვიჯე) – რცხილასთან; ჭკონიკალა (სარფი) – მუხასთან.

-კალა ნათესაობით ბრუნვას დაერთვის. ხშირად ბრუნვის ნიშანი იკარგება და ნათესაობითი სახელობითს წააგავს. სხვა თანდებულები გეოგრაფიულ სახელებში არ მონაწილეობენ.

ლიტერატურა

ბაგრატიონი 1972: ვახუშტი ბაგრატიონი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, 4*, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი.

ბელოშვილი 1980: გ. ბელოშვილი, *ერწო-თიანეთის ტოპონიმია*, თბილისი.

ზურაბიშვილი 1961: თ. ზურაბიშვილი, *ტოპონიმის შესწავლისათვის*, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, თბილისი.

ოსიძე 1957: ეკ. ოსიძე, *მიძღვობის წარმოება ქართულში*, თსუ შრომები 67, თბილისი.

პაპიძე 1974: ა. პაპიძე. -ა *სუფიქსის სიტყვაწარმოებითი ფუნქციები*, ჟურნ. ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, №1, თბილისი.

შანიძე 1973: ა. შანიძე, *ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები*, თბილისი.

ჩიქობავა 1926: არნ. ჩიქობავა, -*ონ სუფიქსი მეგრულში*, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, VI, ტფილისი.

ჩიქობავა 1942: არნ. ჩიქობავა, *სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში*, თბილისი.

ცხადაია 1985: პ. ცხადაია, *მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია*, თბილისი.

ცხადაია 2002: პ. ცხადაია, *საკუთარი სახელი კოლხურში*, სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი, თბილისი.

Phytonym in the Toponymics of Lazeti

Summary

In Laz - in the toponyms derived from plant names - according to their formation, the following types can be identified: derivatives with suffixes, with circumfixes and the compound ones.

Of the suffixes the most productive is -ონ/-უნ (Georg. -ონ, -ან, -ოვან), which denotes a place where a plant grows and indicates the multitude of homogeneous plants.

Geographical names formed by means of ო- – -ე (Georg. სპ- --- -ე) denote purpose, attribution. ნო- – -ენ (Georg. ნა- – -აღ/-ეც) points to the nouns of the preceding state.

The bases of compound geographical names are attributive noun phrases and those with substantive modifiers.

მელა სალღიანი

სიტყვათა კავშირები სვანურ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებში

ენის ლექსიკურ სისტემაში, როგორც ცნობილია, მნიშვნელობათა ყოველგვარი გადახრა ეყრდნობა არსებულ ნომინატიურ მნიშვნელობებს. ბუნებრივია, ფრაზეოლოგიურად დაკავშირებული მნიშვნელობის საფუძველსაც თავისუფალი, პირდაპირი მნიშვნელობა ქმნის, რომელიც, მეცნიერთა აზრით, სიტყვის საგნობრივ-ნივთიერ შინაარსს ატარებს. იგი გრამატიკულად გაფორმებულია და ენის საერთო-სემანტიკური სისტემის ელემენტად ითვლება (თაყაიშვილი 1961:68-69).

ნომინატიური მნიშვნელობანი, ა. თაყაიშვილის მოსაზრების თანახმად, მყარია და თავისუფალი. მათი გამოყენებისა და კავშირების წრე შეესაბამება თვით საგნებს, მოვლენებსა და პროცესებს შორის კავშირებს. მაგალითად, ზმნა *გატეხა* თავისი ძირითადი მნიშვნელობით იხმარება ყველა იმ საგანთა აღმნიშვნელ არსებითთან, რომელთა გატეხაც რეალურად შესაძლებელია: *გაუტყდა – ჭიქა, თევზი, თავი, მანქანა, კალამი...* ასევე *შეიტანა* ზმნა უკავშირდება ყველა იმ საგანს, რომლის შეტანაც მოსახერხებელია: *შეიტანა – ფული, განცხადება, ლოგინი, თოფი* და სხვ. მაგრამ, როდესაც მნიშვნელობა მკაცრად განსაზღვრულ ფრაზეოლოგიურ გარემოცვაში ჩაიკეტება და მხოლოდ მცირერიცხოვან სიტყვებს უერთდება, მაშინ უკვე თავისუფალ მნიშვნელობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. იგივე ზმნები – *გატეხა* და *შეიტანა* შესიტყვებებში: *სახელი გაუტყდა, ძილი გაუტყდა, ფიცი გატეხა, პირობა გატეხა; ეჭვი, ხაღისი, გარდატეხა შეიტანა* და ა.შ. აღარ იხმარება პირდაპირი მნიშვნელობით (იქვე). აქ მას სხვა შინაარსი აქვს მიღებული, რომელიც აშკარად განსხვავებულია ნომინატიურისგან.

საინტერესოა, რა ვითარებაა ამ მხრივ სვანურში?

ისევე როგორც ქართულში, სვანურშიც გვხვდება ისეთი სიტყვათა კავშირები, რომელშიც მნიშვნელობა ჩაკეტილია მკაცრად განსაზღვრულ ფრაზეოლოგიურ გარემოცვაში, თუმცა ერთგვარონება ამ მხრივ ქართულსა და სვანურში ნამდვილად არ არის და ეს არცაა გასაკვირი, ვინაიდან, როგორც ა. თაყაიშვილი მიუთითებდა, არა მხოლოდ ენებს შორისაა განსხვავება სიტყვათა შეკავშირების მხრივ, არამედ ერთი ენის ფარგლებში, მის სხვადასხვა ეტაპებს შორისაც (იქვე, 71). და ეს ბუნებრივიცაა, რადგან დროთა განმავლობაში იცვლება და ვითარდება სიტყვათა კავშირები. ზოგი სიტყვათკავშირი ხმა-

რებიდან გამოდის და შესაბამისად იცვლება ახლით. ასეთი შემთხვევები, როგორც ცნობილია, ყოველი ენის შიგნით შეიმჩნევა და ემორჩილება ღირებულებათა გადაფასების გარდაუვალ პროცესს. რალა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია გამოთქმისადმი ამა თუ იმ ერის შემოქმედებითი დამოკიდებულებაც.

სვანურში ნიმუშად ავიღეთ რამდენიმე ისეთი ზმნა, რომელიც არ უკავშირდება ყველა სინონიმურ და სემანტიკურად ახლოს მდგომ სიტყვებს. როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, სწორედ სიტყვის არაყოველთაო კავშირში შესვლა არის პირველი ნიშანი მისი ფრაზეოლოგიურად ჩაკეტივსათვის.

წინამდებარე ნაშრომში შეძლებისდაგვარადაა შესწავლილ-გაანალიზებული სვანურ ფრაზეოლოგიურ შესიტყვებაში შემაგალი ძირითადი ზმნები და დაჯგუფებულია მათი სემანტიკური შესაძლებლობის მიხედვით.

I. ლიგნე „დგომა“ თავისი ძირითადი მნიშვნელობით იხმარება ყველა იმ საგანთა აღმნიშვნელ არსებითთან, რომელთა დგომაც რეალურად შესაძლებელია. მაგ.: ლგგ „დგას“ – ქორ „სახლი“, მეგემ „ხე“, ლაყურა „საწოლი“, ჭიქ „ჭიქა“, მანშინა „მანქანა“ და ა.შ., მაგრამ იგივე ზმნა გვხვდება შემდეგ შესიტყვებებში:

ბაღდ ლიგნე (ზს.), **ბაღდ ლიგენე** (ლნტ.) „დაფლეთა, ნაფლეთებად ქცევა, დახვეა (ზედმიწ. – ფლეთად დგ-მ-ა)“

„ამნემ¹ მიჩა მუხუბზე ბაღდ ადგენე (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ. 1957:168, 20-21) „ამან თავისი ძმა დაფლეთა („ამან მისი ძმა ფლეთად დააყენა“)“;

ბგლანდ ლიგნე (ბზ.) „დაფლეთა, დაგლეჯა; დამსხვრევა, დამტკრევა (ზედმიწ. – ფლეთად/მსხვრევად... დგ-მ-ა)“

ამირან¹ღ¹ გუელდარშაპი ვან ბგლანდ ადგენე (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ. 1939: 95,28-29) „ამირანმა გველშაპის მუცელი ნაფლეთებად აქცია („ამირან-მა გველშაპ-ი¹ს¹ მუცელი ფლეთად დააყენა“)“;

გინჯილდ ლიგნე (ზს.), **გგნჯილდ ლიგნე** (ლშს.) „დაფლეთა, დაგლეჯა (ზედმიწ. – გლეჯ-ად დგ-მ-ა)“

„წეჟან-მეძბარალ¹ სგაწინდს ი გინჯილდ ადგენეს¹ მალ¹ (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ. 1939:363) „ძაღვები დაეწივნენ და ნაფლეთებად აქციეს მელია („მწეგარ-მეძებრ-ებ-ი დაეწივნენ და გლეჯ-ად და-დგ-ე-ს მელია“)“;

გგლანდ ლიგნე (ბზ.), **გგლანდ ლიგნე** (ბქ.), **გლაჯდ ლიგნე** (ლშს.), **გგლანდ ლიგენე** (ლნტ.) „დაგლეჯა, დაფლეთა (ზედმიწ. – გლეჯ-ად დგ-მ-ა)“

სამთილან მუხუბედ ხაჭუტ ...¹ დედბერს¹ ...: „შიშდ ესერ ქანუ ხაჭუტ, მიჩა მუხუბად მანდ ოთყერა, ადო გგლანდ ესერ ხანანუნი მიჩა თხუმი!“ (ბზ., იქვე 400,12-16) „სამთილის ძმამ უთხრა დედბერს: „ახლავე მითხარო, ჩემს ძმას რა უქენიო, თორემ შენს თავს დავაგლეჯინებო („სამთილ-ი¹ს¹ ძმამ

უთხრა დედაბერ-ს: „ხელადო უთხრამცა, მისი ძმისთვის რა დაუმართნია, თორემ გლეჯ-ად-ო და-ა-დგ-მ-ევ-ინ-ებ-ს მის თავს!““;

გრამდ ლიგნე (ზს.) „ფერფლად ქცევა (ზედმიწ. – ფერფლად **დგ-მ-ა**)“

დედბერ შიშდ გრამდ აღგან (ბზ., იქვე 418,36) „დედაბერი უცებ და-იწვა („დედაბერ-ი ხელად ფერფლად და-დგ-ა“)“

ჭყინტდ გრამდ აღგენე ქორ (ბქ.) „ბიჭმა სახლი გადაბუგა („ბიჭმა ფერ-ფლად და-დგ-ა სახლი“)“;

გუწსპდ ლიგნე (ბზ.), **გუწსპდ ლიგენე** (ლნტ.) „დახრუკვა, დაწვა, ფერ-ფლად ქცევა, ცეცხლში შთანთქმა (ზედმიწ. – ფერფლად **დგ-მ-ა**)“

დიარ გუწსპდ ლგგ (ბქ.) „პური დამწვარია („პური ფერფლად **დგ-ა-ს**)“;

‘ჭელდ’ ... ხიპრილდაშლეთ მანგ გუწსპდ აღგენე (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ. 263,31-32) „ალმა კინალამ ყველაფერი ფერფლად აქცია („ალ-მა ლამის ყველა ფერფლად და-დგ-ა“)“;

გუწლიბდ ლიგნე (ბზ.), **გულიბდ ლიგნე** (ლშხ.), **გუწაბდ ლიგენე** (ლნტ.) სხვადასხვა სემანტიკით:

1. დაბლაგვება (ზედმიწ. – ბლაგვად **დგ-მ-ა**)

ციოყდ ლგშერე კანდა გუწლიბდ აღგენე (ბზ.) „ციოყმა გალესილი ნა-ჯახნი დააბლაგვა („ციოყ-მა გა-ლეს-ილ-ი ნაჯახნი ბლაგვად დააყენა“)“;

2. დაღეწვა, დამსხვრევა; მუსრის გავლება

‘ბეუად’ დაჟარ გულიბდ აღგენალე (ლშხ.) „ბევამ დეკებს მუსრი გაავ-ლო („ბევა-მ დევ-ებ-ი ბლაგვად დააყენა“)“...;

ბიფხდ ლიგნე (ზს.) „სწრაფად განკურნება; დასუფთავება (ზედმიწ. – ნამად **დგ-მ-ა**)“

ლეგმერდე ბიფხდ აღგან (ბზ.) „ავადმყოფი უცებ მორჩა („ცუდად მყოფი ნამად და-დგ-ა“)“

ქორ ბიფხდ ლგგ (ბზ.) „სახლი კარგადაა დალაგებულ-დასუფთავებული („სახლი ნამად **დგ-ა-ს**)“

ბეუად ლეჩემ მანგ ბიფხდ აღგენე (ბქ.) „ბევამ ყველაფერი დაასუფ-თავაქმოაწესრიგა („ბევა-მ საქმნელი ყველა ნამად დააყენა“)“;

ბრიკს|ბანკირს ლიგნე (ბქ.) „ურჩობა, ოჩნობა (ზედმიწ. – ნაბიჯს **დგ-მ-ა**)“

ეჩა ქუერწილთე ბანკირს დემის ხუგემ (ბქ.) „იმის ქორწილში არ წა-ვალ („იმის ქორწილ-ის-კენ ნაბიჯს არ ვ-დგ-ამ“)“;

ლაგას ლიგნე (ზს., ლშხ.), **ლაგას ლიგენე** (ლნტ.), ასევე, სხვადასხვა სემანტიკით:

1. დარიგება, რჩევის მიცემა, გზაზე დაყენება (ზედმიწ. – **ალაგა-ს დგ-მ-ა**)

დიდ გეზალ ლაგას ესგენე (ბქ.) „დედამ შვილი გზაზე დააყენა(მიხედა („დე-დ-ამ შვილი **ალაგა-ს** დააყენა“)“;

2. ზს. მოგვარება, მოწესრიგება, დადგენა

... **ლაგას დემ სოგნახ, ძარდო ლის ხოშა** (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ. 1957:27) „ვერ დაუდგენიათ, ვინ არის უფროსი („ალაგა-ს ვერ და-უ-დგ-ამ-თ, ვინ არიან უფროსი“)“;

თხუმემ ლცფვექდ ლიგნე (ბქ.) „თავის დანაყვა, გახეთქვა (ზედმიწ. – თავის წყალ-ფქვ-ილ-ად და-დგ-მ-ა)“

ჟი ნომ'ამხირნა, ედო თხუიმს ლცფვექდ ჯიგნე! (ბქ.) „არ გამაბრაზო, თორემ თავს დაგიჩქევავ („ნუ-არ გამაბრაზო, თორემ თავს წყალ-ფქვ-ილ-ად და-გ-ი-დგ-ა-მ!“)“;

ხოლა ჩქიმიშ ლიგნე (ბქ.), **ხოლა ჩქიმი ლიგენე** (ლნტ.) „ცული შეხედულება (ზედმიწ. – ცული იერიქს} და-დგ-მ-ა)“

ჩაჟარ ქ'ალღარბელიხ, ხოლა ჩქიმ ახაგენახ (ლნტ., სვან. ქრესტ. 1978: 315,27) „ცხენები გამხდარან, დაუშნობულან („ცხენები გა-ღარბ-ებ-ულ-ან, ცული იერი და-ს-დგ-ომ-ია-თ“)“

„**ჩქიმი ხოჩ'ესერ ხანგენა: ნეფხუნა ი ჰაყბოლ წვრნი პატრაჯანდ ესერ ხანგენა ნალგუაროშუ**“ (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ. 1957:252,2-3) „კარგად გამოიყურებოდაო: ცხვირი და ლოყები სიმსუქნისგან პამილორივით წითელი ჰქონდაო („შნოც კარგიო ნა-დგ-ამ-ა: ცხვირი და ყბები წითელ ბადრიჯნ-ად-ო ნა-დგ-ამ-ა სიმსუქნით“)“...;

ლიგნე ასევე დასტურდება შემდეგ შესიტყვებებში: **გუაჰდ ლიგნე, გუაჰდ ლიგნე** (ზს.) – 1. დამსხვერვა, მოსპობა, დამტვერვა; დაბეგვა. 2. დაწვა, გადაბუგვა. 3. გადაღლეტა, გადაყვლეფა. 4. უშგ. შესანსვლა (ზედმიწ. – ფქვად დგ-მ-ა); **გუერად ლიგნე** (ბქ.) „ტყავის აძრობამდე ცემა; დაბეგვა (ზედმიწ. – ტყავად დგ-მ-ა)“, **როფდ ლიგნე** (ბზ.) „დიდი ჩხუბი (ზედმიწ. – საფანელად დგ-მ-ა)“, **ბიზიკდ ლგ** (ბზ.) „ჩქარია, მოხერხებულია, ყოჩაღია (ზედმიწ. – ბზიკ-ად დგ-ა-ს)“, **ცხენდ ლგ** (ბქ.) „გავარვარებულია; მაღალი სიცხე აქვს (ზედმიწ. – ნაკვერცხლად დგ-ა-ს)“ და მრავ. სხვ.

შენიშვნა: ყველაზე უფრო ხშირად სვანურ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებში დასტურდება მასდარი **ლიგნე** „დგომა“ და მისგან ნაწარმოები ზმნის პირიანი ფორმები. ქართულში, თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა, **დგომა** და მისგან ნაწარმოები ზმნის პირიანი ფორმები ფრაზეოლოგიზმთა ჩამოყალიბებაში დიდ როლს არ ასრულებენ.

მიუხედავად იმისა, რომ **ანგნე** „დგამს“ სვანურში ბევრ სიტყვასთან კავშირში გვხვდება და მისი ასპარეზი სხვა ზმნებთან შედარებით ფართოა, არ უკავშირდება ყველა სინონიმურ და სემანტიკურად ახლოს მდგომ სიტყვებს. მაგალითად, არ ვიტყვით: **ლეზობდ ლგ** „ჭამადაა ქცეული (ზედმიწ. – საჭმლად დგ-ა-ს)“, **ჩქიმდ ლგ** „ლამაზია (ზედმიწ. – იერად დგ-ა-ს)“, **თხუიმს ჯიცდ ხოგნე** „თავს დაუჩქევავს (ზედმიწ. – თავს ცომად უ-დგ-ა-მ-ს)“, **ხოჩა**

ლესდი ხაგ „ლაძაზია (ზედმიწ. – კარგი შეხედვა ა-დგ-ა-ს)“ და ა.შ. ჩვენი აზრით, სწორედ ეს არის პირველი ნიშანი აღნიშნული ზმნის ფრაზეოლოგიურად ჩაკეტივისათვის. უფრო მეტიც, შესაძლოა, თავდაპირველად ამ ზმნის გადატანითი გაგება შემოფარგლული ყოფილიყო ერთი მიმართულების ემოციებით და შემდგომ, დროთა განმავლობაში, მისი ხმარების რადიუსი გაზრდილიყოს.

აქვე წარმოვადგენთ, აგრეთვე, ფრაზეოლოგიურ შესიტყვებაში შემავალ რამდენიმე იმ სვანურ ზმნას, რომელიც შედარებით უფრო საინტერესოდ მივიჩნით:

II. ლიკედ „აღება“ თავისი ძირითადი მნიშვნელობით იხმარება ყველა იმ საგანთა აღმნიშვნელ არსებითთან, რომელთა აღებაც რეალურად შესაძლებელია. მაგ.: **იკედ** „იღებს“ – **ლეზუებს** „საჭმელს“, **ბარგს** „ავეჯს, ნივთებს“, **ბაჩს** „ქვას“, **ხილს** „ხილს“, **ფექს** „ფეკილს“ და ა.შ., მაგრამ იგივე ზმნა დასტურდება შემდეგ შესიტყვებებში:

1. **აქანნი ლიკედ** (ბზ.), **აქანდაშ ლიკედ** (ბქ.), **აქანი ლიკედ** (ლშხ.), **აქანი ლიკედ** (ლნტ.) „მისალმება (ზედმიწ. – სალმის აღება)“

მგხმგრიდ აქანი მამ'ოხკიდ 'ნაფიცარს' (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ. 1939:350) „მელორე არ მიესალმა ოფიცერს („მელორემ სალამი არ აულო ოფიცერ-ს“)“

ნაქამარს აქანი ოხკიდ 'დაჟარდ' (ბქ., სვან. პრ. ტექსტ. 1957:26,9) „სტუმრებს მიესალმენ დევები („ნაგარეთალებს სალამი აულებ დევ-ებ-მა“)“

ძაძუდ აქანი ოხკიდ 'შაშიკოს' (ლშხ.) „ძაძუ მიესალმა შაშიკოს („ძაძუ-მ სალამი აულო შაშიკო-ს“)“

ბაბდ ჭყინტს აქანი ახოკიდ (ლნტ., სვან. პრ. ტექსტ. 1967:178,26) „მღვდელი ვაჟს მიესალმა („მღვდელმა ბიჭს სალამი აულო“)“;

ბოლეკდ ლიკედ (ზს.) „ძირფესვიანად ამოგდება, ამოწყვეტა (ზედმიწ. – ბოლოკ-ად აღება)“

კიბოლანარ ცხემარისგა ბოლეკდ ომკედს (ბქ.) „კიბოლანები ცხუმარში ძირფესვიანად ამოწყვეტილან („კიბოლან-ებ-ი ცხუმარ-ში ბოლოკ-ად აღებულან“)“;

თან ლიკედ (ბქ., ლნტ.) „გადაშენება, მოდგმის მოსპობა (ზედმიწ. – ნათესავად აღება)“

თანდოლჷ ომკედესხიდ ჩაგინენსგა! (ბქ.) „ამოგიწყდეთ ჯიში და ჯილაგი („ნათესავადმცა აღებულხართ ყველგანი{ს}შუა!“)“;

ლეჩუემ-ლეგონაჷმა ლიკედ (ლნტ.) „საქმის გამოლევა (ზედმიწ. – საქმნ-ელ-მო-სა-გონ-ებ-ლ-ი{ს} აღება, ამოწყვეტა)“

...**ლენტეხას** ... **დერაჷმა გეზალს ლთუერის ადეს**, **ეჩს მანგ სულელს ხაყლე**: **ლეჩუემ-ლეგონაჷთი ლოქ ახაკედა** ი ბოფშს **ლოქ ლიჭრელალის**

ხანტუერი (ლნტ., სვან. ქრესტ. 1978:304,9-11) „ლენტეხში ვინც შვილს სასწავლებლად წაიყვანს, იმას ყველა სულელს ეძახის: საქმე გამოელა და ბავშვს აჭრელებას ასწავლისო („ლენტეხ-ში ვინც შვილს სასწავლოს წაიღებს, იმას ყველა **სულელ-ს** ეუბნება: **სა-ქმნ-ელ-მო-სა-გონ-ებ-ლ-ი-ო** ანაღება და **ბავშვ-ს-ო ა-ჭრელ-ებ-ა-ს** ასწავლის“)“;

უნხანტუდ||უმხალდ ლიკედ (ბქ.) „დიდი ამბით მიღება, ანუ ვილაციის ნახვით გამოხატული დიდი სიხარული (ზედმიწ. – **უნახავ-ად** აღება)“

გეგიდ უმხალდ||უნხანტუდ ანკიდ მუშგურარ (ბქ.) „გეგიმ დიდი ამბით|სიხარულით მიიღო სტუმრები („გეგი-მ **უნახავ-ად** აიღო სტუმრები“)“;

ფშიკი ლიკედ (ბზ.), **ფშიტი ლიკედ** (ლშხ.) „სიკვდილი (ზედმიწ. – **ფშეკ-ი**{ს} აღება)“, შდრ. ქართ. ფეხები გაფშეკა

მიშგურა მეზუბელდ ფშიკ გარ ანკიდ (ბზ.) „ჩემი მეზობელი უცებ გარდაიცვალა („ჩემმა **მეზობელ-მა** **ფშეკა** მხოლოდ აიღო“)“;

ქოქდ ლიკედ (ზს., ქს.) „ძირფესვიანად, მთლიანად ამოგდება, ამოწყვეტა (ზედმიწ. – ფუტუროდ აღება)“

თელდ ჟოჯან ქოქდ ანკად (ბზ.) „მთელი ოჯახი ძირფესვიანად ამოწყდა („**მთლ-ად** **ოჯახ-ი** ფუტუროდ აიღო“)“

ქოქდ ანკადენის ეჯმარ (ლშხ.) „ისინი მთლიანად გაწყდებიან („ფუტუროდ აიღებიან ისინი“)“;

ცხარართუი ლიკედ (ბქ.) „აბუჩად ავდება (ზედმიწ. – ფრჩხილებ{ის}კენზე აღება)“

ალ დინა ცხარართუი ენკიდ მთელ სოფელდ (ბქ.) „ეს გოგო აბუჩად აიღო მთელმა სოფელმა („ეს გოგო ფრჩხილებ{ის}კენზე აიღო **მთელ სოფელ-მა**)““;

ბრიგი ლიკედ (ბზ.) „უეცარი გარდაცვლება, ფეხების გაფშეკა (ზედმიწ. – **ბრაგვან-ი**{ს} აღება)“

ბესიდ ბრიგ გარ ანკიდ (ბზ.) „ბესი უეცრად გარდაიცვალა („**ბესი-მ** **ბრაგვან-ი** მხოლოდ აიღო“)“...;

არც **ანკიდ** „აიღო“ ზმნა არ უკავშირდება სვანურში ყველა სინონიმურ და სემანტიკურად ახლოს მდგომ სიტყვებს. მაგალითად, არ ვიტყვით: **გინჯილდ ანკიდ** (ბზ.) „დაგლიჯა (ზედმიწ. – **გლეჯ-ად** აიღო)“, **გუდ ანკიდ** (ბქ.) „მიხვდა (ზედმიწ. – **გულ-ად** აიღო)“, **სისოდ ანკიდ** (ბქ.) „სიჩუმი ჩამოვარდა (ზედმიწ. – სიჩუმი აიღო)“ და ა.შ.

III. ლიკედ „მოსვლა“ თავისი ძირითადი მნიშვნელობით იხმარება ყველა იმ სულიერის აღმნიშვნელ არსებითთან, რომელთა მოსვლაც რეალურად შესაძლებელია. მაგ.: **ვედნი** „მოვა“ – **მარე** „აღამიანი“, **ზურალ** „ქალი“, **ვან** „ხარი“, **მუშგური** „სტუმარი“, **თხერე** „მგელი“ და ა.შ., მაგრამ იგივე ზმნა ხშირად გამოიყენება შემდეგ შესიტყვებებში:

ხოლა კუჭი ლიწველ|ფისნარ კუჭი ლიწველ (ლშხ.) „გაბრაზება (ზედმიწ. – ცული კუჭ-ი{ს} მოსვლა|ფის-იან-ი კუჭ-ი მოსვლა)“, შდრ. ქართ. (გურ.) კუჭი მოუვიდა

‘ალ მეთხუიარს’ ხოლა კუჭი ოხვად (ლშხ., სვან. ქრესტ. 1978:283,26) „ეს მონადირე ძალიან გაბრაზდა („ამ მე-სა-თხევ-ლ-ე-ს ცული კუჭ-ი მოუვიდა“)

კესნარს ახვად ხოლა კუჭი (ლნტ., სვან. ქრესტ. 1978:311,15) „კეისარი ძალიან გაბრაზდა („კეისარ-ს მოუვიდა ცული კუჭ-ი“)

ფისნარ კუჭი ემვად (ლშხ.) „გული მომივიდა, გავვულისდი, ძალიან გავბრაზდი („ფის-იან-ი კუჭ-ი მომივიდა“);

გულ ვედნი (ზს., ლშხ.), გულ ვედნი (ლნტ.) „ხვდება (ზედმიწ. – გულ-ად მოვა)“

... ბაბა ბეჭა ... ჩიმი რაგანდს გულ ვედნი (ბქ., სვან. პრ. ტექსტ. 1957:197,7) „ბაბუა ბეჭა ყველას ლაპარაკს იგებდა („ბაბ-უა ბეჭა ყველას ლაპარაკს გულ-ად მოდიოდა“)

დადა ათხე ავად გულ, ერე ლგღროჟე ლასხ (ლშხ.) „ბებია ახლა მიხვდა, რომ მოტყუებული იყვნენ („ბებია ახლა მოვიდა გულ-ად, რომ მოღორ-ებ-ულ-ი იყვნენ“)

... ალეს ... იშკენ დარ ამეწველ გულ (ლნტ., სვან. პრ. ტექსტ. 1967:207,4) „ამას სხვა ვერავინ მიმხვდარა („ამას სხვა არავინ მოსულა გულ-ად“);

შდგქდ ლიწველ (ზს.) „ასაკში შესვლა, ვინმეს (ჩვეულებრივ მოხუცის) ასაკამდე მისვლა (ზედმიწ. – კბილად მოსვლა)“

მიშგუა შდგქდოლჟე ომწვედესი! (ბქ.), მიშგუა შდგქდუ ომწვედელხი! (ლშხ.) „ჩემს ასაკამდე მოგედწიოს („ჩემს კბილადმცა მოსულხარ!“);

შერობან ლიწველ (ჩბხ.) „მოლლა, მოქანცვა, დაშვრომა, მოთმინებიდან გამოსვლა; თავმოებზრებულობა (ზედმიწ. – მაშვრალ-ობ-ის მოსვლა)“

შერობ ამვად ალიმანგ ნანჭირ (ბქ.) „დავიქანცე ამდენი გაჭირვებით („მაშვრალ-ობ-ა მომივიდა ეს ყველა ნანჭირ-ვ-ები“);

ხოლა გუმი ლიწველ (ლშხ.) „გაბრაზება (ზედმიწ. – ცული გულ-ი{ს} მოსვლა)“

ალეს ხოლა გუ ოხვად (ლშხ., სვან. ქრესტ. 1978:248,15) „ეს ძალიან გაბრაზდა („ამას ცული გულ-ი მოუვიდა“);

ხოჩა ლირდემი ლიწველ (ლშხ.) „კარგი ცხოვრების გატარება (ზედმიწ. – კარგი ყოფი{ს} მიტანა)“

ალდარდ ... ხოჩა ლირდე ედვიდს (ლშხ., სვან. ქრესტ. 1978:282,1-3) „ამათმა კარგი ცხოვრება გაატარეს („ამეებმა კარგი ყოფა გაიტანეს“);

ხოჩა ლირდე-ლიზგემი ლიჯდე (ლნტ.) „კარგი ცხოვრების გატარება (ზედმიწ. — კარგი ყოფა-სახლობი{ს} მიტანა)“

ეჭ მარად ... ხოჩა ლირდე-ლიზგე ანჯიდ (ლნტ., სვან. ქრესტ. 1978:321, 7-8) „იმ კაცმა ბედნიერი ცხოვრება გაატარა („იმ კაცმა კარგი ყოფა-სახლობა გადაინადა“)“;

დეცე ნაკუთიში გიმდ ლიჯედ (ბქ.) „კოკისპირულ წვიმა, თავსხმა, დელგმა (ზედმიწ. — ც-ის ნატეხის მიწად მოსვლა)“

დეცე ნაკუთიში გიმდ ანჯად (ბქ., სვან. პრ. ტექსტ. 1957:154,24-25) „კოკისპირულად იწვიმა („ც-ის ნატეხი მიწად მოვიდა“)“;

ჭიდ ლიჯედ (ბქ.) „გაზრდა (ზედმიწ. — მოსწრებად მოსვლა)“

ჭიდ ნომოჟ ომკედეხი! (ბქ.) „არ გაზრდილიყავი („მოსწრებად ნუ-არ-მცა მოსულხარ!“)“;

თანახმას ლიჯედ (ზს.) „დათანხმება (ზედმიწ. — თანახმა-ს მოსვლა)“

ხელწიფხ თანახმას ანჯად (ბზ., სვან. ქრესტ. 1978:169,4-5) „ხელმწიფე დათანხმდა („ხელმწიფე თანახმა-ს მოვიდა“)“

... აშხუნლო თანახმას ჯედნის 'ალაძარ' (ბქ., სვან. ქრესტ. 1978:174,31) „რალაც დროის შემდეგ ესენი თანხმდებიან („ერთის მერე თანახმა-ს მოდიან ესენი“)“

ჭყინტ თანახმა ანჯად (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978, 339:10) „ბიჭი დათანხმდა („ბიჭი თანახმა-ს მოვიდა“)“ და მრავ. სხვ.

ცხადია, ვერც ანჯად „მოვიდა“ ზმნა დაუკავშირდება სვანურში ყველა სინონიმურ და სემანტიკურად ახლოს მდგომ სიტყვებს, თუმცა დროთა განმავლობაში შესაძლოა უფრო გაფართოვდეს აღნიშნულ ზმნათა ხმარების რადიუსი.

IV. ლიცტურე „დატოვება, მიტოვება“ თავისი ძირითადი მნიშვნელობით იხმარება ყველა იმ საგანთა აღმნიშვნელ არსებითთან, რომელთა მიტოვება თუ დატოვება რეალურად შესაძლებელია. მაგ.: ცვირე „ტოვებს“ — ხეხტს „ცოლს“, ჟოჯანხს „ოჯახს“, ქალაქს „ქალაქს“, ჭაშს „ქმარს“, ბეფშტს „ბავშვს“ და ა.შ., მაგრამ იგივე ზმნა გამოიყენება შემდეგ შესიტყვებებში:

ქტინი ლიცტურე (ბზ., ქს.), ქტინიში ლიცტურე (ბქ.) „გადარჩენა, თავის რჩენა (ზედმიწ. — სული{ს} {და}რჩენა)“

... თხნრემ ხაქჟუ 'თანთხნრინლს': „მიჩ ესერ მიჩემდ ქტინ ოტცჟინრა, ეჩრ მპგინრს ესერ ღალ იმ ხაჩომდა ჯა“ (ბზ., სვან. ქრესტ. 1978:155,6-7) „მგელმა უთხრა თანთხერინლს: „შენ რომ მე გადამარჩინეო, იმის სამაგიეროს მე რას გაგიკეთებდიო („მასო მისთვის სული დაუტოვებია, იმის მაგიერ-ს-ო-ღა რას უ-ქმ-ოდ-ა თვითონ“)“

ეხუნდ ხექჟუ 'ჭაშს', ერე „... ხოშა დენა მოსამსახურდ ლოქ ხაყა ეშხუ მეზგას ი ... ეშხუ დიარს ლოქ ხაჟდის, ეჩოჟუ ჯე ლოქ იცტურე ქტინს“

(ლნტ., სვან. ქრესტ. 1978:323,33-35) „ცოლმა უთხრა ქმარს, რომ „უფროსი გოგო მოსამსახურედ ჰყავსო ერთ ოჯახს და ერთ პურს აძლევენო, იმითი მე ვირჩენო თავს („ცოლმა უთხრა ქმარს, რომ „დიდი გოგო მოსამსახურე-დ-ო ჰყავს ერთ მოსახლეს და ერთ პურსო აძლევენ, იმით თვითონო იტოვებს სულს“)“;

ყაბან ნაოსნაჲ ლიცურე (ბზ.) „ცხვირ-პირის ჩამოხოკვა მწუხარებისგან (ზედმიწ. – ყბ-ი{ს} ნა-თეს-ავ-ი{ს} ტოვება)“

... **ყაბან ნაოსნაჲს დემის იცურე** (ბზ., სვან. ქრესტ. 1978:46,3-4) „ჩამო-ინოკავს ყველაფერს („ყბ-ი{ს} ნა-თეს-ავ-ს არ იტოვებს“)“...

V. ლიტხე||ლიტხე „დაბრუნება“ თავისი ძირითადი მნიშვნელობით იხმა-რება ყველა იმ საგანთა აღმნიშვნელ არსებით სახელთან, რომელთა დაბრუ-ნება რეალურად შესაძლებელია. მაგ.: **ლახტიხ** „დაუბრუნა“ – **ფჷირ** „ძროხა“, **ბერგ** „თოხი“, **გადან** „ვალი“, **ლაჷნი** „ნიჩაბი“, **პასუხჷ** „პასუხი“ და ა.შ., მაგრამ იგივე ზმნა გვხვდება შემდეგ შესიტყვებებში:

ლქქილ-ბქდილს ლიტხე (ბზ.) „ძველი გაჭირვებული ცხოვრების დაბ-რუნება, კვლავ სიღარიბეში ჩავარდნა (ზედმიწ. – გაჭირვებას დაბრუნება)“

... **მალ ჩჷადგან ი ტტარ გიერგილ ჯჷინელ ლქქილ-ბქდილს ლანტან** **ი ლგმზერჷჷ ხიშდ!** (ბზ., სვან. პრ. ტექსტ. 1939:321,34-36) „მელია მოკვდა და ღარიბი გიერგილი ძველ გაჭირვებას დაუბრუნდა და დალოცვილები იყავით („მელ-ია მოკვდა და ნაცრიანი გიერგ-ილ-ი ძველ გაჭირვებას დაუბრუნდა და დალოცვილიმცა ხართ!“)“

ჟანმზრალე მალდ: „**ჰჷ, ძაღო, ჰე იმჷი მოდ ლამღჷნენს სან, ღო ჯჷინელ ლქქილ-ბქდილსჷ ლახტეხა!**“ (ბზ., სვან. პრ. ტექსტ. 1939:321,30-33) „მელიამ დაილოცა: „ჰე, აბა, თუ საკადრისი არ მომიზღო, მაშინ ძველ სიღარიბეს დაბრუნებოდეთ („დაილოცა მელ-ია-მ: „ჰე, აბა, ჰე როგორ არ მომეცეს სანე, მერე ძველ გაჭირვებასამც დაბრუნებია!“)“;

კკი ლიტხე (ბზ.), **კკიშ||კკკშ ლიტხე** (ბქ.) „პასუხის დაბრუნება (ზედმიწ. – კრინტის დაბრუნება)“

ხოშა ლახუბად კკ მალ ლახტიხს (ბზ., სვან. ქრესტ. 1978:171,35-36) „უფროსმა ძმებმა კრინტი არ დაძრეს („დიდმა ძმებმა კრინტი არ დაუბრუ-ნეს“)“;

კკკ დან ლოხტიხან (ბქ., სვან. ქრესტ. 1978:207,25) „პასუხი არავის დაუბრუნებია („კრინტი არავის დაუბრუნებიათ“)“;

ბაჷთე ლიტხე (ბქ.) „გონს მოსვლა (ზედმიწ. – გონებ{ის}კენ დაბრუ-ნება)“

დინა ეზერ ხანუნდო ბაჷთანტახ (ბქ.) „გოგო კარგა ხნის შემდეგ გონს მოვიდა („გოგო კარგა ხნ-ის მერე გონებ{ის}კენ დაბრუნდა“)“;

ქუნემ ლიტხე (ბქ.) „გაცოცხლება (ზედმიწ. – სულის დაბრუნება)“

...შაურდენს ხოქუა: „...მიჩა ჟაგანარ ესეროჲ ადიხს ი ქუინს ესერ ლახტიხს“ (ბქ., სვან. ქრესტ. 1978:228,1-2) „შევარდენს უთქვამს: „ჩემი წამალი წაიღეთო და გაცოცხლებთო („შევარდენს-ს უთქვამს: „მისი წამალი-ომცა წაიღეს და სულსო დაუბრუნებენ“)“;

მწჷდგრიშ ლიტხე (ბქ.) „გადაფიქრება (ზედმიწ. – სინანულის დაბრუნება)“

„დაჟითოს მწჷდგრ ოხტანს“ (ბქ., სვან. პრ. ტექსტ. 1957:116,11) „დავითმა გადაიფიქრა|ინანა („დავით-ს სინანული დაუბრუნდა“)“ და ა.შ.

VI. ლიყერ „დარტყმა, გალახვა, ცემა“ თავისი ძირითადი მნიშვნელობით იხმარება ყველა იმ საგანთა აღმნიშვნელ არსებით სახელთან, რომელთა გალახვა, ცემა, დარტყმა რეალურად შესაძლებელია. მაგ.: ხაჯიდ „დარტყა“ – ბეფშუხს „ბავშვს“, ღუნს „ხბოს“, დინას „გოგოს“, თხუმი „თავი“ და სხვ., მაგრამ იგივე ზმნა დასტურდება შემდეგ შესიტყვებებში:

შუჷბიშ ლიყერ (ბქ.) „მოსვენება, დაწყნარება (ზედმიწ. – შვებ-ის რტყმა)“

მის ხოქ ა: „... ეჩქანსი ესერ ჰერსკნს ადგარი ი გაჟიშ ჰაჰგლდისგ'ესერ მ'ახხუიღეს, ეჯი ხოჩამლოჲ აშხუინს ი სერ შუჷბ გაროჲ იყირ“ (ბქ., სვან. ქრესტ. 1978:207,37-39) „ამას უთქვამს: „ცოტა მოშორებით არჩვს მოკლავო და გავის თირკმელში რასაც იპოვი, ის კარგად შეინახეო და დაწყნარდო („ამას უთქვამს: „ცოტა მოშორებითო არჩვს მოკლავს და გავ-ის ჰაჰ-უკა-ში-ო რა ეპოვოს, ის კარგადმცა შეინახა და მეტი შვებ-ა მხოლოდმცა ირტყა“)“;

ყითიშ ლიყერ (ბქ.) „ქალების ერთობლივი დატირება (ზედმიწ. – ბანის| მოძახილის რტყმა)“

მერმე ხეხუნარ ეჯშელდგნ ყითს ხოყერხ (ბქ., სვან. ქრესტ. 1978:182,20-21) „სხვა ქალები იმდენჯერ ერთობლივად წამოიტირებენ („მე-ორ-ე ცოლები იმრიცხვჯერ ბანს ურტყამენ“)“;

ჰგშხემ ჰგშხუი ლიყერ (ბქ.) „კვალდაკვალ მიყოლა (ზედმიწ. – ფეხის ფეხზე რტყმა)“

ჰიშხს ჰიშხუი მატყცი ბეფშუჲ, ჰა დემ მაქჷთუნალნე (ბქ.) „ბავშვი სულ უკან დამდევს, განძრევის საშუალებას არ მამდევს („ფეხს ფეხზე მირტყამს ბავშვ-ი, არ მამოდრავებს“)“;


ნეჰჰარე უშხუარ ლიყერ (ბქ.) „განრისხება, გაწყრომა, გაბრაზება, დანალვლიანება (ზედმიწ. – წარბების ერთმანეთს რტყმა)“, შდრ. ქართ. კოპების შეკვრა

ჩილად უშხუარ ლეყირ ხარ ნეჰჰარ ალის (ბქ.) „მუდამ წარბშეკრულია („ყოველთვის ერთმანეთს ნარტყამი აქვს წარბები ამას“)“ და ა.შ.

მსგავსი წარმოებისაა, აგრეთვე, შემდეგი ზმნები: **ლიპიჭუტი** „ზელა“, რომელიც თავისი ძირითადი მნიშვნელობით იხმარება ყველა იმ საგანთა აღმნიშვნელ არსებით სახელთან, რომელთა *ძოზელა*, *დაზელა* რეალურად შესაძლებელია. მაგ.: **პჭუტი** „ზელს“ – **ვიცს** „ცომს“, **ტუფს** „ტყავს“, **ლებიას** „ლობოს“ და სხვ., მაგრამ იგივე ზმნა დასტურდება შემდეგ შესიტყვებებში: **ამბაჭუტი** **ლიპიჭუტი** (ბზ.) „გადახარშვა, აწონ-დაწონა (ზედმიწ. – ამბ-იქს დაზელვა)“; **ლიქუცი** „ჭრა, გაწყვეტა“, რომელიც თავისი ძირითადი მნიშვნელობით იხმარება ყველა იმ საგანთა აღმნიშვნელ არსებით სახელთან, რომელთა *ჭრა*, *გაწყვეტა* რეალურად შესაძლებელია. მაგ.: **ქუცი** „ჭრის“ – **თაქუს** „თოკს“, **მეგემს** „ხეს, მორს“, **დჰარს** „პურს“, მაგრამ იგივე ზმნა იხმარება შემდეგ შესიტყვებებში: **ქუნე** **ლიქუცი** (ბზ.) „სიცოცხლის დასრულება, სიკვდილი (ზედმიწ. – სულიქს წყვეტა)“; **ლიჭუდი** „მიცემა“, მაგრამ **გუმი** **ლიჭუდი** (ზს.) „ყურადღების მიქცევა, ყურადღებით დაკვირვება (ზედმიწ. – გულ-იქს მიცემა)“; **ლიდესგი** „დება“, მაგრამ **ბაქი** **ლიდესგი** (ბზ.), **ბაქა** **ლიდესგი** (ზს.) „ცილისწამება; ბაქიბუქი, კვეხნა, ტრაბახი (ზედმიწ. – ტყუილიქს დება)“, **გუხოლანშ** **ლიდესგი** (ბქ.) „დამღურება, გაბუტვა (ზედმიწ. – გულ-ცუდის დება)“, **ხოლა** **გუმი** **ლიდესგი** (ბქ.) „გულის არევა (ზედმიწ. – ცუდი გული-იქს დ-ებ-ა“) და მისთ.

ვფიქრობთ, მსგავსი ზმნების სრულად აღწერა და სემანტიკური შესაძლებლობის მიხედვით დაჯგუფება მეტად საინტერესო იქნება სვანური ფრაზეოლოგიზმების სრულფასოვანი შესწავლისათვის.

ა. თაყაიშვილს მონოგრაფიაში „ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები“ ნიმუშად მოჰყავს შემდეგი მაგალითები: *გატეხა* და *შეიტანა*. ზმნა *გატეხა*, მისი აზრით, თავისი ძირითადი მნიშვნელობით იხმარება ყველა იმ საგანთა აღმნიშვნელ არსებითთან, რომელთა *გატეხაც* რეალურად შესაძლებელია, მაგ.: *გაუტყდა* – *ჭიქა*, *თეფში*, *თავი*, *მანქანა*, კალამი ... ასევე *შეიტანა* ზმნა უკავშირდება ყველა იმ საგანს, რომლის *შეტანაც* მოსახერხებელია: *შეიტანა* – *ფული*, *განცხადება*, *ლოგინი*, *თოფი* და ა.შ., მაგრამ იგივე *გატეხა* ზმნა შესიტყვებებში: *სახელი* *გაუტყდა*, *ძილი* *გაუტყდა*, *ფიცი* *გატეხა*, *პირობა* *გატეხა* აღარ იხმარება პირდაპირი მნიშვნელობით, ანუ მას მიღებული აქვს *წახედენის*, *მოშლის* ელფერი. ასევე *შეიტანა* ზმნა კონტექსტში: *ეჭვი*, *ხალისი*, *გარდატეხა*, *გამოცოცხლება*, *არეგ-დარევა* – *შეიტანა* თავისებური ნიუანსის მატარებელია (თაყაიშვილი 1961:69). რადგანაც ენები განსხვავებული არიან სიტყვათშეკავშირების კანონებით, აქედან გამომდინარე, საინტერესოდ მივიჩნით ქართულის იდენტური სვანური ზმნების – *ჩუათკუშურე* და *სგ'ადიე* სიტყვათა კავშირების დადგენა.



როგორც ვხედავთ, სვანური ჩ'ოთკუაშ „გაუტყდა“ ზმნის მნიშვნელობა არათავისუფალია, იგი არ უკავშირდება ყველა სინონიმურ და სემანტიკურად ახლოს მდგომ სიტყვებს. უფრო მეტიც, სვანურში, ქართულისგან განსხვავებით, აღნიშნული ზმნის არათავისუფალი მნიშვნელობა კიდევ უფრო შეზღუდულია, თუმცა რაიმე კონკრეტული საფუძველი ამ შეზღუდვისათვის არ არსებობს. როგორც ა. თაყაიშვილი აღნიშნავს: „სიტყვათა კავშირებს ზღუდავს არა საგნობრივი მიმართებანი, არამედ კომპონენტთა სემანტიკური თავისებურებანი და სიტყვიერ მნიშვნელობათა კავშირის კანონები. ეს ფრაზეოლოგიური კონტექსტები ჩამოყალიბებულია საუკუნეთა მანძილზე და ასეა დღემდე მოღწეული. ამიტომ შემაფერხებელ ფაქტორად მოქმედებს აგრეთვე სიტყვათხმარების ტრადიციის კანონიც“ (თაყაიშვილი 1961:69-70), რაზეც ჯერ კიდევ ფერდინანდ დე სოსიური მიუთითებდა: „არის ქცევები, რომელთა იმპროვიზაცია არ შეიძლება, ისინი მზამზარეულადაა გადმოცემული ტრადიციით“. სწორედ ამ მზამზარეულად გადმოცემული ტრადიციის შედეგია ისეთი სვანური იდიომატური გამონათქვამები, როგორიცაა: **ფრანგდ ლგ** (ბქ.) სწრაფია, მარჯვეა (ზედმიწ. – **ფრანგ-ად დგ-ა-ს**)“, **სარკდ ლგ** (ბქ.) „გასუფთავებულია, გაწმენდილია, გაკრიალებულია (ზედმიწ. – **სარკე-დ დგ-ა-ს**)“, **ცხნდ ლგ** (ბქ.) „გავარვარებულია, სიცხე აქვს (ზედმიწ. – **ნაკვერცხლად დგ-ა-ს**)“, **აბანო ხაყერხ** (ლშხ.) „დაბანეს (ზედმიწ. – **აბანო დამართეს**)“, **ფაქარდ ლგ** (ლშხ.) „გამრჯეა, ძალიან სწრაფია, დაუზარებელია (ზედმიწ. – **ფეიქრ-ად დგ-ა-ს**)“, **ფინდიხდ ლგ** (ბზ.), **ფინთიხდ ლგ** (ბქ., ლნტ., ლშხ.) „სწრაფია, დაუდეგარია, მარჯვეა (ზედმიწ. – **ფინდიხ-ად დგ-ა-ს**)“, **ძალა ლიყრინე** (ლშხ.) „დაძალება (ზედმიწ. – **ძალ-{ის} დამართება**)“, **ბიზიკდ ლგ** (ბზ.) „ჩქარია, მოხერხებულია, ყოჩაღია (ზედმიწ. – **ბზიკ-ად დგ-ა-ს**)“ და ა.შ. აღნიშნული ფრაზეოლოგიური ერთეულები მიჩნეულია საკუთრივ სვანურ ფრაზეოლოგიურ ერთეულებად, რომელთაც არა აქვთ ადეკვატური პარალელები ქართულში. მათი გამომსახველობითი ეკვივალენტის ვარიირება კი, ძირითადად, შესაძლებელია კონტექსტის მიხედვით (საღლიანი 2011:232).

ის, რომ ენები განსხვავებული არიან სიტყვათკავშირების კანონებით, ჩვენ მიერ ზემოთ განხილული მაგალითებიდანაც კარგად ჩანს. სვანურში გარკვეული სიტყვის ირგვლივ შექმნილ ფრაზეოლოგიურ შესიტყვებებს მოძმე ქართულ ენაში, ხშირ შემთხვევაში, არ გააჩნია რიცხობრივად ტოლი პარალელები. როდესაც არამონათესავე ენებს შორის ხდება შედარება, ეს გარკვეულ კითხვებს იმდენად არ აჩენს, მაგრამ როდესაც მონათესავე ენათა სიტყვათკავშირებს შორის ასეთი შესამჩნევი და განსხვავებული სხვაობაა, ეს უკვე გასაკვირია და, ჩვენი აზრით, უფრო სიღრმისეულ კვლევას მოითხოვს. მაგალითად, სვანურში არ გვხვდება ქართული *სიხარულმა შემიპყრო* ან *სიხარულმა აღმიტაცა*-ს სრული ადეკვატური პარალელები, თუმცა სვანურში სიხარულის გამომხატველი უამრავი ფრაზეოლოგიური ერთეული დასტურდება: **ვან ხობ გუდსგა** (ზს.) „ღიდ სიხარულს განიცდის, აღფრთოვანებულია, სიხარულით ცას ეწევა (ზედმიწ. – ხარ-ი უ-ბ-ი-ა გულ-ში)“, **გუმიმი ქა ლინარჰე** (ბქ.) „კარგ ხასიათზე დადგომა, გახარება (ზედმიწ. – გულ-ი{ს} განათება)“, **მანადჷჷ ჰგუშ დემეგ ხაგანხ** (ბქ.) „სიხარულისგან ფეხზე ძლივს იდგნენ (ზედმიწ. – სი-ხად-ულ-ი-თ ფეხ{ს} არ ე-დგ-ნენ)“ და სხვ. ამ რამდენიმე მაგალითიდანაც ნათლად ჩანს გამოთქმისადმი ამა თუ იმ ერის შემოქმედებითი დამოკიდებულება, რასაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სწორედ უძველეს ქართველურ ენებში.

როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, არა მხოლოდ ენებს შორისაა განსხვავება სიტყვათა შეკავშირების მხრივ, არამედ ერთი ენის ფარგლებში, მის სხვადასხვა ეტაპებს შორისაც, რაზეც მეტყველებს სვანური ენის დიალექტებს შორის არსებული სხვაობაც.¹

ლიტერატურა

თაყაიშვილი 1961: ა. თაყაიშვილი, *ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები*, თბილისი.
საღლიანი 2011: მ. საღლიანი, *სვანური ენისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური იდიომები ანუ იდიომური ლაკუნები*, საენათმეცნიერო ძიებანი, XXXIII, თბილისი.

ლექსიკონები

დონდუა 2001: კ. დონდუა, *სვანურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი*, თბილისი.
თოფურია, ქალღანი 2000: ვ. თოფურია, მ. ქალღანი, *სვანური ლექსიკონი*, თბილისი.
ლიპარტელიანი 1994: ა. ლიპარტელიანი, *სვანურ-ქართული ლექსიკონი*, თბილისი.
ნიჟარაძე 2007: ბ. ნიჟარაძე, *ქართულ-სვანურ-რუსული ლექსიკონი*, თბილისი.

წყაროები

სვან. პროზ. ტექსტ. 1939: *სვანური პროზაული ტექსტები, I*, ბალსზემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა.შანიძემ და ვ. თოფურიამ, თბილისი.

¹ ამის შესახებ სხვა სტატიაში გვექნება საუბარი.

- სვან. პროზ. ტექსტ. 1957.* სვანური პროზაული ტექსტები, II, ბალსქვემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. დავითიანმა, ვ. თოფურიამ და მ. ქალდანმა, თბილისი.
- სვან. პროზ. ტექსტ. 1967.* სვანური პროზაული ტექსტები, III, ლენტეხური კილო, ტექსტები შეკრიბეს და რედაქცია გაუკეთეს ვ. თოფურიამ და მ. ქალდანმა, თბილისი.
- სვან. პროზ. ტექსტ. 1979.* სვანური პროზაული ტექსტები, IV, ლაშხური კილო, ტექსტები შეკრიბეს არ. ონიანმა, მ. ქალდანმა და ალ. ონიანმა, რედაქცია გაუკეთეს მ. ქალდანმა და ალ. ონიანმა, თბილისი.
- სვან. ქრესტ. 1978.* სვანური ენის ქრესტომათია, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ, მ. ქალდანმა და ზ. ჭუმბურიძემ, თბილისი.

Medea Saghiani

Word Connections in Svan Phraseological Expressions

Summary

In Svan, as well as in Georgian, can be found such word connections in which the meaning of words is closed in strictly defined phraseological environment. However, from this point of view, there is no resemblance between Georgian and Svan word connections, and it is not surprising because there is a difference not only between languages, but also within a single language among various stages of its development.

The presented paper studies and analyses the main verbs used in Svan phraseological units. These verbs are grouped according to their semantic possibilities. Observation of the above-mentioned materials showed that in Svan the phraseological units created around a definite word often do not have the same number of equivalent expressions in Georgian. When a comparison is made between non-kindred languages, it does not raise questions. However when there is such a noticeable difference between the word connections of kindred languages, it is surprising and, in our opinion, requires more in-depth research.

მანია სახოკია

ქართული ერგატივის ტიპოლოგიისთვის

(შემაჯამებელი მოსაზრებები)

ქართული და ზოგადად ქართველური ერგატიული კონსტრუქციების შესახებ ტიპოლოგიური ანალიზის შედეგად ჩვენ მიერ აღრევე ჩამოყალიბებული დებულებები (სახოკია 1985, 1998 I, 2007 და სხვ.), დიდწილად დასტურდება ბოლო რამდენიმე ათწლეულში ქართველური ენების შედარებით-ისტორიული კვლევებითაც და სხვა სპეციალისტთა ნაშრომებში გამოთქმული მოსაზრებებით (ონიანი 1987, 1989; ნებიერიძე 1986, 1987, 1989; მელიქიშვილი 2000, 2001, 2002, 2011; ასათიანი 1987, 1994, 1996; მელიქიშვილი, ასათიანი 1988; ფოცხნიშვილი 1985; ჩანტლაძე 1998; სუხიშვილი 1986; შმიდტი 1989; ტუიტი 1988; ჩიქობავა 1984, 1989 და სხვ.). ეს გარემოება გვაძლევს საშუალებას კიდევ უფრო თამამად და აქცენტირებულად, კვლავ გამოვიტანოთ ძირითადი რიგის დასკვნები და შევაფასოთ სხვადასხვა ქართველოლოგთა შედეგობრივი მონაცემები სწორედ ტიპოლოგიური პარამეტრების გათვალისწინებით, – აქ პირველ რიგში იგულისხმება გარკვეული ინდოევროპული და ქართული მორფოსინტაქსური კონსტრუქციების ტიპოლოგიური შეპირისპირების შედეგები. მათ შორისაა, ინდურ-ირანული ერგატიული თუ ერგატივისებური კონსტრუქციები, აგრეთვე სომხურის, ბალტურ-სლავური და სხვა ენების მონაცემები, რომელიც ყოველთვის არ არის ტერმინოლოგიურად კოდიფიცირებული. აღრინდელი დებულებების განახლებული და კვლავ შეფასებული იე/ქვ შეპირისპირებადი მორფოსინტაქსემების კვალიფიკაციები ქვ-ერგატივის ტიპოლოგიის თვალსაზრისით, შეიცავს შემდეგ ძირითად პუნქტებს:

ერგატიული კონსტრუქციის აუცილებელი და საკმარისი მთავარი უნივერსალური ნიშანი **ირიბი** აგენსური სუბიექტია, რომლის ფორმა განისაზღვრება რომელიმე ირიბი (შეთავსებადი) ბრუნვით ან აფიქსით, კლიტიკით თუ პირის მარკერთა სისტემით. დანარჩენი ნიშნების (მაგ., ობიექტური შეთანხმება, ობიექტის ფორმები და სხვა) *დარღვევა* მეორეხარისხოვანია და ქმნის **კონტრასტული** ერგატიულობის ვარიანტებს, რაც შეიძლება *გაყოფილი* ან *შერეული* ერგატიულობის კუთვნილებაც იყოს (მაგ., სუბიექტური პირის მარკერი ზმნაში, სუბიექტური შეთანხმება კოპულა-ზმნაში, ლოგიკური ობიექტის აკუზატიური ფაკულტატიური გაფორმება და სხვა მისთ.) (იხ. სახოკია 1985, 1998, 2007).

ქართული (იგივე ქართველური) მესამე სერიის ერგატივიზებული პერფექტული ფორმები (მეორეული ერგატივიზაცია) ნათლად აჩვენებენ მჭიდრო ტიპოლოგიურ მსგავსებას ირანული ენების კლიტიკურ ირიბსუბიექტურ მორფოსინტაქსებთან, სადაც აგენსური ირიბი სუბიექტი (ერგატივი) ნაცვალსახელური კლიტიკიდან წარმოქმნილი პრეფიქსური პირის მარკერია, ხოლო ობიექტური შეთანხმება გამოიხატება დამხმარე კოპულა-ზმნაში, რომელიც თავის მხრივ პირის ნიშნად გარდაიქმნება (შდრ.: მაჭავარიანი 1987; მელიქიშვილი 1991; ასათიანი 1987, 1996 და სხვა). ირანულ ენებში კლიტიკური მორფებით ნაწარმოებ ერგატივიზებულ მორფოსინტაქსებში გვაქვს კონტრასტული ვარიანტებიც (სახოკია 1998 I: 17-18, 59-60 (რეფ.); 1998 II: 252-260).

ქართული (ქართველური) მეორე სერიის აორისტული ერგატივები ზოგადად და ჰიპოთეტურად უნდა გულისხმობდეს უძველეს ირიბსუბიექტურ (შეთავსებადი ირიბი ბრუნვა) მორფოსინტაქსებს, რომელიც თანამედროვე ქართულში ნომინატიური კონსტრუქციის მიმართ *გაყოფილი* და *შერეული* (ანუ *კონტრასტული*) ნიშნების შემცველიცაა. ამ მოდელის **აღდგენადი ვარსკვლავური პროტოტიპი** გააზრებული გვაქვს დაახლოებით იმავე მორფოსინტაქსური უნივერსალური სტრუქტურის სახით, როგორც წარმოდგენილია სხვადასხვა ინდოევროპული ენების აღწერით ერგატივისებურ პერფექტულ მორფოსინტაქსებში (შეთავსებადი აგენსური ბრუნვებით: გენიტივი, დატივი, ინსტრუმენტალისი და სხვ.) (იხ. სახოკია 1998, 2000, 2007, 2008). **ირიბი შეთავსებადი ბრუნვის** დაშვების შესაძლებლობა **მოთხრობითი ბრუნვის** ინტერპრეტაციისთვის ყალიბდება ქართველური ენების მორფონოლოგია-მორფოსინტაქსის შედარებით-ისტორიულ კვლევებში (ონიანი 1989; შდრ.: მაჭავარიანი 1960; ტუიტი 1988:239; ჩიქობავა 1984:24; შმიდტი 1989:245-258; შმიდტი 1985:79-80, ჩანტლაძე 1998 და სხვა).

ქართველური (ქვ) ენების სხვადასხვა ერგატიული სტრუქტურების საერთო მორფონოლოგიურ-მორფოსინტაქსური პროტოტიპი არ არის ენობრივ მოცემულობაში. ყველა **ქართველური** ენისთვის სათითაოდ **სხვადასხვა მორფონოლოგიური ვარიანტი** გამოიყვანება. ამ ვარიანტებს შორის ყველაზე გამჭვირვალეა სვანური შეთავსებადი მოთხრობითი (ირიბი) ბრუნვების შემცველი მოდელები. ნიშანდობლივია აგრეთვე ქართული *ნ ფორმანტის კომპარატივისტული კოდიფიკაცია, როგორც ქვ მიცემითი (ირიბი) ბრუნვის მაჩვენებლისა. ამ ჭრილში განსახილველია აგრეთვე პირის ნაცვალსახელთა ირიბი ფორმების ელემენტი *ნ (მენა, შენა, ჩვენა, თქვენა), რომელიც ჩვენს ტიპოლოგიურ კონცეფციაში ქართული ერგატიული ჰიპოთეტურად რეკონსტრუირებადი მოდელის კუთვნილებად წარმოგვიდგენია, – ტიპი: ***მე-ნა (ვ)-კეთ-(ე)-ა; *მა-ნ კეთ-ნ-ა (მრ.რ.ობ.), და ა.შ. ამგვარი ტიპის სხვადასხვა ვარიანტებადაა წარმოსადგენი სხვა ქართველურ ენათა ერგატივებიც (ონიანი 1989:148, 150-151,

152, 163, 170; მელიქიშვილი, ასათიანი 1988; მელიქიშვილი 2000, 2001, 2011; ნებიერიძე 1986, 1987, 1989; ტუიტი 1988:239; შმიდტი 1985; შდრ. მარი 1925; გამყრელიძე, ივანოვი 1984:254-255; ილიჩ-სვიტიჩი 1971; ფოცხ-იშვილი 1985; ასათიანი 1987 II, 1989 და სხვა).

ახალქართულში გააქტიურებულია აღწერითი (ანალიტიკური) ერგატიული წყობის პერფექტები ორი ძირითადი ტიპის სახით: *ჩემი გაკეთებულია საქმე* და *გაკეთებული მაქვს საქმე*. ეს პერფექტული ქართული ენის დიაქრონიული ორგანული წარმონაქმნია ფლექსიის ფონზე, რასაც გააჩნია წმინდა ტიპოლოგიური პარალელები ინდოევროპული ენების მთელი დიაქრონიული დიაპაზონით (ირანული, სომხური, ბალტური, სლავური გენიტიურ-მიმდებარე პერფექტული ფორმები). ამგვარი დიაქრონიულ-ტიპოლოგიური სივრცე ადასტურებს ციკლურობას. ახალქართული აღწერითი პერფექტებიც მორფოსინტაქსური ცვლილებების (და არა განვითარების) დინამიკაში ფუნქციობს (სახოკია 1985:177-180, 1998 I:154-177, II:252-260, 2008:112-134; შდრ. ჭანიშვილი 1984; მაჭავარიანი 1983; ბოდერი 1980; ჰარისი 1979).

ამგვარადაა ჩამოყალიბებული ქართული ენის ერგატივის (ანუ *ირიბი* ბრუნვისა და შესაბამისი *ირიბი* სტუქტურის) ზოგადი ტიპოლოგია მისი დინამიკური ისტორიული (დიაქრონიული) მორფოსინტაქსური ცვალებადობის სხვადასხვა ენობრივი ღონეების (სიბრტყეების) წარმოჩენითა და საერთოქართველური ვითარებისა და აღდგენადი ასტერისკიანი სავარაუდო კონსტრუქციების, ანუ სინქრონიისა და რეტროსპექციის გათვალისწინებით. ძირითადი დიაქრონიული ღონეებია: 1. განზოგადოებული ასტერისკიანი მოდელი; 2. აორისტული მეორე სერიის მოდელი და სხვადასხვა ქართველური ენების სურათი; 3. მესამე სერიის მეორეული ერგატივი და სხვადასხვა ქართველური ენების სურათი; 4. ახალქართული აღწერითი პერფექტები და მათი ქართველური პარალელები.

ლიტერატურა

ასათიანი 1994: რ. ასათიანი, *ქართველურ ენათა ტიპოლოგიის საკითხები (გრამატიკულ კატეგორიათა სისტემაში დომინანტური კატეგორიის დადგენის თვალსაზრისით)*, თბილისი.

ასათიანი 1996: რ. ასათიანი, *ინვერსიის საკითხი ქართულში*, ანტონ I-ისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიის მასალები, თსუ, თბილისი.

ასათიანი 1987 I: რ. ასათიანი, *ძველი ქართული ენის მწკრივთა ანალიზი დიფერენციალურ-ბინარული სემანტიკური ნიშნებით*, აკ. შანიძის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიის მასალები, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, თბილისი.

ასათიანი 1987 II: რ. ასათიანი, *ზმნურ პრეფიქსულ ხმოვანთა ფუნქციონალური კვალიფიკაცია ქართველურ ენებში*, მაცნე, ელს, 192-204.

- ასათიანი 1989:** რ. ასათიანი, *კაუზაცია და კონტაქტი ქართველურ ენებში*, მაცნე, ელს, №1, 119-123
- ბოდერი 1980:** W. Boeder, “Haben” in den Kartwelsprachen, *Wege zur Universalien Forschung, Beitrage zur Linguistik*, Bd. 145, Tübingen, 207-218.
- გამყრელიძე, ივანოვი 1984:** Т. В. Гамкрелидзе, Вяч. Вс. Иванов, *Индоевропейский язык и индоевропейцы, т. 1-2*, Тбилиси (T. Gamkrelidze, V. Ivanov, *Indo-European and Indo-Europeans*, Mouton de Gr., 1995).
- ილიჩ-სვიტიჩი 1971:** В. М. Иллич-Свитыч, *Опыт сравнения ностратических языков, Сравнительный словарь, тт.1-2-3*, 1971-1976-1984.
- მარი 1925:** Н. Я. Марр, *Грамматика древнелитературного грузинского языка*, Лениниград.
- მაჭავარიანი 1960:** გ. მაჭავარიანი, *სვანური ბრუნების ერთი ტიპის გენეზისისათვის*, თსუ შრომები, №3, თბილისი.
- მაჭავარიანი 1983:** М. В. Мачавариани, *Статив, результатив, пассив и перфект в грузинском языке*, Типология результативных конструкций, Ленинград.
- მაჭავარიანი 1987:** მ. მაჭავარიანი, *ქცევის გრამატიკული კატეგორიის სემანტიკა*, თბილისი.
- მელიქიშვილი, ასათიანი 1988:** ი. მელიქიშვილი, რ. ასათიანი, *პოსესივი, პერფექტი და მეორეული ერგატივი*, წერილი მაია სახოკიას მონოგრაფიაზე, მაცნე, ელს, №3, 145-150.
- მელიქიშვილი 2002:** ი. მელიქიშვილი, *ქართველურ-ინდოევროპული გენეტიკური უთიერ-თმიმართების საკითხისათვის*, ენათმეცნიერების საკითხები, I, 34-54.
- მელიქიშვილი 2000:** ი. მელიქიშვილი, *საერთოქართველურ კუთვნილებით და პირის ნაცვალსახელთა სისტემა სიბილანტურ შესატყვისობათა თვალსაზრისით*, მ. ანდრონიკაშვილისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიას მასალები, თსუ-აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, თბილისი.
- მელიქიშვილი 2001:** ი. მელიქიშვილი, *სიბილანტურ შესატყვისობათა მესამე რიგი და პირველ და მეორე პირის ნაცვალსახელთა სისტემა ქართველურ ენებში*, ენათმეცნიერების საკითხები, 3, თბილისი, 40-55.
- მელიქიშვილი 2011:** ი. მელიქიშვილი, *მეორეული ერგატივი ქართველურ ენებში საერთოქართველურთან მიმართებით*, გ. ახვლედიანისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია, მასალები, თსუ, თბილისი.
- მელიქიშვილი 1991:** И. Г. Меликишвили, *Перфект в картвельском и индоевропейском, Историческая лингвистика и типология*, Посв. Т. В. Гамкрелидзе, Москва, 127-135.
- ნებიერიძე 1987:** გ. ნებიერიძე, *არსებობს თუ არა ერგატიული კონსტრუქცია ქართველურ ენებში*, მაცნე, ელს, 3, თბილისი, 177-191.
- ნებიერიძე 1988:** გ. ნებიერიძე, *როგორი სისტემა უნდა აღდგეს ქართველურ ფუძე-ენაში – ერგატიული თუ ნომინატიური*, მაცნე, ელს, 2, თბილისი, 83-94.
- ნებიერიძე 1986:** G. Nebieridze, *Über die Dativ und Ergativ Konstruktion im Georgischen*, Georgica, h. 9, Jena-Tbilisi, 20-27.

- ონიანი 1987:** ალ. ონიანი, *ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები*, თბილისი.
- ონიანი 1989:** ალ. ონიანი, *ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები*, თბილისი.
- სახოკია 1985:** М. М. Сахокия, *Посессивность, переходность и эргативность, Сопоставительный анализ древнеперсидских, древнеармянских и древнегрузинских конструкций*, Тбилиси.
- სახოკია 1998 I:** მ. სახოკია, *დიაქრონიული ტიპოლოგია მორფოსინტაქსში: ინდოევროპული/ქართველური*, სადოქტორო დისერტაცია და ავტორეფერატი, თბილისი.; М. М. Сахокия, *Диакроническая типология в морфосинтаксисе индоевропейских и картвельских языков*, Автореферат докторской диссертации. Тбилиси.
- სახოკია 2007:** მ. სახოკია, *შრომები*, 1, თბილისი.; M.Sakhokia, *Selected Studies*. Tbilisi.
- სახოკია 1998 II:** M. Sakhokia, *Diachronic Typology and Deep-Reconstructions in Morpho-Syntax: Logic of Language*, Proceedings of the second Tbilisi Symposium on Language, Logic and Computation, ed. R. Cooper, Th. Gamkrelidze, Tbilisi, 252-260.
- სახოკია 2002:** M. Sakhokia, *New Analytical Perfects of Modern Georgian to Computeral Descriptions*, Proceedings IV Symp. LLC, Amsterdam-Tbilisi, 15pp.
- სახოკია 2008:** მ. სახოკია, *ახალქართული აღწერითი პერფექტების დიაქრონიული ტიპოლოგიური ანალიზი: აღწერითი პარადიგმა, ენათმეცნიერების საკითხები*, II, თბილისი, 112-135.
- სახოკია 2000:** *სემანტიკური ფაქტორები და გრამატიკული არგუმენტები მორფოსინტაქსში*, ტიპოლოგიური ძიებანი, IV, მიძღვნ. ვლ. ახვლედიანს, თბილისი, 361-379.
- სუხიშვილი 1986:** მ. სუხიშვილი, *ვარდამავალი ზმნები ქართულში, სისტემისა და ისტორიის ზოგი საკითხი*, თბილისი.
- ტუიტი 1988:** K. T. Tuite, *Number Agreement in Georgian*, Dissertation, Chicago.
- ფოცხიშვილი 1985:** ალ. ფოცხიშვილი, *პირისა და კითხვითი ნაცვალსახელების ბრუნების საკითხები თანამედროვე ქართულში*, მაცნე №4, 107-121.
- შმიდტი 1983:** K. H. Schmidt, *Kaukasische Typologie des Hilfsmittel fur die Rekonstruktion des Vorindogermanischen*, Innsbruck.
- შმიდტი 1989:** K. H. Schmidt, *Die Kartvelischen Sprachen Genetisch und typologisch gegehen*, KZ, B. 102, H. 2, Gottingen, 245-258.
- შმიდტი 1985:** K. H. Schmidt, *Aspekt und tempus im Altgeorgischen*, Annual of Ibero-Caucasian Linguistics, XII, Tbilisi (იკე, 12, თბილისი), 79-90.
- ჩანტლაძე 1998:** ი. ჩანტლაძე, *ქართველოლოგიური ძიებანი*, თბილისი.
- ჩიკობავა 1984:** А. Чикобава, *Грузинский язык*, Ежегодник ИКЯ, XI, Тбилиси, 9-36.
- ჭანიშვილი 1981:** Н.Чанишвили, *Падеж и глагольные категории в грузинском предложении*, Москва.
- ჰარისი 1979:** A. Harris, *Retired Term Marking in Old Georgian*, The Elements: A Parassession on Linguistic Units and Levels. Papers from the Conf. in Non-Slavic Languages, Chicago, 377-389.

Georgian Ergative Typology

(Final Suppositions)

Summary

The Georgian Ergative Typology (GET) represented here is based on the principles of Diachronic Partial typological comparison of multiple Indo-European (IE) and Kartvelian (K) Languages. Such a comparison shows a relevancy to Deep-Morphosyntactical and Morphological Reconstructions including some Georgian (G) and common-K surface structures called Ergative and Inverted Perfects (Secondary Ergativity) (Sakhokia 1985, 2007, 1998, etc.). The final view on those constructions in the light of typology is as follows:

The inflected G and common-K perfective forms (the III series) are more closely identical with Iranian (namely, Middle Persian-MdP) ergative perfect surface structures. These taxemes show the model identical with K inverted perfective forms: **S dat Agent Obl Enclitics (Oid>S Obl) + Vstem (=Part. Or masdar) + V esse (copula or morpheme as cop.) + O nom (S gramm>Od)**. Cp.: G.: m-cam-i-a/ MdP. M-xward-(hast), the meaning of both is “to-me-eat(en)-is”= “I have eaten”; MdP. ka-šan ašnut, u-š framut, u-m pursid “they have heard, he has commanded, I have asked”; G. m-smen-i-a, m-i-brzan-eb-i-a, m-i-kitx-av-s “I have heard, I have commanded, I have asked”. In my opinion, the s.c. inverted ergative perfective possessive transitive K forms are a result of the process similar to the development **clitics>morphes** in Indo-Iranian Languages, namely, in Persian (P). There is a Dichotomy in both IE and K in the arrangement of personal markers for transitive/intransitive taxemes: **clitics>morphes** (transit.), **copula>morphe** (intrans.) by intersection and contamination with the copula. Thus, the enclitical P morphosyntactic clusters seem to be of great importance for the explanation of the objective inverted G forms belonging to different semantic groups. The ways of evolution of personal markers may be the same in G (K) as in P: ***pronouns>clitics>morphes>personal markers; *verb “to be”>copula>morphes>personal markers. *m(e)mi-cam-i-a “I have eaten’**.

In both IE (Iran.) and G. there are surface morphosyntactic constructions which may be called the contrastive ergatives. (CERG). Generally, two variants of CERG are singled out: a) nota accusativi for Od >S gramm and b) the Subject-Verb Agreement in spite of S erg=S obl. The MdP model is man (gen) kart (verb stem=part.past.pass.) ham (S nominative-verb agreement) “I have done”. The G CERG taxemes are restored by me as ***me-na [v]-ket-a-e, *se-na ket-a-e, *ma-n ket-a, “I/you have done, he has done”etc. (The 3th p. Oblique Subject by *n), by model: S obl+V stem+ cop.”to be**. Cp. *ma-n ket-n-a “to him there are multiple accomplished doings” by object plural marker *n* (see K. Tuite 1988, 238-239). The S obl is the main and most important Argument to Ergativity, the S-nominative-verb agreement for I p. (by pers. Marker “V”) must be of a secondary nature. Thus, the reconstruction of ***me-na [v]-ket-a is the model type “by me-done-is”, *ma-n ket-a “by him-done-is” [the doing]**. The contrastivity of G CERG are the features of *mixed* or *split* ergativity. The I p. marker

“V” may be analogous to I series markers (nominative structure), as a secondary morpheme addition by the meaning of the next nominativization.

The general common-K Ergative model is: *****S oblAgensErg (+*gen./ Transf./Instr, Dat.+noun verb (V stem or Part.) + V esse+Onom (gramm.S)**. It is not really the common K-Ergative restored, but it is the common model to different variants of Oblique Subject Constructions, according to my typological interpretations and according to the conclusions of other authors (G. Machavariani, I. Melikishvili, G. Nebieridze, M. Machavariani, R. Asatiani, A. Oniani, K. Tuite, K. H. Schmidt, etc). The **dative K-Perfects belong to this general model of ergativity too**, as a secondary ergativization.

*N as an old oblique case marker, namely, as common *K *Dative morphological marker, is attested and confirmed by other authors (as N. Marr, A. Oniani) too. According to my supposition, the split ergative construction by *N S obl marker, is oblique (Dat. or Gen.).

In Modern Georgian new analytical perfects are singled out: a) by genitive and b) by dative structures. Both type a) *eius factus est opera (chemi gaketebulia sakme)* and type b) *mihi factus (=factum) habeo (*<mihi est) opera (operam) (mas gaketebuli akvs sakme)* have the ergative surface structures by Sobl erg. (SGen or SDat). This is the modern diachronic level of Georgian split (mixed) partial ergative typology. Thus, the new analytical ergative constructions, simultaneous with old inflectional ergative form structures, are revealed by their dynamics (see the corresponding references: Sakhokia and others).

Thus, the different diachronic levels to reveal the Georgian Ergative Typology are as follows: 1. Common Kartvelian model by asterisk; 2. Old split aorist of different Kartvelian languages; 3. The Secondary ergative inflected perfects of all the Kartvelian languages; 4. The New Analytical ergative perfects: Georgian Analytical perfects and their Kartvelian parallels.

**თავისებური ი- ხმოვანპრეფიქსიანი
ზმნური ფორმები ქართულში**

ქართული გრამატიკული ტრადიციის მიხედვით (შანიძე 1980; ჯორბენაძე 1983) ი- ხმოვანპრეფიქსიანი ზმნურ ფორმებში ი- პრეფიქსი ძირითადად გამოხატავს:

- ქცევის კატეგორიას:
 - ა) სათავისო, ანუ სასუბიექტო, ქცევას (სუბიექტური პირის ე.წ. ვინ-ის რიგის ნიშნებთან კომბინაციაში) – მოქმედება სრულდება ქვემდებარისთვის სასარგებლოდ, მაგალითად:
მე კაბას ვკერავ ~ მე კაბას ვიკერავ (ჩემთვის)
 - ბ) სასხვისო, ანუ საობიექტო, ქცევას (ობიექტური პირის ე.წ. მან-ის რიგის ნიშნებთან კომბინაციაში) – მოქმედება სრულდება ობიექტისთვის სასარგებლოდ, მაგალითად:
ნინო კაბას კერავს ~ ნინო მე კაბას მიკერავს
- ვნებით გვარს – გარდამავალი ზმნის ობიექტი (P) წამოწეულია წინა პლანზე, სინტაქსურად იგი ნაწარმოებ ერთპირიან ზმნასთან ქვემდებარის (S) ფუნქციას ასრულებს, ხოლო მოქმედების შემსრულებელი (აგენსი), რომელიც გარდამავალ ზმნასთან ქვემდებარედ (A) არის კოდირებული, უკანა პლანზეა გადაწეული, სინტაქსურად იგი უბრალო დამატების ფუნქციას ასრულებს, ან საერთოდ არ არის წარმოდგენილი წინადადებაში, მაგალითად:
ნინო კაბას კერავს ~ კაბა იკერება (ნინოს მიერ)

როგორც ცნობილია, ქართულში ე.წ. ვნებითი გვარი თავისებურებით ხასიათდება იმ თვალსაზრისით, რომ ვნებითი გვარის ფორმები სემანტიკურად მრავალფეროვანია (სუხიშვილი 1999): ზოგიერთი მათგანი პოტენციალისს გამოხატავს (*ეს ნამცხვარი არ იჭმევა*), ზოგი საურთიერთო მოქმედების გამოსცემს (ნინო ვანოს *ელაპარაკება*), ზოგი – რეფლექსურობას (ნინო *წელში იხრება*), ზოგი ფორმა ცნობილია ე.წ. გუნების ვნებითის სახელწოდებით, რამდენადაც გუნება-განწყობილებას გამოხატავს (ნინოს *ემღერება*), ზოგი ფორმა კი ამკარად აქტიური მოქმედების გამომხატველია, მაგ., ე.წ. დეპონენსები (ნინო *ფანჯრიდან იფურება*) და სხვ.

ამჯერად ჩვენს მიზანს შეადგენს ე.წ. ინიანი (ი- პრეფიქსიანი) ვნებითის იმ ფორმების შესწავლა, რომლებიც გარკვეულწილად აქტიური მოქმედების

გამომხატველია. გასაგებია, რომ აღნიშნული ზმნური ფორმები ნაწარმოები ფორმებია (მელიქიშვილი 2001) და მათთვის უმეტესად ამოსავალი არის გარდამავალი (მოქმედებითი გვარის) ზმნა. აღსანიშნავია, რომ კონსტრუქციაში ამ ფორმებთან დაკავშირებული ერთადერთი არგუმენტი (S), როგორც წესი, აქტივობის იერარქიაში (სილვერსტაინი 1976) უმაღლესი საფეხურის („ვინ“ ჯგუფის) სახელით გადმოიცემა, იშვიათად გვხვდება ცხოველის აღმნიშვნელი სიტყვა. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ფორმებთან ქვემდებარე (S) „რა“ ჯგუფის უსულო სახელია, ფორმა ცალსახად ვნებითის მნიშვნელობას გამოხატავს, ანუ გარდამავალი ზმნის ობიექტი (P) არის წამოწყველი წინა პლანზე.

ამგვარად, ორვალენტიანი გარდამავალი ზმნისგან ნაწარმოები *o*-პრეფიქსიანი ერთვალენტიანი ზმნური ფორმა, რომელიც, იმის მიხედვით, თუ არგუმენტი რამდენად აქტიური სახელით გადმოიცემა, შეიძლება გამოხატავდეს გარკვეულ აქტივობას (როცა არგუმენტი „ვინ“ ჯგუფის სახელია) ან ვნებითის სემანტიკას. აქ შეიძლება გავიხსენოთ პასივის (ვნებითი გვარისა) და ანტიპასივის მიმართება გარდამავალ (მოქმედებითი გვარის) ზმნასთან. გარდამავალი მოქმედებითი გვარის ზმნა ორი ბირთვული არგუმენტით ხასიათდება, რომელთაგან I არგუმენტი (სინტაქსურ დონეზე ქვემდებარედ კოდირებული) პროტოტიპურად სულიერია (უმეტესად ადამიანია), ხოლო II არგუმენტი (სინტაქსურ დონეზე პირდაპირ ობიექტად კოდირებული) პროტოტიპურად უსულოა. როგორც პასივი, ისე ანტიპასივი განიხილება კატეგორიებად, რომელთა ფორმებიც ამოსავალი (ამ შემთხვევაში, მოქმედებითი გვარის) ზმნისგან იწარმოება ვალენტობის დაკლებით. ამგვარად, ორივე შემთხვევაში ორპირიანი მოქმედებითი გვარის (გარდამავალი) ზმნისგან მიიღება ერთპირიანი გარდაუვალი ზმნა:


$$V_{tr}(A, P) \Rightarrow V_{intr}(S),$$

სადაც V_{tr} აღნიშნავს გარდამავალ ზმნას, V_{intr} – გარდაუვალ ზმნას, A – გარდამავალი ზმნის ქვემდებარეს, P – გარდამავალი ზმნის პირდაპირ ობიექტს, ხოლო S – გარდაუვალ ზმნის ქვემდებარეს.

აქ თეორიულად დასაშვებია ორი შესაძლებლობა და, შესაბამისად, როგორც პასივი, ისე ანტიპასივი არის ამ ორივე შესაძლებლობის რეალიზაცია (დიქსონი 2012):

- პასივის შემთხვევაში ვალენტობის შემცირება ხდება I არგუმენტის (აგენსის, რომელიც სინტაქსურ დონეზე ქვემდებარედ არის კოდირებული) სინტაქსური დაქვეითების ხარჯზე, ანუ: თუ მოქმედებითი გვარის სინტაქსურ კონსტრუქციაში I არგუმენტი ფუნქციონირებს როგორც ქვემდებარე, პასიურ კონსტრუქციაში იგი უკანა პლანზე (პერიფერიაში) გადადის, აღარ არის ზმნასთან სინტაქსურად დაკავშირებული ბირთვული არ-


გუმენტი და შეიძლება შეგვხვდეს უბრალო დამატების სახით, ან საერთოდ არ იყოს წარმოდგენილი. შესაბამისად, დარჩენილი II არგუმენტი ნაწარმოებ კონსტრუქციაში ფუნქციონირებს როგორც ქვემდებარე:



უკანა პლანზე/გამოტოვებული

როგორც ცნობილია, არგუმენტებს შორის ამგვარ სინტაქსურ-ფუნქციურ ცვლილებას კონვერსია ეწოდება.

- ანტიპასივის შემთხვევაში ვალენტობის შემცირება ხდება II არგუმენტის (სამოქმედო ობიექტის) სინტაქსური დაქვეითების ხარჯზე: ანუ, თუ მოქმედებითი გვარის სინტაქსურ კონსტრუქციაში II არგუმენტი ფუნქციონირებს როგორც პირდაპირი დამატება (O), პასიურ კონსტრუქციაში იგი უკანა პლანზე გადადის, აღარ არის ზმნასთან სინტაქსურად დაკავშირებული ბირთვული არგუმენტი და შეიძლება შეგვხვდეს უბრალო დამატების სახით, ან საერთოდ არ იყოს წარმოდგენილი. შესაბამისად, ნაწარმოებ კონსტრუქციაში დარჩენილი I არგუმენტი ფუნქციონირებს როგორც ქვემდებარე:



უკანა პლანზე/გამოტოვებული

აღნიშნული განსაზღვრებების გათვალისწინებით განვიხილოთ ქართულში *o*-პრეფიქსიანი ის ზმნები, რომლებიც ფორმით ვნებითია და რომელთაც დეპონენსების კვალიფიკაცია ეძლევა. დეპონენსობა გულისხმობს, რომ აღნიშნული ზმნები ფორმით არის ვნებითი, სემანტიკურად კი გარკვეული აქტივობის გამოხატველი. დავაზუსტოთ, რას ნიშნავს „ფორმით ვნებითი“. როგორც ცნობილია, ქართულში ვნებითის ფორმათა წარმოების 4 მოდელი არსებობს:

(i) *o*-პრეფიქსით:

ნინო კაბას კერავს ~ *კაბა იკერება (ნინოს მიერ)*
(მოქმ. გვარის კონსტრ.) ~ (ვნებითი გვარის კონსტრ.)

(ii) *ე*-პრეფიქსით:

ვანო წერილს მისამართს აწერს ~ *წერილს მისამართი ეწერება*
(მოქმ. გვარის კონსტრ.) ~ (ვნებითი გვარის კონსტრ.)

(iii) -*ღ* სუფიქსით:

ნიკო სახლს აშენებს ~ *სახლი შენდება*
(მოქმ. გვარის კონსტრ.) ~ (ვნებითი გვარის კონსტრ.)

(iv) ნულოვანი (Ø) აფიქსით:

ქარი სანთელს აქრობს ~ *სანთელი ქრება*
(მოქმ. გვარის კონსტრ.) ~ (ვნებითი გვარის კონსტრ.)

აფიქსებით განსხვავებულობასთან ერთად ე.წ. ვნებითი გვარის ფორმებს ქართულში ფუძის საერთო მორფოლოგიური სტრუქტურა ახასიათებს, განსხვავებული მოქმედებითი გვარის ფორმათა ფუძისაგან (თუნდაც მხოლოდ აწმყოს ფორმების საფუძველზე): ვნებითში S₃-ის ნიშანი აწმყოში არის -ა (S₃-ის ნიშანი მოქმედებითში აწმყოს ფორმებში არის -ს); ვნებითში თემის ნიშანი ძირითადად არის -ებ, რომელიც I და II პირის ფორმებში დაირთავს -ი ხმოვანს (მოქმედებითი გვარის ფორმებში თემის ნიშანთა მრავალფეროვნება დასტურდება და თემის ნიშანს არ მოსდევს -ი ხმოვანი). ე.წ. ვნებითის ამ ფორმებს, რომლებიც სემანტიკური მრავალფეროვნებით ხასიათდება ვუწოდოთ -ები/-ება დაბოლოებიანი ფორმები.

განვიხილოთ სინტაქსური კონსტრუქციები -ები/-ება დაბოლოებიანი ფორმებით უფრო დაწვრილებით, სემანტიკური და მორფოლოგიური თავისებურებების თვალსაზრისით. აღვნიშნავთ, რომ ჩვენთვის საინტერესოა ის ფორმები, რომლებიც გარკვეულ აქტივობას გამოხატავენ (ე.წ. დეპონენსები), მაგალითად:

კატა მაგიდას **კაწრავს** ~ კატა **იკაწრება**
 (მოქმ. გვარის კონსტრუქცია, (-ები/-ება დაბოლოებიანი კონსტრ.)
 ამოსავალი მოქმ. -ავ თემის ნიშნით)

ვანო მიწას **ჩიჩქნის** ~ ვანო მიწაში **იჩიჩქნება**
 (მოქმ. გვარის კონსტრუქცია, (-ები/-ება დაბოლოებიანი კონსტრ.)
 ამოსავალი მოქმ. -ი თემის ნიშნით)
 და სხვ.

აღნიშნული ფორმები ვნებითის სემანტიკითაც იხმარება:

კატა მაგიდას **კაწრავს** ~ მაგიდა **იკაწრება**
 (მოქმ. გვარის კონსტრუქცია) (ვნებითი გვარის კონსტრუქცია)

ვანო მიწას **ჩიჩქნის** ~ მიწა **იჩიჩქნება**
 (მოქმ. გვარის კონსტრუქცია) (ვნებითი გვარის კონსტრუქცია)

სწორედ ამიტომ ზოგიერთი კონსტრუქცია შეიძლება ორაზროვანიც აღმოჩნდეს. მაგალითად, კონსტრუქცია *მეზობელი იწყევლება* გარკვეულ დისკურსში შეიძლება აქტიური სემანტიკის მატარებელი იყოს (ანუ: 'მეზობელი წყევლის ვილაცას'), ან ვნებითისა (ანუ: 'მეზობელი იწყევლება ვილაცის მიერ').

კონსტრუქციები -ები/-ება დაბოლოებიანი ფორმებით ხშირად აშკარად რეფლექსური ხასიათისაა, მაგალითად, როგორებიცაა ფორმები: *ითხუბნება*, *იქექება*, *იკვებება* და სხვ. ერთი შეხედვით, აქ შეიძლება გაჩნდეს კითხვა: ხომ არ არის ამგვარი ფორმები ნაწარმოები მოქმედებითი გვარის სათავისო

ქცევის ფორმებისაგან? მაგალითისთვის წარმოდგენილია რამდენიმე კონსტრუქცია:

ვანო **იქექავს** თავს ~ ვანო **იქექება**
(მოქმ. გვარის კონსტრუქცია) (-ები/-ება დაბოლოებიანი კონსტრ.)

ნინო **ითხუანის** სახეს ~ ნინო **ითხუნება**
(მოქმ. გვარის კონსტრუქცია) (-ები/-ება დაბოლოებიანი კონსტრ.)

მაგრამ რეფლექსური სემანტიკის ყველა ფორმას როდი ეტყობება სათავისო ქცევის ფორმა როგორც ამოსავალი, მაგალითად:

ნინო **ხრის** თავის სხეულს ~ ნინო **იხრება**
(მაგრამ არა: *ნინო **იხრის** სხეულს)

სწორედ ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ რეფლექსურობის სემანტიკის მქონე განხილული ტიპის *ი-* პრეფიქსიანი ფორმებისთვის ამოსავალია მოქმედებითი გვარის ზმნა, რომელიც შეიძლება არ იყოს სათავისო ქცევის ფორმა.

წარმოდგენილი ენობრივი მასალისა და ანტიპასივის განმარტების საფუძველზე კონსტრუქციები აქტიური სემანტიკის მქონე *-ები/-ება* დაბოლოებიანი ფორმებით სავსებით შესაძლებელია, რომ განვიხილოთ როგორც ანტიპასივის კონსტრუქციები.

როგორც ცნობილია, ანტიპასივი ხშირად ერევათ ობიექტჩართულ ზმნურ ფორმებთან (დიქსონი 2012). ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია *-ები/-ება* დაბოლოებიანი შემდეგი ზმნები: **ვანო იღრიჭება**, **თინა იკვანწება** და სხვ. ეს არის ერთი ჯგუფი ზმნური ფორმებისა, რომლებიც ამოსავალი მოქმედებითი გვარის პარალელურად თითქმის იმავე მნიშვნელობით იხმარება (შდრ. ქარქაშაძე 2010). ამის დასტურია აღნიშნული ფორმების განმარტება „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მიხედვით (ქეგლ 1950-64). მაგალითისათვის წარმოვადგენთ რამდენიმე მათგანს:

[და]ღრეჭს სახეს (სახის ნაკვეთს დამანჭავს) = [და]იღრიჭება (სახეს დაიღრეჭს, დაიმანჭება);

[შე]ჭმუხნის შუბლს (შეკრავს შუბლს, მოიღუშავს სახეს) = [შე]იჭმუხნება (შეკრავს შუბლს, მოიღუშება);

[და]კვანწავს ხელებს (მოხდენილად გაშლის ხელებს) = იკვანწება (მოხდენილად შლის ხელებს) და სხვ.

აღნიშნულ ზმნათა მოქმედებითი გვარის კონსტრუქციები იმით გამოირჩევა, რომ მოცემულ ზმნასთან დაკავშირებული პირდაპირი ობიექტის განსაზღვრების არე მაქსიმალურად შეზღუდულია, მხოლოდ ერთი ელემენტისაგან შედგება: **ნინო იჭმუხნის** (მხოლოდ) **შუბლს**, ანა **იშმუშნის** (მხოლოდ) **მხრებს**, **თინა კვანწავს** (მხოლოდ) **ხელებს** და სხვ. სწორედ ამიტომ შეიძლე-

ბა ითქვას, რომ აღნიშნული ტიპის თითოეული ზმნის ძირთან ასოციაციურად არის დაკავშირებული შესაბამისი ერთადერთი ელემენტი, რომლის სინტაქსურ კონსტრუქციაში ჩართულობა ზმნის ფორმაზეა დამოკიდებული. ამდენად, გასაგებია, რომ მოქმედებითი გვარის კონსტრუქციიდან შესაბამისი არგუმენტის უკანა პლანზე გადაწევით (ან ამოგდებით) მიღებული ანტიპასივის ფორმები ბუნებრივად მიანიშნებენ სამოქმედო ობიექტზე. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს ობიექტის ჩართულობას.

ამგვარად, *o*- პრეფიქსიან *-ები/-ება* დაბოლოებიან ზმნურ ფორმებში *o*-პრეფიქსს უკავშირდება ვალენტობის შემცირების ფუნქცია I თუ II არგუმენტის უკანა პლანზე გადაწვევის ხარჯზე. მაგრამ აქვე გავიხსენოთ *o*-პრეფიქსიანი მოქმედებითი გვარის სათავისო ქცევის ფორმები:

ნინო კაბას **კერავს** ~ ნინო კაბას **იკერავს**
(მოქმ. გვარი, ნეიტრალური ქცევა) (მოქმ. გვარი, სათავისო ქცევა)

დედა შვილს **ბანს** ~ დედა პირს **იბანს**
(მოქმ. გვარი, ნეიტრალური ქცევა) (მოქმ. გვარი, სათავისო ქცევა)

აღნიშნულ ზმნურ ფორმებში *o*-პრეფიქსის დართვით ვალენტობის ცვლილება არ ხდება, თუმცა ფუნქციური ცვლილება ხდება არგუმენტულ სტრუქტურაში, კერძოდ, აგენსი (მოქმედების შემსრულებელი) ითავსებს ბენეფიციარის (პირი, რომლის სასარგებლოდაც სრულდება მოქმედება) ფუნქციას, რის გამოც არგუმენტულ სტრუქტურაში რაოდენობრივი ცვლილება არ ხდება. რაც შეეხება მორფოლოგიურ სტრუქტურას, აღნიშნული ფუნქციური ცვლილება მასზე გავლენას არ ახდენს, ზმნური ფუძე არ იცვლება (თუ არ ჩავთვლით *o*-პრეფიქსს).

როგორც ვიცით, *o*-პრეფიქსი გვხდება სასხვისო ქცევის ფორმებშიც:

პეტრე სახლს **აშენებს** ~ პეტრე მე სახლს **მიშენებს**
(მოქმ. გვარი, ნეიტრალური ქცევა) (მოქმ. გვარი, სასხვისო ქცევა)

ნინო კაბას **კერავს** ~ ნინო მე კაბას **მიკერავს**
(მოქმ. გვარი, ნეიტრალური ქცევა) (მოქმ. გვარი, სასხვისო ქცევა)

აღნიშნულ ფორმებში *o*-პრეფიქსს უკავშირდება ვალენტობის ზრდა: ზმნის არგუმენტულ სტრუქტურაში შემოდის ახალი არგუმენტი, ძირითადად – ბენეფიციარი, რომელიც სინტაქსურად ფუნქციონირებს როგორც ირიბი ობიექტი. აქაც, მორფოლოგიური სტრუქტურის თვალსაზრისით ცვლილება არ ხდება, ზმნური ფუძე არ იცვლება (თუ არ ჩავთვლით *o*-პრეფიქსს).

ამგვარად, *o*-პრეფიქსიანი იმ ზმნების შესახებ, რომელთა ამოსავალი ფორმა არის მოქმედებითი გვარის ორვალენტიანი გარდამავალი ზმნა, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას (შდრ.: ასათიანი 2003:21-29):

- *o*- პრეფიქსს უკავშირდება ვალენტობის ზრდა – ამოსავალი ზმნის არგუმენტულ სტრუქტურაში შემოდის ახალი არგუმენტი, რომელიც ნაწარმოებ სინტაქსურ სტრუქტურაში კოდირებულია როგორც ირიბი ობიექტი; მორფოლოგიური სტრუქტურის თვალსაზრისით, ამ შემთხვევაში ზმნური ფუძე არ იცვლება (თუ არ ჩავთვლით *o*- პრეფიქსს).
- *o*- პრეფიქსს უკავშირდება ვალენტობის შემცირება – ამოსავალი ზმნის არგუმენტული სტრუქტურიდან უკანა პლანზე გადადის I ან II არგუმენტი (A ან P, სემანტიკურად – აგენსი ან მოქმედების ობიექტი); მორფოლოგიური სტრუქტურის თვალსაზრისით, ამ შემთხვევაში ზმნური ფუძე იცვლება.
- *o*- პრეფიქსის დართვით ვალენტობა არ იცვლება – ამოსავალი ზმნის არგუმენტულ სტრუქტურაში ფუნქციური ცვლილება ხდება: აგენსი ითავსებს ბენეფიციარის ფუნქციას; მორფოლოგიური სტრუქტურის თვალსაზრისით, ამ შემთხვევაში ზმნური ფუძე არ იცვლება (თუ არ ჩავთვლით *o*- პრეფიქსს).

მოცემული დასკვნებიდან ჩანს, რომ მოქმედებითი გვარის ფორმიდან ნაწარმოებ *o*- პრეფიქსიან ზმნურ ფორმებში მოხდება თუ არა ზმნური ფუძის ცვლილება დამოკიდებულია იმაზე, *o*- პრეფიქსს რა სახის ცვლილება უკავშირდება ამოსავალი ზმნის არგუმენტულ სტრუქტურაში, კერძოდ: როცა *o*- პრეფიქსს უკავშირდება ვალენტობის ზრდა ან ფუნქციური ცვლილება არგუმენტულ სტრუქტურაში, მაშინ ზმნური ფუძე არ იცვლება; მაგრამ როცა *o*- პრეფიქსს უკავშირდება ვალენტობის შემცირება, მაშინ ზმნური ფუძე იცვლება.

ლიტერატურა

- მელიქიშვილი 2001:** დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლების სისტემა, თბილისი.
- ქარქაშაძე 2010:** მ. ქარქაშაძე, *ობიექტჩართული ზმნები და მედიოაქტივები თანამედროვე ქართულში*, ენათმეცნიერების საკითხები, I-II, თბილისი.
- სუხიშვილი 1999:** მ. სუხიშვილი, *გარდამავლობა, ერგატიულობა და გვარი ქართულში*, ავტორეფერატი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომისა, თბილისი.
- ქეგლ 1950-64:** ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რვატომეული, აკად. არნ. ჩიქობავას რედაქციით, თბილისი.
- შანიძე 1980:** ა. შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, III ტ., თბილისი.
- ჯორბენაძე 1983:** ბ. ჯორბენაძე, ზმნის ხმოვანპრეფიქსული წარმოება ქართულში, თბილისი.

სათიანი 2003: R. Asatiani, *Conceptual Representations of the Verb forms Creation (on the Georgian data)*. Language, Logic, Computation: *The Proceedings of the 5th International Symposium*, Amsterdam: Amsterdam University Publishing House, Grafish Centrum, 21-29.

ლიქონი 2012: R. M. W. Dixon, *Basic Linguistic Theory*, Volume 3, Oxford University Press Inc., New York.

სილვერსტაინი 1976: M. Silverstein, *Hierarchy of Features and Ergativity*, In: *Grammatical categories in Australian languages*, edited by R.M.W. Dixon, Australian Institute of Aboriginal Studies and New Jersey: Humanities Press, Canberra.

Ether Soselia, Manana Karkashadze

Some Peculiar *i-* Prefixed Verb Forms in Georgian

Summary

The prefix *i-* attested in some verb-forms is multifunctional. In the paper our attention is focused on some *i-* prefixed verb forms, the so-called deponents which, though passive in their form, express a certain kind of activity, and which have active voice transitive verbs as basic. This kind of verbs is presented in the following constructions:

<i>k'at'a</i>	<i>ik'ac'reba</i>
cat.NOM	scratch.S3.PRS.[PASS]

A cat scratches

<i>vano</i>	<i>mic'aši</i>	<i>ičičkneba</i>
Vano. NOM	in the ground. DAT	pick.S3.PRS.[PASS]


Vano is heaping in the ground

Usually the subject (S) of analogous constructions is realized by an animate noun (mainly denoting a person, rarely an animal). In order to analyze those constructions, it is reasonable to recall the definitions of passive and antipassive and their relationship with the basic transitive (active voice) verbs. Passive and antipassive are valency decreasing categories, and they derive univalent intransitive verb from the basic bivalent transitive one:


$$V_{tr}(A, P) \Rightarrow V_{intr}(S)$$

Theoretically, there are two possible ways of valency decreasing, and passive as well as antipassive show the realization of both possibilities:

- In forms of passive, valency is decreased due to the syntactic demotion of A argument (the subject of a transitive verb), i.e. that A argument of an active construction goes into a peripheral function (e.g. to that of a simple object) or may be omitted; So a P argument (the direct object of a transitive verb) of the basic construction functions as S (the subject of an intransitive verb) in the passive. i.e.:



- In forms of antipassive, valency is decreased due to the syntactic demotion of P argument (semantically a patient of the action), i.e. that P argument of an active construction goes into a peripheral function or may be omitted; So A argument of the basic construction functions as S in antipassive, i.e.:



According to the definitions, it is clear that constructions with above-mentioned *i*-prefixed verb forms should be regarded as antipassive.

Some other forms of antipassive are analyzed in the paper, and taking into account other *i*-prefixed verb forms derived from the basic active verbs, the following conclusions have been formulated:

- *i*- prefix has a valency increasing function – a new argument, functioning as an indirect object, is added in the derived construction; as for the morphological structure, verb stem does not change (not taking into account the *i*- prefix).
- *i*- prefix has a valency decreasing function – one of the core arguments (either A or P) of the basic structure is demoted in the derived one; as for the morphological structure, the verb stem undergoes some changes.
- *i*- prefix does not affect the valency – functional changes happen to the basic argument structure: A (an agent) gets the additional function of a beneficiary; as for the morphological structure, the verb stem does not change (not taking into account the *i*- prefix).

თელი უთურბაიქი

სანმეტობისა და ჰამმეტობის ქრონოლოგიური მიმართებისათვის

მეთოდისთვის

მასალობრივ საერთო, ხოლო დონეთა მიხედვით განსხვავებულ ენობრივ ელემენტებს ურთიერთობის კანონებიც განსხვავებული აქვთ.

ცალკეულ დონეთა ფარგლებში ელემენტთა ურთიერთობის ზოგადი წესები გენეტიკურია, ისინი ენას მისი არსებობის მთელ მანძილზე გასდევენ, რაც საშუალებას იძლევა წარსულის მოვლენათა ახსნისას გამოვიყენოთ სინქრონიული მონაცემები.

დონეთა შიდა წესები სეპარატულია, ამიტომ სხვადასხვა დონის წესებს შორის საზობრივი წინააღმდეგობები დიდი ალბათობით ივარაუდება ენის გლობალურ სისტემაში. წინააღმდეგობის დაძლევის გზები ყოველთვის ერთზე მეტია და არჩევანი ზოგადი, ზოგჯერ კონკრეტული სახითაც კი შეიძლება განმეორდეს როგორც დროის, ისე სივრცის ღერძზე ერთიმეორისგან დაცილებულ წერტილებში ერთიმეორისგან დამოუკიდებლად, ასე მაგალითად: ქართულ ენაში მორფოლოგიური წესით სუბიექტური პირველი პირის (S₁) {ვ-} პრეფიქსი წინ უძღვის ზმნის ფუძეს: ვ-ბარავ, ვ-თლი, ვ-გრეხ, ვ-ზრუნავ, ვ-შიშობ, ვ-ზარმავ... ყველა ფორმა კანონიერია ქართულ ენაში, მაგრამ ფონემატურ დონეზე არაბუნებრივია ფონემათა /ვბ/, /ვთ/, /ვზ/, /ვშ/, /ვხ/ კომბინაციები ამ პოზიციაში – მათ ვერ შევხვდებით ერთი მორფემის ფარგლებში #-V პოზიციაში, ისინი გვხვდება მხოლოდ მორფემათა საზღვრებზე, რაც მორფოლოგიური დონის წესით განისაზღვრება.

სახეზეა წინააღმდეგობა მორფოლოგიურ და ფონემატურ წესებს შორის. ეს წინააღმდეგობა მუდმივია – იგი არსებობდა V საუკუნეში და დღესაც არსებობს იმავე სახით, რადგან წარმოქმნილია ენის გენეტიკური მორფოლოგიური და ფონემატური მახასიათებლების ერთდროული მოქმედებით გლობალურ სისტემაში. ამ წინააღმდეგობის არსებობა, ბუნებრივია, მისი დაძლევის გზის ძიებასაც გვაპარაულებინებს თავისთავად.

პრობლემის ერთნაირი გადაწყვეტა შეიძლება მოხდეს ერთიმეორისგან დაცილებულ წერტილებში ფაქტობრივ ერთიმეორისგან დამოუკიდებლად, არც ის არის გამორიცხული, უახლოეს რეგიონებში (resp. პერიოდებში) განსხვავებული წესით მოხდეს წინააღმდეგობის დაძლევა, რადგან წინააღმდეგობა ერთია, მისი დაძლევის გზები კი ერთზე მეტი.

გასათვალისწინებელია, რომ, თუ წინააღმდეგობაზე ვლაპარაკობთ, ერთდროულად მხედველობაში ვიღებთ მორფოლოგიურ და ფონემატურ წესებს, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ მორფოლოგიაში საქმე გვაქვს მნიშვნელობის მქონე ელემენტთა ურთიერთობასთან, რაც არსებითია აზრის გამოსახატავად და გადასაცემად. ასეთ ვითარებაში ფონემატური დაწოლა მორფოლოგიაზე ისეთ გარდაქმნას ვარაუდობს, როდესაც სიტყვათა ფარგლებში მორფოლოგიურ ელემენტთა მნიშვნელობები შენარჩუნებულია. სწორედ ამან გამოიწვია მნიშვნელობის მქონე ნულოვანი ალომორფების შექმნა სტრუქტურულ ანალიზში.

*

S₁-O₃- თანამიმდევრობა სამწერლობო ენის ზმნათა ფორმებში ქმნიდა ფონემატურად მიუღებელ კომპლექსებს: /ვ-ხ-/-ს ხანმეტ პერიოდში, /ვ-ჰ-/-ს ჰაემეტ პერიოდში და /ვ-ს-/-ს... შემდგომ პერიოდებში. მორფემათა ამ თანამიმდევრობას ამაგრებდა მორფოლოგიური მოთხოვნა, რომელიც დღემდე ძალაშია: „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებით“ (თქსენ 1970) სწორია **ვჰპარავ, ვსწერ**; შევჰკითხებოდი, დავსდგომოდი ტიპის ფორმები (იხ. გვერდები 214 და 201): შდრ. „... მოვიძიე, სადა არა დავჰთვის“ (მე-8 ს.) (შანიძე 1923; ლ. XIX, 22), **მაგრამ** ამავე ჰაემეტ ტექსტში და უფრო ადრე ხანმეტ ტექსტებში /S₁-O₃/ პირთა კომბინაცია წარმოდგენილია /ხ-უ-/ და /ჰ-უ-/ სახით:¹ „ნეტარ ხიყენენ, რღთა არა ხუეხილვო და ხურწმენე“ (შანიძე, 1929; ი. XX, 29); „მოჰოგოვარე იგი მოწაფეთა შენთა“ (შანიძე 1923; მ. XXVII, 16). ხუეხილვო და მოჰუგუარე ტიპის ფორმები დადასტურებულია ეპიგრაფიკულ ძეგლებზეც: აღხუმართე (უკანაგორის წარწერა VI ს. დასაწყისი), V საუკუნის მიწურულისაა ბოლნისის წარწერა – შეხუაბთ (493წ.); აღჰუმართე (წყისის წარწერა VI საუკუნის მიწურულის)..

ფონემატური თვალსაზრისით სრულიად ნათელია /ვ-ხ-/- და /ვ-ჰ-/- კომბინაციების /ხ-უ-/ და /ჰ-უ-/ კომბინაციებში გადასვლა ორ- და სამპირიან ზმნებში: ძველ ქართულში /ვ/+ჩქამიერი თანხმოვანი არაბუნებრივია. ასეთ კომპლექსებს, მათ შორის /ვხ-/-სა და /ვჰ-/-ს ვერ შევხვდებით ერთი მორფემის ფარგლებში, მაშინ როცა /ხვ/ კომბინაცია [ხუ]-ს სახით მრავალგზის დასტურდება ნებისმიერ პოზიციაში.

¹ O₃-ის /ხ-/-სა და /ჰ-/-ს მომდევნოდ /უ-/, ბგერობრივ [უ] თანხმოვანი, იგივე /ვ-/- პრეფიქსია (S₁) ჩქამიერთა მომდევნოდ: ძველ ქართულში /ვ/ ფონემა, როგორც წესი, ჩქამიერ თანხმოვანთა მომდევნოდ [უ] ალოფონით რეალიზდებოდა გრაფიკულად /უ/ ხმოვანთან საზიარო უ გრაფემით, შესაბამისად პერიოდისა: **ღჳ**-ს სახით მრგლოვან დამწერლობაში, **ჳჳ**-ს სახით – ნუსხურში.

/ჰ/ ქართულში, საერთოდ, მხოლოდ პირის ნიშნის ფუნქციით იხმარება (იშვიათად ექსპრესიულ ნაწილაკებში შევხვდებით) ან ნასესხებ სიტყვებშია. მაშასადამე, რადგან CS კომბინაცია ქართულ ენაში ბუნებრივია, შებრუნებულ რიგი კი არ არის ბუნებრივი, S1-ის /ვ-/ ადვილად გადადიოდა ჩქამიერი /ხ-/სა და /ჰ-/ს მომდევნოდ.

პირის ნიშნების ფონემატურად არაბუნებრივი თანამიმდევრობის შეცვლამ ბუნებრივით გვიან თავი იჩინა ზოგიერთ დიალექტში. ვამბობთ გვიან, რადგან იმ ძველ ქართულში, რომლის შემკვიდრენიც თანამედროვე დიალექტებია, /S1-, O3-/ის კომბინაცია გამოხატული იყო /ვ-ჰ/, /ვ-ს/, /ვ-შ-/ თანამიმდევრობით. საშუალო ქართული და თანამედროვე სალიტერატურო ენა მას მიჰყვებიან. ხანმეტობა-ჰამეტობის შემდეგ ქართულ მწერლობაში /ჰ-ვ-/ (ან /ს-ვ-/, რომელიც მოსალოდნელი იყო /ხ-უ-/სა და /ჰ-უ-/ს არსებობის გათვალისწინებით) აღარ ჩანს, /ვ-ჰ-/ კი დღემდე იხმარება ენაში.

S1-ის /ვ-/ს მეტათეზისი ფონემატურად არაბუნებრივი ადვილიდან ბუნებრივ ადვილზე აღმოსავლეთი საქართველოს დიალექტებიდან მხოლოდ თუშურშია დაფიქსირებული (შანიძე 1920, §70). ძველი ქართულისგან განსხვავებით, /ვ-/ **ზმნის ფუძეში** გადადის ფონემატურად მისაღებ ადვილზე, ამიტომ ამ პროცესში ჩართულია ერთპირიანი ზმნებიც, რომელთაც ზმნისწინი არა აქვთ და ფუძე ეწყებათ ჩქამიერი თანხმოვნით, ფუძის შიგნით კი რანგშეცვლილი /ვ-/ ჯდება ხმოვნის ან სონორი თანხმოვნის წინ.¹

აკაკი შანიძის ამ ცნობილ ნაშრომში (S2, O3) სულ წარმოდგენილია 17 ზმნის პარადიგმა I სერიის ფორმებში, ესენია: (ა), ერთპირიანი ზმნები: ტ-ვ-ირი < ვ-ტირი, დვ-ვ-ები < ვ-დგები, დ-ვ-აობ < ვ-დაობ, დ-ვ-ნები < ვ-დნები.

ა. შანიძის მიერ 1913 წელს ჩაწერილ ტექსტებში (შანიძე 1984) თითქმის ყველა შემთხვევაში /ვ-/ იხმარება თავის რანგში („ყიმით ვზარდივ“ – იქვე: 229,4), „თვალს ვჭამავ“ (იქვე: 225, 17 და 19) და სხვ. ამ ტექსტებში S1-ის /ვ-/ს მეტათეზისი მხოლოდ ერთ შემთხვევაში დასტურდება („იარალი ხეყარეთ ძირსა“; შანიძე 1984:253, 23). პარადიგმები უშუალო გამოკითხვით ჩანს შედგენილი. ტექსტებისა და პარადიგმების მიხედვით ჩანს, რომ ფორმები, რომლებშიც /ვ-/ს მეტათეზისი ხდება, პარალელურად ამის გარეშეც იხმარებოდა. ეს დღემდე გრძელდება.

ორ- და სამპირიანი ზმნებში, განსხვავებით ძველი ქართულისაგან, /ვ-/ გადადის არა O3-ის პრეფიქსის მომდევნოდ, არამედ ისევ ფუძისეული ჩქამიერი თანხმოვნის მომდევნოდ, O3-ის ნიშანი, როგორც ძველ ქართულში, თავის ადვილზე რჩება:

¹ თუშურში, საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში, ყველა ზმნისწინი ხმოვნით ბოლოვდება. ძველი ქართული წარ-, გან-, აღ- თანხმოვნის გარეშეა წარმოდგენილი (წა-, გა-, ა-).

ხ-ვ-ელავ < ვ-ხ-ველავ „ვპოულობ“, ხ-ყ-ვიდი < ვ-ხ-ყიდი, ს-ტ-ვეხ < ვ-ს-ტვეხ, ზ-დ-ვებ < ვ-ზ-დებ, შ-ჭ-ვ-ამ < ვ-შ-ჭამ, შ-ჩ-ვერ < ვ-შ-ჩერ. ძველი ქართულის წესით უნდა მიგველო: ხ-ჟ-ველავ, ხ-ჟ-ყიდი, ს-ჟ-ტვეხ, შ-ჟ-ჩერ და სხვ.

ძველი ქართული ფონემატურ ურთიერთობას აგვარებდა პირის ნიშანთა შორის: ფონემატურად არაბუნებრივ /ვ-ხ/ კომბინაციას ცვლიდა ბუნებრივი /ხ-ვ/ (ბგერობრივ [ხჟ]) კომბინაციით, თუშური კი ამავე წინააღმდეგობას აგვარებს S1-ის /ვ-/-ს ფუძისეული ჩქამიერი თანხმოვნის მომდევნოდ გადასროლით. თუ ეს პირობები არ იქნა დაცული, თუშურში S1-ის /ვ-/-ს მეტათეზისი არ განხორციელდება.

ახლა იმ წესთა შესახებ, რომლებიც აგვიხსნიან /ვ-/-ს გადაადგილებას ან გრამატიკული რანგით მიჩენილ პოზიციაზე უცვლელად დამაგრებას.

უპირველეს ყოვლისა, ფონემატური სინტაგმატური ბუნებრივი წესები გამოყვანილია მორფემის ფარგლებში ფონემათა ურთიერთობიდან; მხედველობაში არ მიიღება მორფემათა საზღვრის კომპლექსებში ფონემათა მიმართება, რადგან ეს კომპლექსები იქმნება მორფოლოგიის მოთხოვნით.

თუშური დიალექტის ზმნათა ფორმებში S1-ის /ვ-/-ს გადაადგილება (მეტათეზისი) ან გრამატიკული რანგით მიჩენილ პოზიციაზე დამაგრება დაკავშირებულია ქართული ენის თანხმოვან ფონემათა სინტაგმატური მიმართების წესებით, რომლებიც განისაზღვრება, ერთი მხრით, თანხმოვანთა ურთიერთობით ცალკეულ კლასთა ფარგლებში და, მეორე მხრით, მზარდი ნაპრალოვნობის წესით, რომლის მიხედვით ბუნებრივ კომპლექსებში სხვადასხვა კლასის თანხმოვანთა ურთიერთობისთვის საჭიროა კომპონენტთა განსაზღვრული თვისებები.

(1) ქართულ ენაში გამოიყოფა თანხმოვანთა ოთხი კლასი:

I – ბ ფ პ მ ვ – ბაგისმიერთა კლასი

II – დ თ ტ ძ ც წ ჯ ჩ ჭ ზ ს ყ შ – წინაენისმიერთა კლასი

III – გ ქ კ ღ ხ ყ – უკანაენისმიერთა კლასი¹

IV – რ ღ ნ – სონორთა კლასი (უთურგაიძე 1976:77).

#-V პოზიციაში ერთი მორფემის ფარგლებში ერთი და იმავე კლასის თანხმოვნები ერთიმეორესთან არ შედიან კომბინაციაში უშუალო თანამიმდევრობით. I კლასში ამ ნიშნით არის გაერთიანებული სონორი ვ, მ ჩქამიერებთან.

(2) მზარდი ნაპრალოვნობის წესით #-V პოზიციაში ყოველი მომდევნო თანხმოვანი განეკუთვნება სხვა კლასს, წინა თანხმოვანს აღემატება ნაპრალოვნობით, იცავს ჰომოგენურობის პრინციპს, თუ ჩქამიერია; სონორი თანხმოვნებისთვის ჰომოგენურობის პრინციპი ჭარბია.

¹ ჩქამიერ თანხმოვნებში არ არის შეტანილი /ჰ/, რადგან სხვა თანხმოვნებთან კომბინაციაში არ შედის – ერთი მორფემის ფარგლებში სხვა თანხმოვანთან არა გვხვდება.

მზარდი ნაპრალოვნობის სქემა

1. ხშულები	
2. ზ ს ჟ შ	ნაპრალოვნობა იზრდება
3. ღ ხ ყ	ისრის მიმართულებით
4. ვ მ	
5. რ ლ ნ	(უთურგაიძე 1976:102)

განვიხილოთ I პირის ფორმები სუბიექტური წყობის ზმნებში ა. შანიძის იმ პარადიგმებიდან, სადაც /ვ-/-ს მეტათეზისი ხდება. უპირველესად გამოვყოფთ სტრუქტურულად განსხვავებულ ფუძეებს, უშუალოდ რომელთა წინაც არის მოქცეული S₁-ის /ვ-/ პრეფიქსი ერთ-, ორ- და სამპირიან ზმნებში.

I	II	III
ვ+CV...	ვ+CCV...	ვ+CSV...

C სიმბოლო ფუძეთა დასაწყისში მხოლოდ ჩქამიერ თანხმოვნებს გამოხატავს.

I – ვ+CV... ვ-ტირი > ტ-ვ-ირი, ვ-ჯავრობ > ჯ-ვ-ავრობ და ა.შ. (იხ. ზემოთ).

II – ვ+CCV... ვ-დგები > დგ-ვ-ები – მზარდი ნაპრალოვნობის სქემის მიხედვით /ვ/ ბუნებრივია ნებისმიერი ჩქამიერის მომდევნოდ, გარდა ბაგისმიერი (მისი კლასის) თანხმოვნებისა, ამავე დროს არ არის ბუნებრივი ჩქამიერი თანხმოვნების წინ, ე.ი. არ არსებობს ერთი მორფემის ფარგლებში /ვლ/ და /ვვ/..., ბუნებრივია ერთი მორფემის ფარგლებში /დვ/ და /გვ/... ასეთ ვითარებაში ბუნებრივი იყო /ვ-/-ს გადასმა /ღვ/ კომპლექსის მომდევნოდ, რადგან /ღვვ/ არაბუნებრივი კომპლექსია.

III – ვ+CSV... ვ-დნები > დ-ვ-ნები: /ვ/ ბუნებრივია /ღ/-ს მომდევნოდ და /ნ/-ს წინ, არ არის ბუნებრივი /ნ/-ს მომდევნოდ (იხ. სქემა), მეტათეზისით არაბუნებრივი პოზიციიდან (/ვღ/) გადამჯდარი /ვ-/ ბუნებრივ კომპლექსს ქმნის მზარდი ნაპრალოვნობის წესით – /ღვნ/.

განხილულ მაგალითებში /ვ-/-ს მეტათეზისის მიზეზი კარგად გამოჩნდა: S₁-ის /ვ-/ ყველგან ჩქამიერი თანხმოვნის წინ ხვდებოდა, სადაც მისი ადგილი არ იყო, მეტათეზისით კი ბუნებრივ კომბინაციას ქმნის – /ვტ/ > /ტვ/: ვ-ტირი > ტ-ვ-ირი და სხვ.

ორ- და სამპირიან ზმნებში მიცემით ბრუნვაში დასმული ობიექტის (O₃^{ind} ან O₃^d) ნიშანი თავის რანგს ინარჩუნებს, მეტათეზისს განიცდის მხოლოდ S₁-ის /ვ-/ პრეფიქსი: ვ-ხ-ყიდი > ხ-ყ-ვიდი, ვ-ხ-ჭელავ „ვპოულობ“ > ხ-ჭ-ვ-ელავ, ვ-ს-ტენ > ს-ტ-ვ-ენ, ვ-ზ-დებ > ზ-დ-ვ-ებ, ვ-შ-ჭამ > შ-ჭ-ვ-ამ, ვ-შ-ჩერ > შ-ჩ-ვ-ერ.

მეტათეზისის გზით განხორციელებულ მორფონოლოგიურ ცვლილებაში, როგორც განხილული ფორმებიდან ჩანს, მონაწილეობენ მხოლოდ /ვ-/ პრეფიქსი და ფუძისეული ჩქამიერი თანხმოვნები, O_3 -ის ალომორფები (აქ /ხ-/ , /ს-/ , /ზ-/ , /შ-/) ამ ცვლილებებში არ მონაწილეობენ, მიუხედავად მათი ფუძისეულ თანხმოვანთან ფონემატური შეუთავსებლობისა. **მორფოლოგიის პრიმატი აქ შეურყეველია**, რადგან O_3 -ის ნიშნისთვის რანგის შეცვლა, გარდა მორფოლოგიურ ელემენტთა მიუღებელი არანაწილებიდან, ფონემატურადაც გაუმართლებელი ხდებოდა, მაგალითად: რომელიმე ვ-ზ-დებ ფორმაში ერთდროულად S_1 -ის და O_3 -ის ფონემატურად მიუღებელი პაუზის მომდევნო /ვზდ/ კომპლექსის კომპონენტთა გადანაცვლებით უნდა მიგველო /დზვებ/ ან /დვზებ/. ერთ შემთხვევაში მიუღებელია პაუზის მომდევნო /დზ/ კომპლექსი, მეორე შემთხვევაში – იმავე პოზიციის /ვზ/ /დ/-ს მომდევნოდ. ამას ემატებოდა მორფემათა თანამიმდევრობის გაუმართლებელი აღრევა რანგობრივ სისტემაში. დიალექტმა მხოლოდ S_1 -ის /ვ/-ს მეტათეზისი განხორციელა ფონემატური მოთხოვნის საფუძველზე, ობიექტის მესამე პირის ნიშანს კი მორფოლოგიით მიჩენილი ადგილი შეუნაჩუნა. ფონემატური ორი წინააღმდეგობიდან მოიცილა ერთი.

ა. შანიძის მიერ თუშური დიალექტის ზმნებისთვის შედგენილი პარადიგმებიდან განვიხილავთ I პირის იმ ფორმებს, რომლებშიც არა ხდება S_1 -ის /ვ/-ს მეტათეზისი.

წარმოდგენილი ფორმების მიხედვით ზმნათა ასეთი 3 ჯგუფი გამოიყოფა:

- (1) პირველ ჯგუფში მეტათეზისს ხელს უშლის I და II პირთა ფორმების სრული დამთხვევა მოსალოდნელი ფონეტიკური ცვლილების შედეგად: (3) ვ-ხ-ქსოვ ფორმაში /ვ-/ რომ გადამჯდარიყო /ქს/ კომპლექსის მომდევნოდ, /ვ-/ მოხვდებოდა /ო/ ხმოვნის წინ და დაიკარგებოდა (ვხქსოვ > ხქსოვ > ხქსოვ) და სრულად დაემთხვეოდა II პირის ფორმას: (შენ) ხ-ქსოვ (<*ხ-ხ-ქსოვ, სადაც ერთი ხ- S_2 -ისაა, მეორე ხ- O_3 -ისა);
- (2) მეორე ჯგუფში /ვ/-ს მეტათეზისი არა ხდება მისი გადასმის შემთხვევაში მოსალოდნელი ფონემატური შეუთავსებლობის გამო თავისივე კლასის (ბაგისმიერთა კლასის) თანხმოვნებთან: ვ-ხ-ფარავ ფორმაში S_1 -ის /ვ-/ რომ გადაჯდეს ფუძეში (ხ-ფ-ვარავ), ვიღებთ არაბუნებრივ /ხფვ/ კომპლექსს #V პოზიციაში, ანალოგიური ვითარებაა ვ-ლ-ბარავ ფორმაში: /ვ-/ რომ გადაჯდეს /ბ/-ს უნდა ამოუდგეს, შედეგად #V პოზიციაში სრულიად მიუღებელი /ლბვ/ კომპლექსი შეიქმნებოდა. სწორედ ამიტომ არ ხორციელდება /ვ/-ს მეტათეზისი ამ ჯგუფის ზმნებში,
- (3) /ვ/-ს მეტათეზისი არ ხორციელდება მაშინაც, როცა მოხვდებოდა სონორი თანხმოვნის მომდევნოდ, რითაც შექმნიდა არაბუნებრივ კომპლექსებს: ვ-ლ-ლესავ > ღლვ-ესავ – აქ არაბუნებრივია /ღლვ/ პაუზის მომდევნოდ.

ანალოგიური იქნება ვითარება, თუ /ვ-/-ს გადავსვამთ /ნ/-ს ან /რ-/-ს მომდევნოდ, მაგალითად, უცვლელად რჩება ვ-ლ-ნახავ, რადგან არაბუნებრივია ღნვახავ თანამიმდევრობაში /ნვ/, ამიტომ, ბუნებრივია, არ ხდება /ვ-/-ს მეტათეზისი ამ შემთხვევაშიც.

ბოლოს შევეხებით ზმნისწინიან ფორმებს თუშურ დიალექტში. ასეთ ფორმებში საერთოდ არა ხდება /ვ-/-ს მეტათეზისი ზმნათა I პირის ფორმებში; ის უზმნისწინო ფორმებიც, რომლებშიც S₁-ის /ვ-/ მეტათეზისს განიცდიდა, ზმნისწინით აღარ საჭიროებენ რაიმე სახის ფონეტიკურ ცვლილებებს.

ფონეტიკური თვალსაზრისით, როგორც ვნახეთ, უზმნისწინო ზმნათა ფორმებში მხოლოდ S₁-ის /ვ-/-ს განთავსების პრობლემა იქმნებოდა, O₃-ის ნიშანი კი რანგის მიხედვით ადგილს არ იცვლიდა. ამ პირობებში ზმნისწინიან ფორმებში S₁-ის /ვ-/-ს ბუნებრივ ფონემატურ ადგილზე განთავსების პრობლემა მოხსნილია, რადგან ყველა შემთხვევაში S₁-ის /ვ-/ მარცვალში ზმნისწინის ხმოვანს მიჰყვება და O₃-ის ან ფუძისეული თანხმოვნის წინ აღარ ქმნის არაბუნებრივ კომბინაციებს, როგორცაა: /ვს/, /ვზ/, /ვშ/, /ვხ/ (S₁ O₃) პაუზის მომდევნოდ, ანუ სიტყვის თავკიდურად უზმნისწინო ფორმებში.

ზმნისწინიან ფორმებში S₁-ის /ვ-/ ექცევა ზმნისწინის ხმოვნის მიერ შექმნილ მარცვალში: შევ-სტირი (შდრ. სტვირი), დავ-დნები (შდრ. დვნები), მოვ-ხჰე-ლავ (შდრ. ხჰველავ), დავ-ზდებ (შდრ. ზდვებ).

განვიხილეთ წინააღმდეგობა მორფოლოგიურ რანგობრივ სისტემასა და თანხმოვან ფონემათა სინტაგმატური ურთიერთობის კანონზომიერებას შორის ქართულ ენაში: V-X საკუნეების სამწერლობო ენაში და თუშურში, ერთ-ერთ თანამედროვე დიალექტში.

ღროის ღერძის თითქმის 1500 წლით დაშორებულ წერტილებში ერთი და იმავე წინააღმდეგობის დაძლევისთვის ძველი ქართული და თანამედროვე დიალექტი ერთსა და იმავე გზას ირჩევენ:

ორ- და სამპირიან ზმნებში S₁-ის /ვ-/-სა და O₃-ის /ხ-/-ს (resp. /ჰ-/-ს) ფონემატურად არაბუნებრივ კომბინაციას (/ვხ/, resp. /ვჰ/) ძველი ქართული ბუნებრივად მოაქცევდა /ვ-/-ს მეტათეზისით /ხ-/-ს მომდევნოდ (resp. /ჰ-/-ს მომდევნოდ): ვხეტყ > ხუეტყ (resp. ვჰეტყ > ჰუეტყ), ამით ფონემატურად წესრიგდებოდა პირის ნიშანთა თანამიმდევრობა.¹

¹ ძირითადად ეს ხდებოდა ხმოვნის წინ: ხუეტყჴ, ხუესავჴ, შეხუახთ, აღხუახსრულო და ისეთ ფორმებში, სადაც ზმნისწინის საშუალებით უ (< /ვ-/) ბუნებრივ მარცვალში ხვდებოდა: აღ-ხუახ-რუ-ლო, დახუ-ბეჴ-დო; იშვიათად ფონემატურად გაუმართავი ფორმებიც იქმნებოდა: აღხუმართე (აღ-ხუმარ-თე ან აღხუ-მარ-თე, — პირველ შემთხვევაში არაბუნებრივია უმ (ტმ) ერთი მარცვლის ფარგლებში, მეორე შემთხვევაში — /ღხ/ თანამიმდევრობა).

ამავე პრობლემას თუშური დიალექტიც მეტათეზისით აგვარებს: S₁-ის /ვ-/ გადააქვს ზმნის ფუძეში **ფონემატურად ბუნებრივ ადგილზე**, რითაც ხსნის წინააღმდეგობას პირის ნიშნებს შორის: ვ-ხ-ყიდი > ხ-ყიდი. თუშური უფრო შორს მიდის: /ვ-/-ს ფონემატურად ბუნებრივი ადგილის შერჩევაში – მეტათეზისს ახდენს მაშინაც, როცა ერთპირიანი ზმნის ფორმაში /ვ-/-ს მომდევნოდ ფუძე ფონემატურად მიუღებელი ჩქამიერი თანხმონით იწყება და ამავე დროს ზმნის ფუძეში /ვ/ ფონემისთვის სინტაგმატურად ბუნებრივი ადგილი მოიძებნება: ვ-ტირი > ტვირი, ვ-ღნები > ღვნები... ჩამოთვლილი პირობების გარეშე ამ დიალექტში /ვ-/-ს მეტათეზისი არ განხორციელდება.

ცვლილებათა საერთო მიმართულება, წინააღმდეგობის დაძლევის საერთო გზის გამოძებნა ძველ ქართულსა და თანამედროვე დიალექტში¹ უთუოდ იძლევა საშუალებას, თანამედროვე დიალექტებში მიმდინარე პროცესები გამოვიყენოთ ძველ ქართულის იმ მოვლენების ასახსნელად, რომელთა ანალიზისთვის სათანადო მასალა არ მოგვეპოვება იმავე პერიოდში.

ამ მეთოდით, რომელიც მოგვაგონებს მ. ქურდიანის ჰოლოგრაფულ პრინციპს (ქურდიანი 2007:115), განვიხილავთ ქრონოლოგიური მიმართების საკითხს ხანმეტობასა და ჰაემეტობას შორის.

* *

ძველი ქართულის ზმნათა ფორმებში სუბიექტური მეორე პირისა (S₂) და ობიექტური მესამე პირის (O₃) მარკირების მიხედვით გამოიყოფა სამი პერიოდი:

I – S₂ და O₃ გამოიხატება **ხ-** პრეფიქსით.²

II – S₂ და O₃ გამოიხატება **ჰ-** პრეფიქსით.

III – S₂-ისა და O₃-ის {ჰ} პრეფიქსს გაუჩნდა ალომორფები:

{ჰ-} – /ჰ-/~/ჰს-/~/ჰმ-/~/ჰშ-/~/ჰღ/.

II და III დროული მონაკვეთები ფაქტობრივად ერთი გრამატიკული პერიოდის ქვესახეებია: S₂-ისა და O₃-ის აღსანიშნავად მატერიალურად ჯერ მხოლოდ ერთი ნიშანი იყო, მეორე ქვესახეობაში ამ ნიშანმა განიცადა განსხვავებული ასიმილაციური გავლენა ფუძისეული მომდევნო თანხმონებისგან, ე.ი. II და III პერიოდები ერთიმეორისგან განსხვავდებიან ერთი და იმავე ნიშნის განსხვავებული მორფოლოგიური ცვლილებით.

¹ თუშურის ანალოგიურია S₁-ის /ვ-/-ს მეტათეზისი იმერხეულსა და შავშურში: ჭვამოთ ყოველდღიური სახმარი ფორმა იმერხეულში; მერი ცინცადისა და მამია ფაღავას „შავშურ კილოში“ დადასტურებულია: ჭვამოთ, ხვედავ, თვესავთ (შავშეთი 2011:235).

² შედარებითი ხარისხის ფორმებში (ხუმჯობ ს...) ხ- პრეფიქსი O₃-ის ნიშანია ისტორიულად, ამიტომ ამ პრეფიქსზე ზოგადი მსჯელობის დროს შედარებითი ხარისხის ფორმები კონკრეტულად არ ხსენდება.

სამი პერიოდით ოპერირება მოსახერხებელია ისტორიულ მორფონოლოგიურ ცვლილებათა აღწერისთვის. საჭიროების შემთხვევაში ორნაირი დაყოფიდან უფრო მოსახერხებელს გამოვიყენებთ.

თანამედროვე ქართული ენის დიალექტები S₂-ისა და O₃-ის მარკირების მიხედვით უკლებლივ ძველი ქართულის ბოლო (III) პერიოდის მემკვიდრე არიან, რაც იმას ნიშნავს, რომ მომდინარეობენ {ჰ-} პრეფიქსისგან, რომელიც თავის მხრივ ფორმალურად და გრამატიკული მნიშვნელობით იდენტურია II პერიოდის {ჰ-}-სი: „საზოგადოდ ყველა ის ქართული კილოები, რომელთაც ვიცნობთ ჩვენ ისტორიულად, ძველი ძეგლებიდან თუ ცოცხლად დღეს, ისეთ ფორმებს გვაძლევს უღვლილებაში, რომ აღნიშნული პრეფიქსების ძირითად ფონეტიკურ სახედ უნდა მივიჩნიოთ ჰ“ (შანიძე 1923:360).

მართალია, თანამედროვე კილოებისთვის „ძირითად ფონეტიკურ სახედ უნდა მივიჩნიოთ ჰ“, როგორც ა. შანიძე წერს, მაგრამ ისიც უთუოდ გასათვალისწინებელია, რომ ქართული კილოები ერთიმეორისგან განსხვავდებიან {ჰ-} პრეფიქსის მორფონოლოგიურ ცვლილებათა მიხედვით. ამ ასპექტით ქართული დიალექტები ორ ჯგუფად იყოფა.

დიალექტთა პირველ ჯგუფში ერთიანდებიან ქართლური, კახური და მათი გავლენის ქვეშ მყოფი დიალექტები, ერთი მხრით, ფშაური, მთიულური, გუდამაყური; მესხური და ჯავახური – ესენი განიცდიან ქართლურის გავლენას, მეორე მხრით, ინგილოური და ფერეიდული, რომლებიც კახურისაგან არიან მოწყვეტილი, მაგრამ შენარჩუნებული აქვთ გენეტიკური თვისებები, კერძოდ, S₂-ისა და O₃-ის {ჰ-}-ს გარდაქმნის მორფონოლოგიური წესები. ამ ჯგუფში {ჰ-}-ს ცვლილებისათვის არსებითია პოზიცია V-C, რომელშიც ზმნისწინის ან წინმდგომი სიტყვის დამბოლოებელი ხმოვანი (V-C) იწვევს [ჰ] ბგერის [ღ]-დ გარდაქმნას (მაგ.: და-ღ-წერს, რასა-ღ წერს),¹ ამ ცვლილებაში ზოგჯერ ჩანს ფუძისეული თანხმოვნის გავლენაც (და-ღს-წერს), რაც თანდათანობით ქრება, პირის ნიშნად რჩება მხოლოდ [ღ] ბგერა.

I ჯგუფში S₂-ისა და O₃-ის პრეფიქსისთვის არსებითია ხმოვნის მომდევნო პოზიცია.

II ჯგუფში შედის ის დიალექტები, რომლებშიც {ჰ-}-ს ალომორფები ზმნათა ფუძისეული თანხმოვნების ჰომორგანული და ჰომოგენური ვარიანტებია: /ს-/~ზ-/~შ-/~ჰ-/~ჟ-/~ხ-/~ღ-/. აქვე შევნიშნავთ, რომ ჰომორგანულობისა და ჰომოგენურობის მიხედვით ასიმილაციის პროცესი II ჯგუფის დიალექტებში ერთნაირად არ არის განვითარებული. ამ ჯგუფს განეკუთვნებიან „ფხოუ-

¹ წარმოთქმის დროს პირის ნიშანი /ღ-/ ყოველთვის წინ მდგომ ხმოვანს ეკედლება. ეს ხაზგასმით არის დემონსტრირებული ა. შანიძის მიერ ჩაწერილ ტექსტებში.

რი კილოები“ (მოხეური, ხეკსურული, თუშური) და დასავლური ყველა დიალექტი, კლარჯულის¹ ჩათვლით.

ქვემოთ აღნიშნულ მორფონოლოგიურ ცვლილებებს დაწვრილებით აღვწერთ ვგუფთა მიხედვით. უპირველეს ყოვლისა, აღვწერთ ძველი ქართულის ბოლო (III) პერიოდს, რადგან თანამედროვე ყველა დიალექტი ამ ერთი წყაროდან მოდის.


ძველი ქართულის III პერიოდში (IX, Xსს.) S₂-ისა და O₃-ის {ჰ-}ს /ჰ-/ ალომორფთან წინაენისმიერი ფუძისეული თანხმოვნების წინ თავისუფლად მონაცვლეობენ გარდამავალი /ჰს-/ ალომორფი და საბოლოო ვარიანტი /ს-/: ჰ-წუხდეთ (ი.16.20), ჰ-წყურის (ი.7.37C), ჰ-წყვიდეთ (მრ. 4,24C); შდრ. ჰს-წყვეე (მრ.11.21), ჰს-წუხდეთ (ი.16.20 C) და გან-ს-წმედს (მ.23, 17), გან-ს-წმედლით (მ.10.8); ჰ-ცემდეს (მ.26.67C), შდრ. ჰს-ცემდეს (მრ.15,19) და ს-ცემედ (მ.27.30C); ჰ-დგეთ (ლ.13.25), შდრ. ჰს-დგეთ (მრ.12.25) და ს-დგათ (მ.20.6); ჰ-თქუთ (ლ.9.19); შდრ. ჰს-თქუთ (ი.8.54) და ს-თქუთ (მ. 23.30C); ჰ-ჭამთ (მრ.2.16C); შდრ. ჰს-ჭამთ (მრ.14.12) და შე-შ-ჭამთ (მ.23.13)...

ძველი ქართულის II და III პერიოდების შედარებით გაირკვა, რომ {ჰ-}ს ალომორფთა რაოდენობა იზრდება: ერთადერთი /ჰ-/ს ადგილზე მესამე პერიოდში ორი ვარიანტი ჩნდება. გარდა /ჰ-/სი, ზმნათა ფუძისეული წინაენისმიერი თანხმოვნების წინ დაიწყო ფუძისეულ თანხმოვანთა ჰომორგანული ყრუ /ს-/ ალომორფის თავისუფალი შენაცვლება /ჰ-/სთან (ბგერობრივ გარდამავალი [ჰს] ვარიანტის გავლით); სხვა პოზიციაში ვითარება უცვლელია – S₂-სა და O₃-ს ყველგან გამოხატავს /ჰ-/.

ამ პერიოდის დახასიათებისას არსებითია: (ა) ნაწილობრივი ჰომორგანული ასიმილაცია – ყრუ ლარინგალი [ჰ] გადადის წინაენისმიერ ყრუ ნაპრალოვან [ს]-ში წინაენისმიერი თანხმოვნების წინ; (ბ) ასიმილაცია არა ხდება სახმო სიმთა მოქმედების (ჰომოგენურობის პრინციპის) მიხედვით – ფუძისეულ მედერთა წინაც {ჰ-}ს ყრუ ალომორფებია; (გ) {ჰ-}ს ჰომორგანული ასიმილაცია არ მომხდარა ფუძისეული უკანაენისმიერი და ბაგისმიერი თანხმოვნების წინ; (დ) უთუოდ აღსანიშნავია ჰომოგენურობის პრინციპის ამუშავების დასაწყისი ამ პირის ნიშნებთან, როდესაც ხდება /ს-/>/შ-/ შიშინა აფრიკატების წინ (ჰჰამს > სჰამს > შჰამს; სჯობდა, მაგრამ შჯობდა). ძველი ქართულის III პერიოდში [ჰ-]ს ხმარების შესაძლებლობა S₂-ისა და O₃-ის ნიშნად ნებისმიერი თანხმოვნის წინ თავდაპირველი ვითარების კვალია – მსგავსად S₁-ის /გ-/-სი, /ჰ-/ იხმარება ყველგან, სადაც ზმნის ფორმით S₂ ან O₃ ივარაუდება.

¹ კლარჯული კრებსითი ტერმინია, გამოხატავს ყველა ქართულ დასავლურ კილოს, რომელიც მოქცეულია საქართველოს საზღვრის გარეთ – თურქეთის ტერიტორიაზე.

სქემის სახით შექმნილი ვითარება შეიძლება ასე წარმოვადგინოთ:

{ჰ-} - /ჰ-/ ~ /ხ-/  /შ-/.

სქემის მიხედვით ივარაუდება, რომ /შ-/ ალომორფი /ხ-/ სგან არის მიღებული, რის საფუძველსაც წარმოადგენს სჭამენ, სჯობდა ტიპის ფორმები, სადაც ჯერ კიდევ არ განხორციელებულა ასიმილაცია შიშინის მიხედვით.

თუ გარდამავალ ბგერებს გამოვრიცხავთ, როგორც სქემაზეა, სწორედ ამ სახით შეუდგნენ ქართული ენის თანამედროვე დიალექტები S₂-ისა და O₃-ის გამოხატვას ზმნათა ფორმებში.

გუბრუნდებით II ჯგუფის დიალექტთა ჩვენებას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჰომორგანულობა-ჰომოგენურობის მიხედვით ასიმილაცია ერთნაირად არ არის განვითარებული ამ ჯგუფის დიალექტებში, კერძოდ, „ფხოური კილოებიდან“ მოხეურმა ჯერ კიდევ არ იცის /ჟ-/ ალომორფი, იგი მხოლოდ თუშურსა და ხევსურულშია /ჯ/-ს წინ, დასავლური დიალექტებიდან დადასტურებულია აჭარულში (გაჟჯავრებნ, ჟჯერ(ა), ჟჯობ; ჟჯობია, დაჟჯერდა...).

თუ გავითვალისწინებთ II ჯგუფის დიალექტებში /ხ-/ ალომორფის ჩვეულებრივ ხმარებას მჟღერთა წინ, სავარაუდებელია მჟღერი ვარიანტების (/ხ-/ , /ჟ-/ , /ღ-/) ჰომორგანულ ყრუებთან შედარებით გვიან გაჩენა. ამაზე მიუთითებს ალ. ჭინჭარაულის დაკვირვებაც ხევსურულ დიალექტზე: „ჰბ > ხბ // ღბ... ჰმ>ხმ>ღმ... ჰგ>ხგ//ღგ“ (ჭინჭარაული 1960:96). ამ დიალექტში ჯერ კიდევ დასაშვებია მჟღერთა წინ {ჰ-}-ს ყრუ ვარიანტი.


ხევსურული და თუშური იმითაც გამოირჩევიან II ჯგუფის სხვა დიალექტებისგან, რომ ამ დიალექტებში **აღარ არსებობს /ჰ-/ ალომორფი**, მის ადგილზე /ხ-/ არის ან /ღ-/ , მოხეურში კი /ჰ-/ არ არის იშვიათი, მაგალითად: ჰქენ (ქავთარაძე 1985: 104,19), ჰყვანდა (ქავთარაძე 1985:105,2), მაჰკდისკე (ქავთარაძე 1985:105,4) და სხვ. პარალელურად /ჰ-/ -ს ცვლის /ხ-/ ერთი და იმავე პირის მეტყველებაში: ხქონდა (ქავთარაძე 1985:109,4), დახკლავენ (ქავთარაძე 1985:106,12), ჩახყრიდეს (ქავთარაძე 1985:107,32) და სხვ. კარგად გამოჩნდა, რომ [ჰ] > [ხ] პროცესი მოხეურში დასრულებული არ არის.

ხევსურულსა და თუშურში ისტორიული {ჰ-}-ს ალომორფთა სქემა ასეთ სახეს იღებს *{ჰ-} - /ხ-/ ~ /ღ-/ ~ /ხ-/ ~ /შ-/ ~ /ჟ-/. **აღარ არსებობს /ჰ-/**. უდავოა, რომ მჟღერი ალომორფები ყრუ ვარიანტებზე გვიან გაჩენილა. ამაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ყრუ ვარიანტები ჯერ კიდევ იხმარება ფუძისეულ მჟღერთა წინ მოხეურში, მაგ. ჩასდიოდა (შანიძე 1984:200,6), მოსდის (შანიძე 1984:203,31), დასდევს (შანიძე 1984:219,36), დასდებენ (ქავთარაძე 1985:105,29), ჰვლს სდებდეს (ქავთარაძე 1985: 111,20) და სხვ. ა. შანიძის

მასალა ჩაწერილია 1913 წელს, ი. ქავთარაძის ამავე საუკუნის 40-50-იან წლებში. ანალოგიურია ვითარება ფუძისეულ /ძ/-სა და /ჯ/-ს წინაც. აქაც ხშირად ვხვდებით /ს-/ ალომორფს: დასძახა (ქავთარაძე 1985:109,19,26), წა-მასძახებდა (ქავთარაძე 1985:111,4); დასჯერებია (შანიძე 1984:202,6), პარა-ლელურად: დაზღისარ (შანიძე 1984:193,10), დაზღები (შანიძე 1984:216,15) ასიმილირებული ვარიანტებიც გვხვდება, არ ჩანს მხოლოდ /ჟ-/ ალომორფი /ჯ/-ს წინ.

აღწერილი ვითარება იმაზე მიუთითებს, რომ ფუძისეულ მჟღერთა წინ ჯერ ყრუ ალომორფები გაჩენილა, შემდეგლა თანდათანობით მომხდარა მათი გამჟღერება, ამის კვალი ხევესურულშიც ჩანს ალ. ჭინჭარაულის მასალის მიხედვით („ჰბ>ხბ//ლბ...“). თუშურში S₂-ისა და O₃-ს ნიშნის ასიმილაცია სახ-მო სიმთა ქმედების მიხედვით (ჰომოგენიზაცია) ბოლომდეა მიყვანილი – კანონიკურია ღ ბ ი ა , მიუღებელია ხ ბ ი ა (შდრ. ხევესურული).

ძველი ქართულის ბოლო პერიოდისა და მოხეურის ჩვენებათა მიხედვით ხევესურულისა და თუშურის ვითარება სქემატურად ასეთ სახეს იღებს ისტორიული ასპექტით:



*[ჰ]-თი მინიშნებულია ალომორფთა წარმომავლობაზე, a და b რიგებით კი – ქრონოლოგიურ მიმართებაზე ჰომორგანულ ყრუ და მჟღერ ალომორფებს შორის.

ყრუ ვარიანტთა პირველადობა შეპირობებულია იმით, რომ ისინი ყრუ [ჰ] ბგერისგან მოდიან და ეს [ჰ] ყველა პოზიციაში ჰომორგანული ასიმილაციით ისევე ყრუ ვარიანტს იძლეოდა დასაწყისში, რაც ნათლად ჩანს ძველი ქართულის მიხედვით, სადაც **მჟღერი ვარიანტები არ ჩამოყალიბებულა**.

ჰომოგენური ვარიანტის ჩამოყალიბების ხაზით, რაც ძველ ქართულში განხორციელდა, **ერთადერთია /ს/-ს** გაშიშინება შიშინა აფრიკატთა წინ: შეშჰამენ, შეშჰამდეს... (შდრ. იმავე ძვ. ქართულში ჰჰამენ და სჰამენ).

ზემოთ წარმოდგენილი სქემა გამოდგება დასავლური დიალექტებისთვისაც. ისინი „ფხოური კილოებისგან“ **არ განსხვავდებიან** S₂-ისა და O₃-ის მარკირების პრინციპებითა და მეტყველებასში რეალიზებული ვარიანტებით,¹ კერძოდ, /ს-/\sim/ზ-/\sim/შ-/\sim/ჟ-/\sim/ზ-/\sim/ღ-/ დადასტურებუ-


¹ შდრ. „ფხოური კილოებიც კი (ხევესურული, თუშური, მოხეური), რომლებიც S₂-ისა და O₃-ის საკითხებში ძალიან განსხვავდებიან სხვა კილოებისგან...“ (შანიძე 1923:360; ხაზი ჩ., – თ.უ.).

ლია დასავლურ დიალექტებშიც (იხ., მაგალითად, ბ. ჯორბენაძის „ქართული დიალექტოლოგიის“ I ტომი (1989), V, VI, VII თავები), კერძოდ: /ჟ-/ აჭარულში (ჯორბენაძე 1989:557), /ღ-/ გურულში (ქლ 419, 38); /ხ-/ თითქმის ყველგან გვხვდება და სხვ.

თუ დასავლურ რომელიმე კილოში ესა თუ ის ვარიანტი არა გვხვდება, გამონაკლისი შემთხვევითია, ვირტუალურად მისი არსებობა გამართლებულია იმ მორფონოლოგიური სისტემით, რომელიც ქართული ენის დიალექტთა II ჯგუფში ხორციელდება ზმნათა ფუძისეული თანხმოვნების ჰომორგანულობისა და ჰომოგენურობის ასიმილაციური გავლენით.

დიალექტთა პირველ ჯგუფში S₂-ისა და O₃-ის ყველა ნიშანი {ჰ-}-სთან არის დაკავშირებული, ოღონდ, განსხვავებით II ჯგუფის დიალექტებისაგან, I ჯგუფში /ჰ-/ ~ /ს-/ ~ /შ-/ ალომორფები გარდაიქმნებიან /ღ/-დ, ზოგჯერ შერეული სახით, ზოგჯერ სუფთად /ღ-/ სახით.

ისტორიული ასპექტით S₂-ისა და O₃-ის მარკირება მორფონოლოგიური გარდაქმნების მიხედვით I ჯგუფის დიალექტებში ასეთია:



სქემაზე წარმოდგენილი ვარიანტები თავისუფლად ენაცვლებიან ერთიმეორეს განსაზღვრულ პოზიციაში, რაც გამოხატულია დახრილი ხაზებით ვარიანტებს შორის; a, b, c დაჯგუფებები მხოლოდ ფონეტიკურ გარდაქმნათა თანამიმდევრობას გამოხატავენ, მაგალითად: ივარაუდება, რომ /ჰ-/ ალომორფის /ღ/-დ გარდაქმნას წინ უსწრებდა /ღჰ-/, ანუ რაღაც გარდამავალი [ღჰ] ბგერა და სხვ.

რაც შეეხება ალომორფთა განაწილებას, თავისუფლად მონაცვლე /ჰ-/ და /ღჰ-/ გვხვდება ფუძისეული უკანაენისმიერი და ბაგისმიერი თანხმოვნების წინ, /ს-/ და /ღს-/ – წინაენისმიერი თანხმოვნების წინ; ამ ჯგუფის თანხმოვნებში შიშინა აფრიკატების წინ შეიძლება შეგვხვდეს /შ-/ და მასთან თავისუფლად მონაცვლე /ღშ-/. ამ გარდაქმნათა საბოლოო სახეს – /ღ/-ს, გასაგებია, თანხმოვანთა წინ შეზღუდვა არა აქვს. არ იხმარება მხოლოდ ხმოვან პრეფიქსთა წინ.

ა. შანიძის მიერ 1913 წელს ფშავში, მთიულეთსა და გუდამაყარში ჩაწერილ ტექსტებში (შანიძე 1984) უკანაენისმიერთა წინ S₂-ისა და O₃-ის ნიშნად ჭარბობს /ჰ-/: ჰყვანდა (62,7), დაჰყვა (62,18), ჰკითხა (62,24), დაჰქსოვო (65,31), ჰქონდა (68,34), მოჰკლავს (77,22) და სხვა. ამათ

პარალელურად იხმარება /**ძ**-/, ვხვდებით /**ღ**-/-საც: გაიძყვის (ქდ 85,30), დაიძკრავს (ქდ 85, 33)... მაიკითხა (შანიძე 1984: 62,15), გამაიძნა (შანიძე 1984:63,34)... ასევე პარალელურად იხმარება წინაენისმიერთა წინ როგორც /**ს**-/, ისე /**ღ**ს-/: გასთხარა (შანიძე 1984:65, 6), მასტხეხა (შანიძე 1984:66, 30), მისცეს (შანიძე 1984:67, 31), მოსწყდა (შანიძე 1984:72, 27); შდრ. მოიძტეხს (ქდ 85, 33), დაიძჭირდება (ქდ 56, 28). S₂-ისა და O₃-ის ნიშნად ხშირია /**ღ**-/ ვარიანტი: მაიკითხა (შანიძე 1984:62, 15), გამაიძვნა (შან 63, 34), გაიძვებავს (ქდ 83, 22) და სხვ.

თუ შევადარებთ 1913 წლის ჩანაწერებს 40-, 50-იანი წლებისას, ისინი ერთნაირ ჩვენებას იძლევიან, იზრდება მხოლოდ /**ღ**-/-ს სიხშირე.

I და II ჯგუფის დიალექტთა შედარებით გამოვლინდა: I ჯგუფში **არ ხდება** ბაგისმიერთა და უკანაენისმიერთა წინ ჰომორგანული ასიმილაციის შედეგად /**ხ**-/ ან /**ღ**-/ ალომორფთა ჩამოყალიბება, ხოლო II ჯგუფში /**ღ**-/ ალომორფის ჩამოყალიბება. ესენი ურთიერთგამომრიცხავი ფონეტიკური მახასიათებლებია V-C და #-C პოზიციებში. სწორედ ეს ნიშნები ანაწილებს თანამედროვე ქართულ დიალექტებს ორ ჯგუფში.

უთუოდ სავარაუდებელია, რომ დიალექტთა განსხვავებული ჯგუფების სპეციფიკა განსხვავებული ისტორიული მიდრეკილების გამოვლინებაა, ანუ **ამ ჯგუფებს განსხვავებული დიალექტური წარმომავლობა აქვთ**, კერძოდ: ერთ დიალექტში ან დიალექტთა ჯგუფში საერთო-ქართველური {**ჰ**-} არ იძლეოდა /**ხ**-/ ალომორფს, მეორე ჯგუფში, პირიქით, {**ჰ**-}-ს ჰქონდა /**ხ**-/ ალომორფი.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჰომორგანული ასიმილაცია შეიძლება თანხმობანთა მხოლოდ ერთი რიგის მიხედვით მომხდარიყო, როგორც, მაგალითად IX, X საუკუნეების ძველ ქართულში მხოლოდ წინაენისმიერმა თანხმობებმა მოახდინეს [ჰ]-ის ასიმილაცია წარმოების ადგილის მიხედვით (ჰომორგანულობის პრინციპით), სხვა პოზიციებში [ჰ] დარჩა, ასევე, რა თქმა უნდა, შეიძლება ჰომორგანულობის პრინციპით {**ჰ**-}-ს მოეცა /**ხ**-/ ალომორფი და შემდეგ თვითონ გამქრალიყო, როგორც ეს მოხდა ჩვენ თვალწინ თუ-შურსა და ხევსურულში, სადაც უკანაენისმიერი და ბაგისმიერი ფშვინვიერი და მკვეთრი ხშული თანხმობების წინ მხოლოდ /**ხ**-/ არის S₂-ისა და O₃-ის ერთადერთი გამომხატველი. თვალსაზრისი იმასაც ემყარება, რომ მჟღერი ვარიანტი /**ღ**-/, საერთოდ, პირის ნიშანთა მჟღერი ვარიანტები (/ზ-/, /ჟ-/), გვიანდელია. როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, მათ ახლაც კი უჭირთ ფუძისეულ მჟღერთა წინ რეალიზება.

ზემოთ აღწერილი გარდაქმნების კანონზომიერებით შეიძლება მიგველო „ხანმეტი დიალექტი“ ან დიალექტები.

[ჰ]-ს, როგორც ბგერის, დაკარგვა განპირობებულია იმით, რომ ეს ბგერა თანხმონებთან კომბინაციაში არ შედის ერთი მორფემის ფარგლებში, ხმოვანთა წინაც ვერ ძლებს. ამით არის განპირობებული ქართული ენისთვის ბუნებრივი [ხჲ]-ს გადმოყოლა (ხუალ, მოხუალ), როდესაც სამწერლობო ენისთვის I ჯგუფის დიალექტი იქცა საყრდენად. არ არსებობს ძირეული მორფემა, რომლის ფარგლებში /ჰ/ წარმოდგენილი იყოს სხვა თანხმონებების, კერძოდ [ჲ]-ს, წინ, ანუ /ვ/ ფონემის წინ. /ხვ/ კომბინაცია [ხჲ]-ს სახით კი ძველ ქართულში რამდენიმე ათეულ ძირეულ მორფემაში გვხვდება, 30-ზე მეტი ასეთი ძირი ჩამოთვლილია ი. იმნაიშვილის „ძველი ქართული ენის ქრესტომათიაში“ (1971, გვ. 7); ასევე ხმოვანთა წინ [ხ]-ს გაცილებით მეტი გამძლეობის გამო ძალიან ხშირად ხმარებული ყოფნა ზმნის II პირში (ხარ) /ხ-/ დარჩა S2-ის ნიშნად „ჰაემეტ“ პერიოდშიც.

დასკვნა

თანამედროვე ქართული ენის დიალექტები, მიუხედავად იმისა, რომ საერთო წყაროდან – IX-X საუკუნეების ძველი ქართულიდან მოდიან, S2-ისა და O3-ის ნიშნის მორფონოლოგიურ ცვლილებათა მიხედვით ორ ჯგუფს ქმნიან: I ჯგუფში, რომელშიც შედიან ქართლ-კახური და მათი გავლენის ქვეშ მყოფი დიალექტები: ფშაური, მთიულური, გუდამაყური და სამხრული მესხური და ჯაკახური, {ჰ} იძლევა /ჰ-/~/ფ-/~/ს-/ | /ს-/~/შ/ | /ფმ-/~/ფ-/ ალომორფებს ფუძისეულ თანხმონებთან წინ განსაზღვრული წესებით: /ს-/ | /ფს-/~/შ/ | /ფმ-/ მხოლოდ წინაენისმიერ თანხმონებთან წინ გვხვდებიან, ამათგან /შ/ | /ფმ-/ – მხოლოდ შიშინა აფრიკატების წინ.

II ჯგუფში, რომელშიც შედიან „ფხოური კილოები“ და დასავლური დიალექტები, {ჰ} > {ფ} ცვლილება **გამორიცხულია ნებისმიერ პოზიციაში** და ამავე დროს, **განსხვავებით I ჯგუფის დიალექტებისაგან**, {ჰ} იჩენს /ხ-/~/ლ-/ ალომორფებს ფუძისეული უკანანენისმიერი და ბაგისმიერი თანხმონებების წინ, რის შედეგად {ჰ} რეალიზებულია /ჰ-/~/ს-/~/შ/~/ხ-/~/ლ-/ ალომორფებით.

„ფხოური“ ჯგუფის ორ დიალექტში: თუშურსა და ხევსურულში /ჰ-/ ალომორფი **ადარ არსებობს**, მის ადგილზე მხოლოდ /ხ-/ და /ლ-/ ალომორფებია.

თანამედროვე დონეზე განსხვავებული მორფონოლოგიური ცვლილებები უთუოდ გვაპარაუდებინებს, რომ ძველქართულამდელ პერიოდშიც არსებობდა დიალექტთა ორი ჯგუფი, რომლებშიც S2-ისა და O3-ის საერთო-ქართველური {ჰ} პრეფიქსი დიალექტთა ერთ ჯგუფში წარმოების ადგილის მიხედვით, ანუ ჰომორ-

განული ასიმილაციით იძლეოდა /ხ-/ ალომორფსაც უკანაენისმიერ და ბაგისმიერ თანხმოვნებთან, რომელიც შემდგომ სხვა პოზიციაშიც – წინაენისმიერ თანხმოვანთა წინ ჩანაცვლება /ჰ-/ს და S2-ისა და O3-ის გამოხატვა ამ დიალექტებში მომხდარა {ხ-} მორფემით. „ხანმეტ“ პერიოდში სწორედ დიალექტთა ეს ჯგუფი ქცეულა სამწერლობო ენის საყრდენად.

დიალექტთა მეორე ჯგუფში {ჰ-} უცვლელად დარჩენილა და შედარებით გვიან გამოჩნდა სამწერლობო ენაში – ეს „ჰაემეტი“ მწერლობის პერიოდია, რომლის {ჰ-} პრეფიქსი მოგვიანებით, IX-X საუკუნეებში, განიცდის ფონეტიკურ ცვლილებას წინაენისმიერ თანხმოვნებთან და იძლევა ჯერ /ს-/ს, შემდეგ კი შიშინა აფრიკატთა გავლენით /ს-/სგან – /შ-/ ალომორფს. ჰომოგენური ასიმილაციის გაძლიერებით წარმოიქმნა მჟღერი ვარიანტები: /ხ-/~/ჟ-/~/ლ-/. {ჰ-} მორფემა ამ ჯგუფში წარმოადგენილია /ს-/~/ზ-/~/შ-/~/ჟ-/~/ხ-/~/ლ-/-ს სახით, მეორე სახეობა ამავე ჯგუფში თუშურსა და ხევსურულში ასე გამოიხატება: {ჰ-} /ს-/~/შ-/~/ზ-/~/ჟ-/~/ხ-/~/ლ-/. ამოსავალი მორფემა რეკონსტრუირდება ალომორფთა მიხედვით.

თანამედროვე დიალექტთა ჩვენებაზე დამყარებით შესაძლებელია მსჯელობა წინა პერიოდებში განხორციელებულ ენობრივ ცვლილებებზე, კერძოდ: ძველქართულამდელ პერიოდში განსხვავებული მორფონოლოგიური ცვლილებით ჩამოყალიბებულა „ხანმეტი“ და „ჰაემეტი“ დიალექტები, რომლებიც სხვადასხვა დროს ხდებიან სამწერლობო ენის საყრდენად, რომელიმე მათგანის სამწერლობო ენის საყრდენად ქცევის მიზეზთა გამოვლენა ისტორიის საქმეა.

{ჰ-}-ს საერთო-ქართველურ დონეზე S2-ისა და O3-ის ნიშნად პოსტულირებისთვის არსებობს გარკვეული მონაცემები, კერძოდ: მეგრულ-ჭანური მიხნეულ იქნა ჰაემეტობის ჩამომავლად ამ პირთა ნულოვანი გამოხატვის გამო, სვანურში კი II პირში ად- ზმნისწინის დაყრუება (ად- >ათ-) მიეწერა დაკარგულ /ჰ-/ პრეფიქსს (ადჰ >ათ) (შანიძე 1923:36; შანიძე 1957:333; თოფურია 1967:5). აქ უთუოდ გასახსენებელია ის ფაქტი, რომ დასავლურ დიალექტებში დაკარგული /ჰ-/ პრეფიქსი ახდენს ფუძისეული მეზობელი თანხმოვნის გაფშვინიერებას, შდრ. იმერ. დაფირდა (< დაჰჰირდა), დაქრა (< დაჰჰრა) (ჯორბენაძე 1989:467).

ლიტერატურა

- თოფურია 1967: ვ. თოფურია, სვანური ენა, I, ზმნა. შრომები, I, თბილისი.
თქსენ 1970: თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I კრებული, თბილისი.
იმნაიშვილი 1971: ი. იმნაიშვილი, ძველი ქართული ენის ქრესტომათია, თბილისი.
ქავთარაძე 1985: ი. ქავთარაძე, ქართული ენის მოხეური დიალექტი, თბილისი.


- ქლ 1961:** ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, *ქართული დიალექტოლოგია, I*, თბილისი.
- ქურდიანი 2007:** მ. ქურდიანი, *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლები*, თბილისი.
- შავშეთი 2011:** მ. ფალავა, თ. შიოშვილი, შ. მამულაძე, მ. ცინცაძე, მ. ოხარაძე, ზ. შამიკაძე, ნ. ცეცხლაძე, თ. ფუტყარაძე, მ. ბარამიძე, ჯ. კარალიძე, ვ. ოხარაძე, *შავშეთი*, თბილისი.
- შანიძე 1920:** ა. შანიძე, *სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში*, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. VIII; დაიბეჭდა: ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, I, 1957, თბილისი.
- შანიძე 1923:** ა. შანიძე, *ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისთვის*, ტუმ, ტ. III, ტფილისი.
- შანიძე 1929:** *ქართული ხელნაწერები გრაცში*, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. IX, ტფილისი.
- შანიძე 1957:** ა. შანიძე, *უმლაუტი სვანურში*, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, I, თბილისი.
- შანიძე 1984:** ა. შანიძე, *თხზულებანი I*, თბილისი.
- ჭინჭარაული 1960:** ალ. ჭინჭარაული, *ხევსურულის თავისებურებანი*, თბილისი.
- ჯორბენაძე 1989:** ბ. ჯორბენაძე, *ქართული დიალექტოლოგია, I*, თბილისი.

Tedo Uturgaidze

On the Chronological Relation of *Khanmetoba* and *Haemetoba*

Summary

From the methodological point of view, the present study is based on general morphonological rules obtained according to the evidence of Old Georgian and modern dialects, and it solves the chronological relation between Old Georgian *khanmetoba* and *haemetoba* on the basis of the results obtained from the functioning of these rules in the dialects. Modern dialects of the Georgian language, according to S₁ and O₃ marking, are the descendants of the final period of Old Georgian (9th, 10th cc.). The distribution of the allomorphs of the morpheme {ჰ-}, common for these persons, can be characterized schematically in this section of Old Georgian as follows:

{ჰ-} – /ჰ-/ ~ /ხ-/

 /შ-/.


This means that for the morpheme {ჰ-}, before verb stems beginning with dental-alveolar consonants, there appeared the variant /ხ-/, homorganic with these consonants and also voiceless. In this period, the use of /ჰ-/ and /ხ-/ is common before hushing affricates (დაჰჭირდა||დასჭირდა... ჰჯობდის||სჯობდის...), which means that the principle

of homogeneity was introduced comparatively later into the allomorphs of {ჰ-} (მჰამს, ღამჰჯერღა...).

The scheme reflects the starting condition of Modern Georgian dialects. According to the present state, two groups of dialects developed: Group I includes Kartlian and Kakhetian dialects and those under their influence: Pshavian, Mtiul, Gudamaqarian, Meskhanian, Javakh, Ingilo and Fereidanian. In these dialects the initial variants of {ჰ-} appear in V-C position, where a substantial influence belongs to the vowel before a personal marker (გა-ჲკერავს || გა-ჲჰკერავს, რასა-ჲ კერავს...).

Group II of Georgian dialects includes Khevian, Khevsur and Tush from Eastern Georgia, and all the dialects including Klarjetian from Western Georgia. In this group the change {ჰ-} of S₂ and O₃ is caused by the initial consonants of verb stems due to the principle of homorganicness and homogeneity, which results in ლ-~/მ-~/წ-~/ჟ-~/ღ-~/ღ-~/ღ-/ allomorphs.¹ In this group the principle of assimilation works unevenly, e.g. /ჟ-/ allomorph is attested only in Khevsur, Tush and Acharian.

In Group II Khevsur and Tush should be singled out, in which assimilative principles of homorganicness and homogeneity are observed fully, which resulted in complete disappearance of the marker /ჰ-/ in these dialects. The above scheme of distribution of allomorphs of {ჰ-} of S₂ and O₃ in these two dialects, taking history into account, assumes the following shape:




The asterisk indicates that the initial material form of realization of the morpheme {ჰ-} everywhere under the homorganic and homogeneous assimilative influence was substituted with /ლ-~/მ-~/წ-~/ჟ-~/ღ-~/ღ-~/ღ-/ variants.

Morphological opposition of one type between range and phonemic systems may cause repetition of a phonetic phenomenon at different points of time and space, where mutual influence of language subsystems must be excluded.

In accordance with the described circumstances, {ჰ-} existing in the period preceding *khanmetoba* may have disappeared materially in some dialects and after becoming a support of the literary language the prefix /ლ-/ may have been established as a marker of S₂ and O₃ on the basis of the homorganic assimilation principle. Later on, circa after the 7th c., the dialects, in which there survived {ჰ-} marker of the period earlier than *khanmetoba*, became a support of the literary language, and exactly this marker became the marker of S₂ and O₃ in Old Georgian in the 8th 10th cc. The emergence of its

¹ Zero allomorph in front of vowels was established already in the final period of Old Georgian.

variants began in the same period according to the principle of homorganicness-homogeneity.



The basis of this assumption is a characteristic feature of the phonetics of the Georgian language: [ʒ] sound in some positions can result in [b], but a contrary variant does not occur.

ვანი, ყურანი, ღვინო

(ეთნოკულტურული და ენობრივი ანალიზი)

საქართველოში მეღვინეობა-მევენახეობა ქართველთა სამეურნეო და კულტურული ყოფიერების უმნიშვნელოვანესი და უძველესი სფეროს კუთვნილებაა, რომლის ფესვებსაც კულტუროლოგიის სპეციალისტები ათასწლეულების მიღმიერ ფენებში ადასტურებენ. ამას მხარს უჭერს წმინდა ენობრივი მონაცემებიც, რაც იმაში გამოიხატება, რომ ქართული ენა უალრესად მდიდარია ამ დარგის ტერმინოლოგიით, რაც სადღეისოდ სპეციალურ ლიტერატურაში ფაქტოლოგიურად ერთობ მალაღონეხეა შესწავლილი და გამოვლენილი (ივ. ჯავახიშვილი, ლ. ფრუიძე, ლ. ასათიანი, ა. ლეკიაშვილი და საკმაო რაოდენობა დიალექტოლოგიური და დარგობრივი ლექსიკონებისა). არის არაერთი ცდა ცალკეულ ტერმინთა ისტორიულ-ეტიმოლოგიური მიმართებების დადგენისა და მათი ფართო კულტუროლოგიურ კონტექსტებში მოქცევისა. ამ თვალსაზრისით, ვფიქრობთ, იკმარება თუნდაც ორი ფუნდამენტური ნაშრომის დასახელება: ი. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, წიგნი მეორე და ლ. ფრუიძე, მევენახეობა და მეღვინეობა საქართველოში, ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, წიგნი პირველი, რაჭა, 1974.

ქართულ ენაში ერთმანეთს ორგანულად უკავშირდება მევენახეობა-მეღვინეობის დარგობრივი ლექსიკის სამი იდეოგრაფიული ველი: ვანი – მცენარე, ყურძენი – მცენარის ნაყოფი და ღვინო – ყურძნის პროდუქტი. ვფიქრობ, ქართული ენის ლექსიკის სამივე ეს ფენომენი ქართულ ეთნოგრაფიულ და ლექსიკოგრაფიულ ლიტერატურაში სადღეისოდ ფრიად გამოწვლილვითაა შესწავლილი და წარმოჩენილი. სასურველი იქნებოდა ამ დარგის ტერმინოლოგიის ისტორიულ-ეტიმოლოგიური მიმართებების დადგენა მისი აღწერის მდგომარეობის შესაფერის ღონეზე, რაშიც, სამწუხაროდ, ეს უკანასკნელი აშკარად ჩამორჩება პირველს. ამ მხრივ ქართული ენათმეცნიერება უეჭველად ვალშია კულტუროლოგიასთან. ამ ნაკლს, ალბათ, თავის დროზე აანაზღაურებს იმ საბუთაოს დამთავრება, რომელიც დიდი ხანია მიმდინარეობს არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონის შესადგენად.

აქ შევეცდებით წარმოვადგინოთ მეღვინეობის დარგის სამი უმთავრესი საგნის – **ვანის**, **ყურძნისა** და **ღვინის** ამსახველი ტერმინების შესწავლის დღევანდელი მდგომარეობა საენათმეცნიერო ლიტერატურაში და ვაჩვენოთ ის წინააღმდეგობანიც, რაც ახლავს ამ საკითხთა არსებულ წარმოდგენებს.

ვაზი

მცენარე, რომელიც ყურძენს ისხამს, ყურძნის ხე. ასეთი იქნება ამ სიტყვის ძალზე ზოგადი, სალექსიკონო განმარტება. ასევე განმარტავენ მას ქართველი ლექსიკოგრაფები სულხან-საბა ორბელიანი და დავით ჩუბინაშვილი (ორბელიანი 1966:256; ჩუბინაშვილი 1984:499). მხოლოდ ილია აბულაძე განმარტავს მას როგორც „ნასხლევი“ და „ვენახი“ (აბულაძე 1973:153). საილუსტრაციოდ მოხმობილი მასალა ცხადყოფს, რომ „ვაზი“ ძველი ქართული ენის ძეგლებში, ლიტერატურულ ტექსტებში, თვით ყურძნის ხის – ვაზის – გვერდით მის ტოტს, ლერწს, სწორედ „ნასხლევისა“ აღნიშნავს. თანამედროვე სალიტერატურო ენის რვატომეულ განმარტებით ლექსიკონში მისი წარმოდგენა, როგორც „მცოცავლეროიანი მცენარე, რომელიც ყურძენს ისხამს“, ალბათ მასზე მისი ლათინური სახელწოდების (*vitis vinifera*) ზემოქმედების შედეგია.

„ვაზი“ ყურძნის ხის აღმნიშვნელ ტერმინად ქართულ წერილობით წყაროებში IX-X საუკუნეებიდან ჩნდება და ერთხანობას ამ მცენარის უძველესი ქართული სახელის „ვენახის“ პარალელურად იხმარება (ჯავახიშვილი 1986:306). თანდათანობით „ვაზი“ მთლიანად ენაცვლება ვენახს და „ვისრამიანის“ ქართულ თარგმანში (XVII ს.) მხოლოდ ეს სახელი დასტურდება. ქართულ ენაში მისი გაჩენის გზები უცნობია. უცნობია მისი ეტიმოლოგიაც. მხოლოდ ივ. ჯავახიშვილი მიანიშნებს იმ კავშირზე, რაც შეიძლება ჰქონდეს მას სპარსულ „რეზ“-თან (ჯავახიშვილი 1986:307). წინარეიარაღი „რაზ“ არქეტაპის გვერდით სომხურ „ვაზს“ მიუთითებენ თ. გამყრელიძე და ვ. ივანოვი (გამყრელიძე, ივანოვი 1984:651), თუმცა „ვაზს“ ამ ენაში „ვორთ“ ჰქვია და, იმავე ივ. ჯავახიშვილის ცნობით, სიტყვა „ვაზი“ აქ XIII საუკუნის შემდგომ პერიოდში უნდა იყოს გაჩენილი. „ახალ სომხურში თუმცა „ვაზ“ იხმარება, მაგრამ, როგორც დაბაღშიანს აღნიშნული აქვს, მხოლოდ მდაბიო ხალხში. ამასთანავე მდაბიო ხალხშიც ეს ტერმინი სომეხთა ყველა ტომს შორის არ არის ცნობილი, არამედ ტფილისის, შულავერისა, ყაზახისა და ერევნის სანახების, ერშიაძინის თემის სოფლებში აშტარაკსა, ოშკანსა და ფარაშია გავრცელებული“ (ჯავახიშვილი 1986:563). ე.ი. ძალზე დიდია იმის ალბათობა, რომ ეს სიტყვა სომხურში ქართული ენიდან იყოს შესული. პირიქით სესხება გამორიცხული ჩანს.

დღეს „ვაზი“ ამ მცენარის ერთადერთი სახელია ქართულ სალიტერატურო ენაშიც და აღმოსავლურ ქართულ დიალექტებშიც. აქ მას მოპოვებული აქვს სრული სოციალური ფუნქცია – სხვა სახელი ამ საგნის აღსანიშნავად არ იხმარება. რაც შეეხება დასავლურ კილოებს, იქ სახალხო მეტყველებაში ჯერაც უმეტესად „ვენახი“ გამოიყენება. იხმარება „ვაზიც“, მაგრამ, როგორც ჩანს, იგი ძირითადად ლიტერატურული გზითაა გავრცელებული. ზანური

ენის ორსავე დიალექტში – მეგრულშიც და ლაზურშიც – ვაზის სახელად ქართული „ვენახის“ კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისი „ბინეხ“-ია. რაჭაში კი, ხალხურ მეტყველებაში, ძირითადად „ლერწი“ გამოიყენება (ფრუიძე 1974:16).

ძველი ქართული ენის წერილობითი ძეგლებში ტერმინი „ვენახი“ ომონიმური მნიშვნელობისაა: აღნიშნავს ვაზსაც და ვაზის ბალსაც, ანუ დღევანდელ ვენახსაც (აბულაძე 1973:156). ტერმინი „ვენახოვანი“ მხოლოდ „ვენახის“ მნიშვნელობით გამოიყენება (ჯავახიშვილი 1986:305; აბულაძე 1973:156). არსებობს ტერმინი „ვენაკრიელი“ – ვენახებიანი ადგილი (სარჯველაძე 1995:81).

მას შემდეგ, რაც „ვაზ“ ფუძემ მთლიანად ჩაანაცვლა ტერმინი „ვენახი“ მცენარის მნიშვნელობით, მოხდა ამ სიტყვის რეინტერპრეტაცია და მან მიიღო ძველი „ვენაკოვანის“, ე.ი. „ვენახის“ დღევანდელი გაგება, ხოლო ძველი ქართულის „ვენაკრიელმა“ ადგილი დაუთმო ტერმინი „ვენაკოვანს“. ეს არის ერთი ტიპური მაგალითი ენის ლექსიკურ სისტემაში მნიშვნელობათა გადაწევისა: როცა ამ ენაში ჩნდება ნასესხები ან სხვა გზით გაჩენილი ახალი სიტყვა, ის სიტყვა, რომელიც ახლად შემოსულმა ჩაანაცვლა, კი არ ქრება ენის სისტემიდან, არამედ ხდება მისი მნიშვნელობის დავიწროება, სემანტიკური ველის ერთ ნაწილს უთმობს ახლად შემოსულს, ხოლო მეორე ნაწილს კვლავ თვითონ იტოვებს აღსანიშნავად. ასე მოხდა აქაც: „ვენახი“ ქართულად ენის ერთი დარგის – მევენახეობა-მეღვინეობის ლექსიკაში აღნიშნავდა მცენარესაც და ამ მცენარეთა ბალსაც. გვიან გაჩენილმა „ვაზმა“ მიიღო მცენარის მნიშვნელობა, ხოლო ბალის მნიშვნელობა ისევ „ვენახმა“ იტვირთა. ამის მაგალითები ქართულ ენაში იშვიათი არაა. შეიძლება ნიმუშების მოხმობა დარგობრივი ლექსიკის სხვა სფეროებიდანაც: საქართველოში კულტუროლოგიურად მევენახეობისნაირივე მეურნეობის ძირძველი დარგია მეცხვარეობაც. ამ დარგის მაღალგანვითარებული კუთხის – თუშურ დიალექტში არსებობს მეცხვარეობის პროდუქტის საერთო ქართული სახელი „ყველი“. იგი ქართულ ნიადაგზე წარმოქმნილი ნაზმნარი (ნამიმლეობარი) არსებითი სახელია (ეტიმოლოგია ეკუთვნის მზექალა შანიძეს). თუშურმა დიალექტმა აგრეთვე ამ დარგის მაღალგანვითარებული მეზობელი ნახური რეგიონის ბაცბური ენიდან ისესხა ტერმინი „ნაჩხ“. ამ სიტყვამ „ყველი“ ვერ ჩაანაცვლა, მაგრამ დაიკავა მისი სემანტიკის ერთი ნაწილი: თუშურმა მას დაურთო კნინობითობის კო-ულა კონფიქსი და ამ გზით მიღებულ „კონჩხულა“ სიტყვას განუკუთვნა სახელდახელოდ ამოღებული პატარა ყველის თავის მნიშვნელობა (ცოცანიძე 2002:203).

როგორც ზემოთ გაკვრით უკვე ვთქვით, ქართულ „ვენახ“-ს მეგრულსა და ლაზურში „ბინეხ“ ფორმა შეესაბამება. ესაა ბგერათა კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისობები ქართულსა და ზანურს შორის. ქართული ენის /ვ/ ფონემის კბილბაგისმიერ ვარიანტს, რომელსაც სიტყვაში თავკიდურა პოზი-

ცია უკავია, ზანურში წყვილბაგისმიერი ხშული თანხმოვანი შეესაბამება, რომელიც პოზიციის მიხედვით შეიძლება იყოს ბ, ფ ან პ. შესაბამისად, ბ იქნება ხმოვნებისა და მჟღერი თანხმოვნების წინა პოზიციაში, ფ – ფშვინიერებთან და პ – მკვეთრებთან: ბიბონუმ – ვიბან; გეფშვი – შვესვი; დოპჭარი – დავწრე. ნ-ს წინა პოზიციაში ქართული ე – ზანური ი შესატყვისობაც კანონზომიერია (მელიქიშვილი 1975:122-128). ასე რომ, ქართული „ვენახ“-ის შესაბამისად, ზანურში „ბინეხის“ არსებობა ბგერათშესატყვისობათა ამ წესების რეალიზაციაა. ქართულ-ზანური ერთიანობის დონეზე აღდგება „ქენაკ“ არქეტიპი. ეს აღდგენა გიორგი კლიმოვს ეკუთვნის (ფენრიხი, სარჯველაძე 2000:198-199). ქართულ „ვენახს“ სვანურში „ქენაკ“ ფორმა შეესაბამება.¹ ეს შეფარდებაც კანონზომიერია: ჯერ ერთი, ქართულსა და სვანურს შორის ხმოვანთა შესატყვისობები იდენტურია. მეორეც, ამ ენის გავრცელების კულტურულ-გეოგრაფიული არეალის თავისებურებებიდან გამომდინარე, სვანურს ამ მცენარის თავისი სახელი შეიძლება არც ჰქონდეს. იქ არსებული ფორმა ქართულიდან ნასესხები უნდა იყოს. სიტყვის მეორე მარცვალში უძლავუტიანი ა-ს არსებობა სვანურში მოქმედი ხმოვანთა უძლავუტიზაციის წესებითაა განპირობებული. ჭანური, მეგრული, ქართული და სვანური მასალა შეაპირისპირა არნოლდ ჩიქობავამ (ჩიქობავა 1938:133).

საერთო-ქართველური *ქენაკ* (*ვენახ*) არქეტიპი ორმორფემიანი ფუძეა, რომელიც შედგება *ქენ* ძირეული და -აკ სუფიქსური მორფემებისაგან. როგორც ძირეული, ისე სუფიქსური ნაწილები სრულად შეესაბამება წინარექართველური მორფემების ე.წ. კანონიკურ მოდელებს (იხ. გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965:306-307). ამის (და რიგი სხვა მიზეზების) გამო „ქენაკ“ ფუძის საერთო-ქართველურ დონეზე ინდოევროპულიდან ნასესხებობა შეიძლება ბოლომდის სარწმუნო არ იყოს (შდრ. გამყრელიძე, ივანოვი 1984:651).

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართულში ვაზის სახელი „ვენახი“ საერთო-ქართველურიდან მომდინარეობს. სხვა საკითხია რამდენად მოხერხდება ამ ფუძის ეტიმოლოგია წინარექართველურ დონეზე. ამის პასუხი ქართველოლოგიას ჯერჯერობით არ მოეპოვება.

„ვენახის“ მნიშვნელობით ქართულ ენაში მოიპოვება ტერმინი „ზვარი“. ამ უკანასკნელის სემანტიკური დატვირთვა „ვენახ“-თან შედარებით განსხვავებულია, რაც ქართულ ლექსიკოგრაფიაშიცაა ასახული: „დიდი ვენახი“ (ქეგლ 1962); „მეპატრონის ვენაკი“ (ორბელიანი 1966); „ადგილი, სადაც მზე დიდხანს მიადგება; რადგანაც ამგვარი ადგილი უკეთესია სავენახოდ და სოფელთ მეპატრონენი მას გამოარჩევენ, ამის გამო **ზვარი ეწოდების დიდსა ვენახსა**, რომელსაც შეიმუშავებენ გლეხნი, ხოდაბუნი“ (ჩუბინაშვილი 1984:522).

¹ ეს სიტყვა 2000 წელს გამოცემულ „სვანურ ლექსიკონში“ არ არის შეტანილი (თოფურია, ქალღანი 2000)

ქართველური ენების შედარებით და ეტიმოლოგიურ ლექსიკონებში ტერმინი „ზვარი“ არაა შეტანილი. ეს იმის მანიშნებელია, რომ იგი ზანურსა და სვანურ ენებში არ არის და არც საერთო-ქართველურ დონეზეა საგულვეტელი. ე.ი. იგი მხოლოდ ქართული ენის კუთვნილებაა. იგი მევენახეობის ტერმინოლოგიაში აქტიურად ხმარებული სიტყვაა, ვენახისაგან განსხვავებული სემანტიკით: *ვენახი* მომცრო *ვაზნარია*, ხოლო *ზვარი* ერთ დიდ, ვრცელ *ვაზნარს* ეწოდება. ორივე ეს ტერმინი ამ გაგებით იხმარება როგორც ძველ, ისე უახლეს ქართულში.

„ზვარის“ ეტიმოლოგია ერთობ გამჭვირვალეა: იგი ქართულ ნიადაგზე წარმოქმნილი ტერმინი ჩანს და უნდა უკავშირდებოდეს „მზვარე“ სიტყვას, რომელიც მზის გულზე ფართოდ გაშლილ მინდორს, ფერდობს ანდა მზიან ველს, ზეგანს აღნიშნავს. მისი თავდაპირველი მნიშვნელობაც, ალბათ, სწორედ ეს იყო, რომელიც შემდგომ მიიღო ასეთ ადგილზე გაშენებულმა ვენახმა. ეს მიმართება კარგადაა ასახული დავით ჩუბინაშვილის აქ მოხმობილ ციტატაშიც. „მზვარე“ ფუძე კომპოზიციური წარმომავლობისა ჩანს: „მზე“ და „არე“ ფუძეებისაგან შედგენილი – *მზე+არე*. ამათ შორის /ვ/ ფონემა ფონეტიკურ ნიადაგზე გაჩენილი ხმოვანთგამყარია. ამგვარი პროცესი ქართული ენის დამახასიათებელი ფონეტიკური მოვლენაა (შანიძე 1973:28). ფუძის კომპოზიციის გზა ასეთი იქნება *მზე-არე – მზე-ვ-არე – მზვარე*. სემანტიკური რეინტერპრეტაციის შემდეგ მზესთან ასოციაციური კავშირი სუსტდება, რის ნიადაგზეც *მ* იკარგება და ვიღებთ „ზვარ“ სპეციალური ტერმინის ფუძეს.

აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ თავდაპირველად შესაძლებელია „ზვარი“ ზოგადად სახნავ-სათეს ფართობსაც აღნიშნავდა. თუმურ დიალექტში დღეს „ზვარი“ ცოცხალი არაა, მაგრამ არის „ზვარგამართება“, რაც მამულში ხარ-გუთნის გაყვანას, მამულში ნახნავის პირველი კვლების გატანას ნიშნავს (ცოცანიძე 2002:164).

ტერმინებს „ზვარი“ და „ვენახი“ თანამედროვე ქართულ ენაში განაწილებული აქვთ სიტყვაწარმოებითი სტრუქტურულ-სემანტიკური სფეროებიც: „მეზვრე“ ზვრების, ვენახების მცველია, ზვრების მეველეა, „მევენახე“ კი – ვენახის მოვლა-მოშენების ოსტატი, დარგის სპეციალისტი. ეს ორი ტერმინი ენობრივ კონტექსტში ერთმანეთს ვერ ჩაენაცვლება. აქაც იმავე მოვლენასთან გვაქვს საქმე, რაც გვქონდა „ვენახისა“ და „ვაზის“ შემთხვევაში: ვიან გაჩენილმა „ზვარმა“ კი არ შეცვალა ძირძველი „ვენახი“, არამედ გაინაწილა მისი სემანტიკური ველის ნაწილი.

ყურძენი

ეს სიტყვა ქართულ წერილობით ძეგლებში ძველთაგანვეა დადასტურებული. ლექსიკონებში განუმარტავია, ან ძლიერ მწირადაა განმარტებული. არ არის განმარტებული იგი სულხან-საბა ორბელიანთან. მითითებულია მხოლოდ

მისი შემცველი რამდენიმე კომპოზიტი. კატის-ყურძენა, ძაღლის-ყურძენა, მოჰყურძნე. „ხილი ვაზისა“, ასე განმარტავს მას დ. ჩუბინაშვილი (ჩუბინაშვილი 1984:1390). ამავე ბუდეში ჩამოთვლილია ყურძნის ჯიშობრივ სახეობათა სახელები: ბუდეშური და თითა, კიჩერი ან ქიშური, ხარისთვალა, ჩიტისთვალა, სააბი, საფერავი, ქიშშიში და ჩამიჩი, კრიკინი და რძღვამბლი; შემდეგ, ნიკო ჩუბინაშვილზე მითითებით, ჩამოთვლილია სხვა სახეობათა სახელები: აკიდო, განჯური, ღუნდღე, თავკვერა, კაშური, კუნძა, მაჭყვადური, მტევანდინი, მცვივანი; მწვანე, პუმპულა, რქაწითელი, საფენა, სვანური, ტრედისფეხა, უჩაში, ღორისთვალა, შავი, შონური, ჩხავერი, ძაღლიარჭამა, ჭიტაში, ჭიტლური, ჭუმჭუტა, ხარდანი, ხუმხუ, ჯანანური, ჯანი, კლარჯული, თეთრუშა, სამარხი, ხოფათური; საკმეველა, ორონა, კაბისტონი, აჯალიანი, ძველშავი. „ყურძენი“ განუმარტავია ილია აბულაძის ლექსიკონშიც (აბულაძე 1973:470), ოღონდ მოხმობილია ამ სიტყვის შემცველი საკმაოდ ბევრი ილუსტრაცია ძველი ქართული ენის წერილობითი ძეგლებიდან. ქართული ენის რვატომეულის განმარტებით ლექსიკონში მისი ორი მნიშვნელობაა მოცემული: 1. „ვაზის ნაყოფი“, 2. „უხმარიათ ვაზის მნიშვნელობით“. საილუსტრაციოდ მოტანილია ილია ჭავჭავაძის ფრაზა: „ჩვენში ყურძენი და მრავალგვარი ხეხილი ხარობს“, ჩვენი აზრით, მაინცა და მაინც არ ადასტურებს ამ სიტყვის ვაზის მნიშვნელობით გამოყენებას. „ყურძენი“, შედარებითი და ეტიმოლოგიური ლექსიკონების მიღმა დარჩენილი, რაც იმის მაუწყებელია, რომ ავტორები მას საერთო-ქართველურიდან მომდინარედ არ მიიჩნევენ. ჩვენ კი გვგონია, რომ საქმის არსს რეალურად გამოხატავს ივანე ჯავახიშვილის თვალსაზრისი: რომ „ეს სიტყვა ქართული ენის ძველისძველი განძეულობის საერთო კუთვნილებას უნდა წარმოადგენდეს, რადგან ვაზის ნაყოფს მეგრულადაც „ყურძენი“-ვე და „ქურძენი“ ეწოდება, ჭანურადაც „ყურძენი“ და „ურძენი“ ჰქვიათ, სვანურადაც „ყურძენს“ ეძახიან. მართლაც, ქართულ „ყურძენს“ ზანურში რომ „ქურძენი“ შეესაბამება, ეს ამ ენებს შორის კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისობების ფაქტია: ქართულ *ყ*-ს ზანურში ანლაუტში ხმოვნების წინ კანონზომიერად *ქ* – ლარინგალური მკვეთრი ნაპრალოვანი ბგერა შეესაბამება: ქართული *ყანა* – მეგრ. *კონა*; ქართული *ყარ-ყარა* – მეგრული *კორ-კორა*; ქართული *ნა-ყარი* – მეგრული *ნო-კური*, ქართული *სიყვარული* – მეგრული *კოროფა* და სხვა (ფენრიხი, სარჯველაძე 2000:526-546). ვფიქრობთ, ეჭვს არ უნდა იწვევდეს ქართული „ყურძენ“ სახელის საერთო-ქართველურიდან მომდინარეობა.

რაც შეეხება ყურძნის ჯიშობრივ სახეობათა სახელებს, ხერხდება მათი დიდზე დიდი ნაწილის ქართული ენის ნიადაგზე ეტიმოლოგიზაცია. მათი აბსოლუტური უმრავლესობა ნაზელსართავსახელარია და აგებულია ადიექტივური სიტყვაწარმოების წესების მიხედვით: ხარისთვალ-ა, კრიკინ-ა, კრახუნ-ა; რქა-წითელი, ძველ-შავი; გორ-ული, ქიწნ-ურა, ალადასტ-ური, ცოლიკა-ური

და სხვა: ზოგი მათგანი მეგრული ენის მოშველიებით იხსნება: *ურა-ში* – ქართულად ნიშნავს უფროსისა; *ჭითაში* – წითლისა (ოჯალეში: „ჯა“ მეგრულად ხეა *ო-ჯა(ლ)-ე*- არის სახე(ვ)ე, ე.ი. ხეზე ასასვლელი, *ო-ჯა(ლ)-ე-ში* – სახე(ვ)ისა; მეგრულისავე მოშველიებით გააზრიანდება ბუდეშური, მიუხედავად იმისა, რომ იგი ძირითადად აღმოსავლურ ქართული ყურძნის ჯიშის სახელია. ბუდეში მეგრულში „ბუდე“ სიტყვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმაა, ბუდეშური კი ქართულად გაიაზრება როგორც **ბუდისურა**.

სიტყვა „ყურძენ“-ის საერთო-ქართველურ გააზრებას შეიძლება ხელი შეუშალოს იმან, რომ იგი ვერ თავსდება ქართველური ფუძის სტრუქტურის კანონიკურ ჩარჩოებში. ეს სტრუქტურა კი ასეთია: ძირი: თანხმოვანი – ხმოვანი – თანხმოვანი; პრეფიქსი: თანხმოვანი-ხმოვანი; სუფიქსი: ხმოვანი-თანხმოვანი (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965:303 და შმდ). არნ. ჩიქობავა ამ ფუძეს შემდეგნაირად შლის ყურძ-ენ, სადაც – *ენ* ისეთივე სუფიქსადაა მიჩნეული, როგორც ცხენ, წვეწ, ბრპენ, ბრძენ ფუძეებში, მაგრამ ამ დაშლის შესაძლებლობა გაძნელებულია (ჩიქობავა 1942:96). იმ დროს, როცა ეს ნაშრომი დაიწერა, საერთო-ქართველური ენის მორფემათა სტრუქტურა დადგენილი არ იყო. ამიტომ როგორც ამ, ისე სხვა ფუძეების ანალიზი ფუძეთა ანალიზის თანამედროვე თვალსაზრისს არ შეესაბამება. თუ დაშლაა, „ყურძენ“ ფუძე ალბათ ასე უნდა დაიშალოს: *ყურ-ძენ*, რაც მას თხზულ სახელად გაიაზრებს, რომლის ორივე ნაწილი ძირის კანონიკურ ფორმას შეესაბამება. ეტიმოლოგია ამ შემთხვევაშიც უცნობი დარჩება.

ღვინო

ყურძნის ნაწური, თავისით დადუღებული მათრობელა სასმელი. ასე განმარტავს ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი სიტყვა „ღვინო“-ს, რაც მინიმალურადაც ვერ ასახავს საგნის არსს და ღვინის ადგილს ქართველთა ყოფასა თუ ცნობიერებაში.

სულხან-საბა ორბელიანი თავის „სიტყვის კონაში“ სიტყვა „ღვინო“-ს განმარტების გარეშე წარმოადგენს მის დეტალიზაციას: „ღვინონიცა განიყოფებიან: რამეთუ რა დაიწნიხა ყურძენი, ეწოდებიან ტყბილ(ი); უკეთუ აღაზაკეს წყალი, დგვიფნას უწოდენ და უწყლოსა ტყბილსა – ქუმ(ა)სა, ვიეთნი არმუნჯს(ა) უ მობენ; უკეთა ნაწინესა ჭაჭასა წყალი დაასხა და გამოქანჩა, უწოდენ შამანს(ა); უკეთუ ტყბილსა ძლიერად არ დაედულოს, – ამბოხი (ამბოხსა); ახლსა ღვინოსა მაჭარი ეწოდების და შემდგომად ღვინო; და გაწყალეულსა ღვინოსა ჟოქო ეწოდების“ (ორბელიანი 1966:260).

დავით ჩუბინაშვილი სახელს ბერძნულად მიიჩნევს. განმარტავს, როგორც „ყურძნის ნაწური სასმელი“. საბასთან შედარებით მეტია დეტალიზაცია სახეობათა მიხედვით და უფრო დაზუსტებულია ტერმინების განმარტებებიც:

„ახალ ნაწურს ეწოდება ტკბილი; ჯერეთ ღუღილში მდგომს – ამბოხი; დაღუღებულს – მაჭარი; ცეცხლზე ნაღულს – ბადაგი; ნაწინეს ჭაჭას რა დააღუღებენ წყლით და მეორედ გამოჰქანჯვენ, ეწოდების შამანი; ღვინოსა მგბარსა და შაქრით და სუნნელით ზავებულსა – კუნდიტი; დამჟავებულსა – ძმარი (ჩუბინაშვილი 1984:1359).

ერთი რამ ორივე ლექსიკოგრაფთან ცხადად ჩანს: საგნის ზოგადი სახელი არის ღვინო. ყურძნის ნაწური რომ ღვინოდ გადაიქცეს, მან უნდა გაიაროს ღვინოდქმნადობის რამდენიმე საფეხური (თანამედროვე ტერმინოლოგიით „ტექნოლოგიური პროცესი“) და თითოეული საფეხურისთვის ქართულ ენას მოეპოვება სპეციალური ტერმინები სრულიად სხვადასხვა ძირთაგან მომდინარე ფუძეებით. ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ **ღვინო და ღვინის წარმოება ქართველთა ყოფისა და კულტურის უძველეს დარგებს განეკუთვნება და ქართულ ენობრივ ცნობიერებაშიც საკმაოდ მდიდარი სპეციალური ლექსიკით იმკვიდრებს ადგილს.**

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ქართულ ენაში, მის ლექსიკაში, იმ ფრაზეოლოგიზმების სიუხვე, რომლებშიც სემანტიკის სიმძიმე სწორედ სიტყვა „ღვინო“-ზე მოდის. ისინი იმდენად ბევრია ენაში, რომ მათი რამდენადმე სისრულით აღნუსხვა შეუძლებელიც კია. აქ შეიძლება ჩამოვთვალოთ ზოგი მათგანი, რომელთა ერთი ნაწილი ქართული ენის განმარტებით ლექსიკონსაც აღუნუსხავს სიტყვა „ღვინო“-ს ბუდეში: თავი ღვინო – საუკეთესო ხარისხის ღვინო; თავანკარა ღვინო – წმინდა, შეურევენელი ღვინო; შუმი ღვინო – ნამდვილი, სუფთა ღვინო; სახარჯო ღვინო – ჭაჭაზე წყლით დაყენებული წყალწყალა ღვინო; შუა ღვინო – იგივეა, რაც სახარჯო ღვინო; დამდგარი ღვინო – ბოლომდის დაღუღებული და დაწმინდაებული ღვინო; საძველო ღვინო – შესანახად ვარგისი ღვინო; ძველი ღვინო – საგანგებოდ დიდხანს შენახული ღვინო; გალა ღვინო – სუსტი, უძალი ღვინო; მოჭანგული, მოჭვანგული, წაკანჭული ღვინო – სიმჟავის გემოდაკრული ღვინო; ნაკბენი ღვინო – იგივეა, რაც მოჭანგული, წაკანჭული ღვინო; ხატის ღვინო – ხატის შესაწირავი ღვინო; ღვინო ერევა – ღვინო ათრობს; ღვინო მოეკიდება – დათვრება, ნასვამობა შეეტყობა; ღვინო შეუჯდება, გაუჯდება – ცოტათი დათვრება, შეზარხოშდება; ღვინოში იხრჩობა – ბევრს სვამს; ღვინოში ბანაობს – ბევრი ღვინო აქვს; ღვინოს თავს წაუქცევს – ღვინით მიცვალებულის სულს ახსენებს; ღვინის თხლეზე დაყვანა – ღვინის გათავება, გამოლევა; ღვინის გადაღება – ღვინის გადასხმა ახალ ჭურჭელში დანალექის მოსაცილებლად; ღვინის ქლიმვა – ჭურის პირველად მოხდა და ღვინის ამოღება (გურ.); ღვინის თბილი – წითელი ღვინისა და ცხარე სანელებლისაგან შემზადებული სასმელი; ხმარობენ ქონიანი საჭმლით გამოწვეული კუჭის აშლილობის წამლად (ლენჩ.); ღვინის დასაღვევი – ღვინოზე მისაყოლებელი მცირედი საჭმელი; „ღვინო“ და

„მაჭარი“ ქართულ მეტყველებაში ხშირად გამოიყენება პიროვნების სიღინჯისა თუ ემოციურობის დასახასიათებლად, ეპითეტებად. „მაჭარია“, დულს, გაიზრდება და დაღვინდება, დაღვინდებაო, – იტყვიან ხოლმე სიღინჯეს მოკლებული ხასიათის მოზარდზე, „დაღვინებული“ კი ზრდადასრულებული, გაწონასწორებული, მოქმედებაში ბრძნადგანმსჯელი, წინდახედული პიროვნებაა.

„ღვინო“ სიტყვა ორმორფემიანი ფუძეა: *ღვინ* – ძირისა და *-ო* ფუძის მაფორმებელი სუფიქსისაგან შედგენილი. ამ სტრუქტურის *-ო* სუფიქსით გაფორმებული ფუძეები სხვაც ბევრია ქართულ ენაში: *კალ-ო*, *ჰალ-ო*, *წალ-ო*, *ღერ-ო*, *გალ-ო*, *კეკალ-ო*, *ორშიმ-ო*. ასე რომ, სახელურ ფუძეთა *ო* სუფიქსიანი წარმოება ქართული ენის ორგანული მოდელია და „ღვინო“ ამათ რიგში დგას. მეგრულ ენაში ქართულ „ღვინო“-ს „ღვინ-ი“ შეესაბამება. სახელურ ფუძეთა *-ი* სუფიქსიანი წარმოება აგრეთვე ჩვეულებრივი მოვლენაა მეგრულ-ჭანური ენისათვის: მეგრული *მუჟ-ი*, ჭანური *მუჟ-ი* – *მაყვალი*; მეგრ. *ჭამ-ი* – *წამალი*; ჭან. *ცინ-ი* – *სიცვიე*; მეგრ. *ბორკ-ი* – *ბარკალი*. ქართული *წყარ-ო* – მეგრული *წყარ-ი* იმეორებს ქართულ-მეგრულ *ღვინო* – *ღვინი*-ს ურთიერთმიმართებას. სვანურ ენაში ღვინოს „ღვინ-ალ“, ზოგ დიალექტში „ღვინელ“ ჰქვია. *-ალ/ელ* სუფიქსი სვანურში უმლაუტიზებული *-ალ* სუფიქსია. სახელის ფუძეთა ამგვარი წარმოება არც სვანური ენისთვისაა უცხო: „ზურალ“ – ქალი, „ჯვინელ“ – ძველი, „შიგელ“ – დერგი, „თხოპელ“ – აპური. როგორც ვხედავთ, სამსავე ქართველურ ენაში ღვინის აღმნიშვნელ ტერმინად სხვადასხვა სუფიქსებით გაფორმებული საერთო ძირის ფუძეებია წარმოდგენილი. ე.ი. „ღვინ“- ძირეული მორფემა საერთო-ქართველური დონეზე პოსტულირდება და სრულიად შეესაბამება საერთო-ქართველური ძირის სტრუქტურულ მოდელს: თანხმოვანი-ხმოვანი-თანხმოვანი (CVC), სადაც /ღვ/ ლაბიალური კომპლექსი მონოფონემური ღირებულებისაა (შდრ. გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965:306). თ. გამყრელიძისა და ვ. მაჭავარიანის შრომაში ქართული „ღვინ-ო“, მეგრულ-ჭანური „ღვინ-ი“ და სვანური „ღვინ-ალ“ ქართველურ ფუძეთა სრულსაფეხურიანი სუფიქსებით გვიანდელი გაფორმების ფაქტადაა განხილული (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965:282). ე.ი. ღვინის აღმნიშვნელი ტერმინები საერთო-ქართველური ძირიდან თითოეულ ენაში ფუძეებად დამოუკიდებლად გაფორმდა.

„ღვინო“ ფუძე ქართველურ ენათა შედარებით და ეტიმოლოგიურ ლექსიკონებში არ შევიდა. ეს იმის ნიშანია, რომ ამ ლექსიკონების ავტორები იზიარებენ თვალსაზრისს მისი არაქართველური წარმომავლობის შესახებ. ზურაბ სარჯველაძე და ჰაინც ფენრიხი, რომელთა ნაშრომიც ყველაზე გვიანდელია და ასახავს ყველა წინამორბედი ნაშრომების მასალას, მიუთითებენ თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის ნაშრომებზე და მიიჩნევენ, რომ „ვენახ“ „ბინეხ“ სიტ-

ყვათა საერთო ზანურ-ქართული არქეტიპი *ვენაკ* ინდოევროპულიდან ჩანს ნასესხები (ფენრიხი, სარჯველაძე 2000:199).

მანამდის ტერმინ „ღვინოს“ წარმომავლობის საკითხს არაერთი ავტორი ეხებოდა. ივ. ჯავახიშვილის აზრით, სიტყვა „ვენახის“ არქეტიპად „ღვენახი“ უნდა მოიაზრებოდეს, რაც ღვინის ხეს უნდა ნიშნავდეს. რამდენადაც ვენახს სამეგრელოში „ბინეხი“ ჰქვია, მკვლევრის აზრით, „ღვინის“ გვერდით უნდა ყოფილიყო ფორმა „ბინე“-ც, რაც საფუძვლად დაედებოდა მეგრულ „ბინეხ“-ს იმავე ღვინის ხედ გააზრებით (ჯავახიშვილი 1986:681). წინამავალი მსჯელობა იმაზე მეტყველებს, რომ ივ. ჯავახიშვილიც იზიარებდა ღვინის სახელწოდების ინდოევროპულიდან მომდინარეობას, სადაც ამოსავალი ბერძნული „ონონ“ უნდა ყოფილიყო. ქართულში „ბინე“-ს რეალურობის საბუთად ავტორს მოჰყავს ჰესიხოსის ცნობა, რომლის მიხედვითაც ღვინოს კრეტაზე ბენა რქმევია. ე.ი. ქართული „ღვინოს“ ინდოევროპული, კერძოდ, ბერძნული წარმომავლობა თითქოს ივანე ჯავახიშვილისთვისაც სარწმუნო ჩანს.

ივ. ჯავახიშვილის თვალსაზრისის გაზიარებას ვენახის აღსანიშნავად „ღვინახის“ არსებობისა და მეგრულ-ზანურ „ბინეხ“-ში ღვინის სახელ „ბინე“-ს გამოყოფის შესახებ რამდენიმე გარემოება შეუშლის ხელს: ჯერ ერთი ის, რომ ვენახი ანუ ვაზი ყურძენს ისხამს და არა ღვინოს. მოსალოდნელი იქნებოდა, რომ თუ პროდუქტის სახელი დაედებოდა საფუძვლად, ეს საფუძველი ყურძენი უნდა ყოფილიყო და არა ღვინო. ღვინისა და ყურძნის ეტიმოლოგიურ კავშირს კი ქართველურ სინამდვილეში საფუძველი არ გააჩნია. მეორე წინააღმდეგობა ისაა, რომ ძველ ქართულში დასტურდება და საერთო-ქართველურშიც ივარაუდება ფუძის არქეტიპი „ვენაკ“ და არა „ვენახ“, ე.ი. ფუძე აუსლაუტში ხშირი *კ*-თი და არა სპირანტი *ხ*-თი. „ხე“-ს ნაცვლად „ქე“ კი ძველ ქართულში არც ფაქტობრივად დასტურდება და არც თეორიულად ივარაუდება. ასე რომ, „ვენახის“ აღსანიშნავად „ღვინახ“-ის არსებობა არარეალურია და კიდევ „ვენაკ“ – „ბინეხ“ შეფარდება არა იზოლირებული, არამედ სისტემური ფაქტია, რომლის მიხედვითაც ანლაუტში ქართულ კბილბაგისმიერ *კ*-ს ზანურში სისტემატურად წყვილბაგისმიერი *ბ*, *პ*, *ფ* ალოფონები შეესაბამება (იხ. ზემოთ). ასე რომ, შეფარდება ქართული „ვენაკი“ და ზანური „ბინეხი“ კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისობის ფაქტია და არა ლექსიკური ნასესხობისა.

ღვინის სახელწოდება სემიტურსა და ინდოევროპულ ენებში ქართველურიდან წაღებულად მიაჩნია გიორგი წერეთელს (წერეთელი 2001:9). ამის საფუძველს მას აძლევს ქართველური ენების შიგნითა ბგერათშეფარდებები და სომხურ ენაში ღვინის სახელად „გინი“ ფორმის არსებობა, რაც უწინარეს ქართულიდან უნდა იყოს შეთვისებული და არა სემიტურიდან ან ინდოევროპულიდან. გიორგი წერეთლის თეორიას აქვს რეალური საფუძველი, მაგ-

რამ, ფაქტოლოგიური თვალსაზრისით, ნაკლებ ღრმად გამოიყურება. ქართული „ღვინის“ შესატყვისად მეგრულში „გინის“ აღდგენა საეჭვო ჩანს. აქედან, ცხადია, საეჭვო იქნება მეგრულიდან სომხურში ნასესხებობის საკითხიც. ამას გარდა მხედველობაში არაა მიღებული ის ფაქტი, რომ ქართულ /ღვ/ კომპლექსს მეგრულშიც ყოველთვის /ღვ/-ვე შეესაბამება: ქართული *ღველი* – მეგრული *ლაღვი*; ქართული *ღვიძლი* – მეგრული *ღვინჯლი*; ქართული *ღვარი* – მეგრულ-ჭანური *გიღვარ-უ* – *გაიწუწა*.

ვ. გეორგიევი აღნიშნავს, რომ ქართული „ვენახი“ ძველქართული „ვენაკი“, მეგრულ-ლაზურ „ბინეხი“, სვანურ „ვენაკ“ ფორმებს უდარებენ კრეტულ „ბენა“, „ტონ ო ნონ“ სახელებსო. როგორც ჩანს, ამ შეხედულებებში ივ. ჯავახიშვილი ივულისხმება. მაგრამო, შენიშნავს იქვე, კავკასიური სიტყვები უეჭველად კავშირშია ინდოევროპულ *uoinā* „ვაზი (ღვინო)“ და *uoino-s* „ღვინო“ სიტყვებთან და შესაბამისად ნასესხებნი არიან რომელიმე ინდოევროპული ან სემიტური ენიდანო (გეორგიევი 1954: 73); ეს თვალსაზრისი ემყარებოდა მედიტერანისტურ თეორიას, რომელსაც იმ დროს ეს ავტორი იზიარებდა და იცავდა (მდრ. მელიქიშვილი 1965:214-215).

ყველაზე ფართოდ ქართულ ენაში სიტყვა, „ღვინო“-ს წარმომავლობის, მისი სიძველისა და იმ ენების მონაცემებთან ეტიმოლოგიური მიმართების საკითხს, რომლებშიც აღნიშნულ საგანს იმავე ძირის სახელები შეესაბამება, შეეხნენ თ. გამყრელიძე და ვ. ივანოვი ფუნდამენტურ ნაშრომში „ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები“ (გამყრელიძე, ივანოვი 1984:647). ამ შრომაში სრულად არის წარმოჩენილი, რომ ღვინო, როგორც კულტურის ობიექტი, გავრცელებულია დღეს ცივილიზებული სამყაროს უმეტეს ნაწილში და თითქმის ყველგან ერთი და იმავე ძირიდან მომდინარე სახელი ჰქვია.

ახლო აღმოსავლეთის ენათა სხვადასხვა ჯგუფში ღვინისა და ყურძნის აღმნიშვნელი ფონეტიკურად მსგავსი სიტყვების გავრცელების ფართო არეალი ავტორებს იმის თქმის საშუალებას აძლევს, რომ ისინი მიგრაციულ ტერმინებად მიიჩნიონ, ხოლო თითოეულ ამ ენათა ჯგუფების შიგნით (ინდოევროპულში, სემიტურში, ქართველურში) ამ სახელწოდებათა შორის შესატყვისობების არსებობა ავარაუდებინებს „ღვინის“, ამ მიგრაციული ტერმინის, განსაკუთრებულ სიძველეს, რომელიც გადადიოდა ენათა ერთი ჯგუფიდან მეორეში ჯერ კიდევ პროტოენობრივ დონეზე, ე.ი. მანამ, სანამ ეს წინარე ენები ცალკეულ ენებად დაიშლებოდა.

ღვინის აღმნიშვნელი ტერმინის პირველწყაროობას წინააზიურისა და ამიერკავკასიის სამი პროტოენობრივი ჯგუფი ეცილება ერთმანეთს: წინარე ინდოევროპული, წინარე სემიტური და წინარე ქართველური. ავტორები ამტკიცებენ, რომ ღვინის სახელი ინდოევროპული ენიდან გავრცელდა დანარჩენი ორი ჯგუფის – სემიტურ და ქართველურ ენებში: ღვინის აღმნიშვნელი სა-

ერთინდოევროპული სიტყვის ფორმალური დახასიათება მასში აბლაუტური საფეხურების კანონზომიერი მონაცვლეობით იმის საფუძველს იძლევა, რომ იგი ჩაითვალოს ძველინდოევროპული სიტყვაწარმოების მიხედვით აგებულად, განეკუთვნოს თავდაპირველ ინდოევროპულ სისტემას და, შესაბამისად, მოხდეს მისი ინდოევროპულ ნიადაგზე ეტიმოლოგიზაცია.

ყველაზე ბუნებრივად ავტორებს მიაჩნიათ, რომ ძველინდოევროპული ღვინის სახელი დაუკავშირონ ძირს, რომელსაც აქვს დაწვინის, ხვეენა-გრენის მნიშვნელობა. ნიშანდობლივია, რომ ამ ინდოევროპული ძირიდან ინდოევროპულ დიალექტებში წარმოსდგება არქაული ნაწარმოები სიტყვები, რომლებიც აღნიშნავენ: მხვიარა ღრეკად მცენარეს, ტოტებს, წნელს, ვაზს. ასე რომ, ეტიმოლოგიური ხაზი წვინა-ხვეენის აღმნიშვნელი სიტყვის ძირიდან ღვინის აღმნიშვნელ სიტყვამდე ასეთი იქნება: ხვეენა – წვინის აღმნიშვნელი ძირი – წვინადი და მხვიარა მცენარეების, წნელის, ღრეკადი ღეროს აღმნიშვნელი ფუძეები – ვაზი, როგორც მხვიარა მცენარე – ყურძენი, მხვიარა მცენარის ნაყოფი და ბოლოს ღვინო, ყურძნის პროდუქტი. ყველა ეს წარმოებული სიტყვები ერთ ძირზე დაიყვანება.

ავტორები თვლიან, რომ ყველა ეს ინდოევროპულ ნიადაგზე წარმოქმნილი სიტყვა ყურძნისა და ღვინის მნიშვნელობებით ვრცელდება მეზობელი არეალების ენებში და გადაიქცევა ტიპურ მიგრაციულ ტერმინებად, აღწევს ძველევგვიპტურში ფორმით „მცენარის ნაყოფი“, „ყურძენი“, „ღვინო“ (როგორც ჩანს, ინდოევროპული ფორმა აქ აისახება ნულსაფეხურიანი* -ა(შ) დაბოლოებით). სემიტურ ენაში ინდოევროპული ფორმა ნასესხებია ო გახმოვანებით (მდრ. სემიტური *vajn-*) და საერთო-ქართველურში – ინდოევროპული „ღვინის“ სახელი ხვდება ნულოვანი გახმოვანების ფორმით (ღვინო).

სემიტური ენებიდან ინდოევროპულ ენებში პირუკუ ნასესხებობა ნაკლებ სააღბათოა კულტურულ-ისტორიული მიზეზების გამო (ამ ენების გავრცელების უძველეს არეალში ყურძენი არ იყო). ინდოევროპულის მიერ ღვინის სახელის ქართველურიდან სესხება (რაც შეიძლება დასაშვებაც იყოს კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით) ვარაუდობს ნასესხები სიტყვის ისეთ გარდაქმნებს ინდოევროპულში, რომელიც გამოიწვევდა მის სხვაგვარ გააზრებას, როგორც საკუთრივ ინდოევროპული ძირისა „ხვეენა“-ს მნიშვნელობით. მეორე მხრივ, არ შეიძლება უეჭველ ფაქტად ჩაითვალოს სიძველე ქართველური სიტყვისა „ღვინო“ ქართველური ენების შიგნით და მისი კავშირი ნაწარმოებ სიტყვა ვენაკ-თან, რომელიც აშკარად ნასესხებად გამოიყურება, ხელისშემშლელი ფაქტორი არ უნდა იყოს ის, რომ ამიერკავკასიაში მევენახეობა-მელვინეობა დიდი სიძველის დარგებია. ინდოევროპულიდან ღვინისა და ვაზის სახელების სესხებამდე ქართველურს ექნებოდა, ცხადია, საკუთარი ტერმინები, მაგრამ, ავტორების აზრით, თავისუფლად შეიძლება, რომ ნასესხებს

ადგილობრივი ტერმინები ჯერ შეევიწროებინა, ხოლო ბოლოს სულაც დაეკავებინა მათი ადგილები ენობრივ სისტემაში. ამის დამადასტურებელ მაგალითებს გვთავაზობენ სხვა ენობრივი სისტემების სხვა დარგობრივი ლექსიკიდან (გამყრელიძე, ივანოვი 1984:651).

ვფიქრობთ, ინდოევროპულიდან ქართველურ ენებში ღვინის აღმნიშვნელი სახელის ნასესხობის უეჭველ გაზიარებას რამდენიმე გარემოება შეუშლის ხელს: გაჭირდება ქართულ სახელში [ღ] სეგმენტის განვითარების ახსნა. ამის ფონეტიკური აუცილებლობა ქართველურ ენებში თითქოს არ ჩანს. უფრო ადვილი ასახსნელია პირიკუ სესხების დაშვება და გზა ქართველური „ღვინ“-იდან ინდოევროპულ „ვინ“-ამდე, თუ გაავითვალისწინებთ ამ ენათა არტიკულატორულ თავისებურებებს: ქართველურ ენებს ახასიათებთ ველარული, ინდოევროპულს – პალატალური არტიკულაცია. ასე რომ, სრულიად ადვილი დასაშვებია სიტყვის ანლაუტში [ღ]-ს ჯერ პალატალიზაცია და მერე სულაც დაკარგვა.

ძნელად წარმოსადგენია ნასესხები ტერმინის მიერ ძირძველის ისე ჩანაცვლება, რომ მისი კვალი მსესხებელ ენაში სრულიად გაქრეს. ამის ნათელ მაგალითად გამოდგება ზემოთ განხილული ტერმინ „ვაზის“ მიერ „ვენახი“-ს სემანტიკური ველის ნაწილის ჩანაცვლება. თუ ვაღიარებთ ქართულ-კავკასიურ სამყაროში მაღალგანვითარებული მეღვინეობის უწინარესობას თუ არა, უდიდეს სიძველეს მაინც, მაშინ უნდა გავამართლოთ ის პირობებიც, რაც შექმნიდა ამ კულტურის ტერმინების უცხოურით ჩანაცვლების აუცილებლობას. ამას გარდა მოგვიწევს ენაში ნასესხებით ჩანაცვლებული ტერმინების კვალის ძიებაც.

ძნელად წარმოსადგენად გვეჩვენება ის ეტიმოლოგიური გზა, რაც უნდა გაეგლო ინდოევროპულში ღვინის აღმნიშვნელ სახელს ნაზმნარი ძირიდან ამ უკანასკნელის („ღვინო“-ს) ძირამდე. სახელდების გზა: მცენარე – მცენარის ნაყოფი – ნაყოფის პროდუქტი, არაბუნებრივია. ბუნებრივია პირიკუ პროცესი, რომელსაც ადასტურებს თუნდაც თანამედროვე რუსული ენა: Вино – виноград – виноградная лоза – виноградник. "Виноград"-ის ეტიმოლოგია სარწმუნოდაა ახსნილი სლავურ დონეზე (გამყრელიძე, ივანოვი 1984:648). ვფიქრობთ, ქართველური სახელების მწკრივი: ვენახი (მცენარე), ყურმენი (მცენარის ნაყოფი) და ღვინო (ნაყოფის პროდუქტი), რომელთა ძირები საერთო-ქართველურ დონეზე დასტურდება, მათს თავსთავადობასა და სიძველეზე უნდა მიუთითებდეს.

ქართული „ღვინო“-ს წინარე ქართველურობის აღიარებას ხელს უშლის ის გარემოება, რომ არ არსებობს მისი ქართველურ ნიადაგზე ეტიმოლოგია.

საქართველოს არქაულ კუთხეებში დადასტურებული ზოგი ეთნოკულტურული რეალია იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ სახელი „ღვინო“ შეიძ-

ლება არ ეკუთვნოდეს მინცადამინც ყურძნის წვენივსაგან დამზადებულ სასმელს, არამედ აღნიშნავდეს ზოგადად მათრობელა სასმელს, რომელიც წარმოადგენდა საღვთო თუ მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული რიტუალური საკურთხი სუფრის აუცილებელ ელემენტს. მაგალითისთვის შეიძლება დავასახელოთ თუშური წარმოდგენა სულის საიქიოში შესვლაზე, რომელსაც იქ გარიგებული სუფრა ხვდება და ამ სუფრას „მეღვინეები“ ემსახურებიან. ეს წარმოდგენა გაცხადებულია „დალაობის“ ტექსტში, რომელიც მიცვალებულის ხსოვნასთან დაკავშირებულ ერთ უმთავრეს რიგზე, წლისთავის ხარჯში, სრულდება. „დალაობის“ ტექსტი ასე მთავრდება:

ნეტა შენ საიქიოსა, შენ შეხვალ მტრედისფერადა,
სუფრა გიდგ გარიგებული, გაკეთებული თეთრითა.
სულეთს გიდგანან კოდები, გადმოდინარნი პერთა,
ზედ გიდგას მეღვინეები ხუცითა, დიაკვნებითა,
ამოიღებენ, დალევენ ვერცხლისი ვაშრაპებითა,
ალამო, აფთარაულო, ღმერთმა გაცხონოს სულითა.

ის „პერთ გადმოდინარი კოდები“, რომლებიც გმირის სულს საიქიოში ხვდება, ალუდიანი კოდებია, საიდანაც ვერცხლის ვაშრაპებით სასმელს იღებენ არა „მელოდეები“, არამედ „მეღვინეები“. ამას გარდა სტუმრებთან სუფრაზე სასმის მისატანი ჭურჭელი „საღვინეა“, მაშინ როცა თუშეთის სამეურნეო არეალში ყურძენი საერთოდ არ ხარობს და, მაშასადამე, არც ყურძნისგან დამზადებული სასმელი უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი. აქვე საყურადღებოდ გვეჩვენება ყურძნის მარცვლის ნაწილის სახელი „ღვინძლი“, „ღვირძლი“, „ღუნძლი“ ვარიანტებით (ფრუიძე 1974:89). თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ „ღვინო“ შეიძლება არ აღნიშნავდეს მინცადამინც ყურძნის წვენივსაგან მომზადებულ სასმელს, მაშინ შეიძლება „ღვინოს“ „ღვინ“-ძირსა და „ღვინძლის“ ნაწილ „ღვინ“-ს შორის გაიბას ეტიმოლოგიური კავშირი, რაც, ვფიქრობთ, ხელს შეუწყობს ტერმინ „ღვინოს“ ქართველურ ნიადაგზე ეტიმოლოგიას.

ლიტერატურა

- აბულაძე 1973:** ი. აბულაძე, *ძველი ქართული ენის ლექსიკონი* (მასალები), გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
- ასათიანი 1978:** ლ. ასათიანი, *ვაზის კულტურასთან დაკავშირებული ლექსიკა ქართულში* (მასალები), გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
- გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965:** თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, *სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, საერთო-ქართველური სტრუქტურის ტიპოლოგია, გიორგი წერეთლის რედაქციით და წინასიტყვაობით, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.*

- გამყრელიძე, ივანოვი 1984:** Т. В. Гамкрелидзе, Вяч. Вс. Иванов, *Индоевропейский язык и индоевропейцы, Реконструкция и историко-типологический анализ проязыка и протокультуры*, Издательство Тбилисского Университета, Тбилиси.
- გეორგიევი 1954:** В. Георгиев, *Вопросы родства средиземноморских языков*, Вопросы Языкознания, №4, Москва.
- თოფურია, ქალღანი 2000:** ვ. თოფურია, მ. ქალღანი, *სვანური ლექსიკონი*, გამომცემლობა „ქართული ენა“, თბილისი.
- ლექიაშვილი 1972:** ა. ლექიაშვილი, *შენ ხარ ენახი*, „ნაკადული“, თბილისი.
- მაჭავარიანი 1965:** გ. მაჭავარიანი, *საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა*, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
- მელიქიშვილი 1965:** გ. მელიქიშვილი, *საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის*, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
- მელიქიშვილი 1975:** ი. მელიქიშვილი, *ეუი პროცესი ზანურ დიალექტებში და ხმოვანთა შესატყვისობის ერთი დარღვევა ქართველურ ენებში*, „მაცნე“ (ენისა და ლიტერატურის სერია), 4, თბილისი.
- ორბელიანი 1966:** სულხან-საბა ორბელიანი, *თხზულებანი, ტომი IV*, ავტოგრაფიული ნუსხების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ილია აბულაძემ, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.
- სარჯველაძე 1995:** ზ. სარჯველაძე, *ძველი ქართული ენის ლექსიკონი, მასალები*, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
- სარჯველაძე 1997:** ზ. სარჯველაძე, *ძველი ქართული ენა (ტექსტებითა და ლექსიკონითურთ)*, თბილისი.
- ფენრიზი 2000:** კ. ფენრიზი, ზ. სარჯველაძე, *ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი*, მეორე, შევსებული და გადაამუშავებული გამოცემა, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
- ფრუიძე 1974:** ლ. ფრუიძე, *მევენახეობა და მელვინეობა საქართველოში*, ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, წიგნი პირველი, რაჭა, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
- ქებელ 1962:** *ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი*, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. VIII, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.
- ქებელ 1986:** *ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი*, ერთტომეული, თბილისი
- ქაჯაია 2002:** ო. ქაჯაია, *მეგრულ-ქართული ლექსიკონი*, ტ. 3, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
- შანიძე 1973:** ა. შანიძე, *ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია*, მეორე გამოცემა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
- ჩიქობავა 1938:** არნ. ჩიქობავა, *ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი*, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა, ტფილისი.

ჩიქობავა 1942: არნ. ჩიქობავა, *სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში*, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.

ჩუბინაშვილი 1984: დ. ჩუბინაშვილი, *ქართულ-რუსული ლექსიკონი*, მეორე გამოცემა, სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო აკაკი შანიძემ, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.

ცოცანიძე 2002: გ. ცოცანიძე, *თუშური ლექსიკონი*, გამომცემლობა „ქართული ენა“, თბილისი.

წერეთელი 2001: გ. წერეთელი, *სემიტური ენები და მათი მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიის შესწავლისათვის*, „ორიენტალისტი“, გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი.

ჯავახიშვილი 1986: ივ. ჯავახიშვილი, *თხზულებანი თორმეტ ტომად*, ტომი V, თბილისი.

Г. Климов, *Этимологический словарь Картвелских языков*, Издательство АН СССР, Москва.

Giorgi Tsotsanidze

Vine, Grape, Wine

(Ethnocultural and Linguistic Analysis)

Summary

The word ვაზი (vine) - name of the plant that bears grapes is evidenced in Georgian written sources from the 9th-10th centuries. A corresponding stem is not found in other Kartvelian languages. Thus, it is the name that appeared later on the Georgian basis.

The Old Georgian name of ვაზი – ვენაზი finds corresponding forms both in Zan - ბინეზი and Svan - ჭენაჰ. So, this stem can be postulated on the Proto-Kartvelian as well Pre-Kartvelian level.

The term ვენაჰი in the Georgian language has undergone reinterpretation, and from the name of this plant it turned into the name of the garden of these plants. In addition, a word of purely Georgian etymology ზვარი came into being, which shared the semantic field with the word ვენაზი and today it denotes a vineyard laid out over a large territory.

Thorough culturological analysis of the product wine and a linguistic analysis of the word ღვინო allow stating that it is justified to regard the Kartvelian area if not as the homeland of wine and winemaking, then at least as one of the ancient centres of its formation, and the migration of the root of the term denoting wine from Kartvelian to Indo-European, and not vice versa.

ჩარლზ პერსის სემიოტიკური თეორია

ამერიკელი ფილოსოფოსის, ფიზიკოსის, ქიმიკოსის, მათემატიკოსისა და ლოგიკოსის ჩარლზ სანტიავო სანდერს პერსის სემიოტიკური თეორია მრავალი წლის განმავლობაში უცნობი იყო ენათმეცნიერებისთვის. მისი მრავალრიცხოვანი ნაშრომების უმეტესობა (სულ რამდენიმე ათასი) დაუმთავრებელია და ერთობ რთული ენითაა დაწერილი. პერსის სემიოტიკური კონცეფციის პოპულარიზაციაში დიდი წვლილი შეიტანეს ჩარლზ მორისმა და რომან იაკობსონმა. სწორედ ჩ. მორისის მიერ XX საუკუნის 30-იან წლებში გამოქვეყნებულმა ნაშრომებმა, რომლებშიც მან განავრცო და განავითარა პერსის იდეები, დაუმკვიდრეს ამ უკანასკნელს სემიოტიკის დამაარსებლის სტატუსი.

ამავე დროს, პერსის სემიოტიკის ფილოსოფიური საფუძველი მნიშვნელოვნად განსხვავდება როგორც თვით მორისის თეორიისგან (რომელზეც დიდი გავლენა ბიჰევიორიზმმა მოახდინა), ასევე სემიოტიკის მეორე მამამთავრის ფ. დე სოსიურის მოდელისგან, რომელიც შეიქმნა პერსის კონცეფციის პარალელურად, თუმცა მისგან სრულებით დამოუკიდებლად. თუ სოსიურის სემიოტიკა ლინგვისტიკაზეა ორიენტირებული და ენის მოდელს ეყრდნობა, პერსის სემიოტიკა ლოგიკიდან და შემეცნების თეორიიდან მომდინარეობს.

პერსი დაიბადა 1839 წლის 10 სექტემბერს მასაჩუსეტის შტატის ქალაქ კემბრიჯში. მისი მამა, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი ბენჯამინ პერსი, გამოჩენილი მათემატიკოსი იყო. მან ადრევე შენიშნა ვაჟიშვილის ნიჭიერება და შეეცადა ყველანაირად შეეწყო ხელი მისი განათლებისთვის. 12-13 წლის ჩარლზი უკვე ფილოსოფიურ ნაშრომებს კითხულობდა და დამოუკიდებლად ატარებდა ქიმიურ ცდებს.

16 წლის ასაკში პერსი ჰარვარდის უნივერსიტეტში მიიღეს. 1861 წ. მან აშშ-ის სანაპირო და გეოდეზიურ სამმართველოში დაიწყო მუშაობა. 1860-63 წწ. იგი პარალელურად სწავლობდა ქიმიას ლოურენსის სამეცნიერო სკოლაში. ჰარვარდის ისტორიაში მან პირველმა მიიღო სამეცნიერო ხარისხი უმაღლესი შეფასებით.

1866-75 წწ. პერსი მუშაობდა ჰარვარდის ობსერვატორიაში. მისი ერთადერთი სიცოცხლეში გამოქვეყნებული წიგნი „ფოტომეტრიული გაზომვები“ იქ ჩატარებული კვლევების შედეგია. პერსი იყო პირველი ამერიკელი დელეგატი პარიზის საერთაშორისო გეოდეზიურ კონფერენციაზე. მალევე იგი ჯერ ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიის, შემდეგ კი მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრად აირჩიეს.

პირველი სტატიები ლოგიკასა და ფილოსოფიაში პერსმა 1867-68 წწ. გამოაქვეყნა. XIX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში მან და რამდენიმე მისმა თანამოაზრემ დააარსეს სადისკუსიო „მეტაფიზიკური“ კლუბი, რომელშიც ასევე შედიოდნენ ფილოსოფოსი ჩენსი რაიტი და პრაგმატიზმის მეორე მამამთავარი უილიამ ჯემსი. სწორედ ამ კლუბის სხდომებზე გააკეთა პერსმა რამდენიმე მოხსენება, რომლებშიც ჩამოაყალიბა თავისი სწავლება. შემდგომში ეს მოხსენებები საფუძვლად დაედო მის ცნობილ სტატიებს „რწმენის განმტკიცება“ და „როგორ გავხადოთ ჩვენი იდეები ნათელი“ (1877-78 წწ.).

1863 წ. პერსი დაქორწინდა ბოსტონელ ქალიშვილზე კარგი ოჯახიდან, მაგრამ 1875 წ. ცოლმა მიატოვა იგი ბომა ქალ ჟულიეტთან კავშირის გამო, რომელზედაც პერსმა რამდენიმე წლის შემდეგ იქორწინა. მთელმა ამ ისტორიამ პერსს საზოგადოებრივი მორალის დამრღვევის რეპუტაცია დაუმკვიდრა.

XIX საუკუნის 60-იან წლებში პერსი ცოტა ხნით ასწავლიდა ლოგიკასა და ფილოსოფიას ჰარვარდში, ხოლო 1879-84 წწ. – ლოგიკას ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტში. მაგრამ ვერც ერთ ამ სასწავლებელში მან პროფესორობა ვერ მიიღო, მიუხედავად მისი მეგობრების, განსაკუთრებით ჯემსის, შუამდგომლობისა. ამის მიზეზი პერსის რთული ხასიათი იყო. იგი ძნელად ეგუებოდა სხვა ადამიანებს, უფროსობას, ხშირად ლოთობდა, უჭირდა უნივერსიტეტის წესდების დაცვა, აცდენდა მეცადინეობებს. ახალგაზრდობის წლებიდან პერსს სამწვერა ნერვის ანთება ტანჯავდა. აუტანელი ტკივილებისაგან იგი გაღიზიანებული, გაუცხოებული და მოუთმენელი ხდებოდა. საუნივერსიტეტო წრეებში პერსის მიუღებლობა ასევე გამოწვეული იყო მისი ერთგვარი ქედმაღლობით: იგი ურთიერთობდა მხოლოდ იმ მეცნიერებთან, რომლებსაც ინტელექტუალურად თავის სწორად თვლიდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ჰოპკინსის უნივერსიტეტის პრეზიდენტმა საერთოდ გააუქმა ფილოსოფიის ფაკულტეტი, შემდეგ კი აღადგინა იგი და ყველა დააბრუნა, პერსის გარდა. ჰარვარდის პრეზიდენტი (1869-1909 წწ.) ჩარლზ უილიამ ელიოტი კი პერსის პირადი მტერი იყო, ამიტომ მისი რექტორობის პერიოდში პერსს ვერ ეღივებოდა იქ მუშაობა. პერსის მომურნე იყო ასევე იმდროინდელი ამერიკის წამყვანი მეცნიერი, მათემატიკოსი საიმონ ნიუკომბი, რომელიც ყველანაირად უშლიდა ხელს მის კარიერას.

ფილოსოფოსი ასევე განსხვავებულად ხედავდა უნივერსიტეტის დანიშნულებას. მისი აზრით, უნივერსიტეტი უპირველესად არა სასწავლო, არამედ კვლევითი დაწესებულებაა, და სტუდენტები იქ არა მხოლოდ ინფორმაციას უნდა იღებდნენ, არამედ ასევე უნდა ეუფლებოდნენ სამეცნიერო და ცხოვრებისეული პრობლემების დამოუკიდებლად გადაწყვეტის მეთოდებსა და უნარებს. იმ დროისათვის ამგვარი თვალსაზრისი სრულებით მიუღებელ ჩმახვად ჩათვალებს, ხოლო ჩვენს დროში, როგორც ცნობილია, ამ მიდგომამ საყოველ-

თაო აღიარება და გავრცელება მოიპოვა (ამაში პრაგმატული პედაგოგიკის პრინციპების ჩამოყალიბებით დიდი წვლილი ჯონ დიუიმ შეიტანა).

მრავალრიცხოვანი აღმოჩენებისა და გამოგონებების მიუხედავად, წარუმატებელი იყო სამსახურებრივი წინსვლის თვალსაზრისით პერსის მოღვაწეობა სანაპირო სამსახურშიც. იგი სრულებით დაუდევრად ეპყრობოდა თავის მოვალეობებს, რადგან ვერ იტანდა ბიუროკრატიულ სამუშაოებს და უბრალო ანგარიშის დაწერას წლებს ანდომებდა. სამაგიეროდ, იგი ათასობით გვერდს წერდა ფილოსოფიის, ლოგიკის, სხვა სამეცნიერო სფეროებში ენციკლოპედიებისთვის.

1891 წ. პერსმა მშობლებისგან მცირეოდენი მემკვიდრეობა მიიღო. მან თავი დაანება სამსახურს და ქალაქ მილფორდთან (პენსილვანია) პატარა ფერმაში დასახლდა, სადაც სიკვდილამდე ცხოვრობდა.

ყველაფრის მიუხედავად, პერსის სამეცნიერო მოღვაწეობა დადებითად იყო შეფასებული აკადემიურ წრეებში – მან გააკეთა რამდენიმე აღმოჩენა მათემატიკის, ფიზიკის, გეოდეზიის, სპექტროსკოპიის სფეროებში. მაგრამ მისი ფილოსოფიური იდეები, ფაქტობრივად, უცნობი რჩებოდა. პრაგმატიზმის პოპულარიზაცია XIX საუკუნის ბოლოს უ. ჯემსმა მოახდინა საკუთარი ნაშრომების გამოქვეყნების შემდეგ. თუმცა პერსი უკმაყოფილო იყო თავისი სწავლების ჯემსისეული ინტერპრეტაციით, ამიტომ საკუთარ თეორიას იგი არა პრაგმატიზმს, არამედ პრაგმატიციზმს უწოდებდა. იგი ამბობდა, რომ ეს სახელწოდება საკმაოდ არაკეთილხმოვანია იმისათვის, რომ სხვებმაც აითვისონ იგი.

სიცოცხლის ბოლო წლები პერსმა უკიდურეს სიღარიბეში გაატარა. მისი ერთადერთი შემოსავალი ჟურნალებისთვის რეცენზიებისა და მიმოხილვების შედგენა იყო. მას გაუძღვებოდა დასდევდნენ კრედიტორები და ხშირად პერსი სხვენზე ემალებოდა მათ. მისი მეუღლე მრავალი წლის განმავლობაში ავადმყოფობდა, ამიტომ მეცნიერი იძულებული იყო თვითონ გამკლავებოდა საოჯახო საქმეებს, ემზადებინა საჭმელი, ერეცხა სარეცხი, ელაგებინა სახლი და ა.შ. მუშაობის საშუალება მას მხოლოდ ღამით ეძლეოდა. სანამ ჯემსი ცოცხალი იყო, იგი მატერიალურად ეხმარებოდა მეგობარს. სამაგიეროდ პერსმა თავისი ქონება ჯემსის უფროს ვაჟს უანდერდა (ის ამ უკანასკნელმა ჟულიეტის სიკვდილის შემდეგ მიიღო). ასევე ამბობენ, რომ სახელი სანტიაგო პერსმა ჯემსის საპატივსაცემოდ დაირქვა XIX საუკუნის 90-იან წლებში (სანტიაგო – წმ. ჯეიმსი ესპანურად). ასეა თუ ისე, ჯემსის სიკვდილის შემდეგ პერსი გაუსაძლის მდგომარეობაში აღმოჩნდა: ზამთრობით იგი ვერ ათბობდა სახლს, ძველ პურს სამადლოდ ადგილობრივი ხაბაზი აწვდიდა, ახალი ფურცლების უქონლობის გამო იძულებული იყო ძველი ნაწერების მეორე მხარეზე ეწერა. ბოლო წლებში პერსი ისეთი ფილოსოფიური თეორიის შექმნაზე

მუშაობდა, რომელიც, მისი თქმით, არისტოტელეს ფილოსოფიის დარად, საფუძვლად დაედებოდა ყველა მეცნიერებას. მან ეს ჩანაფიქრი ვერ განახორციელა, თუმცა XX ს. მთელმა მეცნიერებამ მაინც განიცადა პერსის უდიდესი გავლენა. ცნობილი კანადელი ფილოსოფოსის იან ჰაკინგის თქმით, „მან თითქმის ვერაფერი ვერ დაამთავრა, მაგრამ დაიწყო – თითქმის ყველაფერი“ (Хакинг 1998:37).

პერსი 1914 წ. 19 აპრილს გარდაიცვალა კიბოსგან.

პერსის სამეცნიერო მემკვიდრეობა შეადგენს დაახლოებით 12 000 დაბეჭდილ და 80 000-მდე ხელნაწერ გვერდს. ძირითადად ეს არის სტატიები და დაუმთავრებელი ნაშრომების ნაწილები. პერსის ხელნაწერები ჰარვარდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ 500 დოლარად შეიძინა მისი ქვრივისგან. საერთოდ, სიცოცხლეში პერსმა ცოტა რამის გამოქვეყნება მოახერხა. ასე, მან ვერ მონახა გამომცემელი, რომელიც გამოაქვეყნებდა მის მეორე დასრულებულ ნაშრომს „დიდი ლოგიკა“. პირველად პერსის სტატიების კრებული მხოლოდ 1923 წ. გამოიცა, ხოლო მისი ნაშრომების 8-ტომეული 30-50-იან წლებში გამოვიდა.

ტერმინს „პრაგმატიზმი“ ტრადიციულად უკავშირებენ ბერძნულ სიტყვას *πραγμα* – „საქმე, მოქმედება“. პირველად სიტყვა „პრაგმატული“ (*πραγματικος*) გამოიყენა ძველბერძენმა ისტორიკოსმა პოლიბიუსმა ისტორიის ისეთი აღწერისთვის, რომელიც ცხადყოფს მოვლენების მიზეზებს, გარემოებებს და შედეგებს და რომლის მიზანია რაიმე გაკვეთილის სწავლება. თუმცა პერსმა ეს ტერმინი აიღო კანტის „პრაგმატული რწმენის“ კონცეფციიდან.

ნაშრომში „აზრის, ცოდნისა და რწმენის შესახებ“ კანტი ადამიანის გონების ამ სამ მდგომარეობას განალაგებს მათი უტყუარობის მიხედვით. ყველაზე დაბალ საფეხურზე სუბიექტური აზრი დგას, შემდეგ მოდის რწმენა, რომელიც ასევე შეიძლება მხოლოდ სუბიექტური მხრიდან დასაბუთდეს, თუმცა მას ობიექტური მხარეც გააჩნია. ცოდნა კი დამყარებულია მსჯელობის ჭეშმარიტობა/მცდარობის როგორც სუბიექტურ, ასევე ობიექტურ აღიარებაზე. რაც შეეხება რწმენას, კანტის თანახმად, არსებობს რწმენის სამი სახეობა: პრაგმატული, დოქტრინალური და მორალური. პრაგმატულია ისეთი რწმენა, როდესაც ადამიანს მყარად სჯერა რაიმე დებულებების, მაგრამ მას არ გააჩნია არავითარი არგუმენტი მათ დასაცავად. პრაგმატული რწმენა თვითღარწმუნების შედეგია, იგი მხოლოდ მაშინაა სასარგებლო, როდესაც საჭიროა რაიმე სიტუაციაში სწრაფი მოქმედება, მაგრამ უცნობია ამ სიტუაციის ყველა გარემოება. ამიტომ დიდია ალბათობა იმისა, რომ ასეთი რწმენა სრულებით მცდარი იყოს, იგი შემთხვევითი და არამყარია და წარმოადგენს რწმენის ყველაზე პრიმიტიულ ფორმას. დოქტრინალური რწმენა ზოგადი დებულებების რწმენაა. ამ კატეგორიას მიეკუთვნება ღმერთის ან უცხოპლანეტელების არსე-

ბობაში დაჯერებულობა. შესაძლებელია ამგვარი რწმენის დებულებების როგორც დამცავი, ასევე უარყოფი არგუმენტების მოყვანა, მაგრამ ცდისეული გზით მისი დამტკიცება შეუძლებელია. დაბოლოს, მორალური რწმენა დამოუკიდებელია მსჯელობისგან, რადგან იგი ემყარება ზნეობრივ პრინციპებს. ასე, შეიძლება იმსჯელო და იდავო ღმერთის არსებობის შესახებ, და შეიძლება უბრალოდ იცხოვრო მისი მცნებების მიხედვით. რწმენის ეს სახეობა, კანტის აზრით, უთანაბრდება ცოდნას, იმიტომ რომ იგი წარმოადგენს ადამიანის ბუნების განუყოფელ ნაწილს და მისი უარყოფა იწვევს ადამიანის ზნეობრივ დაცემას.

პერსი ედავება კანტის თეზისს ცოდნის უპირატესობის შესახებ და ამბობს, რომ სწორედ საკუთარი მოქმედებების მართებულობის რწმენა წარმოადგენს ნებისმიერი შემეცნების საფუძველს და ადამიანი უნდა ისწრაფვოდეს მისკენ, და არა ჭეშმარიტებისკენ. ეს აზრია გამოხატული მის სტატიაში „რწმენის განმტკიცება“ („The Fixation of Belief“, 1877), რომელიც, მის კიდევ ერთ ნამუშევართან – „როგორ გავხადოთ ჩვენი იდეები ნათელი“ („How to Make our Ideas Clear“, 1878) – ერთად, წარმოადგენს პრაგმატიზმის საფუძველს.

პერსის აზრით, რწმენა არის ადამიანების ბუნებრივი მდგომარეობა, რადგან მასში არიან ისინი ბედნიერები და კმაყოფილები, მიუხედავად იმისა, მართებულია იგი თუ არა. რწმენას უპირისპირდება ეჭვი. ამ ორს შორის ის განსხვავებაა, რომ ადამიანი ეჭვის ზეგავლენით მოუსვენარი და გაღიზიანებული ხდება, კარგავს ცხოვრებისეულ ორიენტირებს, არ იცის, როგორ მოიქცეს და იმოქმედოს. ამიტომ ადამიანი ყველანაირად ცდილობს დაბრუნდეს რწმენის მდგომარეობაში, რათა მას გაუჩნდეს შემდგომი მოქმედებისთვის საჭირო დაჯერებულობა. ამისათვის იგი იწყებს ფიქრს და კვლევას. პერსის აზრით, იმის მტკიცება, რომ კვლევის მიზანი ჭეშმარიტი ცოდნის მიღება და გაღრმავებაა, არის მხოლოდ და მხოლოდ ილუზია. აზროვნების ერთადერთი „მამოძრავებელი მოტივი, იდეა და ფუნქცია ისაა, რომ წარმოქმნას რწმენა“ (Пирс 2000:274), რომელიც დამაკმაყოფილებელია ადამიანისთვის, მიუხედავად მისი ჭეშმარიტებისა: „ჩვენ ვეძებთ ისეთ რწმენას, რომელზედაც ვიფიქრებთ, რომ იგი ჭეშმარიტია“ (Пирс 2000:245). პერსის თანახმად, ლოგიკური აზროვნების წარმოშობა ასევე არის რწმენის ძიების შედეგი. იგი ჩამოყალიბდა ევოლუციის პროცესში ბუნებრივი შერჩევის გზით და წარმოადგენს ორგანიზმის შემგუებლურ მოქმედებას უშიშროებისა და სიამოვნების გრძნობის მისაღწევად.

კვლევა, პერსის აზრით, შემდეგ პრინციპებს უნდა ეყრდნობოდეს: 1) მის დასაწყებად უნდა არსებობდეს მართლაც რეალური ეჭვი (და არა მხოლოდ სიტყვიერად გამოხატული). თუ დეკარტისთვის სამყაროს შეცნობის უმთავრე-

სი წინაპირობა ეჭვი იყო, პერსისთვის ეს უნივერსალური სკეპტიციზმი მხოლოდ თავის მოტყუებაა, რადგან ნამდვილი ეჭვი შეიძლება მხოლოდ კვლევის პროცესში გაჩნდეს როგორც ახლად გამოვლენილი ფაქტების შედეგი; 2) მსჯელობა უნდა ეყრდნობოდეს ისეთ საწყის დებულებებს, რომლებიც არ იწვევენ არანაირ ეჭვს (და არა მაინცდამაინც საყოველთაო ჭეშმარიტებებს ან პირველად შეგონებებს); 3) არ უნდა გაგრძელდეს იმ საკითხების კვლევა და განხილვა, რომლებზედაც უკვე ჩამოყალიბდა სარწმუნო აზრი.

როდესაც რწმენის მშვიდი მდგომარეობა მიღწეულია, ადამიანები ყველანაირად ცდილობენ არ დაკარგონ იგი. არსებობს რწმენის განმტკიცების რამდენიმე მეთოდი.

1. სიჯიუტის მეთოდი, როდესაც ადამიანს სწამს მხოლოდ საკუთარი შეხედულებების, როგორი მიუღებელიც არ უნდა იყოს ისინი სხვებისთვის, და სისტემატურად ერიდება ყოველ განსხვავებულ აზრს, რომელმაც შეიძლება შეურყიოს მისი შეხედულებები. მაგრამ სიჯიუტე არაეფექტურია, რადგან ადამიანი, როგორც წესი, სოციალურ გარემოში ცხოვრობს და მან ყოველთვის შეიძლება შეიცვლოს აზრი სხვისი გავლენით. ყოველ შემთხვევაში ასეთი ადამიანისთვის მნიშვნელოვანია შეიგნოს, რომ „სხვისი აზრი და რწმენა შეიძლება ისეთივე მართებული იყოს, როგორიც მისი საკუთარია“ (Пирс 2000:249).

2. ავტორიტეტის მეთოდი – ამ შემთხვევაში სახელმწიფოს ნება წყვეტს, თუ რისი უნდა სჯეროდეთ ადამიანებს, და ზრუნავს ყოველგვარი განსხვავებული აზრის ამოძიკვასე. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია მოქალაქეების უვიცობის მდგომარეობაში ჩაყენება, რათა მათ არც თვითონ იაზროვნონ და სხვის ახალ და განსხვავებულ აზრსაც ზიზღითა და შიშით შეხედონ. ასევე აუცილებელია განსხვავებულად მოაზროვნეთა დაშინება და გაჩუმება, უკიდურეს შემთხვევაში კი დასაშვებია მათი „საყოველთაო ამოხოცვაც“ (Пирс 2000:250). ეს მეთოდი ყველაზე უფრო ეფექტურია და ფართო მასებისთვის სხვებზე მეტად მისაღები, რადგან „თუ ადამიანების უმრავლესობისთვის უმაღლესი იმპულსია, იყვნენ ინტელექტუალური მონები, მაშინ ისინი უნდა იყვნენ ინტელექტუალური მონები“ (Пирс 2000:252). ამიტომაცაა, რომ ავტორიტეტის მეთოდს იყენებენ ყველა დროის სახელმწიფოებრივი თუ რელიგიური ინსტიტუტები.

3. აპრიორული მეთოდი ჩნდება მაშინ, როდესაც ადამიანების საერთო კულტურული და ინტელექტუალური დონე მატულობს, ისინი იწყებენ აზროვნებას, მსჯელობას და ამის შედეგად აცნობიერებენ, რომ მათი შეხედულებები და ცხოვრების წესი არ არის სხვაზე უკეთესი და მართებული. აპრიორული მეთოდი ეყრდნობა მეტაფიზიკურ მსჯელობას, და არა გამოცდილებას ან ფაქტებს. მისი შედეგი შესაძლოა შეესაბამებოდეს საქმის ჭეშმარიტ ვითარებას, მაგრამ მთელი უბედურება ისაა, რომ მოაზროვნის შინაგანი მისწრა-

ფებები და აპრიორულად მიღებული დებულებები საშუალებას არ აძლევენ მას იყოს ბოლომდე თავისუფალი და მიუკერძოებელი.

4. მეცნიერული მეთოდი – კვლევა, რომელიც დამყარებულია ობიექტურ რეალობაზე, ანუ ისეთ გარეგან ფაქტორზე, რომელიც დამოუკიდებელია ადამიანის გონებისგან და ახდენს ზეგავლენას ყველა ადამიანზე მუდმივი კანონების შესაბამისად. მიუხედავად იმისა, რომ ეს ზეგავლენა განსხვავებულ შეგრძნებებს იწვევს სხვადასხვა ინდივიდში, ხანგრძლივი მსჯელობისა და განხილვის შედეგად მაინც შესაძლებელია რეალობის თვისებების დადგენა. მეცნიერული მეთოდის გამოყენებით წარმართული კვლევა იწყება ცნობილი და თვალსაჩინო ფაქტებიდან და მთავრდება უცნობი ფაქტების აღმოჩენით. ამასთან, მსჯელობის სისწორეს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს – მთავარია, დასკვნა იყოს ჭეშმარიტი. მეცნიერული მეთოდი, დანარჩენებისგან განსხვავებით, უშვებს საკუთარი მოქმედებებისა და დასკვნების მცდარობის აღიარების და გამოსწორების შესაძლებლობას. ამ დებულებაში ვლინდება პერსის ფალიბილიზმის (ლათ. fallibilis – შეცდომებისკენ მიდრეკილი, ინგლ. fallibilism) პრინციპი, რომლის თანახმად ადამიანების ცოდნა შესაძლებელია იყოს მცდარი, ამიტომ იგი არასოდეს არაა საბოლოო და სრული, და ყოველთვის შეიძლება ჭეშმარიტებად მიჩნეული რაიმე შეხედულების გამოსწორება ან ახალი ვერსიით შეცვლა.

მეცნიერული მეთოდის ძირითადი საკვლევი აპარატია პერსის მიერ შემუშავებული არგუმენტაციის აბდუქციური პრინციპი. როგორც ცნობილია, ტრადიციულად გამოიყოფოდა ლოგიკური დასკვნის ორი ტიპი: დედუქციური და ინდუქციური. პერსის თქმით, არისტოტელემ დედუქციასა და ინდუქციასთან ერთად აღწერა ასევე აბდუქციის ცნება, რომელიც აღნიშნა ტერმინით “apagoge” და რომელიც ნიშნავს ლოგიკურ დასკვნას გაურკვეველი ან აბსურდული წანამძღვარების შემთხვევაში, თუმცა მსჯელობის ეს სახეობა არასწორად იქნა გაგებული. თვითონ პერსი სხვადასხვა პერიოდის ნამუშევრებში განსხვავებულ ტერმინებს ხმარობს მის აღსანიშნავად: „ჰიპოთეტური დასკვნა“ (hypothetic inference), „რეტროდუქცია“ (retroduction), „აბდუქცია“ (abduction).

გავიხსენოთ: დედუქცია ნიშნავს მოცემული ზოგადი წესის საფუძველზე ცალკეული შემთხვევის ახსნას, ინდუქცია ნიშნავს კერძო შემთხვევებიდან ზოგადი წესის დადგენას. ამ ცნებების ილუსტრირებისთვის პერსს მოჰყავს შემდეგი ტიპის მაგალითები (Peirce 1878):

- დედუქცია: წესი – ამ ტომარაში ყველა ვაშლი წითელია
შემთხვევა – ეს ვაშლები ამ ტომრიდანაა
შედეგი – ეს ვაშლები წითელია
- ინდუქცია: შემთხვევა – ეს ვაშლები ამ ტომრიდანაა
შედეგი – ეს ვაშლები წითელია
წესი – ამ ტომარაში ყველა ვაშლი წითელია

მაგრამ ასევე შესაძლებელია მსჯელობის კომპონენტების კომბინირების მესამე ვარიანტი, რომელიც აბლუქციას შეესაბამება:

აბლუქცია: შედეგი – ეს ვაშლები წითელია

ჰიპოთეტური წესი – ყველა ვაშლი ამ ტომარაში წითელია

შემთხვევა – ეს ვაშლები ამ ტომრიდანაა

პერსის აზრით, ყველა დროის მეცნიერები და მოაზროვნეები ინსტინქტურად იყენებდნენ აბლუქციის მეთოდს და სწორედ ამის წყალობით ახერხებდნენ ახალი იდეებისა და თეორიების შემუშავებას, მაშინ როდესაც ინდუქციისა და დედუქციის გამოყენებით შესაძლებელია არა ახალი ცოდნის წარმოქმნა, არამედ მხოლოდ უკვე არსებული შემოწმება და მოწესრიგება. და მართლაც, თუ ვაშლების მაგალითის დაუუკვირდებით, შევამჩნევთ, რომ დედუქციურ მსჯელობაში შედეგი უკვე მოცემულია წესში, ინდუქციური მსჯელობა მხოლოდ განაზოგადებს ცნობილ ფაქტებს, ხოლო აბლუქციის დროს მოცემულია მხოლოდ რაიმე ფაქტი, აქამდე უცნობი წინაპირობის შედეგი, მსჯელობის შემდეგ კი ჰიპოთეტურად ყალიბდება ეს წინაპირობაც და მისი მიმართულებაც მოცემულ ფაქტთან.

მაშასადამე, აბლუქციური მსჯელობა ყოველთვის იწყება კონკრეტული ფაქტების შესწავლით. როდესაც მკვლევარი აღმოაჩენს, რომ არ არსებობს ამ ფაქტების გამომწვევი მიზეზების ახსნა, იგი იწყებს ამაზე ფიქრს და სხვადასხვა ჰიპოთეზის წამოყენებას. ამრიგად, „აბლუქცია არის ამხსნელი ჰიპოთეზების ჩამოყალიბების პროცესი“ (Peirce 1934:171), რომელიც შემდეგი სახით გამოიხატება: არსებობს რაღაც მოვლენა F; თუ F არის ჰიპოთეზა და H ბუნებრივი შედეგი, მაშინ H ჭეშმარიტია. მნიშვნელოვანია, რომ ახალმა თეორიამ აუცილებლად სცადოს საკვლევი ფენომენის ახსნა მიზეზ-შედეგობრიობის საფუძველზე, წინააღმდეგ შემთხვევაში კი მას არაფერი ექნება საერთო სინამდვილესთან, და ამიტომ მასზე დროც კი არ უნდა დაიხარჯოს. პერსის რჩევით, მკვლევარმა უნდა მოახდინოს მის მიერ შემუშავებული ჰიპოთეზიდან გამომდინარე შედეგების წინსწარმეტყველება და რეალურ ფაქტებთან შედარება, ამასთან შესადარებელი ასპექტები შემთხვევითი წესით უნდა იქნეს შერჩეული (რათა გამოირიცხოს მიკერძობა), ხოლო თვითონ მკვლევარი მაქსიმალურად გულწრფელი უნდა იყოს თავის შეფასებებში. ზოგადად, საყრდენი ჰიპოთეზის შერჩევისას ყურადღება უნდა მიექცეს მის დასაბუთებულობას, მონაცემთა სანდოობას, ამხსნელობით ძალას, დამაჯერებლობას.

ხაზგასასმელია, რომ აბლუქციური მსჯელობის შედეგად შესაძლებელია რამდენიმე განსხვავებული ჰიპოთეზის წარმოქმნა (და უმეტესწილად ასეც ხდება), მაგრამ მათ შორის საბოლოოდ იმარჯვებს ერთი, რეალობასთან ყველაზე ახლოს მყოფი, თუმცა ეს უკანასკნელიც ხშირად სააღბათო ხასიათს

ატარებს, ამიტომ, მეცნიერული მეთოდის თანახმად, ყოველთვის შეიძლება მისი გაუმჯობესება ან სულაც უკეთესით შეცვლა.

ამრიგად, აბლუქცია უფრო ვარაუდს წარმოადგენს, მიხვედრას იმის შესახებ, თუ რა მიზეზები შეიძლება იყოს მოვლენების საფუძველში, ვიდრე უკვე ცნობილი მიზეზ-შედეგობრივი კავშირების განზოგადებას ან კერძო შემთხვევებზე გავრცელებას (ეს ინდუქციისა და დედუქციის ფუნქციაა). ამ მხრივ ნათლად ჩანს ჰიპოთეტური აზროვნების შემოქმედებითი ხასიათი და წარმოსახვის როლი მეცნიერულ კვლევაში. ამასთან, პერსი თვლის, რომ აბლუქციური მსჯელობისა და სწორი ვერსიების ამორჩევის შესაძლებლობა კაცობრიობამ ევოლუციური განვითარების პროცესში გამოიმუშავა და მას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გარემოსთან შეგუებასა და თვითგადარჩენისთვის. დამაჯერებელი ვარაუდებისა და სწორი დასკვნების გაკეთების ინსტინქტური უნარი განაპირობებს ადამიანების წარმატებულ მოღვაწეობას ყოველდღიურ ცხოვრებაში. და მართლაც, ჩვენ ისე ხშირად ვიყენებთ აბლუქციას, რომ ვერც კი ვაცნობიერებთ ამას. ეს ეხება არა მხოლოდ სხვადასხვა ყოფით მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივი მიმართებების ამოცნობას (მაგალითად, ჩვენ ყოველთვის ვეძებთ რაიმე შემთხვევების მიზეზებს და გამოვთქვამთ დამაჯერებლობის სხვადასხვა ხარისხის მქონე ჰიპოთეზებს), არამედ მეტყველების საკომუნიკაციო ასპექტებსაც. ასე, კომუნიკაციის დროს გამონათქვამის დეკოდირება გულისხმობს, მათ შორის, მოსაუბრის მიერ მოცემულ კონტექსტში გამოთქმული შეტყობინების გამომწვევი მიზეზების ახსნას, გამონათქვამის გულწრფელობის შეფასებას, რაც ხდება ქვეცნობიერი აბლუქციური მსჯელობის დახმარებით.

იმის დასამტკიცებლად, რომ მეცნიერული აღმოჩენების უმეტესობა აბლუქციის გაუცნობიერებელი გამოყენებით ხორციელდება, პერსს მოჰყავს ი. კეპლერის მაგალითი, რომელმაც დაადგინა მარსის ორბიტა. ითვლებოდა, რომ მარსი წრიულ ორბიტაზე მოძრაობს, მაგრამ გამოთვლები და დაკვირვებები არ ამტკიცებდნენ ამას. კეპლერმა წამოაყენა ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ მზის უზარმაზარი წონა არ შეიძლება არ ზემოქმედებდეს პლანეტების ორბიტებზე, ანუ შეეცადა მოეძებნა მარსის არაწრიული ორბიტის მიზეზი. შემდგომში გამოთვლებმა და დაკვირვებებმა დაამტკიცეს მზის ზემოქმედება არა მხოლოდ მარსის, არამედ სხვა პლანეტების მოძრაობაზე, და მისცეს ასტრონომებს მათი ორბიტების გამოთვლის საშუალება.

ენათმეცნიერთათვის უფრო ახლობელი იქნება ფ. დე სოსიურის შემთხვევა, როდესაც მან ცნობილი ლარინგალური თეორია ჩამოაყალიბა, რომლის თანახმად ინდოევროპულ წინარე ენაში არსებობდა ლარინგალური ბგერები. საქმე ისაა, რომ ზოგიერთ ინდოევროპულ ფუძეს გააჩნია არაკანონიკური სტრუქტურა და, ამავე დროს, მათში განსხვავებულადაა წარმოდგენილი ხმო-

ვანთმონაცვლეობის მექანიზმი. ამ უცნაურობის ახსნა ვერ ხერხდებოდა უკვე არსებული თეორიების მეშვეობით. სოსიურმა გამოთქვა ვარაუდი იმის შესახებ, რომ მოცემული ფუძეები წარმოადგენენ კანონიკური ფორმის ისტორიულად დაკარგული ელემენტის გავლენის შედეგად მიღებულ სახეცვლილებას. ამ დაკარგულ ელემენტს სოსიურმა სონანტური კოეფიციენტი უწოდა. შემდგომმა კვლევებმა მთლიანად დაადასტურეს მისი ჰიპოთეზა: ინდოევროპულ ენაში არსებობდა სამი ლარინგალური ფონემა, რომლებიც დაიკარგა ისტორიულად დამოწმებულ ინდოევროპულ ენებში.

როგორც ვხედავთ, სოსიურის მიერ ლარინგალური თეორიის შექმნის პროცესი მთლიანად იმეორებს აბლუქციური მსჯელობის ეტაპებს: ცალკეული აუხსნელი მოვლენა – ჰიპოთეზა, რომელიც შეიცავს ამ მოვლენის ჯერ კიდევ უცნობ, სავარაუდო მიზეზს – იმის დამტკიცება, რომ ჰიპოთეტური მიზეზი არის მოვლენის ბუნებრივი წინაპირობა.

შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ აბლუქციურ მსჯელობაზე დაფუძნებული კვლევა ტრადიციული ჰიპოთეტურ-დედუქციური მეთოდის მსგავსია, თუმცა ეს ასე არაა. ჰიპოთეტურ-დედუქციური დასკვნა გულისხმობს წინასწარ დადგენილი ჰიპოთეზის დედუქციურ განზოგადებას ცალკეულ შემთხვევებზე. აბლუქცია კი იწყება არა ჰიპოთეზით, არამედ კონკრეტული მონაცემებით, ფაქტებით, რომლებიც ახსნას საჭიროებენ და ამით განაპირობებენ ჰიპოთეზის ჩამოყალიბებას.

ასევე განსხვავდება აბლუქციური მსჯელობა ინდუქციური მიდგომისაგან, როდესაც ხდება კერძო ფაქტების შეგროვება და დაჯგუფება მსგავსებისა და განსხვავებულობის მიხედვით და მათ საფუძველზე ზოგადი კანონის ჩამოყალიბება.

ორივე შემთხვევაში ნათლად ჩანს დედუქციური და ინდუქციური კვლევების ნაკლოვანი მხარეები: ჰიპოთეტურ-დედუქციური მეთოდი დაფუძნებულია უკვე არსებულ ჰიპოთეზაზე, რომლის ჩამოყალიბების წესი არ არის მოცემული, ხოლო ინდუქციური მსჯელობა მოითხოვს საკვლევ შემთხვევებში რაიმე არსებითი ნიშან-თვისებების გამოყოფას, რომლის საფუძველზეც მოხდება ფაქტების დაჯგუფება, რაც ასე თუ ისე გულისხმობს წინასწარი ჰიპოთეზის არსებობას.

სწორედ ამიტომ, პერსის მიხედვით, სამეცნიერო კვლევის ციკლი უნდა მოიცავდეს ლოგიკური მსჯელობის სამივე სახეობას: ჯერ აბლუქციის დახმარებით უნდა შემუშავდეს სავარაუდო ჰიპოთეზა, შემდეგ დედუქციის მეშვეობით უნდა ჩამოყალიბდეს ზოგადი დებულებები, ბოლოს კი ეს დებულებები უნდა შემოწმდეს ინდუქციური გზით. პერსის აზრით, მხოლოდ ამ თანმიმდევრობითაა შესაძლებელი ღირებული და დამაჯერებელი სამეცნიერო თეორიის შექმნა. „დედუქცია ამტკიცებს, რომ რაღაც უნდა არსებობდეს; ინდუქცია აჩ-

ვენებს, რომ რაღაც *ნამდვილად* არსებობს; აბდუქცია უბრალოდ გვთავაზობს, რომ რაღაც *შესაძლებელია* არსებობდეს“ (Peirce 1934:172).

რაც შეეხება ლოგიკური მსჯელობების მიმართებას პერსის კატეგორიულურ სისტემასთან (*იხ. ქვემოთ*), ყოველი მათგანი წარმოადგენს განყენებულ ზოგად ფენომენს და ამიტომ მესამეულობის კატეგორიას მიეკუთვნება. მაგრამ თვითონ მესამეულობის ფარგლებში ხდება მათი შემდგომი დიფერენციაცია. ასე, აბდუქცია არის პირველადობის ფენომენი, რადგან წარმოადგენს წმინდა შესაძლებლობას, ფაქტებსა და კანონზომიერებებთან მიმართების გარეშე; ინდუქცია მიეკუთვნება მეორეულობას, ვინაიდან მიმართებაშია რეალურად არსებულ ფენომენებთან; დედუქცია კი, როგორც ზოგადი კანონზომიერება, მესამეულობის კატეგორიას ეკუთვნის.

ამრიგად, აბდუქცია გვევლინება სამეცნიერო კვლევის ქვაკუთხედად, რომელიც, ერთის მხრივ, აერთიანებს მონაცემების მკაცრ ანალიზსა და მწყობრ ლოგიკურ მსჯელობას, ხოლო მეორეს მხრივ, შეაქვს მასში წარმოსახვითი, შემოქმედებითი, თითქმის ირაციონალური ნოტები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პერსის აზრით, მხოლოდ მეცნიერული მეთოდითაა შესაძლებელი ჭეშმარიტების დადგენა, და ამაშია მისი უპირატესობა დანარჩენი მეთოდების წინაშე. ასე, აპრიორული მეთოდის მიმდევრები სხვადასხვა ამოსავალი დებულების შემთხვევაში განსხვავებულ დასკვნებამდე მიდიან, და ამასთან, თითოეულს მხოლოდ თავისი დასკვნა მიაჩნია სრულ ჭეშმარიტებად: „ფილოსოფოსებისთვის ჭეშმარიტება მათი პირადი ციხესიმაგრეა“ (Peirce 2000:290), ამიტომ განსხვავებული აზრი მათთვის მიუღებელია. ხოლო მეცნიერული მეთოდის გამოყენებისას მკვლევრებს შესაძლოა განსხვავებული საწყისი დებულებები ჰქონდეთ, მაგრამ საბოლოო შედეგი, მიუხედავად მათი მიდრეკილებებისა ან მსოფლმხედველობისა, ერთნაირი იქნება. შეიძლება ითქვას, რომ „აზროვნებას მიყვაროთ წინასწარ განსაზღვრულ მიზანმდე“ (Peirce 2000:291) – ჭეშმარიტი ვითარებების აღმოჩენამდე. პერსის თანახმად, აზრი, რომელზედაც ერთ მშვენიერ დღეს მსოფლიო სამეცნიერო თანამეგობრობა მიადწევს საბოლოო შეთანხმებას, ჭეშმარიტი იქნება, ხოლო ამ აზრში წარმოდგენილ ობიექტთა ერთობლიობა – ობიექტური რეალობა. ამ დებულებით პერსი აერთიანებს ორ ურთიერთსაწინააღმდეგო პრინციპს: ფალიბილიზმს (შემეცნების ნაწილობრივი და ხშირად მცდარი ხასიათი) და ანტისკეპტიციზმს (რეალობის შემეცნების შესაძლებლობის რწმენა).

მაშასადამე, მეცნიერული მეთოდი წარმოადგენს რწმენის განმტკიცების ერთადერთ სანდო საშუალებას. მაგრამ როგორ უნდა გავარჩიოთ ერთიმეორისგან ჭეშმარიტი და მცდარი შეხედულება? ამ საკითხს პერსი განიხილავს სტატიაში „როგორ გავხადოთ ჩვენი იდეები ნათელი“. მისი აზრით, მხოლოდ ჭეშმარიტ რწმენაზე დამყარებულ მოქმედებას შეუძლია მიგვიყვანოს დასახულ

მიზნამდე, ხოლო თუ მას „მცდარი“ რწმენის შედეგად მივალწევთ, მაშინ ჭეშმარიტსა და მცდარს შორის არანაირი განსხვავება არ იქნება, ისინი ერთნაირი იქნებოდნენ. გამოდის, რომ იდეის ჭეშმარიტება განისაზღვრება მისი პრაქტიკული შედეგით. იგივე შეიძლება ითქვას იდეის ან ცნების მნიშვნელობის შესახებ – იგი უღრის ცნების ობიექტის პრაქტიკულ გრძნობად ეფექტებს. ასე, მაგალითად, სიმკვრივის ცნება ამოიწურება მკვრივ საგანთან შეხებისას მიღებული შეგრძნებებით, არავითარი სხვა წარმოდგენა სიმკვრივის (ან ნებისმიერი სხვა თვისების ან საგნის) შესახებ ჩვენ არ გავგაჩნია. აქედან ასევე გამომდინარეობს ის დასკვნა, რომ ერთნაირი შედეგების გამომწვევს ორ განსხვავებულ ცნებას ერთი მნიშვნელობა აქვს. სწორედ ამაში მდგომარეობს პერსის ცნობილი პრინციპი, ანუ პრაგმატიკული მაქსიმა: ობიექტის ცნება არის ცოდნის ერთობლიობა მისი პრაქტიკული გამოყენების შედეგების შესახებ.

პერსი მიიჩნევს, რომ ამ პრაგმატული წესით ხელმძღვანელობის შემთხვევაში ჩვენი იდეები მაქსიმალურად ნათლად იქნება გამოხატული. იგი განიხილავს კლასიკურ მიდგომებს აზრის ჩამოყალიბების მიმართ. პირველის თანახმად, ნათელია ის იდეა, რომელიც ყოველთვის ადვილი გასაგები და ამოსაცნობია, მისი გამოხატულების მიუხედავად. მაგრამ ამას პერსი თითქმის შეუძლებლად მიიჩნევს, ვინაიდან ბუნდოვნად გამოთქმული აზრის გაგება მხოლოდ სრულებით განსაკუთრებული ინტელექტის პატრონს ძალუძს, რაც არცთუ ისე ხშირი მოვლენაა ამქვეყნად. მეორე მიდგომა გულისხმობს აზრის მკაფიოდ ჩამოყალიბებას აბსტრაქტულ ტერმინებში, რაც სრულებით არ ნიშნავს თვითონ აზრის სრულყოფილად აღქმას. პერსის თანახმად, ჩვენი იდეები მაშინაა ნათლად და მკაფიოდ გამოხატული და ადვილად გასაგები, როდესაც გამოხატულია მხოლოდ მათი მნიშვნელობა, ანუ მათი გრძნობადი შედეგები: „განიხილეთ, როგორი პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე შედეგები აქვს ჩვენი ობიექტის ცნებას. მაშინ ჩვენი ცნება ამ შედეგების შესახებ არის ობიექტის სრული ცნება“ (Piers 2000:278). ამავე დროს, პერსი ყველანაირად ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ მისი პრაგმატიციზმი არის მხოლოდ მეცნიერული კვლევის მეთოდოლოგიური აპარატი, ჰიპოთეზების ჩამოყალიბებისა და მათი შემდგომი ვერიფიკაციის წესი და არა რაიმე იდეის ინტელექტუალური ღირებულებისა თუ მნიშვნელობის „გაზომვის“ საშუალება. იგი ასევე შორსაა ე.წ. „ვულგარული“ პრაგმატიზმისგან, რომელიც ორიენტირებულია პრაქტიკული სარგებლობის მიღებაზე.

პერსის ფილოსოფიური სისტემა ჩამოყალიბდა კარტეზიანული მსოფლმხედველობის კრიტიკის შედეგად. სტატიებში „კითხვები ადამიანებისთვის მიწერილი ზოგიერთი უნარის შესახებ“ და „ოთხი უუნარობის ზოგიერთი შედეგი“ (“Questions Concerning Certain Faculties Claimed for Man”, “Some Consequences of Four Incapacities”, 1868) პერსი აკრიტიკებს კარტეზიანული ფილოსოფიის ძირითად დებულებებს. დეკარტის საწინააღმდეგოდ, იგი ამბობს, რომ:

„1. ჩვენ არა გვაქვს ინტროსპექციის უნარი, არამედ მთელი ცოდნა შინაგანი სამყაროს შესახებ შექმნილია ჰიპოთეტური მსჯელობის გზით, რომელიც დაფუძნებულია გარეგანი ფაქტების ჩვენს ცოდნაზე.

2. ჩვენ არ გაგვაჩნია ინტუიციის უნარი, არამედ ყოველი ცოდნა ლოგიკურადაა განსაზღვრული წინა ცოდნით.

3. ჩვენ არ გაგვაჩნია ნიშანთა დახმარების გარეშე აზროვნების უნარი.

4. ჩვენ არ გაგვაჩნია აბსოლუტურად შეუცნობელის კონცეფცია“ (Пирс 2000: 50).

პერსი უარყოფს ინტროსპექციას როგორც „შინაგანი სამყაროს უშუალო აღქმის“ (Пирс 2000:38) უნარს. მისი აზრით, ფსიქიკური მოვლენების დაკვირვებისა და შესწავლის ერთადერთი საშუალება მათი გარეგანი გამოვლინების ანალიზია. პერსი ასევე უარყოფს ინტუიციას, როგორც პირველსაწყისი აპრიორული ცოდნის წყაროს. მისთვის ნებისმიერი ცოდნა გამომდინარეობს უკვე არსებული შექმნილი ცოდნიდან. ამასთან, ჩვენი აზრების ნაკადი, ლოგიკური მსჯელობა სულაც არ ასახავს გარესამყაროს რაციონალურ სტრუქტურას – იგი უფრო მეტად შინაგანი ფსიქიკური პროცესების ამსახველია.

აზროვნება და შემეცნება მხოლოდ ნიშნების მეშვეობითაა შესაძლებელი, რადგან თვით აზრები, იდეები, შეგრძნებები წარმოადგენენ ნიშნებს. თავისთავად ისინი არ შეიცავენ არანაირ ცოდნას, მათი მნიშვნელობის გაგება მხოლოდ იტერპრეტაციის შემდეგ შეიძლება. ერთი ნიშნის ინტერპრეტირება სხვა ნიშნებით ხდება. შემეცნება წარმოადგენს ნიშნების ერთიმეორეში გადასვლის უსასრულო პროცესს, მას არც დასაწყისი გააჩნია, არც დასასრული.

დაბოლოს, აღამიანებს არ გააჩნიათ აბსოლუტურად შეუმეცნებლის ცნება, რადგან „გამოცდილებაში ჩვენ მსგავსი არაფერი გვეძლევა“ (Пирс 2000:41). ჩვენ მხოლოდ ნიშნებით ვაზროვნებთ, მათი მნიშვნელობა კი გამოხატავს მათ ცნებას, შესაბამისად, არ არსებობს ნიშანი, რომელიც გამოხატავს რაიმე შეუცნობელს. ყოველ შეცნობილ ფენომენს უპირისპირდება არა პრინციპულად შეუმეცნებელი, არამედ შეცნობადი რეალობა. „მოკლედ, შეცნობადობა და ყოფიერება არა მხოლოდ ერთი და იგივეა მეტაფიზიკური თვალსაზრისით, არამედ სინონიმური ტერმინებიცაა“ (Пирс 2000:42).

პერსის მიხედვით, სამყარო სტრუქტურირებულია უწყვეტობის, მუდმივობის პრინციპით: სივრცე, დრო, გონება ქმნიან ერთგვარ კონტინუუმს, სულისა და მატერიის ერთობას. ამ კონცეფციამ სინექზიზმის (ბერძნ. συνεκτικ□ζ – „უწყვეტი“) სახელი მიიღო. მის თანახმად, გონება განფენილია სამყაროს უწყვეტობაში, რომელშიც ასევე „გაბნეულია“ იდეები. ამ საკითხში პერსი ახლოსაა სქოლასტიკურ რეალიზმთან. თვითონ სამყარო, პერსის აზრით, წარმოადგენს სულის „გაქვავების“ პროცესის ნაყოფს. ფიზიკური ფენომენები მომდინარეობენ ფსიქიკური რეალობიდან: „ის, რასაც ჩვენ მატერიას ვუწო-

დებთ, არ არის რაღაც სრულებით მკვდარი, არამედ წარმოადგენს გონებას, რომელიც ძლიერ შეზღუდულია ჩვევით“ (Пирс 2000:343). ანუ არაცოცხალი ბუნება მაინც შეიცავს თავის თავში სიცოცხლის ნაპერწკალს, თვით ის ფაქტი, რომ ნივთები იწვევენ ცოცხალი ორგანიზმების ნერვული სისტემის გაღიზიანებას, ამტკიცებს, რომ „გამღიზიანებელშიც უნდა იმყოფებოდეს რაღაც ნერვების მსგავსი“ (იქვე).

როგორც პრაქტიკოსი მეცნიერი, პერსი გამოდიოდა დეტერმინიზმის წინააღმდეგ, რადგან მან კარგად იცოდა, რომ კვლევის ან ექსპერიმენტის დროს შეუძლებელია ორი სრულებით ერთნაირი შედეგის მიღება. მაგალითად, თუ ავიღებთ რაიმე ფიზიკური სიდიდის გაზომვის ასობით გრაფიკს, ყოველი მათგანი განსხვავებული იქნება ერთიმეორისგან, და ყოველი ცალკეული გრაფიკი წარმოდგენილი იქნება დაკბილული, და არა გლუვი მრუდით. ეს მოწმობს, რომ სინამდვილეში სამყარო არ არის დეტერმინირებული, სტატისტიკური კანონზომიერებითა და რეგულარულობით განსაზღვრული. დიდი ფიზიკური ობიექტების (მაგალითად, პლანეტების) დონეზე სამყაროში მოქმედებენ მკაცრად განსაზღვრული კანონები, მაგრამ სპექტრის საწინააღმდეგო მხარეზე ბატონობს პროცესების მიმდინარეობის სრული თავისუფლება და სპონტანურობა (მაგალითად, კვანტების დონეზე ან ადამიანის წარმოსახვაში).

ამგვარმა დაკვირვებამ პერსი მიიყვანა დასკვნამდე, რომ სამყაროს ობიექტური მდგომარეობა არა მხოლოდ წესრიგი და კანონზომიერება, არამედ ასევე შემთხვევითობა. ამ კონცეფციას მან ტიქიზმი უწოდა (ბერძნ. τῆξις – „შემთხვევა“). ტიქიზმის ცნებაზეა დამყარებული პერსის ევოლუციური თეორია: იგი მიიჩნევს, რომ შორეულ წარსულში ბუნება გაცილებით უფრო სპონტანური, ქაოსური იყო, ვიდრე აწმყომია, და მომავალში იგი მეტად მოწესრიგებული გახდება. ანუ სამყაროს ევოლუცია ნიშნავს კანონზომიერების მატებას. პერსმა ექსპერიმენტული კვლევების სტატისტიკური ანალიზის მეშვეობით დაამტკიცა, რომ თუ ბუნებაში არსებობს სულ მცირე ტენდენცია რაიმე ქცევისკენ ან ჩვევისკენ მიდრეკილებისა, გრძელვადიან პერსპექტივაში მოსალოდნელია მისი მაღალი ხარისხით ზრდა. ევოლუციის მამოძრავებელ ძალად პერსი სიყვარულს, თვითგანწირვის უნარს მიიჩნევდა. ამ პრინციპს მან აგაპიზმი (ბერძნ. ἀγάπη – „სიყვარული“) უწოდა.

ფილოსოფიაში თავის მთავარ მიღწევად პერსი კატეგორიალური სისტემის სამ ძირითად კატეგორიამდე დაყვანას მიიჩნევდა. ესენია:

- პირველადობა (Firstness) – „იმის ყოფიერების წესი, რაც ისეთია, როგორიც არის, დადებითია და არ გააჩნია არანაირი მიმართება (reference) სხვა რაიმესთან“ (Пирс 2000:163). ეს არის წმინდა შესაძლებლობის, პოტენციურობის, უშუალობის, სპონტანურობის, დამოუკიდებლობის კატეგორია. მას შეესაბამება გრძნობადი თვისებების (qualities of feeling) ან

მარტივი მოვლენების იდეები. ასეთი თვისებები მთლიანობით შთაბეჭდილებას ახდენენ, მაგრამ ამ შთაბეჭდილების გააზრება არ ხდება. პირველადობის იდეების მაგალითებია ფერი, გეომეტრიული ფორმა, სხეულების სხვა ფიზიკური თვისებები, ადამიანების სულიერი თვისებები და ა.შ. ისინი წარმოადგენენ არა ფაქტს, არამედ მარტივ თვისებას, რაიმე მოვლენის შესაძლებლობას.

- მეორეულობა (Secondness) – „იმის ყოფიერების წესი, რაც ისეთია, როგორც არის, გააჩნია მიმართება მეორესადმი, მაგრამ არა აქვს მიმართება რაიმე მესამესადმი“ (Пирс 2000:163). მეორეულობის კატეგორია ხასიათდება როგორც მატერია, რეაქცია, მოქმედება, უხეში ძალა. თუ პირველადობა ნიშნავს რაიმეს შესაძლებლობას, მეორადობა არის ამ შესაძლებლობის განხორციელება. მეორეულობის იდეები წარმოადგენენ „ძალვის გამოცდილებას, რომელიც აღებულია მიზნის იდეისგან განცალკევებით“ (Пирс 2000:164). მათი მაგალითია: რეაქცია, წინააღმდეგობა, შემთხვევითობა. ასე, ადამიანი აიგივებს თავის თავს გარკვეულ ფსიქოლოგიურ მდგომარეობასთან, ხოლო როდესაც მასზე ზემოქმედებს რაიმე გარეგანი ძალა, მისი მდგომარეობა იცვლება. ეს ახალი მდგომარეობა აღიქმება როგორც „არა-მე“. ადამიანს ორმხრივი ცნობიერება უჩნდება – „მე“ და „არა-მე“. გამოცდილება სწორედ ახალი მდგომარეობის გაცნობიერებასა და ძველი „მე“-ს ნგრევას ნიშნავს. ფაქტობრივად, მეორეულობა ერთი საგნის მეორეზე უხეში ზემოქმედებაა (Пирс 2000:165).

ყოფიერება რომ მხოლოდ პირველადობისა და მეორეულობის კატეგორიებით ხასიათდებოდეს, იგი შემთხვევითი და კანონზომიერებას მოკლებული იქნებოდა. ამიტომ საჭიროა კიდევ ერთი კატეგორია:

- მესამეულობა (Thirdness) – „იმის ყოფიერების წესი, რაც ისეთია, როგორც არის და ამყარებს მიმართებას მეორესა და მესამეს შორის“ (Пирс 2000:163). ეს არის „კანონისა და მიზეზის იდეა“ (Пирс 2000:165), რომელიც აკავშირებს პირველ ორ კატეგორიას, ახდენს მათ სინთეზს და აწესებს კანონზომიერებას, რაც, თავის მხრივ, ქმნის ევოლუციის საფუძველს. ეს კატეგორია მოიცავს აზროვნების, განპირობებულობის, გასხვების, აუცილებლობის, ჩვევის, უწყვეტობის, სინთეზის, სემიოზისის, ნიშნის იდეებს. მესამეულობას მიეკუთვნებიან, მაგალითად, გზა ორ პუნქტს შორის, შიკრიკი, ინტერპრეტატორი.

ამრიგად, პერსის სემიოტიკური კონცეფცია დაფუძნებულია ტრიქოტომიული მიმართებების მოდელზე, რომელიც განსაზღვრავს ნიშნის სპეციფიკას და მის სახეობებს.

„ნიშანი (რეპრეზენტამენი; representamen) არის რაღაც, რაც ვინმესთვის რაიმეს აღნიშნავს განსაზღვრული მიმართებით ან მოცემულობით. იგი მიმარ-

თულია ვინმესადმი და მეორე ადამიანის გონებაში ტოლფას ნიშანს ქმნის“ (Peirce 2000:177). ამ მეორე ნიშანს ინტერპრეტანტი (interpretant) ეწოდება. ხშირად მას მნიშვნელობასთან აიგივებენ. იმას, რაც ნიშნით აღინიშნება, ობიექტი ჰქვია. მაგრამ ობიექტი აღინიშნება არა ყოველმხრივ, არამედ მხოლოდ მისი იდეა, რომელიც წარმოადგენს რეპრეზენტამენტის საფუძველს (Ground).

როგორც ვხედავთ, ნიშანი არის ტრიალული მიმართება, რომელშიც სამი კორელატია გაერთიანებული: ობიექტი, რეპრეზენტამენტი და ინტერპრეტანტი. ნიშანი აქ გაგებულია ფართო აზრით, როგორც სამივე კორელატის ერთობა. მაგრამ ხშირად პერსი აიგივებს მას რეპრეზენტამენტთან, ტრიალული მიმართების პირველ წევრთან, რომელიც გვევლინება ნიშნის მატერიალურ ფორმად. ანუ ნიშანი ამ შემთხვევაში ვიწრო აზრით გაიგება. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პერსისთვის არ არსებობს ოპოზიცია ნიშანსა და არა-ნიშანს შორის. მისი განმარტებით, ნიშანი არის ნებისმიერი რამ, რაც პირველსა და მეორე კატეგორიას აკავშირებს. თავის მხრივ, პირველი და მეორე კატეგორიების ფენომენები ასევე წარმოადგენენ ერთგვარ გადაგვარებულ ნიშნებს. თვით აზროვნება, შემეცნება, ადამიანიც კი არის სემიოზისის შედეგი და ნიშანი. ამრიგად, ყოველივე, რაც არსებობს, არის ნიშანი, „მთელი უნივერსუმი (...) შედგება მხოლოდ და მხოლოდ ნიშნებისგან“ (Peirce 1933:302).

ამგვარი პანსემიოტიკური შეხედულებიდან გამომდინარე, პერსი გამოყოფს სემიოტიკის განხრებს, რომლებიც, მისი აზრით, მოიცავენ ყველა სხვა მეცნიერებას:

- 1) ფორმალური გრამატიკა, რომლის ამოცანაა შეისწავლოს ნიშნები მათი ობიექტებისა და ინტერპრეტატორებისგან დამოუკიდებლად;
- 2) ლოგიკა – ნიშნებისა და ობიექტების ურთიერთმიმართება;
- 3) რიტორიკა – ნიშნებისა და მათი ინტერპრეტატორების ურთიერთდამოკიდებულება.

სემიოტიკის განხრების ამ განმარტებაში ნათლად ჩანს სინტაქტიკის, სემანტიკისა და პრაგმატიკის დასაბამი.

როგორც აღვნიშნეთ, ნიშანი აერთიანებს სამ კორელატს: რეპრეზენტამენტს (ანუ ნიშანს ვიწრო გაგებით), ობიექტსა და ინტერპრეტანტს. ობიექტი და ინტერპრეტანტი, პერსის პანსემიოტიკური კონცეფციის მიხედვით, ასევე წარმოადგენენ ნიშნებს.

ობიექტი შეიძლება იყოს რეალური ან წარმოსახვითი, ის, რასაც ადამიანი იცნობს თავისი გამოცდილებიდან. „ნიშანს შეუძლია მხოლოდ წარმოადგინოს ობიექტი ან გვიამბოს მასზე“, მაგრამ „არ შეუძლია გაგვაცნოს იგი ან პირველად აღმოაჩინოს ჩვენი შემეცნებისთვის“ (Peirce 2000:180).

პერსი განასხვავებს უშუალო და დინამიკურ ობიექტს (Immediate and Dynamical Object). უშუალო ობიექტი არის „ობიექტი, როგორადაც იგი წარ-

მოდგენილია ნიშანში და ამიტომ ნიშნავს იდეას“ (Peirce 2000:230). ამგვარი ობიექტი ისეთად წარმოგვიდგება, როგორც იგი რეპრეზენტირებულია ნიშანში, მიუხედავად იმისა, არსებობს იგი სინამდვილეში თუ არა. დინამიკური ობიექტი არის „ობიექტი იმ მიმართებებში, რომლებშიც მას გამოავლენს შეუზღუდავი და საბოლოო შესწავლა“ (იქვე), ანუ სრული მეცნიერული გამოკვლევა.

ასე, ნიშანში მოცემული ნებისმიერი ობიექტი შეიძლება აღიქმებოდეს როგორც გრძნობად თვისებათა ერთობლიობა, და ამ შემთხვევაში იგი უშუალო ობიექტი იქნება; მაგრამ როგორც კი ძალაში შევა ამ ობიექტის მეცნიერული აღწერა, რომელიც გულისხმობს უშუალო შეგრძნებების მიზეზების გამოკვლევას (როგორებიცაა ადგილი, მასა, სინათლის ტალღების სიგრძე და ა.შ.), უშუალო ობიექტი დინამიკურ ობიექტად გარდაიქმნება.

პერსის აზრით, ნიშანი მხოლოდ მაშინაა სრულფასოვანი, როდესაც იგი აღქმული და ინტერპრეტირებულია, როდესაც იგი „ვინმესთვის რაიმეს აღნიშნავს“ (Peirce 2000:177). ნიშანი ზემოქმედებს ადამიანის გონებაზე, სადაც ზდება მისი აღქმა და გაანალიზება. ამის შედეგად მის ცნობიერებაში იქმნება პირველი ნიშნის მეტ-ნაკლებად ეკვივალენტური ნიშანი – ინტერპრეტანტი. ეს ახალი ნიშანი თავის მხრივ ზდება ინტერპრეტაციის ობიექტი: მასში გამოიყოფა გარკვეული თვისება, რომლის საფუძველზე იქმნება მომდევნო ნიშანი, რომელიც ასევე ექვემდებარება ინტერპრეტაციას, და ნიშნების წარმოქმნის ეს პროცესი უწყვეტად და უსასრულოდ გრძელდება. ამ პროცესს პერსმა უსასრულო სემიოზისი (infinite semiosis) უწოდა. უსასრულო სემიოზისი გულისხმობს ინტერპრეტატორ გონებას – ადამიანს ან ცხოველს – როგორც ცნობიერების წყაროს. მაგრამ პერსი არ აკავშირებს ნიშნის წარმოქმნას მაინც-ცადამაინც მხოლოდ ცნობიერ აზროვნებასთან. მას შემოაქვს ტერმინი „კვაზი-გონიერება“ (quasi-mind) და ამბობს, რომ იგი შეიძლება გააჩნდეთ, მაგალითად, ფუტკრებს, კრისტალებს, ფიზიკური სამყაროს ობიექტებს. ამიტომ ნიშნები წარმოდგენილია არა მხოლოდ ადამიანის მენტალურ სივრცეში, არამედ ბიოლოგიურ, ქიმიურ და ფიზიკურ სამყაროში. ისინი ქმნიან ერთგვარ კონტინუუმს, რომლითაც „განმსჭვალულია მთელი უნივერსუმი“ (Peirce 1933:302).

როგორც მესამეულობის კატეგორიას მიკუთვნებული, ინტერპრეტანტს სამი სახეობა გააჩნია: უშუალო, დინამიკური და საბოლოო (Immediate, Dynamical, Final Interpretant).

უშუალო ინტერპრეტანტი არის ნიშნის ინტერპრეტაციის პოტენციური შესაძლებლობა, შთაბეჭდილება, რომელიც ნიშანს შეუძლია მოახდინოს ინტერპრეტატორზე, ამ უკანასკნელის რეაქციის გაუთვალისწინებლად.

დინამიკური ინტერპრეტანტი ის ფაქტიური ზემოქმედებაა, რომელსაც ნიშანი ახდენს ინტერპრეტატორზე.

საბოლოო ინტერპრეტანტი „არის ის, რასაც ბოლოს და ბოლოს აღიარებდნენ ჭეშმარიტ ინტერპრეტაციად, საკითხის განხილვა რომ ისე შორს შესულიყო, რომ მასთან მიმართებაში საბოლოო აზრამდე მისულიყვნენ“ (Пирс 2000:232).

მოგვიანებით პერსმა გამოყო ინტერპრეტანტების კიდევ ერთი ტრიადა: ემოციური, ენერგეტიკული და ლოგიკური, რომლებიც წარმოადგენენ პირველი სამეულის ერთგვარ ვარიანტებს.

ნიშანთა პერსისეული კლასიფიკაცია ეფუძნება მათ მიმართებას პირველადობის, მეორეულობისა და მესამეულობის კატეგორიებთან. ამ თვალსაზრისით პერსი გამოყოფს სამ ტრიადულ მიმართებას: შედარების (comparison), შესრულების (performance) და აზროვნების (thought) ტრიადული მიმართებანი. ამათგან პირველი წარმოადგენს შესაძლებლობას, მეორე – არსებულ ფაქტს, ხოლო მესამე – კანონზომიერებას.

თავის მხრივ, ტრიადის თითოეული წევრი ნაწილდება კიდევ სამად იმის მიხედვით, 1) არის თუ არა ნიშანი მარტივი თვისება, არსებული ფაქტი თუ ზოგადი კანონი; 2) რაში მდგომარეობს ნიშნის მიმართება ობიექტთან – თვისებაში, რეალურ ზემოქმედებაში თუ კანონის რეგულარობაში; 3) როგორ წარმოადგენს ნიშანს მისი ინტერპრეტანტი – შესაძლებლობად, ფაქტად თუ გონიერ მიზეზად.

პირველი ტრიქოტომია, ამრიგად, წარმოდგენილია როგორც ნიშანთა სამეული, რომელიც არ იმყოფება მიმართებაში სხვა რამესთან. ამ ჯგუფში შედიან:

- თვისებრივი ნიშანი, კვალისაინი (Qualisign) – თვისება, რომელიც ნიშნად წარმოგვიდგება;
- ერთეული ნიშანი, სინსაინი (Sinsign) – რეალურად არსებული საგანი ან მოვლენა; იგი მოიცავს კვალისაინს, რადგან ყოველივე არსებულს გააჩნია გარკვეული თვისებები;
- ზოგადი ნიშანი, ლეგისაინი (Legisign) – ნიშანი, რომელიც დგინდება კონვენციის შედეგად. ეს არის „არა ცალკეული ობიექტი, არამედ ზოგადი ტიპი“ (Пирс 2000:185).

ნიშანთა ეს სახეობები მჭიდროდაა დაკავშირებული ერთიმეორესთან. ასე, კვალისაინი მხოლოდ მაშინ იქცევა ნიშნად, როდესაც იგი განხორციელებულია სინსაინში; ლეგისაინს ასევე ესაჭიროება ერთეულ ნიშანში რეალიზაცია. მაგალითად, სიტყვა, როგორც ენობრივი სისტემის ერთეული, მიეკუთვნება ზოგად ნიშანთა რიცხვს (პერსი მათ უწოდებს “Type”), ხოლო ამ სიტყვის ყოველი ცალკეული ხმარება იქნება მისი რეპლიკა (ანუ სინსაინი – “Token”).

ნიშანთა მეორე ტრიქოტომია გამოყოფილია მათი ობიექტებთან მიმართების საფუძველზე. ამ ჯგუფში შედიან:

- ხატი (Icon) – „ნიშანი, რომელიც მიუთითებს ობიექტზე, რომელსაც აღნიშნავს, უბრალოდ თავისი თვისებების გამო“, იგი „ჰგავს აღსანიშნ საგანს და გამოიყენება როგორც მისი ნიშანი“ (Пирс 2000:185-186);
- ინდექსი (Index) – „ნიშანი, რომელიც აღნიშნავს ობიექტს, ვინაიდან განიცდის ამ ობიექტის ზემოქმედებას“ (იქვე, 186);
- სიმბოლო (Symbol) – „ნიშანი, რომელიც მიანიშნებს მისით აღნიშნულ ობიექტზე კანონის ძალით“ (იქვე), კონვენციის შედეგად.

ნიშანთა მესამე ტრიქოტომია აერთიანებს ნიშნებს ინტერპრეტანტის მიმართ მათი ზემოქმედების საფუძველზე. ეს ნიშნებია:

- რემა (Rheme) – „ნიშანი, რომელიც თავისი ინტერპრეტანტისთვის წარმოადგენს თვისებრივი შესაძლებლობის ნიშანს“ (Пирс 2000:187). ეს არის ნებისმიერი ნიშანი, რომელსაც არ მიესადაგება ჭეშმარიტება-მცდარობის მიმართება. ასეთებია, მაგალითად, იზოლირებული ტერმინები ან პრედიკატები სუბიექტის გარეშე;
- დიცისაინი (Dicisign, მსჯელობა) – „ნიშანი, რომელიც თავისი ინტერპრეტანტისთვის წარმოადგენს რეალურად არსებობის ნიშანს“ (იქვე). ეს არის პროპოზიცია, რომელიც წარმოაჩენს ობიექტს, მაგრამ არაფერს გვეუბნება ინტერპრეტანტის შესახებ. მსჯელობა შეიძლება იყოს ჭეშმარიტი ან მცდარი, მაგრამ ამის დამტკიცება შეუძლებელია;
- დასკვნა (Argument) – „ნიშანი, რომელიც თავისი ინტერპრეტანტისთვის არის კანონის ნიშანი“ (იქვე). არგუმენტი რთული ნიშანია, რომელიც შედგება რემებისა და მსჯელობებისგან; მასში გამოთქმული აზრი ემყარება მიზეზშედეგობრივ კავშირებს, ამიტომ დასკვნაში გამოთქმული მოსაზრება ყოველთვის ცალსახადაა განსაზღვრული.

ამრიგად, გამოიყოფილია ნიშანთა 9 ქვეკლასი. მათი კომბინაციები კი ქმნიან ნიშანთა 10 ძირითად კლასს (ათს და არა 27-ს, რადგან ზოგიერთი კომბინაცია შეუძლებელია). იმ ნიშნებს, რომლებიც სრული ტრიადისგან შედგებიან, პერსმა ნამდვილი ნიშნები უწოდა, ხოლო იმ ნიშნებს, რომლებიც დიადურ ან მონადურ მიმართებებზეა დაფუძნებული, – გადაგვარებული (Genuine and Degenerate Signs). ნამდვილ ნიშნებში ყველაზე სრულყოფილია ნიშანი, რომელიც არის ზოგადი ნიშანი – ლევისაინი (რეპრეზენტამენტის დონეზე), სიმბოლო (ობიექტთან მიმართებაში) და დასკვნა (ინტერპრეტანტთან მიმართებაში). მისი სრული საპირისპიროა იკონიკური რემატული კვალისაინი, რომელიც მხოლოდ ნიშნის შესაძლებლობას წარმოადგენს.

ამრიგად, ნიშანთა სამი ტრიქოტომია იძლევა ნიშნების 10 კლასს:

I – კვალისაინი (რემატული იკონიკური თვისებრივი ნიშანი; მაგალითად, „წითლის“ შეგრძნება) – ნებისმიერი თვისება, რადგან იგი ნიშანია. ვინაიდან

თვისება წარმოადგენს ობიექტის შემადგენელ ნაწილს, კვალისაინი ყოველ-თვის ხატია, ხოლო რადგან თვისება არის მარტივი ლოგიკური შესაძლებლობა, კვალისაინი არის რემა.

II – რემატული იკონიკური სინსაინი (მაგალითად, ინდივიდუალური დიაგრამა) – ეს შეიძლება იყოს „ნებისმიერი ობიექტი, იმ პირობით, თუ მისი რაიმე თვისება განსაზღვრავს ობიექტის იდეას“ (Пирс 2000(ა):63).

III – რემატული ინდექსალური სინსაინი (მაგ., სპონტანური ყვირილი) – იგი „მიმართავს ყურადღებას იმ ობიექტისადმი, რომლითაც იყო გამოწვეული“ (იქვე).

IV – ინდექსალური დიცენტური სინსაინი (მაგ., ფლუგერი) – „ნიშანი, რომელიც გვაწვდის ინფორმაციას თავისი ობიექტის შესახებ“ (Пирс 2000(ა):64). იგი განიცდის შემოქმედებას ობიექტის მხრიდან (ამიტომაცაა ინდექსი) და ვეაძინობს რეალური ფაქტების შესახებ.

V – რემატული იკონიკური ლეგისაინი (მაგ., დიაგრამა ზოგადად, ფაქტობრივი ინდივიდუალობისგან მოწყვეტით) – „ზოგადი წესი (კანონი) ან სახეობა“, რომლის კონკრეტული მაგალითების თვისებები „გონებაში მსგავსების იდეას იწვევენ“ (იქვე). ანუ ეს არის ზოგადი ლეგისაინი, რომლის ცალკეული რეპლიკები წარმოადგენენ იკონიკურ სინსაინებს.

VI – რემატული ინდექსალური ლეგისაინი (მაგ., ჩვენებითი ნაცვალსახელი) – „ნებისმიერი ზოგადი ტიპი ან კანონი, რომლის ყოველ კონკრეტულ მაგალითს უნდა გააჩნდეს თავისი ობიექტი, რომელიც შემოქმედებს ამ მაგალითზე ობიექტისადმი ყურადღების მიქცევის გზით“ (იქვე). ამგვარი ზოგადი ნიშნის რეპლიკა იქნება რემატული ინდექსალური სინსაინი.

VII – დიცენტური ინდექსალური ლეგისაინი (მაგ., ქუჩის გამყიდველის ყვირილი) – „ზოგადი ტიპი ან კანონი, რომლის ყოველ კონკრეტულ მაგალითს უნდა გააჩნდეს თავისი ობიექტი, რომელიც ისე იმოქმედებს ამ მაგალითზე, რომ შეგვატყობინოს კონკრეტული ინფორმაცია“ (იქვე). მისი ყოველი რეპლიკა წარმოადგენს დიცენტურ სინსაინს.

VIII – რემატული სიმბოლო (ლეგისაინი) (მაგ., საზოგადო სახელი) – „ნიშანი, რომელიც დაკავშირებულია თავის ობიექტთან ზოგადი იდეების ასოციაციების მეშვეობით ისე, რომ მისი რეპლიკა გონებაში იწვევს ხატებას, რომელიც, ამ გონების გარკვეული ჩვეულებისა და მიდრეკილებების გამო, ხელს უწყობს ზოგადი ცნების წარმოქმნას“ (Пирс 2000(ა):65). ანუ რემატული სიმბოლო წარმოადგენს ზოგად ტერმინს. მისი რეპლიკა არის რემატული ინდექსალური სინსაინი, რადგან ის ხატება, რომელიც წარმოიქმნება გონებაში მისი მეშვეობით, ეყრდნობა გონებაში უკვე არსებულ სიმბოლოს. ასე, სიტყვა „აქლემის“ რეპლიკა (რომელიც სწორედ არის რემატული ინდექსალური სინსაინი) იწვევს მოსაუბრეების ცნობიერებაში აქლემის იდეას, რო-

მელიც იქ უკვე არსებობს. ამ გზით ხდება ზოგადი იდეისა და კონკრეტული ობიექტის დაკავშირება.

IX – დიცენტური სიმბოლო (ლევისაინი), ანუ ჩვეულებრივი პროპოზიცია – „ნიშანი, რომელიც დაკავშირებულია თავის ობიექტთან ზოგადი იდეების ასოციაციის მეშვეობით“ (Пирс 2000(ა):66). მისი განსხვავება რემატული სიმბოლოსგან ისაა, რომ დიცენტური სიმბოლო იმყოფება თავისი ობიექტის რეალური ზემოქმედების ქვეშ, ამიტომ ის კანონი, რომელსაც იგი ქმნის გონებაში, ნამდვილად უკავშირდება ობიექტს.

X – დასკვნა (არგუმენტი, სიმბოლური ლევისაინი; მაგ., სილოგიზმი) – „ნიშანი, რომლის ინტერპრეტანტა წარმოადგენს მის ობიექტს მომავალი ნიშნის ხარისხში იმ კანონის ძალით, რომლის მიხედვითაც წანამძღვარიდან გადასვლა დასკვნებადღე ჭეშმარიტია“ (Пирс 2000(ა):67). ამ ნიშნის რეპლიკაა დიცენტური სინსაინი.

მიუხედავად იმისა, რომ პერსის ნიშნის თეორია დიდი ხნის განმავლობაში უცნობი რჩებოდა, XX საუკუნის მეორე ნახევრიდან მან ფართო აღიარება და გავრცელება პოვა, რასაც სემიოტიკაში „პერსისკენ შებრუნებას“ (Peircean Turn) უწოდებენ. დღესდღეობით იგი წარმოადგენს სემიოტიკური სისტემების კვლევის საფუძველს კულტურისა და ხელოვნების სხვადასხვა სფეროში: ლიტერატურული და არალიტერატურული ტექსტები, ფერწერა, მუსიკა, არქიტექტურა, კინო, ფოტოგრაფია და ა.შ.

პერსის პანსემიოტიკური შეხედულებები და ნიშნის ტრიალული თეორია საფუძველად დაედო სემიოტიკის ახალი მიმდინარეობის – ბიოსემიოტიკის – ჩამოყალიბებას. ბიოსემიოტიკური თეორიის მიხედვით, ცოცხალია ის სისტემა, რომელშიც მიმდინარეობს სემიოზისის, ანუ ნიშანთა წარმოქმნისა და მათი ინტერპრეტაციის პროცესები. სემიოტიკური კომუნიკაცია დამახასიათებელია ცოცხალი მატერიის ყველა დონისთვის – უჯრედებიდან დაწყებული და პოპულაციებით დამთავრებული, და მისი ყოველი ერთეული იკავებს გარკვეულ სემიოტიკურ ნიშას სემიოსფეროში (ისევე როგორც ეკოლოგიურ ნიშას – ეკოსისტემაში). ამასთან, განვითარების რაც უფრო მაღალ დონეზე იმყოფება ორგანიზმი, მით უფრო რთული და სრულყოფილია მის მიერ წარმოქმნილი საკომუნიკაციო სისტემა, ამიტომ, ბიოსემიოტიკის თვალსაზრისით, სწორედ სულ უფრო დახვეწილი სემიოზისია ევოლუციის მთავარი მამოძრავებელი ძალა.

ზედმეტია იმაზე საუბარი, თუ რაოდენ დიდი გავლენა იქონია მთელს თანამედროვე ფილოსოფიაზე და მეცნიერებაზე პრაგმატიზმმა. კლასიკური პრაგმატიზმი და მისი გვიანდელი ნაირსახეობა, ნეოპრაგმატიზმი, აერთიანებს ფილოსოფიური სკოლებისა და მოაზროვნეების ფართო სპექტრს, რომელთა შორის არიან უ. ჯემსი, ჯ. დიუი, ჯ. სანტაიანა, რ. რორტი, უ. ქუაინი, კ. პატნემი, ჩ. მორისი, ფ. შილერი, კ. ლუისი, ჯ. მარგოლისი, ს. ჰაკი და სხვები.

სულ უფრო იზრდება ინტერესი პერსის შრომებისადმი, განსაკუთრებით კი აბლუქციური მეთოდისადმი, ტექნოლოგიური, სამედიცინო, სამხედრო, სოციოლოგიური და სხვა გამოყენებითი სფეროების წარმომადგენლების მხრიდან. აბლუქციის მეთოდი (როგორც ცალკე, ასევე სხვა შემეცნებით პროცედურებთან – ინდუქციასთან, ანალოგიასთან და დელუქციასთან – ერთად) პრაქტიკულად გამოიყენება სისტემებში შეცდომების ავტომატური დიაგნოსტიკის, ავტომატური დაგეგმარების, ჰიპოთეზების ავტომატური გენერირების, მონაცემთა ანალიზის, სამედიცინო დიაგნოსტიკის და სხვა მიზნებისთვის.

დღესდღეობით ფუნქციონირებს პერსის ფილოსოფიური და სამეცნიერო მემკვიდრეობის შემსწავლელი მრავალი ჯგუფი, საზოგადოება და ინსტიტუტი, თუმცა ბევრი მისი ნაშრომი ჯერ კიდევ ელოდება სათანადო შესწავლასა და გამოცემას. ამიტომ მოსალოდნელია, რომ პერსის ნააზრევი კიდევ არაერთი მეცნიერული აღმოჩენის საფუძველი გახდეს.

ლიტერატურა

Peirce 1933: C.S. Peirce, *Collected Papers of Charles Sanders Peirce*, vol. IV, *The Simplest Mathematics*, Harvard University Press.

Peirce 1934: C.S. Peirce, *Collected Papers of Charles Sanders Peirce*, vol. V, *Pragmatism and Pragmaticism*, Harvard University Press.

Peirce 1978: http://en.wikisource.org/wiki/Popular_Science_Monthly/Volume_12/March_1878/Illustrations_of_the_Logic_of_Science_III

И. Кант, *Сочинения в 6-ти томах*, т. 3, Мысль, Москва 1964.

В. Нет, *Чарльз Сандерс Пирс*, "Критика и семиотика", вып. 3/4, 2001.

Пирс 2000: Ч.С. Пирс, *Избранные философские произведения*, Логос, Москва.

Пирс 2000(ა): Ч. Пирс, *Начала прагматизма*, СПб, Алетейя.

Д. Реале, Д. Антисери, *Западная философия от истоков до наших дней*, т.4, *От романтизма до наших дней*, ТОО ТК "Петрополис", 1997.

Хакинг 1998: Я. Хакинг, *Представление и вмешательство. Введение в философию естественных наук*, Логос, Москва.

<http://plato.stanford.edu/entries/peirce/>

<http://plato.stanford.edu/entries/abduction/index.html>

http://en.wikipedia.org/wiki/Charles_Sanders_Peirce

<http://en.wikipedia.org/wiki/Pragmatism>

ინტერნეტსაიტები

<http://www.cspeirce.com/>

<http://www.peirce-foundation.org/>

<http://www.peircesociety.org/>

<http://www.iupui.edu/~peirce/>

<http://www.pragmatism.net/>

<http://www.peirce.org/>

Ketevan Dzidziguri

The Semiotic Theory of Charles Peirce

Summary

It is generally recognized that Charles Peirce was one of the most original and distinctive thinkers of his time. He was the founder of pragmatism and semiotics, creator of the new scientific methodology, author of many works and inventions in the fields of mathematics, logic, physics and chemistry, and even nowadays Peirce exerts a great influence upon philosophy and science generally. But, at the same time, his ideas were not appreciated at their true value by his contemporaries. Peirce was not able to publish most of his writings, to make an academic career, or gain authority or wealth. He died in 1914, racked by severe disease and poverty.

მარიკა ჯიქია

ფემინურ-მასკულინური კომპონენტების დისტრიბუცია თხზულ სახელებში

(ქართველურ ენათა მაგალითზე)

ქართული ენის სხვადასხვა ლექსიკონებიდან (ქეგელ 1950-1964; თოფურია, გივინეიშვილი 1998, ლლონტი 1974) ამოვკრებთ თხზული და წარმოქმნილი ანთროპომორფები, რომლებშიც ორივე სქესის არსებები სახელდება.

განსახილველ სიტყვათა ნუსხაში არ შევიტანეთ ერთი სქესის პირთა აღმნიშვნელი (ბებიაქალი, დაქალი, დედაქალი, ვაჟბატონი, ვაჟკაცი, მამა-ბიძა, მამა-პაპა, მამაკაცი, მამამთავარი, მეფე-ბატონი, მეფე-მთავარი, სიძე-სიმამრი, სიძე-ცოლისძმა, ქალ-რძალი, ყმა გლეხი, ყმაწვილკაცი, ძმაბიჭვი, ძმაკაცი, ძმა-მეგობარი) და სქესის მანიფესტაციის თვალსაზრისით ნეიტრალური კომპონენტის შემცველი სიტყვაფორმები (ბიძაშვილი, ბიძა-ძმისწული, დედა-შვილი, დედაწული, დედაშვილი, დიაც-ყმაწვილი, დისშვილი, დისწული, მამა-შვილი, მამიდაშვილი, ცოლ-შვილი, ძმისწული, მეფისწული, უფლისწული, ძმისშვილი, ხუცეს-დიაკონი და სხვ.).

ფემინური კომპონენტი პირველ ადგილას არის შემდეგ სახელებში:

ბებია-ბაბუა;

გოგო-ბიჭები;

და-ძმა (და-ძმანი, და-ძმები, დაძმობა, დაძმური);

დედაბერი, დედაბრული;

დედათდიაკონი (ძველ ქართულში: ეკლესიის ქალი მსახური)(ყაუხჩიშვილი 1952:63);

დედაკაცი (დედაკაცობა, დედაკაცუნა, დედაკაცური);

დედა-მამინაცვალი;

დედამთილ-მამამთილი;

დედისძმანი (ახლო ნათესავები დედის მხრივ);

დედიძმა;

დედ-მამა (დედმამიანი);

დედმამაშვილობა (დედ-მამა და შვილები);

დედმამიშვილი (დედმამიშვილობა);

დედმამაცხონებული;

დედობილ-მამობილი;

დედოფალი (დედოფლობა, სადედოფლო);
დობილ-ძმობილი;
სიდედერ-სიმაძრი;
ქალაბიჭა (ქალაბიჭობა, ქალაბიჭური, ქალბიჭა);
ქალბატონი (ქალბატონობა, ქალბატონური, საქალბატონე);
ქალ-ვაჟი, ქალვაჟიანი;
ქალიან-კაციანად;
ქალ-სიძე;
ქალღვთაება, ქალღმერთი;
ქალ-ყრმა;
ცოლ-ქმარი, ცოლიან-ქმრიანად, ცოლქმრული;
ცოლისძმა.

მასკულინური კომპონენტი რამდენიმეშია პირველ ადგილას:
ბიძა-ბიცოლა;
კაციან-ქალიანად;
მამა-დედა (ძველ ქართულში)(ლუკ. 8. 56; 2კორ. 12. 14);
მეფე-დედოფალი, ნეფე-დედოფალი;
მეფე-პატარძალი, ნეფე-პატარძალი;
პაპა-ბაბო(ფ) (კახურ დიალექტში);
სიძე-პატარძალი;
სიძე-ქალიშვილი.

ამ ორმოცდაათამდე ერთეულის შემცველი სიმრავლიდან გასაანალიზებლად დავტოვეთ ორცნებიანი, დეფისით შეერთებული თხზული სახელები. დერივატების გარეშე დარჩა 14 ერთეული პირველი ფემინური კომპონენტით:
ბებია-ბაბუა;
გოგო-ბიჭები
და-ძმა
დედ-მამა;
დედამთილ-მამამთილი;
დედა-მამინაცვალი;
დედობილ-მამობილი;
დობილ-ძმობილი;
სიდედერ-სიმაძრი;
ქალ-ვაჟი;
ქალიან-კაციანად
ქალ-სიძე;
ქალ-ყრმა;
ცოლ-ქმარი.

ხოლო ცხრა – პირველი მასკულინური წევრით:

ბიძა-ბიცოლა;

კაც-დედაკაცი (ერთგზის შეგვხვდა – ბაჩანასთან);

კაციან-ქალიანად;

მამა-დედა (ძველ ქართულში);

მეფე-დედოფალი;

მეფე-პატარძალი;

პაპა-ბაბო(ღ); სიძე-პატარძალი;

სიძე-ქალიშვილი.

ქართულში ფემინურ-მასკულინური ანთროპომორფები – ბაბო, ბაბუა, ბებია, ბიძა, ბიჭი, ბიცოლა, გოგო, და, დედა, დედაკაცი, დედამთილი, დედობილი, დედოფალი, დეიდა, დიაცი, ვაჟი, მამა, მამიდა, მამობილი, მეფე, მოყმე, პაპა, პატარძალი, სიდედრი, სიძამრი, ქალი, ქმარი, ყმა, ძმა, მაზლი, მული, სიძე, ცოლი, ცოლისძმა, ძე – თანხმონით იწყება.

ერთადერთი სახელი იწყება ხმონით – ასული.

თხზული სიტყვების შემადგენელ ნაწილთა ანლაუტზე დაკვირვებისას შესაძლებლად მიგვაჩნდა, რომ კომპონენტთა პოზიცია – პირველ-მეორე ადგილი – ფონოტაქტიკის წესებით იქნებოდა შეპირობებული. კერძოდ კი: კომპონენტთა ანლაუტისეული თანხმონები შევისწავლეთ რავგარობისა და წარმოთქმის ადგილის მიხედვით, რათა აგვეხსნა კომპოზიტში წევრთა განლაგება. იმ სიტყვებში, რომლებშიც პირველ კომპონენტად მდებრობითი სქესის წარმომადგენელი სახელდება, 13 სიტყვა ხშულით იწყება:

ბებია-ბაბუა	ბ – ბ
გოგო-ბიჭები	გ –
დედ-მამა	დ – მ
დედამთილ-მამამთილი	„ – „
დედა-მამინაცვალი	„ – „
დედობილ-მამობილი	„ – „
ქალიან-კაციანად	ქ – კ.

პირველი კომპონენტი ხშულით იწყება, ხოლო მეორე კომპონენტის ანლაუტში აფრიკატია:

და-ძმა	ღ – ძ
ღობილ-ძმობილი	„ – „

პირველი კომპონენტი ხშულით იწყება, ხოლო მეორე კომპონენტის ანლაუტში სპირანტოიდია:

დიაც-ყმაწვილი	ღ – ყ
ქალ-ყრმა	ქ – ყ.

მივმართეთ მორფოტაქტიკას – შევეცადეთ, თხზული სიტყვების შემადგენელ ნაწილთა დისტრიბუცია მორფოტაქტიკის წესებით აგვეხსნა.

ორი რამ გამოიკვეთა:

- I. პირველი წევრი ფუძის სახითაა (ერთი გამონაკლისია: *დედა* სიტყვას ბოლოკიდური ხმოვანი ეკვეცება კომპოზიტში *დედ-მამა*);
- II. გრძელი სიტყვა, ფემინურია იგი თუ მასკულინური, მეორე წევრად ფიგურირებს.

ამ რაკურსით მოკვლეულ მასალაში – ორცნებიანსა და დეფისით შეერთებულ თხზულ სიტყვათა სიმრავლეში – გრძელი პირველი წევრით ქართულ სასიტყვეთში მხოლოდ რამდენიმე მაგალითი დაიძებნა:

დამწვარ-დაგული,

თიბვა-მკა,

კედელ-ყურე,

მინდორ-ველი,

საბძელ-კალო,

ქალამან-წინდა

ქალაქ-ბაღი,

ცხვირ-პირი,

ცხვირ-ტუჩი,

ცხვირ-ხახა,

ჭამა-სმა („ვეფხისტყაოსანში“ სმა-ჭამა).

ვნახოთ, ამ თვალსაზრისით რა სიტუაციაა სხვა ქართველურ ენებში, რომელთა მონაცემებიც პირველ რიგშია გასათვალისწინებელი.

ქართული	სვანური	მეგრული	ლაზური
ბებია-ბაბუა	დადა ი ბაბა	ბები ღო ბაბუ	ნანდიდი ღო პაპული პაპული ღო ნანდიდი
გოგო-ბიჭები	ღრქალ – ჭყენტარ	ძღაბ ღო ბოშეფე	ბოზო-ბიჭი
და-მმა	ჯგმილ-ღაჩვირ	და ღო ჯიმა	და ღო ჯუმა
დედა-მამინაცვალი	დი ი მუუთურა	დიდა ღო მუმაქონერი	ნანა-ბაბაშანთიში
დედამთილ-მამამთილი	დიმთილ-მიმთილ	დიანთირ-მუანთირი	მთირი-ღამთერე დიმთერე-მთირი
დედ-მამა	დი ი მუ	დიდა ღო მუმა	ნანა-ბაბა ნანა ღო ბაბა
დედობილ-მამობილი	დიდღენე-მუდღენე	–	–
დიაც-ყმაწვილი	–	–	–
ღობილ-მშობილი	ღაჩვირღღენე-ჯგმილღღენე	–	ღამოგაფერი-ჯუმამოგაფერი
პაპა-ბაბო	–	–	–
სიდედრ-სიმამრი	დიმთილ-მიმთილ	დიანთირ-მუანთირი	მთირი-ღამთერე მთირი ღო ღამთერე
ქალ-ვაჟი	ჭყინტ ი ღრნა	ძღაბ ღო ბოში	კულანი ღო ბიჭი ბოზო-ბიჭი

ენაში დეფისით შეერთებული ორცნებიანი კომპოზიტები ჯერაც არ ჩამოყალიბებულა და იქნებ არც ჩამოყალიბდეს.

კომპოზიტის წევრთა დისტრიბუციას მორფოტაქტიკური ახსნა დაეძებნა: გრძელი კომპონენტი, იქნება ის მდებარეობითი თუ მამრობითი სქესის არსების აღმნიშვნელი, მეორე ადგილას ჩნდება.

საინტერესოდ გვესახება ამ რაკურსში სხვა ენათა მონაცემების შესწავლა.

ლიტერატურა

ქველ 1950 – 1964: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი.

ყაუხჩიშვილი 1952: თ. ყაუხჩიშვილი, კომპოზიტები ძველ ქართულში, თსუ შრომები, ტ.47.

ღლონტი 1974: ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი.

თოფურია, გიგინეიშვილი 1998: ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი.

Marika Jikia

Distribution of Feminine-Masculine Components in Compound Words: the Kartvelian Languages

Summary

In composed names Georgian-language society on the first place mostly names a female: bebia-babua – grandmother (and) grandfather; gogo-bič’ebi – girl(s) (and) boys; da-*z*ma – sister (and) brother; deda-maminacvali – mother (and) stepfather; dedamtil-mamamtili – mother-in-law (and) father-in-law (husband’s parents); ded-mama – mother (and) father; dedobil-mamobili – foster-mother (and) foster-father; dobil-*z*mobili – sworn sister (and) sworn brother; sidedr-simamri – mother-in-law (and) father-in-law (wife’s parents); kal-važi – daughter (and) son; kalian-k’acianad – (all) women (and) men; kal-si*z*e – daughter (and) son-in-law; kal-q’rma – woman (and) boy; col-kmari – wife (and) husband.

In some cases a word denoting a male occupies the first place: bi*z*a-bicola – uncle (and) aunt; k’ac- dedak’aci – man (and) a strong, responsible woman; mepe-dedopali – king (and) queen; mefe-p’at’ar*z*ali – groom (and) bride; p’ap’a-babo – grandfather (and) grandmother; si*z*e-p’at’ar*z*ali – fiancé (and) fiancée;

The observation on initial sounds of compound words with phonotactic rules did not give the expected results, and it became clear that it is impossible to find an explanation to the sequence of components.

The order of feminine-masculine components in compound words is conditioned by morphotactic rules – long words are the second members of compound words.

It seems interesting to us to study and compare the data of other languages from this point of view and then expand the research in the typological perspective.

თარგმანი

რომან იაკობსონი

თარგმანის ლინგვისტური ასპექტების შესახებ*

ბერტრან რასელი ამბობდა: „შეუძლებელია გაიგო, რას ნიშნავს სიტყვა ‘cheese’ (ყველი), თუ ყველთან არ გაქვს არალინგვისტური შეხვედრა“.¹ მაგრამ თუ იმავე რასელის ფუნდამენტურ დებულებას ვირწმუნებთ და „ძირითად ყურადღებას ტრადიციული ფილოსოფიური პრობლემების ლინგვისტურ ასპექტებს მივაპყრობთ“, უნდა ვაღიაროთ, რომ სიტყვის “cheese” მნიშვნელობის გაგება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ გვეცოდინება ლინგვისტური მნიშვნელობა, რომელიც ამ სიტყვას ინგლისური ენის ლექსიკურ კოლში მიეწერება. იმ კულინარიული კულტურის წარმომადგენელი, რომელშიც ყველი საერთოდ არ არის, ინგლისურ სიტყვას “cheese” მაშინ გაიგებს, თუ ეცოდინება, რომ მის ენაში „ყველი“ ნიშნავს „კვების პროდუქტს, რომელიც დაპრესილი აჭრილი რძისგან მზადდება“, და ამასთანავე, ექნება „აჭრილი რძის“ ლინგვისტური ცოდნა მაინც. ჩვენ არასოდეს ვაგვისინჯავს ამბროზია ან ნექტარი და ვგაქვს მხოლოდ ლინგვისტური ცოდნა სიტყვებისა „ამბროზია“, „ნექტარი“, და „ღმერთი“, რომელიც ამ პროდუქტების მითიურ მომხმარებელს აღნიშნავს. მიუხედავად ამისა, ეს სიტყვები გვესმის და ვიცით, თუ რა კონტექსტში უნდა ვიხმაროთ ისინი.

სიტყვების – „ყველი“, „ვაშლი“, „ნექტარი“, „ნაცნობობა“, „მაგრამ“, „უბრალოდ“ და ნებისმიერი სიტყვისა თუ ფრაზის მნიშვნელობა უდავოდ ლინგვისტურია, ან უფრო ზუსტად და განზოგადებულად რომ ვთქვათ, სემიოტიკური ფაქტია. ყველაზე მარტივი და სწორი არგუმენტი მათ წინააღმდეგ, ვინც მნიშვნელობას (*signatum*) მიაწერს არა ნიშანს, არამედ თვითონ საგანს, გახლავთ ის, რომ არავის არასდროს გაუსინჯავს „ყველის“ და „ვაშლის“ მნიშვნელობის გემო და სუნი. არ არსებობს *signatum signum*-ის გარეშე ვერბალური კოდის გარეშე „ყველის“ მნიშვნელობას ვერ მივიღებთ შედერის ან კამამბერის არალინგვისტური ნაცნობობიდან. უცნობი სიტყვის შემოტანისთვის საჭიროა ლინგვისტური ნიშნების მთელი წყება. საგანზე მხოლოდ მითითებით ვერ განვსაზღვრავთ, რისი სახელია „ყველი“: ამ მოცემული საგნის, თუ კამამბერის ნებისმიერი ყუთის, ზოგადად კამამბერის, თუ ყველის ნებისმი-

* Roman Jakobson, “On Linguistic Aspects of Translation”, *On Translation*. Reuben Brower (ed.), New York: Oxford University Press, 1966. pp. 232-239.

ერი სახეობის, თუ რაიმე რძის პროდუქტის, რაიმე საკვების, თუ რაიმე ყუთისა, მიუხედავად იმისა, რა დევს მასში. დაბოლოს, ეს სიტყვა უბრალოდ საგანს ასახელებს, თუ ისეთ მნიშვნელობას გულისხმობს, როგორცაა შეთავაზება, გაყიდვა, აკრძალვა ან დაწყევლა? მითითება შეიძლება წყველასაც ნიშნავდეს; ზოგიერთ კულტურაში, კერძოდ, აფრიკაში, ეს შესტი მუქარას განასახიერებს.

ჩვენთვის, როგორც ლინგვისტებისთვის და ასევე როგორც ენის რიგითი გამომყენებლებისათვის, ნებისმიერი ლინგვისტური ნიშნის მნიშვნელობა არის მისი თარგმანი სხვა, ალტერნატიულ ნიშანზე, განსაკუთრებით ნიშანზე, „რომელშიც ის უფრო სრულად არის გაშლილი“, ² როგორც დაბეჯითებით ამტკიცებდა პერსი, ნიშანთა არსის ყველაზე ღრმა მკვლევარი. თუ უფრო მაღალი ექსპლიციტურობა გვჭირდება, სახელი “bachelor” (უცოლო) შეიძლება გარდავქმნათ უფრო ექსპლიციტურ განსაზღვრებად – “unmarried man” (დაუქორწინებელი მამაკაცი). ვერბალური ნიშნის თარგმნის სამ გზას განვასხვავებთ: ნიშანი შეიძლება ითარგმნოს იმავე ენის სხვა ნიშნებზე, სხვა ენის ნიშნებზე ან სიმბოლოთა არავერბალურ სისტემაზე. ამ სამი ტიპის თარგმანს შემდეგი სახელწოდებები უნდა მივცეთ:

- 1) შიდაენობრივი თარგმანი (ინტრალინგვალური), ანუ *სახელის შეცვლა* არის ვერბალურ ნიშანთა ინტერპრეტაცია იმავე ენის სხვა ნიშნების მეშვეობით.
- 2) ენათშორისი თარგმანი (ინტერლინგვალური), ანუ *საკუთრივ თარგმანი* არის ვერბალურ ნიშანთა ინტერპრეტაცია სხვა ენის მეშვეობით.
- 3) სემიოტიკათშორისი თარგმანი (ინტერსემიოტიკური), ანუ *ტრანსმუტაცია* არის ვერბალურ ნიშანთა ინტერპრეტაცია არავერბალურ ნიშანთა სისტემებით.

სიტყვის შიდაენობრივი თარგმანის დროს გამოიყენება სხვა, მეტ-ნაკლებად სინონიმური სიტყვა ან პერიფრაზი. მაგრამ სინონიმია, როგორც წესი, სრულ ეკვივალენტობას არ ნიშნავს, მაგალითად: „ყველა ცელიბატი არის უცოლო, მაგრამ ყველა უცოლო ცელიბატი არ არის“. სიტყვა ან იდიომატური გამოთქმა, ანუ უფრო მაღალი დონის კოდის ერთეული, სრულყოფილად მხოლოდ კოდის ერთეულთა ეკვივალენტური კომბინაციის მეშვეობით შეიძლება ითარგმნოს, ესე იგი, შეტყობინებით, რომელიც ამ ერთეულს მიეწერება: „ყველა უცოლო დაუქორწინებელი მამაკაცი და ყველა დაუქორწინებელი მამაკაცი უცოლო“, ან „ყველა ცელიბატი დაუქორწინებლობის აღთქმას დებს და ყველა, ვინც დაუქორწინებლობის აღთქმას დებს, ცელიბატი“.

ასევე, ენათშორისი თარგმანის დონეზე, ჩვეულებრივ, არ არის სრული ეკვივალენტობა კოდის ერთეულებს შორის, და შეტყობინებები შესაძლებელია უცხო კოდის ერთეულების ან შეტყობინებების ადეკვატურ ინტერპრეტაციებს

წარმოადგენდეს. ინგლისური სიტყვა “cheese” არ შეიძლება გაიგებულ იქნეს მის სტანდარტულ რუსულ ჰეტერონიმთან “сыр”, რადგან cottage cheese (ხაჭო) არის cheese, მაგრამ არა сыр. რუსულად ვიტყვი: принеси сыру и творогу, “bring cheese and cottage cheese” (მოიტანე ყველი და ხაჭო). რუსულ სალიტერატურო ენაში პროლექტს, რომელიც დაპრესილი აჭრილი რძისგან კეთდება, მხოლოდ მაშინ ჰქვია сыр, თუ მომზადების დროს სპეციალურ ფერმენტს ვიყენებთ.

თუმცა, ერთი ენიდან მეორე ენაზე თარგმნის დროს, უფრო ხშირად ერთი ენის შეტყობინებები იცვლება არა მეორე ენის კოდის ცალკეული ერთეულებით, არამედ მთლიანი შეტყობინებებით. ამგვარი თარგმანი აღწერით ნათქვამს წარმოადგენს; მთარგმნელი ახდენს ხელახალ კოდირებას და გადაცემას შეტყობინებისა, რომელიც სხვა წყაროდან მიიღო. ასე რომ, თარგმანში მონაწილეობს ორი ეკვივალენტური შეტყობინება ორი სხვადასხვა კოდის სახით.

ეკვივალენტობა განსხვავებაში ენის უმთავრესი პრობლემა და ლინგვისტიკის ძირითადი საკითხია. ვერბალური შეტყობინების ნებისმიერი მიმღების მსგავსად, ლინგვისტი შეტყობინებათა ინტერპრეტატორად გვევლინება. ენის შესახებ მეცნიერების მეშვეობით ლინგვისტური ნიმუშის ინტერპრეტაცია შეუძლებელია მისი ნიშნების იმავე სისტემის სხვა ნიშნებზე ან სხვა სისტემის ნიშნებზე თარგმნის გარეშე. ორი ენის ნებისმიერი შედარება მათი ორმხრივი თარგმნადობის შესწავლას გულისხმობს; ენათშორისი კომუნიკაციის კარგად გავრცელებული პრაქტიკა, კერძოდ კი, მთარგმნელობითი საქმიანობა, მუდმივად ლინგვისტური მეცნიერების დაკვირვების საგანი უნდა იყოს. ძნელია გადაჭარბებული მნიშვნელობა მიანიჭო ორენოვანი ლექსიკონების აუცილებლობას და მათ თეორიულ და პრაქტიკულ მნიშვნელობას, რომლებიც ყველა შესაბამისი ერთეულის ზუსტ და შედარებით განმარტებას გვაძლევენ მათი მნიშვნელობის და გამოყენების არეალის თვალსაზრისით. ლექსიკონების მსგავსად, ორენოვანმა გრამატიკებმა უნდა განსაზღვრონ ის, თუ რა აერთიანებს და რა განასხვავებს ორ ენას გრამატიკული ცნებების არჩევისა და გამიჯვნისას.

უამრავი სირთულეა როგორც თარგმანის პრაქტიკაში, ისე თეორიაში. დროდადრო გადაულახავი პრობლემის დაძლევა უთარგმნელობის დოგმის გამოცხადებით ცდილობენ. „რიგითი ადამიანი – თვითნაბადი ლოგიკოსი“, ცოცხლად წარმოსახული ბ. ლ. უორფის მიერ, იმ დასკვნამდე უნდა მისულიყო, რომ „მოსაუბრეები ფაქტებს განსხვავებულად აღიქვამენ იმ ენობრივი ფონის შესაბამისად, რომელიც ფაქტების განსხვავებულ ფორმულირებას განსაზღვრავს“.³ რევოლუციის დასაწყისში რუსეთში ფანატიკოსი მეოცნებენი საბჭოთა პრესაში ტრადიციული ენის ძირეული გადასინჯვის ინიციატივით გამოდიოდნენ, კერძოდ, მხარს უჭერდნენ ისეთი არასწორი გამონათქვამების ამოღებას, როგორიცაა, „მზის ამოსვლა“ და „მზის ჩასვლა“. თუმცა, პტოლე-

მეოსის ამ წარმოდგენას დღესაც ვიყენებთ კოპერნიკის მოძღვრების უარყოფის გარეშე და მზის ამოსვლა-ჩასვლის შესახებ ჩვეულებრივი საუბარი მართივად შეგვიძლია ვაქციოთ დედამიწის ბრუნვის სურათად, უბრალოდ იმიტომ, რომ ნებისმიერი ნიშანი შეიძლება სხვა ნიშანზე ითარგმნოს, რომელშიც, ჩვენი აზრით, იგი უფრო სრულად არის გაშლილი და დაზუსტებული.

რომელიმე ენაზე საუბრის უნარი ამ ენის შესახებ საუბრის უნარსაც მოიცავს. ამგვარი „მეტალინგვისტური“ პროცესი შესაძლებლობას გვაძლევს, გადავხედოთ და ხელახლა განვსაზღვროთ ენაში გამოყენებული ლექსიკა. ორივე დონის, ობიექტი-ენისა და მეტაენის დამატებითობა პირველად ნილს ბორმა შენიშნა: ყველა კარგად განსაზღვრული ექსპერიმენტული ფაქტი უნდა გადმოიცეს ჩვეულებრივი ენის მეშვეობით, „რომელშიც თითოეული სიტყვის პრაქტიკული გამოყენება დამატებითობის მიმართებაში იმყოფება მისი მკაცრად განსაზღვრის მცდელობასთან“.⁴

მთელი კოგნიტური გამოცდილება და მისი კლასიფიკაცია ნებისმიერ ენაზე შეიძლება გადმოიცეს. სადაც ტერმინოლოგიის ნაკლებობაა, იქ შესაძლებელია მისი გამდიდრება და გაზრდა ნასესხები სიტყვების, კალკების, ნეოლოგიზმების ან სემანტიკური გადაწვეების, დაბოლოს, პერიფრაზების მეშვეობით. ამგვარად, ჩრდილო-აღმოსავლეთ ციმბირის ჩუქჩების ახლად შექმნილ სალიტერატურო ენაში „ხრახნი“ თარგმნილია როგორც „მოძრავი ლურსმანი“, „ფოლადი“ როგორც „მაგარი რკინა“, „კალა“ როგორც „რბილი რკინა“, „ცარცი“ როგორც „დასაწერი საპონი“, „სათი“ როგორც „მფეთქავი გული“. თვით გარეგნულად წინააღმდეგობრივი პერიფრაზები, როგორიცაა “electrical horse-car” – электрическая конка (ელექტროცხენის ტრამვაი) – უცხენო ტრამვაის პირველი რუსული სახელწოდება, ან “flying streamship” – *jena paragot* (მფრინავი გემი) – თვითმფრინავის კორიაკული სახელწოდება, უბრალოდ ცხენის ტრამვაის ელექტრულ ანალოგს და გემის მფრინავ ანალოგს აღნიშნავს. ისინი კომუნიკაციას არ აფერხებენ, ზუსტად ისევე, როგორც სემანტიკური „ხმაური“ და უხერხულობა არ წარმოიქმნება ორმაგი ოქსიმორონის დროს – “cold beef-and-pork hot dog” (ბუტერბროდი ძროხისა და ღორის ხორცის ცივი სოსისით; სიტყვასიტყვით: ძროხისა და ღორის ცივი ხორცის ცხელი ძაღლი).

დედანში ჩადებული მთელი კონცეპტუალური ინფორმაციის ზუსტი თარგმანის შესაძლებლობას არ აფერხებს გრამატიკული მექანიზმის ნაკლებობა იმ ენაში, რომელზეც სრულდება თარგმანი. ტრადიციულ კავშირებს „და“ და „ან“ დაემატა მაკავშირებელი სიტყვა – „და/ან“, რომელიც რამდენიმე წლის წინ განხილული იყო გონებაბაზვილურ წიგნში *Federal Prose – How to Write in and/or for Washington* („ფედერალური პროზა – როგორ დავწეროთ ვაშინგტონში და/ან მისთვის“).⁵ ამ სამი კავშირიდან ერთ-ერთ სამოედურ ენაში მხო-

ლოდ უკანასკნელი გვხდება.⁶ კავშირების ინვენტარში განსხვავებათა მიუხედავად, სამივე სახის შეტყობინება, რომელიც „ფედერალურ პროზაში“^{*} ფიქსირდება, შეიძლება გარკვევით ითარგმნოს როგორც ტრადიციულ ინგლისურზე, ისე სამოედურ ენაზე. ფედერალური პროზა: 1) John and Peter (ჯონი და პიტერი), 2) John or Peter (ჯონი ან პიტერი), 3) John and/or Peter will come (ჯონი და/ან პიტერი მოვლენ/მოვა). ტრადიციული ინგლისური: 3) John and Peter or one of them will come (ჯონი და პიტერი, ან რომელიმე მათგანი მოვა). სამოედური: ჯონი და/ან პიტერი, ორივე მოვა, 2) ჯონი და/ან პიტერი, ერთ-ერთი მოვა.

თუ რომელიმე გრამატიკული კატეგორია არ არსებობს მოცემულ ენაში, მისი მნიშვნელობის გადმოცემა ამ ენაში ლექსიკური საშუალებებით ხდება. ორობითი ფორმები, როგორც ძველი რუსული брата, ითარგმნება რიცხვითი სახელის დახმარებით: „ორი ძმა“. უფრო რთულია შეინარჩუნო დედნის ერთგულება, როცა ენიდან, სადაც გარკვეული გრამატიკული კატეგორია არსებობს, ვთარგმნით იმ ენაზე, რომელშიც ეს გრამატიკული კატეგორია წარმოდგენილი არ არის. როცა ინგლისურ წინადადებას “She has brothers” (მას ჰყავს ძმები) იმ ენაზე ვთარგმნით, რომელიც ორობით და მრავლობით რიცხვს განარჩევს, იძულებული ვართ ან თვითონ გავაკეთოთ არჩევანი ორ მტკიცებას შორის “She has two brothers” (მას ორი ძმა ჰყავს) და “She has more than two brothers” (მას ორზე მეტი ძმა ჰყავს), ან გადაწყვეტილება მსმენელს მივანდოთ და ვთქვათ: “She has either two or more than two brothers” (მას ორი ან მეტი ძმა ჰყავს). ასევე, ინგლისურად იმ ენიდან თარგმნისას, რომელშიც გრამატიკული რიცხვი არ არსებობს, იძულებული ვართ ორ შესაძლებლობას შორის ერთი ავირჩიოთ – “brother” (ძმა) ან “brothers” (ძმები), ან ამ შეტყობინების მიმღებმა თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება: “She has either one or more than one brother” (მას ერთი ან ერთზე მეტი ძმა ჰყავს).

ბოასმა ზუსტად შენიშნა, რომ ენის გრამატიკული სტრუქტურა (მისი ლექსიკური ფონდის საპირისპიროდ) ყოველი გამოცდილების იმ ასპექტებს განსაზღვრავს, რომლებიც ამ ენაში აუცილებლად გამოიხატება: „ჩვენ ამ ასპექტებს შორის არჩევანი უნდა გავაკეთოთ და ავირჩიოთ მხოლოდ ერთ-ერთი“.⁷ იმისთვის, რათა ინგლისური წინადადება “I hired a worker” (მუშა დავიქირავე) რუსულ ენაზე ზუსტად ვთარგმნოთ, რუსულში დამატებითი ინფორმაცია დავგჭირდება – მოქმედება დასრულდა თუ არა, ან მუშა მამაკაცი იყო თუ ქალი, რადგან მთარგმნელმა არჩევანი უნდა გავაკეთოს სრული თუ უსრული ასპექტის ზმნებს შორის – нанял ან нанимал, ასევე, მამრობითი

* ფედერალური პროზა – ამერიკის შეერთებულ შტატებში ენა სახელმწიფო მოხელეთათვის.

და მდებარეობითი სქესის არსებით სახელებს შორის – работника ან работницу. თუ მას, ვინც ინგლისურ წინადადებას წარმოთქვამს, ვკითხავ, მუშა კაცი იყო თუ ქალი, ჩემი კითხვა, შესაძლებელია, უადგილოდ და მოურიდებლად მოეჩვენოს, მაშინ როცა წინადადების რუსულ ვერსიაში პასუხი ამ კითხვაზე აუცილებელია. მეორე მხრივ, რომელი რუსული გრამატიკული ფორმაც არ უნდა გამოვიყენოთ ზემოთ მოხმობილი ინგლისური შეტყობინების თარგმნისას, თარგმანში პასუხი ვერ გაეცემა კითხვას “hired” – მუშა დავიქირავე თუ “have hired” – დაქირავებული მყავს, ან “worker” (მუშა) განსაზღვრული იყო თუ განუსაზღვრელი (არტიკლებით “a” ან “the”). რადგან ინგლისური და რუსული გრამატიკული სტრუქტურები განსხვავებულ ინფორმაციას ითხოვენ, ჩვენ წინაშეა სრულიად განსხვავებული სიტუაციების ნაკრები, რომელიც არჩევანის საშუალებას იძლევა; ამიტომ, ერთი და იმავე იზოლირებული წინადადების თარგმანების ჯაჭვმა ინგლისური ენიდან რუსულ ენაზე და პირიქით, შეიძლება საბოლოოდ მიგვიყვანოს პირველადი მნიშვნელობის დაკარგვამდე. უნებურად ლინგვისტმა ს. კარცევსკიმ ამგვარი თანდათანობითი დანაკარგი ვალუტის არახელსაყრელ ცირკულარულ გადაცვლას შეადარა. თუმცა, ცხადია, რომ რაც უფრო მდიდარია შეტყობინების კონტექსტი, მით მცირეა ინფორმაციის დანაკარგი.

ენები უმთავრესად იმით განსხვავდებიან, თუ რას უნდა გადმოსცემდნენ და არა იმით, თუ რა შეუძლიათ გადმოსცენ. მოცემული ენის ნებისმიერი ზმნა აუცილებლად ბადებს უამრავ კითხვას, რომელიც დადებით ან უარყოფით პასუხს მოითხოვს, როგორცაა, მაგალითად: მოთხრობილი ამბავი იგულისხმება მის დასრულებასთან კავშირში თუ მის გარეშე? მოთხრობილი ამბავი საუბრის მომენტამდე მოხდა თუ არა? ბუნებრივია, ენის მატარებლებისა და მსმენელების ყურადღება გამუდმებით იმ დეტალებზე იქნება მიმართული, რომლებიც აუცილებელია მათ ვერბალურ კოდში.

ენის კოგნიტური ფუნქცია გრამატიკულ სტრუქტურაზე მცირედ არის დამოკიდებული, რადგან ჩვენი გამოცდილების განსაზღვრა მეტალინგვისტურ პროცესებთან დამატებითობის მიმართებაში იმყოფება – ენის კოგნიტიური დონე არა მხოლოდ უშვებს, არამედ პირდაპირ მოითხოვს ინტერპრეტაციის ახლიდან კოდირებას, ესე იგი, თარგმნას. ვარაუდი, რომ კოგნიტიური მონაცემების გამოხატვა და თარგმნა შეუძლებელია, აშკარად წინააღმდეგობრივია. მაგრამ ხუმრობებში, წარმოსახვებში, ზღაპრებში, რასაც ჩვენ ყოველდღიურ ვერბალურ მითოლოგიას ვუწოდებთ, უმთავრესად კი პოეზიაში, გრამატიკული კატეგორიები მაღალი სემანტიკური მნიშვნელობის მქონენი არიან. ამ პირობებში, თარგმნის პრობლემა კიდევ უფრო ჩახლართულად და საკამათოდ გვევლინება.

ისეთი გრამატიკული კატეგორიაც კი, როგორც სქესია, რომელსაც ხშირად მხოლოდ ფორმალურ კატეგორიად მიიჩნევენ, სამეტყველო კოლექტივის მითოლოგიურ წარმოდგენებში დიდ როლს ასრულებს. რუსულ ენაში გრამატიკული მდებრობითი სქესი არ შეიძლება აღნიშნავდეს მამაკაცს, არც მამრობითი სქესი მიგვითითებს ქალზე. უსულო სახელების გაპიროვნებისა და მეტაფორული ინტერპრეტაციის გზები მათი გრამატიკული სქესით განისაზღვრება. მოსკოვის ფსიქოლოგიის ინსტიტუტში ჩატარებულმა კვლევამ (1915) აჩვენა, რომ რუსული ენის მატარებლები კვირის დღეების პერსონიფიკაციის დროს, „ორშაბათს“, „სამშაბათს“ და „ხუთშაბათს“ კაცებად წარმოიდგენდნენ, ხოლო „ოთხშაბათს“, „პარასკევსა“ და „შაბათს“ კი ქალებად აღიქვამდნენ, იმის გაუცნობიერებლად, რომ ასეთი გადანაწილება განპირობებული იყო პირველი სამი სახელის გრამატიკული მამრობითი სქესით (понеделник, вторник, четверг), ხოლო დანარჩენების – მდებრობითი სქესით (среда, пятница, суббота). ის ფაქტი, რომ ზოგიერთ სლავურ ენაში „პარასკევი“ მამრობითი სქესისაა, ხოლო ზოგან მდებრობითი, ასახულია ამ ხალხების ფოლკლორულ ტრადიციებში, რაც „პარასკევის“ განსხვავებულ რიტუალებს უკავშირდება. გავრცელებული რუსული ცრურწმენა, რომ თითქოს დავარდნილი დანა მამაკაცი სტუმრის მოსვლას, ხოლო დავარდნილი ჩანგალი ქალი სტუმრის მოსვლას მოასწავებს, რუსულში განპირობებულია მამრობითი სქესის სახელით нож „დანა“ და მდებრობითი სქესის სახელით вилка „ჩანგალი“. სლავურ და სხვა ენებში, სადაც სიტყვა „დღე“ მამრობითი სქესის, ხოლო „ღამე“ მდებრობითი სქესისაა, პოეტები დღეს ღამის მიჯნურად წარმოსახავენ. რუს მხატვარს რეპინს უკვირდა, რატომ ხატავდნენ გერმანელი მხატვრები „ცოდვას“ ქალის სახით: იგი ვერ მიხვდა, რომ სიტყვა „ცოდვა“ გერმანულ ენაში მდებრობითი სქესისაა (*die Sünde*), როცა რუსულში – მამრობითია (*грех*). ასევე, რუსი ბავშვი, რომელიც გერმანულ ზღაპრებს თარგმანში კითხულობდა, გაოცდა, როცა „სიკვდილი“, რომელიც აშკარად ქალი იყო (რუსულად *смерть*, მდ. სქესი), მოხუც კაცად იყო წარმოდგენილი (გერმანულად *der Tod*, მ. სქესი). ბორის პასტერნაკის ლექსების კრებულის დასახელება „Сестра моя – жизнь“ („დაღ ჩემი – ცხოვრება“), სრულიად ბუნებრივია რუსული ენისათვის, სადაც „ცხოვრება“ მდებრობითი სქესის სახელია (*жизнь*). მაგრამ პასტერნაკის ლექსების თარგმნის დროს ამ სიტყვამ ჩიხში შეიყვანა ჩიხი პოეტი იოზეფ ჰორა, რადგან ჩიხურ ენაში ეს არსებითი სახელი – *život* მამრობითი სქესისაა.

რა იყო სლავური ლიტერატურის აღმოცენების პერიოდში უპირველესი პრობლემა? რაოდენ უცნაურად არ უნდა ჟღერდეს, თარგმანში გრამატიკული სქესის სიმბოლიზმის შენარჩუნების სირთულე და მისი აზრობრივი შეუსაბამობა ყველაზე ადრეული ორიგინალური სლავური ტექსტის ძირითადი თემაა.

ეს არის “სახარების“ პირველი თარგმანის წინასიტყვაობა, რომელიც IX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში სლავური დამწერლობის და ლიტურგიის ფუძემდებელმა – კონსტანტინე (კირილე) ფილოსოფოსმა შექმნა. წინასიტყვაობა ცოტა ხნის წინ აღადგინა და კომენტარები დაურთო ა. ვაიანმა.⁸ „ბერძნულის გადატანა სხვა ენაზე იდენტური საშუალებებით ყოველთვის შესაძლებელი არ არის“, – გვამცნობს სლავი განმანათლებელი. – „ბერძნულში მამრობითი სქესის არსებითი სახელები *παις* და „მდინარე“ და *ἄστυς* „ვარსკვლავი“, სხვა ენაში შეიძლება იყოს მდებარეობითი სქესის, ისე როგორც სლავურში *рѣка* და *звѣзда*.“ ამ განსხვავების გამო, ვაიანის კომენტარების მიხედვით, “მათეს სახარების“ სლავური თარგმანის ორ მუხლში (7:25 და 2:9) ქრება მდინარეების დემონებთან და ვარსკვლავების ანგელოზებთან სიმბოლური გაიგივება. მაგრამ ამ პოეტურ დაბრკოლებას წმინდა კონსტანტინე მტკიცედ უპირისპირებს დიონისე არეოპაგელის სწავლებას, რომელიც მიუთითებდა, რომ ჯეროვანი ყურადღება კოგნიტური ღირებულებებისათვის (*смыслъ разуму*) მიექციათ და არა თვით სიტყვებისათვის.

პოეზიაში ვერბალური გატოლებები ტექსტის აგების პრინციპად იქცევა. სინტაქსური და მორფოლოგიური კატეგორიები, ძირები, აფიქსები, ფონემები და მათი კომპონენტები (განმასხვავებელი ნიშნები), მოკლედ, ვერბალური კოდის ყოველი შემადგენელი ნაწილი ერთმანეთს უპირისპირდება, უპირისპირებულია, ერთმანეთთან მოსაზღვრე პოზიციას იკავებს მსგავსებისა და კონტრასტის პრინციპის საფუძველზე და თავის ავტონომიურ მნიშვნელობას ატარებს. ფონემური მსგავსება განიცდება როგორც სემანტიკური კავშირი. პოეტურ ხელოვნებაში ბატონობს კალამბური, ან უფრო მეცნიერული და, ალბათ, უფრო ზუსტი ტერმინით თუ გამოვხატავთ – პარონომაზია. და იმის მიუხედავად, მისი ბატონობა აბსოლუტურია თუ ლიმიტირებული, პოეზია არსობრივად (*by definition*) არათარგმნადია. შესაძლებელია მხოლოდ შემოქმედებითი ტრანსპოზიცია: შიდაენობრივი ტრანსპოზიცია – ერთი პოეტური ფორმიდან მეორე ფორმაში გადატანა, ან ენათმორისი ტრანსპოზიცია – ერთი ენიდან მეორეში გადატანა, ან სემიოტიკათმორისი ტრანსპოზიცია – ნიშანთა ერთი სისტემიდან მეორე სისტემაში გადატანა, მაგ., ვერბალური ხელოვნებიდან – მუსიკაში, ცეკვაში, კინოსა და მხატვრობაში.

თუ შევეცდებით ტრადიციული ფორმულა *Traduttore, traditore* ინგლისურად ვთარგმნოთ როგორც “the translator is a betrayer” (მთარგმნელი მოღალატეა), იტალიურ გართიმულ ეპიგრამას პარონომასტულ ღირებულებას წავართმევთ. ამიტომ, ამ ეპიგრამისადმი კოგნიტური დამოკიდებულების შემთხვევაში იძულებული ვიქნებით, აფორიზმი უფრო გაშლილი გამონათქვამით შევცვალოთ და ვუპასუხოთ შეკითხვებს: რომელ შეტყობინებათა მთარგმნელი? რომელ ღირებულებათა მოღალატე?

შენიშვნები

1. Bertrand Russell, "Logical Positivism," *Revue Internationale de Philosophie*, IV (1950), 18; cf. p. 3.
2. Cf. John Dewey, "Peirce's Theory of Linguistic Signs, Thought, and Meaning," *The Journal of Philosophy*, XLIII (1946), 91.
3. Benjamin Lee Whorf, *Language, Thought, and Reality* (Cambridge, Mass., 1956), p. 235.
4. Niels Bohr, "On the Notions of Causality and Complementarity," *Dialectica*, I (1948), 317f.
5. James R. Masterson and Wendell Brooks Phillips, *Federal Prose* (Chapel Hill, N. C., 1948), p. 40f.
6. Cf. Knut Bergsland, "Finsk-ugrisk og almen språkvitenskap," *Norsk Tidsskrift for Sproavidenskap*, XV (1949), 374f.
7. Franz Boas, "Language," *General Anthropology* (Boston, 1938), pp. 132f.
8. Andre Vaillant, "Le Préface de l'Évangélique vieux-slave," *Revue des Études Slaves*, XXIV (1948), 5f.

თარგმნა ეთერ ჭურაძემ

ინტერვიუ ფრანგ ენათმეცნიერ კლოდ აჟეჟთან ¹

„თავს მოახვიო შენი ენა, ნიშნავს,
თავს მოახვიო შენი მენტალიტეტი“

ენების უზომოდ მოყვარული, ცნობილი ენათმეცნიერის, კლოდ აჟეჟის, ზრუნვის საგანია მრავალფეროვნების დაცვა, რის გამოც იგი კატეგორიულად უპირისპირდება ინგლისური ენის გაბატონებას.

უნდა გვაღელვებდეს თუ არა ინგლისური ენის გაბატონება? გაუჩინარდება თუ არა ეროვნული ენები? კლოდ აჟეჟი ყოველგვარი შოკინიზმისა და ძველმოდურობის გარეშე ნათლად აღწერს არსებულ სიტუაციას.

ფრანგული ენის კვირეული ეს-ეს არის დამთავრდა. მაგრამ ამგვარი ღონისძიების ჩატარება არ აღმოჩნდა საკმარისი, რომ კლოდ აჟეჟის გული მოეღობო. ამ გამოჩენილი ენათმეცნიერის მიერ გამოტანილი განაჩენი უაპელაციოა: „არასოდეს კაცობრიობის ისტორიაში არ ყოფილა, რომ ერთი ენა ასეთი სიმძლავრით გავრცელებულიყო მთელს მსოფლიოში. ინგლისური ენის ბატონობა არ შეედრება არაფერს, რაც კი აქამდე ყოფილა“. მან კარგად იცის, რასაც ამბობს. რადგან ფრანგული ენის დაცვა, ზოგიერთების თვალსაზრისით, მოძველებული, მოდიდან გამოსული მოვლენაა, იმ ბუზღუნა მოხუცის ჭირვეულობაა, რომელიც ფეხს ვერ უწყობს თანამედროვეობას. კლოდ აჟეჟს ეს დიდად არ აღელვებს, რადგან, მისი აზრით, ინგლისური ენის დომინაცია სერი-

¹ დღეს ინგლისური სიტყვების, და არა მხოლოდ სიტყვების, მთლიანი კონსტრუქციებისა და ინტონაციისაც კი, ინვაზია ქართულ ენაში მრავალი ჩვენგანის ღელვის საგანია. არცთუ უსაფუძვლოდ. ამის დასტურად გამოდგება ფრანგი ენათმეცნიერის კლოდ აჟეჟის თვალსაზრისი. ისეთი ქვეყანაც კი, როგორცაა საფრანგეთი, რომლის მოსახლეობამ 60 მილიონს გადააჭარბა, რომელსაც გააჩნია უზარმაზარი ფრანკოფონიული სამყარო, სადაც ენის საკითხი და მასთან დაკავშირებული ყველა პრობლემა ოფიციალური სტრუქტურების კონტროლის ქვეშ რეგულირდება, ვერ ასცდა ინგლისური ენის დომინაციის შედეგებს. გთავაზობთ ინტერვიუს ფრანგ ენათმეცნიერთან კლოდ აჟეჟთან. ინტერვიუ გამოქვეყნდა ჟურნალ “Express”-ის ინტერნეტგვერდზე (L’Express .fr .28/03/2012 11:00 mis à jour 03/04/2012 10:26). ინტერვიუს უძღვება მიშელ ფელტენ-პალასი.

კლოდ აჟეჟი (Claude Hagège) – ენათმეცნიერი, Collège de France-ის პროფესორი, CNRS-ის ოქროს მედლის ლაურეატი, საპატიო ორდენის კავალერი, ავტორი წიგნებისა, რომელთაც დიდი წარმატება ხვდათ წილად:

- | | |
|-----------------------------|--|
| Le français et les siècles | Editions Odile Jacob 1987; |
| Le souffle de la langue | 1992; |
| L’enfant aux deux langues | Editions Odile Jacob 1996; |
| Halte à la mort des langues | Editions Odile Jacob 2001; |
| Combat pour le français | Editions Odile Jacob 2006 და მრავალი სხვა. |

ოზულ საფრთხეს წარმოადგენს კაცობრიობისათვის, მისი მემკვიდრეობისათვის. შედეგი შეიძლება ძალიან მძიმე აღმოჩნდეს: ერთი ენის არსებობა, რაც ამ დომინაციის პერსპექტივაა, უცილობლად გამოიწვევს ერთადერთი აზროვნების ყიდის ჩამოყალიბებას. ეს კი გამოწვეულია იმით, რომ მსოფლიო შეპყრობილია ფულის „კეთებით“ და ყველაფრისადმი „მომხმარებლურია“ მისი დამოკიდებულება. მოდით, დავმშვიდდეთ. მიუხედავად იმისა, რომ აჟეჟი მღელვარეა, ის არ ყრის ფარ-ხმალს. ამის საბუთია ეს ინტერვიუ.

– როგორ ფიქრობთ, რა არის აუცილებელი, რომ ადამიანმა თავი მიუძღვნას ენებს?

არ ვიცი. დავიბადე და გავიზარდე ქალაქ ტუნისში, მრავალენოვან ქალაქში. მაგრამ არ მგონია, რომ ეს საკმარისი იყოს ენების სიყვარულისათვის. ჩემი ძმები ხომ არ გაჰყვნენ ამ გზას!

– რომელი ენები შეისწავლეთ ბავშვობაში?

სახლში ფრანგულ ენაზე ვლაპარაკობდით. მაგრამ ჩემმა მშობლებმა მონდომეს, რომ არაბულ სკოლაში მესწავლა – ისინი ძალიან გახსნილი ადამიანები იყვნენ. არაბული ენა ხომ დაპყრობილი ხალხის ენად მიიჩნეოდა მაშინ. ამავე დროს ვისწავლე ებრაული, ორივე ებრაული, ბიბლიის და ისრაელის. ვიცოდი იტალიური ჩემი მუსიკის მასწავლებლების წყალობით.

– რამდენ ენაზე ლაპარაკობთ?

თუ ვიგულისხმებთ იმ იდიომებს, რომელთა ფუნქციონირების წესებსაც კარგად ვიცნობ, შემიძლია მეც, ისევე როგორც ყველა ჩემს ენათმეცნიერ კოლეგას, ჩამოვთვალო მრავალი ასეული ენა, თუ საქმე ეხება იმ ენებს, რომლებზედაც თავისუფლად ვლაპარაკობ, ჩემი პასუხია 10.

– ბევრი ფრანგი თვლის, რომ ფრანგული ენა ერთ-ერთი ურთულესი ენაა, და სწორედ ამიტომაც სხვა ენებზე „მეტ“ ეს ენა. ეს მართალია?

სრულიადაც არა. ჯერ ერთი, არ არსებობს „მნიშვნელოვანი“ და „ნაკლებ მნიშვნელოვანი“ ენა. ფრანგულმა ენამ უპირატესი პოზიცია დაიკავა ბრეტანულთან და გასკონურთან შედარებით არა იმიტომ, რომ ლინგვისტური უპირატესობებითაა აღჭურვილი, არამედ იმიტომ, რომ ის იყო ჯერ საფრანგეთის მეფეების ენა, შემდგომ კი რესპუბლიკის ენა. ყოველთვის ასეა. ენა ვრცელდება არა მისი ლექსიკური შემადგენლობის სიმდიდრის ან რთული გრამატიკული კონსტრუქციების გამო, არამედ იმიტომ, რომ სახელმწიფო, რომელიც ამ ენას იყენებს, მძლავრია სამხედრო თვალსაზრისით (ასე იყო, სხვათა შორის, კოლონიების არსებობის ჟამს), ეკონომიკური თვალსაზრისით (ეს არის „გლობალიზაცია“). გარდა ამისა, ფრანგული არ არის უფრო რთული, ვიდრე რუსული, არაბული, [...], ქართული ან ინგლისური ენები.

– ინგლისური ენა? მას ხომ მთელი მსოფლიო, თითქმის მთელი მსოფლიო იყენებს?

მართალია, მაგრამ ბევრნი ლაპარაკობენ აეროპორტების ინგლისურ ენაზე, რაც სრულიად სხვა რამაა! მაგრამ აუტოქტონების ინგლისური ენა რთული იდიომაა. მისი ორთოგრაფია განსაკუთრებით რთულია. წარმოიდგინეთ, რომ ხუთნაირად წარმოითქმის სხვადასხვა სიტყვაში ou-ს კომბინაცია through, rough, hough four, tour! უფრო მეტიც, ინგლისური ენა ფრიად არაზუსტი ენაა, რითაც სრულიად გაუძარტლებელია მისი პრეტენზია უნივერსალურობაზე.

– ინგლისური არაზუსტი ენაა?

რა თქმა უნდა. აი, მაგალითი საჰაერო უსაფრთხოების სფეროდან. 1972 წლის 29 დეკემბერს ფლორიდაში ჩამოვარდა თვითმფრინავი მხოლოდ და მხოლოდ ენის უზუსტობის გამო. ავიადისპეტჩერმა გასცა ბრძანება: “Turn left, right now”, ე.ი. „სასწრაფოდ მოუხვიეთ მარცხნივ“. მაგრამ პილოტმა გაიგო “right now” როგორც „ახლა მარჯვნივ“, რამაც გამოიწვია კატასტროფა. ან ვთქვათ, როგორი გაუგებრობა შეიძლება, გამოიწვიოს დიპლომატიაში ინგლისური ენის უზუსტობამ. ამის მაგალითია 1967 წლის გაეროს ცნობილი რეზოლუცია 242, რომლის რეკომენდაციაცაა “Withdrawal of Israel armed forces from territories occupied in the recent conflict”. არაბული ქვეყნები თვლიან, რომ ისრაელი უნდა გავიდეს ოკუპირებული ტერიტორიებიდან – იგულისხმება მთელი ტერიტორიიდან. მაშინ როცა ისრაელს მიაჩნია, რომ საკმარისია, გავიდეს ოკუპირებული ტერიტორიიდან, ე.ი. მხოლოდ ტერიტორიის ნაწილიდან.

– განა შეიძლება, ამის გამო ბრძოლა გამოუცხადოთ ინგლისურ ენას?

მე არ ვებრძვი ინგლისურ ენას, მე ვებრძვი მათ, ვინც აცხადებს, რომ ინგლისური ენა უნივერსალური, ანუ საყოველთაო ენაა. ამ გაბატონების სურვილმა, არ არის გამორიცხული, გამოიწვიოს სხვა ენების გაქრობა. ასევე ენერგიულად გავილაშქრებდი იაპონური, ჩინური ან სულაც ფრანგული ენის წინააღმდეგ, იგივე პრეტენზიები თუკი გაუჩნდებოდათ. დღეს ეს პრეტენზია ინგლისურ ენას გააჩნია. ის გაქრობით ემუქრება ყველა სხვა ენას, ვინაიდან ეს ენა მოიხმარება ისეთი პროპორციით, როგორც არასდროს არცერთი ენა არ ყოფილა გამოყენებული ხუთივე კონტინენტზე.

– რითია ეს ცუდი? კულტურათა გადაკვეთა ხომ ძალიან ბევრის მომტანია?

კულტურათა გადაკვეთა – ნამდვილად. პრობლემაც ისაა, რომ უძრავლესობა იმ ადამიანებისა, რომლებიც აცხადებენ, „საჭიროა უცხო ენების შესწავლა“, თვითონ მხოლოდ ერთ ენას, ინგლისურ ენას სწავლობენ. ეს უქმნის საფრთხეს მთელს კაცობრიობას.

– ფიქრობთ, ეს ამდენად სახიფათოა?

მხოლოდ ცუდად ინფორმირებული ადამიანები ფიქრობენ, რომ ენა მხოლოდ საკომუნიკაციო საშუალებაა. ენა ეს არის აზროვნების ყაიდა, სამყაროს აღქმის ფორმა, კულტურა. ჰინდიზე, მაგალითად, ერთი და იგივე სიტყვა გამოიყენება „გუშინ“ და „ხვალ“-ის აღსანიშნავად. ეს ჩვენ გვაკვირვებს, ხოლო ამ ხალხისათვის ერთმანეთს ემიჯნება ის, რაც არის დღეს და ის, რაც არ არის დღეს. „ხვალ“ და „გუშინ“, ამ კონცეფციის მიხედვით, ერთი და იმავე კატეგორიას მიეკუთვნება. ყოველი იდიომა, რომელიც კი ქრება, შეუფასებელი დანაკარგია, ისევე როგორც ისტორიული ძეგლი ან ხელოვნების ნიმუში.

– დღეს ევროკავშირში 27 ქვეყანა გაერთიანებული. განა პრაქტიკული არაა, რომ გვაქვს საშუალება, ინგლისურ ენაზე დავამყაროთ ურთიერთობანი? ჩვენ ხომ ძალიან ბევრ ფულს ვხარჯავთ თარგმანში!

ეს სულელური აზრია! ევროპის სიმდიდრე სწორედ მის მრავალფეროვნებაშია. როგორც ამბობს უმბერტო ეკო, „ევროპის ენა თარგმანია!“ ვინაიდან თარგმანი, რომელიც ჯდება უფრო ნაკლები, ვიდრე ეს გვეგონია, ხაზს უსვამს კულტურათა მრავალფეროვნებას, საშუალებას გვაძლევს, გავიგოთ სხვისი სიმდიდრე.

– მაგრამ საერთო ენა ხომ ძალიან პრაქტიკულია, როცა ვმოგზაურობთ. და ეს არ იწვევს სხვა ენებზე უარის თქმას?

თქვენ ცდებით. მთელი ისტორია ამის საწინააღმდეგოს ამტკიცებს: დაშვებული სახელმწიფოების ენებს ხშირად მივყავართ დაპყრობილი სახელმწიფოების ენების გაქრობამდე. ბერძნულმა გადაყლაპა ფრიგიული. ლათინურმა მოკლა იბერიული და გალიური. ამჟამად ყოველ წელს 25 ენა ქრება. გთხოვთ, სწორად გაიგოთ ჩემი ნათქვამი: მე არ ვიბრძვი ინგლისური ენის წინააღმდეგ, მე ვიბრძვი მრავალფეროვნების დასაცავად. ერთი სომხური ანდაზა მშვენივრად გამოხატავს ჩემს აზრს: „იმდენი ადამიანი ხარ, რამდენ ენაზეც ლაპარაკობ“.

– თქვენ ძალიან შორს მიდიხართ, როდესაც აცხადებთ, რომ ერთი ენა ალბათ მივეყვანს „აზოვნების ერთ ფორმამდე“.

ეს ფუნდამენტური საკითხია. საჭიროა, გავისივრებეგანოთ, რომ ენა აყალიბებს ინდივიდის აზროვნებას. ზოგიერთს ჰგონია, რომ შესაძლებელია ფრანგული იდეების პოპულარიზაცია ინგლისურ ენაზე; ისინი ცდებიან. თავს მოახვიო შენი ენა, ნიშნავს, თავს მოახვიო შენი აზროვნების რაგვარობა. როგორც ამბობს დიდი მათემატიკოსი რენე ლაფორგი: ფრანგული მათემატიკური სკოლა ახერხებს, პუბლიკაციები გამოაქვეყნოს ფრანგულ ენაზე არა იმიტომ, რომ გავლენიანი სკოლაა, არამედ იმიტომ არის გავლენიანი, რომ ნაშრომებს ფრანგულად აქვეყნებს, რაც მას საშუალებას აძლევს, აზრები სხვა მიმართულებით განავითაროს.

– თქვენ აგრეთვე თვლით, რომ ინგლისური ერთგვარი ნეოლიბერალური იდეოლოგიის მატარებელია...

ღიას. და სწორედ ესაა სახიფათო სხვა კულტურებისათვის, იმდენად რამდენადაც ამ იდეოლოგიის მთავარი ღერძი ძირითადად ფინანსურ სარგებლიანობაზე გადის.

– არ მესმის, რას ამბობთ...

ახლა ბევრს კამათობენ კულტურული განსაკუთრებულობის თაობაზე. ამერიკელები ძალიან შეეცადნენ, დაემკვიდრებინათ აზრი, რომ წიგნი ან ფილმი შეიძლება განიხილებოდეს როგორც კომერციული საგანი. ისინი მიხვდნენ, რომ ჯართან, დიპლომატიასთან და კომერციასთან ერთად, არსებობს კულტურული ომიც. ბრძოლა, რომლის მოგების იმედი აქვთ კეთილშობილური მიზნებით – აშშ ყოველთვის თვლიდა, რომ მათი ღირებულებები არის უნივერსალური – და არაკეთილშობილური მიზნებით: ადამიანთა გონების დაშტამპვა საუკეთესო საშუალებაა იმისათვის, რომ დაუსრულებლად ჰყილო ამერიკული პროდუქცია. წარმოიდგინეთ, რომ კინო არის ყველაზე მნიშვნელოვანი ამერიკული ექსპორტი, ბევრად უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე იარაღი, აერონავტიკა ან ინფორმატიკა! აქედანაა მათი სურვილი, ყველას თავს მოახვიონ ინგლისური ენა როგორც მსოფლიო ენა. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე მანძი შეიმჩნევა მცირეოდენი უკან დახევა ინგლისური ენის გავლენისა.

– რით აიხსნება ეს უკან დახევა?

უპირველეს ყოვლისა, იმით, რომ ამერიკელებმა მარცხი განიცადეს ერასმა და ავღანეთში. ამან მათ გააცნობიერებინა, რომ ომის წაგების მიზეზი შეიძლება ისიც იყოს, რომ არ გესმის სხვათა კულტურა. გარდა ამისა, ინტერნეტი ხელს უწყობს აზრთა სხვადასხვაობას: ბოლო ათი წლის მანძილზე ინტერნეტსივრცეში სწრაფი ზრდა შეიმჩნევა არაბული, ჩინური, პორტუგალიური, ესპანური და ფრანგული ენებისა. დაბოლოს, იმიტომ, რომ ხალხები ამჟღავნებენ ძლიერ მიჯაჭვულობას თავიანთ მშობლიურ ენებთან და ნელ-ნელა უპირისპირდებიან ამ პოლიტიკას.

– მაგრამ არა საფრანგეთში, თქვენ ნაწერების მიხედვით... თქვენ საკმაოდ მძაფრად უტყვევთ „კასალურ ელიტას“, რომელიც აღმოფხვრით ემუქრება ფრანგულ ენას.

ამ საკითხზე ჩემი აზრი უცვლელია. ეს არის, სხვათა შორის, ისტორიის ინვარიანტი. გალიური ენა გაქრა იმიტომ, რომ გალიის ელიტა ესწრაფვოდა, შვილები რომაულ სკოლებში გაემშვათ სასწავლებლად. ისევე როგორც პროვინციების მცხოვრებლებმა მოგვიანებით თავიანთ შვილებს ასწავლეს ფრანგული ენა რეგიონალური ენების საზიანოდ. გაბატონებული კლასები ყოველთვის პირველი ითვისებდნენ დამპყრობლის ენას.

– თქვენ რით ახსნიდით ამას?

მტრის ენის მიღებით ისინი ცდილობენ, მატერიალური გამორჩენა ნახონ, ან ასიმილირდნენ ერთგვარი პრესტიჟის მოსაპოვებლად. სიტუაცია მწვავედება, როდესაც ზოგიერთნი თავს ირწმუნებს თავიანთი საკუთარი კულტურის უბადრუკობაში. ჩვენც ამ მდგომარეობაში ვართ ზოგიერთ სფეროში, რომელიც განსაკუთრებით რეაგირებს მოდაზე – სარეკლამო სფერო, განსაკუთრებით, მაპატიეთ, მაგრამ ჟურნალისტიკა – ანგლიციზმებს მიმართავენ ყოველგვარი მიზეზის გარეშე. რატომ უნდა ვთქვათ “planning” “emploi du temps”-ს (განრიგი) მაგივრად? “coach” “entraîneur”-ის (მწვრთნელი) ნაცვლად? “Lifestyle” “mode de vie”-ის (ცხოვრების წესი) ნაცვლად “Challenge” “defi”-ის (გამოწვევა) ნაცვლად.

– იქნებ იმიტომ, რომ ცდილობენ, განსხვავდებოდნენ უბრალო ხალხისგან?

ცხადია. მაგრამ ის, ვინც ამ თამაშში ერთვება, ილუზიას იქმნის, რომ თანამედროვედ გამოიყურება, მაშინ როცა სინამდვილეში ის გამოიყურება გაამერიკულებულად. და მივდივართ ამ პარადოქსამდე: ხშირად ემიგრანტები უფრო ამაყობენ ფრანგული კულტურით! მართალია! მათ ხომ იბრძოლეს, რომ ეს მოეპოვებინათ. ამიტომაც ჩანს, რომ თითქოს ემიგრანტებს უფრო კარგად ესმით მისი ღირებულება, ვიდრე მათ, ვინც ეს კულტურა ხელის გაუნძრევლად, მემკვიდრეობით მიიღო.

– მაგრამ რას ეუბნებით მშობლებს, რომლებიც თავიანთ შვილებს ინგლისში ან აშშ-ში გზავნიან ენის კურსებზე?

მე მათ ვეუბნები: „რატომ არ გზავნით თქვენს შვილებს რუსეთში ან გერმანიაში? ეს ქვეყნები ბევრად ნაკლებ კონკურენტუნარიანი ბაზრებია, სადაც თქვენი შვილები ადვილად იმოვნინან სამუშაოს“.

– არ გეშინიათ, რომ ძველმოდურად ჩავთვალონ ან პეტენისტად?

მაგრამ რა ძველმოდურობაა ის, რომ გამოვიყენოთ მშობლიური ენის სიტყვები? რატომ უნდა ასიმილირდებოდეს მრავალფეროვნების დაცვა მოფაშისტო იდეოლოგიასთან. ფრანგული ენა ხომ ჩვენი რეკოლუციისა და რესპუბლიკის საფუძველშია.

– რით აიხსნება, რომ კვებეკელები უფრო მეტი გაშმაგებით იცავენ ფრანგულ ენას, ვიდრე ჩვენ?

იმით, რომ მათ უკეთ აქვთ გაცნობიერებული საშიშროება: ისინი წარმოადგენენ 6-მილიონიან პატარა ფრანკოფონიულ კუნძულს 260-მილიონიანი ანგლოფონების ოკეანეში. ამით აიხსნება მათი არაჩვეულებრივი ნეოლოგიური საქმიანობა. სწორედ კვებეკელებმა გამოიგონეს ტერმინი “courriel” (იმეილის ფრანგული ვარიანტი), რომლის მოხმარებასაც ვურჩევდი Express-ის მკითხველებს!

ინგლისური ენის შეზღუდვები დაწესებულებებში.

1999 წელს „რენოს“ გენერალურმა დირექტორმა ლუი შვეიცერმა სავალდებულოდ მოითხოვა ინგლისურ ენაზე საქმეთა წარმოება დირექციის შეკრებებზე. დირექტორი იძულებული შეიქნა, კვლავ განეხილა ეს საკითხი კლოდ აჟეჟის სასინარულოდ. საწარმოებს, რომლებმაც ეს ზომა მიიღეს, დაუქვეითდათ ეფექტიანობა. „სანოფი-ავენტისის“ მფლობელის, ფრანსუა დეჟეის, აზრით, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ: „თუ სავალდებულოდ დაენერგავთ ინგლისურ ენას, გამოვა, რომ ანგლოფონები 100%-ით აამუშავებენ თავიანთ პოტენციას, ვისთვისაც ეს მეორე ენაა, 50%-ით, და დანარჩენები კი მხოლოდ 10%-ით“. „სხვათა შორის, მცდარია აზრი, რომ თითქოს ინგლისური აუცილებელი იყო ბიზნესისათვის, განაგრძობს კლოდ აჟეჟი. ზოგჯერ პირიქითაცაა. როცა გვსურს მივყიდოთ პროდუქცია უცხოელს, უმჯობესია, კლიენტის ენა გამოვიყენოთ, რომელიც ყოველთვის ინგლისელი არ არის! წყლის დიდი ფრანგული კომპანია ბრაზილიაში გაემგზავრა. როცა მისმა წარმომადგენლებმა გადაწყვიტეს, ინგლისურად დაეწყოთ ლაპარაკი, ბრაზილიელები ძალიან გაბრაზდნენ. მათი ენის ძირი, ისევე როგორც ჩვენი ენის ძირი, ლათინურია. ანგლომანიის გამო ჩვენმა ბიზნესმენებმა უპირატესობა ნაკლად აქციეს“.

– არის თუ არა ინგლისური ენის წარმატება შეუქცევადი პროცესი?

სულაც არა. პოზიტიური ზომები იქნა მიღებული: დაწესდა კვოტები ფრანგულ მუსიკაზე რადიოსა და ტელევიზიაში, გაჩნდა დახმარებები ფრანგული კინოსთვის. სამწუხაროდ, სახელმწიფო ყოველთვის ვერ არის სიმალლეზე ამ მხრივ. ის ურთულესს სამუშაოზე მოწყობას ჩვენთან განათლებამიღებულ უცხოელ დიპლომირებულებს, ზედმეტად უჭერს მხარს ფრანკოფონიას, კეტავს Alliances Françaises-ებს... ჩინელებმა კი გახსნეს კონფუციუსის სახელობის 1 100 ინსტიტუტი მთელს მსოფლიოში. არასშიც კია ასეთი ინსტიტუტი [არასი პატარა ქალაქია საფრანგეთის ჩრდილოეთში. თ.ბ.]

– ერთადერთი ზომის მიღება რომ შეიძლებოდა, რა ზომას მიიღებდით?

ყველაფერი იწყება დაწყებითი სკოლიდან, სადაც საჭიროა, ისწავლებოდეს არა ერთი, არამედ ორი ენა. რადგან თუ მხოლოდ ერთ ენას შევთავაზებთ, რა თქმა უნდა, ყველა ინგლისურს მიაწყდება და კიდევ უფრო გავართულებთ პრობლემას. ორის შეთავაზებით კი ვნერგავთ მრავალფეროვნებას.

– ნიკოლა სარკოზი ხშირად უშვებს შეცდომებს სინტაქსურ წყობაში (“On se demande c’est à quoi ça leur a servi...” ანდა “J’écoute, mais je tiens pas compte”). ეს სერიოზული ხინჯია სახელწიფოს მეთაურისთვის?

შეიძლება უფრო ნაკლები ცოდვა იყოს, ვიდრე ჩვენ ეს გვგონია. აი, ნახეთ, მას მერე, რაც მან გააკრიტიკა მაღამ დე ლაფაიეტის „კლევის პრინცი-სა“, უცბად ძალიან მოიმატა მყიდველთა რაოდენობამ. თუმცა ისიც უნდა ით-

ქვას, რომ დე გოლი და მიტერანი უფრო განათლებული ადამიანები იყვნენ და მეტად აფასებდნენ ფრანგულ ენას.

– *გამოდის, ფრანგული ენა შეიძლება გახდეს მსოფლიოში კულტურული მრავალფეროვნების მებაირადე?*

ამაში დარწმუნებული ვარ, რადგან მას გააჩნია ყველა ის კოზირი, რაც უნდა ჰქონდეს დიდ საერთაშორისო ენას: ხუთ კონტინენტზე მისი გავრცელება, მისი პრესტიჟი კულტურის სფეროში, მისი ოფიციალური სტატუსი გაეროში, ევროკომისიაში და ოლიმპიურ თამაშებზე. ამავე დროს მისი განსაკუთრებული ხმის უფლება. გაიხსენეთ ბატონი ვილპენის გამოსვლა გაეროში. ის დაუპირისპირდა ერაყის ომს, რის შემდეგაც „ალიანს ფრანსეზების“ ოფისებში ენის შემსწავლელთა მსურველები მასობრივად ჩაეწერნენ.

– *წინააღმდეგობრივი ხომ არ არის, გინდოდეს, შენმა ენამ მიიღოს საერთაშორისო მასშტაბი და ამავე დროს რეგიონალური ენები ხელიდან გეცლება?*

სრულიად გეთანხმებით. არ შეიძლება, იცავდე მრავალფეროვნებას მსოფლიო მასშტაბით და ერთგვაროვნებას საფრანგეთის მასშტაბით! სულ ცოტა ხანია, რაც ჩვენს ქვეყანაში რეგიონალური ენები იღებენ იმ აღიარებას, რასაც ისინი იმსახურებენ. მაგრამ ეს მოხდა მხოლოდ მას მერე, რაც ამ ენებმა თითქმის სული განუტევეს და ახლა აღარ წარმოადგენენ საშიშროებას ეროვნული მთლიანობისათვის.

– ე.ი. ძალიან გვიანაა.

გვიან არის, მაგრამ ძალიან გვიან არაა. საჭიროა, გაიზარდოს ამ ენებისათვის საშუალებების გამოყოფა. უნდა გადავარჩინოთ ისინი მანამ, სანამ აღმოვაჩენდეთ, რომ საფრანგეთმა დაკარგა თავისი კულტურული სიმდიდრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი.

თარგმნა თინათინ ბელიაშვილმა

Interview with a French Linguist *Claude Hagege*

“Imposing one’s language means imposing one’s mentality.”

Nowadays many of us are worried about the invasion of English words, and not only words but entire constructions and even intonation, into the Georgian language. This worry has its grounds, which can be proved by the viewpoint of a French linguist Claude Hagege. A country like France, with a population exceeding 60 million, with a huge Francophonic space, where the language issue and all the related problems are controlled and regulated by official structures, could not avoid the domination of the English language. We offer an interview with a French

linguist Claude Hagege published on the web-site of "Express" magazine (L'Express .fr .28/03/2012 11:00 mis à jour 03/04/2012 10:26). The interviewer is Michael Felten-Palace.

Claude Hagege – linguist, Professor of Collège de France, Gold-Medalist of CNRS, Cavalier of Honorable Order, author of numerous successful books:

Le français et les siècles	Editions Odile Jacob 1987
Le souffle de la langue	1992
L'enfant aux deux langues	Editions Odile Jacob 1996
Halte à la mort des langues	Editions Odile Jacob 2001
Combat pour le français	Editions Odile Jacob 2006 etc.

Claud Hagege, a famous linguist and polyglot, aims at the protection of diversity. Therefore, he is categorically against the domination of the English language.

ახალი წიგნები

Mauro Maggi, Paola Orsatti, *The Persian language in history*, Dr. Ludwig Reichert Verlag, Wiesbaden, 2011, 364 S.

ინგლისურენოვანი კრებული – „სპარსული ენა ისტორიაში“ – არის მორიგი, ოცდამეცამეტე ტომი სერიისა „Beiträge zur Iranistik“, რომელიც დაარსდა ფრანგი ირანისტის, პროფესორ ჟორჟ რედარის თაოსნობით, ზოლო მისი რედაქტორია პროფესორი ნიკოლას სიმს-ვილიამსი. ამ ტომის გამოცემა განხორციელდა ირანული კულტურული მემკვიდრეობის ფონდის (ლონდონი) და რომის ლა საპიენცას უნივერსიტეტთან არსებული იტალიის აღმოსავლური კვლევების ინსტიტუტის მხარდაჭერით.

კრებულის გამომცემლები არიან ცნობილი იტალიელი ირანისტები, რომის უნივერსიტეტის პროფესორები, მათგან მათი და პაოლა ორსათი. ახლანდელი კრებული ეძღვნება გამოჩენილი იტალიელი აღმოსავლეთმცოდნე-ირანისტის, პროფესორ ანჯელო მიკელე პიემონტეზე დაბადების სამოცდაათი წლისთავს.

კრებული შედგება თოთხმეტი სტატიისაგან, რომლებიც შეეხება სპარსული ენის ისტორიის სხვადასხვა ასპექტს, მათ შორის საშუალო სპარსულის სტრუქტურის საკითხებსაც. სტატიები დალაგებულია თემატურად და მოიცავს სპარსული ენის ისტორიის მრავალფეროვან თემებს – ისტორიულ და დესკრიფციულ გრამატიკას, ლექსიკას, ადრე სალიტერატურო სპარსულ ტექსტებს, არასტანდარტული ახალი სპარსული წყაროების კრიტიკული შესწავლის საკითხებს, თანამედროვე ირანის დიალექტებს და მათ კვლევას ახალ სპარსულთან მიმართების თვალსაზრისით.

კრებულის შედგენაში მონაწილეობდნენ წამყვანი ევროპელი ირანისტები: ჟილბერ ლაზარი, ჯუდიტ ჯოსეფსონი, ელიო პროვასი, დესმონდ ღურკინ-მაისტერენსტი, რიკარდო ზიპოლი და სხვ. კრებულში ასევე წარმოდგენილია ორი ირანელი მეცნიერის – ჰასან რეზაი ბაყბიდისა და მოჰამად ჰასანდუსთის სტატიები.

მეორე პუბლიკაციის ავტორია ჯუდიტ ჯოსეფსონი. მის სტატიაში „განსაზღვრულობა და დეიქსი საშუალო სპარსულში“ წარმოდგენილია განსაზღვრულობის მარკირების საკითხები ადრე და გვიან საშუალო სპარსულში, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა -ē განუსაზღვრელი სუფიქსის გრამატიკალიზაციის საკითხებს, როგორც განკერძოების (ინდივიდუალიზაციის) გამომხატველს სახელებში.

შემდეგი ორი სტატია ეხმიანება ზემოაღნიშნულ განსაზღვრულობა/განუსაზღვრელობის თემატიკას. პაოლა ორსატის პუბლიკაციაში „დექტური სუფიქსი *yā-ye e*“ განხილულია თანამედროვე სპარსულში არსებული დექტური სუფიქსი *-i* და მისი რეტროსპექტივა ადრე და ასევე კლასიკურ, როგორც სალიტერატურო, ასევე არასალიტერატურო სპარსულ ტექსტებში.

ხოლო ჟილბერ ლაზარის პუბლიკაციაში „ომონიმია და პოლისემია: მოკლე შენიშვნა ორი ენკლიტიკა *-i*-ს შესახებ სპარსულში“ წარმოდგენილია თეორიული მოდელი ახალ სპარსულში ორი, განსაზღვრული და განუსაზღვრელი *-i* სუფიქსის დეფინიციის შესახებ.

კრებულის მეორე თავი მთლიანად ეძღვნება საშუალო სპარსულს და შედგება ორი სტატიისგან. პირველის ავტორია დესმონდ ღურკინ მაისტერენსტი. მის პუბლიკაციაში „ტურფანის საშუალო სპარსული ტექსტების მნიშვნელობა“ წარმოჩენილია ჩინეთის თურქესტანში აღმოჩენილი მანიქური ტექსტების (III-VI სს. ჩვ. წ.) ღირებულება საშუალო სპარსული და, ზოგადად, სპარსული ენის ისტორიაში, მოცემულია ამ ტექსტების კვლევის ისტორია და მათი პუბლიკაციების სრული ნუსხა.

მეორე სტატია „ახალი მონაცემები საშუალო სპარსულ-ჩინური ბილინგვის შესახებ ზიანიდან“ ეკუთვნის ჰასან რეზაი ბაყბიდის. მასში წარმოდგენილია ასევე ჩინეთში ადრე აღმოჩენილი საშუალო სპარსულ-ჩინურ ბილინგვის ახალი წაკითხვა და თარგმანი თავისი კომენტარებით.

კრებულის მესამე თავი „არასტანდარტული ახალი სპარსული“ ეძღვნება ახალი სპარსულის ადრეულ ნიმუშებს, რომელთა უმრავლესობა რელიგიური (მანიქური, ისლამური, იუდეური) ტექსტებია და ბევრად ავსებს სპარსული ენის ევოლუციის საერთო სქემას.

ელიო პროვასი სტატიაში „მანიქური დამწერლობით შესრულებული ახალი სპარსული ტექსტები ტურფანიდან“ განიხილავს შვიდ ახალ სპარსულ გამოუცემელ ფრაგმენტს, დართულია მათი თარგმანი კომენტარებითა და ლექსიკონით.

ელა ფილიპონეს პუბლიკაციაში „Qor’ān-e Qods-ის ენა და მისი სისტანური დიალექტური ფონი“ მოცემულია დეტალური ანალიზი ყურანის ადრეული სპარსული თარგმანის ენისა და მთარგმნელობითი ტექნიკის შესახებ სპარსული ხელნაწერის მიხედვით, რომელიც ცნობილია Qor’ān-e Qods-ის სახელწოდებით.

განსვენებული დავიდ ნეილ მაკენზის სტატიაში „ინდექსი ადრეული იუდეურ-სპარსული საბუთისთვის“ მოცემულია სალექსიკონო ინდექსი მის მიერ წინათ, 1968 წელს, გამოქვეყნებული იუდეურ-სპარსული ტექსტისათვის.

მაორო მაგისა და პაოლა ორსატის სტატია „ორი სირიულ-სპარსული ჰიმნი წინასააღდგომო შაბათისა და დიდი ხუთშაბათისათვის“ ეძღვნება სირიული

ესტრანგელოთი შესრულებულ ორ ახალ სპარსულ ჰიმნს ბირმინგემის ხელნაწერთა კოლექციიდან.

კრებულის შემდეგ თავში „სალიტერატურო ახალი სპარსული“ წარმოდგენილია ორი სტატია. მუჰამედ ჰასანდუსთის პუბლიკაციაში განხილულია კლასიკურ ახალ სპარსულში დადასტურებული რვა ლექსემა, რომელიც არ იყო დამოწმებული მანამდე სპარსულ ლექსიკოგრაფიაში, მათი ისტორიულ-ეტიმოლოგიური ანალიზი.

რიკარდო ზიპოლის სტატიაში „შტაინგასის ლექსიკონის უშვერი ლექსიკა“ მოტანილია სალანძღავი სიტყვების სია, მათი ლექსიკონის შექმნის მოდელის ჩვენებით. აღნიშნულია ამ ტერმინების მნიშვნელობა ტაბუდადებული სალიტერატურო ტექსტების გამოცემისა და შესწავლისათვის.

კრებულის ბოლო თავი „დიალექტოლოგია“ შეეხება სხვადასხვა ირანულ დიალექტს. კერძოდ, ჯერარდო ბარბერას სტატიაში განხილულია სამხრეთ-აღმოსავლეთ ირანში გავრცელებული მინაბური დიალექტი, მცენარეულობის აღმნიშვნელი ლექსიკა როგორც საკუთრივ ამ დიალექტში, ასევე ამ არეალში გავრცელებულ სხვა დიალექტებსა და სპარსულ ენაში.

ციური სხეულების აღმნიშვნელ ტერმინებსა და ამინდთან დაკავშირებულ ცნებებს განიხილავს დანიელე გუიზო ჩრდილო-დასავლეთ ირანში გავრცელებულ თალიშურ დიალექტებში, ასევე დართულია თეორიული ნაწილიც თალიშური დიალექტების ადგილის შესახებ მეზობელ ენებთან მიმართებაში.

აღნიშნული კრებული თავისი მრავალმხრივი თემატიკით მეტად ღირებულია სპარსული ენის ისტორიის კვლევისათვის და ამ ენის სტრუქტურის რიგი საკითხების ახლებურად წარმოჩენისათვის.

ელენე ვიუნაშვილი

შინაარსი

ტოტო გულავა – 90	5
ტოტო გულავას სამეცნიერო შრომების ბიბლიოგრაფია	6
<i>ლია აბულაძე, ანდრეას ლუდენი, ენანტიოსემია ქართულში</i>	17
<i>Lia Abuladze, Andreas Luden, Enantiosemy in the Georgian Language</i>	47
<i>მაია ადვადე, უარყოფის სისტემა ქართულ ენაში</i>	48
<i>Maia Advadze, System of Negation in Georgian</i>	55
<i>რუსუდან ასათიანი, აკუსატივის „გაქრობა“ კავკასიის ენებში:</i> <i>არეალური თუ უნივერსალური ნიშანი?</i>	56
<i>Rusudan Asatiani, The Disappearance of the Accusative:</i> <i>An Areal or Universal Tendency?</i>	64
<i>ზურაბ ბარათაშვილი, დიათეზა და გვარის კატეგორია ქართულში</i>	66
<i>Zurab Baratashvili, The Diathesis and the Category of Voice in Georgian</i>	81
<i>თინათინ ბელიაშვილი, ანგლიციზმების ინტეგრაციის შედარებითი</i> <i>დახასიათება ფრანგულ და ქართულ ენებში</i>	82
<i>Tinatin Beliashvili, The Comparative Analysis of Integration of Anglicisms</i> <i>in French and Georgian</i>	89
<i>ეთერ ბერიძე, ფრაზეოლოგიური გამოთქმები ნიგალურ მეტყველებაში</i>	91
<i>Eter Beridze, Phraseological Expressions in the Speech of Nigali</i>	96
<i>Winfried Boeder, A Note on the Pragmatics of</i> <i>Interrogativity in Megrelian</i>	97
<i>ვინფრიდ ბოედერი, კითხვითი კონსტრუქციების</i> <i>პრაგმატიკის შესახებ მეგრულში</i>	119
<i>თინათინ ბოლქვაძე, მეგრული ანბანი და მეგრულად ნაბეჭდი წიგნები:</i> <i>მეცხრამეტე საუკუნის ბოლო ოცწლეული</i>	121
<i>Tinatin Bolkvadze, The Megrelian Alphabet and Megrelian</i> <i>Printed Books in the Late 19th Century</i>	150
<i>რუსუდან გერსამია, მორფემათა ჯგუფები და სახელურ მორფემათა</i> <i>რანგობრივი სტრუქტურა მეგრულში</i>	151
<i>Rusudan Gersamia, Groups of Morphemes and the Rank</i> <i>Structure of Morphemes in Megrelian</i>	160
<i>ნინო დობორჯგინიძე, სულხან-საბა ორბელიანის სალექსიკონო</i> <i>მეთოდოლოგიის ზოგიერთი საკითხი</i>	162
<i>Nino Doborjginidze, Some Aspects of Sul Khan-Saba Orbeliani's</i> <i>Lexicological Method</i>	175
<i>ნათია დუნდუა, ოშკის ბიბლიაში დაცული ტობის წიგნის</i> <i>წარმომავლობის საკითხი</i>	176
<i>Natia Dundua, The Issue of the Origin of the Book of Tobit in Oshki Bible</i>	183

<i>რუსუდან ზეკალაშვილი, ქართული ზღაპრების ზოგიერთი ენობრივი თავისებურება გერმანულ თარგმანებში</i>	184
<i>Rusudan Zekalashvili, Some Language Features of the Georgian Fairy Tales in German Translation</i>	191
<i>მარინე ივანიშვილი, ივანე ლეჟავა, მეგრული მ, ს თანხმონების დისტრიბუციული და ექსპერიმენტული ანალიზი</i>	193
<i>Marine Ivanishvili, Ivane Lezhava, Distributive and Experimental Analysis of [q'] and [ʔ] Consonants in Megrelian</i>	204
<i>მაია ლომია, უარყოფითი და დადასტურებითი ნაწილაკების ფუნქციური განაწილების პრინციპები მეგრულში</i>	221
<i>Maia Lomia, Principles of Functional Distribution of Negative and Affirmative Particles in Megrelian</i>	231
<i>ქეთევან მარგიანი-სუბარი, კილოსა და ვეიდენცილობის ურთიერთმიმართებისათვის სვანურ ენაში</i>	233
<i>Ketevan Margiani-Subari, On the Interrelation of Mood and Evidentiality in the Svan Language</i>	239
<i>თამარ მახარობლიძე, ინვერსია და ერგატივიზაციის პროცესი</i>	240
<i>Tamar Makharoblidze, Inversion and the Process of Ergativization</i>	247
<i>ირინე მელიქიშვილი, ერგატიული კონსტრუქციის მეორეულობის შესახებ ქართველურ ენებში</i>	248
<i>Irine Melikishvili, Secondary Ergative in Kartvelian Languages</i>	275
<i>ომარ მემიშიში, ფიტონიმი ლაზეთის ტოპონიმიკაში</i>	277
<i>Omar Memishishi, Phytonym in the Toponymics of Lazeti</i>	283
<i>მედეა საღლიანი, სიტყვათა კავშირები სვანურ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებში</i>	284
<i>Medea Saghliani, Word Connections in Svan Phraseological Expressions</i>	297
<i>მაია სახოკია, ქართული ერგატივის ტიპოლოგიისთვის</i>	298
<i>Maia Sakhokia, Georgian Ergative Typology</i>	303
<i>ეთერ სოსელია, მანანა ქარქაშაძე, თავისებური ი- სმოვანპრეფიქსიანი ზმნური ფორმები ქართულში</i>	305
<i>Ether Soselia, Manana Karkashadze, Some Peculiar i- Prefixed Verb Forms in Georgian</i>	312
<i>თედო უთურგაიძე, ხანმეტობისა და ჰაემეტობის ქრონოლოგიური მიმართებისათვის</i>	314
<i>Tedo Uturgaidze, On the Chronological Relation of Khanmetoba and Haemetoba</i>	330
<i>გიორგი ცოცანიძე, ვაზი, ყურძენი, ღვინო</i>	333
<i>Giorgi Tsotsanidze, Vine, Grape, Wine</i>	348
<i>ქეთევან ძიდიგური, ჩარლზ პერსის სემიოტიკური თეორია</i>	349
<i>Ketevan Dzidziguri, The Semiotic Theory of Charles Peirce</i>	371

<i>მარია ჯიქია</i> , ფემინურ-მასკულინური კომპონენტების დისტრიბუცია თხზულ სახელებში	372
<i>Marika Jikia</i> , Distribution of Feminine-Masculine Components in Compound Words: the Kartvelian Languages	379
თარგმანი	
<i>რომან იაკობსონი</i> , თარგმანის ლინგვისტური ასპექტების შესახებ	380
(თარგმნა ეთერ ჭურაძემ)	
ინტერვიუ ფრანგ ენათმეცნიერ <i>კლოდ აჟეჟთან</i>	389
(თარგმნა თინათინ ბელიაშვილმა)	
Interview with a French Linguist <i>Claude Hagege</i>	389
ახალი წიგნები	
<i>Mauro Maggi, Paola Orsatti</i> , The Persian language in history, Dr. Ludwig Reichert <i>Verlag</i> , Wiesbaden, 2011, 364 S.	398
(ელენე გიუნაშვილი)	

გამომცემლობის რედაქტორები:

ცირა ჯიშკარიანი

ნანა კაჭაბავა

გარეკანის დიზაინი

მარიამ ებრალიძე

კომპ. უზრუნველყოფა

ლალი კურდღელაშვილი

TSU Press Editors:

Tsira Jishkariani

Nana Katchabava

Cover Designer

Mariam Ebralidze

Compositor

Lali Kurdghelashvili

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14

14 Ilia Chavchavadze Avenue, Tbilisi 0179

Tel 995(32)2251432

www.press.tsu.ge